ჯემალ ქირია

ბელეტრისტიკა

ტომი 2

მეხამრიდი

(მოთხრობები)

თბილისი 2006
გამომცემლობა „საარი“

ამ ტომში თავმოყრილი მოთხრობები გამოქვეყნებულია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, აგრეთვე კრებულებში „პირველი ზეკარი“ (1983) და „კუნძული“ (1988). ბოლო სამი ნაწარმოები სტუდენტობის პერიოდისაა და ატყვია კიდეც ლიტერატურული ვარჯიშის კვალი.

© ჯემალ ქირია - მეხამრიდი
საავტორო უფლებები დაცულია

ტექნიკური რედაქტორი: ირინა მარკოზაშვილი

გამომცემლობა „საარი“
ISBN 99940-60-02-3

დალ-ექიმი

გარეთ ბარდნიდა დინჯად, ხვავრიელად. ტოტები სიმძიმისაგან იზნიქებოდა. ბელურები ზედ ფანჯარასთან ჟივჟივებდნენ და ვიღაც ღვთისნიერის მიერ დაგდებულ პურის ნატეხს კორტნიდნენ.

სახურავებს ფუმფულა თოვლის ჩაფხუტები ეხურა.

„გადასათოვლია!“ — წამიერ გაუელვა ბაჯუს.

მხოლოდ ერთხელ ასწია თავი, თვალი ჰკიდა ფანჯარას და უმალვე დაავიწყდა თოვლი, ტოტები, სახურავები, ბელურები.

ქალს ახლადდაბადებული ბავშვი ეჭირა, ჩვილი ჩხაოდა.

ბაჯუმ ხმამაღლა, მელოგინის გასაგონად წამოიძახა:

— გაიზრდება!

სამი-ოთხი საათის წინ, აქ რომ შემოაბიჯა, იმედი თითქმის არ ჰქონდა. გამოცდილებამ უკარნახა, მძიმე მშობიარობასთან რომ ექნებოდა საქმე. ბათიმათ ცინდელიანი ორმოცი წლისა მაინც იყო, ცხრა ბიჭის დედა, ცხრაჯერ ბეწვის ხიდზე გასულა, ახლა კი მეათემ — გოგომ კინაღამ თან გადაიყოლა.

„რომ არ მომესწრო, გაიგუდებოდა“, — ბაჯუმ რეზინის ხელთათმანი წაიძრო, ტაშტში ჩააგდო, ნეტარებით მიუშვირა ხელი თბილ წყალს.

მელოგინემ ოფლით დაცვარული სახე მოაბრუნა. ქვედა ტუჩი დასისხლიანებოდა. მშობიარობის დროს ხმა არ ამოუღია, ჩვილი არ დასცდენია, ალბათ უცხო კაცისა რცხვენოდა; მხოლოდ ტუჩს იკვნეტდა. გადატანილი ტკივილებისაგან ბაგეები კვლავაც ებრიცებოდა, როგორც განაწყენებულ ბავშვს, მაგრამ ინსტინქტურად... აქამდე თვალებში ძრწოლა ეხატებოდა, ახლა კი შიში თანდათან მიმქრალიყო და შიგ შვება, მადლიერება, სინაზე ჩანდა, ლმობიერებასა და სიწყნარეს დაებუდა.

— ქალიშვილია, ყაჩაღანა და ეშმაკისფეხა! — მეორედ შეახსენა ბაჯუმ.

— გმადლობთ, დალ-ექიმო, — ძლივს წაიჩურჩულა მელოგინემ.

დალის მთელ ხეობაში მოფერებით ასე ეძახდნენ ბაჯუს და ამ მეტსახელში სიყვარული და პატივისცემა იგრძნობოდა.

— კაჟივით გოგოა! — ხალისით შეეპასუხა და ხელები შეიმშრალა.

ოთახში მეზობლის დედაკაცები ფაციფუცობდნენ, ვედროები და ტაშტები გაჰქონდათ.

ბაჯუმ კარი გამოაღო, ბეჩუ ცინდელიანი გამოატარა. ოჯახის უფროსი ერთი კვირის გაუპარსავი მაინც იყო და ჭაღარანარევი ბანჯგვლი მოსდებოდა, თვალები მღელვარებისგან ჩასცვენოდა.

— გადარჩება, დალ-ექიმო?

— გადარჩენილია და ეგაა! — გაამხნევა ბაჯუმ.

ბეჩუ სარეცელს მიუახლოვდა. მელოგინეს გვერდით პაწია, დამანჭული არსება წკვიტინებდა. კაცმა თვალი აარიდა.

— როგორ ხარ, ბათიმათ?

ქალმა საწყლად გაუღიმა.

ზღურბლს გაღმა უმცროსი ცინდელიანები შეყრილიყვნენ და კარისაკენ კისერს ცნობისმოყვარეობით იწვდენდნენ.

— შემოდით, შემოდით!

ბაჯუმ უფროსს, თხუთმეტი წლის გიას მხარზე ხელი დაჰკრა, დედისაკენ უბიძგა. ერთმანეთის მოყოლებით შემომწკრივდნენ ერთიმეორეზე პატარები. უფროსი დაიხარა, დედას აკოცა, ჩვილს თვალი შეავლო და უკან გადგა, სხვა ძმები მიუშვა. მათაც უფროსს მიბაძეს. რიგრიგობით იხრებოდნენ დედისაკენ, კოცნიდნენ, ჩვილს დახედავდნენ, ზოგი ინტერესით, ზოგი გაოცებით, ზოგი გაუცნობიერებელი ზიზღით, ყველაზე პატარამ კი — ორი წლის დათუნამ ცრემლები გადმოყარა — „ალ მინდა დაიკოო!“

ყველა ერთად მიაწყდა კარს, გაიჭედნენ და ჯაჯგურით, ჯიკავ-ჯიკავით გავიდნენ.

— ყაჩაღანა და ეშმაკისფეხება იქნება, მაგასაც ნახავთ! — ბაჯუმ მკლავზე ხელი შეავლო ბეჩუ ცინდელიანს, მელოგინეს გაარიდა. როცა ოთახიდან გადიოდნენ, კართან ჩამოკიდებულ სარკის ნატეხს შეავლო თვალი, საკუთარი ფერი არ მოეწონა. გასცრეცოდა, წვერიც წამოზრდოდა, არადა, რაც დაქორწინდა, ყოველდღე იპარსავდა.

იგრძნო, რომ უსაშველოდ დაიღალა. წუხელ წუთითაც ვერ მოისვენა, ქვეყანას ერჩივნა თბილი ლოგინი და ძილი. ძლიერი

მტერი იყო სიკვდილი, ჭირდა მასთან ბრძოლა. ხან იმარჯვებდა ბაჯუ, ზოგჯერ მარცხდებოდა და გულზე იარას იარა ემატებოდა. თერაპევტი ვარ და სხვა სპეციალისტები მომაშველეთო, — რაიონს სწერდა. თერაპევტი კი არა, თვითონვე იყო ქირურგიც, გინეკოლოგიც, ფსიქიატრიც, კარდიოლოგიც და ვინ იცის კიდევ რა, რადგან დალის მთელ ხეობაში ერთადერთი მკურნალი გახლდათ. დროგამოშვებით მუქარით აცნობებდა ჯანდაცვას, დავკრავ ფეხს და მეც ქალაქში გადავვარდები, სხვაზე ნაკლებ არ დავიმშვენებ კათედრებს და რესტორნებსო. მუქარა მუქარადვე რჩებოდა, წელი კი წელს მისდევდა. დალ-ექიმს ქოჩორი შეუთხელდა, უპეებში ნაოჭები მოუხშირდა...

გარეთ კი ხვავრიელად ბარდნიდა და ხეთა ტოტები მძიმედ იზნიქებოდა.

„გადასათოვლია“, — ერთხელაც გაიფიქრა ბაჯუმ და საექიმო ჩემოდანი დახურა.

სასტუმრო ოთახში ქალები უხმოდ შლიდნენ სახელდახელო სუფრას. ბაჯუს გაახსენდა, დღეს რომ პირში ხემსი არ ჩასვლოდა.

— ერთი ჭიქა დაგვილიე, დალ-ექიმო! — შესთხოვა ბეჩუ ცინდელიანმა.

— მაშ, ოჯახის პირველი ქალიშვილი ხომ უნდა დავლოცოთ, — უმალვე დაეთანხმა ბაჯუ, სკამი გამოსწია.

— თამარს დავარქმევ! — ბეჩუ ფეხზე იდგა და არაყი ისე ჩამოასხა.

— კარგი სახელია. — ბაჯუს ცოლი გაახსენდა. მასაც თამარი ერქვა. ჩვილის მობრუნებას რომ ცდილობდა, იმ დროს ამოეშალა მეხსიერებიდან. თამარიც დღე-დღეზე ელოდა ბავშვს. ბაჯუ შორს არ უნდა გასცდენოდა საკუთარ კერას, რათა დროზე ეშველა ახალგაზრდა მეუღლისათვის, რომელიც აგერ, სიბერის ზღვარზე შეერთო და მისი ორსულობა ღვთიურ სასწაულად მიაჩნდა.

— კარგი სახელია, — თავის ფიქრს გაუღიმა ბაჯუმ. იდგა თასით ხელში და ბეჩუ ცინდელიანი მოთმინებით ელოდა, როდის დაჯდებოდა სტუმარი.

აივანზე ვიღაც ამობრაგუნდა.

— დალ-ექიმი თქვენთანაა? — ხმამაღლა იკითხა.

ბაჯუს ხელი აუკანკალდა, არაყი თითებზე გადმოეღვარა. უმალვე ის იფიქრა, ჩემი თამარი ცუდადაა და ალბათ შინიდან დამირეკესო. თასი დადგა, კარისაკენ შებრუნდა და ახლა უკვე არ ახსოვდა არც არაყი, არც შიმშილი, არც მასპინძელი.

კარი მოურიდებლად გაიღო, ოთახში ორთქლი შემოვარდა და ბაბუაწვერასავით ფიფქები შემოიტანა.

— გუდუ? — ბეჩუ ცინდელიანი სტუმრისაკენ დაიძრა, უნდოდა ეკითხა, ასეთი რა გაგჭირვებიაო.

ახალგაზრდა კაცი სირბილისაგან სულს ძლივს ითქვამდა. სახე უღაჟღაჟებდა, თმაზე და მხრებზე თოვლი ადნებოდა.

„თამარ?“ — უხმოდ შეეკითხა ბაჯუ.

— დალ-ექიმო, გოჩა ვიბლიანი კვდება!

ბაჯუ შეყოვნდა, გულზე მოეშვა და კიდეც შეწუხდა...

ვერ გაიხსენა, ვინ იყო გოჩა ვიბლიანი, ან სად ცხოვრობდა.

— რა დაემართა?

— კარგად არ ვიცი, დარეკეს, მაგრამ ხაზი უცებ გაწყდა, იქნებ ჩაინამქრა.

— სად გაწყდა ხაზი?

— თეთნე მანჩხააპამდე ხომ იცით რა გზაა, სადმე გაწყდებოდა და...

თეთნე მანჩხააპი... პაწია სოფელი, ათიოდე კომლი, ათიოდე კილომეტრი გზა თოვლით ამოვსებულ ვიწრო ხეობაში...

— მაშ წავიდეთ! — ყოყმანი იგრძნობოდა ბაჯუს ხმაში. სიკვდილს გამოსტაცა ბათიმათ ცინდელიანი, უკან დაახევინა მტერს, მაგრამ ვინ იცის, სადაა იგი დადარაჯებული.

— დალ-ექიმო, — გაუბედავად შეახსენა ბეჩუ ცინდელიანმა. ვერ ეტყოდა, დავჯდეთ და ვიქეიფოთო, ერთი ჭიქა ასწიეო, ამასღა სთხოვდა.

— სხვა დროს, სხვა დროს! — პალტო ჩაიცვა ბაჯუმ, თბილი კაშნე ყელზე მოიხვია, ბეწვის ქუდი თავზე ჩამოიფხატა.

გასვლის წინ მელოგინესთან შეიხედა, შორიდან შეავლო თვალი, ქალს სახე გაფერმკრთალებოდა, თვალდახუჭული იწვა. თითქოს ყველაფერი რიგზე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბაჯუს წინათგრძნობამ მოსვენება დაუკარგა. ბეჩუ ცინდელიანი გააფრთხილა, დალში ჩადი, საავადმყოფოს მიაკითხე და ექთანი ამოიყვანეო.

თოვლი საჟენზე იდო. მთელი სოფელი შიგ ჩაფლულიყო. ზოგან სახლები გადაეთოვლათ და ბუხრის მილებიდან თეთრი, მოცისფრო კვამლი ამოდიოდა.

ერთგან სახურავზე მამაკაცი იდგა, ნიჩბით თოვლს ყრიდა. ზედ სახლის კუწუბზე ბავშვი დამჯდარიყო და გაბმულად ყვიროდა:

— დალ-ექიმი მოდის!.. დალ-ექიმი მოდის!..

მამაკაცმა მოიხედა, ხელი დაუქნია, იკითხა, საქმე როგორაა. ბაჯუმ ცერი ასწია, კარგადო, თუმცა გული მაინც ეთანაღრებოდა.

ორღობეში საცალფეხო ბილიკი გაეკვალათ.

გუდუ წინ მიკელანაობდა. ბაჯუს წვრილად მოუთხრო, წუხელ ფეხი დამიცდა და ძარღვი დამეჭიმაო. მერე ამინდზე გადავიდა, რადიოს გამოუცხადებია, ორი-სამი კვირა დიდთოვლობა მოგველის და ფრთხილად იყავითო.

ბაჯუ არ უსმენდა ამ უთავბოლო რატრატს. ფიქრებმა წაიღეს. ბაჩუ ცინდელიანის მეუღლეს უბრუნდებოდა ფიქრში ისევ და ისევ. თავს ირწმუნებდა, დროზე მივუსწარი და გადავარჩინეო, მაგრამ მოუსვენარი ეშმაკუნა — ეჭვი სულს უწიწკნიდა... გულის დასამშვიდებლად პაწია, მუშტისტოლა თამარს იხსენებდა, რომელიც სულ რამდენიმე წუთის წინ სიკვდილს გამოსტაცა... აქ კი ცოლიც მოაგონდებოდა ხოლმე, რომელიც მეცხრე თვის მიჯნაზე, ვინ იცის, როგორ მიტოვებულად გრძნობდა თავს.

ფოსტაში არავინ იყო. არც კარი ჩაეკეტა ვინმეს. გაუხარდა, როცა ყურმილში ზუმერის ხმა გაიგონა, აქეთ მაინც ყოფილა ხაზიო. იმ ბოლოს ტელეფონს დიდხანს არავინ იღებდა და წყეული შიში თანდათან ჩაეჭდო ძარღვებში, შეჰბოჭა.

ამ დროს გაიჩხაკუნა და ერთადერთმა, მოკლე, უბრალოდ ნათქვამმა სიტყვამ კინაღამ შეახტუნა. იქვე აყუდებულ გუდუს ანიშნა, კარში გადი და მარტო დამტოვეო.

— დიახ! — იკითხა ქალის ხმამ.

— მე ვარ, ოქრო, ხომ მშვიდობაა?

— სადა ხარ? — ქალის ხმაში მოუსვენრობა იგრძნობოდა.

— ზემო სოფელში ვარ, ბეჩუ ცინდელიანის ცოლს გოგო შეეძინა.

— მოდიხარ?

ბაჯუმ ამოიოხრა, მცირე ხანს დუმდა, მერე თითქმის ცივად შეეპასუხა:

— ვერა, ოქრო, დღეს ნუ მელი!

— ხვალ? — ხმა ჩაუვარდა ქალს.

— არ ვიცი! შენ ნუ გეშინია.

— მეშინია. — წაიჩურჩულა ქალმა და ყურმილი დადო.

ბაჯუს ხელი შეუყოვნდა. ყურში უწყვეტად მეორდებოდა ზუმერის ხმა და შეშფოთებული სიტყვა: „მეშინია, მეშინია, მეშინია...“

— დალ-ექიმო! — შემოიჭყიტა გუდუმ.

— ჰო, ჰო, წავიდეთ, შენ ოღონდ თხილამური მიშოვე...

სოფლის განაპირას გავიდნენ. ამის იქით გზა გაკვალული არ იყო.

ვიწრო ხეობა დამრეც ფერდობებს ჩაეჭეჭყა. ზედ შესეული ულრანი ტყე თოვლს ჩაენამქრა. ასწლოვან ნაბლებს ქაჯის ცოცხივით გაეფარჩხათ ტოტები. სადმე თუ ობოლი ნაძვი გამოკრთებოდა, ისე იყო თოვლით დამძიმებული, უფრო შაქარყინულის პირამიდას ჰგავდა.

ბაჯუმ ჩემოდანი თოვლში ჩადგა, ზედ დაჯდა და თხილამურების მორგებას შეუდგა.

გუდუ იქვე იდგა. თოვლს ტკეპნიდა, უხერხულად იშმუშნებოდა.

— თასმებს გაგიკრავთ, დალ-ექიმო!

ბაჯუმ გამომცდელად ახედა.

— შინ დაბრუნდი, მარტო წავალ!

გუდუ გაწითლდა, არაფერი უთქვამს.

თხილამურები რომ მოირგო, საათს დახედა. ისარი ოთხზე გაყინულიყო.

უხმოდ გამოესალმა გუდუს და გაუკვალავ, უბიწო თოვლზე შედგა. თოვლი ჩაიზნიქა, აჭრაჭუნდა, მაგრამ შეიკავა...

ალღოთი მიიკვლევდა გზას. მიახლოებით ახსოვდა, ზაფხულობით სად გადიოდა ვიწრო, საცალფეხო ბილიკი, რომელიც გიჟის აჩემებულობით ეხვეოდა მღვრიე ნაკადულს. ახლა კი ყველაფერი ერთნაირად იყო მოსწორებული და ნადირის კვალიც არსად აჩნდა თოვლს.

მთელ გზაზე თამარის ხმა ჩასჩურჩულებდა. ბაჯუ მოუსვენ-

რობამ შეიპყრო. რაც უფრო შორდებოდა თავის სახლ-კარს, იქნებ მით უფრო უჭირდა თამარს. თუმცა თავს ირწმუნებდა, რა უნდა მოხდეს, უსაფუძვლო შიში კაცისათვის სამარცხვინოაო.

კვლავაც გადაუდებლად ბარდნიდა. გოჯისტოლა ფანტელები ბზრიალ-ბზრიალით ეფინებოდა მდუმარე ტყეს. სახეზე უცაცუნებდა ბაჯუს, წამწამებზე ადნებოდა და ცრემლებივით უპეებს ჩამოჰყვებოდა. ორიოდე ნაბიჯზეც ძნელი იყო რამის გარჩევა და ბაჯუს ეჩვენებოდა, რომ მიარღვევდა რაღაც უსაგნო კედელს, რომელსაც ბოლო არასოდეს ექნებოდა.

ფაფუკი თოვლი სუსტი ჭრაჭუნით იზნიქებოდა. ბაჯუ უსმენდა სუსტ ჭრაჭუნს, საკუთარ სუნთქვას, ტოტებიდან გადმოვარდნილი გუნდის ბათქუნს. ყოველი ბგერა იხშობოდა თანაბარ, თითქმის უხმო შრიალში, რასაც მირიადი ფიფქები გადმოსცემდნენ და ბაჯუს ისევ და ისევ ახსენდებოდა თამარ, თვალწინ წარმოუდგებოდა ხან ისეთი, როგორიც ქორწინების დღეს იყო, — სუსტი, ნაზი არსება, ხან კი ისეთი, როგორიც ახლა დატოვა, ჭორფლის წინწკლებით სახეზე, დედობრივი სისავსით დამშვენებული... იქნებ არც ეთქმოდა ლამაზი, ვინ იცის, როგორ უყურებდნენ სხვათა და სხვათა თვალები, მაგრამ ბაჯუ გრძნობდა საოცარ სითბოს, გულუბრყვილო, სათნო ცრემლი ადგებოდა... ფიქრში ეალერსებოდა თავის ყმაწვილ მეუღლეს, მაგრამ გულის სიღრმეში მალავდა მთავარს, უთქმელს, რადგან რცხვენოდა ბავშვური სინაზისა, რცხვენოდა ჩაუმქრალი სურვილისა, რომელიც მუდამ კარნახობდა, გულში ჩაიკარი შენი თამარი, არ გაუშვა, თორემ იქნებ გაგიფრინდეს ჩიტი-ჩიორაო... ებრძოდა არამკითხე მოკარნახეს, არ ემორჩილებოდა, თუ დაუთმობდა, მხოლოდ მცირეოდენს. მკლავზე ოდნავ შეახებდა ხელს, ორიოდე სიტყვით მოუყვებოდა თავის პაციენტებზე და ხუთი დღით დაგვიანებულ გაზეთებს გადაშლიდა. თამარი კი ფაციფუცობდა, სუფრას შლიდა... ბაჯუ ხანდახან გახედავდა გაზეთიდან, წამით წამზე ივსებოდა რაღაც უჩვეულო, განუზომელი ნეტარებით, გაზეთს დააგდებდა, წამოიწეოდა, რათა ხელში ჩაეგდო, დაეჭირა, ჩაეხუტებინა, მაგრამ ერთს ამოიხვნეშებდა, ეგ რა ამბები მომხდარა ამერიკაშიო და ონკანს შეუშვერდა ხელს. მერე სუფრის ორ მხარეს დასხდებოდნენ. თა-

მარი არაფერს ჭამდა, ბაჯუ აძალებდა, უჯავრდებოდა კიდეც, შენ თუ არ გინდა, ბავშვს ხომ უნდაო. თამარს უმალვე ცრემლი გაუკრთებოდა, საწყალი ღიმილით შემოსციცინებდა და ბაჯუ ენას იკვნეტდა, მზად იყო რეცხვისაგან დაშაშრული ხელები დაეკოცნა მისთვის, ოღონდაც ვერასოდეს ახერხებდა ამას.

ახლა კი, ამ თოვლით სავსე ხეობაში, საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი, მთელ ქვეყნიერებას მოწყვეტილი, უცბად ბავშვურმა სიანცემ შეიპყრო და ხმამაღლა წარმოთქვა:

— მიყვარხარ, თამარ!

შერცხვა ამ უცოდველი ანგლობისა, თითქოს თოვლის ფარდის მიღმა ვიღაც იდგა და შეეძლო გაეგონა. იგრძნო, რომ წითლდებოდა, მაგრამ უჩინარი და ოხერი მოყურადის ჯიბრზე უფრო ხმამაღლა გაიმეორა:

— მე შენ მიყვარხარ, თამარ!

გაეცინა.

ექო არ გამოუცია ხმას, თითქოს გაიგუდა, ჩაიკარგა თოვლის ფანტელებში.

ფაფუკი თოვლი თხილამურებქვეშ ჭრაჭუნით იზნიქებოდა.

ღამე ნელა წამოეპარა, მაგრამ თოვლის სიქათქათეში ბინდი ფეხს ვერ იკიდებდა.

გუგუნი გვიან ჩაესმა. საიდანღაც, თითქოს მიწისქვეშეთიდან, ყრუ, დახშული ხმა ამოდიოდა და თავდაპირველად ვერ მიხვდა, რა უნდა ყოფილიყო.

თანდათან გაძლიერდა...

წამოუბერა მძაფრმა ქარმა, ფიფქი გაიტაცა და უცბად ერთმანეთში აირია უჩვეულო ღმუილი, გრიალი, ფხრაწუნი... ბაჯუმ იგრძნო, რომ მიექანებოდა... ასწია ქარბორიამ და განზე მოისროლა.

კარგა ხანს ისმოდა შორეული ექოს ყრუ, ჩაგუდული გამოძახილი.

მერე კვლავ მიწყნარდა ყოველივე.

ძლივს ამოფოფხდა თოვლიდან. მუხლი ეტკინა. ხომ არ მოვიტეხეო, შეიმოწმა. ეტყობა რაღაცას გაჰკრა და დაბეჟილი ჰქონდა.

ზვავმა ჩამოიტანა მთელი ფერდობი. ერთმანეთში აიზილა ქვა, ხე, ჭუჭყიანი თოვლი და ხევი ჩაიჭედა.

„კარგად გადავრჩი“, — გაიფიქრა ბაჯუმ. ზვავის კიდემ ოდნავ გაჰკრა და ამან იხსნა.

მიიხედ-მოიხედა, ცალი თხილამური არც ჩანდა, მეორე შუაზე გადატეხილიყო. საექიმო ჩემოდანი შორიახლო თოვლში ეგდო. ჩემოდნამდე მიფოფხდა, გახსნა, რამე თუ გადარჩაო; ყველაფერი თავის ადგილზე იყო.

„ახლა რა ვქნა?“

არ იცოდა, რა მანძილი ედო წინ, ალბათ ნახევარზე მეტი გაიარა.

მოულოდნელად მწვავე შიმშილი მოაწვა, ააწრიალა. ახლა ინანა, ცინდელიანებთან პურის ნატეხი მაინც რომ არ ჩაიდო ჯიბეში. ფიქრმა თავისთავად ბეჩუ ცინდელიანის ოჯახში დააბრუნა. „რომ არ მომესწრო, გაიგუდებოდა“, — ჩვილზე გაიფიქრა. ამ ფიქრმა გაახალისა, თუმცა ხალისში შფოთიც ერია.

პირში თოვლი ჩაიდო და მოწუწნა.

ხვნეშით წამოდგა.

ფეხის გამართვა გაუჭირდა. მუხლები დაიზილა და კოჭლობ-კოჭლობით წინ გაემართა.

იქ, სადაც ზვავმა ჩამოიარა, ფერდობი გაეტიტვლებინა და ქვებზე ადვილი იყო ფეხის მოკიდება. ასე გაიარა ასიოდე მეტრი და კვლავ უბიწო, ხვავრიელ თოვლში შეაბიჯა. ჩემოდანს ეყრდნობოდა და ასე მიარღვევდა წელამდე თოვლს. მუხლის ტკივილი თითქმის დაუამდა, თავს არ ახსენებდა. ოღონდ, როგორც კი გაჩერდებოდა, უმალ მოუვლიდა.

ასე მიდიოდა ერთი საათი, მეორე, მესამე... ისევ ისე ბარდნიდა. მრუმე, საშიშროებით სავსე ღამე ჩამოწვა. არსაით ხმა არ ისმოდა, გარდა ფიფქების თანაბარი, უწყვეტი შრიალისა.

უზომოდ დაიღალა. ფიქრის თავიც არ ჰქონდა, მაგრამ ერთ სიტყვას იმეორებდა რიტმულად, იმას ებღაუჭებოდა, ის სიტყვა აკავშირებდა ადამიანებთან, რომლებიც ასე უცბად გამქრალიყვნენ პირისაგან მიწისა.

„თამარ... თამარ... თამარ...“

სადღაც ნაშუაღამევს თოფის სროლა მოესმა.

„ბუმ!“ — ყრუდ ჩაიხშო თოვლში, თითქოს ბამბაზე ჯოხი დაერტყათ.

მერე უჩვეულო, დახშული ხმები ამოცოცდა თოვლიდან, თითქოს ძველი პატეფონის ფირფიტას ატრიალებდნენ სწრაფად.

ბაჯუმ წაიფორხილა, თოვლში ჩაემხო, ადგომის ღონე კი უკვე არ შესწევდა.

— ეჰეი! — წამოიძახა, მაგრამ მისი ხმა იქვე ჩაიკარგა, ორიოდ ნაბიჯზე.

— ეჰე, ჰე! — მოესმა თვითონაც და თეთრი სიბნელე ჩირაღდანმა გაარღვია, თვალებში ნაპერწკლები მოაფრქვია.

ბაჯუმ თვალი დახუჭა და მინებდა ღონიერ ხელებს, რომლებმაც თოვლიდან აიტაცეს და წააციმციმეს. ფანტელები სახეზე ეცემოდა, ბავშვის ცივი თითებივით ელაციცებოდა, მაგრამ ცნობიერება თანდათან ქრებოდა და იგი თბილ ბურანში ჩაიძირა. ოთახის დახუთული, მკვრივი ჰაერი შემოეტმასნა. იგრძნო, რომ პალტოს ხდიდნენ. ეზარებოდა თვალის გახელა, ვიღაცის ხმა კი უწყვეტად ჩასჩურჩულებდა:

— დალ-ექიმო, გონს მოდით, დალ-ექიმო!..

— სახეში წყალი შემომასხით, — ჩაიბურტყუნა ძილში გახვეულმა ბაჯუმ.

— როგორ გაკადროთ, დალ-ექიმო?

— ცივი წყალი... — ბაგე ძლივს გახსნა და უცბად სახეში ცივი წყალი შემოესხა, თითქოს ცეცხლი შემოენთო კანზე, აუწვა.

ბაჯუ გამოფხიზლდა, თავი ასწია.

მის წინ ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ყმაწვილი იდგა. ნირწამხდარს ჯერაც ჭიქა ეჭირა და მისი დადგმა ვერ მოეაზრებინა.

— ყოჩაღ შენ! — გაეღიმა ბაჯუს.

პირსახოცი მიართვეს, სახე შეიმშრალა და დაბნეულ ყმაწვილს შეეკითხა:

— რა გქვია?

— გიორგი!

— აბა, გიორგი, თუ ძმა ხარ, მაგარი ჩაი მომიხერხე, ქვას რომ ენას აადგმევინებს, ისეთი... მიჩვენეთ, აბა, ავადმყოფი!

დიდ ოთახში თითქმის მთელი სოფელი შეყრილიყო.

კუთხეში მდუმარე მამაკაცები იდგნენ. შთაბეჭდილებათა გაზიარება, ალბათ, მოათავეს და ახლა ავადმყოფს მისჩერებოდნენ. კედლების გასწვრივ თალხ კაბებიანი დედაკაცები ისხდნენ და ხმადაბლა მოთქვამდნენ.

„დამგვიანებია!“ — გული შეეკუმშა ბაჯუს, საბოლოოდ

გამოფხიზლდა. გიორგი თვალით მოიხმო, ამ ოთახიდან ყველანი დაითხოვეო, ჩასჩურჩულა. ჯერ მამაკაცები გაიკრიფნენ, მერე ქალები, რომლებსაც ცნობისმოყვარეობა ფეხებს უბორკავდა.

გოჩა ვიბლიანი, ვეება ბერიკაცი, ხის ტახტზე გაშოტილიყო და მძიმედ ქშინავდა.

მაჯისცემა გაუსინჯა, არ მოეწონა... წამით დუმდა, ავადმყოფს დასცქეროდა. გოჩა ვიბლიანს დანაოჭებულ სახეზე ოფლის ხშირი წინწკლები ესხა. ჭაღარა თმა ოფლს გადაეგლისა და უბრწყინავდა. გაუპარსავ სახეზე ქათქათა წვერი მოსდებოდა. მკერდზე შემოხვეული ზეწარი სისხლით იჟღინთებოდა.

— რა დაემართა? — დაკვირვებული მზერა მიაცივა გიორგის, სახის ნაკვთებით მიამსგავსა, მისი გვარისა იქნებაო, ივარაუდა.

— წაიქცა... — ენა აუბორძიკდა ყმაწვილს.

— მთვრალი იყო?

— ცოტა დალია, ხომ იცით ამ თოვლში... — ყმაწვილს ლოყები აუხურდა.

— იჩხუბა?

გიორგიმ არაფერი თქვა.

ბაჯუს დაავიწყდა დაღლილობა, წინა ღამის უძილობა, ცინდელიანების ოჯახი, თოვლიანი გზა, მუხლის ტკივილი, მისი მომლოდინე თამარ...

ტახტთან იდგა მკაცრი, მომთხოვნი, უხეშიც კი.

— დიდი მაგიდა გააჩინეთ!.. ზეწრებია საჭირო, ბევრი ზეწარი, ოღონდ სუფთა, გამოხარშული, სამეზობლოში მოაგროვეთ!.. სინათლე არაა? ორი კვირაა, რაც დენი გამოირთო?.. ოხრობა!.. ლამპები მოიტანეთ!.. ქალებს უთხარით, წყალი ბლომად მოადუღონ, ეს ინსტრუმენტებიც მომიხარშონ... ორი-სამი გულმაგარი ვაჟკაცი ჩემთან გამოაგზავნე!

გიორგი ბრძანების შესასრულებლად გავარდა, ბაჯუ კი ტახტის კიდეზე ჩამოჯდა, ავადმყოფის მსხვილი, მაგრამ ახლა უღონო ხელი აიღო, მაჯა ისევ გაუსინჯა. პულსი სუსტად გამოიცნობოდა... სარს დაარტყამდნენ, შესაძლებელია ნეკნები ჩაუმტვრიეს, ან სისხლძარღვები აქვს დაწყვეტილი და თანდათან სისხლისგან იცლება. იქნებ მთლად უარესი სჭირს, გულს მისწვდა, ან ფილტვები შეხია... თუმცა მაშინ აქამდე ვერც მოაღწევდა...

გოჩა ვიბლიანს ოხვრა აღმოხდა. მძიმედ, მძიმედ გახსნა ქუთუთოები, ექიმს მზერა მოაპყრო, ალბათ ვერ ცნობდა. თანდათან გამოერკვა და ტუჩები ოდნავ შეარხია:

— დალ-ექიმო...

ეს იყო და ეს. უმალვე ჩაეფლო ბნელ ბურანში, დავიწყების ფსკერზე, სადაც ერთადერთი ეს სიტყვა ჩაიყოლია იმედად.

კარის ხმამ მოახედა. კაცები იყურებოდნენ. ხელი დაუქნია, მომეშველეთო.

გასაშლელი მაგიდა შემოიტანეს, ზეწარი გადააფარეს. ფრთხილად წამოსწიეს ავადმყოფი და მაგიდაზე დააწვინეს... ოთახის კუნჭულებში ლამპები დაჰკიდეს. სინათლე მაინც არ კმაროდა, მაგრამ სხვა რა გზა იყო.

ავადმყოფმა დაიკვნესა. ერთხანს მძიმედ ფშვინავდა. უცბად ალაპარაკდა. ვიღაცას ლამძღავდა, უშმი ქართულით აგინებდა, სიკვდილით ემუქრებოდა. ბაჯუ მიხვდა, ბნელ უკუნს ებრძოდა გოჩა ვიბლიანი, უფსკრულიდან ცდილობდა ამოსვლას. არ შეიძლებოდა დაყოვნება, ბაწარი უნდა გადაეგდო, სინათლეზე ამოეყვანა.

— უნდა გაუძლო, გოჩა ბიძია, უნდა გაუძლო... — ბაჯუს ხმა დაურბილდა. იქნებ არა ესმოდა რა ბერიკაცს, მაგრამ სიტყვებიც უფსკრულში ჩაწვდენილი თოკი იყო და ბაჯუ ერთსა და იმავეს იმეორებდა ათასჯერ.

პაციენტთან სიმკაცრე უქრებოდა. ყოველი ავადმყოფი მისთვის ბავშვი იყო, თვითონ კი საყოველთაო მამა და გუნებაში ამ ჭაღარა ბერიკაცს ისე ეფერებოდა, თითქოს მის წინ სასიკვდილოდ განწირული ათიოდე წლის ბიჭუნა ყოფილიყოს.

— გამაყუჩებელი ცოტა მაქვს, გეტკინება, მაგრამ სხვა საშველი არ არის. უნდა გაუძლო, გოჩა ბიძია... — ოდნავ წამღერებით იმეორებდა. თან კი ნელინელ აცლიდა სისხლიან ტილოებს, პირდაპირ იატაკზე ყრიდა.

კართან ვიღაც აჩურჩულდა.

ბაჯუმ კოპები შეჰკრა, კარისაკენ მტრულად მოიხედა.

— რა ამბავია მანდ?

— ჩაი, ექიმო, თქვენ რომ მიბრძანეთ! — ძლივს გაბედა გიურგიმ, ხელში ფინჯანი ეჭირა.

— რა დროს ჩაია, მომაშორე აქედან!.. ხაზი აღადგინეს?

— დილამდე ვერ მოხერხდებაო.

— როგორც კი მოხერხდება, სოხუმში დარეკეთ, ვერტმფრენი გამოგზავნონ!

ისევ ავადმყოფს მიუბრუნდა. ყველა დანარჩენი წამში დაივიწყა. გოჩა ვიბლიანთან ჩაეშვა, ბნელ უფსკრულში და ახლა ხელის ფათურით ეძებდნენ ერთმანეთს ბურანში ჩაკარგული ბერიკაცი და მისი მხსნელი.

„მთავარია, სისხლისდენა შევაჩერო!“ — ათჯერ გაიმეორა.

შიშველ მკერდზე სისხლი მოჰბანა. უკე იცოდა, რისი გაკეთებაც მოხერხდებოდა, რათა ვერტმფრენის მოსვლამდე მაინც შეენარჩუნება ბერიკაცის სიცოცხლე.

სკალპელი რომ აიღო, ხელი გაუშეშდა. ბერიკაცს ჯერაც ახალგაზრდული კუნთები ებერებოდა. უნაოჭო კანს საოცარი სითეთრე გადაჰკრავდა... გონებაში ამოტივტივდა სიტყვები: „მარადი ბავშვობა...“ და უმალვე სკალპელმა გადასერა, გახსნა თეთრი კანი...

ამ წუთიდან არაფერი ახსოვდა, გარდა სისხლთან და სიკვდილთან ბრძოლისა... მის ირგვლივ კი ლანდებივით დაბორიალობდნენ დაზაფრული, ფერდაკარგული თანაშემწეები, რომლებსაც სხვა დროს სიკვდილი არ აშინებდათ, ახლა კი სისხლის დანახვაზე გონს კარგავდნენ და ძლივს ახერხებდნენ ბაჯუს მოკლე, მკაცრი ბრძანებების შესრულებას.

დრომ სწრაფად გაირბინა. განთიადმაც მოატანა. ფანჯრიდან ზამთრის გაცრეცილმა სინათლემ შემოიჭყიტა, მაგრამ უამრავი ლამპის შუქით დაშინებული უკანვე გაიპარა.

— მორჩა, — წაიჩურჩულა ბაჯუმ.

დაღლილი ხმით კიდევ იძლეოდა ბრძანებებს, თვითონ კი აუჩქარებლად იძრობდა რეზინის ხელთათმანებს, ნეტარებით იბანდა ხელს თბილი წყლით, ხარბად შესვა მაგრად დაყენებული ფინჯანი ჩაი, თან კი ავადმყოფის შფოთიან სუნთქვას უსმენდა...

— იცოცხლებს, ბიჭო, ბაბუაშენი! — ხმადაბლა უთხრა გიორგის და უცბად მუხლები მოეკვეთა, ვაჟის ღონიერ მკლავებში უგონოდ ჩავარდა...

* * *

შუადღემდე მკვდარივით ეძინა. უცბად გაახილა თვალი. გაქათქათებულ ლოგინში იწვა, სინათლით სავსე ოთახში. კუთხის ღუმელში ცეცხლი მხიარულად გურგურებდა. ფანჯრის მიღმა თოვლით დატვირთული ტოტები მზის სხივებზე ბრწყინავდა. „სად ვარ?“ — ზანტად გაიფიქრა. დაეზარა ბალიშიდან თავის წამოწევა, კვლავ მიუბრუნდა ძილი, მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით, რადგან მოულოდნელად გაცოცხლდა მეხსიერება, გაახსენდა ყოველივე გადახდენილი და წამოიჭრა.

— ჰეი, ვინაა მანდ?

გიორგიმ შემოიხედა.

— როგორაა?

— ჯერაც სძინავს, დალ-ექიმო!

ბაჯუ დამშვიდდა, ჩაცმას შეუდგა. მასპინძლებს მისი ტანისამოსი და ბათინკები ღუმელთან საგანგებოდ გაეშროთ და ესიამოვნა.

— ისე სწრაფად ჩაგეძინათ, დალ-ექიმო... — მოუბოდიშა ყმაწვილმა, აქაოდა, პატივი ვერაფერი გეცითო.

— ტელეფონის ხაზი აღადგინეს?

— კი, ერთი საათიც არაა.

— წამომყევი, დასარეკი მაქვს.

— უკვე დავრეკეთ, დალ-ექიმო, სოხუმიდან ვერტმფრენი გამოგზავნეს.

ბაჯუმ მხარზე ხელი მოუთათუნა, ყოჩაღო.

გზად ავადმყოფთან შეიხედა, მაჯისცემა გაუსინჯა, სიცხე იკითხა. გოჩა ვიბლიანის სახეზე ტკივილებს ტანჯვის კვალი დაემჩნია.

ტელეფონი დუქანში იყო და ნოქარი ქუდის მოხდით მოესალმა.

გიორგიმ თვალი უყო და ბაჯუ მარტო დატოვეს.

იმ ბოლოს ყურმილი უმალვე აიღეს, თითქოს დარაჯობდნენო.

— როგორ ხარ?

— კარგად, მთელი დღე გელოდი, — თამარის ხმაში ფარული მღელვარება იგრძნობოდა, — აღარ ჩამოხვალ?

— შევეცდები... შენ ნუ გეშინია...

— გელოდები.

ბაჯუს გულზე თბილი ტალღები მოაწყდა და პირველად თავის სიცოცხლეში მოუნდა ეთქვა ისეთი სიტყვები, პირისპირ ყოფნისას ვერაფრით რომ ვერ დასცდებოდა.

— იცი, რას გეტყვი? — ცოტა ცივად დაიწყო, ასე თავისთავად გამოუვიდა.

— რა? — გამოეპასუხა შემკრთალი ხმა.

— მე შენ მიყვარხარ, მთელ ქვეყანას მირჩევნიხარ!

ხმა შეუგუბდა, მეტის თქმა ვერ მოახერხა.

— გელოდები, — ნიავივით მოესმა პასუხი.

კარგა ხანს ეჭირა ყურმილი. ჩუმად უსმენდა თამარის სუნთქვას.

— ალო, ალო!.. — მოულოდნელად ჩაერია ტელეფონისტის უხეში ხმა, მდუმარება გაფხრიწა, — ქალბატონო, დადეთ ყურმილი!.. ალო, ეს თეთნე მანჩხააპია?

— დიახ!

— ილაპარაკეთ!

ყურმილში რაღაცამ გაიტკაცუნა. ზედ ყურთან აჩქარებული სუნთქვა გაისმა, თითქოს კაცს დიდხანს ურბენია და სულს ვერ ითქვამსო.

— ალო, რომელი ხარ? — გუდუს ხმა კითხულობდა, — დალ-ექიმი მინდა!.. მეგობარო, შენი სულის ჭირიმე, იჩქარე-თქო... ეეჰ, დაგვაგვიანდა მგონი...

ბაჯუს ხელი გაუშეშდა. გულში თითქოს ყინულის ლოლუები ჩაუდვეს, სუნთქვა შეეკრა. ტელეფონი კი მომაბეზრებლად ბზუოდა.

— ალო, ალო, ბათიმათ ცინდელიანი წუხელ ცუდად გახდა... ალო, ვერაფერს ვშველით... ვერაფერს ვშველით... მეგობარო, გაიგე? ეეჰ, ვერ მოგვისწრებს მგონი... ეეჰ...

ბაჯუ ანგარიშმიუცემლად ტაბურეტზე ჩამოჯდა. ვერ მოეაზრებინა ყურმილის დადება. ის კი რაღაცას განუწყვეტლივ ყბედობდა და ყბედობდა.

თეთნე მანჩხააპის თავზე ვერტმფრენი აგუგუნდა...

ჟურნალი „მნათობი“, 11, 1977, კრებულები
„პირველი ზეკარი“, გამომცემლობა „ნაკადული“,
1983 და „კუნძული“, 1988, გამომცემლობა
„საქართველო“.

პირველი ზეკარი

ალპინისტი არ გახლავართ და გამიჭირდა პირველი ზეკარის დაპყრობა. წარმოიდგინეთ, რა დიდი იქნებოდა ჩემი გაოცება, როდესაც ზედ უღელტეხილზე ხუთი წლის გოგონა დამხვდა. მამას წამოეყვანა მარადი კავკასიონის თოვლყინულოვან ბილიკებზე. მომხიბლა ამ ბავშვის სიმამაცემ.

ხუთი წლის თამუნია ნიჟარაძეს გაზაფხულზე დედა მოუკვდა. დედას ავადმყოფობა ნალჩიკში წამოეწია, სადაც მამა მსახურობდა. თამუნიამ არ იცოდა, რა იყო სიკვდილი, მაგრამ მიხვდა, რომ დედა სადღაც შორს მიემგზავრებოდა და შეიძლება დიდხანს ვერ ეხილა. „ნუ გეშინია, დედიკო, — მოეფერა, როცა დედასთან თეთრად გაქათქათებულ პალატაში შეიყვანეს, — ცხოვრებიდან თუ წახვედი, მეც გამოგყვები“. „ცხოვრებიდან წასვლა“ მოხუცი მეეზოვისაგან მოისმინა. იყო ამ სიტყვებში რაღაც იდუმალი, უცნაური, როგორც შორეულ და დიდ ქალაქში მოულოდნელი გამგზავრება. დედას გული ამოუჯდა. სუსტად უჭერდა ბავშვის ფუნჩულა მაჯას თავის უსიცოცხლო, ცვილისფერ ხელს, რომელიც ლურჯ სისხლძარღვებს დაექსელა, თვალებიდან კი თავისთავად ღაპაღუპით სდიოდა ცრემლი.

თამუნიას არ უტირია, შეეგუა აზრს, რომ დედა „ცხოვრებიდან წავიდოდა“. დილიდან საღამომდე იჯდა გამოკეტილ ბინაში და წერილებს „ხატავდა“ დედისათვის. მარტო ვარდების დახატვა შეეძლო. ვარდებს გული ყოველთვის ყვითელი ჰქონდა, ფოთლები კი ყოველნაირი ფერისა.

ერთ დღეს მამა ადრე მოვიდა. თამუნია გულში ჩაიკრა. ძალიან ცდილობდა თავის შეკავებას, ხმა კი მაინც უთრთოდა.

„დედა წავიდა“, — წასჩურჩულა.

თამუნიას არც ახლა უტირია, ოღონდ გული დაწყდა, დედა შორს წავიდა და მე რატომ არ გამომეთხოვაო.

„დედა სულ წავიდა“, — ეტიტინებოდა თავის ფერად ყვავილებს და დილიდან საღამომდე ხატავდა.

ასე მოვიდა ზაფხული...

ჰაერი გამჭვირვალე გახდა. ცა ჰორიზონტამდე ლურჯი იყო და ზედ ცის კიდეზე კაშკაშებდა შორეული კავკასიონი.

მამა და შვილი საფლავთან იდგნენ. „უდედობას ადვილად შეეგუა, — სევდიანი ფიქრი ეწვია მამას, — ბავშვია, სიკვდილის რა გაეგება...“ თუმცა თვითონაც ეჩვეოდა უკვე და ეს აშინებდა. თავს ძალას ატანდა, მხრებში იკუნტებოდა, საფლავს თვალს არ აშორებდა, მაგრამ სიცოცხლე თავისას მოითხოვდა და მეხსიერების ვრცელ ველზე თანდათან ქრებოდა ძველი ვნებებისა და განცდების კვალი.

„მამა, დედიკო აქ არ არის!“ — თქვა უცებ ბავშვმა.

კაცი შეკრთა. ფიქრებიდან გამოერკვა, ვერ მიხვდა, რისი თქმა უნდოდა გოგონას.

„დედიკო იქით წავიდა!“

თოვლიანი ქედის გრაგნილისაკენ გაიშვირა თითი.

ხმაში საყვედური იგრძნობოდა.

„ჯობს სამოგზაუროდ წავიყვანო, — გაიფიქრა მამამ, — გულს გადააყოლებს... ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ვიცოცხლოთ...“

* * *

ჩეგეტში ავტობუსით ჩავიდნენ. ორი დღე დააყოვნეს ტურისტულ სასტუმროში. დღისით ხელჩაკიდებულნი სეირნობდნენ. ნარზანის ველი, ტერსკოლი, იტკოლი მოიარეს, იალბუზის კალთაზე სამხედრო დიდების მუზეუმს ეწვივნენ, საბაგიროთი „კრუგოზორზე“ ავიდნენ და მრავალი საათი უთვალთვალეს გრანდიოზულ იალბუზს, რომლის მწვერვალები ხანდახან თუ გამოკრთებოდა ქათქათა თეთრი ღრუბლებიდან.

მესამე დილას ფართო ბილიკს შეუყვნენ ბაქსანის სათავისაკენ. გზა მაინცდამაინც საძნელო არ იყო, მაგრამ თხუთმეტი-ოცი კილომეტრი ბავშვს კი არა, დიდს დაღლიდა. პაწია ზურგჩანთა, რომელშიც თამუნიას საცვლები, პირსახოცი და კბილის ჯაგრისი იდო, თავდაპირველად მსუბუქი ჩანდა, მერე კი თანდათან დამძიმდა.

მამა არ ჩქარობდა. ხშირად ჩერდებოდნენ დასასვენებლად.

თამუნიას სიამოვნებდა ხეშეშ მდელოზე კოტრიალი. თავზევით გადმოყუდებული იყო ულურჯესი ცა, რომელსაც ხანდახან კრძალვით გადაუვლიდა ღრუბლის ქათქათა ქულა, სანამ რომელიმე ბასრ მწვერვალს წააწყდებოდა, როგორც თეთრი გემი მეჩეჩს. თუ არა და, მზის სხივები მსჭვალავდა ეთერს, ავსებდა გრილ ჰაერს, ლივლივებდა, მირაჟებს ბადებდა... „აქ არის დედა!“ — ყოყმანით ფიქრობდა თამუნია. მართლაც, ვინ იცოდა, სად იყო დედა. იქნებ მთლად იმ ღრუბლის თეთრ ქულაში იჯდა. თვითონაც თეთრი სამოსი ეცვა, თავზე გვირგვინად მზე ადგა და ზევიდან გადმოჰყურებდა თამუნიას... იქნებ ლურჯ სივრცეში მისრიალებდა, გამჭვირვალე, ლურჯი სამოსი შემოტმასნოდა ტანზე, ამ გრილ და მსუბუქ ჰაერში ბანაობდა...

დაიღლებოდა ცის თვალთვალით, წამოჯდებოდა. მთის ფერდობიდან, რომელსაც ბილიკი სარტყელივით წელზე შემოერტყა, ხეობის გაღმა აყუდებული თოვლ-ყინულოვანი დონღუზ-ორუნი ჩანდა. პირქუშ კლდეებს მხრებით აეზიდა ყინულის მძიმე გველეშაპი. ყინულის ენები შემოტმასნოდა შავ ქარაფებს, ვითარცა ბავშვის მკლავები მამის გარუჯულ კისერს. მზეჭაბუკის მიერ განგმირულ ვეშაპს თავი გადმოეგდო, ხახიდან მოწამლულ ჩანჩქერს ასხამდა, წამიდან წამზე შეიძლებოდა მომსკდარიყო და გრიალი მოედინა ხევში, სადაც შაბიამნისფერი, უძირო ტბიდან ცივი ნაკადული მოქოთქოთებდა.

„იქ არის დედა“, — ფიქრობდა თამუნია. იქნებ მთლად გრძნეულის ციხე-კოშკი იყო დონღუზ-ორუნი, უთვალავი სენაკი გამოეჭრათ მასში ჯადოქრებს და ერთ მათგანში ჩაემწყვდიათ თამუნიას ლამაზი დედა, ახლაც თოვლისა და ყინულის ურჩხულები დარაჯობენ შესასვლელს; ან იქნებ დონღუზ-ორუნის შაბიამნისფერ ტბაში ბანაობდა და იმ ფერთა ცვალებადობაში ძნელი იყო რამის გარჩევა...

„წავიდეთ!“ — ხმადაბლა იტყოდა მამა, მძიმე ზურგჩანთას მოიგდებდა, თამუნიასაც შეაშველებდა ხელს და აუჩქარებლად მიიწევდნენ ბუმბერაზი მთების სამყაროში, რომელიც სავსე იყო უცნაური სინათლითა და ფერებით, და თამუნიას სულში შემოდიოდა რაღაც სერიოზული, ყოვლისმომცველი, ნათელი...

„მალე დავეწევით დედიკოს, თუ ვიჩქარებთ... — ფიქრობდა, მაგრამ მამას არაფერს ეუბნებოდა, — ეს დედიკოს ბილიკია, ახლახან გაიარა... იქნებ იმ მოსახვევს მიღმა მიცდის...“

„ეჰ, პატარაა, ამიტომაც ასე ადვილად დაივიწყა...“ — მამამ არ იცოდა, სწყენოდა თუ გახარებოდა, უადგილოდ და უდროოდ შესთავაზებდა: „აჰა, ვაშლი, ჭამე!“

გვიან ღამეს მიაღწიეს მხიარული, თავაწყვეტილი ტურისტებით სავსე „ჩრდილოეთის თავშესაფარს“, სადაც გიტარის ხმაზე ველური, რიტმული ცეკვით კოცონს გარს უვლიდნენ წვეროსანი, თმამოშვებული ბიჭები, ჯინსებიანი გოგონები, მოგზაურობის ფანი ბერიკაცები.

სანამ მამა კარავს გაშლიდა და ჩაის აადუღებდა, თამუნიამ მთელი „თავშესაფარი“ დაიარა. ყოველ ქალს სახეში ჩასცქეროდა, იქნებ სადმე დედიკოს წავაწყდეო. ზოგი ყურადღებას არ აქცევდა, ზოგი ღიმილს შეაგებებდა, ზოგი ლოყაზე კოცნიდა ან ჩქმეტდა, მაგრამ დედიკო არსად იყო და თამუნიამ ღრმად ამოიოხრა.

მერე ის და მამა კარვის შესასვლელთან ისხდნენ, ჩაის სვამდნენ და მოცეკვავეებს უყურებდნენ. ცა მოიჭიქა უთვალავი ვარსკვლავებით. კოცონის შუქზე როკავდნენ ადამიანები და თამუნიას თანდათან ძილმა წაართვა თავი. ვარსკვლავეთიდან დაეშვა თვალებბრიალა დედოფალი, ხელში აიტაცა პატარა გოგო და დაარწია. წამით შეეშინდა კიდეც თამუნიას, მაგრამ დედის თბილი სურნელი იგრძნო და მინებდა. როცა გამოეღვიძა, გარეთ ჯერაც ბნელოდა. მამის მშვიდ ფშვინვას შეერთო სუსტი ნიავის ფაჩუნი, მთების კალთებზე ნაკადულების ხმაშეწყობილი ჩუხჩუხი...

იმ დღეს არსად წასულან. თამუნიას თავბრუ ეხვეოდა, გული უფართქალებდა. პირველად იგრძნო, რომ გული ჰქონდა... დღე უსაშველოდ გაიწელა. მოსწყინდა თოვლიანი მთების თვალთვალი, დონღუზ-ორუნის ტბის ფერთა უცნაური თამაში... ნაშუადღევს ჭახანი გაიგონა, თითქოს ვიღაცამ გაისროლა. მყინვარის ენა გაიბზარა, მიუჩოჩდა ცივ ტბას, სუსტი ტალღების წრეები გაიშალა შაბიამნისფერ ზედაპირზე, აქერცლა...

თავბრუსხვევამ გადაუარა, გული დაუამდა, დაღლილობა გაქრა. სწყუროდა, ცივი წყალი მოენატრა, მამა კი ჩაის აძალებ-

და, მთის წყალი ყელს გატკენსო. მაინც გასინჯა, ეგონა, კბილები ჩაემსხვრეოდა, ახლადგამდნარი, ჭუჭყიანი თოვლის გემოც დაჰკრავდა და წყალზე ფიქრს თავი მიანება.

იმ საღამოს ადრე დაწვნენ და ძილში დედა გამოეცხადა. მასაც შარვალი შემოტმასნოდა, მძიმე ზურგჩანთა მოეგდო, ხელში ჯოხი ეჭირა, მტვრიანი ბათინკები ეცვა. დაიხარა, ლბილი ბაგეები თამუნიას ლოყას შეახო და გაშორდა. ნელი-ნელ მიჰყვებოდა ვიწრო ბილიკს, რომელიც თეთრად აბრჭყვიალებულ ყინულეთში იკარგებოდა.

მამამ უთენია გამოაღვიძა. ღამეული ბინდი იცრიცებოდა და დაობლებული ვარსკვლავები რიგრიგობით ქრებოდნენ. ძნელი იყო თბილი საძილე ტომრიდან ამოსვლა, სიცივისაგან ტანზე ბუსუსებს აყრიდა, მაგრამ უხმოდ ასრულებდა მამის მითითებებს.

ჩუმად დალიეს ცხელი ჩაი და ბინდში მკაფიოდ გამოკვეთილ ბილიკს დაადგნენ. თამუნიას გაეპარა ის წამი, როცა სინათლე მომძლავრდა და ბინდი მთლად გაქრა, მიიშრიტა. მთათა მწვერვალები უკვე კაშკაშებდნენ, ცეცხლი ეკიდათ, მზის მეწამული სხივები ეფინებოდა ფერდობებს, ოღონდაც, ხეობის ფსკერამდე, ალბათ, კარგა ხანს ვერ ჩამოაღწევდა.

დილის სუსხმა ლოყები დაუბრაწა, საყელოში უძვრებოდა. თამუნია ხელებს ჯიბეებში მალავდა. მამამ პატარა ზურგჩანთა აართვა და უფრო მსუბუქად მოდიოდა, ჩქარი მოძრაობა ათბობდა. როცა ბილიკს უცაბედად ნაკადული გადაჭრიდა, შეჩერდებოდა, მამას უხმოდ ახედავდა. მაშინ ბავშვის პაწია ხელი იკარგებოდა კაცის უზარმაზარ თათში და თამუნია ელვისუსწრაფესად აღმოჩნდებოდა მოპირდაპირე ნაპირზე.

ხეობის თავთან სხვადასხვა მყინვარიდან ჩამომდინარე წყალი ზათქით ერთდებოდა, უფრო ქვევით კი, სწორზე, ფართოდ იშლებოდა, ხმას კარგავდა.

მამამ თამუნია მხარზე შეისვა, გაღმა გაიყვანა.

იქ დიდ ლოდს მზის სხივთა ანარეკლი დასცემოდა. სითბო არ მოჰქონდა, მაგრამ თამუნიას მაინც ესიამოვნა და იმ ლოდზე მოიკუნტა.

თითქოსდა ახლახან გამოვიდნენ „ჩრდილოეთის თავშესაფრიდან“, კაი სამი საათი კი გასულიყო.

ორივე დაიმშა და მამამ ზურგჩანთა გახსნა, ღარიბული სუფრა გაშალა. ცდილობდა მხიარული სჩვენებოდა, ხუმრობდა და იცინოდა. ხანდახან წკიპურტს გაჰკრავდა თამუნიას შეწითლებულ ცხვირზე და საზეიმო გამომეტყველებით იტყოდა: „ღრმად პატივცემული მოგზაური და ალპინისტი, მრავალი ზეკარისა და თოვლიანი მწვერვალის დამპყრობი თამუნია ნიჟარაძე...“ ეს ნაძალადევი მხიარულება თამუნიას არ ართობდა. იგი სერიოზული, სევდიანი თვალებით გაჰყურებდა მაღალ ზეკარს, რომელიც ვიწრო უნაგირივით ჩაჭყლეტილიყო ორ მოდარაჯე კლდეს შორის.

ტურისტების დიდმა ჯგუფმა ჩაიარა. ხმაურით მიესალმნენ მამა-შვილს. ჩქარობდნენ, ნაშუადღევს მყინვარის ზედაპირი მოლღვება და გზა გაფუჭდებაო. ესენიც ხომ უნდა აჩქარებულიყვნენ, მაგრამ მამა ბოლო წუთს დაფრთხა, ვაითუ ბავშვი გადამეღალოსო. ტურისტები კი წინ, ლოდნარში ხან გამოჩნდებოდნენ, ხან ქრებოდნენ.კარგა ხნის შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით გასისწვრივდნენ და აქედან მყინვარის თეთრ, კაშკაშა ველზე მიყინულ შავ ბურთულებს დაემსგავსნენ.

„დროა!“ — მამამ პურის ნამცეცები მუხლებიდან ჩამოიფერთხა. თამუნიამაც წამოიწია, თვითონაც ზუსტად მამასავით ჩამოიფერთხა ნამცეცები.

„წავიდეთ!“ — დიდის სერიოზულობით შეეპასუხა, ფიქრში კი დასძინა: „დედიკო ხომ მარტოკა მიდიოდა...“

ხვინჭკითა და ქვანაშალით დაფარული ტაფობი სწრაფად მოლიეს.

თავზევით წამოიგრაგნა თვალშეუწვდენი ლოდნაყარი. ბოროტი გველეშაპივით იწვა ფერდზე და თამუნია მის კუდს ვერ ხედავდა. უზარმაზარი, უხეშად მოხეთქილი ლოდები ერთმანეთზე იყო ახორავებული და ყოველი მათგანი ცდილობდა როგორმე დაერღვია მყიფე, სუსტი წონასწორობა, გრიალით ჩამოსულიყო და მომხდური გაესრისა. თამუნია თავს ისე გრძნობდა, თითქოს ზღაპრული გველეშაპის ხახაში აპირებდა შესვლას.

მამას ახედა. კაცი ლოდებს ათვალიერებდა. ბილიკის სუსტი კვალი წამდაუწუმ იკარგებოდა.

„მგონი აქ გაიარეს!“ — ტურისტებზე თქვა.

„დედიკომაც აქ გაიარა!“ — გაიფიქრა თამუნიამ. დედიკო ბოლო დროს ისეთი უსხეულო და მსუბუქი იყო, მისი სიმძიმე ქვას ვერ შეაქანებდა, კენჭს ვერ მოსწყვეტდა ადგილიდან. სენისაგან დალეული, პეპელას უფრო ჰგავდა, ყვავილიდან ყვავილზე რომ დაფარფატებს.

პირველი ლოდი ურჩხულის უშნო, გამოხრული კბილივით ამოსულიყო. თამუნია ნახევრადაც ვერ სწვდებოდა. მამამ იღლიაში ჩაავლო ხელი და ზედ შესვა. თამუნია ელოდა, ლოდი შექანდება, შეტორტმანდება და ზურგიდან გადამისვრისო, მაგრამ ლოდი მყარად იდგა და გოგონამ თვითონაც კარგად გაარჩია ბილიკის სუსტი კვალი, რომელიც ერთი ლოდიდან მეორეზე გადადიოდა.

„ფრთხილად“, — წასჩურჩულა მამამ.

შეაკრთო ამ ჩურჩულმა. უკაცრიელ მთებში, სადაც არავინ არაფერს გიკრძალავს, უცებ მამა ჩურჩულით ელაპარაკებოდა, თითქოს მის სუსტ ხმას შეეძლო დაერღვია ეს საუკუნოვანი წონასწორობა.

მამისთვის მაინც არ მიუხედავს. მისი გაწვდილი ხელი არ აიღო, რადგან ძნელი იყო ვიწრო ბილიკზე გვერდიგვერდ სიარული. აუჩქარებლად, სინჯვა-სინჯვით გადაცოცდა მეორე ლოდზე, იქიდან მესამეზე, მეოთხეზე... მამა ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ბავშვს. თუ საჭირო გახდებოდა, მზად იყო თავგანწირული ნახტომისათვის, მაგრამ პატარა გოგო თავდაჯერებული სიდინჯით მიიწევდა და მამას კიდეც აშინებდა, კიდეც ახარებდა თავისი პირმშოს ეს სწრაფვა.

„ჩხაკ!“ — შეტორტმანდა ლოდი, წახნაგი წაჰკრა სხვას. თამუნია ადგილზე მიეწება, წამიერმა შიშმა დაზაფრა. აქამდე არაფერი იცოდა ეგოდენ ძლიერი შიშის არსებობისა. მოეჩვენა, რომ ვარდებოდა, მაგრამ ვიღაც უჩინარმა, უსხეულომ დედობრივი სითბო მოაფრქვია, ხელი შეაშველა. მამის ღონიერი ხელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თამუნიამ არ მოიხედა, რადგან დაიჯერა, დედამ წამავლო ხელიო და არ უნდოდა იმედი გასცრუებოდა.

შუა წელამდეც არ იყვნენ მიღწეულნი, უკვე დაიღალა. საკმარისი იყო, დაეჩივლა, მამა ზურგჩანთას დააგდებდა, ხელში აიტაცებდა პატარას და ისე აიყვანდა თვით ზეკარამდე, მაგრამ

ესმოდა მამის აჩქარებული სუნთქვა, ეცოდებოდა და ცდილობდა, ჩივილი არ დასცდენოდა...

გზა თოვლის ჯიშთმა გადაჭრა. მის გაღმა ისევ ლოდნარი წამოიმართა, მაგრამ თოვლს თითქოს შეეკრა, მიეჭედა ფერდზე და ისეთი საშიში არ ჩანდა.

მცირე ხნით შეისვენეს. გაოფლილი პერანგი ტანზე ეწებებოდა, ხეობიდან კი სუსხიანი ქარი ამოდიოდა და თამუნიას შესცივდა.

„წავიდეთ!“

„არ დაიღალე?“

„ჰო, მაგრამ წავიდეთ!“

ჯიშთი გადაიარეს და ისევ ლოდნაყარს მიადგნენ. თოვლში ჩაჭედილი ლოდები სიმყარის გრძნობას ბადებდა.

მზემ თანდათან აიწია, მთელი ხეობა აავსო. დონღუზ-ორუნის ტბაში ჩავარდა და შაბიამნისფერი წყალი ოქროს ზოლმა გადაჭრა.

ამ სიმაღლიდან კარგად ჩანდა „ჩრდილოეთის თავშესაფარი“. იქიდან პაწია ჯგუფებად მოემართებოდნენ დაგვიანებული „ველურები“.

წინ წასული ტურისტები კი, ერთხნობას, ზეკარზე ასანთის ჩხირებსა ჰგავდნენ და მერე გაქრნენ, გაღმა ხეობაში გადაეშვნენ.

ლოდნაყარი გათავდა. მამა-შვილსა და ზეკარს შორის მყინვარის ვრცელი, მკვეთრად დაქანებული ველი გადაიშალა. მზის სხივები თანაბრად ეფინებოდა ველს, აბრჭყვიალებდა, უამრავი ათინათი იბნეოდა გრილ ჰაერში.

იმ ათინათებში სწრაფად და უხმოდ მიფარფატებდა დიდი და გამჭვირვალე პეპელა — თამუნიას დედა.

„აქ შევისვენოთ, — ველის კიდეზე გაჩერდა მამა, — დაიღალე?“

თამუნიამ თავი ყოყმანით გააქნია, თუმცა არაქათი გამოეცალა, მუხლები სტკიოდა.

„გეშინია?“

თამუნიამ თავი კვლავ გააქნია.

„ჩემი ყოჩაღი გოგო ხარ!“ — მამამ ცივი ჩაი დაუსხა. წინათ იტყოდა „ჩვენი ყოჩაღი გოგო ხარ!“ ახლა კი მამამ თქვა „ჩემიო“.

თამუნია უხმოდ დაეთანხმა.

„იცი რა, შე აქ დამელოდე, თან დაისვენებ, მე კი ზეკარზე ზურგჩანთას ავიტან და მოვბრუნდები!“

თამუნიას ხმა არ ამოუღია, არც თანხმობა უთქვამს, არც შეხვეწნია, მარტო ნუ დამტოვებო.

მამა ყინულის ველზე შედგა და ფრთხილად მიჰყვა ტურისტების ნაკვალევს.

დიდხანს გაჰყურებდა თამუნია. ჯერ მარტო მამის ფეხებს მისჩერებოდა. მამა შიშნარევი სიფრთხილით ირჩევდა ყოველ ნაბიჯს. ამოწმებდა, მყარად იდგა თუ არა ნაფეხურზე. მერეღა ადგამდა მომდევნო ნაბიჯს. საკმარისი იყო დასცდენოდა, ხეობის ძირში დახვავებულ ლოდებამდე თავს ვერაფრით შეიკავებდა. მამის გამოსახულება თანდათან შემცირდა თეთრ სივრცეში, დაპატარავდა, შავ ლაქას დაემსგავსა. თამუნიას ეჩვენებოდა, რომ მამა ოდნავღა მიცოცავდა, ან, იქნებ, ვერც წინ მიიწევდა და ვერც უკან მობრუნდებოდა. გულგახეთქილი გოგონა ადგილზე წრიალებდა და ჩურჩულით იმეორებდა: „მამა, მამა, მამა...“

არ იცოდა, რამდენი დრო გავიდა. ალბათ მთელმა წელიწადმა გაირბინა მას შემდეგ, რაც მამამ ველის კიდეზე დატოვა. მალე ღამეც მოაწევდა და ვრცელი ყინულეთი სამუდამოდ დააშორებდა მამა-შვილს.

ჩუმი შრიალი მაშინღა გაიგონა, როცა მამა მთლად მუშტისტოლა გახდა, და ის პაწია ლაქა აქედან ისე ჩანდა, როგორც შავი პეპელა თეთრ ქაღალდზე. უკან მოიხედა. ეგონა ლოდებში შრიალებდა რაღაც. მიხვდა, ყინულის ველიდან მოისმოდა ჩუმი შრიალი, წანწკარი, რაკრაკი, ჩხრიალი... თითქოს გაცოცხლდა ყინულის ველი, ადგილიდან დაიძრა, იქნებ აპირებდა მღვრიე მდინარედ ან თოვლის ზვავად გადაქცევას... დაქანდებოდა მთელი ველი, ჩაგრიალდებოდა ხეობაში და თამუნია ვერასდროს გაიგნებდა გზას მამისკენ, რომელიც დედის უხილავმა ნაფეხურებმა ამ მთებში შეიტყუა.

„მამა-ა!“ — იწივლა თამუნიამ და გაიქცა... მირბოდა მამის ნაკვალევზე, ეცემოდა, მაგრამ ისევ დგებოდა და მირბოდა...

მყინვარის ზედაპირი გაელხო მზეს. წყალი მოწანწკარებდა, მოჩხრიალებდა, ნაკადუ-ლებად იქცეოდა... წუხელ თოვლის

თხელი ფენა დაედო და გალხობილი თოვლი შრიალ-შრიალით მოდიოდა დაღმა... ალაგ-ალაგ ვიწრო, ცისფერი ნაპრალები იტოტებოდა და იქიდან საშიში დგაფუნი ისმოდა.

„მამა-ა!“ — წიოდა პატარა და მირბოდა, რათა კვლავ გაენასკვა ერთადერთი ძაფი, რომელიც მამასთან აკავშირებდა...

წაიფორხილა... წონასწორობა ძლივს შეინარჩუნა, ისევ წაიფორხილა... კინაღამ ასცდა მამის ნაფეხურს, კინაღამ დასრიალდა შორეული უფსკრულისაკენ, მაგრამ უჩინარი, თბილი ხელი მიჰყვებოდა თან, რბილად უბიძგებდა, გზაზე აყენებდა...

რამდენი ხანი გაგრძელდა თამუნია ნიჟარაძის ჭიდილი ყინულოვან ველთან! ვიწრო ბილიკზე რამდენჯერ ჩაუსაფრდა სიკვდილი, თუმცა თამუნიამ რა იცოდა სიკვდილისა!

უცბად მი ს წინ მამა წამოიმართა, ხელში აიტაცა და წასჩურჩულა:

„ჩუმად, ჩემო გოგო!“

კაცს სახე შეშლოდა, თვალებში უსაზღვრო შიში და ძრწოლა ჩასახლებოდა.

ხელში ატატებული გაატარა ველი, რომელიც უკვე შეწყობილი ხმით გუგუნებდა, როგორც უთვალავ ინსტრუმენტიანი ორკესტრი.

ზეკარის მისადგომთან, იქ, სადაც ყინულის ველი თავდებოდა, ბავშვი მიწაზე დასვა და თვითონაც ჩაჯდა, მუხლებმა უმტყუნა.

„როგორ შემაშინე!“, — საყვედურის გარეშე უთხრა.

თამუნია კისერზე შემოეჭდო:

„მეც შემეშინდა, მეგონა, მტოვებდი!“

ხელიხელჩაკიდებულნი ავიდნენ ბოლო, ათიოდე მეტრის სიმაღლის ფერდზე.

მერე დიდხანს იდგნენ ვიწრო, უნაგირა ზეკარზე, რომელსაც გვერდებიდან დარაჯობდა პირწამახული, კოშკურა კლდეები. ზურგიდან ჩრდილოეთის ცივი ქარი უბერავდა. სამხრეთის კალთა კი თავბრუდამხვევი სისწრაფით ეშვებოდა ნაკრის ხეობისაკენ...

* * *

მესამე დღეს მამა და შვილი ზღვაზე იყვნენ, სოხუმში. თამუნიას აქამდე არასოდეს ენახა ზღვა. მამამ დილაადრიან, ჯერაც ცარიელ პლაჟზე მოიყვანა. დიდხანს მისჩერებდა თამუნია უზარმაზარ, ცის კიდემდე გადაჭიმულ სივრცეს. თითქოს ცოცხალი არსება გაწოლილიყო ფერხთით, დინჯად მიმოიქცეოდა, ყრუდ ოხრავდა, ტალღას ტალღაზე აგორებდა, ზედაპირი თეთრად ექერცლებოდა...

აქა-იქ თეთრი თოლიები დაცურავდნენ და ამაოდ ეძებდნენ რაღაცას, სამუდამოდ დაკარგულს.

ძნელი იყო ამ ცისქვეშეთში ერთხელ დაკარგული ნაკვალევის პოვნა.

თამუნიამ თითი გაიშვირა ზღვისაკენ, რომლის ლურჯ სიღრმეებში ათასი ლანდი დაძრწოდა:

„დედიკო იქ წავიდა!“

ჟურნალი „საქართველოს ქალი“, 2, 1977,
კრებულები „პირველი ზეკარი“, გამომცემლობა
„ნაკადული“, 1983 და „კუნძული“, გამომცემლობა
„საქართველო“, 1988.

კოჩა თოდუას სიკვდილი

კოჩა თოდუა კვდებოდა...

ვიწრო, მოყინულ სარკმელთან ობოლი ფიფქი ტრიალებდა, ოთახში შემოსვლას ლამობდა, მაგრამ ძალა არ ჰყოფნიდა...

თეთრი იყო ყოველივე...

ერთადერთი ჯუჯა არყის ხე სიცივეს ებრძოდა წაქცეულ ღობესთან. მის მიღმა იშლებოდა უკიდეგანო თოვლიანი ტრამალი, შორს, უსასრულობაში რომ უერთდებოდა ასეთსავე თეთრსა და ცივ ზეცას. ხანდახან მოვარდებოდა მძაფრი ქარბუქი, მოხვეტავდა თოვლს, მშრალი, ხეშეშა ფიფქებით აავსებდა ჰაერს... კვლავ დაიწმინდებოდა სამყარო, ყინული შეჰკრავდა; გაირინდებოდა ვრცელი ტრამალი. არც მზე ჩანდა სადმე, არც ღრუბლის ფთილა. კაცთა ნაკვალევიც წარეშალა თოვლს... ხანდახან მშიერი მგლის უსასოო ყმუილი მოაღწევდა საიდანღაც...

მეზობელი ოთახიდან ისმოდა გადალაპარაკები გაუგებარ ენაზე, გაუგებარი, მუქარით სავსე, უხეში გინება, კვნესა, ჩივილი, ბორკილთა ჩხარუნი, მთვრალი სალდათების უთავბოლო, სევდიანი სიმღერა...

ვიღაც მარტოსული გაბმულად ზმუოდა და ვერავის გაემეტებინა დამამშვიდებელი, თბილი სიტყვა.

— მაპატიე, მაპატიე, თავადის ასულო, — წაიჩურჩულა ავადმყოფმა.

— ბოდავს? — მოიხედა სარკმელთან გაყუჩებულმა წარმოსადეგმა კაცმა.

— რა დევივით კაცი წააქცია ამ ტიალმა გზამ, — წამით ლოცვა შეწყვიტა კუთხეში, ხატის წინ დაჩოქილმა შუახნის მამაკაცმა.

კოჩა თოდუა ბნელ ზმანებებში ჩაძირულიყო... სადღაც უწყვეტად ვარდებოდა, ვარდებოდა და თავი ვერ დაეღწია ჯოჯოხეთური უკუნისათვის...

კარი გაიღო. ცივი, ორთქლიანი ჰაერი შემოიჭრა. ზღურბლზე ლოყებღაჟღაჟა, მთვრალი სალდათი წამოეყუდა.

— Умирает? А пусть!..

დაასლოკინა და პასუხს არც კი დალოდებია, კარი გაიჯახუნა.

სხეულის სიღრმეში ტკივილი დაიბადა, თანდათან გაძლიერდა, მოზღვავდა, კრიჭა შეაკვრევინა.

ჩუმი კვნესა აღმოხდა:

— ვავა, ნანა!

სარკმელთან მდგომმა კაცმა თვალი მოსწყვიტა უფერულ ტრამალს.

— მოიხედა?

— გონს მოდის, — დაუდასტურა მეორემ. პირჯვარი სასოებით გამოისახა და ავადმყოფს მიუახლოვდა.

ვეება ვაჟკაცი გაშოტილიყო ნესტიან, დაობებულ თივაზე.

თვალები ჭერისათვის მიეყინა და კაცს შეეშინდა, იქნებ გათავდაო. ავადმყოფს თანდათან დაენამა ჩინი, აზრი ჩაუდგა. კოჩა თოდუა მიხვდა, სადაც იყო. თეთრად შეფეთქილი ჭერი, შავი ღარები რომ დასჩენოდა... ობობას ქსელი კუთხეებში... უცხო, ამ ზამთარივით ცივი ძე ღვთისა იმზირებოდა კუთხის პატარა ხატიდან... ოდნავ ბჟუტავდა ძაფივით წვრილი სანთელი.

— კოჩა, გამაგრდი, ჯიმა, ღმერთი ჩვენთანაა! — გვერდით ჩამოუჯდა შუახნის კაცი, ხელი მკერდზე დაადო, მოეფერა.

— ღმერთს სად სცალია ჩვენთვის! — ყრუდ აღმოხდა სარკმელთან მდგომს, თუმცა მის კილოში ჩივილი არ იგრძნობოდა.

— უტუ! — სუსტად იხმო მომაკვდავმა.

ორთავეს უტუ ერქვა და სარკმელთან მდგომიც თავზე წამოადგა, სასთუმალთან ჩამოჯდა.

მეზობელ ოთახში კვლავ მთვრალი, სევდიანი სიმღერა წამოიწყეს და სადღაც ტრამალში მშიერი მგლების ხროვა აჰყვა ყმუილით.

— რა მოგივიდა, ბიჭო, კაჟივით არ იყავი? — შეეცადა ალერსით შეხუმრებოდა სასთუმალთან მჯდომი, თუმცა თვითონაც გულზე ლოდი აწვა, სულის მოთქმა უჭირდა. ვერ იტანდა ამ სიმღერას, ხროვის ყმუილს, უკიდეგანო ტრამალს, თეთრ სინათლეს, სარკმლიდან რომ იღვრებოდა და მთელ ოთახს ავსებდა, მრუმე ფერში ხვევდა ყოველივეს, ცრეცდა, უსხეულოს ხდიდა...

— ეჰ, ჯიმალეფი, სიზმარი ყოფილა საწუთრო! — ამოიხვნეშა კოჩამ, თავს ძალა დაატანა, რათა მეგობართა მზერაში საკუთარი განაჩენი ამოეკითხა.

პირველი უტუ, სასთუმალთან რომ ჩამოუჯდა, წვერმოშვებული, ზვიადი ვაჟკაცი იყო. დიდრონი თვალებით ქურუშად იყურებოდა. ცხვირის ნესტოები წამდაუწუმ ბრაზით ებერებოდა. დროისა და ჭუჭყისაგან შელახული ჩოხა ეცვა, თავზე ძონძადქცეული ყაბალახი შემოეხვია. წვერზე (ახლაღა შეამჩნია კოჩამ) ჭაღარა მომრავლებოდა.

— დაბერებულხარ, უტუ! — წაიჩურჩულა.

— კაცნი ვართ! — მოკლედ მოჭრა უტუმ. უნებლიედ მუშტი მოკუმა, უზარმაზარი ხელი მუხლზე დაიკრა. მსხვილ, კოტიტა თითებში ჭვარტლი და ჟანგი ჩაზრდოდა.

მეორე უტუს ახედა კოჩამ, ხალხში მართალიად წოდებულს. საშუალო ტანის კაცი იყო. სახე ხშირ ნაოჭებს დაეფარა. ავადმყოფური სიფითრე გადაჰკრავდა, მაგრამ თვალები ჰქონდა წყნარი, შინაგანი შუქით განათებული.

— ეჰ, შენც ჩაგღამებია თვალები, ჩემო მართალია!

— ღმერთი მოწყალეა, — მშვიდად წარმოთქვა მართალიამ, — ჩვენი ტანჯვის წილ მაღალი ღმერთი სასუფევლის კარებს გაგვიღებს, კოჩა, ჯიმა.

— საწუთროში რა მოგვცა უფალმა, იმ ცხოვრებაში რა უნდა მოგვცეს! — ბრაზით დასცდა უტუს.

— ღმერთს ნუ სცოდავ, ჯიმა, — წყნარად შეეპასუხა მართალია.

ერთხანს იყუჩეს. მეორე ოთახში კვლავ სევდიანად მღეროდნენ სალდათები. ვიღაც ზმუოდა უწყვეტლივ, ვიღაც გულშეჭირვებით ქვითინებდა, ტრამალებში კი მშიერი ხროვა მოთქვამდა, ღმერთს შესჩიოდა.

— Мольчи, сволоч!— დარტყმა... საცოდავი შეკივლება... შეშინებული, ჩუმი კრუსუნი. თავის მართლება სწრაფი, გიჟური რეჩიტატივით.

წამის შემდეგ ისევ სევდიანი, გაუთავებული, გულისწამღები სიმღერა, ისეთივე ვრცელი, როგორც ეს ტრამალი, ისეთივე ცივი და უფერული...

— ეჰ, ერთი ჩვენებურად გვამღერა, — ენის მობრუნება გაუჭირდა კოჩას.

უტუს სახეზე სხივი გაკრთა. მართალიას ბაგეს ღიმი შეეხო. დაბალი დვრინით წაუმღერეს:

— ვოუ, ვოუ, ვოუ, ნანა, ვოუ, ნანა, დობჭვი-ო...

გაცოცხლდა მძაფრი ტკივილი, სული შეეხუთა კოჩას. სამშობლოს ხასხასა ფერებით დაიფარა წამიერ ყოველი. მინდვრის სადა ყვავილები მიმოიბნა ავადმყოფის სარეცელზე. გონება ჩაეფლო მწვანე სავანეში, ლორთქო, გრილი შეხება იგრძნო, თითქოს ზაფხულის თაკარაზე მდინარისპირა ხაბომ ჩაიკრა გულში.

— ჩქიმი ჩე-ჩე ღორღონჯეფი არძა ტურას ქოჩი-ო... ვოუ, ვოუ, ვოუ...

შეწყდა დვრინი და უმალვე გონს მოეგო, ამოიოხრა, ძალა მოიკრიბა.

— შენზე ამბობენ, ბრძენიაო, ცასა და მიწის ყველა კანონი იცისო... – თითები შეახო მართალიას ხელს, სუსტად მოუჭირა. — ერთი ეს მითხარი, ჯიმა, სასუფევლის კარი ერთნაირად თუ გაეხსნება ყაძახსა და ჟინოსქუას?

მართალიამ მზერა აარიდა, უფლის ძისაკენ შებრუნდა. სანთელი განახევრებულიყო და სუსტი ალის შუქი იესოს სახეზე დასთამაშებდა. ცივი, უკარება თვალებით შემოჰყურებდა მართალიას ძე უფლისა. იქ, თავის სოფელში, საყდრის კონქზე გამოსახული იესო სულ სხვა იყო, თბილი, თანამგრძნობი, მართალიასავით ტანჯული.

— ვინც სიკეთისათვის იღვწოდა, უფალი მიუტევებს ცოდვებს, — ყოყმანით თქვა, — მდიდარი და გულზვიადი კი ისევე ვერ გაივლის სასუფევლის კარებს, ვითარცა აქლემი ნემსის ყუნწს.

— გისმინოთ ღმერთმა! — შეფარული დაცინვა გაისმა უტუს ხმაში.

კოჩამ ამოიოხრა, სახე კედლისაკენ მიაბრუნა.

— თითქოს გუშინ იყო ყოველივე, — სინანულით წაიჩურჩულა.

მცირე ხნით ტკივილი გაუყუჩდა. ოფლი შეაშრა და სიცივე სახსრებში ჩაუჯდა. ყურს უგდებდა, თუ როდის დაიბადებოდა ტკივილი. მოლოდინით დაძაბული ნელ-ნელა ლაპარაკობდა.

— რამდენი ქალამი გავცვითე. სოფლიდან სოფელში დავეხეტებოდი. ნემსსა და ძაფს, ჩითსა და აბრეშუმს ღომზე და სიმინდზე ვცვლიდი. ფული კი ვერასოდეს გავიჩინე. ან ვის ჰქონდა? ბევრ ყაძახს თვალითაც არ უნახავს ფული... მუდამ შარაზე ვეგდე, თათრისა მე მეშინოდა და რუსისა, ჟინოსქუასი და მღვდლისა, ყურსალისა და გზის ავაზაკისა... ქვეყნის ჭუჭყი, ვაება, წუხილი იმოდენა ტვირთად ამეკიდა, დევსაც წელში გასწყვეტდა...

— დაიღლები! — წყნარად შეახსენა მართალიამ.

კოჩა გაჩუმდა. მოეჩვენა, რომ ტკივილი ეპარებოდა. ყური მიუგდო, გული შიშნეულად უფართქალებდა.

— ჭურჭლის ოსტატი ვიყავი, — წამოიწყო მართალიამ, — თუმცა ჭურჭელს კი არა, რას არ ვაკეთებდი. თიხაც და ხეც ერთნაირად მემორჩილებოდა. ღვთისა და კაცის საქმეში არ ვერეოდი. უბრალო ქოთანი რომ გააკეთო, ან ჯამი, ან კოვზი გამოთალო, რამდენი შრომა სჭირდება... ჩემი სახელოსნოდან სოფელი ჩანდა, სოფელი კი არა, საწამებელი დილეგი იყო... ღმერთს ვევედრებოდი, გადმოიხედე მაღალი ციდან, ნახე როგორ იტანჯებიან შენი შვილები-მეთქი... მართალია შემარქვეს, მაგრამ განა მე ვიცი, სად მარხია სიმართლე?

— ჩემი საქმე ურო და გრდემლი იყო, — ყრუდ ჩაერთო უტუ, — გზაბოძალზე დავიდგი სამჭედლო. გლეხი მე მაკითხავდა და თავადი, მღვდელი და ვაჭარი, მდიდარი და უქონელი... ქვეყნის ამბები ტრიალებდა და ჩემს გულში წვეთ-წვეთობით გროვდებოდა ბოღმა. მაშინ ვთქვი, განა ეს სამშობლოა, სადაც პატიოსან კაცს თავი ვერსად შეგიფარებია, წიხლს, პანღურს, შეურაცხყოფას ვერ გაქცევიხარ... როგორ მინდოდა გრდემლზე მიმეჭეჭყა ბოროტი ურჩხულის თავი... წვეთობით დაგროვებული ბოღმა ყელში ამომივიდა, კინაღამ დამახრჩო და იმ დროს შეიყარა „სხუნუ“...

— გფარვიდეს უფალი, სიძულვილს გულში ნუ გაივლებ, სიძულვილი ეშმაკისაა, — კრთომა გაისმა მართალიას ხმაში.

— მერე ურდუმ კეისრად ამირჩია, — კვლავ აჩურჩულდა კოჩა, — ღვთის სამართალს ვენაცვალე, ერთ დღეს ყაძახიც ხომ უნდა გახდეს კეისარი... მაშინ შემეხსნა ხელები, ათი ათასი კაცი შევუსიე ჟინოსქუალებს, მოვრეჯგვე სადადიანო...

— სისხლის ღვრას ვერიდებოდი, — თქვა მართალიამ, — არა კაც ჰკლა... არა კაც ჰკლა... — უფალი ჩვენი ამას გვასწავლის. მინდოდა მშვიდობით მომეგვარებინა, მაგრამ თავადებმა არ დაგვითმეს. ფეხზე დადგა სალიპარტიანო, მოვიდნენ და კე-

ისრობა მთხოვეს. ბევრი ვიუარე, არაფერმა გაჭრა. დავთანხმდი. რომ არ მეკეისრა, იქნებ მეტი სისხლი დაღვრილიყო... ღმერთმა იცის, ბევრი ისეთი კაცი გადავარჩინე, ღირსნი იყვნენ ბოროტი სიკვდილისა...

— მტერზე ხმალს რომ ამოიღებ, ბოლომდე უნდა იქნიო! — მოიქუფრა უტუ.

— შენი სახელი ისედაც ბუკის ხმასავით ისმოდა...

— განა უსამართლოდ ვსჯიდი ვინმეს? ყოველი წვეთი სისხლისათვის მზადა ვარ ღვთის სამსჯავროზე გავიდე...

— ვავა, ნანა! — ტკივილი მოეძალა კოჩას. ორივე უტუ გაჩუმდა, ავადმყოფს დააცქერდნენ. კოჩას შუბლი ოფლის წვეთებმა დაუწინწკლა, უფრო გაფითრდა. გავიდა წუთი, მეორე... თანდათან დაუამდა ტკივილი, გაუყუჩდა.

— მიკვირს, როცა გისმენთ, — ხვნეშას სიტყვა ამოაყოლა, — როგორ არ ჰგავხართ ერთმანეთს... ისეთი ბრძენი არა ვარ, როგორიც მართალიაა, ღმერთო, შეგცოდე და მაპატიე, შენს სიტყვებს ჩემი პატარა ჭკუით ვერა ვწონი... არც მკაცრი მეომარი ვარ, როგორიც უტუა. ერთი უბირი კაცი ვიყავი, ძმებმა ურდუს კეისრად ამირჩიეს, ხელთ ძალა მომცეს. ბევრს ვაპატიე, შევიწყნარე, ბევრიც გავაპარტახე, დედაბუდიანად მოვთხარე... გაჩუმდი, ნურაფერს მეტყვი, მართალია, ნუ დამამშვიდებ... ვგძნობ, ფეხი მიცივდება, სასთუმალთან კი ვიღაცა დგას, კბილებს აღრჭიალებს, ცელს იქნევს... დამაცადე, ჯიმა, სათქმელი მოვათავო...

— ბოდავს? — ხმადაბლა იკითხა უტუმ.

კოჩას თვალებში ციება ჩამჯდარიყო, სიცივისაგან ძაგძაგებდა, ბაგეები ულურჯდებოდა. ორთავე უტუმ ჩოხები გაიხადა, ავადმყოფს დააფარეს.

— გამაგრდი, ჯიმა, ღმერთი ჩვენთანაა! — ხმა გაუტყდა მართალიას.

კოჩა თანდათან მობრუნდა, ფერი მოეძალა, თვალებში კვლავ სინათლე ჩაუდგა. ენას ძლივს აბრუნებდა, მაგრამ აზრი ჯერაც ნათელი შერჩენოდა.

— ეჰ, წავედი, ჯიმალეფი, ჩემი წუთები დათვლილია... — მართალიას შეხედა, წამით შეიცადა, მერე განაგრძო: — მართალია, ჯიმაია, რაღაცას ვყვებოდი... ჰო, გამახსენდა... ბევრიც გავაპარტახე-მეთქი, მაგრამ არ ვნანობ, გარდა ერთისა... — კარგა ხანს ითქვამდა სულს, მერე სუსტად დაუმატა: — ჯიმალეფი, ლაპარაკი მიჭირს, მუხლებქვეშ უკვე ვერაფერსა ვგრძნობ... ჰა, მეპარება ის წყეული... — კვლავაც დადუმდა, თვალები დახუჭა, უსიცოცხლო ხელები, მკერდზე რომ დაეწყო, გაუყვითლდა... წაიჩურჩულა: — ისღა დამრჩა სადარდებელი...

უტუმ სახე სარკმლისაკენ მიმართა, არ შეეძლო მომაკვდავის ყურება.

„სადარდებელი ჩვენც ბევრი დაგვრჩა, კოჩა ჯიმა, — ფიქრობდა თავისთვის, — ერთი რამე ძალუმად დამამახსოვრდა. მარტვილის მონასტერში ყოფნისას დედოფალმა მომიხმო. თვალი კინაღამ დამიბნელდა, ისე ბრწყინავდა. ცნობისმოყვარეობით შემომხედა. ალბათ ასე შეხედავდა, თვით ეშმაკი რომ გამოცხადებოდა. „შვილო, — მიბრძანა, — რატომ არ მეახლე, თქვენი გაჭირვების ამბავი არ მომახსენე, იქნებ რამენაირად დაგხმარებოდიო“. არ მინდოდა ხმის ამოღება. ან რა უნდა მეთქვა? ჩვენ შორის გადაულახავი უფსკრული იყო. ერთმანეთისა არ გვესმოდა. ჩუმად ვიდექი და ვფიქრობდი: „დედოფალო, შენს დალალებში ჩაწნული მარგალიტის მძივი რამდენი ჩვენი შვილის საფასურადაა შეძენილი? ამ უცხო სამოსის ფასად, ღვთაების დარად რომ გხდის, რამდენი ვინმე გაიყიდა ოსმალეთს?“ არ მომეშვა დედოფალი და ბოლოს ავლაპარაკდი: „ამ მთის ძირას-მეთქი, მოვახსენე, დედოფალო, საწყალ გლეხს ერთი საათის წინ ძროხა ჰყავდა. იმით არჩენდა ოჯახს. მისგან ახლა თქვენთვის მწვადებს აშიშხინებენ. გლეხს კი არავინ არაფერს აუნაზღაურებს. თქვენ თვითონ ვერ ამჩნევთ, რომ სადაც წახვალთ, უბედურებაც თან დაგაქვთ!..“ დედოფალს თვალებში ავმა ნაპერწკალმა გაუელვა. თავი შეიკავა და ნაძალადევი ღიმილით შემაწყვეტინა: „კეთილი, შვილო, მიბრძანდი!“ მე კი რამდენი რამ დამრჩა სათქმელი... უნდა შემეყარა ყველა ხელმწიფე და ბატონი, უნდა მეთქვა ისეთი სიტყვა, ქვის გულსაც რომ გაალხობდა“.

მართალია თოდუამ ფიქრში ლოცვა ჩაათავა, მომაკვდავს დააკვირდა. ხუცესისათვის უნდა მოეხმოთ, უნდა ეზიარებინათ, მაგრამ ამ ქოხში სალდათებისა და კატორღელების გარდა არავინ იყო.

მეორე ოთახში ბრაზიანად შეიგინეს. გაისმა დარტყმის ხმა. მაგიდა გახრიგინდა, დაეხეთქა, ჭურჭელი გადმოცვივდა, ზრიალით დაიმსხვრა.

— Ой, мамочка, убили-и!.. — იკივლა ბიჭმა შეძრწუნებელი ხმით.

უტუს უპეებში სისველე გაუბრწყინდა. წარბები უფრო მოქუფრა. სახის ნაკვთები გაუქვავდა.

მართალია თოდუამ თავი ჩაქინდრა.

ეჰ, სადარდებელი ვის არ დარჩენია ამ საწუთროში... ერთი რამ გულში ხინჯად ჩარჩა და ვერ ივიწყებს... ყოველდღე, ყოველწუთს ახსოვდა, იმ დროიდან, როცა ძალით გაიყვანეს სახელოსნოდან, კეისრად აირჩიეს და ხალხის მეთავეობა უბრძანეს.

„...აკვანი უნდა გამეკეთებინა... მოგეხსენებათ, ძნელი საქმეა, სიზუსტეს მოითხოვს, ოსტატობას... მთელი კვირა მოვანდომე ჩუქურთმების გამოთლას. ისეთი ლამაზი უნდა გამომსვლოდა, ღმერთი წაიღებდა ანგელოზთა გასაზრდელად. გულის ფანცქალით ველოდი იმ დღეს, როცა ხის ამ ჩუქურთმებიან ნაჭრებს შევაერთებდი. ცოტა სამუშაო დამრჩა, იქნებ სამხრობამდე მომეთავებინა... მოვიდა სხუნუ, მეუბნებიან, წავიდეთ, მართალია, ხალხმა ბუკი დაჰკრა, წითელი შილა აღმართა, ღმერთსა და ერთმანეთს მტკიცობა შეჰფიცა, კეისრად კი შენ აგირჩიაო... „ჯიმალეფი, — ვეუბნები, — სამხრობამდე მაცალეთ. ამ აკვანს გავაწყობ, სოფელში რომ ჩვილი გაჩნდეს და აკვანში ვერ ჩააწვინონ, დიდი საცოდაობა იქნება-მეთქი. არ დამიჯერეს, რა დროს აკვანია, კუბო მეტი გვჭირდებაო... მტაცეს ხელი, თავზე გვირგვინი დამადგეს. ათი ათასი კაცით გადავედით ლაკადაში, მთელი ქვეყანა ფეხზე დავაყენეთ... ის აკვანი ჯერაც გაუწყობელი დამრჩა... იქნებ სადმე ჩავკვდე ასე უმისამართოდ, იმ აკვანში კი ერთი ვაჟკაციც ვერ გაიზარდოს...“

შეინძრა კოჩა თოდუა. წამწამები ძლივს აზიდა. უპეები ჩაცვენოდა და ბინდმოფენილი თვალები თითქოს მღვიმეებიდან იცქირებოდნენ. ცხვირ-ნიკაპი დაუგრძელდა, ბაგეებს სითეთრე მოედო, სისხლისაგან დაეწრიტა.

ხელის აწევა მოინდომა და ვერ დაძრა.

უპეში ცრემლი გაუკრთა.

— უტუ, თუ ძალა მეყო, ერთი ამბავი მინდა გიამბოთ... — ორივეს მიმართა, ენას იჩლექდა, სიტყვას ძლივს ლოღნიდა, მაგრამ ეტყობა ძალიან სურდა სათქმელი ბოლომდე ეთქვა, — ჩვენი გამარჯვების ხანას, უტუს ჯარი ფეხზე რომ იდგა, მტერი წელში მოიკაკვა, მოყვარე კი ლხინში იყო, ენგურისპირა წარაფზე ვიდექი და ხელქვეითებმა ტყვეები მომგვარეს. თავადის ასული ერია, ოციოდე წლისა იქნებოდა, ტყაში მაფას შეშურდებოდა მისი სილამაზე... — სული შეუგუბდა, ძლივს მოითქვა და ისევ განაგრძო, — ღვთისაგან უკეთ შემკული არსება არასოდეს მენახა და თვალის ჩინი წამერთვა... კარგად მოგეხსენებათ, კეისარი ვიყავი, თავზე გვირგვინი მედგა, მხრებზე მოსირმული მოსასხამი მესხა, ტახტზე ზვიადად ვიჯექი... ათასი კაცისათვის რომ შემეძახა: „აბა, ჰე, ჯიმალეფი!“ — ენგურს გადახიდავდნენ, მთას მოანგრევდნენ... მომიახლოვდი-მეთქი, დაყვავებით ვუბრძანე ასულს. „იქით გაიწი, ყაძახო, — მომაბრიალა თვალები, — უფალი ყოველივეს ხედავს ციდან!“ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ათასი კაცის თვალწინ ჩემს დამცირებას ადვილად ვერავის ვაპატიებდი. მე რა კეისარი ვიქნებოდი, ჩემს სიტყვას გასავალი თუ არ ექნებოდა. ქალი იყო და აშკარა ჩხუბს მოვერიდე. ხუმრობის გუნებაზე დავდექი. თვითონ მივეახლე, ბრაზით ანთებულ თვალებში ჩავხედე და ხმამაღლა განვუცხადე: „უნდა გაკოცო!“ ახლო მდგომებმა ჩემი სიტყვები აიტაცეს, სხვებს გადასცეს. მთელმა ურდუმ ყიჟინა დასცა, ამით დამიდასტურა, სწორადაც მოიქცევიო. „მხოლოდ მუხლებზე, როგორც მონას შეეფერება!“ — მომიგდო დიდგულამ. როგორ მიბედავს-მეთქი, გავგულისდი, ცეცხლი შემომენთო. ვტაცე ხელი და ტუჩებში ვაკოცე... წინააღმდეგობა არ გაუწევია, თვალი დახუჭა და იცდიდა, როდის გავანებებდი თავს. ხელი ვუშვი და ქალი გამარჯვებულის წილია-მეთქი, დავიტრაბახე. ასულმა თვალი გაახილა. ბრაზის ნატამალიც არ ეტყობოდა. მომეჩვენა, რომ ბედს შერიგებოდა. ბრბო კი ისევ ყიჟინებდა. ჩემი ნათქვამი მთელმა ხალხმა გაიგო, ასულის ნათქვამი კი მხოლოდ მე გავიგონე: „ამ შენს ამბორს, მონავ, ვერ მომბანს დრო და წყალი, — მშვიდად მითხრა, — ოღონდაც, ნუ გიხარია, შენ წაბილწე მხოლოდ ხორცი, სულს კი ვერ მისწვდები!“ — ესა თქვა და უცბად წარაფიდან მდინარეში გადაეშვა...

მართალიამ გულზე ხელი დაიდო, სიფითრე მოაწვა.

უტუ უხერხულად შეიშმუშნა, ყრუ ოხვრა ჩაიხშო, სახე კვლავ გაეყინა.

— უფალი მოგიტევებს! — მართალიას ხმა აუკანკალდა.

— ახლა ვფიქრობ, ვაითუ სადმე იმ საუფლოში ავცდე. ერთადერთი სურვილი დამყვება მას შემდეგ, დავუჩოქო, მუხლებზე ვეამბორო და პატიება ვთხოვო...

ღონისაგან დაიცალა, ფერი თანდათან დაკარგა.

— მაპატიე, მაპატიე, თავადის ასულო... — წაიჩურჩულა.

— ღმერთი დიდია! — ექოსავით გამოეხმაურა მართალია.

— მეძინება, — ბავშვივით დაისლუკუნა კოჩა თოდუამ.

— იძინე მშვიდად! — წასჩურჩულა მართალიამ.

ოთახი კვლავაც მრუმე, თეთრი სინათლით ივსებოდა, გაურკვეველი იყო დრო და საათი.

კოჩა თოდუას თვალებში ყინული ჩადგა, ბაგეზე სუსტი ღიმილი მიეყინა.

მართალია თოდუამ დაიჩოქა, თავი საწოლის კიდეს მიაყრდნო და ჩუმად აქვითინდა.

უტუ მიქავა სარკმელთან მივიდა. წაქცეულ ღობესთან საწყლად იდგა არყის ობოლი, ჯუჯა ხე.

თეთრ ტრამალში ქარბუქი ხვეტდა ხეშეშ თოვლს და ჰაერში ატრიალებდა.

ალმანახი „განთიადი“, 1, 1981, კრებულები „პირველი ზეკარი“, გამომცემლობა „ნაკადული“, 1983 და „კუნძული“, გამომცემლობა „საქარ თველო, 1988.

ქურდი

ვიღაცამ დაასმინა. ანონიმურ წერილში სულ რამდენიმე გაუმართავი ფრაზა ეწერა: ასე და ასე, უდიდესი გაჭირვების ჟამს, რასაც ჩვენი დიადი, ახლად ომგადახდილი სამშობლო განიცდის, ზოგიერთები სახალხო დოვლათით ხელს ითბობენო... ისეთი ამინდი იდგა, ძაღლი არ გაიგდებოდა კარში. მე კი კარდაკარ დავწანწალებდი დილის აქეთ და, თუმცა სამხედრო ფარაჯა მეცვა, წვიმამ მაინც გამატანა, შემაცივა. წინა ღამის უძინარიც ვიყავი და სამორიგეოში, თუნუქის ღუმელთან რომ ავიტუზე, კინაღამ წამთვლიმა. ოთახში არავინ იყო ტიტიკოს გარდა. მაგიდას ჩამოყრდნობოდა და ისე ეძინა. ცალი ხელი რევოლვერის ბუდეზე ედო. ვინ ოხერი შემოგვივარდებოდა, მაგრამ ალბათ იფიქრა, ვაითუ ამხანაგებმა გამამასხარაონ და ძილში რევოლვერი ამართვანო, თუმცა სამასხარაოდ ვის ეცალა. არც მე ვიყავი მასხრობის გუნებაზე, ეს ბოლო დრო სულ მოშხამული დავდიოდი. აბა რას უნდა გავეხარებინე, ავი და კარგი ამერია, ვერ ვარკვევდი, მტერი ვინ იყო და მოყვარე. მართალია, ამას ჩემისთანა პატარა კაცს ვინ დაეკითხებოდა, რასაც მიბრძანებდნენ, იმას ვაკეთებდი, მაგრამ ეს ოხერი გული მაინც კვნესოდა.

შავი ფიქრები ჩვენმა კოკობზიკა მდივანმა გამაწყვეტინა. უფროსი მიხმობდა. ძალიანაც არ მემეტებოდა თბილი ღუმელი, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. ძველ ჩეკისტს, უჩა ადამიას, ხუმრობა არ უყვარდა და ჩვენ, „ძალად ჩეკისტები“, თუმცა ომგამოვლილი, მაგრამ ახალ საქმეში ჯერაც გამოუცდელი „პაცნები“, როგორც თვითონ გვიკურთხავდა ხანდახან, ისედაც არ ვეხატეთ გულზე. თუმცა იქნებ მე მეგონა ასე, რადგან მუდამ დაღლილსა და გაუღიმარს ვხედავდი. ყველას გვიჭირდა და არც მას ჰქონდა ცხონება. ჩვენ თუ გამოცდილება გვაკლდა, იმას მხრებზე მძიმე და გაუხარელი წლები აწვა. უჭირდა ამ ტვირთის ზიდვა, მაგრამ უიმისოდაც არ შეეძლო, რადგან უკვე გადაჩვეულიყო ძილს, მოსვენებას, სიმაძღრეს... დაქანცული ცხენივით მიეზიდებოდა თავის წილხვედრ საზიდარს და სხვანაირი არსებობა ალბათ ვერც წარმოედგინა.

მორიდებით შევაღე კაბინეტის კარი და საწერი მაგიდის წინ გავჩერდი. აქ ხავერდგადაკრული სკამები იდგა, დავასველებმეთქი და იმიტომ არ ჩამოვჯექი. უჩა ადამიას თვალებში წამით გაიელვა თანაგრძნობამ, ან იქნებ მომეჩვენა ასე, მეორე წუთს კი იქ მხოლოდ დაღლილობა ჩანდა. ქაღალდი უხმოდ გადმომიგდო და, სანამ ვკითხულობდი, ცივად შემომყურებდა. უბრალოდ, ვგრძნობდი ცივ მზერას, თორემ თავი არც ამიღია, ისე ჩავიკითხე ბოლომდე. ანონიმური წერილი იყო. ალბათ კარის მეზობელი წერდა, რადგან შიგ ქურდის ზუსტი მისამართიც იყო ჩაწიკწიკებული და გაქურდული ქარხნისაც. რამდენი ანონიმური წერილი წამიკითხავს ჩემი ცხოვრების მანძილზე და ყოველთვის მიჩნდებოდა ზიზღის ის გრძნობა, ქვეწარმავლის შეხებისას რომ განვიცდით. სამსახურებრივ მოვალეობას მაინც ვერსად გავექცეოდი, იმდროინდელი კანონები კი მკაცრი იყო და ერთი წერილიც ვერ დარჩებოდა უყურადღებოდ.

თავი რომ ავწიე, მაშინღა გაიღო ხმა უჩა ადამიამ.

— ყველაფერი გაიგე?.. ძალიანაც კარგი! ტიტიკო წაიყვანე და გაარკვიე!

უმალვე მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს მიუბრუნდა და დავავიწყდი. მინდოდა რაღაც მეკითხა, ახლა უკვე არც მახსოვს, რის თქმას ვპირებდი. იშვიათი ჭაღარით შელამაზებული მისი მელოტი თავი და შეჭმუხნული შუბლი მოწმობდა, რომ ფიქრების ლაბირინთში ჩაძირულიყო და უხმოდ გავეცალე.

ტიტიკოს კვლავინდებურად ეძინა. შემეცოდა, მაგრამ დრო არ ითმენდა და მაგიდაზე მსუბუქად დავაკაკუნე. ელდანაცემი წამოხტა, თვალები დაჭყიტა, თან გზა-გზა რევოლვერის ბუდეს ხსნიდა. ძლივს გამოერკვა, დაირცხვინა. მე არც გამცინებია. ყველანი გიჟებივით ვიყავით და არც ამას უვარგოდა ნერვები.

ამასობაში უკვე დაღამდა. როგორ არ მინდოდა ამ გაუთავებელ წვიმაში წონიალი. ისე ვიყავი აღრენილი, არ ვიცი იმ ქურდს რას ვუზამდი, მაგრამ ანონიმური წერილის ავტორი რომ შემხვედროდა, არც იმას დაადგებოდა კაი დღე. ბევრი არ მიფიქრია ამაზე, ჩავღუნეთ თავი და დავადექით გზას, სულ ტყაპა-ტყუპით მივდიეთ ერთმანეთს. ომი კარგა ხნის მომთავრებული იყო, მაგრამ დაღამებისთანავე ქალაქი წყვდიადში ეფლობოდა,

უფრო დენის ეკონომიის გამო. ქუჩაში სულიერი არავინ ჭაჭანებდა და არც გაგვიკვირდებოდა, მოულოდნელად ცხვირწინ ღამის მძარცველი რომ წამომართულიყო.

სახლი განაპირას იდგა. სახლი არც ეთქმოდა, მიწას ძლივს ასცილებოდა და გვერდი უფრო დიდი სახლისათვის მიეყრდნო, თითქოს ევედრებოდა, შემეშველე, თორემ წავიქცევიო. დაბალი კარი ალბათ ცუდად იკეტებოდა. ციცქნა სარკმელში სუსტი კოჭობი კრთოდა.

მე და ტიტიკოს უთქმელადაც გვესმოდა ერთიმეორის. ზედმეტი რისკი რა საჭირო იყო, თუმცა რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, მაინცდამაინც ძლიერ მოწინააღმდეგესთან არ გვექნებოდა საქმე. მაინც ვფრთხილობდით. ყოველი შემთხვევისათვის ტიტიკო რამდენიმე ნაბიჯით ჩამომრჩა, რათა ზურგიდან მოულოდნელად თავს არავინ დაგვსხმოდა.

სარკმელი შეორთქლილი იყო და შიგ ვერაფერი გავარჩიე. მერე კარზე ყური მივადე. ხმადაბალი ლაპარაკი მომესმა, თითქოს ქალი და კაცი საუბრობდნენ. ლაფაროში წყლის ჩხრიალი მიშლიდა ხელს და სიტყვები ვერ გავარჩიე. დიდხანს არ მიყოყმანია, დავაკაკუნე, თან განზე გავდექი. ქოხში დუმილი ჩამოვარდა, მერე ვიღაცა წამოდგა, კარისაკენ გამოემართა, ნახევრად გამოაღო და გამოიხედა. კოჭობი ზურგში სცემდა მოწითალო შუქს და კარგად ვხედავდი, ის კი ვერ მამჩნევდა.

— არ გაინძრე, თორემ გაგათავე! — მუქარით წავისისინე და პერანგის უბე ჩავუბღუჯე, თან უკან, ოთახის სიღრმისაკენ ვუბიძგე.

ტიტიკოც ფეხდაფეხ მომდევდა და ორივენი ასე შევყევით.

თვალის ერთი გადავლებაც საკმარისი იყო, რომ გამერკვია, ვისთან აღმოვჩნდით.

შემცბარმა რევოლვერი სწრაფად შევინახე ბუდეში. ტიტიკომაც, თითქოს ჩემს ბრძანებას ემორჩილებაო, ამოიხვნეშა და იარაღი გადამალა. სახეზე აშკარად ეწერა ბოღმანარევი სირცხვილი, თითქოს უხმოდ მეუბნებოდა, ეშმაკმა წაიღოს იმათი თავი, ქვეყნის სასაცილოდ გაგვხადესო, ოღონდ ალბათ თვითონაც ვერ გაერკვია, ვინ იყო ეს „იმათი“.

ის, ვისი გაცრეცილი პერანგისათვის ჯერ კიდევ ხელი მქონ-

და ჩავლებული, ერთი გამწლეული ბიჭი აღმოჩნდა. იქნებოდა ასე, ჩვიდმეტ-თვრამეტისა, ან შესაძლებელია მეტისაც. ომის დროს საჭმელი ცოტა იყო და ბიჭები ისე სწრაფად ვერ იზრდებოდნენ. ალბათ, თავის სიცოცხლეში ორ-სამჯერ თუ ექნებოდა პირი განაპარსი. ახლა იდგა ჩემ წინაშე ხელებჩამოყრილი და ელეთმელეთი მოსდიოდა, თუმცა ცდილობდა ყოჩაღად სჭერდა თავი.

ასეთი სიღატაკის მნახველი არა ვარ. ერთადერთ, ჭილობგადაფარებულ საწოლთან ქალი იდგა. გუმანით მივხვდი, ქალი რომ იყო, თორემ პატარა გოგოს უფრო ჰგავდა, ისეთი ციცქნა იყო, მუჭში ჩაეტეოდა. წვრილი კისერი და გამხდარი მხრები ჰქონდა, ცხვირი ალბათ, შიმშილმა დაუგრძელა, თუმცა მშვენიერ ნუშისფერ თვალებს კი აფახულებდა. შიშისაგან იმასაც ფერი არ ედო, მაგრამ თავი ბიჭზე ღირსეულად ეჭირა, სიტყვა არაფერი დასცდენია.

მთელ ოთახში იმ საწოლის მეტი არაფერი იდგა. არც კედელზე ეკიდა რამე. კონსერვის ქილისაგან სახელდახელოდ გაწყობილი კოჭობი სარკმლის რაფაზე დაედგათ. ნაქურდალი კი — ალუმინის სამი თეფში, პირდაპირ იატაკზე, შუა ოთახში ეწყო. კოჭობის შუქზე თეფშები ისე ლიცლიცებდა, ღატაკის ქოხში შემთხვევით მოხვედრილი სადადიანო სერვიზიდან ეგონებოდა კაცს. ისხდნენ, ალბათ, ჭილობგადაფარებულ ხის საწოლზე ეს საწყლები და ტკბებოდნენ ოჯახის პირველი შენაძენით.

— დეიქცა იმის ოჯახი! — თავისთვის ჩაიბურტყუნა ტიტიკომ, ვიღაცას, ალბათ, სართულიანი გინება მიაჭედა, მაგრამ აქ ქალის ყური ისმენდა და ხმამაღლა მეტი არაფერი უთქვამს.

— რა გვარი ხარ, ბიჭო, შენ? — ბოლოს და ბოლოს ხელი ვუშვი, ისედაც ვერსად გაგვექცეოდა.

— ლატარია, ბატონო! — ხმა უკანკალებდა.

— ვინაა ეს გოგო შენი? — გულზე ბრაზი მაწვებოდა, არ ვიცი რატომ, და ახლა ამ საცოდავზე მინდოდა ჯავრის ამოყრა.

— ცოლია, ბატონო... — ისე თქვა, თითქოს ჯერაც არ იყო შეჩვეული ამ სიტყვას, — ჩიტო ჰქვია!

— ეს თეფშები დღეს მოიპარე, ხომ?.. არ დამიწყო ახლა თავის მართლება!

— დღეს მოვიპარე, კი, დღეს...

— ქარხანაში ხომ?

— კი, ქარხანაში!

— მერე კანონი იცი შენ?

— ვიცი.

— თუ იცი, ჩაიცვი ახლა და წამოდი!

პატარა ქალი შეკრთა, ბაგე აუთრთოლდა, მაგრამ ჩვენთან მოერიდა მღელვარების გამომჟღავნებას.

ქურდს ჩასაცმელი ბევრი არაფერი ჰქონდა. საწოლზე დაგდებული თხელი და გაცრეცილი რაღაცა, — პიჯაკი მას არ ეთქმოდა, — მხრებზე მოიგდო. ჩუმად მდგარ ცოლს მკლავზე უცხოსავით წაატანა ხელი.

— შენ ნუ შეშინდები, ჩიტო, ოღონდ ნუ შეშინდები!

ქალს ხმა არ გაუღია. ქალური, ჩვეული მოძრაობით მანდილი გაისწორა, იქიდან გადმოცვენილი დალალები დამალა, მარტო თვალები და ტუჩ-პირი გამოუჩნდა.

— თქვენ ნუ შეწუხდებით! — შევეცადე მკაცრად მეთქვა, მაგრამ პატარა ქალს ჩემი ნათქვამი თითქოს არც გაუგონია.

ამასობაში ტიტიკომ თეფშები წამოკრიფა. გაზეთის ერთი ნაგლეჯიც არსად ეგდო, რათა გაეხვია, და იღლიაში ამოიდო.

ქურდი არსად აპირებდა გაქცევას, მაგრამ წესი წესია, შუაში ჩავიყენეთ და ასე გავედით წვიმაში.

მოსაწყენი, ნერვების მომშლელი და გამაღიზიანებელი წვიმა მოდიოდა, ისეთი, ჯიუტად და მომაბეზრებლად რომ იღვრება კარგა ხანს. ამას კიდევ ქვაფენილზე იმ ციცქნა ქალის ფეხსაცმელების პაკაპუკი ემატებოდა. მინდოდა, ერთი შემეღრინა, მოგვწყდი თავიდანო, მაგრამ როცა მოვიხედე და სანთია მივანათე, შემკრთალი გაჩერდა, სველ ბეღურასავით მობუზული საცოდავად შემომყურებდა და გული ოდნავ მომილბა.

არც ქურდს დასცდენია სიტყვა მთელ გზაზე, ალბათ ბედს წინასწარ შეურიგდა. მხოლოდ ერთხელ, სახლიდან რომ გამოვდიოდით, წასჩურჩულა, ჩიტო, დარჩი, ტყუილუბრალოდ ნუ სველდებიო. ქალმა ჯიუტად მოკუმა ბაგეები და მაინც წამოვიდა.

რაღა ბევრი გავაგრძელო, დაპატიმრებული მივიყვანეთ სადაც ჯერ არს, ჩავამწყვდიეთ წინასწარი პატიმრობის საკანში.

მე და ტიტიკომ კი კვლავ თუნუქის ღუმელს მივაშურეთ, იქნებ ცოტათი შევშრეთ-მეთქი. ჩემი ფარაჯა ლურსმანზე ჩამოვკიდე, წვეთები წურწურით სდიოდა და იმის ქვეშ უმალვე გუბე დადგა.

— დეიქცა იმათი ოჯახი! — ვიღაცას წყევლიდა ტიტიკო და ნაკვერჩხლებს უჩხუკუნებდა. შეშა ცოტა გვქონდა და უნდა გამოგვეზოგა, ამიტომაც არ ვანთებდით ცეცხლს კაბინეტში. ტიტიკოსავით მეც ენის წვერზე მეკიდა აუგი სიტყვა, მაგრამ არ ვიცოდი, ვისი მისამართით უნდა მეთქვა, და თავი შევიკავე.

ცოტა ხანში უჩა ადამიამ მომიხმო. მოკლედ და სხარტად მოვახსენე, ტყუილად კი არ მქონდა სამხედრო წვრთნა მიღებული.

— სულ სამი თეფში იყო? — უნდობლად დამეკითხა.

— დიახ, ალუმინის სამი თეფში!

სახეზე ჩრდილმა გადაურბინა, უკმაყოფილო თუ იყო. ალბათ იფიქრა, ამ „პაცნებმა“ ვერ აღმოაჩინეს, თორემ იქვე სადმე ერთი ვაგონი ნაქურდალი იქნებოდაო.

— რას ვიზამთ, რეციდივისტები ყოველდღე არ შეგხვდება! ქურდი მაინც ქურდია! აქლემისა და ნემსის ქურდის არაკი ხომ გაგიგონია? აბა, დაკითხე და ოქმი შეადგინე!

მკაცრი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი უჩა ადამიას. ვაი, იმის ბრალი, ვინც ხელში ჩაუვარდებაო, ამბობდნენ. მის თვალში არც აქლემის ქურდს ექნებოდა რამე შეღავათი და არც ნემსისას. მეც ჩემს ვალს ვიხდიდი, ჩემი სამსახური ეგ იყო და რასაც უფროსი მიბრძანებდა, ის უნდა მეკეთებინა.

უკვე გვიანი იყო, მაგრამ ოქმი მაინც უნდა შემედგინა. სანამ ჩემს კაბინეტამდე მივაღწევდი, გრძელი დერეფანი უნდა გამევლო. ის ქალი იქ დამხვდა. კედელს მიყრდნობოდა და, ჩემი ფარაჯისა არ იყოს, იმ ადგილას წვიმის წყლის გუბე დაეყენებინა. დამინახა თუ არა, გასწორდა. თითქოს რაღაცის თქმა ეწადა. დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა იმის გაგებას, რასაც იტყოდა. ალბათ, მუხლებში ჩამივარდებოდა, შემეხვეწებოდა, ნუ გაგვნირავთ, დავაშავეთ, მაგრამ უნებლიეთ მოგვივიდა, აწი უთუოდ გამოვსწორდებითო. ყველა ქურდი ხომ ერთნაირ ხმაზე მღერის. საკმარისია, სიფხიზლე მოგიდუნდეს, ქურდის ფიცილს ყური მიუგდო და ნახავ, ცოტა ხანში ხელახლა გეყოლება დასაჭერი. ამიტომ ამჯერადაც ისე ჩავუარე, კრინტის დაძვრაც ვერ მოასწრო ან იქნებ ვერც გაბედა. თვალი ამარიდა და ისიც კი ვიგრძენი, ცახცახებდა, ღმერთს მადლობას სწირავდა, ალბათ, ჩემისთანა ურჩხულს ცოცხალი რომ გადაურჩა.

ქურდი კაბინეტში მიცდიდა, კუთხეში, მიხრახნილ სკამზე იჯდა. ბავშვური, სუსტი ხელები მიტყუპებულ მუხლებზე დაეწყო და თვალები იატაკისათვის მიებჯინა. ერთხანს ჩუმად ვუყურებდი. განცდებისაგან დაღლილი, დაბნეული მთლად ბავშვად მომეჩვენა. უფრო იმ ასაკისა იყო, როცა ბავშვობა თავდება, კაცობის ჟამი კი ჯერაც არ დამდგარა. მოკლედ შეკრეჭილი თმაც ამას მოწმობდა. როგორ უნდოდა მოდური ვარცხნილობა ჰქონოდა, მაგრამ ვერ ამჩნევდა, კინკრიხოზე დაუმორჩილებელი თმის ბღუჯა რომ ზღარბივით ეპრიხებოდა.

ჩავახველე. ალმაცერად შემომხედა. მერე კი, მთელი საუბრის მანძილზე, თვალს ვერ მისწორებდა. მზერა ჯიუტად მიებჯინა საწერი მაგიდისათვის, თითქოს მისი ბედი იქ იჭედებოდა. რამდენიმე შეკითხვა მივეცი, სახელი, მამის სახელი, გვარი და ასე შემდეგ. ან რა უნდა მეკვლია. სამხილი — ალუმინის სამი თეფში მაგიდაზე მედო. თვითონაც არ უარობდა, რომ მოიპარა. არც იმის გარკვევას სჭირდებოდა დიდი იწილო-ბიწილო, თუ როგორ მოხდა ყოველივე. ისე ვიყავი დაღლილი, ერთი ძილი ქვეყანას მერჩივნა, ვერც ამ საქმეს გადავყვებოდი, მაგრამ მეორე მხრივ სამი თეფშისათვის კაცის გაწირვაც მიჭირდა და მინდოდა, მიმეკვლია დანაშაულის შემამსუბუქებული გარემოებებისათვის.

საქმის აღსაძრავად რაც საჭირო იყო, ლამაზად ჩამოვწერე (კალიგრაფია მართლაც სანაქებო მქონდა), დანარჩენს ხვალაც მოვასწრებდი. საათს დავხედე, უკვე შუაღამე გადასულიყო და ავჩქარდი.

— ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან, თუ შეიძლება! — თავი აიღო უცებ ქურდმა. ნაძალადევი უტიფრობით შემომყურებდა, მაგრამ ლოყების სიწითლე ვერ დაეცხრო და მუხლებზე დაწყობილი ხელების თრთოლვას ვერ იოკებდა.

— ხვალ რომ ყველაფერს, როგორც რიგი და წესია, ჩამომიკაკლავ, მაშინ მთხოვე!

— ჰო, რასაკვირველია, — დაბნეულად შემეპასუხა, — არც

ვმალავ, რომ დავაშავე... ქურდობა ცუდია, რასაკვირველია... თუმცა თეფში გვჭირდებოდა... ხომ იცით, ახალი ოჯახი გვაქვს, ხელისგულზე ხომ ვერ ვისადილებთ... ჩვენს ქარხანაში კი ოხრად ყრია...

— რა ყრია, ბიჭო, ოხრად? — გული მომივიდა. — ასე ყველამ სამ-სამი თეფში რომ წაიღოს, ხომ გახდა ის ქარხანა დასახური?

— რასაკვირველია... — ხმა მთლად ჩაუვარდა.

— ჰო, კაი, კაი, რა უნდა მთხოვო ისეთი? — მისმა დაბნეულობამ და სისაწყლემ გული მომიბრუნა.

— ჩემი ცოლიც დააპატიმრეთ!

— რა?

— ჰო, დააპატიმრეთ!.. ნაქურდალს ხომ ხელი გადააფარა, ჰოდა, თქვენც აიღეთ და დააპატიმრეთ!

— შენ რა, ცოლი შეგძულდა?

— იცით, ის ხომ მთლად ბავშვია. უჩემოდ, მარტო, ვერ გაძლებს, დაიღუპება... აქ კი ერთმანეთის გვერდით ვიქნებით, საჭმელს მაინც შეჭამს... გეფიცებით, მარტო რომ დარჩეს, შიმშილით მოკვდება...

— ვის ასულელებ შენ! — შევუღრინე. ისედაც დაღლილი ვიყავი, ახლა ამისი პამპულაობა მაკლდა სწორედ.

ენა ჩაუვარდა, მოიღუშა და ამ წუთიდან კითხვებზე პასუხს ძლივს ვექაჩებოდი, მეც გამაწამა და თვითონაც გაწამდა.

ღამის პირველ საათზე ჩემი მისია დასრულებულად ჩავთვალე. ბოლოს და ბოლოს მეც მქონდა უფლება, ცოტათი მაინც მომეტყუებინა თვალი.

ქურდი საკანში წავაყვანინე, ოქმი გადავათეთრე და კაბინეტის კარი გამოვიხურე.

პატარა ქალი კვლავ იქ იდგა. ტანისამოსი ზედ შეშრობოდა. სიცივისაგან მთლად გალურჯებულიყო.

— მოქალაქევ, შინ წაბრძანდით, ამ დერეფანში ხომ არ გაათევთ ღამეს! — საკმაოდ მეგობრული კილოთი ვუთხარი. ისიც კი ვიფიქრე, იქნება სამორიგეოში შევიყვანო, ღუმელთან მაინც გათბება-მეთქი. დერეფანში ხომ სკამი რომ სკამია, ისიც არ იდგა, მაგრამ ჩემგან არც ზედმეტი ყურადღება ივარგებდა და შინისაკენ გავეშურე.

ცოტა ხანს კიდევ ვფიქრობდი ქურდსა და მის ცოლზე. გუნებაში ვლანძღავდი, მაგ მამაძაღლს ჯერ ლუკმა ვერ უშოვია, რა დროს მისი ცოლი იყო-მეთქი. მერე ფიქრებმა სხვა მხარეებისაკენ გამაჯირითა და ეს ამბები გადამავიწყდა. ცხოვრება სავსეა მსგავსი წვრილი დანაშაულით, ყველაფერს გულთან ხომ არ მივიტანდი.

მხოლოდ ძილის წინ, როცა თვალი დავხუჭე, რატომღაც გამახსენდა, ბაზარში რომ იყიდება ხოლმე, ის სურათები: ვარდის ფონზე გულია ჩახატული და მის ორ პარკუჭში ქალისა და ვაჟის სახეებია. ორთავე უდარდელი ბედნიერებით არის აღსავსე, ან იქნებ — შიშით, რადგან მძიმეა ტვირთი ჭეშმარიტი სიყვარულისა... დილამდე ღრმა ძილით მეძინა. უთენია გამომეღვიძა და კვლავ ქურდი და მისი ჩიტივით პაწია ცოლი გამახსენდა. თავს ვუსაყვედურე, ნამეტანი გულჩვილი გახდი-მეთქი, მაგრამ ქურდის უცნაური თხოვნა გონებიდან ვერ ამოვიგდე.

ნასაუზმევს ტიტიკომ გამომიარა. არ წვიმდა, მაგრამ რუხი ღრუბლები ეკიდა ცაზე და ნესტით გაჯერებული ნიავი საყელოში გვიძვრებოდა. გზაში ბევრი არაფერი გვითქვამს. ტიტიკოს ის ქურდი გაახსენდა. სამსახურიდან გვიან წამოვედიო, მითხრა. ქურდის ცოლი სამორიგეოში შევიპატიჟე, ცოტა გათბი და შინ წადიო, მაგრამ ქალს თურმე ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია. „არ ჰყავთ პატრონი ამ ბაღნებს?“ — ამოიოხრა ტიტიკომ.

პატარა ქალი ისევ იმ ადგილას დამხვდა, კვლავ ისე მიყრდნობოდა დერეფნის კედელს, დაღლილობისაგან ფეხზე ძლივს იდგა. ერთი ღამის მანძილზე თითქმის მთლად დალეულიყო, ლოყები ჩასცვენოდა და თვალის უპეები ჩაშავებოდა.

შევწუხდი. უნდა დამეტუქსა ისევე, როგორც ბავშვებს ტუქსავენ, უნდა მეიძულებინა ახლავე შინ წასულიყო და ცოტა მაინც დაეძინა, მაგრამ მე რომ დამინახა, თვალებში ძრწოლა ჩაუდგა და ვერაფერი ვუთხარი. წამით შევყოვნდი კიდეც, იქნებ ხმა ამოიღოს და რამე მითხრას-მეთქი. თითქოს მოინდომაო, ბაგეები შეარხია. ალბათ, მესალმებოდა და მეც თავი დავუქნიე.

კაბინეტში წუხანდელი ოქმი გადავიკითხე. აქა-იქ ორთოგრაფიული შეცდომები, როგორც მესმოდა, ისე ჩავასწორე. მერე ქურდი მოვაყვანინე, ორიოდე წვრილმანი დავაზუსტე და ოქმზე

ხელი მოვაწერინე.

— მე და შენ საუბარი მოვათავეთ, ლატარია, ახლა ამას ჩემს უფროსს გადავცემ და ის გადაწყვეტს შენს ბედს!

ამას რომ ვეუბნებოდი, თან ვაკვირდებოდი. რა სწრაფად ცვლის ადამიანს ერთი მძიმე ღამე. რაღაცნაირად უფრო უღონო და დაბეჩავებული მომეჩვენა. თვალებში სევდა ჩასდგომოდა და ეს თუ უცვლიდა იერს.

— ავად ხომ არა ხარ, ლატარია?

— არა.

— იქნებ გშია?

— არა, ბატონო!

ფეხზე იდგა და ხელებს ხან უკან მალავდა, ხან ერთმანეთს შეატყუპებდა, მოკლედ, არ იცოდა სად წაეღო.

— რაღაც ვერა ხარ ფერზე.

— უფროსო, მე ციხისა არ მეშინია, თქვენ არ იფიქროთ, მაგრამ წუხელ რომ გთხოვეთ... — წვალებ-წვალებითა თქვა.

— ბიჭო, შენ გიჟი ხომ არა გგონივარ? თეფშები შენ მოიპარე, შენმა ცოლმა კი არა! უდანაშაულო ქალი დავიჭირო?

— უჩემოდ ვერ გაძლებს და რა ვქნა? — ისეთი უსაშველო სასოწარკვეთით მითხრა, გული დამეწვა.

საქაღალდე უხმოდ დავხურე და კაბინეტიდან გამოვედი.

ქალი ისევ იქ იდგა. ვიგრძენი, მითვალთვალებდა. ბოლოს და ბოლოს გადაწყვეტით უნდა მებრძანებინა, შინ წაბრძანდითმეთქი.

— მოქალაქევ, მე ხომ გითხარით...

— მაპატიეთ, ერთი სათხოვარი მაქვს, — ნაჩქარევად წაიჩურჩულა, თან სახეზე ათასნაირად შეეცვალა ფერი, ხან წითლად იტეტკებოდა, ხან კი ისე იცრიცებოდა, თითქოს სისხლისაგან სულ დაიცალაო, — თუ შეიძლება, მეც დამიჭირეთ!

სახტად დავრჩი. ისიც ვიფიქრე, ერთმანეთში მოილაპარაკესმეთქი, მაგრამ ქალის თვალში ისეთი შიშნარევი გულუბრყვილობა გამოსჭვიოდა, ამისი სიცრუე გაუგონარი რამ იქნებოდა.

— მაინც რატომ?

— ის ისეთი უსუსურია, თითქმის ბიჭუნა... უჩემოდ ვერაფერს შეძლებს, მთლად დაიღუპება... მე თუ გვერდით ვეყოლები, მოვუვლი, გადავარჩენ...

სიტყვა გავაწყვეტინე, ზურგი შევაქციე და უჩა ადამიასთან შევედი. ძველი ჩეკისტი ისე უჯდა მაგიდას, თითქოს წუხანდელს აქეთ არსად წასულაო. უხმოდ მომაჩერდა. პირისპირ, სკამზე ჩამოვჯექი, მზერა გავუსწორე და, თუმცა ფარული შიში გულს მიწიწკნიდა, გარეგნულად მშვიდად ვუთხარი:

— ამხანაგო უჩა, მე თქვენი ახალი თანამშრომელი ვარ, რა თქმა უნდა, თქვენოდენა გამოცდილება და ინტუიცია არა მაქვს, მაგრამ მინდა ვიცოდე, ჩემს ალღოს ენდობით თუ არა?

— ისეთი რა მოხდა? — კითხვა შემომიბრუნა და მის ხმაში ამჯერად ჩვეული სიმკაცრე ვერ ვიგრძენი.

— საქმე იმ ქურდს ეხება... — და მოკლედ მოვახსენე ცოლქმრის ამბავი.

სახეზე არაფერი შეცვლია, კუნთიც არ შეტოკებია. წამით ისიც კი გავიფიქრე, ტყუილად ვაცოდებ-მეთქი დამნაშავეს. მაინც გავაგრძელე ლაპარაკი, თუმცა მისმა მდუმარებამ ამაბნია, სათქმელს კარგად ვერ მოვაბი თავი, ბოლოს მთლად გავჩუმდი და საკუთარი უმწეობით დათრგუნვილმა თვალი უნებლიეთ ძირს დავხარე.

— აბა, დამაცადე, ერთი შენს რომეოსა და ჯულიეტას შევხედავ!

თავი ავწიე და თვალი უჩა ადამიას კიტელსღა მივადევნე. ნახევარი საათი მაინც ვუცადე. ალბათ დავავიწყდი-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ნაბრძანები მქონდა „მომიცადეო“ და ადგილიდან ფეხს ვერ მოვიცლიდი.

მერე მტკიცე ნაბიჯის ხმა მომესმა. მხედრულად გამართული შემოვიდა უჩა ადამია. მხნედ გამოიარა და თავის ადგილზე დაჯდა. პირველად ჩვენი ნაცნობობის მანძილზე ეშმაკური ღიმილით მომაცქერდა.

— ამის გამო იქნებ სამსახურიდან მომხსნან, მაგრამ... ეჰ, სიყვარული მაგარი რამაა, ყმაწვილო!

და ალუმინის სამი თეფში საწერი მაგიდის უჯრაში ჩაკეტა.

კრებულები: „პირველი ზეკარი“, გამომცემლობა „ნაკადული“, 1983
და „კუნძული“, გამომცემლობა „საქართველო“, 1988.

ტრამაღეების სევდიანი სიმღერა

1

ნაშუადღევს ცაზე მძიმე, შავი ღრუბლები ჩამოწვა. მოიქუფრა. ჰაერი არ იძროდა. ისე დაიხუთა, სუნთქვა ჭირდა. მერე უცბად დაიგრიალა და კოკისპირულმა წვიმამ დასცხო. აქამდე გარეთ, სკამებზე მსხდარი მგზავრები წამოიშალნენ, თავიანთი ბარგი-ბარხანით აეროპორტის შენობას შემოაფარეს თავი. ფართო დარბაზები დავიწროვდა. ნესტით გაჯერებულ ჰაერში მგზავრთა ხმამაღალი ყაყანი ერთ უწყვეტ ბუბუნად ჩამოეკიდა.

— ფრენას კვლავ გადადებენ! — გოგიმ დამნაშავის თვალებით შემომხედა. მზერა ამარიდა და კვლავ ფართო მინას მიაშტერდა. მინაზე უამრავი წვრილი ნაკადი დაიქსელა. წვიმის ფარდის მიღმა ჩაიკარგა ვრცელი აეროდრომი. შენობასთან ახლოს მდგომი ორიოდე თვითმფრინავის ვერცხლისფერი სილუეტი თუ გამოკრთებოდა ხანდახან.

— იქნებ არც გავფრინდეთ, ჰა? — ყოყმანით დავეკითხე.

გოგიმ მხრები აიჩეჩა. მეც გავჩუმდი. რაღა დროს ყოყმანი იყო. ბილეთები ძლივს გავახერხეთ. არც ვიცოდი, სად მივყავდი, წინ რა საქმე გვედო, მაგრამ ერთი თვის შვებულება მქონდა და გოგის უსიტყვოდ გამოვყევი.

გაფრენა უკვე მესამეჯერ გადაიდო. მგზავრები ღელავდნენ. აეროპორტი სკასავით ზუზუნებდა და მოუთმენელი ბრბო „ცნობათა ბიუროს“ აწყდებოდა. გოგის მხრები უხერხულად ჩამოეყარა, თითქოს მისი ბრალი იყო ეს უცაბედი უამინდობა, სოხუმის აეროპორტში რომ გამოგვკეტა. მე მოთმინებით ველოდი, თუ როდის ამიხსნიდა ყოველივეს. გადატანილი ტრაგედიის შემდეგ ისე შეცვლილი მეჩვენებოდა, აუწონავ სიტყვას ვერ ვუბედავდი.

— ეჰ, დღეს პლაჟზე რომ გავედი, რა გოგონები ვნახე?! — ფრთხილად ჩავაწვეთე. სოხუმიდან წასვლა დიდად არ მეპიტნავებოდა, მაგრამ აშკარად არაფერს ვამბობდი, რადგან გოგის გადარწმუნება შეუძლებელი იყო.

— ყურადღება!.. მოქალაქე მგზავრებო!.. — რეპროდუქტორის ხრინწიანი ხმა ჩაიხშო მგზავრთა რუზრუზში და წვიმის გაუთავებელ დგანდგარში.

მივხვდი, რომ ჩასასხდომად გვიხმობდნენ. ტვირთი არაფერი გვქონდა, მსუბუქი ჩემოდნების გარდა, და გასასვლელისაკენ გავემართეთ.

კართან ხელი მტაცა, შემაჩერა. პირისახეზე სიფითრე მოეძალა. მღელვარების დაფარვას ცდილობდა და ციებიანი მზერა განზე წაიღო. გაურკვეველმა შფოთმა შემიპყრო.

— გუჯა, თუ გეზარება, ნუ წამოხვალ! ხომ იცი, მარტოც იოლას გავალ!

— გიჟი ხომ არა ხარ! — გასასვლელისაკენ მხრით ვუბიძგე და უკან მივყევი.

ავტობუსი ტროტუარის პირას, ათიოდე ნაბიჯზე იდგა. სანამ იქამდე მივაღწევდით, წვიმამ პერანგში გაგვატანა. გოგი ჩემ წინ გარბოდა. წამით თვალი შევავლე მის მოხრილ ბეჭებს და სიბრალული ვიგრძენი. ახლაღა დავრწმუნდი, ღრმად და მტკივნეულად განიცდიდა ობლობას. ავტობუსის სივიწროვეში, სველ მხრებზე ხელი მოვხვიე, მინდოდა ხმადაბლა მეთქვა, — გამაგრდი, ჯიმა, არც ისე პატარა ხარ, მძიმეა დანაკარგი, მაგრამ შენს ასაკში ეს ბევრს ემართება... ხმა ვერ ამოვიღე, ავტობუსი ნელა გასრიალდა ბეტონის გზაზე და წვიმიდან აუჩქარებლად გამოტივტივდა ვერცხლისფერი საჰაერო ლაინერი.

უკვე სალონში, ერთმანეთის გვერდით რომ ვისხედით, აზრს ძალა დავატანე, იქნება რამე გასამხნევებელი სიტყვა მომაგონდეს-მეთქი, მაგრამ ენის დაძვრა გამიჭირდა. არც იყო საამისო ვითარება. მგზავრები მიმოდიოდნენ. მოურიდებლად ქაქანებდნენ, სივიწროვეში ერთურთს ეჯახებოდნენ, ყველა თავის ადგილს ეძებდა და ამ ალიაქოთს მოთმინებიდან გამოვყავდი.

ნესტი შემომეტმასნა. ჰაერში ანაორთქლი ირხეოდა. ილუმინატორი წვიმის წვეთებს გადაესერა, ზედ კი თეთრი ნისლი დაჰფენოდა. მის მიღმა ბუნდოვნად ისახებოდა აეროპორტის შენობა.

ამ უფერულმა, მქრქალმა სურათმა გუნება გამიფუჭა. სევ-

და შემომეპარა, გულში ჭუჭკად ჩამიჯდა, ძველი ამბები გამახსენა. კაცმა რომ თქვას, შესაწუხი მაინცდამაინც არაფერი მჭირდა. ბედს არ ვემდუროდი. სკოლა, უმაღლესი, სამსახური, ყველაფერი ისე აეწყო, ალბათ უფალი ღმერთი მმფარველობდა. უფრო კი მამაჩემი, რადგან ოჯახში ერთი ბიჭიღა ვიზრდებოდი. აქამდე არც გოგის გამოუთქვამს ბედის სამდურავი, ყოველ შემთხვევაში, მის სახეზე სევდის ნაკვალევი არასოდეს შემიმჩნევია. თუმცა იქნებ კარგად ვერ ვაკვირდებოდი!

არც კი მახსოვს, ერთმანეთი როდის გავიცანით. თავდაპირველად სხვა თანაკლასელებისაგან არ გამომირჩევია. მერე მამაჩემმა მათი ეზოს მეზობლად ორსართულიანი სახლი იყიდა და იქ გადავედით. ჩემი ოთახის ფანჯრიდან კარგად ჩანდა ციცქნა, მიწას მიტკეპნილი ქოხი, გოგისა და მის დედას რომ ეკუთვნოდათ. ამ დღიდან ალბათ ერთად მოგვიწევდა სკოლაში სიარული. ეს ამბავი ხომ უნდა მეცნობებინა გოგისთვის და მის ეზოჭიშკარს მივაშურე.

— ჰეი, მიყურე! — მომესმა ბიჭის ხმა. ხელში გრძელი ჭოკი ეჭირა. გამოქანდა იმ ჭოკით, ახტა და... აბა, როგორ გითხრათ? ქოხი ხომ დაბალი იყო. ელდენის მავთულებიც დაბლა უერთდებოდა, ჰაიჰარად ჩამოეკონწიალებინათ. პატარა ბიჭი სწორედ ამ მავთულებს შორის გასხლტა და მოლზე დაეცა. ჭოკი მავთულებს მიენარცხა. მავთულები აქანავდა, ნაპერწკლები ჰყარა. შიშისაგან მე ჩემი დამემართა, ბიჭი კი, აქაოდა არაფერი მომხდრაო, ღიმილით სახეგაბადრული წინ გადამიდგა.

— როგორია, ჰა?

არ ვიცი, რამ მიბიძგა, დაუფიქრებლად გავუქანე და ყბაში ვუთავაზე. წამით შეცბა. მეც დავიბენი და საბოდიშო სიტყვა ვერ ამოვღერღე. ამასობაში უსიტყვოდ მეცა. კარგა ხანს ვიკოტრიალეთ მდელოზე. გამშველებელი არავინ ჩანდა. არაქათი რომ გამოგვეცალა, ქოშინ-ქოშინ შემეკითხა:

— რატომ გამარტყი?

— დენს რომ დაერტყა, უკეთესი იქნებოდა?

ცივად მიშვა ხელი...

გუგუნმა ფიქრი დამიფრთხო. ჩასხდომა დამთავრდა, ძრავებს ახურებდნენ. მცირე ბიძგი და ნელ-ნელა დავიძარით ასაფრენი ბილიკისაკენ.

წვიმა შეწყდა.

აეროდრომის შორეულ კუთხეში ნისლს გამოეყო მიწისპირზე კუტკალიებივით დაყუნცული ვერტმფრენები.

გოგიმ ამოიხვნეშა.

— ხომ არ გეძინება? — ბოლოს და ბოლოს უფლება მქონდა ახსნა-განმარტება მომეთხოვა.

შემომხედა. თვალი გავუსწორე. პირისახე ილუმინატორისაკენ მიაბრუნა.

— გუჯა, თუ ძმა ხარ, ნურაფერს შემეკითხები!

მკლავზე მოვუთათუნე, არც ვაპირებდი-მეთქი, თუმცა ცნობისმოყვარეობა მწვავდა.

თვითმფრინავი ასაფრენ ბილიკზე გავიდა. ერთხანს ადგილზე იდგა და გუგუნებდა, თითქოს ნახტომისათვის ემზადებაო. თანდათან უმატა გრაილს. ადგილს მოსწყდა, გაირბინა. სავარძლის ზურგი მჭიდროდ მომეკრა. ყოველთვის დაძაბული ინტერესით ველი წამს, როცა შასები ბეტონის ბილიკს მოშორდება. სიმყარეს ენაცვლება უწონადობის წამიერი განცდა. ტანზე- ბუსუსებს მაყრის. ყოველივე საფიქრალისაგან ვიცლები და მცირე ხნით შიშნარევი აღტაცება მეუფლება.

მოხდენილმა სტიუარდესამ გამოიარა. ჩემს სავარძელთან შეყოვნდა. გავუღიმე, მან კი მკაცრი მზერა შემავლო.

— თქვენ ქამრის შეკვრა დაგავიწყდათ!

— სიხალვათე მიყვარს, ლამაზო! — პასუხში ქათინაური გავურიე, მაგრამ ქალიშვილი ცივად გამშორდა.

ფიქრით ისევ წარსულს დავუბრუნდი, რადგან იქ ვეძებდი ამ მოულოდნელი და უცნაური მოგზაურობის მიზეზს...

...დეიდა ვარას მსგავსი ქალი მეორე არ შემხვედრია. ლამაზი თითქოს არ ეთქმოდა. ან რა მესმოდა შუახანს მიტანებული მანდილოსნის სილამაზისა. თანაკლასელის დედა იყო და პირველად სადილობისას რომ შევესწარი, ისე დავიმორცხვე, სუფრასთან ძლივს მიმათრიეს, ჭამით კი ლუკმაც ვერ გადავყლაპე. საოცრად ცხადად ვიგრძენი დეიდა ვარას დედობრივი სითბო. ამან ისე მიმიზიდა, ჩემი თავი არაერთხელ დამიჭერია სურვილზე, თავის ბიჭს რომ ეფერება, მეც ისე მომეფეროს-მეთქი.

პირზე მუდამ ცოტათი ნაღველნარევი ღიმილი დაჰკრავდა და ხანდახან, ეს ალბათ მეჩვენებოდა, თვალის უპეში ცრემლი გაუკრთებოდა. მეჩვენებოდა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მეგონა, დეიდა ვარას არ უნდა ჰქონოდა რაიმე სადარდებელი. დედამიწის ზურგზე ალბათ არ მოიძებნებოდა კაცი, ვინც გულში მის წყენინებას გაივლებდა. ჰოდა, მეც ისე შევეჩვიე დეიდა ვარას, ერთი საათი თუ შინ ვიყავი, ორი საათი მათთან ვეგდე. ის კი არა და, მოწაფეობის ხანს, შინ თუ სადილი დამიგვიანდებოდა, უმალ დეიდა ვარასთან გადავირბენდი. იქ ყოველთვის მელოდა ჩემი არჩივი და მე და გოგი ერთად ვსადილობდით. დეიდა ვარას სამსახურში მიეჩქარებოდა, ჩვენ კი მარტონი ვრჩებოდით, მომხედავი არავინა გვყავდა და ყირაზე გადავდიოდით. საღამოჟამს, როცა დეიდა ვარა უნდა გამოჩენილიყო, წიგნებს მივუსხდებოდით, მეცადინეობით გადაღლილებივით ჩავყვინთავდით. დეიდა ვარას თვალები გაუბრწყინდებოდა. ორივეს თანაბრად გადაგვისვამდა თავზე ხელს და მე მინდოდა დამელოცნა ის თბილი ხელები. „გეყოფათ ახლა, მთლად ნუ გადაყვებით მაგ წიგნებს, ცოტა ბურთიც ითამაშეთ!“ — გვეტყოდა დეიდა ვარა და ეზოში გაგვყრიდა...

— ხომ არ ინებებთ? — თავზე წეღანდელი სტიუარდესა დამდგომოდა. ლანგარზე ლიმონადით და მინერალური წყლით სავსე ჭიქები ეწყო, ადრინდელი სიმკაცრე არ ეტყობოდა. კვლავ გავუღიმე. ამჯერად ოდნავ ჩაიღიმა. გუნებაში უმალვე ათასნაირი მიმზიდველი გეგმა ავაწყე. ქალიშვილი პასუხს ელოდებოდა. განგებ ზოზინით ავიღე ჭიქა „ბორჯომი“, თან მრავალმნიშვნელოვნად შევციცინებდი თვალებში. ჭიქა გოგის გადავაწოდე, თვითონ კი გულზე ხელი მივიდე, აქაოდა მადლობელი ვარ, მაგრამ არ მინდა-მეთქი.

სტიუარდესა უხმოდ გამშორდა.

— კარგი გოგოა, — გადავუჩურჩულე გოგის. საწყლად გამიღიმა. ფიქრში ჩაფლულმა ალბათ ვერ გაიგო, რაც ვუთხარი, ან სულაც არ შეუხედავს ქალიშვილისათვის. ბოლო დროს ქალებს მაინცდამაინც არ სწყალობდა, ის კი არა და, არც ამხანაგ-მეგობრებსა და თანამშრომლებს აქცევდა ყურადღებას, თითქოს მზერა შიგნითკენ შეიბრუნა და, რაც გარშემო ხდებოდა, მას არ ეხებოდა.

— მოსკოვში თუ დავრჩებით, ტელეფონის ნომერსა ვთხოვ.

— მოსკოვში ვერ გავჩერდებით! — იმედი უცბად გადამიწურა და ილუმინატორისაკენ შებრუნდა. ამოვიოხრე, ვიფიქრე, კარგი შვებულება გამომივა ასეთი უჟმური მეგობრის გადამკიდეს-მეთქი. სტიუარდესაზე ფიქრი თავიდან ამოვიგდე და მეც ილუმინატორს მივაცქერდი. მის მიღმა თეთრი, ფუმფულა ღრუბლები ცის კიდემდე განფენილიყო, სივრცეს ნელი ზოზინით შესეოდა ურიცხვი ფარა, ზევიდან კი მუქ-ლურჯად მოსარკული ზეცა ხუფივით ეხურა თვალსაწიერს...

არა, ქალთა მიმართ გულგრილი სულაც არ იყო, მეორეჯერ ჩხუბი სწორედ გოგოს გამო მოგვივიდა. ჟუჟუნა ჩვენს კლასში სოფლიდან გადმოიყვანეს. შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, თორემ მასზე ლამაზი გოგონები კლასში ბლომად გვყავდა. ჟუჟუნას რატომღაც პირველსავე დღეს მზეთუნახავის ოქროს გვირგვინი დავადგით. ურიგო გოგო როდი იყო, მაგრამ ახლა რომ ვიხსენებ, არც ზღაპრის ფერია გახლდათ. დიდრონ ცისფერ თვალებს გულუბრყვილოდ აფახულებდა და ჯადოსნურ ღიმილს ყველას თანაბრად გვინაწილებდა. თანაც ამას ისე ახერხებდა, ყოველ ჩვენგანს ეს ღიმილი თავისი საკუთრება ეგონა. სხვა ბიჭებმაც ცეცხლზე ნავთი დაგვისხეს, სეირის ყურება ხომ ყველას უხარია. რა ჩარა იყო და ამხანაგურად ვიჩხუბეთ. ოღონდაც, წინასწარ გადავწყვიტე, ჯანდაბას ჩემი თავი, ვეცემინები და ის იქნება-მეთქი. აბა, მართლაც ხომ არ დავარტყამდი გოგის. თურმე იმასაც გადაუწყვეტია, ვეცემინებიო. ჰოდა, ჩხუბის მაგიერ მამლაყინწების კინკლაობა გამოგვივიდა. ბოლოს ორივეს სიცილი აგვიტყდა, რითაც სეირის მოყვარულნი გავანაწყენეთ. რას გვამაიმუნებთო, შარი მოგვდეს და ახლა ორნი ვჩხუბობდით ყველას წინააღმდეგ. კაი მაგარი ჩხუბი გამოგვივიდა, თუმცა ჩვენც კარგად დაგვიზილეს გვერდები. შინ რომ კოჭლობ-კოჭლობით ვბრუნდებოდით, გოგიმ თქვა, მოდი კენჭი ვყაროთ, ჟუჟუნა ვისი საბედოცაა, იქ გამოჩნდებაო. დავეთანხმე, მაგრამ ეს საქმეც მომავლისათვის გადავდეთ, არ გვინდოდა რომელიმეს გული დაგვწყვეტოდა. ამასობაში საიდანღაც გამოტყვრა ერთი ჭოკივით უდროოდ წამოზრდილი ყმაწვილი,

მანქანაში ჩაისვა ჩვენი ტურფა და თვალსა და ხელს შუა გაგვიქრო... ასე და ამგვარად, მე და გოგი პირველი კურსის სტუდენტები რომ გავხდით, ჟუჟუნა მასავით ცისფერთვალება გოგონას ურწევდა აკვანს...

სტიუარდესამ ჭიქის წასაღებად გამოიარა. გადავაწოდე, ცოტათი გავენაზე.

— გოგონა, გენაცვალე, სად ვიმყოფებით?

— ჰაერში! — მოკლედ მომიჭრა, თან გოგის ინტერესით შეავლო თვალი.

— ჰე, ბიჭო, შენ მოეწონე! — მხარი ვკარი.

ძლივს გამოერკვა.

— მორჩი ერთი!

რა სწრაფად გადის დრო! თითქოს ახლახან იყო სტუდენტობის წლები. მე და გოგიმ ერთად დავიქირავეთ ციცქნა ოთახი ვაკეში. ხან დედაჩემი გვაკითხავდა, ხან დეიდა ვარა... ისწავლეთ, შვილებოო, რიგრიგობით ჩაგვჩიჩინებდნენ. ჩვენც ვსწავლობდით... გოგონების გულის მონადირებას. ისე სწრაფად შეგვიყვარდებოდა ხოლმე ახლადგაცნობილი გოგონა, წინა სატრფოს მოძულებას ვერც კი ვასწრებდით. ამასობაში დრომ ელვის უსწრაფესად გაირბინა. მოვიხედეთ და აღმოჩნდა, თურმე სერიოზულად არავინ გვყვარებია. დეიდა ვარა სულ იმას გვეხვეწებოდა, შვილებო, აგრე ნუ დამიბერდებით, ცოლი შეირთეთ, შვილიშვილები გვენატრება, ჩვენს ასაკში აწი ბებია უნდა დაგვიძახონო... გოგი ჩუმად გაილურსებოდა, ხმას არ ამოიღებდა, მე კი თვალთმაქცურად მივექლესებოდი, დეიდა ვარა, რა დროს თქვენი ბებიაობაა-მეთქი. მეგონა, არ დაილეოდა ჩვენი დრო, მაგრამ მიჰყვა წელი წელს და ეს მაშინღა ვიგრძენი, როცა მეათეკლასელმა გოგონამ მკითხა: „ბიძია, რომელი საათია?“

თითქმის ერთი საათი მივფრინავდით უკვე. მომეწყინა, მთქნარება ამიტყდა. „ჰე, ბიჭო...“ — მივუბრუნდი გოგის და სიტყვა გამიწყდა. თავი სავარძლის ზურგისათვის მიეყრდნო და მშვიდად ფშვინავდა. სახე დაწყნარებული ჰქონდა, ფერიც მოსვლოდა. ლამაზი ჭაბუკი იყო, გოგონებს ჩემზე მეტად ის მოსწონდათ და უნდა ვაღიარო, სადღაც გულის კუნჭულში ეს მწყინდა. მე უფრო ევროპელს ვგავდი და მაინც გოგონები ტუჩს მიბზუებდნენ, ის კიდევ ტაფაზე მოხრაკულსა ჰგავდა და ზედ აწყდებოდნენ. ერთხელ გავეხუმრე, რა ბოშასავით ლამაზი ხარ-მეთქი. სიკვდილის ფერი დაედო. ენა მოვიკვნიტე, თუმცა ვერ მივხვდი, რატომ ეწყინა. ნათქვამი როგორღაც მივაფუჩეჩე... ახლა მძინარეს ვუთვალთვალებდი და მეგონა, რომ გადაშლილ წიგნს ვკითხულობდი: აი, ბავშვივით სძინავს ჩემს მეგობარს, — ვეუბნებოდი საკუთარ თავს, — ის თითქოს მთლიანად განიარაღებულია, ნიღბები ჩამოხსნილი აქვს, ვერაფერს დამიმალავს, რასაც ფიქრობს, პირზე აწერია... პირზე გოგის ტანჯვის კვალი აჩნდა... დეიდა ვარას შემდეგ ვერ მოიხედა!.. სხვა დასკვნა მაშინ აზრად არ მომსვლია. გასაკვირი აქ არაფერი იყო. მე ხომ ვიცოდი, როგორ უყვარდა დედა, ან როგორ არ ეყვარებოდა სიკეთის ისეთი განსახიერება, როგორიც დეიდა ვარა იყო. მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. არ შეიძლება შვილი შეეწიროს ამ მწუხარებას, ეს ეწინააღმდეგება ბუნების კანონს.

ფიქრით კი ასე ვფიქრობდი, მაგრამ თვითონაც არ შემეძლო გულისტკივილის გარეშე დეიდა ვარას გახსენება. წუთისოფლის სიმუხთლის დასტურად მეჩვენებოდა, რომ დეიდა ვარა ერთ დღეს არ გათავდა. ვის რად დასჭირდა წლების მანძილზე ეწამებინა საბრალო ქალი. იქნებ ჩვენ თვითონ ვიყავით დამნაშავენი, დროზე ვერ მივხედეთ. თავდაპირველად არაფრად ჩაგვიგდია მისი ავადმყოფობა. ყოველდღე სიცხეებს აძლევდა. გაცივდა ალბათო, უბნის ექიმმა დაგვამშვიდა. მაგრამ დღეები წაეწყო ერთიმეორეს, მერე თვეებიც და წელიც გავიდა. დეიდა ვარა კი დნებოდა და დნებოდა... მერე თბილისში თირკმელი ამოუღეს. იმედიანად მოიხედა. გოგო ავადმყოფური გზნებით ამტკიცებდა, ადამიანი ცალი თირკმლითაც დიდხანს ძლებსო. არც არავინ ეკამათებოდა, მაგრამ ის მაინც თავისას გაიძახოდა, ალბათ საკუთარ თავს ირწმუნებდა. ერთი პირობა, მართლაც მოიკეთა დეიდა ვარამ, ფეხზე დადგა. მერე კი ყველაფერი კვლავ უკუღმა შეტრიალდა...

უკანასკნელად სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე ვნახე. მთლად დალეულიყო, ლოგინს ძლივს აჩნდა. ყელში რაღაცამ წამიჭირა, კინაღამ ავზლუქუნდი. თავი ძლივს შევიკავე. ღიმილის მაგიერ საცოდავად დავიჭყანე და უგერგილოდ გავეხუმრე:

დეიდა ვარა, ჩემი თავი გენაცვალოს, მალე მოკეთდი, ცოლი მომყავს ოქროსთმიანი, ჩემს ქორწილში უნდა გაცეკვო-მეთქი. სუსტად გამიღიმა, ჰო, შვილო, მალე მოიყვანე, ამ ჩემს სულელსაც გაურიგე ვინმე, თორემ ხომ ხედავ, როგორ დამიბერდაო...

ამის გახსენებაზე თვალი ამიწყლიანდა. თავი ავწიე და სტიუარდესას გაოცებულ მზერას შევეჩეხე. შემრცხვა.

— საწყენია! — ჩავიდუდუნე.

— რაა საწყენი? — გოგიმ თვალი გაახილა.

— მოსკოვში რომ არ ვრჩებით! — თან სტიუარდესაზე მივუთითე.

გოგიმ არაფერი თქვა.

ილუმინატორს მიღმა ცას მქრქალი ფერი მოედო. დედამიწას თხელი ბინდი ეფინებოდა. ნათურების მწკრივებმა გადაჰკვეთეს გარეუბნების ფიჭვნარები...

ლაინერი უკვე ეშვებოდა...

2

მოსკოვში ხშირად მიწევს მივლინებით ჩასვლა. ამიტომაც უამრავი ნაცნობ-მეგობარი მყავს. ამჯერად ერთი საათიც არ დავრჩენილვართ, უბრალოდ დარეკვა და შეხმიანება ვერ მოვასწარი... შერემეტიევოს აეროპორტიდან პირდაპირ კურსკის ვაგზალში მივგრიალდით. ენის წვერზე მიტრიალებდა, რა გვეჩქარება, შე კაი კაცო, წინ მთელი თვე გვაქვს, მოდი, ერთიორი დღე დავრჩეთ, გავისეირნ-გამოვისეირნოთ, დრო გავატაროთ-მეთქი, მაგრამ გოგის აბნეულ მზერას რომ წავაწყდებოდი, ენა მუცელში მივარდებოდა. თვითონ კი მთელ გზაზე, სანამ მანქანიდან ჩამოვიდოდით, ხმა მხოლოდ ერთხელ ამოიღო, კურსკში მივემგზავრებითო, მაცნობა.

ამასობაში კიდეც შემოგვაღამდა. მატარებელი ნახევარ საათში გადიოდა და ვჩქარობდით. კიდევ კარგი, იმ გაწამაწიაში მოვასწარი მინერალური წყლისა და ბუტერბროდების ყიდვა, თორემ გოგის ჭამა არც გახსენებია.

კუპეში ჩვენს მეტი არავინ იყო. იქნებ როგორმე გავამხიარულო-მეთქი, ჭკუამსუბუქი კაცის როლი გავითამაშე. ორი-სამი მაგარი ანეკდოტი ჩამოვაბულბულე. ვაგონის გამცილებელს ცხელი ჩაი მოვატანინე, თან ის ანეკდოტები იმასაც შევასაღე. მერე ცოტა წავიღიღინე, ცერებზეც შევდექი, ცეკვა-თამაში უნდა გავმართო-მეთქი. გოგი სევდანარევი ღიმილით შემომყურებდა, თითქოს მეუბნებოდა, შენც მოისვენე და მეც მომასვენეო. ხანდახან გავჩუმდებოდი, ხომ უნდა გამომეგონებინა ახალი გასართობი. ის კი უცბად ეთიშებოდა აქაურობას, სადღაც ზმანებათა სამყაროში გადაეშვებოდა. ვგრძნობდი, იმ წუთებში მისთვის არ არსებობდა ეს ვაგონი, ვიწრო კუპე, არ ვარსებობდი მეც — გუჯა გობეჩია... ამ აზრს ვერ ვურიგდებოდი და ისევ და ისევ ვასარსალებდი ენას, ვიხსენებდი ახალ ანეკდოტებს. სხვა დროს ალბათ ბევრს ვიხარხარებდით, მაგრამ ახლა ჩემი ხმა თითქოს ცივსა და ყრუ კედელს აწყდებოდა.

ყბედობის სენით ბოლოს და ბოლოს არც მე გახლდით შეპყრობილი. თანდათან ხალისი დამეკარგა, მერე კი სულ გავჩუმდი. კარგა ხანს უბრად ვისხედით, ფანჯრის მინაზე საკუთარ გამოსახულებებს ვუბღვერდით... ნათურა გამოვრთე. ახლა ფანჯარას სიბნელე მოაწვა... ცაზე დაცალებული ვარსკვლავი მიექანებოდა... წყვდიადში იშვიათად გამოკრთებოდა შორეული დასახლებების ელნათურები... მეზობელი კუპეებიდან დაფენილი სინათლის ოთხკუთხედები გარბოდა მიწაყრილზე... გზის გასწვრივ კი შავად მიიგრაგნებოდა ბნელი ტყე...

უჩუმრად ვისხედით ბნელ კუპეში, ჩვენ-ჩვენს ფიქრებში ჩაფლულნი. ყოველივე ამქვეყნიურს გამოვეთიშე. მე — გუჯა გობეჩიას დამავიწყდა, სად ვიყავი, ვისთან ერთად ვიჯექი, ვინ ჩამკეტა აქ?.. ბნელში მიმალული კაცი კი იქნებ უკვე არ იყო გოგი კანკავა, ვიღაცა უცხო შემოიპარა, წინ დამისკუპდა და მითვალთვალებს...

რელსებზე ბორბლების რიტმული დაგადუგი გაძლიერდა. ტორტმანით მიქროდა ვაგონი და ეს უწყვეტი რხევა მინანავებდა.

თანდათან ნაღველი დამეუფლა, ყელში წამიჭირა, ჰაერი არ მეყო და ამოვიოხრე.

— უმჯობესია დავწვეთ, იქნებ ჩაგვეძინოს! — ჩემი ხმა ცივ სიცარიელეში შთაინთქა. ვერ მივხვდი, გაიგონა თუ არა ჩემმა

თანამგზავრმა. იქნებ ის მხოლოდ საკუთარი გულის ჩივილს უგდებდა ყურს და ჩემი სიტყვები მის სმენაზე ასხლტა...

მორიგ სადგურთან გავიარეთ. წარწერა ვერ წავიკითხე. თეთრი ვაგზლის ურიცხვი ნათურები ჩახჩახებდა. ბაქანზე მგზავრები იდგნენ და მათი ცნობისმოყვარე მზერა ფანჯრების ზედაპირზე ირეკლებოდა. კუპეში წამით სინათლე ჩამოეფინა, გოგის სახეზე გადაურბინა. სუსტმა სინათლემ სახის ფერი უფრო გაუცრიცა. გაყინულ თვალებს კი ფოსფორის ციმციმი შეატოვა. ალბათ მომეჩვენა, მაგრამ შიგ ენით გამოუთქმელი დარდი დავლანდე.

— გოგი, — ხმადაბლა დავუძახე, ხელზე მოვუჭირე, — სინათლე ხომ არ ავანთო?

— არა! — ნერვული აჩქარებით მიპასუხა.

— გოგი! — რაც შეიძლებოდა რბილად ვთქვი. — მშობელი დედა ვის არ ყვარებია, შე კაცო...

სიბნელეში მის გამომეტყველებას ვერ ვხედავდი და ლაპარაკი მიჭირდა.

— გუჯა, შენთან დამნაშავე ვარ...

პასუხმა დამაბნია, არ ვიცოდი, რას გულისხმობდა. ნაძალადევი, არაფრისმთქმელი სიტყვები შევაგებე:

— არა გრცხვენია, ბიჭო? რას ლაპარაკობ!

— ჰო, მოვეშვათ ახლა ამას! — კვლავ თავის ნაჭუჭში ჩაიკეტა. მეც გავჩუმდი, ლოდინი ვარჩიე.

მატარებელმა ხიდზე გადაირბინა. ისეთი გრიალი ატეხა, თითქოს გადავარდნას აპირებსო. მერე კვლავ ველებში გაიჭრა. ვაგონის ტაატით რხევას ბორბლების თანაბარი დაგადუგი შეერწყა.

ბნელში გაყუჩებული გოგი შეირხა, ჩაახველა, თითქოს სიტყვა ყელში გასჩხეროდა.

— კარგა ხანია, ერთი ამბავი მინდოდა მეამბნა... — ჭოჭმანითა თქვა.

ჩემმა დუმილმა გაათამამა, კვლავ წამოიწყო:

— ერთი კაცის ვინაობა მინდა გავარკვიო. სახელს ვერ გეტყვი, რადგან იმ კაცს თვითონაც ვერ გაუგია საკუთარი ვინაობა... თითქოსდა ერთ სხეულში ორი სული დასადგურებულა.

— რაღაც რებუსებით მელაპარაკები! — ხმა იმიტომ ამოვიღე, ბნელში ვერ მხედავს და არ გაჩუმდეს-მეთქი.

— ადვილად გასახსნელი რებუსია, — გულმოკლულად ამოიოხრა, — სიუჟეტიც მარტივია. მსგავსი ამბავი კინოშიც ბევრჯერ გინახავს, ალბათ წიგნშიც წაგიკითხავს... მაგრამ კინო სხვაა, საკუთარი თვალით დანახული რეალობა კიდევ სხვა...

კარზე დააკაკუნეს. ვაგონის გამცილებელმა შემოიხედა, ჩაის ჭიქები გამატანეთო. მხიარულ გუნებაზე იყო, ალბათ ყლურწა კიდეც, მაგრამ ჩაბნელებულმა კუპემ დააფრთხო, ძილი ნებისა გვისურვა და გაიძურწა. პასუხი არ გამიცია, ფიქრებით სხვაგან დავქროდი.

— საკუთარი თვალით? — აბნეულად დავეკითხე.

— იმ კაცის თვალით... — ხმაში გაღიზიანება შეეტყო, — ხანდახან უთქმელადაც მიმიხვდები, ხან კი...

— ჰო, ჰო, — შემრიგებლურად შევეპასუხე.

ჩემმა წამოძახილმა თითქოს დაამშვიდა. ხმა დაურბილდა, მაგრამ უჩვეულო სიმწარე ახლდა ყოველ სიტყვას, თითქოს გავარვარებული ნაკვერჩხლები ეჭირა და ხელს ვერ უშვებდა...

...ჯერ იყო წყვდიადი!.. მეხსიერების თვალსაწიერზე თავდაპირველად ამოტივტივდა ფუმფულა, ბატის ღუნღლით დატენილი ბალიში... თითქოს ხრჩოლავდა, თეთრი კვამლი ასდიოდა... უცბად ცეცხლის ალი შემოეხვია, წამოიწია და ფანჯრის მოქარგულ ფარდას აედევნა... მეტი არაფერი დაამახსოვრდა. არც სახლი, არც ადამიანები, არც ხმა, ოთახი, კედლები, ჭერი, იატაკი... ბალიში იწვოდა და ცეცხლის ენები ფარდას მისწვდა, აჰყვა... მერე ყველაფერს კვლავ წყვდიადი მოეფინა. ცეცხლის ის ენები მეხსიერების გალაქტიკაში ახლაც ანთია, ვითარცა განკერძოებული, ეული ვარსკვლავი კოსმოსის ბნელ სივრცეში...

ღამის წყვდიადი იღვრებოდა ფანჯარაში. შავი გრაგნილი ასდევნებოდა მატარებელს. მეზობელი კუპეებიდან გადმოფენილი სინათლის ოთხკუთხედები მიწაყრილზე გარბოდნენ. სადღაც ცის კიდეზე გაცისკროვნდა შორეული ქალაქის კვარტალები. გადასასვლელზე მომლოდინე მანქანების სუსტი ნათურები ციცინათელების მწკრივს ჰგავდა.

— უკვე დაკაცებულმა მეხსიერების ამ ფურცელს ერთი ხატი დაუმატა. იმ ფანჯრის რაფაზე მამაკაცის ფოტოსურათი იდო.

ბალიშიდან ალი იმ სურათს გადაედო. სიცხისაგან დაიხრუკა თურმე ფოტო, თავისით დაეხვია, გაშავდა და აბრიალდა... ამის შემდეგ აჰყვა ცეცხლი თეთრ ფარდასო. ეს ალბათ მოგონილია, თუმცა ის კაცი ირწმუნება, იმ ფოტოზე გამოსახული ახალგაზრდა მეომარი ახლაც წინ მიდგასო...

— მე თუ ვიცნობ იმ კაცს? — მხოლოდ იმიტომ შევეკითხე, საუბარი მონოლოგს არ დამსგავსებოდა. საკუთარი საწუხარი სადღაც გადაინახა, კვალის დაფარვას ცდილობს და სხვისი ამბავი საკენკად მომიგდო-მეთქი, ვფიქრობდი და მწყინდა.

კითხვა უპასუხოდ დატოვა. იქნებ არც გაუგონია. არ გამიმეორებია. დიდად არ მაინტერესებდა ვიღაც კაცის მიერ ოდესღაც ნანახი ცეცხლი. იმ ცეცხლმა წყვდიადი ვერ გაგვიფანტა და კვლავ ბნელში ვისხედით.

...მეხსიერების წყვდიადი მატარებელმა გაარღვია. დიახ! იმ ცეცხლის შემდეგ მეხსიერებამ არაფერი შემოინახა. მატარებელმა კი გაბმულად იკივლა და თითქოს მძინარე მოგონებები გამოაღვიძა. წინ ორთქლმავალი ქშინავდა, ზევიდან ბოლქვა-ბოლქვად ედგა თეთრი ორთქლი. ალბათ, ეს იყო ბიჭის პირველი მოგზაურობა, მაგრამ როცა ცდილობდა აღედგინა იმ წუთების განცდები, იქ ვერ აღმოაჩინა შორეული მოგზაურების სიხარული, რელსებზე ბორბლების დაგადუგი, ვაგონის რიტმული რხევა, თანამგზავრთა სახეები... კვამლი და ორთქლი ბოლქვა-ბოლქვა ადგა ორთქლმავალს და კიოდა ორთქლმავალი, გაბმულად კიოდა... მერე ამ ხმას შეერთო ქალების წივილ-კივილი, ჩოჩქოლი, რია-რია, ყრუ გრიალი, მტვრევის ხმა... ვაგონს რაღაცა მკვეთრად დაეჯახა... გადაყირავდა... გადაყირავდა... ჩემოდნები, ტომრები, ჩანთები გაცოცხლდნენ, ამოძრავდნენ, ადამიანთა ზედახორაში აირივნენ... ვაგონში სიდამწვრის სუნი შემოიჭრა და ბიჭმა თვალი ჰკიდა ცეცხლის ალსაც, მაგრამ ვერ მიხვდა, რა იწვოდა... ვიღაცის ღონიერმა ხელებმა იღლიაში სტაცა და ჩამტვრეულ ფანჯარაში მოისროლა. იქ სხვა ხელებს ჩაუვარდა... ჩასუქებული ქალი ქოშინით გარბოდა, თან ბიჭუნას მიათრევდა, კინაღამ ხელი წაგლიჯა... მხოლოდ ერთხელ მოასწრო მოხედვა. გადაყირავებული ვაგონის ბორბლები ჯერ კიდევ ბრუნავდნენ... ცა კი ღმუოდა, ღრიალებდა და ბიჭი ზევით

ახედვას ვერ ბედავდა... ქალი ისევ მიათრევდა და ბიჭი უძალიანდებოდა... მერე ორთავემ წაიბორძიკა, ბიჭი დაეცა და ზედ ტვირთი გადმოემხო, აყეფებული ცა დაუფარა... ქალის სხეული მძიმედ აწვებოდა, ვერ იქნა, ვერ გამოძვრა... ტიროდა. გამიშვიო, ეხვეწებოდა, ქალი კი პასუხს არ სცემდა და ბიჭი წითელი, თბილი სითხით ითხუპნებოდა...

გოგი გაჩუმდა. წინიდან ელმავალმა შეუსტვინა. შემხვედრმა მატარებელმა ერთი ალიაქოთითა და გრიალით ჩამოიარა.

— მერე? — თავი შევახსენე, რადგან დუმილი აუტანელი შეიქნა.

— მერე არაფერი! — გულგრილად მიპასუხა. — კვლავ წყვდიადი ჩამოწვა და მეხსიერება გადაიკეტა.

— გოგის ჭირიმე, ნუ დამტანჯე ამ შენი მეხსიერებით!

— სულსწრაფი ხარ, ყოველთვის ასე გემართებოდა, წიგნებსაც ბოლოდან კითხულობდი! — ძალდატანებით გაიხუმრა, შიგ საყვედურის კილოც გაურია.

...ამის შემდეგ ყველაფერი თითქოს ერთ დაუსრულებელ სიზმრად გადაიქცა. ბიჭუნა კვლავ ვაგონში იყო. ვაგონი პატარებს ისე გაევსოთ, ქუდი არ ჩაეტეოდა. ამ ლაშქარს სამი თუ ოთხი თეთრხალათიანი დაღლილი ქალი უვლიდა. მატარებელი ნელა მიიწევდა, წამდაუწუმ ჩერდებოდა, მერე ისევ დაიძვრებოდა... ვინ იცის, რამდენ ხანს გრძელდებოდა ასე. იქნებ სულაც ერთი დღე, ან კვირა, ან თვე... ხანდახან აგუგუნდებოდა ზეცა, აკივლდებოდა ორთქლმავალი. საიდანღაც მოისმოდა უწყვეტი ბათქი. შიშისაგან მოკუნტული პატარები ერთხმად იწყებდნენ სხარსხალს. დაღლილი ქალები ვერ აწყნარებდნენ ამდენ ბავშვს და თვითონაც მოჰყვებოდნენ მოთქმა-ტირილს. „დედა მინდა!“ — ღნაოდა ბიჭი. „დედა მინდა!“ — აჰყვებოდნენ სხვებიც. საიდანღაც კი ისმოდა გუგუნი, ზათქი, გრიალი... მერე ხმაური მიწყდებოდა, მატარებელი კვლავ ამოძრავდებოდა. ბორბლების დამამშვიდებელი რაკუნი, ვაგონის ნელი ტაატი თანდათან უნანავებდა და ბოლოს გადაღლილ ბავშვებს ძილი ჩაითრევდა... ძილი და ტირილი გადაეჭდო ერთმანეთს... და კიდევ შიმშილი, უწყვეტად რომ წოვდა, ძალ-ღონეს აცლიდა...

მიწაზე რომ ჩამოიყვანეს, ბიჭუნა ფეხზე ვერ დადგა. სამხრე-

თის პატარა ქალაქის სიწყნარე ეჩოთირა. ყურში კვლავ უწყვეტი გრიალი ედგა...

გოგიმ ამოიოხრა.

თითქოს დენმა დამკრა. „ბრიყვო, არამზადავ!“ — შევუკურთხე საკუთარ თავს.

სინათლე ავანთე და ჯიქურ მივაცქერდი.

ბაგეზე სევდიანი ღიმილი მიეყინა. უპეებში ნამი უბრჭყვიალებდა. სახე გასხივოსნებოდა, თითქოს ამ საუბარმა მცირე ტვირთი ჩამოხსნა მხრებიდანო.

— გოგი?.. — ჩურჩულით შევეკითხე.

— არაფერი ვიცი! — ყოყმანით შემეპასუხა, მერე აჩქარდა, დაუმატა: — გუჯა, ოღონდ ნუ დამცინებ და პატარაობისას, მგონი, ვიტია მერქვა.

პირში ენა ვერ მოვაბრუნე. კისერზე ხელი ჩავავლე, შუბლით შუბლზე მივეყრდენი.

— ასე მგონია, ჯამბაზი ვარ და თოკზე წონასწორობას ვკარგავ, — ჩურჩულით განაგრძო, — ჩემს თავს მილიონჯერ დავუსვი კითხვა: ვინა ხარ შენ, გოგი კანკავა? რად მიისაკუთრე სხვისი სახელი და გვარი? შენი სად დაკარგე, შე უთვისტომოვ, შენა?

— გაჩუმდი, ჯიმა! — შევეხვეწე.

სინათლე კვლავ გამოვრთე. კუპე უკუნში შთაინთქა.

უხმოდ, გაუხდელად წამოვწექი. სიბნელეში გოგი კარგა ხანს წრიალებდა, ვერ ისვენებდა, მერე მიყუჩდა.

მატარებელი რომელიღაც სადგურში გაჩერდა და პროჟექტორმა პირდაპირ კუპეში შემოაბარჩხალა...

გოგის ეძინა...

3

არც კურსკში გავჩერებულვართ. ჩასვლისთანავე საგარეუბნო მატარებელში გადავბარგდით და ხის მაგარ სკამებზე, ფანჯარასთან, პირისპირ მოვკალათდით.

ვაგონი ათასი ჯურის ხალხით აივსო და ირგვლივ უწყვეტი ყაყანი ისმოდა.

მატარებელი ნელა მიჩოჩავდა, თითქოს არსად ეჩქარებოდა.

წამდაუწუმ ჩერდებოდა ციცქნა ვაგზლებზე. ვაგონებს უმალვე შემოესეოდნენ ვაშლით, ქლიავით, მოხარშული კარტოფილითა და სიმინდით, კიტრისა და კომბოსტოს მწნილით დატვირთული დედაკაცები და იშვიათ მუშტარს ერთმანეთს ეცილებოდნენ.

გოგის იერი შეეცვალა. აქამდე ხომ სულ დუმდა, ახლა ენად გაიკრიფა.

— იცი, გუჯა, მეშინოდა კიდეც ამის გამჟღავნება, ვაითუ ჩვენი მეგობრობა სიმართლემ დაღუპოს-მეთქი.

— რას ამბობ, ჯიმა! — ხელი მუხლზე მოვუთათუნე. ხმაში სიყალბე ვერ შემამჩნია, თუმცა მთლად გულწრფელი ვერ ვიყავი.

მზიანი დღე დადგა და ცაზე ღრუბლის ნაფლეთიც არსად ჩანდა. სამხრეთის ლურჯ ცასთან შედარებით მაინც უფრო გაცრეცილი მეჩვენებოდა.

— რას ამბობ, ჯიმა! — სიტყვას ვზომავდი, ვცდილობდი ზედმეტი არაფერი წამომცდენოდა, მაგრამ ვერაფრით შევგუებოდი აზრს, რომ გოგი კანკავა, ჩემი სიყრმის მეგობარი, დეიდა ვარას შვილი, სხვა ვიღაცაა, სახელიც კი სხვა აქვს — ვიტია. იქნებ ეს იყო მხოლოდ სიზმარი, ზმანება, თამაში... აი, გოგი შეწყვეტს სიტყვას, გადაიხარხარებს და მეტყვის: „ხომ გაგაცურე, ჯიმა, ჰა!“

ფანჯრის მიღმა მწვანე ტყეებს ვრცელი მინდვრები ენაცვლებოდა, ანდა ახლადგათიბული ყანების ყვითელი ოთხკუთხედები. პატარა სოფლები და ქალაქები მოულოდნელად გამოეყოფოდნენ ტყეთა მასივებს. რუსული ხატა თეთრად გამოკრთოდა ტანდაბალი ვაშლის ბაღებში.

— ერთი მითხარი, საიდან იცი, რომ ვიტია გქვია? ვითომ დაგამახსოვრდა?

სახეზე სიწითლემ გადაჰკრა, თვალი განზე წაიღო.

— პატარაობისას მეზობლის ბავშვები მაჯავრებდნენ, „ვიტ-ვიტ-ვიტ!..“ — აქაოდა, იხვის ჭუკს ჰგავხარო. ჰოდა, მეც გავიფიქრე, იქნებ ვიტია მერქვა და ამიტომაც მაჯავრებდნენ...

— ვიტ-ვიტ-ვიტ! — გავეანგლე, თავგზა ამებნა და ვცდილობდი ეს დამეფარა.

— მე მეუბნებით? — გვერდითა სკამზე მოკალათებულმა წვერიანმა კაცმა გაკვირვებით შემომხედა.

გამეცინა.

შეშფოთებულმა წვეროსანმა ზურგზე ტომარა მოიგდო და გასასვლელისაკენ წაძუნძულდა. ვერ მივხვდი, რა ბზიკმა უკბინა. მისი ადგილი უმალვე გოგონებმა დაიკავეს. სწრაფად რატრატებდნენ და წამდაუწუმ იცინოდნენ.

— ჩავალ ერთი, რამეს ვიყიდი! — რამდენიმე წუთით მაინც მინდოდა მარტო დარჩენა და ეს მოვიმიზეზე. ვაგონის კიბესთან სავაჭროდ მოსული დედაკაცები დამეხვივნენ. ცხელი კარტოფილი და კიტრის მწნილი ვიყიდე, მაგრამ უკან არ შევბრუნებულვარ. ბაქანზე ბოლთასა ვცემდი და ვცდილობდი აზრი დამელაგებინა. თავში სრული დომხალი მქონდა. კაცმა რომ თქვას, ისეთი რა მოხდა, ტრაგედიად მიმეჩნია. რა მნიშვნელობა ჰქონდა, ორი წლის კანკავას ბიჭს გოგი ერქვა თუ ვიტია. ის ხომ მაინც დეიდა ვარას ერთადერთი ვაჟიშვილი იყო... დეიდა ვარას გახსენებამ მთლად ამაბნია. ამასობაში მატარებელიც დაიძრა და კიბეზე ძლივს ავასწარი.

ნავაჭრი გაზეთის ფურცელზე დავაწყე. სჯობდა თავი არ მემტვრია, მივყოლოდი დინებას. ყველაფერი თავისთავად გაირკვეოდა.

— დაგვეწვიეთ, გოგონებო! — მეზობლებს მივუბრუნდი.

გოგონები გაიბუსნენ, მერე შეთანხმებულებივით აკისკისდნენ, პასუხი კი არ გამცეს.

ჩუმად შევექეცით. ლუკმა ყელზე მადგებოდა. რატომღაც ბოღმა მომაწვა, მოვიწყინე.

— საით მივყავართ ამ მატარებელს? — სრული უფლება მქონდა მეკითხა.

გოგიმ უხმოდ გამომიწოდა ქაღალდის ნაგლეჯი. ზედ ეწერა: „სოფელი ჩისტოპოლიე, პიოტრ ნიკოლაიჩ ვოროპანოვი“.

— ვინ არის?

მხრები გაურკვევლად აიჩეჩა. ალბათ, მეტი იცოდა, მაგრამ ვარაუდებს თავი აარიდა. ფანჯრისაკენ მიბრუნდა, ენაზე კლიტე დაიდო.

მეც დავდუმდი. ვაგონში თავშეყრილ მგზავრებს ვათვალიერებდი. პროფესია ადამიანს დაღს ასვამს. უმთავრესად კოლმეურნეები უნდა ყოფილიყვნენ. სახედაღარული, კისერჩაჟანგული მამაკაცები წეკოს ეწეოდნენ; ფაშფაშა, ჩოფურა დედაკაცები ხმამაღლა ყაყანებდნენ. მეზობელ სკამზე გოგონები ჩუმად პუტუნებდნენ. ერთი ხორბლისფერი ასული ხანდახან აქეთ გამოიხედავდა და მეც თვალი გავუსწორე. ყურადღება შენიშნა, ლოყები აუღვივდა, თავი კეკლუცად გადახარა.

ფიქრი კვლავ შემომიბრუნდა. დეიდა ვარას გახსენება სულს წიწკნიდა. თითქოს ჯერაც ცოცხალი იყო და მის წინაშე პასუხი უნდა მეგო. თავის გასამართლებული სიტყვები კი ვერა და ვერ მოვიგონე. „ცხოვრება რთულია, დეიდა ვარა, უნდა შეეგუოთ!“ — არაფრისმთქმელი სიტყვებით ვამშვიდებდი. ის კი არ ვიცოდი, როგორ უნდა შეჰგუებოდა დეიდა ვარა ყოველივე ამას.

— მალე ჩავალთ! — გოგის სიტყვებმა გამომაფხიზლა. ხორბლისფერი ასულის მზერას თვალი შევასწარი. გაბუტული მეჩვენა. მესიამოვნა. არც ისე პატარა გახლდით, ეგეთი გოგონების მოწონება არაფრად ჩამეგდო. გულზე შემოწოლილი დარდი გამეფანტა. გოგონამ მზერა ამარიდა და ისევ ძველებურად აჭიკჭიკდა. მისმა ამხანაგებმა გაიცინეს.

— რა მოგივიდა, ჩავდივართ უკვე! — გოგი გასასვლელისაკენ გაექანა. გულდაწყვეტილმა გოგონას ხელი დავუქნიე და წამოვედი. შევამჩნიე, სახეზე ღიმილი წარეშალა. „ეჰ, მართლაც დავბერდი, რა დროს ეგეთებია!“ — თავს ნაძალადევად ვიქილიკებდი.

პაწია სადგურზე ჩამოვედით. სახელწოდების მაგიერ რიცხვიღა ეწერა: „45-ე გადასარბენი“.

გოგი თამამად წამიძღვა. სადგურისწინა მოედანზე ავტობუსი იცდიდა. „უყურე შენ! ამას ყველაფერი წინასწარ გამოუჩხრეკია...“ — ვიცოდი, ამ მხარეში პირველად ჩამოვიდა, ცენტრალურ რუსეთში მოსკოვს გარეთ არსად უმოგზაურია და ამიტომ გამიკვირდა. „სისხლში აქვს პედანტობა!“ — მოულოდნელად დავძინე. შემრცხვა. დეიდა ვარას არაფერი ეცხო პედანტობისა. თვითონ მე, მინდოდა თუ არ მინდოდა, დათქმულ პაემანზე მუდამ ვიგვიანებდი. გოგი კი გერმანელივით წამს არ გადააცდენდა. ეს მაღიზიანებდა კიდეც და ერთხელ გავეხუმრე, რა არაქართველივით ზუსტი ხარ-მეთქი. რა ვიცოდი, უნებლივ გული რომ ვატკინე.

სამანქანო გზამ გადაკვეთა ორი თუ სამი სოფელი და ჩამოვედით.

— აქედან ახლოსაა! — გულდაჯერებით მითხრა გოგიმ, როცა ავტობუსი მტვრის კორიანტელში გაუჩინარდა.

— ეს „ახლოს“ ერთი ათი კილომეტრი მაინც ხომ იქნება?

— კი, ათ კილომეტრამდე იქნება.

გზა გავიკითხეთ და ბილიკს დავადექით. იგი ვრცელ მინდვრებსა და ტყის ნათელ კორომებში გადიოდა.

მზემ მაღლა აიწია. გამჭვირვალე ჰაერი ლივლივით ევლებოდა მწვანე სანახებს.

მომცრო ბორცვზე ავედით. წვეროზე წყვილი არყის ხე ჩუმად აშრიალებდა ნაზ ფოთლებს.

აქედან ფართო პანორამა იშლებოდა. სოფელი გასდევდა ვრცლად გადაშლილი სეიმის ნაპირს. გაღმა კი სათიბებს ტყის ზოლი ენაცვლებოდა. ტყის ზემოთ ბექობზე ათიოდე თეთრი ქოხი ჩამომწკრივებულიყო.

— აგერ ჩისტოპოლიე! — იმ ციცქნა სოფელზე მიმითითა გოგიმ. ხმა ებზარებოდა და ჩემოდანს ნერვულად ატოკებდა.

— ეჰ, დეიდა ვარას რომ სცოდნოდა... — დაუფიქრებლად დამცდა. დეიდა ვარას სათნო ღიმილი წარმომიდგა და ეს გახსენება მტანჯავდა.

გოგის სახე მოეღრიცა. მკლავზე ხელი მტაცა.

— გუჯა, თუ ძმა ხარ... — თავს მოერია, უფრო მშვიდად გააგრძელა, — იცი რა, დაგავიწყდა, რამდენი წლისა ვარ?

— რა შუაშია?

— იმ შუაშია, რომ ეს მისამართი ხუთი წელია ჯიბეში მიდევს!.. ხუთი წელია ის კაცი მელოდება, იქნებ ცოცხალი აღარც დამხვდეს... დედის სიყვარულმა და რიდმა გამაჩერა... დედა ისე მიიცვალა, ბოლომდე სწამდა, რომ მე აღარაფერი მახსოვდა. მეც ვდევნიდი მოგონებებს, შანთით ვძირკვავდი. ვიძახდი, ხალხო, ქართველი ვარ და, აი, ეს კეთილი ქალი, დეიდა ვარას რომ ეძახით, დედაჩემია, ჩემი ერთადერთი მშობელია, მე სხვა მშობელი არ მყოლია!.. წარსულის ის მოჩვენება კი მღრღნიდა და მღრღნიდა, ვერ დავივიწყე!

...ვაგონიდან რომ ჩამოვიდა, ბიჭის ფეხქვეშ მიწა შეტორტმანდა. ყურებში კვლავ ზათქი და გუგუნი ედგა... მერე არაერთხელ უცდია მეხსიერებაში აღედგინა ის სურათი, მაგრამ დეტალები უკვე ამოიშალა... თეთრი ოთახები და დერეფნები დაამახსოვრდა... იქნებ საავადმყოფო იყო ან ბავშვთა სახლი... ვერ გაიხსენა, როგორ მოხვდა აქ... თეთრხალათიანი ქალები დასტრიალებდნენ თავზე. მათს ფაფუკ ხელებს მანანის ფაფის სუნი სდიოდა და ყოველი მათგანი დედა ეგონა... მაგრამ არც ერთი არ იყო დედა, კეთილი ღიმილი იმ ფაფასავით ყველას თანაბრად ურიგდებოდა და ბიჭს მზის ეს ნამცეცი გულს ვერ უთბობდა.

მდინარის მხრიდან გრილმა ნიავმა დაჰბერა, სახეზე მომელამუნა. გამახსენდა, აქ მიდიოდა კურსკის რკალის სისხლიანი ბრძოლები. აუჩქარებლად ჩამოვეშვით ბორცვიდან და ის წყვილი არყის ხე ახლა ცის ფონზე ორი წერწეტა ტოტივით გამოიკვეთა.

...მერე ის დღე მეხსიერებაში ისე მკვეთრი ფერებით ჩაიჭედა, ნაჯახითაც ვერავინ ამოჩეხავდა. არადა, ჩვეულებრივი დღე იყო. მზეც კი არ ათბობდა. არც წვიმდა. ზეცას თეთრი, გაცრეცილი ნისლი ეფინა და პალატაში მქრქალი სინათლე იდგა. ნასადილევის წყნარი საათი ზოზინით ითვლიდა მოსაწყენ წამებს. ბიჭს არ ეძინებოდა. ბალიშში თავჩარგული ცალი თვალით ფანჯრისაკენ იჭვრიტებოდა. იქ ცის ნაჭერი მოჩანდა. თითქოს ნისლის ფარდა გახიაო, ლურჯი ნაპრალი დააჩნდა ცას. იმ ნაპრალიდან მზემ გამოაშუქა და პალატაში უამრავი ათინათი ბაჭიებივით ახტუნავდა.

ბიჭმა თავი წამოსწია. პალატაში ათიოდე სხვა საწოლი იდგა. იმ საწოლებზეც სხვა ბავშვები იწვნენ და არ ეძინათ. ოღონდაც ძიძისა ერიდებოდათ და ბალიშიდან თავი არ წამოუწევიათ.

კარი გაიღო, ძიძა გამოჩნდა. ბიჭი გაიტრუნა, თავი მოიმძინარა. ქუთუთოები ოდნავღა გახსნა და ჩუმად უთვალთვალებდა.

ძიძას უცხო ქალი ახლდა. ტანზე ძაძები ემოსა, სანდომიან სახეზე თეთრი ნათელი ეფინა და ბიჭუნას გული ერთი ბეწო გაუხდა.

„იქნებ ჩემი დედა ხარ?“ — ყველა ქალს ამას ეკითხებოდა, მაგრამ მხოლოდ ფიქრში, რადგან ხმის ამოღებას ვერ ბედავდა.

ძაძებიანმა მანდილოსანმა საწოლების რიგს ჩამოუარა. სახეზე აშკარად დაბნეულობა ეხატა და მორიგე ძიძის ტუტუნი ალბათ არც ესმოდა.

აჭრაჭუნდა ზამბარები, გადახოტრილი თავები მოუსვენრად ატოკდნენ ბალიშებზე. ცნობისწადილით, მუდარით, შიშით, დარდით აღსავსე თვალები პალატის ყოველი კუთხიდან მის-

ჩერებოდა ძაძებიანს და ქალს ხელები უთრთოდა. ეს კარგად შენიშნა ბიჭმა. თვითონაც შიშით მოკუნტული იწვა, იმედი და უიმედობა ელვისუსწრაფესად ენაცვლებოდა ერთმანეთს.

მანდილოსანი მეზობელ საწოლთან შეყოვნდა. იქ ნოღაცხვირა ბიჭუნა წამომჯდარიყო, დამფრთხალი აცეცებდა ლურჯ თვალებს.

„იქნებ ეს წავიყვანო?“ — ჩუმად, ყოყმანით ჩაეკითხა მორიგე ძიძას.

მესამე საწოლზე უმალვე წამოჯდა ბიჭივით თავგადაპარსული, სასკოლო ასაკის გოგონა. უსიტყვოდ გადააგდო საბანი, ნოღაცხვირა ბიჭუნას შეუძვრა, ჩაეხუტა.

„ეს ჩემი ძამიკოა, არ გაგატანთ!“ — მძულვარედ გაკვესა იმ ბიჭუნასავით ლურჯი თვალები.

მანდილოსანი შეცბა, უკან დაიხია, ხელები დაბნეულად გაასავსავა.

ეს იყო და, აქამდე შიშით მოკუნტულ ბიჭს თითქოს უბიძგესო, საწოლიდან წამოფრინდა, ხელები გაშალა და იწივლა:

„მე წამიყვანეთ!.. მე წამიყვანეთ!..“

ხმა ჩაუწყდა, ტირილი წასკდა.

მანდილოსანმა ხელი შეაგება და თვითონაც აქვითინებულმა ყელზე შემოჭდობილი ბიჭი პალატიდან გაიყვანა...

— იცი? იმ წელს დედას ზუსტად ჩემი ასაკის გოგი მოუკვდა. მის სანაცვლოდ მომიყვანა... მერე ომიდან ის კაცი მობრუნდა, ვის გვარსაც ვატარებ. ვაჟიშვილის სანაცვლოდ სხვა ბიჭი რომ დაინახა, გადაირია... მიგვატოვა... მახსოვს, ერთი-ორჯერ გზაზე შემხვდა. დიდხანს მიყურებდა შორიდან. მეშინოდა და გავრბოდი... ერთხელ დამიჭირა, მომეფერა, მაგრამ თავი ვერ დაძლია და სულ წავიდა... იმას ახლა სხვა ოჯახი აქვს და შვილებიც ბლომად ახვევია. დედაჩემი მაშინ ჯერაც ახალგაზრდა და ლამაზი ქალი იყო, მაგრამ...

ხელი დარდიანად ჩაიქნია და გაჩუმდა.

ბილიკმა სოფლის ორღობეში გაგვიყვანა. ბატების მწკრივმა გზა დინჯი ყიყინით გადაგვიჭრა. სახლებს მიღმა ლაპლაპებდა მდორე და წყნარი სეიმი...

4

მზის მცხუნვარებამ საგრძნობლად იმატა. თავდაპირველად მტვრიან ორღობეში ძეხორციელი ვერ ვიპოვეთ. პატარა, კოხტა ქოხებიდან ხმა არ ისმოდა, თითქოს მთელი სოფელი სადღაც გაკრეფილიყო. ერთგან კარი აჭრიალდა. გაურკვეველი ასაკის დედაკაცი გამოვიდა და სარკმლის ქვეშ დაგდებულ კუნძზე მზეს მიეფიცხა. შევეკითხე, სეიმზე როგორ გადავცუროთ-მეთქი. მიგვასწავლა, აი, იმ სახლში ლიზავეტა პეტროვნა იკითხეთ, ხალხი იმას გადაჰყავს ორ შაურადო.

ხაბოდან საუცხოო სანახაობა იშლებოდა. სეიმს უზარმაზარი რკალი შემოეხაზა ზანტად. თითქოს ოდნავადაც არ იძროდა. ფართოდ გაშლილიყო, აევსო ნახევარი ცისქვეშეთი. კუნძულების წყება კუს ბაკნებივით ჩამოჰყოლოდა კალაპოტს.

— იფ, კაი სათევზაო ადგილია! — კმაყოფილებით წამოვიძახე. სათევზაოდაც კარგი იქნებოდა და სანადიროდაც, რადგან ვრცელ სათიბებში ალბათ მწყერი ბუდობდა.

ტყის თავზე, მაღალი სერის გასწვრივ მიცუცქნული ჩისტოპოლიე კი სწორედ რომ წმინდა რამედ ჩანდა გამჭვირვალე ჰაერში.

ლიზავეტა პეტროვნა ერთი ძვალმსხვილი ქალი აღმოჩნდა. ხმა მამაკაცივით ბოხი ჰქონდა, მკლავები მძიმე წონის მოკრივეს მიუგავდა და ნიჩაბიც მამაკაცურად ეჭირა. ცოტათი შემეშინდა კიდეც, ამ ციცქნა ნავში რომ ჩალაჯუნდეს, ფსკერზე აღმოვჩნდებით-მეთქი, მაგრამ ნავმა სამივეს გაგვიძლო. ლიზავეტა პეტროვნა, ეტყობა, იშვიათი მგზავრის მოლოდინში ამ ხაბოზე გამოყრუვდა და ახლა ენა ეფხანებოდა. წუთში ჩამოგვიკაკლა თავისი ცხოვრების ავანჩავანი: ქმარი მყავს, წიწილაზე მეტი არც იქნება, რომ მოვინდომო, მოვახრჩობ, მაგრამ ქმარი ქმარია და ქალი არ უნდა აუჯანყდესო; ამ ადგილას ჯერ კიდევ ჩემს პაპისპაპას გადაჰყავდა მგზავრები, იქნებ თვით დიდი პეტრეც ჩემმა წინაპარმა გადაიყვანა, რადგან მას შემდეგ მამაკაცის შტოს თითო წარმომადგენელს მაინც პეტრე ჰქვიაო. სეიმზე მგზავრის გადაყვანა ორი შაური ღირს, მაგრამ თუ ხურდა არა

გაქვთ, აუცილებელი არც არის, სოფლის საბჭომ ბილეთები არ გამომიწერა და ამ ხურდას თავში ხომ არ ვიხლიო... შუა წელამდე არც ვიქნებოდით მიღწეული, მთელი სოფლის ამბები წვრილად ვიცოდით.

— ხატულა მტრედებო, ვინა ხართ და სად მიდიხართ? — ახლა ჩვენ გადმოგვწვდა ლიზავეტა პეტროვნა, თან ნიჩაბი ხელიდან ხელში გადაინაცვლა და ცივი წვეთები მოგვასხურა.

— ისე, მგზავრები ვართ! — ცალყბად შევეპასუხე.

— ჰი, მგზავრები! რაღაც არ გავხართ ტურისტებს. ქართველები ხართ უთუოდ!

— როგორ მიხვდით? — ვითომ გავიოცე. ჩვენი აქცენტის პატრონები სადაურობას ვერ დავმალავდით.

— ჰი, ბევრი კი არ დადის თქვენისთანა შავტუხა!

გამეცინა. კაცმა რომ თქვას, გოგი კი იყო შავტუხა, მაგრამ ჩემზე თეთრი რაღაც არ შემხვედრია აქეთკენ.

— ლიზავეტა პეტროვნა, ალბათ იმასაც ადვილად მიხვდებოდით, თუ ვისთან მივდივართ?

— ამას რა მიხვედრა უნდა, მაგას ლენჩიც მიხვდება, ჰი... — ლიზავეტა პეტროვნამ ნიჩაბი ისე ღონივრად მოუსვა, კინაღამ გადაგვაყირავა.

— ნელა, ლიზავეტა პეტროვნა, ცურვაში ვერა ვარ გაწაფული! — გავაფრთხილე.

— ნუ გეშინია, ხატულა მტრედო, არ დაგახრჩობ, — დამაიმედა, — ვოროპანოვების სტუმარი იქნებით, არა?

გოგი ყურს ჩუმად გვიგდებდა. აქამდე სახეზე სრული გულგრილობა ეხატა, ახლა გაოცებით შემომხედა.

— მაგას რა მიხვედრა უნდა? — გაიმეორა ლიზავეტა პეტროვნამ, — პიოტრ ნიკოლაიჩი ჩემი ახლობელია.

ყური ვცქვიტე.

— ისე, როგორი კაცია?

— ეგეთი კაცი მეორე არაა. დედაკაცების ნათქვამს ყურს ნუ დაუგდებთ. დედაკაცს ჭკუა არ მოეკითხება. შერეკილიაო, გაიძახიან. მე თუ მკითხავთ, შერეკილი კი არა, უბედურია...

გოგი მოიკუნტა, თავი ჩაქინდრა. ვატყობდი, იტანჯებოდა. გავუჯავრდი, ქართულად გადავულაპარაკე:

— რა მოგივიდა? დედაკაცის რატრატს რა ფასი აქვს!

ჩემი ნათქვამი თითქოს არც გაუგონია, ქალს მიუბრუნდა:

— ლიზავეტა პეტროვნა, რატომაა შერეკილი?

ქალმა ნიჩაბი მუხლზე დაიდო. ნავი მსუბუქი ტორტმანით შეყოვნდა.

— ტყუილია მაგი, დედაკაცის ნათქვამი როგორ დაიჯერება!

— მაინც, მაინც?

— ომი რომ დამთავრდა, პატარა გოგო ვიყავი. მეც იქ ვცხოვრობდი, ჩისტოპოლიეში. მერე აქეთ გამოვთხოვდი. ცხონებული პირველი ქმარი ეგეთი ჭილყვავი არ იყო, ახლა რომ მყავს... ხარივით კაცი იყო, არაყსაც ხარივით სვამდა და ამ ნავიდან გადავარდა... გადავარდა და გათავებული ამოვიყვანეთ. მერე გავთხოვდი ამ ჭილყვავზე, ვერ გავძელი, მწარეა ქვრივის ხვედრი...

— ლიზავეტა პეტროვნა... — მუდარით შეაწყვეტინა გოგიმ.

— აჰ, სულ არ დამავიწყდა? დავბერდი და ესაა, ერთს ვიწყებ და მეორეს ვაგრძელებ... მანამადე იქ ვცხოვრობდი, ჩისტოპოლიეში. ჩემი სახლის ფანჯარა ლიდია ვოროპანოვას ეზოში გადიოდა. ახლაც კარგი მეგობრები ვართ მე და ლიდია ნიკოლაევნა. ოღონდ ესაა, მე გავთხოვდი, ის სვეგამწარებული კი ისე დაბერდა, მთლად თავის ძმას გადაეგო, მაგრამ რად გინდა...

ლიზავეტა პეტროვნამ ნიჩაბი კვლავ წყალს მოუსვა. ნელა მივუახლოვდით ნაპირს. გოგი მილურსმულივით იჯდა და ნავიდან გადასვლას არც აპირებდა.

— მერე ჩამოვიდა პიოტრ ნიკოლაიჩი...

პიოტრ ნიკოლაიჩი ცალ ყავარჯენზე დაყრდნობილი ჩამოვიდა. ჯიბეში ხახვის თავი და ორასი გრამი შავი პური ედო. უნდა გამოეზოგა. არც ისე შორი გზა ედო სოფლამდე, მაგრამ პიოტრ ნიკოლაიჩს ტანზე მთელი ადგილი არ შერჩენოდა და სიარული უჭირდა. გამარჯვების ბოლო დღეს ნაღმს წააწყდა და ისე იყო გადადებული, მკვდრების სიაში ჩარიცხეს. ჰოსპიტლის თეთრ პალატაში შემოსული ექიმი ყოველ დილას კითხულობდა: „ეს კიდევ ცოცხალია?“ პიოტრ ნიკოლაიჩი კი სიკვდილს არ აპირებდა. შემდგომ თავის დას, ლიდია ნიკოლაევნას გამოუტყდა, ცოცხალი იმიტომ დავრჩი, ჩემი დუნიაშა ერთხელ კიდევ მინდ-

ოდა მენახაო. მისი სახლი პროვინციულ ქალაქში იყო, აქედან ორმოცდაათ კილომეტრზე. როგორც კი ფეხზე წამოდგა, მთავარ ექიმს უთხრა, ჩემი მკურნალი ჩემი დუნიაშაა, შინ გამიშვით, თორემ თავს არ ვიცოცხლებო. მთავარი ექიმი ერთი დაღლილი ბერიკაცი იყო. სხვის ამგვარ სიტყვებს ალბათ ყურსაც არ მიაპყრობდა, მაგრამ პიოტრ ნიკოლაიჩმა ისეთი კილოთი თქვა, ბერიკაცმა ქუთუთოები შეხსნა, ყურადღებით შეხედა და შეიგინა: „ეშმაკმა წაგიღოს, სიკვდილის ხაროდან ძლივს ამოგათრიე, აიღე სამი დღის ულუფა და აქედან მოუსვი. გზაში თუ ჩაძაღლდი, შენს თავს დააბრალე!“ პიოტრ ნიკოლაიჩმა მიიღო სამი დღის ულუფა და წამოვიდა. ალბათ მართლაც ჩაძაღლდებოდა, მაგრამ დუნიაშაზე ფიქრი აძლევდა ძალას და ამიტომაც გაუძლო ჯოჯოხეთურ ტკივილებს, მთელ გზაზე რომ ღრღნიდა. ბოლო ასი ნაბიჯი ძალიან გაუჭირდა. ამ მუდრეგმა ფეხებმა ხომ სამსახურზე მთლად უარი უთხრეს, ისე აბიჯებდა, თითქოს შიშველ ფეხისგულებს შუშის ნამსხვრევებზე ადგამდა. პიოტრ ნიკოლაიჩი ყოველი ათი ნაბიჯის შემდეგ ტროტუარის პირას ჯდებოდა და ისევ და ისევ იმეორებდა ერთსა და იმავე ფრაზებს, მეუღლისათვის რომ უნდა ეთქვა: „დუნკა, შე ოხერო, როგორ გაატარე ეს დრო უჩემოდ? რქები ხომ არ დამადგი ჩემს არყოფნაში? ვიტიას ხომ უვლიდი, როგორც საჭიროა? ქალაჩუნა გამიზარდე თუ მამაცი მეომარი?..“ ამას იქით აზრი ვერ მიდიოდა და კვლავ თავიდან იწყებდა: „დუნკა, შე ოხერო...“ ამასობაში კრიჟანგი მეზობლის მაღალ ღობეს მიადგა. იმის იქით კაცი ვერ გადაიხედავდა და პიოტრ ნიკოლაიჩმა შეუკურთხა, ღობე მეფარება და ჩემს ქოხს იმიტომ ვერ ვხედავო...

— ეჰეჰე... — ლიზავეტა პეტროვნას მოუსვენრობა დაეტყო. აწი ჩემი ჭილყვავივით ქმარი მომაკითხავს და თუ შჩი არ ჩავახეთქე, შეიძლება მიმბეგვოს კიდეცო, მაგრამ ეს რა დასაჯერებელი იყო. გოგის თითქოს არ გაუგონიაო, კვლავ ნავში იჯდა, მე კი გადავხტი და ნაპირზე ველოდებოდი. — ეჰეჰე, კაცის ბედს რა ვუთხრა, პიოტრ ნიკოლაიჩი ცალ ყავარჯენზე დაყრდნობილი ჩამოვიდა, ჯიბეში ხახვის თავი და ორასი გრამი შავი პური ედო...

აბა, სად უნდა წასულიყო?.. მაშინ კი იმ ღობეს გასცდა და მოკვდა კაცი. ტკივილები, მთელ გზაზე რომ წიწკნიდა, უცბად

გაუქრა. ხელ-ფეხი დაუბუჟდა და ყოველგვარი შეგრძნება დაკარგა. არ ეგონა, თუ გონი დაუბრუნდებოდა. მართლაც ძაღლია ადამიანი. თუმცა რა, ძაღლიც ვერ გაუძლებდა ამდენს და სული იქვე გასძვრებოდა. მაგრამ პიოტრ ნიკოლაიჩმა გაუძლო, წაქცევითაც არ წაქცეულა, ცრემლიც კი არ დასცდენია. ალბათ ნახევარი საათი მაინც იდგა ასე. მერე ნაჭრილობევმა შეახსენა თავი და ამით მიხვდა, ჯერაც ცოცხალი რომ იყო. საღი თვალით შეხედა იმას, რაც ოდესღაც მისი თეთრი ხატა იყო. ადრე სახლის წინ ორიოდე ძირი ალუბალი, მწირი ყვავილები და რამდენიმე მზესუმზირა ხარობდა, ახლა კი ყველაფერი ეს ღორების ტლაპოდ გადაქცეულიყო. პიოტრ ნიკოლაიჩი ნელა შებრუნდა. კრიჟანგი მეზობლის მაღალ ჭიშკარს მიადგა, დააბრახუნა. ფაშფაშა დედაკაცმა გამოხედა, ლოყაზე ხელი სიმწრით იტკიცა და მანდილის წვერი თვალში ამოისვა. „დაიხოცნენ?“ — მხოლოდ ეს იკითხა პიოტრ ნიკოლაიჩმა. „წავიდნენ, მეზობელო, წავიდნენ, გაოხრდა თქვენი სახლი და ლიდია ნიკოლაევნასთან წავიდნენ...“ თითქოს საფლავიდან წამოდგა პიოტრ ნიკოლაიჩი, გამოცოცხლდა, უზარმაზარი იმედი ჩაუგუბდა გულში. მწარედ ასტკივდა ნაჭრილობევები და მადლობის ნიშნად თავი მიწამდე დაუკრა შემცბარ ქალს...

— აქეთ გამოეშურა პიოტრ ნიკოლაიჩი. აბა, სად უნდა წასულიყო? აქ, ჩისტოპოლიეში ეგულებოდა თავისი და ლიდია ნიკოლაევნა. კაცი იმედით ცოცხლობსო, იმედს მოჰყავდა აქეთკენ...

სადგურიდან მაშინ ავტობუსი როდი დადიოდა, არც მოასფალტებული გზა იყო სადმე მთელ ამ მხარეში. ნაწვიმარზე საზიდრების მიერ აზელილი ოთონთო შავ ზოლად ჰყოფდა ნახნავებს და, სანამ პიოტრ ნიკოლაიჩი გადასასვლელამდე მოაღწევდა, ჩექმებს ძირები გასძვრა. ოჰო! ახლა რა, ახლა ავტობუსი მთელ გზას ორ საათში გაირბენს. პიოტრ ნიკოლაიჩს კი ნახევარ გზაზე დაუღამდა. აქედან თხუთმეტ კილომეტრზე ერთი გადამწვარი ხუტორია, იქ წყლით გაჟიჟინებულ ჩალაბულაში ათია ღამე. სიცივისაგან აძაგძაგებდა. იქნებ ვერც მიეტანა დილამდე, მაგრამ კაცს განა მარტო ცეცხლი ათბობს... ის თხუთმეტი კილომეტრიც მთლად ფორთხვით გაიარაო, მართალი არ არის, მაგრამ ოცჯერ მაინც ჩაემხო ტალახში. ტიროდა, იგინე-

ბოდა, კბილებს აღრჭიალებდა... ასე და ამრიგად მოაღწია სეიმის პირა ხაბომდე. ლიზავეტა პეტროვნას პირველმა მამამთილმა პაპა სტიოპამ დაინახა ლაფში ჩავარდნილი კაცი. „ღმერთი არ გაწირავს თავის გაჩენილს!“ — პირჯვარი გადაიწერა და წამოაყენა, გადაბრუნებულ ნავზე დასვა. ცნობით რას იცნობდა, მაგრამ შეეცოდა. ჯიბეში ბოთლი ედო, შიგ ერთი ყლუპი კარტოფილის არაყი ესხა და ის გადაახუხა. პიოტრ ნიკოლაიჩმა მოიხედა. პურის ქერქი და ნახევარი ხახვი ამოიღო. პაპა სტიოპას უარი არ უთქვამს და გემრიელად ჩაახრამუნეს. მერე პაპა სტიოპამ ჯიბიდან წეკოს ნაფჩხვენები ამოიბერტყა, გაზეთის ციცქნა ნაგლეჯში გაახვია და ორთავემ რიგ-რიგობით გააბოლა. მაშინღა ამოიღო ხმა პიოტრ ნიკოლაიჩმა: „ვერ მიცანით, პაპა სტიოპა?“ „როგორ ვერ გიცანი, კაი კაცო, გიცანი, მაშ!“ — უწამწამო ქუთუთოები მოჭუტა პაპა სტიოპამ. „ვოროპანოვი ვარ მე, პიოტრ ნიკოლაიჩი, ლიდია ნიკოლაევნას ძმა!“ „ჰო, ახლა კი გამახსენდი!“ — თავი დააქიცინა პაპა სტიოპამ. ვერა ცნობდა ბერიკაცი და პიოტრ ნიკოლაიჩმა არაფერი ჰკითხა. „გაღმა გამიყვანე, პაპა სტიოპა!“ — ესღა სთხოვა. „გაგიყვან, აბა არ გაგიყვან?“ — დაფაცურდა პაპა სტიოპა... პიოტრ ნიკოლაიჩი ამ ნაპირზე გადმოვიდა...

— არც ჩვენ გვიცხოვრია მოლხენით, — მოიღუშა ლიზავეტა პეტროვნა, — ბალახ-ბულახსა და ხის ქერქსა ვჭამდით, — ეს იყო ცხოვრება?

ბექობზე ციცქნა კაცი გადმოდგა და მუშტი მოგვიღერა.

— ლიზავეტა, ძუკნავ, ამ წუთას აქ გაჩნდი! — ხმა ისეთი ჰქონდა, ბაყბაყდევი გეგონებოდათ.

— ახლავე, ახლავე, ვანიუშა, ოღონდ არ ინერვიულო! — დაფაცურდა ლიზავეტა პეტროვნა, — დანარჩენს სხვა დროს მოგიყვებით, ხატულა მტრედებო, თუმცა ლიდია ნიკოლაევნამ ჩემზე უკეთ იცის ყოველივე... აბა, აბა, მშვიდობით მენახეთ!

გოგი ნავიდან უხმოდ გადმოხტა. ლიზავეტა პეტროვნამ სასაცილო ფაციფუცით გააცურა ნავი თავისი ჩია მეუფისაკენ და მხოლოდ მაშინ მოგვაძახა:

— გზა არ აგებნეთ, ხატულა მტრედებო! ტყიდან რომ გახვალთ, ბოლოდან მესამე სახლი ვოროპანოვებისაა!

ხელი დავუქნიე და მდინარეს ზურგი შევაქციე.

გოგი ადგილზე გახევებულიყო. ფიქრიანი თვალებით გაჰყურებდა ნავს. ბაგეები გათეთრებოდა..

— გამაგრდი, ჯიმა! — ბეჭზე ხელი დავკარი.

— ფეხები არ მემორჩილება, — თავს ძალა დაატანა, გამიღიმა, — არ ვიცი, როგორ მოვიქცე, იქნებ უკან დავბრუნდეთ...

— იქ მივიდეთ და ვნახოთ, როგორ აჯობებს! — ყოჩაღად წარმოვთქვი, მაგრამ ლიზავეტა პეტროვნას ნაამბობმა მეც შემაფიქრიანა. მინდოდა, ვინმე ენაწყლიანს გადავყროდი, რათა დანარჩენი ამბებიც ჩამოეკაკლა.

გოგი უსიტყვოდ შებრუნდა და ბილიკს დაუყვა. მუხლამდე ბალახი იდგა. ალბათ ამ მხარეში მუშახელი ჭირდა, მხოლოდ აქა-იქ მოეთიბათ. მინდვრის კიდეზე ჭრელმანდილიანი ქალები დავლანდე, თივას აბინავებდნენ, ბილიკზე კი არავინ შეგვხვედრია. თანამგზავრს უხმოდ ვაკვირდებოდი. აშკარად ვხედავდი, როგორ თანდათან იხრებოდა ბეჭებში და კუზიანს ემსგავსებოდა. სათიბებს ნესტიანი თხმელნარი ესაზღვრებოდა და ბილიკი საქონლის ჩლიქებს აეზილა. გოგი ტალახს ვერ ამჩნევდა, პირდაპირ მიაბოტებდა. მღელვარება მეც უფრო და უფრო მიპყრობდა. სინდისის ქენჯნა მაწუხებდა. თითქოს დეიდა ვარას წმინდა ხსოვნას ვღალატობდი, მაგრამ აქამდე უცნობი პიოტრ ნიკოლაიჩიც მებრალებოდა, უბრალო ჯარისკაცი, საკუთარ კერასთან რომ მიბრუნდა და სიკვდილის შეგრძნება განიცადა...

ტყე მალე მოთავდა, ბექობზე შეუმჩნევლად ავაღწიეთ. პატარა სოფლის ერთადერთ ორღობეში გავედით. ბოლოდან მესამედ იდგა თეთრი ხატა, რომლის ჩუქურთმებიანი დარაბები ლურჯად შეეღებათ, ფანჯრებზე კი შინაბერას მოქარგული ტილოს ფარდები ეკიდა...

5

ეზოს მაღალი ღობე ერტყა და ჭუჭრუტანებს ტანდაბალი და ჯერაც მსხმოიარე ალუბლები ეფარებოდა. ჭიშკარზე დავაბრახუნე. არავის გამოუხედავს. საკეტი გადავწიე და შევაღე. შუახანს გადაცილებული ქალი ახლადგარეცხილ ზეწრებს თოკ-

ზე ფენდა. ალბათ ყურს აკლდა, თორემ ბრახუნსა და ჭიშკრის წრიალს როგორ ვერ გაიგონებდა. ეზოში თამამად შევაბიჯე. გოგიც გამოვიყოლე. ამას იმიტომ ვამბობ, ხელი რომ არ ჩამევლო, ალბათ კარს გაღმა დარჩებოდა. ახლაც ბავშვივით ანგარიშმიუცემლად მიძალიანდებოდა.

ქალმა ჩვენსკენ მოიხედა და... ხმის ამოღება ვერ მოვასწარი, სველი ზეწარი ძირს დაუვარდა და თვითონაც იქვე ჩაჯდა. წამით დავიბენი, მერე გონს მოვედი, ქალთან მივიჭერი, წამოყენება ვცადე. ქალმა სასოებით ამომხედა, მოულოდნელად ხელზე მაკოცა და წაიჩურჩულა:

— ღმერთო ჩემო, ვიტკა!

ხელი ცივად ვუშვი. ცხადია, ეს იყო ლიდია ნიკოლაევნა.

— მე ვიტკა კი არა, გუჯა გობეჩია ვარ. თქვენი ვიტკა ეს ჭაბუკი გახლავთ! — ნაძალადევი მხიარულებით განვუმარტე.

ლიდია ნიკოლაევნამ გაკვირვებით ახედა ადგილზე გაშტერებულ გოგის, თვალებში შიში, დაბნეულობა, წრიალი შეეტყო.

— მოდი, ბიჭო, აკოცე მამიდაშენს!

გოგი გამოერკვა, ახლა უფრო ყოჩაღად გამოიყურებოდა, ვიდრე გზაზე. სწრაფად გამოიქცა და ლიდია ნიკოლაევნას წამოყენებაში მომეშველა.

— გამარჯობათ, ლიდია ნიკოლაევნა! — ნათესაურად აკოცა კიდეც.

ქალს პირველი გაოცება გადაუვიდა. გოგის ჩაეხუტა და ატირდა. გოგიც რაღაც უშნოდ აპარპალებდა თვალებს. „ეჰ, კოკისპირულს დაუშვებს ახლა!“ — უკმაყოფილოდ გავიფიქრე და ზურგი ვაქციე. ან რა საყურებელია ჩვენი ასაკის მამაკაცის ცრემლი.

ბოლოს, როდის-როდის ლიდია ნიკოლაევნამ თვალები შეიმშრალა და სახლში შეგვიძღვა. ტაბურეტებზე დაგვსვა, თვითონ კი დაფაცურდა, არ იცოდა, ჩვენთვის რითი ესიამოვნებინა.

— ახლავე ბორშჩს გავაცხელებ, ნამგზავრები ხართ და მოშიებულნი იქნებით... კატლეტებიც ამ წუთას შევწვი, თითქოს ტანმა მიგრძნო, რომ ჩამოხვიდოდით... — ვერ ისვენებდა ლიდია ნიკოლაევნა, ოღონდ ეს იყო, ამ ფაციფუცში უფრო მე მელაპარაკებოდა, მდუმარე გოგის კი ხანდახან თუ გადახედავდა

შიშნარევი თვალებით.

— როგორ გაუხარდება პიოტრ ნიკოლაიჩს. სათევზაოდ წავიდა, მიკვირს, გზაში რომ არ შეგხვდათ... ეჰ, დაბერდა პიოტრ ნიკოლაიჩი. ნახეთ, როგორი იყო ჯეელობისას! — თავი კუთხისაკენ მიაბრუნა. იქ, მაგიდაზე ფარაჯიანი მამაკაცის სურათი იდგა.

გოგი ტაბურეტიდან წამოიწია. სურათს მიაშტერდა. ყბებს უნებლიეთ ამოძრავებდა. სახე კვლავ უფითრდებოდა.

— რა მოგივიდა?

— რა უნდა მომსვლოდა? — სწრაფად შემეპასუხა.

ლიდია ნიკოლაევნას არაფერი შეუმჩნევია. თვალებზე წამდაუწუმ ცრემლი ადგებოდა და ცხვირს აქშუტუნებდა.

— მოწევა მინდა! — წამჩურჩულა გოგიმ. იშვიათად ეწეოდა.

— ლიდია ნიკოლაევნა, ეზოში გავალთ, მოვწევთ! — მე უფრო სწრაფად გავშინაურდი.

— ჰო, ჰო, ვიტენკა, მანამდე მე სუფრას გაგიშლით!

ჩემი სახელი ვერ დაიმახსოვრა, „ვიტენკას“ გამეორება კი ალბათ სიამოვნებდა.

ეზოში თითო პაპიროსი გავაბოლეთ. არ ვიცოდი, რა მეთქვა. ან რა უნდა თქვას კაცმა ამ ვითარებაში? ორივენი ვღელავდით და ეგ იყო.

— იცი, ეს ის სურათი არ არის! — ყრუდ წარმოთქვა გოგიმ.

— ხომ არ გააფრინე, მაგი სურათი შენი მოგონილია!

— ჰო, ალბათ მე თვითონ მოვიგონე. იქნებ მეხსიერებაში მთლად სხვისი სურათი ჩამებეჭდა, — ყოყმანით დამეთანხმა.

შინ შევბრუნდით. ლიდია ნიკოლაევნამ სუფრასთან მიგვიწვია. არაყზე უარი ვთქვით. ანდა რა დაგვალევინებდა, სანამ პიოტრ ნიკოლაიჩი არ მოვიდოდა. ვერც ჭამა შევძელით. ძლივს მოვწიწკნე მჟავე კიტრი. გოგის კი კრიჭა შეეკრა და ლუკმა ვერ გადაყლაპა. პაპიროსი აიღო, ანგარიშმიუცემლად პირში გაირჭო, ასანთის მოკიდება დაავიწყდა, ნერვულად დაღეჭა და საფერფლეში ჩააგდო. მერე თითქოს დაავიწყდა, წუთის წინ რომ უარობდა, არაყი დაისხა და მეც დამისხა.

— ეს ჩვენ გაგვიმარჯოს, ლიდია ნიკოლაევნა, ყველა ობოლს გაუმარჯოს! — და უცებ გადაჰკრა.

ლიდია ნიკოლაევნა ისევ ატირდა. თვალებზე წინსაფარს იფა-

რებდა და ფშლუკუნებდა. შეწუხებულნი ვისხედით, არ ვიცოდით, როგორ დაგვემშვიდებინა. ქალი თავის მართლებას ცდილობდა, ახლავე გამივლის, ყველაფერი ნერვების ბრალია, მეტს არ ვიტირებო, მაგრამ წინანდელზე მეტად ფშლუკუნებდა.

... მაშინ ლიდია ნიკოლაევნა თვითონ გაემგზავრა რძლისა და ძმისწულის ჩამოსაყვანად. დუნიამ უარი სტკიცა, არ წამოჰყვა. პიოტრ ნიკოლაიჩს დაუბარებია, შენ იცი და შენმა ქალობამ, ოჯახი არ გამივერანოო. „რაღა დროს მაგია, მტერი კარს მოგვადგა!“ — ფიცხობდა ლიდია ნიკოლაევნა. არც ჩისტოპოლიეს ასცდენია ოკუპაციის მძიმე წლები, მაგრამ მაშინ ეგონა, ეს ჭირი აქამდე ვერ მოაღწევს, თანაც სოფელი მაინც სოფელია, თუ გაჭირდა, მინდორში რომ კარტოფილი ჩარჩება, კაცი თავს იმითაც გაიტანსო. არ დაეთანხმა დუნიაშა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ასეთი ჯიუტი იყო. იმ დღეს მთელი ქალაქი სანგრების სათხრელად გაიყვანეს. ლიდია ნიკოლაევნაც წამოვიდა და პაწია ვიტენკაც წაიყვანეს. ნაშუადღევს შავ ღრუბლებს მოულოდნელად ბომბდამშენები გამოეყვნენ. ქალაქში კარგა ხანს ისმოდა გრიალი... საღამოს, შინ რომ დაბრუნდნენ, სახლის ადგილას დიდი შავი ორმო დახვდათ... რა ჩარა იყო, მატარებლით წამოვიდნენ... ჰოდა, იმ მატარებელს გზაზე მტრის სვავები დააცხრნენ...

— ვერაფრით ვიხსენებ, რა და როგორ მოხდა. რკინის ანატკეჩმა თავში დამჭრა. გონს რომ მოვედი, დუნიაშას ძებნა დავიწყე. ბომბისაგან ამოთხრილი ორმოს პირას ეგდო... ჩემი ხელით დავმარხე იმ ორმოში. შორიახლო პატარა ბიჭიც ვიპოვე, ოღონდ თავი არ ჰქონდა და ტანსაცმელიც შემოფლეთოდა. ისიც დუნიაშასთან დავმარხე... მერე ვიფიქრე, იქნებ ის ბიჭი სულაც არ იყო ვიტენკა. იქნებ ჩვენი ბიჭუნა ცოცხალი გადარჩა-მეთქი...

ჭიქაში წყალი ჩავუსხი და მივაწოდე. კბილები უკაწკაწებდა, ჭიქის კიდეზე რაკუნი გაჰქონდა.

ოკუპაციის წლები ვინც გადაიტანა, იმან ალბათ ნახევარი სიცოცხლე დაკარგა. ლიდია ნიკოლაევნა ყველაფერს იტანდა, შიმშილს, სიცივეს, დამცირებას, მაგრამ ყველაზე საშინელი იმ დღის გახსენება იყო. მოგონებები აწამებდა, აჩემებული აზრი უწიწკნიდა სულს, რა ვუთხრა პიოტრ ნიკოლაიჩს, ომი რომ დამთავრდება და ფრონტიდან დამიბრუნდებაო. ყველაფერს

თვითონ იბრალებდა, ძალით წამოვიყვანე რძალი და ძმისწული, თორემ დღესაც ცოცხლები იქნებოდნენო. ვერ იქნა, ვერ უმკურნალა გულის წყლულს. კარგად იცოდა ძმის ხასიათი. ისეთი ოხრები იყვნენ ეს ვოროპანოვები, თუ ვინმეს გულით მიეწებებოდნენ, მერე ვერ ააღლეტდი, თუ ვინმეს შეიძულებდნენ, მიწაში ჩაჰყვებოდნენ. არაერთგზის გადაწყვიტა ლიდია ნიკოლაევნამ, ავდგები და კარის წირთხლზე თავს ჩამოვიხრჩობო, მაგრამ მეზობლად მცხოვრები ერთი ურჯუკი პოლიციის ჟინი სჭირდა, იმას გაუხარდებაო და თავსაც იმიტომ იკავებდა.

— ჩემზე ადრე ის პოლიცაი ჩამოეკონწიალა საკუთარ ბოსელში, — ფშლუკუნი შეწყვიტა ლიდია ნიკოლაევნამ, — მის ცხედარზე ცრემლი არავის უღვრია, ცოლ-შვილიც აიყარა აქედან. მისი ქოხის ფანჯრები ახლაც ფიცრითაა აჭედილი და კაცი არ ეკარება.

მერე პიოტრ ნიკოლაიჩი მობრძანდა. შორი გზა გამოევლო, ყავარჯენზე დაყრდნობილი დიდ ხანს მოდიოდა თურმე. ჭიშკარს რომ მოადგა, საფრთხობელას ჰგავდა. ფარაჯა შემოჰხეოდა, ჩექმებს ძირი გასძრობოდა, თავფეხიანა ტალახში ამოგანგლულიყო. ლოყები ჩასცვენოდა და ცარიელი ყვრიმალები მოუჩანდა. ჩონჩხი იყო, მოარული ჩონჩხი... შიმშილისაგან მუცელი ხერხემალზე აჰკვროდა, მაგრამ არ უთქვამს, ლიდენკა, ნაომარი ძმა დაგიბრუნდა, მაჭამე და მასვი, ლიდენკა, წყალი გამიცხელე და დამბანე... არა, მსგავსი არაფერი უთქვამს... ზვიადად იდგა აი, ამ ეზოში, პირდაპირ თვალებით ბურღავდა დას. ხმადაბლა იკითხა: „ლიდია ნიკოლაევნა, დაო ჩემო, შენი იმედი მქონდა და იმიტომ დავძლიე ის ჯოჯოხეთი. რა უყავი ცოლი ჩემი დუნიაშა და ჩემი ვიტენკა?“ ლიდია ნიკიოლაევნას მიწისფერი დაედო. ძმას ფეხებში ჩაუვარდა და ტირილი მორთო: „მომკალი, პიოტრ ნიკოლაიჩ, ვერ დავიცავი შენი ოჯახი! ერთ ორმოში დავმარხე რკინიგზის პირას!“

არაფერი უთქვამს პიოტრ ნიკოლაიჩს, ცრემლიც არ დაუგდია. სახლში შევიდა, სკამლოგინზე დაჯდა და გაყუჩდა. სამი საათი იჯდა გაუნძრევლად, ერთ წერტილს მისჩერებოდა... დაფრთხა ლიდია ნიკოლაევნა, მწუხარებისაგან ჭკუაზე არ შეირყესო, მაგრამ სიტყვა ვერაფერი ჰკადრა. სლუკუნს მოუმატა ოღონდ. ცრემლებს იწმენდდა და ცხვირს ხმაურით იხო-

ცავდა. უცებ თავი აიღო პიოტრ ნიკოლაიჩმა, მუშტი დაახეთქა მაგიდას და დაიღრიალა: „ლიდკა, არაყი!“

— წახდა კაცი! ჰო, ომამდე არ სვამდა, არც ეწეოდა, აქ კი ლუკმაც არ მოუციცქნია, იჯდა და სვამდა...

მართლაც წახდა კაცი. უპეები უხურდა, ამოშრობოდა. ზედიზედ ისხამდა არაყს და ჭიქას უხმოდ ცლიდა. არაყი კი არა და არ ეკარებოდა. „იტირე, შე ურჯუკო, იტირე!“ — ეხვეწებოდა ლიდია ნიკოლაევნა. პიოტრ ნიკოლაიჩს მისი წუწუნი თითქოს არ ესმოდა. მხოლოდ ერთხელ მოჰხედა ციებიანი თვალებით და შეუბღვირა: „ლიდკა, მომწყდი თავიდან!“ ნახევარლიტრიანი დააპირქვავა ასე და მაშინ წამოიწია. თითქოს წყალი ესვასო, ზედაც არაფერი ეტყობოდა. ის კი არა და, ძალა მოეცა. ყავარჯენს ხელი დაავლო. ორღობეში გავიდა. „ჰეი, თქვე ოხრებო, მოვედი ჯარისკაცი პიოტრ ნიკოლაიჩი!“ — გასძახა მიჩუმათებულ სოფელს და რაღაც ჯარისკაცური, ყოჩაღური სიმღერა შემოსძახა. ხმა კი კარგი ჰქონდა პიოტრ ნიკოლაიჩს, თითქოს შიგ გულიდან ამოსდიოდა. ასე მღერა-მღერით გასწია მეზობლებისაკენ. ყველას სათითაოდ ჩამოუარა: კუზმა მჭედელს, ცალფეხა ივანეს, მასწავლებელ პელაგია პავლოვნას, პროხორ ივანიჩს, ქაჩალი რომაა, ადელაიდა უსირცხვილოსაც კი, ოკუპაციის დროს გერმანელ ოფიცერუკასთან რომ დაეთრეოდა... ასე სახლიდან სახლში გადადიოდა პიოტრ ნიკოლაიჩი. ყველას მიესალმა, თავი მიწამდე დაუკრა, თითო ჭიქა არაყი გადახუხა. სანამ ბოლომდე ჩააღწევდა, ხმაც ჩაუწყდა. ან ვინ მისცა ამდენი ღონე დაჭრილ ჯარისკაცს... გაშორდა სოფელს და სათიბები გადაჭრა. იქ კი სეიმში გადავარდა... ვინ იცის, იქნებ მთვრალი იყო და იმიტომ გადავარდა, იქნებ თვითონ მოისურვა ასე და იმიტომ... საბჭოს თავმჯდომარე იგნატიჩი ორთვალათი მოდიოდა თურმე რაიცენტრიდან. იმან დაინახა, ფარაჯიანი კაცი რომ გადავარდა სეიმში და თან გადაჰყვა, ამოათრია...

— ეჰ, ვიტენკა, რა დღე გადავიტანეთ...

გრძნობადაკარგული პიოტრ ნიკოლაიჩი იგნატიჩმა თავისი ორთვალათი რაიცენტრში, საავადმყოფოში წაიყვანა. სამი დღე გონს არ მოსულა პიოტრ ნიკოლაიჩი, სამი თვე ვერ გამოეწერა საავადმყოფოდან... ლიდია ნიკოლაევნამ ერთხელ კიდევ შეაწუხა საბჭოს თავმჯდომარე, ორთვალა სთხოვა, ძმა წამოიყვანა შინ. გზაზე ხმა არ ამოუღია ნაავადმყოფარს. მარტო ერთხელ შეეკითხა: „ორთავე დამარხე?“ ლიდია ნიკოლაევნამ ისევ ტირილი მორთო, მაგრამ პიოტრ ნიკოლაიჩი უხმოდ შეჰყურებდა და პასუხს ელოდა. ბოლოს გამოუტყდა ძმას, დუნიაშა მართლაც ვიცანი, მაგრამ პატარა ბიჭი თავწაგლეჯილი იყო და იქნებ ვიტენკა არც ყოფილაო. მეტი არაფერს ჩასძიებია პიოტრ ნიკოლაიჩი. ჩუმად დაბრუნდნენ ჩიტოპოლიეში. მთელი კვირა მისი ხმა არ გაუგონია ლიდია ნიკოლაევნას. კვირის თავზე, ღამის სიბნელეში მოესმა, როგორ ეჩურჩულებოდა საკუთარ თავს პიოტრ ნიკოლაიჩი: „იქნებ ჩემი ვიტკა ცოცხალია, ღმერთო, იქნებ ცოცხალია!“

— რამდენი წელი გავიდა, ღმერთო, რამდენი წელი... ცოლი ვერაფრით შევრთე, მაშინ ხომ ჯერაც ახალგაზრდა იყო... ეჰ, მართლაც დიდი ხანი გავიდა... ბოლო დროს კი ძალიან მოტყდა...

დიახ, დიდი ხანი გავიდა. იმედი კი ხან აენთებოდა, ხან მთლად ქრებოდა. ქალებს ვერ იტანდა. ხომ იცით, სოფლის თამამი ქალები, სიტყვის საძებრად ჯიბეში როდი ძვრებიან. ომის შემდეგ სოფელში მამაკაცი თითზე დაითვლებოდა და პიოტრ ნიკოლაიჩი დიახაც რომ ბევრ ყმაწვილ გოგოსაც მოსწონდა. მაგრამ გოგოების მრავლისმეტყველ ქარაგმებს პიოტრ ნიკოლაიჩი ყურს არ უგდებდა. თუ მაინცდამაინც ჩააცივდებოდნენ, ერთს ისე შეხედავდა ქურუშად, ენაჩავარდნილები გაეცლებოდნენ... აი, ბავშვები კი კუდში დასდევდნენ: „პიოტრ ნიკოლაიჩ, ეს გამიკეთე!.. პიოტრ ნიკოლაიჩ, იმან მცემა!.. პიოტრ ნიკოლაიჩ, ამან შემაგინა!..“ ეს ამოდენა კაცი ხან სანადიროდ წაიყვანდა თითისტოლა ბიჭბუჭებს, ხან სათევზაოდ. ბურთაობის დროს კარშიც კი აყენებდნენ, თუმცა რა მეკარე ეგ იყო, კოჭლობა შერჩა და სანამ ორ ნაბიჯს გადადგამდა, ბურთი კარში აღმოჩნდებოდა. ლიდია ნიკოლაევნა უწყრებოდა, სირცხვილია, პიოტრ ნიკოლაიჩ, ვის არის, თავს რომ უყადრებ, სოფელი დაგცინებსო. ძმას პირზე ღიმილი შეადნებოდა და მოღუშული მხოლოდ ორ სიტყვას დააგდებდა: „მომეშვი, ლიდკა!“ ასე გრძელდებოდა თვიდან თვემდე, მაგრამ ხანდახან სასოწარკვეთილება დარევდა ხელს, არაყს მიასკდებოდა, ღრიალ-ღრიალით ჩამოივლიდა ორღობეს,

ვის ქვას ესროდა, ვის ხუთსართულიან გინებას მიაყოლებდა, ვის ფანჯარას ჩაულეწავდა. მერე სადმე გზისპირას მიწვებოდა და წუწუნსა და ტირილში ჩაეძინებოდა. ისევ ის ბიჭბუჭები მოუყვანდნენ ლიდია ნიკოლაევნას, უხმოდ გაეცლებოდნენ, ენა ვერ უბრუნდებოდათ საქილიკოდ. ლიდია ნიკოლაევნა გახდიდა, დაბანდა, ლოგინში ჩააწვენდა. მეორე დღეს კი დარცხვენილი პიოტრ ნიკოლაიჩი თავის აწევას ვერ ბედავდა. ლიდია ნიკოლაევნა თვითონ ეახლებოდა შესარიგებლად. ისიც ამოიხვნეშებდა: „ეჰ, ლიდკა, დაო და მეგობარო, ისევ მივქარე!“

ერთხელ იყო და რაიცენტრიდან გახარებული დაბრუნდა. ეს აი, ამ ხუთი წლის წინ მოხდა. ვიღაცას უთქვამს, დაკარგულ ნათესავებს რადიოთი ეძებენო, განცხადება დაუწერია და გაუგზავნია, სადაც საჭირო იყო. ოთახში ისე თვალებგაბრწყინებული შემოვარდა, მზეც თან შემოიყოლაო, ლიდია ნიკოლაევნამ გაიფიქრა. იმ დღიდან ცხოვრება შეიცვალა, პიოტრ ნიკოლაიჩი ერთიანად გაახალგაზრდავდა, ქალებსაც კი დაუწყო ხუმრობა, ყოველ დღე პირს იპარსავდა, კოჭლობას კაცი ვერ შეატყობდა...

— კაცი იმედითააო, გამიგონია, მაგრამ ხუთი წელი მაინც ცოტა არაა! — საყვედური გაურია ლიდია ნიკოლაევნამ. თავის მართლება ვერ მოვასწარით, ტუჩზე თითი მიიდო: — მგონი, მოვიდა! — წაიჩურჩულა და ადგილზე გაშეშდა.

ჩვენც ფეხზე წამოვდექით.

გოგის ხელი წავატანე. ვიგრძენი, მკლავი აუცახცახდა. უსასრულოდ დიდხანს გაჭიანურდა წამი, რაც ჭიშკრის გაჭრიალების შემდეგ გავიდა. მერე წინაკარში ნაბიჯის ხმა გაისმა. მოსული ხვნეშოდა, რეზინის ჩექმებს თუ იხდიდა.

— ლიდკა, ნახე, რა ლოქო მოვიტანე! — გამოსძახა.

ლიდია ნიკოლაევნა ელდანაცემივით შექანდა, კარისაკენ გაემართა, მაგრამ ისევ შეჩერდა და ხმის კანკალით შეეპასუხა:

— პიოტრ ნიკოლაიჩ, ჩვენთან სტუმრებია!

— სტუმრები? — ხვნეშა შეწყდა და წამის შემდეგ ზღურბლზე ასე, სამოცს გადაცილებული, გამხდარი კაცი წამოიმართა. პირისახე ერთიანად დაექსელა წვრილ ნაოჭებს. თმაც მთლიანად გასჭაღარავებოდა. ჩაშრეტილ თვალებში ალბათ ოდესღაც ლურჯი სხივი კრთოდა. დაკვირვებით შეგვათვალიერა, არაფერი უთქვამს.

შემეშინდა, ვაითუ ლიდია ნიკოლაევნასავით შევეშალო და ჩემსკენ გამოემართოს-მეთქი.

კაცის მზერამ ისე გადამირბინა, თითქოს უსულო საგანზე ასხლტაო და გოგის მიაშტერდა.

გოგის ბაგე აუკანკალდა, სახე ბავშვივით დაემანჭა და ენის ბორძიკით ამოღერღა:

— მამა!

კაცს სახეზე მკვდრისფერი დაედო, ბაგე გაუთეთრდა.

დამფრთხალი ლიდია ნიკოლაევნა აწრიალდა.

— პიოტრ ნიკოლაიჩ, თქვენ ნუ აღელდებით, გეთაყვა, დამშვიდდით!

კაცმა ქალი განზე გასწია და მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა:

— ვიტკა!

6

მერე ისეთი ამბები დატრიალდა!.. გოგის ისტერიკა აუტყდა, ლოგინის კიდეზე ჩამოემხო და აქვითინდა. პიოტრ ნიკოლაიჩს ერთი ღერი ცრემლი არ დასცდენია, თითქოს თვალები სულის ხვატმა ამოუწვაო. ლოგინზე ჩამოჯდა და გლეხის ნაჯაფარი, ჩაჟანგული ხელი გოგის თავზე დაადო, თმაზე მოეფერა. ლიდია ნიკოლაევნა, სიხარულმა თუ ძველი ჭრილობების გახსენებამ, პირდაპირ ააბღავლა და ვერაფრით გავაჩუმე. ერთადერთი მაყურებელი მე ვიყავი და არც მე მადგა კარგი დღე. ალბათ მართალი მაშინ ვიქნებოდი, აქედან გავპარულიყავი, სადმე ამ მიდამოებში ეკლესია მომეძებნა და სანთელი ამენთო დეიდა ვარას წმინდა სულისათვის. ამ რია-რიაში ერთი რამ მკვეთრად ჩამებეჭდა მეხსიერებაში: პიოტრ ნიკოლაიჩის საოცარი გამოხედვა. ბერიკაცის თვალებში სიხარულის ნაცვლად აუტანელი ტანჯვა დავლანდე და ეს ვერაფრით ამოვხსენი.

ამასობაში კარგა დიდი დრო გავიდა, მოსაღამოვდა კიდეც. მეზობლებმა მოგვაკითხეს. სოფელში ელვის უსწრაფესად გავრცელდა ხმა, ვოროპანოვების ვიტკა დაბრუნდაო, და დიდ-პატარას ცნობისმოყვარეობა წვავდა. გასაოცარი ისღა იყო,

ყოველი სტუმარი ერთნაირად იბნეოდა, რადგან უპირველესად მე მომვარდებოდა: „ვიტკა, ძველო!“ როცა გაირკვეოდა, ვიტკა რომ არ ვიყავი, დარცხვენილნი გოგის ერთგვარი უნდობლობით ართმევდნენ ხელს.

მერე ჭეშმარიტი ღრეობა გაიმართა. რუსული ლხინისა მე რა გამეგება. თამადა ჩვენ არ გვყავდა და ვისაც როგორ ეპრიანებოდა, ისე ქეიფობდა. შინნახადი არაყი დიდი, მუცელგაბერილი ბოცით გვედგა. თვითონ ვისხამდით, ვის რამდენიც გვინდოდა, ჭიქებს ვუჭახუნებდით, სადღეგრძელოც, ცხადია, მოკლე იყო: „აბა, კარგად იყავი!“ „იცოცხლე!“ მალე საკმარისზე მეტადაც შევზარხოშდი და სიმღერები დავჭექე. ხან რუსული ვიმღერე, ხან ქართულიც გავურიე. ვის როგორ შეეძლო, ისე ამყვა და თუმცა შეწყობილი სიმღერა არ გამოგვივიდა, მხიარულება არ გვაკლდა, ოჯახის ბედნიერება მთელს სოფელს გადასწვდა, ხალისი ყველას უწილადა. სხვაზე მეტად ალბათ მე ვბობოქრობდი. თავი ისე ავიწყვიტე, ჩურჩული შემომესმა: „უყურე ამ ქართველს, სისხლი უდუღს!“ ოციოდე წლის გოგონამ გადაუჩურჩულა თანატოლს და ის გოგონა დავიმახსოვრე.

გოგი სუფრის თავზე, ახლად შეძენილი მამის გვერდით იჯდა. ისეთი დაბნეული და გამობენტერებული ჩანდა, მისი შემხედვარე სიცილს ვერ ვიკავებდი.

შუა ქეიფში რომ ვიყავით, ფეხზე წამოვდექი და სიტყვა მოვითხოვე.

— მე მინდა ამ მხიარულ სუფრაზე გავიხსენო ადამიანი, ვინაც გოგის ჭეშმარიტი დედობა გაუწია, დეიდა ვარას სახელი აცხონოს ღმერთმა!

ჭიქა დავცალე და ტირილი მომინდა. ბეჭებზე ხელი მომიტყაპუნეს, მამშვიდებდნენ.

ცრემლი მოვიწმინდე და ისევ სიმღერა წამოვიწყე. უცბად გამკრა. აღმოვაჩინე, რომ ამ შეწყობილ ხმებში ერთხელაც არ გამიგონია ერთი კაცის ხმა. საყოველთაო მხიარულებაში ერთი ხინჯი მაინც ერია, ერთი შეუმჩნეველი თამადა გვეჯდა სუფრის თავში. პიოტრ ნიკოლაიჩს მთელი საღამოს მანძილზე ხმა არ ამოუღია. საკმაოდ შემთვრალი ვიყავი, გამიჭირდა თვალის გასწორება. ბერიკაცის მზერაში კვლავ უზარმაზარი ტანჯვა იჯდა.

თვალზე ხელი ჩამოვისვი, გამახსენდა ლიდია ნიკოლაევნას ნათქვამი, ჩემს ძმას მშვენიერი ხმა ჰქონდაო. ისევ წამოვიწიე და აყაყანებული თანამეინახენი ჩავაჩუმე.

— პიოტრ ნიკოლაიჩ, ძვირფასო, გვიმღერეთ რამე!

— გვიმღეროს, გვიმღეროს!.. — ტაში შემოჰკრეს დანარჩენებმა. შეზარხოშებულებს ხომ ყველაფერი ეიოლებათ.

— პიოტრ ნიკოლაიჩ, ძამიკო... — ლიდია ნიკოლაევნას მღელვარებისაგან ხმა აუკანკალდა.

პიოტრ ნიკოლაიჩმა თავი ჩაქინდრა. თანდათან სამარისებური სიჩუმე დასადგურდა. უხერხულობა ვიგრძენი. ალბათ გადავამლაშე. ისევ მე უნდა გამომესწორებინა ჩემი შეცდომა. წუთიც და ხუმრობაში გადავიტანდი ჩემს ნათქვამს, ან თვითონ წამოვიწყებდი კიდევ ერთ სიმღერას ჩემი მწირი რეპერტუარიდან.

მაგრამ ის ამღერდა... ბერიკაცის გაბზარული ბარიტონი... ჩუმი დვრინი... მარტოშთენილი კაცის უთქმელი ქვითინი...

უკიდეგანო, ყინულოვანი ტრამალები... არსად ადამიანის ნაკვალევი... თეთრი მდუმარება... თეთრად გასარკული ცივი ზეცა... სისხლისფერი ცივი მზე... თოვლზე გაწოლილი ცივი სხივები... ჰორიზონტზე ცივი ქარაშოტი წამოიმართება, მოეშურება, თან მოაქვს მომაკვდინებელი ხვევნა... ტრიალ მინდორზე გზააბნეული ბავშვი მიიჩქარის... ხანდახან ჩერდება... „დედა!“ — მისი ხმა აქვე, ორ ნაბიჯზე წყდება... „მამა!“ — მის ხმას ყინულოვანი ველი ირეკლავს... მიდის გზააბნეული ბავშვი, მიიჩქარის... ჰორიზონტზე კი უკვე წამოიმართა ცივი ქარაშოტი... ღამე უჩუმრად ეფინება ვრცელ ცისქვეშეთს... მარტოდ დარჩენილი ბავშვი მიდის, მიიჩქარის... ყინულოვან ტრამალებში არსად ადამიანის ნაკვალევი არ ჩანს... ბავშვის პაწია ნაფეხურებს კი კვალს ადევნებული ცივი ქარაშოტი შლის...

ბერიკაცის გაბზარული, ჩუმი დვრინი... თითქოს გაიბზარა ძველი ფირფიტა. გრამაფონის დაჟანგულმა ნემსმა გაიფხაკუნა, შეწყდა...

მძიმე, სევდიანი მდუმარება დასადგურდა, ბეჭებზე დაგვაწვა, მიწამდე მოგვზნიქა.

ბედნიერ სუფრაზე რა უნდოდა ასეთ მძაფრ სევდას, „ბრავო!“-მეთქი შევძახე და ტაში დავცხე.

ვითარება უცბად განიმუხტა. ტაშს აჰყვნენ, დარდი იქით გადააგდეს და მხიარულად ახმაურდნენ.

— ტაში, ტაში! — ხელები გავშალე, ქართული ცეკვა შემოვუარე. ის გოგონა, ამასწინათ რომ დამამახსოვრდა, თამამად გადამიდგა, ფეხები ააბაკუნა, ჭრელი მანდილი თვალწინ ამიფრიალა და „ეეჰო!“ — შეჰკივლა.

სუფრა აიშალა. ეზოში ცეკვა-თამაშით გავედით.

უზარმაზარი მთვარე ეკიდა ცაზე, მთელი სოფელი ვერცხლისფრად ქათქათებდა.

ახალგაზრდებმა ტრანზისტორი ჩართეს და ორღობეში წრე შეკრეს.

უფრო ხნიერი წყვილები თავთავიანთ სახლებში შეილალნენ.

ზედ ყურისძირთან ვიღაცამ ეშმაკურად ჩაიხითხითა. მკლავზე ხელი ჩავავლე და აკი ის ჩემი მოწონებული გოგონა შემრჩა. ძველი ნაცნობებივით დავუყევით ორღობეს.

— მხიარულად ცხოვრობთ, გალოჩკა!

— როგორ გამოიცანით ჩემი სახელი? — გადაიკისკისა გოგონამ, — მართალია, ნადენკა მქვია, მაგრამ გალიაც ხომ რუსული სახელია.

მეც გამეცინა.

იქნებ არაყიც აკეთებდა თავის საქმეს, მაგრამ თავი ზღაპარში მეგონა. ათასნაირი წვრილმანი იწილო-ბიწილო, რაც ასე მაღელვებდა, ახლა სასაცილოდ მეჩვენებოდა. დეიდა ვარამ სადღაც მეხსიერების სიღრმეში გადაინაცვლა და რაც დღეს აქ მოხდა, ჩვენს კეთილშობილებას ვაწერდი. მართლაც გმირობა ჩავიდინეთ, ამდენი ხნის უნახავი მამა-შვილი რომ შევყარეთ. ჰოდა, ასეთი გმირობის წილ ალბათ შესაფერი ჯილდოც მეკუთვნოდა და ეს ჯილდოც აგერ მოირხეოდა ჩემს გვერდით.

— თქვენ, ქალაქელებს, რა გიჭირთ? — ჩივილის საღერღელი აეშალა ნადენკას. — ჩვენთან კი ათიოდე ქოხის მეტი არაფერია. კანტორა მეზობელ სოფელშია, საბჭო იმის იქითაა, სკოლა მთლად იქითაში. კინო თუ მოგინდა, ანდა ცეკვები, ათი კილომეტრი მაინც უნდა ზილო ტალახი...

— მერე ამას რა ჯობია, ნადენკა, — ყველაფერი მეიოლებოდა და მხარზი ხელი გადავხვიე. არ გამძალიანებია, არც

უცხო ხილად ჩაუგდია ეს ნაჩქარევი ალერსი.

— თქვენთვის ადვილია ლაპარაკი, — ჭიკჭიკებდა ნადენკა, — ახალგაზრდები ქალაქს გარბიან, ორიოდე ქალიშვილი შევრჩით ამ ბებრების ყურებას. კლუბი მაინც იყოს! სოფელში ერთადერთი სახელმწიფო ნაგებობა ესაა...

აგურით ნაშენი ტრანსფორმატორის ჯიხური მიჩვენა. რკინის ჟანგიან კარზე თავის ქალა და გადაჯვარედინებული ძვლები ეხატა და არ მესიამოვნა.

სოფლის ბოლოს, ბექობზე გავედით. მთვარის ვერცხლისფერი ნათელი თანაბრად ეფინებოდა ვრცელ სათიბებს, ტყებუჩქნარს. ფართოდ გაშლილი სეიმი ცივად ლაპლაპებდა.

— გინდათ ნავით გასეირნება? — ჩამჩურჩულა გოგონამ.

სოფელს ნელ-ნელა გავშორდით. ტყეს გვერდი ავუქციეთ. სათიბებს შორის გაკვალული ბილიკი ოდნავ აჩნდა მინდორს. ცვრიანი ბალახი მოგვწვდა და შარვლის ტოტები დამისველა.

მთვარე თანდათან ჩაესვენა, იკლო ვერცხლის ნათებამ.

წყალი გაშავდა, კუპრისფერი დაედო.

ნაპირზე ნავი ავხსენით. ბუჩქებში ჩამალული ნიჩაბი გამოვაძვრინეთ და აუჩქარებლად წყალში შევცურეთ.

ლაპარაკის ხალისი დამეკარგა. ნავის ფსკერზე დაფენილ თივაზე ზურგით გავწექი და ზევით ავიხედე. ნავი ოდნავ ირწეოდა. ვარსკვლავებით მოჭიქული ზეცა გადმომემხო თავზე. იმ ვარსკვლავებს ორი ვარსკვლავი კიდევ მიემატა. ეს ნადენკას თვალები ბრწყინავდა. ასე ჩახუტებულები ვიწექით მსუბუქად დარწეულ ნავში და უჩუმრად ვუთვალთვალებდით უსაზღვრო ვარსკვლავეთს, რომელიც ჩვენთან ერთად აუჩქარებლად მოძრაობდა. საოცარი მდუმარება დასადგურდა, რასაც ხანდახან წყლის სუსტი ტყლაშუნი თუ არღვევდა.

რამდენი ხანი გავიდა, ამას ვერ ვიტყვი. თანდათან გაიცრიცა ღამე, მრუმე განთიადს დაუთმო ადგილი. აღმოსავლეთი ოდნავ შეივერცხლა, სეიმის ნაპირები და კუნძულები გამოიკვეთა.

ნადენკას ჩემს მკერდზე ჩასძინებოდა. თავი ფრთხილად ავწიე. ნავი წყალს კუნძულისაკენ გაერიყა და ახლა ზედ ნაპირთან ამოსულ ლელიანში გაჩხერილიყო.

უცებ შფოთმა შემიპყრო. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თით-

ქოს ხშირი ბუჩქნარიდან ორი ჩაშრეტილი თვალი შემომცქეროდა. ბერიკაცის გაბზარული დვრინი ჩამესმა თითქოს... თვალწინ წარმომიდგა თოვლიანი ტრამალების გაუხარელი სურათი და გზააბნეული ბავშვი, რომლის ნაფეხურებსაც ცივი ქარაშოტი შლიდა.

— ნადენკა!

თვალი გაახილა. თავი არ აუწევია, ისე ამომხედა.

— ალბათ ძებნას დაგვიწყებენ! — დღის სინათლეზე სითამამე მოაკლდა და ლოყები სიწითლემ აუღვივა.

თვალებში ვაკოცე და წამოვიწიე.

სტუმრად უკვე არ ვგრძნობდი თავს და ნიჩაბი ავიღე.

სათიბებში ნისლი იდგა.

ჩახუტებულები მოვსეირნობდით, ნესტიანი სიცივის განდევნას ვცდილობდით.

ბექობს რომ ავაღწიეთ, ცის კიდეზე მზის წითელი კუწუბი გამოჩნდა. ნისლი სეიმისაკენ ჩარეკა, გაფანტა, ხეებზე დაცვარული ფოთლები ააბრჭყვიალა.

სოფელს ჯერ კიდევ ეძინა. ერთ სახლთან გავჩერდით. ნადენკამ ლოყაზე სწრაფად მაკოცა და ჭიშკარს მიღმა გაუჩინარდა.

მცირე ხანს ვიდექი, იქნებ ფანჯრიდან გამოიხედოს-მეთქი.

მოპირდაპირე ეზოდან დედაკაცი გამოვიდა. ხელში რძიანი სათლი ეჭირა და ძროხას მიდენიდა.

— რაო, კავალერო, დროს არ კარგავ? — შემომცინა.

მეუხერხულა და შინისაკენ გამოვეშურე.

ლიდია ნიკოლაევნაც ძროხას წველიდა. რაღაცნაირი დამფრთხალი თვალები შემავლო, განზე გაიხედა.

— ჰა, დაბრუნდი?

რამე ხომ არ დავუშავე-მეთქი, გავიფიქრე. იქნებ მთელმა სოფელმა გაიგო ნადენკასთან ჩემი გასეირნების ამბავი, ჭორი დაიხლართა და მასპინძლები უხერხულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. ეს აზრი სასაცილოდ მეჩვენა და უმალვე უკუვაგდე. უძილობამ ეჭვიანი გამხადა-მეთქი, დავასკვენი.

— სად არიან?

— შენს ძმაკაცს სძინავს, პიოტრ ნიკოლაიჩი კი... — ხელი ჩაიქნია. გაოცება რომ შემამჩნია, ტყისპირისაკენ მიმახედა, —

იქ, დიდი ნეკერჩხლის ძირასაა პიოტრ ნიკოლაიჩი, თვალი წამითაც არ მოუხუჭავს...

ლიდია ნიკოლაევნამ ძროხა ეზოდან გადადენა, რძე სარდაფში წაიღო.

ერთხანს ეზოში ვიწრიალე. არ მეძინებოდა, ხან ალუბალი მოვწყვიტე, ხან ქლიავი. უკანა ეზოში ჯუჯა ვაშლები ესხა, მაგრამ მჟავე მომეჩვენა.

მოვიწყინე.

კვლავ ორღობეში შევბრუნდი და ნეკერჩხლისაკენ გავწიე, რომლის მძლავრი ვარჯი განაპირა ქოხის თავზე გადაშლილიყო.

პიოტრ ნიკოლაიჩი მართლაც იქ აღმოვაჩინე.

ჯორკოზე იჯდა განმარტოებით. მხრებჩამოყრილი და თავჩაქინდრული იყო.

კარგა ხანს ვუთვალთვალე. ერთიც არ შერხეულა. ვერ გაიგებ კაცის ბუნებას. მეგონა, სიხარულისაგან ცაზე იფრენდა, ბოლოს და ბოლოს ერთადერთი ვაჟი, დაღუპული რომ ეგონა, დაუბრუნდა. ის კი, იმის მაგიერ, რომ შვილის სასთუმალს არ მოშორებოდა, აქ ჩამოყუნცულა და იქნებ გემოზე თვლემს კიდეც. ბრაზი მომაწვა. გულცივობა დავაბრალე, თუმცა, რაც აქამდე მოვისმინე, საპირისპიროს მეტყველებდა. ახლა გამახსენდა, გოგი და ლიდია ნიკოლაევნა ცრემლს რომ აღვარღვალებდნენ, ამ კაცს კურცხალიც არ დასცდენია.

ამგვარმა ფიქრმა გამათამამა. მივედი და გვერდით მივუჯექი.

— როგორა ბრძანდებით, პიოტრ ნიკოლაიჩ? — სამაასლათოდ განწყობილი კაცის კილოთი შევეკითხე.

პიოტრ ნიკოლაიჩი ნელა შემობრუნდა, მძიმე მზერა შემავლო.

პირკატა მეცა. მის თვალებში კვლავ ის უსაზღვრო მწუხარება ჩაგუბებულიყო. მივხვდი, უკვე არაფერს შეეძლო ამ კაცის შველა. გულზე ისეთი სიბრალული შემომეჭდო, კინაღამ ღრიალი მოვრთე.

— პიოტრ ნიკოლაიჩ, გეთაყვა, ვერ გამიგია, თავს რაზე იკლავთ, თქვენი ვიტენკა ხომ დაბრუნდა... — აჩქარებით მივაყარე.

კაცი კვლავ შეირხა, თითქოს ღონივრად ანჯღრევდნენ და ისე აღვიძებდნენ, მას კი ღრმა ძილიდან გამოსვლა არაფრით არ სურდა. მის მზერაში ჩაგუბებულ უზარმაზარ მწუხარებას-

თან შედარებით ჩემი სიტყვები, განცდები, მღელვარება მსუბუქ ცერცეტობად მომეჩვენა და შემრცხვა.

— იტირე მაინც, შე კაცო, გულს მოიოხებ! — ამაზე მეტ სიბრიყვეს რას ვიტყოდი, მაგრამ სხვათაგან გამიგონია, ცრემლი წამალიაო და იმიტომ წამოვროშე.

მის თვალებში კი რაღაცა ჩაქრა, ჩაიშრიტა... პიოტრ ნიკოლაიჩმა ქუთუთოები დახურა და ჩუმად, თითქოს ჩვეულებრივ ამბავს მეუბნებოდა, ხმა ოდნავადაც არ აჰკანკალებია, ისე მითხრა:

— კარგი ბიჭები ხართ, ორივენი... ოღონდ წადით, წადით აქედან!

ამას კი ნაღდად არ მოველოდი.

— კი მაგრამ, ვიტია?

პიოტრ ნიკოლაიჩმა არაფერი მითხრა. მძიმედ წამოდგა და გამშორდა.

გაშტერებული ვიჯექი. ვერაფერი გამეგო. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. როგორია, შენ მთელი შენი გულის სითბო გამოავლინო, სამაგიეროდ კი კარისაკენ მიგაბრძანონ! ამდენს, რა თქმა უნდა, ვერ მოვითმენდი. ბრაზით გულგასიებული შევბრუნდი სახლში, მივვარდი მძინარე გოგის და შევანჯღრიე.

— რა იყო, რა მოხდა? — თვალის გახელა უჭირდა, მაგრამ ლოგინზე წამოჯდა.

— რა იყო და ახლავე მივდივართ აქედან, მეყოფა, რაც შენს ჭკუაზე ვიარე! აჰა, ჩაიცვი!

ტანსაცმელი მივუყარე და ჩემოდნები გამოვაჩოჩე.

— შენ რა, აფრენ? — ტანსაცმელი უკანვე მომაყარა, გადაბრუნდა და ძილი განაგრძო.

სიბრაზემ გადამიარა და მაშინღა მეწვია ეჭვი. მეხსიერებაში აღვიდგინე ყოველი წამი იმ დროიდან, როცა ეზოში ფეხი შემოვდგი და ლიდია ნიკოლაევნას შევეშალე. თითქოს კვლავ ჩავიხედე პიოტრ ნიკოლაიჩის ჩამქრალ თვალებში და უცებ ყველაფერი ნათელი გახდა. ოღონდაც ამ სინათლემ უფრო შემაძრწუნა. აბა, როგორ უნდა მეთქვა მწარე სიმართლე გოგისათვის, ვინც, ჩვილივით ბედნიერი, ძილის თბილსა და ფაფუკ ფრთებზე ნებივრობდა.

სხვა რა გზა მქონდა, ტაბურეტზე ჩამოვჯექი და დაველოდე. კარგად რომ გამოიძინებდა, ვაჟკაცურად უნდა მეთქვა ყოველივე და დღესვე წამეყვანა აქედან. დეიდა ვარას წმინდა საფლავი არსებობდა ამქვეყნად და იგიც კმაროდა, რათა მიწაზე ფეხი მტკიცედ დაედგა.

კარგა ხანი გავიდა ასე, მზემ საკმარისად აიწია, ფანჯარას მოადგა და მოქარგულ ფარდაში გამოაღწია.

საათზე დავიხედე. ათს თხუთმეტი აკლდა. თითქოს რაღაცამ მიბიძგა, მოთქმა და ჩივილი მომესმა. იქნებ პირიქით იყო. ხმაური რომ ჩამწვდა, ალბათ მაშინ დავიხედე საათზე. დრო კი დავიმახსოვრე, მაგრამ დანარჩენი დეტალები ერთმანეთში ამერია... ჩოჩქოლი ორღობიდან მოისმა. ჯერ თითქოს ბავშვის მწივანა ხმა იძახდა რაღაცას. მერე დედაკაცმა გააბა: „ოი, ოი, ოი!..“ ძაღლი აყეფდა, კაცის ხმამ დაიღრიალა.

გოგიმ თავი ასწია.

— რა იყო?

— არაფერი, იძინე! — სწრაფად შევეპასუხე, თან შიშისაგან გული შემეკუმშა. რა საფუძველი მქონდა შიშისა, ხომ არ ვიცოდი, რა ხდებოდა, მაგრამ წინათგრძნობამ დამაფრთხო.

გოგი ისევ ჩაიძირა ძილში, მე კი ფრთხილად გავაღე კარი და ეზოში გავედი.

ახლა ჩოჩქოლი უფრო აშკარად ისმოდა. რამდენიმე კაცი და ქალი ერთ მხარეს გარბოდა, თან რაღაცას გაიძახოდნენ, მაგრამ სიტყვები ვერ გავარჩიე.

თავქუდმოგლეჯილი გამოვუდექი და სხვებსაც გადავასწარი. ტრანსფორმატორის ჯიხურთან ათიოდე სოფლელი შეყრილიყო, ერთი ვაი-ვიში და ყაყანი გაჰქონდათ. როცა მივირბინე, აქეთ-იქით გაიწიეს, გზა დამითმეს. წინ გავძვერი და თავზარდაცემული გავშეშდი.

ჯიხურის ფართოდ გაღებულ კართან მიწაზე ლიდია ნიკოლაევნა იჯდა, ჭაღარა გასწეწოდა, ხელებს უაზროდ აქნევდა, თითქოს ჰაერი არ ყოფნიდა.

ტრანსფორმატორის მძიმე სხეული შავად ბზინავდა.

იატაკზე, საგანგებოდ დაფენილ თექაზე ჭაღარა ბერიკაცი ეგდო.

კარის ჭრილში, გარდიგარდმო გაჭიმულ შავ ძაფზე ქაღალდის ნაგლეჯი ეკიდა.

ზედ აცაბაცა ასოებით ეწერა: „ასე გადავწყვიტე!“

7

ეჰ, რამდენი დრო გავიდა და ახლაც მიმძიმს ყოველივე ამის გახსენება, მაგრამ დავიწყებაც ვერა და ვერ შევძელი. მაშინ კი პირველი, რაც თავში მომივიდა, ის იყო, როგორმე გოგისთვის დამემალა ეს სურათი. მეორე წამს გადავწყვიტე, ამის დამალვა შეუძლებელია, მაგრამ ვისაც რაც უნდა ისა თქვას, დავავლებთ ხელს ჩემოდნებს და სასწრაფოდ გავეცლებით აქაურობას-მეთქი. არც ერთი გამიკეთებია, არც მეორე. ის წარწერა ჩამოვხსენი და ელექტროჩამრთველის ჩანგალი ამოვაგდე. შიშველი კონტაქტისათვის მოუკიდია თურმე პიოტრ ნიკოლაიჩს ხელი და იმ წუთსავე გათავებულა უბედური ბერიკაცი. თუმცა რაღა დროსი იყო, პულსი მაინც გავუსინჯე. ვერაფერს ვშველოდი და ალბათ წასვლის უფლებაც მქონდა, მაგრამ ლიდია ნიკოლაევნას რომ შევხედე, ვერსადაც ვერ წავედი. ქალს თავგზა აბნეოდა, თვითონაც არ უწყოდა, რას ამბობდა და რას აკეთებდა... ჰოდა, კიდევ ერთი კვირა დავრჩით პატარა სოფელ ჩისტოპოლიეში მე და გოგი. ორი ღერი სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისათვის. ისე უბრად ვიყავით, ვითომ ჩვენი ბრალი ყოფილიყოს ეს ტრაგედია. საქმეს კი შეთანხმებულებივით ვუვლიდით. რაც შეგვეძლო ვუჭირისუფლეთ მოხუც ჯარისკაცს.

გულდამძიმებულებმა მივაყარეთ მიწა საფლავს და გავეცალეთ.

ლიდია ნიკოლაევნა ბოლო წუთს ისევ ატირდა. ვერაფრით აეხსნა მომხდარი ამბავი და გოგის წასვლაც გულს უკლავდა. ან იქნებ ყველაფერს მიხვდა, მაგრამ ამაზე არ შეეძლო ლაპარაკი. ერთადერთჯერ დასცდა მოთქმისას: „პიოტრ ნიკოლაიჩ, ძვირფასო ძმაო, ადრე დაობლებულო მეგობარო, ამ მიწაში მარტო ჩადიხარ. შენი დუნიაშა იქ დავმარხე, რკინიგზის პირას. პატარა ბიჭიც გვერდით უწევს... მაპატიოს დუნიაშამ, ბიჭის თავი რომ ვერსად ვიპოვე...“ ეს უკვე ბოდვასა ჰგავდა და დედაკაცებმა დაამშვიდეს: „გეყოფა, ლიდია ნიკოლაევნა, პიოტრ ნიკოლაიჩს მაინც ვერაფერი ეშველება!“

შემდგომში გოგისთან ამ თემაზე კრინტიც არ დამიძრავს.

ერთი კვირა მოსკოვში დავრჩით, მაგრამ ორივენი ჩვენ-ჩვენს საქმეებზე დავრბოდით და ერთმანეთის გვერდით მარტო თვითმფრინავში აღმოვჩნდით. შინ სამსახურიდან გამოგზავნილი დეპეშა დამხვდა, შვებულება შეწყვიტე, სასწრაფოდ მივლინებაში უნდა წახვიდეო. ამჯერად შუა აზიაში უნდა გავფრენილიყავი. ორი თვის შემდეგ დავბრუნდი. გამახსენდა, დეიდა ვარას წლისთავი რომ იყო. შინ შევლას ვერ მოვასწრებდი და აეროპორტიდან პირდაპირ სასაფლაოზე გავემგზავრე. გზად მიხაკები ვიყიდე. გოგი იქ დამხვდა. ხელი ჩამოვართვი და ყვავილები დეიდა ვარას წმინდა საფლავზე დავდე...

ჟურნალი „მნათობი“, 6, 1979, კრებული
„პირველი ზეკარი“, 1983.

ᲗᲔᲮᲐᲛᲠᲘᲓᲘ

მოსახვევთან მოულოდნელად გამოვარდა თვითმცლელი მანქანა. ასით მოდიოდა და გიორგიმ რომ დაინახა, უკვე გვიან იყო. ისღა მოასწრო, საჭე დაატრიალა, დარტყმას ავიცდენო, და გზის კიდეს გადაევლო.

ლიკამ თავისი თვალით დაინახა ყოველივე. თვითმცლელი მანქანის ძარა ბეტონით იყო მოთხვრილი, ნომერი არ იკითხებოდა. იგი მტვერში გაეხვია და მიიმალა. გზიდან გადავარდნილი „ჟიგული“ წამით ჰაერში დაეკიდა, თითქოს გაფრენას ლამობსო, მერე ჯახანი მოადინა, გადაკოტრიალდა ერთხელ, მეორეჯერ, მესამეჯერ... იქ ლოდს დაასკდა და გოგონას თვალწინ თითქმის ნაწილ-ნაწილ დაიშალა. ნამსხვრევები რახარუხით იყრებოდა აქეთ-იქით. ცალი საბურავი დაგორდა ხევში, ხტუნვა-ხტუნვით გადაევლო ლოდნარებსა და ღარტაფებს. ბოლოს ქვევით, ლელიანში გაუჩინარდა... დალეწილი მანქანა კი ლოდს შერჩა, ზედ გაეჩხირა.

გოგონამ შეშინებაც ვერ მოასწრო, ყველაფერი სულ რაღაც წამში მოხდა. „ჟიგული“ ჯერ კიდევ ფერდობზე მიგორავდა, ლიკა კი უკან მისდევდა, თითქოს ხელით სურდა რკინის ამ ზვავის შეჩერება. კინაღამ თვითონაც ქვაზე დაეცა, თავი ძლივს შეიმაგრა. დრო თითქოს გაიწელა, მაგრამ მანქანასთან რომ მიირბინა, ის ერთი საბურავი ჯერაც არ იყო ლელიანში ჩაგორებული.

მანქანაში არავინ იყო. ისე დაჭყლეტილიყო, შიგ ცოცხალი ვერავინ გადარჩებოდა. ძრავა კი მაინც მშვიდად თუხთუხებდა, თითქოს რაც აქ მოხდა, მას არ ეხებოდა და ლიკა უცებ ატირდა.

„ბებია!“ — ზლუქუნს ეს სიტყვა ამოაყოლა, მაგრამ პაშუტია ბებია უთენია წავიდა ბაზარში, მშველელს ვერავის მოუხმობდა და თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო ლიკამ მარტოობის შიში, სიკვდილის ცივი სუნთქვა. ტირილ-ტირილით შემოუარა ირგვლივ მანქანას, თან ფეხები ეკეცებოდა და რამდენჯერმე დაეცა, მუხლები გადაიტყავა. კინოში ენახა, გადავარდნილი მანქანა რომ ფეთქდებოდა და ახლაც წუთით წუთზე

ელოდა აფეთქებას. თვალი გაქცევაზე ეჭირა, მაგრამ ვერც შორდებოდა. ამ დროს დაინახა მძღოლი. გიორგი ლოდზე თავდაყირა იყო გადამხობილი. ლიკამ გიორგი და ცეცხლი ერთად დაინახა. მანქანაში რაღაცას ცეცხლი ეკიდებოდა და გოგონა კაცს ჩააფრინდა. იმ წუთას არც მისი სიმძიმე უგრძვნია, არც ის იცოდა, ცოცხალი იყო თუ არა, მაგრამ მოახერხა, ლოდიდან გადმოიღო და გიორგისთან ერთად ლოდის ძირას რომ წაიქცა, მაშინ იგრიალა.

ლიკა კაცს გადაეფარა, გაიტრუნა, ცრემლი გადაავიწყდა და სატირლად გამზადებული პირი ღია დარჩა. ლოდის თავზე ცეცხლის ზვინი წამოიმართა, თავზევით მაშხალებმა გადაიქროლა, ჰაერი საშინლად გახურდა. ირგვლივ შავი ფერფლი აფარფატდა და ძირს უხმოდ დაეფინა.

საფრთხემ გადაიარა, ლიკას გული მოეცა, წამოიწია.

გიორგის თვალი დაეხუჭა, გონს არ იყო. მზემოკიდებული სახე ახლა მიტკალისფერი გახდომოდა. ოფლი და ჭვარტლი ერთმანეთს შეეგლისა, ალაგ-ალაგ შავი ღვანთქები აჩნდა. უცხოური მაისური უვნებლად შერჩენოდა, ჯინსები კი შემოფხრეწოდა და ფეხის ღია ჭრილობიდან სისხლი ჟონავდა.

სისხლის დანახვაზე ლიკამ სისუსტე იგრძნო. ისევ აზლუქუნდა, თან ტირილში ბებიას უხმობდა. სხვა რა გზა ჰქონდა და ჯინსის ტოტი მაღლა აუწია. თვითონ ჩითის კაბა ეცვა, ერთი კვირის ნაყიდი, იმას კალთა შემოაფხრიწა და ჭრილობა სახელდახელოდ შეუხვია.

გიორგიმ ამოიკვნესა. ლიკამ ტირილს უმატა, რადგან არ იცოდა, რა გზას დადგომოდა. არც წასვლა შეიძლებოდა, დამტვრეულს ხომ ვერ დატოვებდა, და არც წაუსვლელობა, ვინმესთვის ხომ უნდა მოეხმო.

ბედად ხმები გაიგონა. გზიდან გოდორა კაცი იყურებოდა. გვერდით აწონილი, გამხდარი ბიჭი ედგა. შორს იყვნენ, მაგრამ ლიკამ ორივე იცნო. გოდორა სოფლის აგრონომი გახლდათ, ბიჭი კი, რა თქმა უნდა, გია, დღე და ღამე ლიკას კართან რომ იყო დარჭობილი და გოგონას უფრო ის უნდა გაკვირვებოდა, აქამდე რომ არ გამოჩნდა.

— ჩქარა, ჩქარა! — მოუთმენლად დაუძახა შეყოყმანებულებს.

— მოვდივართ, ბიძიკო, მოვდივართ! — შორიდან გაამხნევა აგრონომმა. უჭირდა ფერდობზე სწრაფი დაშვება, გიას მხარზე ეყრდნობოდა, თან საბერველივით ქშინავდა. — შენ ხომ არაფერი დაგიშავდა, ბიძიკო?

— აგე, დაიმტვრა!

— აუჰ, რა დამართნია ამ უბედურს! — შუბლზე ხელი იტკიცა აგრონომმა. — ღონე ხომ გერჩის, ბიძიკო? — ახლა გიას მიუბრუნდა. — როგორმე გზამდე უნდა ამაყვანინო!

გია პირდაღებული იდგა, ხან გიორგის დახედავდა, ხან ლიკას ჩამოფხრეწილ კაბას. ლიკამ დამოკლებული კაბა ძირს დაიქაჩა, კუშტად დაუბრიალა თვალები.

— რას დაგიფჩენია ეგ პირი, თუ შეგიძლია, მიეხმარე!

აგრონომმა ოფლი შეიმშრალა, დამტვრეულს იღლიებში ჩაავლო ხელი, გია კი ფეხებში ჩაეჭიდა და ფრთხილად წამოსწიეს.

გიორგიმ ყრუდ ამოიკვნესა, კბილები გააღრჭიალა. ლიკა ისევ ასლუკუნდა. არ უნდოდა მისი ცრემლები გიას ენახა, მაგრამ ეს უცხო კაცი უკვე თავისიანად მიაჩნდა და თითქოს მასთან ერთად სტკიოდა.

აგრონომი ქოშინით იხრჩობოდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. საკუთარი ღიპის ტარება უმძიმდა, აქ კი ამსიმძიმე კაცს მიათრევდა. არც გიას ადგა კაი დღე, წვრილ კისერზე ძარღვი აწყდებოდა. ძალას არ იზოგავდა, რათა ლიკას არ შეემჩნია მისი სისუსტე.

მაინც შეუსვენებლად აიყვანეს გზამდე, მდელოზე დააწვინეს.

— ეჰ, კაი ვაჟკაცია, ეტყობა! — ამოიოხრა აგრონომმა, ქოშინი გაუნელდა და სახეს ცხვირსახოცით ინიავებდა. — მანქანა არსად ჩანს. ასე ხელში ჩაგვაკვდება!.. სხვა გზა არ არის, თქვენთან უნდა შევიყვანოთ, ბიძიკო, მერე წავალ და სოფლსაბჭოდან დავრეკავ, ექიმს გამოვუძახებ!

ლიკამ უხმოდ დაუქნია თავი. გულზე მოეშვა, თითქოს ეს გონდაკარგული ვაჟი მისი ნადავლი იყო და წართმევას უპირებდნენ. ჭიშკარი ფართოდ გააღო.

აგრონომმა და გიამ კვლავ ასწიეს გიორგი. ლიკა წინა ოთახში შეუძღვა, სტუმრებისათვის განკუთვნილ ლოგინზე დააწვენინა.

— აბა, შენ იცი, ბიძიკო, როგორი ყოჩაღი გოგო იქნები!

აგრონომი სოფლსაბჭოში გაიქცა. გიამ კი ფეხი აითრია, მაგრამ გოგონამ ზედაც არ შეხედა. ახია მაგაზე! ჯერ როგორი გარეგნობისა ბრძანდებოდა, ისეთი გამწლეული და გრძელი, ლიკა მკერდამდე ძლივსა სწვდებოდა და ნერვებზე იშლებოდა. მერე როგორი ონავარი და ჩხუბისთავი გახლდათ. ორიანებით ჰქონდა ზურგი აჭრელებული და რომელი ბიჭიც ლიკას დაელაპარაკა, სათითაოდ ჰყავდა გალახული. ახლა კი მოუსწრო სულზე, დაეხმარა, მაგრამ გოგონა შერიგებას სულაც არ აპირებდა.

— პაშუტია ბებიამ თუ მოგისწრო, ყურებს დაგახევს! — მუქარით დაუგდო და ზურგი აქცია.

გიამ გამომწვევად ჩაიფხუკუნა. ასეთი უზრდელი იყო და რა პასუხი მოეთხოვებოდა. კი ეწადა, ლიკა გაებრაზებინა, მაგრამ ერთი სული ჰქონდა, სოფელს როდის მოსდებდა ავარიის ამბავს და გაიქცა.

გიორგი კვლავ უგონოდ იწვა. გაუგებარი ბუტბუტი, ჩუმი კვნესა წამოსცდებოდა ხანდახან, თითქოს ცდილობდა ბნელი ლაბირინთიდან გამოეღწია, მაგრამ ღონე არ ჰყოფნიდა.

გოგონამ წყლის ჭურჭელი მოარბენინა, გვერდით დაიდგა. სახე ფრთხილად გადაუწმინდა სველი ბამბით. გიორგის ეამა გრილი შეხება. გაყუჩდა, მინებდა, ლიკა კი ფრთხილად აცლიდა ჭუჭყსა და სისხლის ლაქებს, გაფხაჭნილ ადგილებს უბანდა.

უცბად იგრძნო, რომ უყურებდნენ. შეცბა, ხელი გაუშეშდა.

გიორგის თვალი გაეხილა და გაოცებით ათვალიერებდა.

— ვინა ხარ? — ორად ორი სიტყვა ძლივს წარმოთქვა.

— ლიკა!

— ლიკა? — ჩურჩულით გაიმეორა, მერე ტუჩებს დიდხანს აცმაცუნებდა, გოგონას სახელს იმეორებდა. თვალი კვლავ დახუჭა და ეს სახელი სიზმარეთში ჩაიყოლია.

ლიკა გათამამდა. მაისურს ვერ გახდიდა და მაკრატლით შეაჭრა. ტანს მოაშორა. ალაგ-ალაგ მისწებებოდა. მხარი ძლიერ გადახეხოდა, ლოდმა თუ გაფხაჭნა. სისხლი უკვე შეხმობოდა. ლიკა ცივი წყლით წმენდდა, ჭრილობებზე არაყს უსვამდა. ვაჟს დაკუნთული, ლამაზი სხეული ჰქონდა. ზღვისპირეთი ალბათ უკვე მოევლო, მზეს გაეშავებინა. გოგონა თითქოს

ეფერებოდა კიდეც და ამის შეგნებისაგან გული ჩიტუნასავით უფრთხიალებდა, წითლდებოდა, ვაითუ ვინმე მიყურებს და ფარულ აზრებს მიმიხვდაო. გიორგის კი სიზმარეთში თითქოს ცეცხლს უკიდებდნენ, მთელი ტანი ეწვოდა. ბორგავდა ვაჟკაცი, კვნესა წამოსცდებოდა, მშველელს უხმობდა. იქ კი ბინდში იკვეთებოდა მფარველი ანგელოზის თეთრი სახე და ამ ანგელოზს ერქვა უბრალო და ლამაზი სახელი „ლიკა“.

საბანი მკერდზე ფრთხილად დააფარა, არ გამიცივდესო. ცოტა კი იყოყმანა, რცხვენოდა, ბოლომდე მიჰყოლოდა საქმეს. მაგრამ ჯინსი უფრო და უფრო მძიმდებოდა სისხლით, საბანიც უკვე დალაქავებულიყო. ფეხსაცმელები და წინდები გახადა. მერე კვლავ მაკრატელს დაავლო ხელი. ჯინსის ტოტებიც შემოაჭრა, მოაშორა... უკაცო ოჯახში იზრდებოდა, დედ-მამა არ ახსოვდა. ბიჭ-ბუჭებისათვის შორიდან საბანაოზე თუ მოეკრა თვალი, თორემ შიშველ მამაკაცს სად ნახავდა. გიორგის ღონიერი, სწორი ფეხები ჰქონდა და გოგონა ხელის კანკალით უხვევდა უამრავ ჭრილობას, არაყით უწმენდდა გადახეხილ და დაბეჟილ ადგილებს, თან გული შიშით უფართხალებდა, ვაითუ ვაჟი გონს მოვიდეს და დამინახოსო. მაშინ სირცხვილისაგან სად დავიმალოო, მაგრამ გიორგი სიზმარეთში სულ უფრო და უფრო იძირებოდა. იქ კი ერთადერთი გამჭვირვალე სხივი კიაფობდა და იმ სხივს ერქვა „ლიკა“.

— ლიკა! — წაიჩურჩულა გიორგიმ. გოგონამ საბანი გაუსწორა, მერე ბაგესთან დაიხარა. მიხვდა, მის სახელს რომ იმეორებდნენ, მაგრამ გიორგიმ მეტი ვერაფერი თქვა, ლიკამ კი ვერ გაბედა დაეძახნა, მოებრუნებინა, დალაპარაკებოდა.

ახლაღა მოიცალა კაბის გამოსაცვლელად. ტაბურეტი დაიდგა, დაჯდა და სახეზე დააცქერდა. გიორგის უპეები ჩაშავებოდა, მაგრამ სახის ფერი მოეცა, სიფითრე გადაუვიდა. ახლა უფრო ვაჟკაცური, მკვეთრი ნაკვთები გამოუჩნდა. წამწამები შეუთრთოლდებოდა ხანდახან, ჩრდილს აფენდა სიზმრისეულ მოჩვენებებს. ბაგე ეპობოდა, ჩუმად ბუტბუტებდა და ლიკას ყური ახლოს მიჰქონდა, იქნებ კვლავ ჩემი სახელი გავიგონოო. გიორგი კი რაღაცას თავისას იხსენებდა, სულ სხვა, ლიკასთვის მიუწვდომელ სამყაროში გადასახლებულიყო. გოგონას თვითონაც ვერ გაეგო, წყენისაგან იყო თუ სიბრალულისაგან, თვალს ცრემლი რომ ადგებოდა, სლუკუნებდა. მერე კვლავ ყუჩდებოდა, სწავლობდა სახეს იმ კაცისა, ვინც ცოტა ხნის წინათ მისთვის არ არსებობდა, ახლა კი მისი სრული საკუთრება გამხდარიყო, ყოველ შემთხვევაში მანამდე მაინც, სანამ გონს მოვიდოდა, ღონეს და მასთან ერთად უფლებებს დაიბრუნებდა. საოცრად უჩვეულო და ახალი იყო ეს გრძნობა მესაკუთრისა, აქამდე არასოდეს უგრძვნია მსგავსი რამ და ლიკამ ანგარიშმიუცემლად შუბლზე ხელი დაადო, საფეთქლის ძარღვის ფეთქვა იგრძნო. ვერ გაბედა, მოფერებოდა, ხელი უკან წაიღო. მზერა მაინც არ მოუშორებია მისი სახისათვის, აკვირდებოდა მსუბუქ ჩრდილთა თამაშს, წამწამებზე რომ გადაურბენდა; ცდილობდა, ამოეცნო გიორგის ტვინში დაბადებული სურათები, იქნებ იმ ზმანებებში თვითონაც ტრიალებდა, მისი სახელის თუნდაც მკრთალი ანარეკლი ციალებდა. ძნელი იყო ამის გაგება და ლიკა სახლის სრულ მდუმარეობაში დაყურსული უსმენდა ავადმყოფის არეულ ბუტბუტს, უთანაბრო სუნთქვას, ტკივილნარევ კვნესას...

ვინ იცის, რამდენი დრო გავიდა. ფანჯარაში რომ გაიხედა, ჩრდილები დაგრძელებულიყო, მზე გორაკის თავს მოსდგომოდა და გარემოს მეწამული ფერი ეფინა.

ჭიშკარმა დაიჭრიალა და პაშუტია ბებიას მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი სილუეტი რომ დაინახა, ამჩატებული შეფრთხიალდა, კიბეზე ჩამოეგება, კინაღამ წააქცია, ხელჩანთები წაართვა და ისე არატრატდა, პაშუტია ბებია მანამდე მიხვდა, უჩვეულო ფათერაკი რამ გადახდენოდა შვილიშვილს, სანამ სათქმელს თავი მოებმებოდა. სიტყვა არ გაუწყვეტინებია, ჩუმად უსმენდა, თან ვაჟკაცს აკვირდებოდა. დაკოჟრილი ხელი შუბლზე დაადო, სიცხე თუ აქვსო.

— ექიმი იყო?

ლიკამ თავი გააქნია.

— ექიმია საჭირო! — პაშუტია ბებიას მუხლიც არ მოუხრია, ავადმყოფისათვის ქათმის ბულიონის თადარიგს შეუდგა.

ბინდისპირს მანქანა მოადგა ჭიშკარს. ორი მილიციელი გადმოვიდა. პაშუტია ბებიას უხმოდ ჩამოართვეს ხელი. გიორგის დახედეს. მერე დიდხანს დაძვრებოდნენ ხევში. დამწვარ მან-

ქანას უჩხიკინეს, ასფალტზე ცარცით შემოხაზეს საბურავების ნაკვალევი. ლიკას დაწვრილებით გამოკითხეს ყოველივე, საბუთები ხომ არ ჰქონდაო, ესეც იკითხეს. ვინაობა აინტერესებდათ, მაგრამ ლიკამ არაფერი იცოდა.

— ექიმია საჭირო! — უკმაყოფილოდ წაიბუზღუნა პაშუტია ბებიამ.

— დარეკეს და მალე მოვა!

ექიმი ალბათ რაიცენტრიდან ამოვიდოდა. სოფელს ექთანიღა ჰყავდა და ისიც მეზობელ რაიონში გამგზავრებულიყო სტუმრად.

ლიკა კვლავ ავადმყოფთან ჩამოჯდა თავის ტაბურეტზე. წამითაც რომ დავტოვო, რამე დაუშავდებაო, ფიქრობდა. პაშუტია ბებიაც სკამზე დაეშვა, მუხლებზე ხელი მოისვა. სიცხიანი დღე იყო, მას კი მთელი ბაზარი მოევლო. სად ჰქონდა მაგდენი ღონე!

— უბედური ამისი ცოლი და შვილი! — ამოიოხრა.

ლიკას თითქოს მათრახი გადაჰკრესო, შექანდა, მაგრამ სხვა რამით თავი არ გაუცია. ამ წუთამდე არც უფიქრია, რომ ვაჟს ვინმე ეყოლებოდა. იგი არსაიდან მოვიდა თავისი მანქანით. მანამდე არაფერი არსებობდა. წარსული თითქოს დანით იყო მოსხეპილი. იმ წამიდან, როცა ლიკამ მანქანასთან მიირბინა და გონდაკარგული ვაჟი ნახა, ამ უკანასკნელს უფლებაც არ ჰქონდა წარსულზე. გოგონას სულში უცბად ამოზავთდა მტრობა იმ უცნობი სამყაროს მიმართ, თავის უფლებებს რომ აცხადებდა ვაჟზე.

პაშუტია ბებიას არაფერი შეუმჩნევია. სკამზე წასთვლიმა კიდეც. ეჰ, სიბერეს რა ვუთხრა! დიდი ხანია დედაბრისათვის ბევრ რამეს ჰქონდა ფასი დაკარგული. იმ დღეს გათავდა მისთვის ცხოვრება, როდესაც შვილი და რძალი დაიღუპნენ და ხელში თოთო ბავშვი შეატოვეს. მაშინ უნდა მოეკლა თავი პაშუტიას, მაგრამ შვილიშვილისათვის რა ექნა, მთლად ობლად ხომ არ დატოვებდა. ადრე შოლტივით ქალი იყო, თანდათან მოინელა დარდმა და ჯაფამ. დრო მკურნალიაო, იტყვიან. ვინ იცის, რამდენად სწორია. სულს კვლავ ის ჯოჯოხეთის ცეცხლი უწვავდა, თვალიდან ვერ იშორებდა იმ სურათს, როცა ეზოდან ორი კუბო გაასვენეს, მაგრამ წამოჩიტული შვილიშვილის ფრთათა ფრთხიალს რომ გაიგონებდა, წამით მაინც ადრინდელი პაშუტია ხდებოდა, სარკე რომ არა, სიბერე არც გაახსენდებოდა.

— წადი, შვილო, დაიძინე, ექიმს მე დაველოდები!

ლიკამ თავი გააქნია, საწყლად გაუღიმა. ან რა დააძინებდა, როცა მის ხელთ პირველად იყო ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლე მიბარებული.

მუხრუჭების ხმაზე მიხვდნენ, სასწრაფო მოვიდაო. ლიკამ პაშუტია ბებიას დაასწრო, ჩაეგება. ექიმი „ვოლგით“ ამოსულიყო. მანქანიდან მძიმედ გადმოვიდა, უკან ექთანი მოჰყვა, სამედიცინო ჩანთით ხელში. ლიკამ ის ჩანთა გამოართვა და წამოუძღვა.

ექიმი ახალგაზრდა იყო. ულვაშები ძველმოდურად დაეყენებინა. დაღლილ სახეზე აშკარა უკმაყოფილება ეხატა. ხელები დაიბანა. სკამზე ჩამოჯდა, წამით თვალი დახუჭა, თითქოს დაღლილობასა და ზედმეტ ფიქრებს იშორებდა. ავადმყოფს მაჯა გაუსინჯა. ცოტა ხანი ჩუმად იჯდა, მერე თითქოს სიმტკიცე მოეცაო, წამოდგა, საბანი ფრთხილად გადახადა. გიორგის შიშველ, ლამაზ სხეულს ალბათ სული ტოვებდა, აჩქარებული სუნთქვისაგან ფართო მკერდი აუდ-ჩაუდიოდა.

— გონს არ მოსულა?

— ერთხელ გაახილა თვალი, სახელი მკითხა, — გაუბედავად შეეხმიანა ლიკა.

— შოკშია? — ექთანმა ჩანთა გახსნა, შპრიცის შემზადებას შეუდგა.

ექიმმა მოიხედა, გამომცდელად შეათვალიერა გოგონა. ლიკა უნებლიეთ გაწითლდა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო.

— ბავშვი გავიდეს! — მკაცრად მოჭრა ექიმმა და ავადმყოფს მიუბრუნდა.

შეურაცხყოფილი გოგონა აივანზე გავარდა. შორს წასვლა მაინც ვერ შეძლო. მოაჯირს მიეყრდნო და ოდნავ მოღიავებული კარიდან ხანდახან ქურდულად შეიხედავდა ოთახში. უფროსების გადანალაპარაკევს უგდებდა ყურს, თუმცა ბევრი არაფერი ესმოდა. ექთანმა ამპულიდან შპრიცით სითხე ამოიღო და ამით მიხვდა, ავადმყოფს ნემსს უკეთებდნენ. მოიბუზა, თითქოს გიორგისათვის კი არა, მისთვის უნდა ეჩხვლიტათ.

— ვინ დაამუშავა, ექთანი იყო? — იკითხა ექიმმა.

პაშუტია ბებია შეეხმიანა, არავინ ყოფილა, ალბათ ჩემმა

შვილიშვილმა მოუარაო.

— იმ პატარა გოგომ? — გაიოცა ექიმმა და ლიკა მაშინღა მიხვდა, რას ნიშნავდა „დამუშავება“.

დიდხანს საქმიანობდა ახალგაზრდა ექიმი, მოკლე ბრძანებებს იძლეოდა. ბოლოს ხელი დამაბანინეთო, ითხოვა.

ლიკამ წყალი და პირსახოცი გამოარბენინა. უფროსები აივანზე გამოვიდნენ. ექიმი მოაჯირზე გადაიხარა, ხელი გაისაპნა, გულმოდგინედ დაიბანა. ლიკას ერთი სული ჰქონდა, ეკითხა, გადარჩება თუ არაო, მაგრამ ვერ გაბედა.

ექიმმა ხელები შეიმშრალა და უცბად შინაურულად გაუღიმა.

— ყოჩაღ, შენგან ექიმი გამოვა!

ლიკა დაიბნა, ვერაფერი უპასუხა. ექიმმა კი, პაშუტია ბებიას კი არა, მას დაუწყო დარიგება:

— იცოდე, შენზეა ყველაფერი დამოკიდებული. ბებვზე გადაგირჩენია. სიმშვიდე და სიმშვიდე! ჯერჯერობით მეტი არაფერი უნდა. წამლებს დაგიტოვებთ, დაალევინეთ. აბა, შენ იცი! თუ რამე გაუჭირდა, სოფლსაბჭოდან დამირეკავენ!

— გონს რომ არ მოდის? — ხმის ამოღება გაბედა ლიკამ.

— ნუ გეშინია, ახლა სძინავს. იძინოს, რაც მეტს იძინებს, მით უკეთესი!

როგორც დიდს, ისე ელაპარაკებოდა, მაგრამ გამომშვიდობებისას ლოყაზე უჩქმიტა და სახე უმალვე დაღლილი და მიუკარებელი გაუხდა.

ამასობაში მთლად დაღამდა. პაშუტია ბებიამ პურის უზარმაზარ ნაჭერზე კარაქი ბლომად წაუსვა, ზედ ყველის ნაჭერი დაადო და ლიკას შეაჩეჩა. გოგონას სახე მოექცა. რა დროს ჭამა იყო, როცა სტუმარს პირში ნამცეცი არ ჩასვლოდა. პაშუტია ბებიამ მკაცრად გადმოხედა და ლიკა მორჩილად შეუდგა ჭამას. ოღონდ დრო რომ იხელთა, კარაქიანი პური განჯინაში გადამალა. ხელ-პირს რომ იბანდა, ბებიას შეუჩნდა, ბები, შენ დაღლილი ხარ, დაწექი და დაიძინე, მე კი ნეკის ოდენასაც არ მეძინება და ვუდარაჯებო, მაგრამ მოხუცმა არ დაუჯერა, ლოგინში ძალით ჩააწვინა. გაჯავრებული გოგონა კედლისაკენ შებრუნდა, ბებიას გაებუტა. თვალები ფართოდ დააჭყიტა, ჯინაზე არ აპირებდა დაძინებას, მაგრამ წუთის შემდეგ, გიორგი რომ

საღ-სალამათი შემოვიდა, ეს უკვე სიზმარი იყო.

უცბად გამოეღვიძა. სასტუმროში საათი წიკწიკებდა და ამით საყოველთაო სიწყნარე არ ირღვეოდა.

მშვიდი ფშვინვა მოესმა. მეზობელ ლოგინზე გაუხდელად ჩასძინებოდა პაშუტია ბებიას.

ლიკა შეშფოთდა, ვაითუ სანამ მეძინა, გამოუსწორებელი რამე მოხდაო. უხმაუროდ წამოდგა, ფლოსტებში ფეხი წაჰყო, ქურდულად ჩაუარა დედაბერს.

გიორგის თავთით ღამის ნათურა ენთო, მქრქალ სინათლეს აფენდა ოთახს.

ლიკა საწოლთან დადგმულ ტაბურეტზე ჩამოჯდა. ავადმყოფი ძილში ბორგავდა. ჭის სიღრმეში ჩაგდებულს ათასი ეშმაკუნა მისეოდა და სულსა და ხორცს უწიწკნიდა. ხელი გადმოვარდნოდა და ლიკამ აუწია, მკერდზე დაუდო. ესიამოვნა კაცური ხელის სიმძიმე, საჭიროზე მეტ ხანს ეჭირა. ვაჟი შეიშმუშნა. გოგონა დაფრთხა, სწრაფად გაუშვა.

იქნებ არც სძინავს, იქნებ ძილ-ღვიძილშია და იცის, რომ ლიკა აქვე ზის, შეუძლია მისი ხმა გაიგონოს. გოგონა ალაპარაკდა, გასამხნევებელი სიტყვები მოიძია, მერე კი, უნებლიეთ, ჩურჩულზე გადავიდა. დაწვრილებით ყვებოდა თავისი მოკლე ცხოვრების ამბავს. პაშუტია ბებია კი მყავს ხელში შეკლული, მაგრამ უდედმამო ცხოვრება მძიმეაო. შეჰყვა ლაპარაკს და მეზობლებსაც გადასწვდა. იქიდან სკოლაზე გადავიდა, მასწავლებლები გაჭორა. ვინც უყვარდა, აქო, ვინც არა — მიწასთან გაასწორა. სკოლის ამხანაგებზე რაც საიდუმლო იცოდა, ყველაფერი ჩამოკაკლა, ვინ ვის მოსწონდა, წერილებს ვინ ვის სწერდა... ოღონდ ესაა, ვერ გაბედა, გაემხილა, ერთი კვირის წინ გიამ რომ მოსახვევთან გამოიჭირა, მიყვარხარო, წასჩურჩულა, ლიკამ კი საპასუხოდ წიგნებით გამოტენილი ჩანთა ბეთქა თავში და შინ, ეგ როგორ გამიბედესო, სულ ზლუქუნ-ზლუქუნით დაბრუნდა, თუმცა ბებიამაც ვერ გამოტეხა, თუ რატომ ტიროდა... გიორგი იოლად არ მოტყუვდებოდა, გაუღიმა, თავზე ხელი გადაუსვა. ჰკითხა, გიას შეურიგდი თუ არაო... ლიკამ მართლაც იგრძნო თავზე დადებული ხელის სიმძიმე და უცბად თვალი დააჭყიტა. თურმე ჩასძინებოდა, თავი ავადმყოფის საწოლზე ედო და სიზ-

მარში რატრატებდა ამდენს.

ვაჟს ხელი ჩამოუვარდა. ფანჯარას კვლავ ბნელი ღამე აწვებოდა, მაგრამ ავადმყოფს თვალი ფართოდ გაეხილა და გოგონას ათვალიერებდა.

— ვინა ხარ? — ლაპარაკი ჯერაც უჭირდა.

— ლიკა!.. იცით, თქვენ ავარია შეგემთხვათ!

— ავარია? — ნათქვამი უცბად ვერ გაანალიზა. — ავარია? — ერთხელაც გაიმეორა და უცბად გამოცოცხლდა. — აჰ, ავარია!.. მერე და ცოცხალი ვარ?

— არა გიშავთ, ოღონდ მშვიდად იწექით.

— ჰო, მე კი მეგონა, უკვე სამოთხეში მივფრინავდი და ჩემს მფარველ ანგელოზს ლიკა რქმევია-მეთქი.

ლიკამ დაიმორცხვა, თვალი აარიდა.

— მაშ, შენ ლიკა ხარ? მე კი გიორგი მქვია.

„გიორგი!“ — ასეც ეგონა ლიკას. „მის ნადავლს“ უთუოდ რაიმე ვაჟკაცური სახელი უნდა რქმეოდა, ისეთი, ცხენზე ამხედრებულს, ქორივით მქროლავს რომ წარმოიდგენ.

— იცი, ლიკა, საშინლად მომშივდა! — გიორგიმ საწყლად გაუღიმა. ლიკას მოეჩვენა, რომ მის წინ დიდი, უსუსური ბავშვი იწვა, თვითონ კი დედა იყო და ამ მოულოდნელმა დედობრივმა გრძნობამ მთელი მისი არსება მოიცვა.

ვერ გაბედა პაშუტია ბებას გაღვიძება და შეთქმულივით ჰკითხა:

— კარაქიანი პური გინდა?

— ვგიჟდები კარაქიან პურზე, — სასაცილოდ დაიჭყანა გიორგი.

ლიკა წამოხტა, განჯინაში გადამალული კარაქიანი პური მოარბენინა.

გიორგიმ წამოწევა მოინდომა, სახე ტკივილებისაგან დაემანჭა, ბაგე გაუთეთრდა, კრიჭა შეეკრა.

— არ შეიძლება, წამოდგომა არ შეიძლება! — დაფრთხა ლიკა, აწრიალდა.

გიორგი კვლავ ბალიშს მიესვენა, ნაძალადევად გაუღიმა, შუბლზე ოფლის წინწკლები დაასხდა.

ლიკამ შუბლი ცხვირსახოცით გადაუწმინდა. გიორგის ეამა ბავშვის ხელის შეხება, გაყუჩდა.

გოგონამ ლუკმა მოუტეხა.

— შოშიასავით უნდა მაჭამო? — სცადა ვაჟმა გახუმრება.

— მალე მორჩებით და თვითონაც შეჭამთ.

გიორგიმ ლუკმა ძლივს გადაყლაპა. უცბად მოითენთა, ღონე გაუქრა. ლიკამ მეორე ლუკმა მიაწოდა, მაგრამ ვაჟმა სახე კედლისაკენ მიაბრუნა, თვალი დახუჭა.

ლიკამ შეხმიანება ვერ გაბედა, მორჩილად ელოდა, კვლავ როდის შემომხედავსო. არც იცოდა, როგორ მიემართა: ,,ძია გიორგი”, უბრალოდ ,,გიორგი”, იქნებ მთლად ,,გოგიტა''... რა თქმა უნდა, ,,გიორგი'' სჯობდა, რადგან ლიკას წარმოსახვაში იგი ზღაპრულ გმირს ედარებოდა.

— გიორგი, — ნიავივით წაიჩურჩულა. ისე წყნარად, საკუთარ სმენასაც ვერ მიაწვდინა ხმა. გიორგი კი ცხრა მთას იქით იყო წასული, იქამდე რას მისწვდებოდა ეს სუსტი ალერსი, მაგრამ მსუბუქმა ნიავმა უჩუმრად გადაირბინა მთებსა და ველებზე. ყვავილების სურნელით აივსო გზა-გზა, მიეწია და ვაჟის სმენას მიეფოფინა.

გაოცდა გიორგი... შავ უდაბნოში იჯდა. ცის კიდემდე შავი ქვიშა ეფინა, ცაც შავი რკინისა იყო, ზევიდან შავი მზე აცხუნებდა. არსად ბილიკი არ ჩანდა, არსად წყარო არ დიოდა, არსად პურის თაველი არ ირხეოდა... სიცხისაგან გათანგულს წამოეწია გრილი ნიავი, მოელამუნა, ტკივილები დაუამდა... ,,გიორგი!''

მოიხედა. გაცრეცილი სივრციდან თანდათან გამოიკვეთა ლიკას ბავშვური სახე და გიორგიმ მასზე მოლოდინი წაიკითხა.

— რამდენი წლისა ხარ, ლიკა? — ჰკითხა მოულოდნელად.

— უკვე... — უნდოდა ეთქვა თოთხმეტისო, მაგრამ ვერ გაბედა ეს უცოდველი ტყუილი და გაწითლებულმა სწრაფად მოჭრა, — ცამეტის!

— ოჰო, დიდი გოგო ყოფილხარ, ალბათ საქმროც გეყოლება, — გაეხუმრა გიორგი.

ლიკა სირცხვილისაგან აილეწა, მზერა მოარიდა. კინაღამ ოთახიდან გავარდა, მაგრამ ტაბურეტზე მიბმულივით იჯდა და გიორგის კარაქიანი პური გაუწოდა, კიდევ შეჭამეთო, წაილუღლუღა.

ფანჯარაში დილამ შემოიჭყიტა, ღამის ნათურას ფერი დაეკარგვინა, თანდათან აავსო ოთახის კუთხე-კუნჭული.

კარი გაიღო და სინათლეს პაშუტია ბებიაც შემოჰყვა. ავადმყოფს დახედა, შუბლზე ხელი დაადო, სიცხე შეუმოწმა.

— როგორა ხარ, შვილო?

გიორგიმ სუსტად გაუღიმა.

— ნუ გეშინია, შვილო, ყველაფერი კარგად იქნება. ექიმი იყო, არაფერია სერიოზულიო, ცოტა ხანს უნდა იწვესო... ახლა ბულიონს გაგიცხელებ და...

— როგორ შეგაწუხეთ!

— ადამიანები ვართ, შვილო, რა შეწუხებაა! ექიმი დღესაც ამოვა, თქვენებსაც შევატყობინებთ... — უცბად შვილიშვილს მიუბრუნდა, — შენ, ქალბატონო, გატყობ, გაკვეთილებისათვის ვერ იცლი. სკოლაში წასვლამდე ჯერ დროა, სტუმარს მე მივხედავ!

ლიკა უკვე მეორე ოთახში იყო, პაშუტია ბებია კი სტუმარს ხმადაბლა, მოფერებით ეღუღუნებოდა:

— ნუ გერიდება დედაშვილობას, ბებიად გეკუთვნი, რა მოსარიდებელია...

გოგონა თავის მაგიდას მიუჯდა, ჩანთიდან წიგნები ამოალაგა. რაც პირველად ამოჰყვა, ის გადაშალა. დაჰყურებდა ნაბეჭდ ტექსტს და ვერაფერს გებულობდა. თითქოს არც არაფერზე ფიქრობდა, მაგრამ გონებაში ლივლივებდა რაღაც უსაგნო, ფერადი, თითქოს ზღვაში იყო ჩაყურყუმელავებული და წყალქვეშა ყვავილეთში მზის ათინათს იჭერდა... წიგნი უტყვი იყო, რადგან ლიკას სმენა სხვა ბგერებს დაეპყრო, თითქოს საიდანღაც მოიპარებოდა რაღაცა, გაუგებარიცა და გასაგებიც ერთსა და იმავე დროს, ყურში ჩასჩურჩულებდა საალერსო სიტყვებს და აზრის ამოხსნა არც იყო საჭირო. გოგონას თბილი ტალღა ქუთუთოებს უმძიმებდა... მაშინ კი, როცა ჯანსაღი, ღონიერი, მზით დამწვარი გიორგი ლურჯი ტალღებიდან ამოდგაფუნდა, — ტანზე გრილი წვეთები წურწურით ჩამოსდიოდა, — შემოსცინა, კრიალა, თეთრი კბილები გააელვა, გოგონას ხელი გაუწოდა, ლიკა უცებ მიხვდა, ესეც სიზმარი იყო. თურმე გადაშლილ წიგნზე ჩასთვლემოდა. დამფრთხალმა თავი ასწია, ბებიამ ხომ არ დამინახაო, ბეჯითად დააშტერდა წიგნს (ისტორია

ყოფილა!), ამ დროს კი პაშუტია ბებიამ მოუხმო საუზმეზე.

სკოლის ფორმაში უფრო პატარა გამოჩნდა. ამიტომაც არ უყვარდა მისი ჩაცმა. არც ბაფთები უყვარდა, მაგრამ პაშუტია ბებიას კარგად ახსოვდა გიმნაზიის ძველი დროება, მის გულს ახარებდა ქათქათა ბაფთა და წინსაფარი. ლიკა სულ ბუზღუნებდა, ჩემი ამხანაგებიდან ასე არავის აცვიაო, მაგრამ ბებიას დიდხანს ვერ უწევდა წინააღმდეგობას.

წასვლის წინ გიორგისთან შეიჭყიტა. ხიბლავდა თეთრ ბალიშზე მისვენებული ვაჟის სახე და მიამიტურად დაიმორცხვა.

— აბა, შენ იცი, მალე დაბრუნდი! — ხელი სუსტად დაუქნია გიორგიმ.

ვაჟის თვალებში სხივი კიაფობდა და ლიკას ეს სხივი თან გამოჰყვა, გულში თითქოს ნათელი ჩაუსახლდა. აკუნტრუშებულმა, ჩანთის ქნევით და ჩუმი ღიღინით გადაჭრა ეზო, ორღობეს გაჰყვა. ხანდახან თვალს დახუჭავდა, გიორგის მზერაში ჩაბუდებული სხივი წარმოესახებოდა და კვლავ გაახელდა, რამეს არ დავეჯახოო.

მოსახვევთან გია წამოეწია. აქ ყარაულობდა ხოლმე. დაფიქრებული იყო და იმიტომ ვერ შენიშნა, საიდან წამოეპარა. გვერდით ჩაუქროლა, ჩანთა გამოსტაცა და გაიქცა.

ლიკას აღშფოთებისაგან სული შეუგუბდა.

— ახლავე მომეცი! — შეუძახა, მაგრამ გია ისეთი ვინმე იყო, შეძახილი მასზე აღარ მოქმედებდა და ბიჭურად გამოენთო. რას დაეწეოდა! ბიჭი მიხვდა, ვერ მომეწევაო, ჩანთა დაუგდო და შორიახლო ფეხები გააფაჩაჩხინა, ეგეც შენო.

ლიკამ ჩანთა აიღო, ამრეზით ენა გამოუყო, — „დებილი!“ და გზა განაგრძო. გია კი შორიახლო მოჰყვებოდა. გოგო რომ გაჩერდებოდა, ისიც ჩერდებოდა, წავიდოდა და ისიც დაედევნებოდა, ვერაფრით მოიშორა თავიდან.

კლასში გოგონები შემოეხვივნენ, ცნობისმოყვარეობისაგან იწვოდნენ. მთელმა სოფელმა იცოდა პაშუტიას ჭიშკართან მომხდარი ავარიის ამბავი.

— გოგოებო, ისეთი ლამაზი ჭაბუკია! — ლიკა მერხებს შორის დაბზრიალდა, ვითომდა ჭაბუკთან ცეკვავდა.

იმ აუტანელმა ტიპმა — გიამ გრძელი კისერი კიდევ უფრო

წაიგრძელა და ყვავივით დააყრანტალა:

— ის ჭაბუკი ოთხმოცისა მაინც იქნება!

ლიკამ ჩანთა ესროლა, გიამ ჰაერშივე დაიჭირა და ღმეჭა-ღმეჭით ფანჯრისაკენ წავიდა. ჭკუა დაუშლიდა თუ... აიღებდა და ფანჯარაში გადაუძახებდა. ბედად მასწავლებელი შემოვიდა და ბავშვები დაშოშმინდნენ.

იმ დღეს სკოლაში ბოლომდე ვერ გაძლო, ბოლო გაკვეთილზე მასწავლებელს დაეთხოვა.

გზაზე აგრონომი შეხვდა. სიცხისაგან ოფლში იღვრებოდა და ხელში გასაწური ცხვირსახოცი ეჭირა.

— როგორაა შენი ავადმყოფი?

გოგონას ესიამოვნა, შენი ავადმყოფიო, რომ უთხრეს. უკეთ არისო, ზრდილობიანად შეეპასუხა და ფეხს აუჩქარა.

სახლთან ბრბო იდგა. ამწე მოეყვანათ, მანქანის დამწვარი ძარა ამოჰქონდათ. ცოტა ხანს უყურა და შინ შევიდა. კიბე სულმოუთქმელად აირბინა, თითქოს უკან ჯარი მოსდევსო.

პაშუტია ბებიამ საყვედურით გადმოხედა, ცოტა წყნარადო.

— სადილი მაგიდაზეა!

ლიკამ ვითომ ვერ გაიგონა. ჩანთა დააგდო და აივანზე შემობრუნდა. ეჩქარებოდა გიორგის ნახვა, მაგრამ ვერ გაებედა. ეგონა, პაშუტის ბებია დავაეჭვიანე, სხვანაირად მიყურებსო. აივნის მოაჯირზე ჩამოსკუპდა, ფეხებს იქნევდა და ფიცარზე ქუსლებს მსუბუქად უკაკუნებდა. მერე ეჭვმა შეიპყრო, იქნებ ჩემს არყოფნაში გიორგი უკვე წაიყვანესო. უმალვე კარს მივარდა, შეაღო.

გიორგი საწოლზე იწვა, თავი მაღალ ბალიშზე მიედო, თვალი მიელულა.

უხმოდ მიკეტა, დადინჯდა. მერე საღამომდე ბებიას ეხმარებოდა. საკუთარ ტვინში დაბადებულ ეჭვებს აქარწყლებდა. უცდიდა, როდის დაუძახებდნენ. ბოლოს და ბოლოს ხომ მოენატრებოდა გიორგისაც.

უკვე ბინდი იყო. სინათლის ასანთებად შეგზავნა ბებიამ და გიორგიმ ხელით ანიშნა, მოდი, აქ ჩამოჯექიო.

— როგორ მომენატრე, ლიკა, სად იყავი აქამდე? — ისე შინაურულად თქვა, თითქოს დაბადებიდან ერთმანეთს იცნობდნენ.

გოგონა გათამამდა, ტაბურეტზე დაჯდა, სახეზე მიაჩერდა.

— ახლა უკეთ გამოიყურებით, — დიდი ქალბატონივით დარბაისლურად გამოუვიდა.

გიორგის ღიმილი გაუკრთა, მერე სახე კვლავ სერიოზული გაუხდა.

— ჰო, დღესაც იყო ექიმი, არ ინერვიულოო... მთელი დღე გაუნძრევლად ვწევარ და არ ვინერვიულო?.. ჩემი ცხენი შესაკეთებლად ვერ ივარგებს, ხომ?

„ცხენი“, რა თქმა უნდა, დამწვარი მანქანა იყო და ლიკამ მხრები აიჩეჩა.

— დღეს ამოათრიეს, ისეა გამჭვარტლული...

გიორგიმ ამოიოხრა.

— ჯანდაბას, რაც მოხდა, მოხდა... რკინაა მაინც, მთავარია, რომ ვცოცხლობთ!

— მთავარია, ვცოცხლობთ! — გაეცინა ლიკას.

— და ჩემი ქალბატონი მივლის! — გიორგის თვალებში ეშმაკური ნაპერწკლები აუციმციმდა. — შენ რომ არ იყო, რა მეშველებოდა. ვერ წარმოიდგენ, როგორ მოვიწყინე, სანამ სკოლაში იყავი...

ლიკას ლოყები შეეფაკლა, დაიმორცხვა.

— მე რითი უნდა გაგართოთ?

— როგორ თუ რითი? სკოლის ამბები მომიყევი. მოდი, შენი ამხანაგები გავჭოროთ.

— იჰ, სკოლის ამხანაგებზე რა უნდა გითხრათ?

— მაინტერესებს, შენს კლასში ყველაზე სიმპათიური ბიჭი რომ არის... ვაიმე, სახელი დამავიწყდა, რა ჰქვია?

— გია?.. თქვენ საიდან იცნობთ? — გაიკვირვა ლიკამ და გიორგი სიცილისაგან ათახთახდა, თან ცდილობდა თავი შეეკავებინა, რათა ტკივილები არ გაეღვიძებინა.

ლიკა მიხვდა, ხაფანგი რომ დაუგეს.

— არაფერიც! ისე წამომცდა, თორემ ერთი აუტანელი ხულიგანია! — კინაღამ ცრემლი გადმოაგდო, მაგრამ პაშუტია ბებია შემოვიდა და ორივე გაჩუმდა.

პაშუტია ბებიამ სათვალე მოიხსნა, ბებრული თვალები მოწკურა.

— ლიკა, სტუმარი ზედმეტად არ უნდა შეაწუხო!

გოგონა ოთახიდან სწრაფად გაიძურწა. გულნატკენი იყო მოხუცზე. ვერ ურიგდებოდა უსამართლობას. ყველაზე დიდი უსამართლობა კი ის იყო, რომ გიორგისთან არ უშვებდნენ.

განაწყენებულმა გაიხადა და ლოგინში შეძვრა. გადაწყვიტა, ხმა არ გაეცა. ცოტა ხანში პაშუტია ბებიაც შემოვიდა, საწოლზე ჩამოუჯდა. ლიკამ თავი მოიმძინარა. ბრძენი იყო პაშუტია ბებია, მის გამჭრიახ თვალებს არაფერი გამოეპარებოდა და გოგონას ერჩივნა კედელში გამძვრალიყო, ოღონდ ახლა მოხუცის მზერას გაქცეოდა.

— ჩურჩუტელა გოგო, — ჩაიცინა პაშუტია ბებიამ, თმა ხუმრობით აუჩეჩა და გავიდა.

ლიკამ კმაყოფილება იგრძნო. თავი ბალიშზე მოხერხებულად მიდო. თვალი დახუჭა, რათა გიორგიზე ეფიქრა, გიორგის თვალებში ჩაეხედა, მაგრამ მოულოდნელად გიას უტიფარ მზერას შეეფეთა. გიას ჩოხა-ახალუხი ეცვა, მხრებზე ნაბადი მოეგდო, თეთრზე თეთრი წვერი მკერდზე სცემდა. ოთხმოცისა მაინც იქნებოდა და ლიკამ შეიცხადა, ასე რამ დაგაბერაო. გია სულ ახლოს მოვიდა, სახე სახესთან მოუტანა. ლიკას უნდოდა, ჩვეულებისამებრ, ჩანთა ჩაერტყა, მაგრამ გია გიორგის დაემსგავსა და, ამას რომ მიხვდა, მაშინ გამოეღვიძა.

სტუმრის ოთახიდან კვნესა მოესმა.

ლიკა წამოხტა, წუთში ავადმყოფის საწოლთან გაჩნდა. გიორგი ძილში ბორგავდა, კბილებს აღრჭიალებდა, კვნესოდა. სიფხიზლეში ალბათ ითმენდა, ძილს კი ლაგამი აეხსნა და ახლა თავგამოდებით ებრძოდა ტკივილებს. ლიკამ შუბლზე ხელი დაადო, მოეფერა. გიორგი წამით გაყუჩდა, უცბად თვალი გაახილა.

— ლიკა, ყველაფერი მტკივა, ლიკა...

არ იცოდა რითი დაეშოშმინებინა ვაჟის ტკივილები, რა სიტყვები ეთქვა. უხმოდ გადაუსვა ხელი ხელზე. გიორგიმ სუსტად მოუჭირა.

— შენს გაზრდას, წყალი მომირბენინე!

ლიკამ წყალი მიაწოდა, თავი ცოტათი წამოუწია და ამ დროს მისი გრუზა თმა უნებლიეთ ჩაიხუტა. რაღაც თბილი და დედობრივი მოაწყდა სულს, თითქოს უსუსური ჩვილი ეჭირა და იმას უკლავდა წყურვილს.

გიორგიმ ორიოდე ყლუპი მოსვა, კვლავ უკან გადავარდა.

— წადი, ლიკა, დაიძინე, ახლა არა მიშავს!

გოგონა შეყოყმანდა. გიორგის სხივოსანი თვალები ტკივილებს მიენავლა.

— რა მეშველებოდა, შენ რომ არ დაგენახე! — ამ სიტყვებში ჩაატია მადლიერების მთელი გრძნობა. — წადი და თუ დამჭირდი, დაგიძახებ!

ლიკა დაემორჩილა, თავის ლოგინს დაუბრუნდა, მაგრამ ვეღარ დაიძინა. თვალგახელილი მისჩერებოდა სიბნელეს და უსმენდა გიორგის ბორგვას.

მერე სველმა, ნესტით გაჯერებულმა სინათლემ შემოაღწია, ფოფინა ნისლი ხის ტოტებს შეახია, გაცრეცილ თეთრ ცას თანდათან ფერი მოეცა, თითქოს ვიღაცა უმატებდა და უმატებდა ლურჯ საღებავს.

არც ახსოვდა, რა დროს ჩაეძინა. პაშუტია ბებიამ გამოაღვიძა, ადე, შე ძილის გუდავ, სკოლაში გაგვიანდებაო.

სწრაფად გამოეწყო, წასვლის წინ ჭუჭრუტანაში შეიჭყიტა. გიორგის სახეზე ღამეული ტანჯვის კვალი აჩნდა.

— სძინავს, ნუ შეაწუხებ! — გააფრთხილა პაშუტია ბებიამ.

მთელი გზა სულ სირბილით მოლია, ძლივს შეასწრო მასწავლებელს. გაკვეთილზე ყურადღება ეფანტებოდა. მისი გონება გიორგისთან ტრიალებდა, წუხანდელ უცოდველ ალერსს უბრუნდებოდა ისევ და ისევ... თითქოს უსიტყვო შეთანხმება დაიდო. ლიკამ არ იცოდა, რას ნიშნავდა ეს, მაგრამ გული უფართქალებდა და თითქოს ტანზე ჭიანჭველები დარბოდნენ. მათემატიკის მასწავლებელმა დაფასთან გამოიძახა და უმარტივეს ამოცანას თავი და ბოლო ვერ გაუგო, თუმცა მთელი კლასი კარნახობდა გულმოდგინედ.

— რა დაგემართა, ცუდად ხომ არა ხარ? — გამომცდელად შეხედა მასწავლებელმა.

— თხოვდება! — ბოლო მერხიდან სიტყვა შეაწია გიამ. ხმამაღლა გაცინება ვერავინ გაბედა, ჩაიფხუკუნეს მხოლოდ. გია სხვების ზურგს ამოეფარა, მასწავლებლის მკაცრ მზერას დაემალა.

— ცოტა ხანს გავალ, პატმასწ! — ჩურჩულით სთხოვა ლიკამ.

— გადი, გაისეირნე! — ნება დართო მასწავლებელმა, თვი-

თონ კი აუჩქარებლად გაემართა ბოლო მერხისაკენ, რათა გიას გრძელი ყურები ცოტათი კიდევ დაეგრძელებინა.

ლიკას ჩანთა სულაც გადაავიწყდა, გაკვეთილზე არ შებრუნებულა. ორნაირ განცდას შეეპყრო მისი გული — სიხარულისა, გიორგის მადლიერი თვალები რომ წარმოუდგებოდა, და სირცხვილისა, გიას სულელური წამოძახილი რომ ახსენდებოდა.

მოსახვევიდან დაინახა, ჭიშკართან მანქანები იდგა — სასწრაფო დახმარებისა და თეთრი „ვოლგა“. ღობეს უცხო კაცი მიყრდნობოდა, მოწყენილი თამბაქოს აფუილებდა. ალბათ სასწრაფოს მძღოლი იქნებოდა, რადგან „ვოლგის“ მძღოლი მანქანაში იჯდა, ქუდი ცხვირზე ჩამოეფხატა და ეძინა.

— ლიკა შენა ხარ? — ბოლი ზანტად გამოუშვა კაცმა.

ლიკამ თავი დაუქნია, გამარჯობათო, მორცხვად მიესალმა.

— შენ გელოდებით რა, ავადმყოფი მიგვყავს და შენთან უნდა გამომშვიდობება... იჩქარე, გენაცვალე, გზაზე დაგვიღამდება!

გოგონამ სირბილით გადაჭრა ეზო.

აივანზე პაშუტია ბებია და ახალგაზრდა ექიმი იდგნენ. ამჯერად ექიმი ხალისიანად მასლაათობდა და სახეც დასვენებული ჰქონდა.

— აჰა, კიდევაც გამოჩნდა! — გაწითლებულ ლიკას მხიარულად უჩქმიტა ლოყაზე.

— მიდი, შვილო, სტუმარს გამოემშვიდობე, თავისიანებმა უნდა წაიყვანონ!

ლიკამ გულის ფანცქალით გადააბიჯა ზღურბლს და თვალზე თითქოს ნისლი ჩამოეფინა.

გიორგის წინ ტაბურეტზე — ლიკას ტაბურეტზე, მან ხომ იგი თავისი ხელით დადგა საწოლთან, — ახალგაზრდა, ლამაზი ქალი იჯდა. ლამაზი რომ იყო, ეს შემდეგ დაინახა, თუმცა მხრებზე ლაღად გადმოფენილი თმითაც მიხვდებოდა კაცი, რომ ქალმა საკუთარი თავის ფასი კარგად იცოდა.

უფრო გიორგის სახემ გააოცა ლიკა. ზედ სიხარული, სიყვარული, ალერსი — ყველაფერი ერთად ეწერა და თითქოს ნეკისოდენაც არაფერი სტკიოდა. ისე იყო იმ ქალით გართული, ისეთ ბურანში ჩაფლულიყო, გოგონას უყურებდა და ვერ ცნობდა. მერე გონს მოეგო. ლიკას შემოსცინა, მზერით მოესიყვარულა,

მაგრამ ეს იყო რაღაცნაირი სხვა სიყვარული, ალბათ უფრო მამობრივი, და გიორგიმ მხიარულად წამოიძახა:

— აგერ ჩემი გადამრჩენელიც!

ქალი სწრაფად შემოტრიალდა. თვალები ცრემლებისაგან გაბუშტოდა, ხელში სველი ცხვირსახოცი ჩაებღუჯა. ქალის ნამტირალევ სახეს ამოუცნობი ხიბლი ეფინა, იგი ცრემლს უფრო გაელამაზებინა, მის მზერაში სიხარული და გადარჩენის ბედნიერება სჭვიოდა.

ლიკას გული მახეში გამოჭერილი ჩიტივით ფართქალებდა, საფეთქლებზე საკუთარი სისხლის ცემა ესმოდა, სიწითლე ლოყებიდან თვალის უპეებს მოაწვა.

ქალი წამოიწია, ნაბიჯი გადმოდგა, გოგონას ხელი გამოუწოდა.

ლიკამ ქალის ხელს დახედა. წვრილი და გრძელი, კარგად მოვლილი თითები ჰქონდა. გოგონამ უცბად ზურგი შეაქცია, გარეთ ისე სწრაფად გავარდა, კინაღამ ექიმსა და ბებიას დაეჯახა.

— ლიკა! — განცვიფრებული პაშუტია ბებია უკან მიედევნა, მაგრამ გოგონა არ შეჩერებულა. ოთახებში გაძვრა, უკანა ეზოში ჩაირბინა და სიმინდის ყანას მისცა თავი.

— ლიკა, ლიკა!.. — ესმოდა პაშუტია ბებიას მწყრალი ძახილი. ხმა თანდათან მინელდა და მალე სულ შეწყდა.

დიდხანს გარბოდა. უფრო და უფრო შორდებოდა სახლს. სიმინდის ხეშეში ფოთლები სცემდა სახესა და მხრებზე, მაგრამ ამას არც გრძნობდა.

ყანის ბოლომდე მიირბინა. იქ უზარმაზარი, ფოთლებშეყვითლებული მსხალი იდგა. მის ჩრდილში დაემხო და გულამოსკვნით აქვითინდა...

დრომ სწრაფად გაირბინა. მსხლის ჩრდილი მინდორზე გაწვა. გრილმა ნიავმა გადაუარა სიმინდის ყანას, ააშრიალა.

ნიკაპი მუხლებზე დაეყრდნო ლიკას და აქედან გაჰყურებდა დაბლა გაშლილ სოფელს. უკვე არ ტიროდა. რამდენი ხანია ცრემლი შეაშრა. მსუბუქი სევდაღა შერჩა. უკვე არ ახსოვდა, რა ატირებდა, ვინ აწყენინა. პაშუტია ბებიასი რცხვენოდა მხოლოდ, ვერაფრით აუხსნიდა თავის საქციელს და შინ დაბრუნებას ამჯობინებდა სადმე გადაკარგულიყო.

ფოთლების შარიშური მოესმა. სიმინდებში გიას აწოწილი

თავი გამოჩნდა. „ხომ დაუგრძელა ყურები პატმასწმა!“ — ნიშნის მოგებით გაიფიქრა, თუმცა ეს მაინცდამაინც დიდად არ გახარებია.

ბიჭი შორიახლო, ბალახზე დაეშვა. ხელში ჯაყვა ეჭირა, მიწაში არჭობდა. კუშტად იბღვირებოდა, თავი ჯიუტად დაეხარა.

— ჩანთა მოგიტანე! — ისე, სხვათა შორის თქვა, ხმაში წყენა გაურია.

— წავიდნენ?

— ჰო, წავიდნენ!

— ბებიამ რაო?

— არაფერი, ყანის ბოლოს იქნება და იქ ნახეო!

ერთხანს ჩუმად ისხდნენ. ორივე გაბუსული იყურებოდა ძირს.

უცებ ლიკამ გადაიკისკისა.

— დედა-ა, რანაირად დაუგრძელებია შენთვის ყურები პატმასწავლებელს!

გიამ გაკვირვებით შეხედა, უყურა, უყურა, თვითონაც გადაიხარხარა და ყირაზე გადავიდა...

კრებულები: „პირველი ზეკარი“, გამომცემლობა
ნაკადული“, 1983 და „კუნძული“,
გამომცემლობა „საქართველო“, 1988.

თეთრი ევროპა

(ფანტასტიკური მოთხრობა)

ევროპა უცბად გამოჩნდა, თეთრი, ქათქათა სფერო ჰორიზონტზე ამოგორდა და რუხი ღრუბლების თავზე დაბრძანდა. რა თქმა უნდა, მისი გამოჩენა მოულოდნელი არ ყოფილა. კიბერშტურმანი წამის მეასედითაც არ შემცდარა. ბავშვობაში, ასტროფიზიკის გაკვეთილზე, არაერთხელ უჩვენებიათ ფერადი სლაიდები, სადაც ევროპის ამოსვლა იყო გადაღებული, მაგრამ ახლა ცირუ დანელიას უნებლიე ოხვრა აღმოხდა. ჯურხა ყველაისძემ არაფერი თქვა. ჰორიზონტზე წამომჯდარ ევროპას მისჩერებოდა და სიხარულს ვერ გრძნობდა. ლტოლვილთათვის ერთადერთი თავშესაფარი ევროპა უნდა გამხდარიყო, მაგრამ აქამდე მოღწევა ფანტასტიკის ზღვარს უახლოვდებოდა.

კვირაზე მეტი იყო, რაც ჯაბახანა „დედალოსი“ იუპიტერის გარშემო მოძრაობდა. მართვის ცენტრალური პულტის ფართო ეკრანი თითქმის მთლიანად დაეფარა კოლოსალური სიდიდის პლანეტას, რომელსაც ღრუბელთა პირბადე მოერგო. არც ეს სურათი იყო ახალი და გასაოცარი. ჯურხა ყველაის ძემ ღრუბელთა მოძრავი რუკა ზეპირად იცოდა და წინასწარ შეეძლო განეჭვრიტა, რას დაინახავდა ერთი საათის შემდეგ, ან ერთი დღის შემდეგ, მაგრამ საკუთარი თვალით დანახული ეს ვრცელი სამყარო თავისი სიდიადით თრგუნავდა ადამიანს.

მთელი კვირა ეძებდნენ ევროპას. იუპიტერის თანამგზავრები წამდაუწუმ ჩნდებოდნენ ეკრანზე. ეს ხან ვულკანებით დაავადებული იო იყო, ხან ქურუში კასიოპეა, ხან მეწამული განიმედი, ან რომელიმე სხვა და-ძმა, — ხან მთვარესავით მკვდარი, კრატერებით დაწინწკლული, უფსკრულებით დატოტვილი სფერო, ხან უზარმაზარი, უსწორმასწორო ლოდის ნატეხი, ხან კი მტვრის გროვა, ციბრუტივით რომ ტრიალებდა უჩინარი ღერძის ირგვლივ. კიბერ-შტურმანი ეკრანს უმალვე მოაყრიდა ციფრობრივ მონაცემებს, მაგრამ ჯურხა ყველაისძეს ისინი არ აინტერესებდა. თვალს ადევნებდა მართვის პულტის მიერ განხ-

ორციელებულ მანევრებს. უნდა არიდებოდა ხელოვნურ ზონდებს, არ შეესუსტებინა რადიოფარი, უმცირესი ელექტროიმპულსი არ უნდა გასცდენოდა ხომალდის ფარგლებს... იცოდა, იუპიტერის ირგვლივ, კოსმოსშიც და თანამგზავრებზეც უამრავი მოყურადე აპარატურა იდგა. საკმარისი იყო, „დედალოსს“ თუნდაც უმნიშვნელო იმპულსე გაჰპარვოდა, ავტომატური პელენგატორები უმალვე აღმოაჩენდნენ.

— ცირუ, გულს ნუ გავიტეხთ, ვფიქრობ, გამოსავალი მოიძებნება! — ჯურხა ყველაისძე ქალის სავარძლის უკან იდგა და ეკრანს მისჩერებოდა.

მართვის პულტმა კურსი ოდნავ შეცვალა. იუპიტერის ღრუბლიანი სხეული განზე გადაქანდა. ეკრანზე ვარსკვლავებით მოჭედილი ცა შემოიჭრა, რომელზეც იუპიტერის ოთხივე დიდი თანამგზავრი მოძრაობდა სხვადასხვა სისწრაფით. მართლაცდა შთამბეჭდავი სანახაობა იყო და ცირუ დანელია წამით გაითიშა, კაცის ნათქვამს არაფერი უპასუხა.

პირველად ქმრის კაბინეტში დაინახა ცირუმ კოსმოსის სახელგანთქმული გმირი. ქმარი სისტემის დირექტორ-განმკარგულებელი იყო, მისი სიტყვა ყველგან ჭრიდა და სწორედ ამ კაცის რეკომენდაციით ნიშნავდნენ ჯურხა ყველაისძეს ალფა კენტავრის დიადი ექსპედიციის ხელმძღვანელად. პროექტზე მილიონობით ადამიანი მუშაობდა მთელი საუკუნე და მისი ხელმძღვანელი, გარდა ცოდნისა და გამოცდილებისა, მაღალი ადამიანური იდეალების სრული განსახიერება უნდა ყოფილიყო. ათასობით კანდიდატიდან არჩევანისას ალბათ ცოლის გვარტომობამაც ითამაშა გარკვეული როლი და საკითხი თითქმის გადაწყვეტილი იყო. ჯურხა ყველაისძემ, ბუნებრივია, არ იცოდა, რისთვის დაიმსახურა დირექტორ-განმკარგულებლის კეთილი განწყობილება, მაგრამ ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მაღალი მისიის აღსასრულებლად იყო დაბადებული.

მაგრამ იმ დღეს გათამაშდა უსიტყვო დრამა, ეგზომ ჩვეულებრივი თვით უჩვეულო ადამიანთათვისაც, ისეთივე ძველი, როგორიც კაცობრიობის ისტორიაა. ცირუ დანელიამ ნახა თავისი ცხოვრების იდეალი, ჯურხა ყველაისძემ კი, კაბინეტიდან გამოსვლისთანავე იგრძნო, ყველაფერს რომ ფასი დაჰკარგვოდა. მისი ვაჟკაცური ბუნებისათვის ლოგიკური იქნებოდა, პირდაპირ, ღიად განეცხადებინა, დიადი ექსპედიციის ხელმძღვანელად არ ვვარგივარ, რადგან ჩვიდმეტი წლის ბიჭუნასავით ვარ შეყვარებული და ცხოვრებაში მეტი არაფერი მინდაო. ოღონდაც, კოსმოსის გმირმა ეს ვერ გაბედა და სულ რაღაც ორიოდე საათის შემდეგ, პატარა ბიჭივით ბედნიერი, ცირუ დანელიას ფერხთით ეგდო.

ის დღე და მეორეც სიგიჟის დღეებად გადაიქცა. ქალ-ვაჟს, ერთურთის გარდა, სხვა ყოველივე გადაავიწყდათ. მესამე დღეს დირექტორ-განმკარგულებელთან შეიკრიბა დიდი საბჭო და მთელი საათი ელოდა ექსპედიციის მომავალ ხელმძღვანელს. ჯურხა ყველაისძემ, წამით გამონათების ჟამს, შემთხვევით შეავლო ეკრანს თვალი და საბჭოს წევრთა დაღვრემილი სახეები იხილა. მიხვდა, ახსნა-განმარტებას მოსთხოვდნენ. მშიშარა კაცი არ გახლდათ. შიდა პლანეტები სულ ნაბიჯ-ნაბიჯ ჰქონდა მოვლილი. მისი ფათერაკების შესახებ ყოველ გზაჯვარედინზე გაჰკიოდა ტელეპრესა. მაგრამ საბჭოს წევრებს ყოველი წუთი ძვირად უღირდათ და ახლა როგორ ეთქვა, ქალით გატაცებულს საქმე დამავიწყდაო.

მაშინ მოიმოქმედა ჯურხა ყველაისძემ ისეთი რამ, რაც მხოლოდ სიყვარულით თავგზააბნეულ ადამიანს შეუძლია, ვისაც არ ძალუძს წინასწარ განჭვრიტოს დანაშაულის მთელი სიღრმე. კოსმოდრომიდან ძველი „დედალოსი“ გაიტაცა და ქალ-ვაჟი უზარმაზარი სისწრაფით გაშორდა დედამიწას. სხვა რა გზა ჰქონდათ? დირექტორ-განმკარგულებლის სასტიკი შურისძიება სისტემის ყველა წერტილში მისწვდებოდა გაქცეულებს. დაღუპვა გარდუვალი ჩანდა, მაგრამ ვნებით მთვრალი ახალგაზრდები ისეთ ცეცხლში იწვოდნენ, ადამიანს ლოგიკური აზროვნების უნარს რომ აკარგვინებს.

მხოლოდ მეხუთე დღეს ჩართო ჯურხა ყველაისძემ საინფორმაციო აპარატი, ეკრანზე სისტემის დირექტორ-განმკარგულებელი გამოჩნდა. იოტისოდენა მღელვარება არ ემჩნეოდა. ლაპარაკობდა ზოგადმორალურ პრობლემებზე. მისი გამოსვლა ამჯერადაც ჰგავდა დირექტორ-განმკარგულებლის ყოველკვირეულ ანგარიშს. თავდაპირველად ჯურხა ყველაისძემ იფ-

იქრა, იქნებ მომხდარი ამბავი ჯერ არც გაუგიაო. მაგრამ საშინელი სიტყვები ბოლოს ითქვა. დირექტორ-განმკარგულებელმა დიდი საბჭოს დადგენილება წაიკითხა. ჯურხა ყველაისძე სისტემის მტრად და მოღალატედ გამოცხადდა. ყველა რეგიონს ებრძანა, „დედალოსს“ თუ სადმე წააწყდებოდნენ, მოესპოთ.

ჯურხა ყველაისძე მიხვდა, რომ ყოველი გზა გადაეკეტა. შიდა პლანეტებზე მიმოფანტული მისი მეგობრები თავშესაფარს ვერ შესთავაზებდნენ, რადგან დიდ საბჭოს წინ ვერავინ აღუდგებოდა. სხვა რა გამოსავალი ჰქონდა, გადაწყვიტა ასტეროიდთა სარტყელი გადაეკვეთა. მაძებარი ხომალდები ერიდებოდნენ იქ შესვლას და ძნელი გახდებოდა ლტოლვილთა კვალის ძებნა. ამ სუსტ იმედს დანდობილები მომავალზე ფიქრს თავიდან იშორებდნენ. თუმცა თავსამტვრევი დიახაც რომ ჰქონდათ. „დედალოსზე“ სასიცოცხლო ფუნქციებისათვის საჭირო ნივთიერებათა რეგენერაციის სისტემა მოძველებული გახლდათ. ფუფუნებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, მაგრამ კვების მეორადი პროდუქტები ერთ წელიწადს თუ ეყოფოდათ. მერე კი შიმშილით სიკვდილი გარდუვალი იქნებოდა და მოუწევდა ჯურხა ყველაისძეს დიდი საბჭოს წინაშე მუხლის მოდრეკა. თვითონ ალბათ სიკვდილს არჩევდა, მაგრამ, რომ წარმოიდგენდა, თუ რა მოელოდა ცირუს უსაზღვრო კოსმოსში, ჟრჟოლა უვლიდა. ასე იყო თუ ისე, ჯურხა ყველაისძემ სიფრთხილის ყველა ზომას მიმართა, რათა გადაელახა ელექტრონული თავდაცვის ის ზღუდე, მარსისა და ასტეროიდთა ორბიტებს შორის სივრცეში რომ ერტყა შიდა პლანეტებს. „დედალოსის“ ელექტრო-რადიოსისტემა მთლიანად გამოითიშა და იგი უსიცოცხლო მეტეორს დაემსგავსა. ალბათ მცირე ხნით მაინც მოტყუვდებოდა სისტემის გამოთვლითი ცენტრი, რაც დროის მოგების შანსს იძლეოდა.

ასტეროიდთა სარტყელს რომ მიაღწია, კიბერშტურმანმა საფრთხე აუწყა. „დედალოსის“ კვალს საპატრულო ხომალდების ესკადრა გამონთებოდა. თავდაცვის ელექტრონული ზღუდე ვერ შეაცდინა ჯურხა ყველაისძის ეშმაკობამ. მაგრამ ჯერ კიდევ იყო დრო, ესკადრა ერთ კვირას მაინც ვერ მოაღწევდა, თანაც დიდი ტონაჟის ხომალდები ასტეროიდებს უფრო ერიდებოდნენ და ჯურხა ყველაისძემ „დედალოსის“ მართვის ცენტრს

უბრძანა, იუნონას ასტეროიდთა გუნდისაკენ აეღო გეზი.

საშიშროება ცირუ დანელიამაც განჭვრიტა. ქალურმა ალღომ უკარნახა, „დედალოსი“ დაღუპვისაკენ მიისწრაფოდა. თუმცა ისიც კარგად უწყოდა, უკან დასახევი გზები მოჭრილი ჰქონდათ. პირველად მაშინ გაიფიქრა სიამაყით: კოსმოსის გმირი ჯურხა ყველაისძე ჩემი გულისათვის კაცობრიობას განუდგაო. საპასუხოდ თვითონაც უანგარო სიყვარულს სთავაზობდა და წუთითაც არ უნანია, რომ სისტემის პირველი ქალბატონის მდგომარეობა დათმო, ზურგი აქცია ათასნაირ საცდურს, რასაც ქმრის საყოველთაო პირველობა აძლევდა. ამის წილ სიყვარულის მოწოდებას მიჰყვა. რასაკვირველია, არც სიცოცხლე ენანებოდა თავისი რჩეულისათვის, მაგრამ ამას რომ ფიქრობდა, პირველი ბზარიც იქ გაჩნდა: კაცმა დიადი საქმეც დათმო!

ამასობაში ანტიმეტეორული სისტემა ამუშავდა. „დედალოსი“ მეტეორიტებს სპობდა, უფრო მძიმე სხეულებს კი თავს არიდებდა. ხომალდს სწრაფი მანევრირება უხდებოდა. კიბერშტურმანი წამდაუწუმ განგაშს ტეხდა, მაგრამ მართვის ცენტრი ჯერჯერობით ახერხებდა საფრთხის თავიდან აცილებას.

უცბად ეკრანზე აციმციმდა კოდირებული დეპეშა: “დედალოსო, უმჯობესია ჩაგვბარდეთ!.. დაგელოდებით ათი დღე!..“ — და ამას მოჰყვებოდა კოორდინატები.

საპატრულო ხომალდები მეათედი პარსეკის მანძილზე ჩამომწკრივებულიყვნენ. მრისხანე რაკეტული ქვემეხები მოეშვირათ.

ჯურხა ყველაისძემ არაფერი უპასუხა. „დედალოსზე“ მოძველებული საომარი აღჭურვილობა ეყენა, მაგრამ რადიოლოგიური იარაღისაგან თავის დაცვა შეეძლო. რაც შეეხებოდა რაკეტებს, ესკადრა ვერ გაბედავდა ასტეროიდთა გარემოს რადიოაქტიურ გაჭუჭყიანებას. ყოველი შემთხვევისათვის, მართვის ცენტრს უბრძანა, რადიოფარები ჩაერთო, რის შემდეგაც იგი საპატრულო ხომალდებისათვის უჩინარი ხდებოდა.

ათი დღე დასჭირდა „დედალოსს“ იუნონას ასტეროიდთაგან თავის დასაღწევად და იუპიტერისაკენ გეზის ასაღებად. ათი დღის მანძილზე ელოდებოდა საპატრულო ესკადრა ჯურხა ყველაისძის პასუხს, მაგრამ როცა დათქმული ვადა გავიდა, იუნონას ასტეროიდებში რადიოძებნა გამოცხადდა. არ სჯეროდათ

„დედალოსის“ გადარჩენა, მისი აფეთქების დამადასტურებელ კვალს ეძებდნენ. დიდმა საბჭომაც ირწმუნა, „დედალოსი“ იუნონას ასტეროიდებში შევიდა და დაიღუპაო. დირექტორ-განმკარგულებელმა სხდომა ისე წაიყვანა, ვითომ ერთი უმნიშვნელო ინციდენტი მოხდა და ისიც ამოიწურაო... ეს შეცდომა არც იყო გასაკვირი. „დედალოსის“ ტიპის ხომალდები ასი წელი ემსახურებოდნენ შიდა პლანეტებს, კარგი შეფასებაც დაიმსახურეს, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, გარე პლანეტისაკენ გაფრენილიყვნენ. გიჟების ეკიპაჟს, ბუნებრივია, დაღუპვა მოელოდა, რადგან ხომალდი გათვალისწინებული არ იყო ასეთი უზარმაზარი სივრცეების გადასალახავად. ჯურხა ყველაისძის მიერ გატაცებული ხომალდი, ყოველივე ამასთან, ოცი წლის წინ იყო ჩამოწერილი და ჯართად ითვლებოდა, მაგრამ უყურადღებობის გამო კოსმოდრომზე შერჩა და დღეს თუ ხვალ ელექტროღუმელის კერძი უნდა გამხდარიყო.

ჯურხა ყველაისძემ ყოველივე ეს კარგად იცოდა. კიბერშტურმანმა უკვე ჩამოამწკრივა სათანადო გაანგარიშებანი. „დედალოსს“ უნდა ემოძრავა იმ უფსკრულის კიდეზე, როცა საკმარისია წონასწორობის ოდნავი დარღვევა, მცირედი შეცდომა და უკვე ვერაფერს გამოასწორებ. ჯურხა ყველაისძეს იმედი მაინც არ დაკარგვია. დღენიადაგ თვალს ადევნებდა საავარიო სისტემის მუშაობას. რასაკვირველია, უმნიშვნელო უწესივრობათა აღმოფხვრა თუ შეეძლო, მეტი არაფერი, მაგრამ მთელი მისი დრო ამას უნდებოდა. დაღლილ-დაქანცული შემოვიდოდა ცირუ დანელიასთან, ყვრიმალში აკოცებდა, იქვე სავარძელში ჩაეშვებოდა და უმალვე ძილში იძირებოდა.

ცირუს თვალს არაფერი გამოპარვია. უმადური არ უნდა ყოფილიყო. მძინარე მამაკაცს ჯერაც სიყვარულით მისჩერებოდა. მაგრამ მის სულს უკვე დაეტყო ღრმა ეროზია, ქალის სულისათვის კი ჯურხა ყველაისძე ვერა და ვერ იცლიდა.

საშიშროება გვიანღა შეამჩნია კაცმა. ერთხელ, ნახევარი საათის მაცოცხლებელი ძილისაგან გამოერკვა და ქალის მზერას შეეფეთა. ეუცნაურა ეს შემოხედვა, იქ ჩვეული სითბო ვერ იპოვა.

— მოხდა რამე? — ხმადაბლა ჰკითხა.

— რა გადაწყვიტე? — კითხვა შეუბრუნა ცირუმ.

— უკან დასახევი გზა არა გვაქვს, ცირუ, ევროპისაკენ მივფრინავთ! — მტკიცედ შეეპასუხა ჯურხა ყველაისძე.

— ესე იგი ყველაფერი თავის ლოგიკურ ბოლოს უახლოვდება! — ცივად თქვა ცირუ დანელიამ და ჯურხა ყველაისძე მიხვდა, კატასტროფული ცვლილება უკვე მომხდარიყო.

ევროპა! იქ გაფრენა მართლაც თვითმკვლელობას უდრიდა. ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე ყველა ექსპედიცია გვერდს უვლიდა იუპიტერის თეთრ თანამგზავრს. დიდმა საბჭომ გადაწყვიტა, ევროპისაკენ მანამ არ გაეშვა ექსპედიცია, სანამ თეორეტიკოსები იქ მომხდარი ამბების რაიმე დამაჯერებელ ჰიპოთეზას წამოაყენებდნენ. პირველად, როგორც ეს ხდებოდა იუპიტერის სხვა თანამგზავრთა შესწავლის დროსაც, ევროპაზე ავტომატური აპარატურა გაიგზავნა. ასი წელი იკვლევდნენ თანამგზავრს უსულო რობოტები და კიბერმანქანები და ისეთი ვერაფერი მოიკვლიეს, შიშის საფუძველს რომ დაბადებდა. ცხადია, იუპიტერის სხვა თანამგზავრებისაგან განსხვავდებოდა. სიდიდით საშუალო ზომის პლანეტას ეტოლებოდა. ამიაკის მძიმე ღრუბლებით ჩამობურული ან უწყვეტი გრიგალებით შეშფოთებული ატმოსფერო ჟანგბადსაც კი შეიცავდა. ყინულის რვაკილომეტრიან ჯავშანში იყო ჩაჭედილი, რომლის ქვეშაც წყლის მთელი ოკეანე დაგუბებულიყო, რაც სასიცოცხლო ფუნქციებისათვის მეტად ხელსაყრელი ჩანდა. ტემპერატურა ხომ პირდაპირ კოსმიურ სამოთხეს პირდებოდა ადამიანს, იუპიტერის არც ერთ თანამგზავრზე არ იყო ესოდენ ზომიერი ტემპერატურა, ალბათ დედამიწის არქტიკულზე უარესი კლიმატი არ იქნებოდა. დიდი საბჭო ხანგრძლივი კვლევით კმაყოფილი დარჩა და მაშინ გადაწყდა ევროპის კოლონიზაცია. რამდენჯერმე გაიგზავნა ავტომატურ მშენებელთა ესკადრები, ათეულ ათასობით ტონა ტვირთი ჩაიტანეს და კვლევითი ცენტრი და კოსმოდრომი ააშენეს. ამის შემდეგ კვლევითმა ცენტრმა დიდ საბჭოს აცნობა, მზადა ვართ ადამიანთა მისაღებადო. საფრთხეს არავინ მოელოდა და ასტრონავტთა პირველი ჯგუფი გაემგზავრა. სწორედ ეს აღმოჩნდა საბედისწერო შეცდომა. ევროპაზე ისეთი რამ ხდებოდა, რასაც ავტომატური, დაპროგრამებული გონება ვერ ჩასწვდებოდა. პირველი ეკიპა-

ჟისაგან დათქმულ დროს ცნობა არ მოვიდა. იუპიტერის მიმდებარე სივრცეში განგაში გამოცხადდა. იქ თუ ვინმე დაფრინავდა, ყველას დაკარგული ეკიპაჟის ძებნა ებრძანა. ამაოდ! მეორე ექსპედიციამ, მომდევნო წელს რომ გაფრინდა, მხოლოდ ერთი წინადადება გადმოსცა: „ღმერთო ჩემო, ეს რა არის?“ მესამე ექსპედიციას მთელ სისტემაში სიმამაცით სახელგანთქმული დოქტორი კინგი ხელმძღვანელობდა. გულისფანცქალით უსმენდნენ მის ოპტიმისტურ და მხიარულ რეპორტაჟებს ევროპიდან. თითქოს ყველაფერი რიგზე მიდიოდა, მაგრამ ერთ დღეს ეკრანზე ისეთი რამ გამოჩნდა, დიდ საბჭოს სხდომაზე რამდენჯერმე უჩვენეს და რიგიანი ახსნა ვერ დაუძებნეს. ეკრანზე ჩანდა ორი კინგი. ლაზერის პისტოლეტით ერთმა მოკლა მეორე, მერე კი თავიც მოიკლა და ამ დროს უსასოო გოდება აღმოხდა. თავდაპირველად ეს უცნაური სურათი ოპტიკას დააბრალეს, მაგრამ უმალვე უარყვეს, რადგან ორი ფიგურა და მათი მოძრაობა ადეკვატური არ იყო.

ეს ამბავი მთელმა სისტემამ იცოდა და არც ქალ-ვაჟი იყო გამონაკლისი.

ჰორიზონტზე ევროპა რომ ამოგორდა, ჯურხა ყველაისძემ სევდანარევი ხმით ჩასჩურჩულა ცირუ დანელიას:

— ცირუ, იქნებ არაა გვიან, ყველაფერი რიგზე იქნება...

* * *

უჩვეულო სიწყნარე ჩამოვარდა. „დედალოსის“ ძრავები დადუმდა. შეწყდა ხომალდის კორპუსის საშიში ზანზარი. რამდენჯერ ეგონათ, ჯაბახანა „დედალოსი“ ვერ გაუძლებსო კოლოსალური სიჩქარით დამუხრუჭებას, იუპიტერის გრავიტაციულ ველთან ჭიდილს, ევროპის მოქუფრულ ატმოსფეროს, რომელმაც ხომალდის გარსაფარზე ცეცხლის ენები შემოანთო და გამდნარი მეტალის მთელი წვიმა მიმოაბნია. მაგრამ „დედალოსმა“ ყველაფერს გაუძლო და კოსმოდრომზე მშვიდად დაეშვა. აქამდე თხუთმეტი წლის მანძილზე ჩაჩუმებული კოსმოდრომი ხალისით ამუშავდა. ხომალდის მიმღები სამსახური იდეალურად ასრულებდა თავის მოვალეობას. კიბერმანქანებმა „დედალოსი“ დაუყოვნებლივ გააქანეს სადეზინფექციო ანგარში. კვლევითი ცენტრის გაჭუჭყიანების საშიშროება რომ გაქრა, ეკრანზე ევროპის ემბლემა გამოჩნდა და კარგად დაყენებულმა ხმამ წარმოთქვა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“

ჯურხა ყველაისძემ ქალს შეხედა. ცირუ დანელია კვლავაც ეკრანს მისჩერებოდა. რა თქმა უნდა, ყოყმანის დრო დამთავრებული იყო. თავდაცვის ერთადერთი საშუალება სიფრთხილე და გონიერება იქნებოდა და იმისათვის უნდა მოეხმოთ. ჯურხა ყველაისძე სიბნელეში ხელის ფათურს როდი ჯერდებოდა. სანამ ევროპამდე მოაღწევდნენ, მრავალგზის ეთათბირა ხომალდის გამოთვლით ცენტრს, ათასი მოსალოდნელი ვარიანტი შეამოწმა და ყოველი მათგანისათვის მზად იყო. ერთი პირობა იფიქრა, იქნებ რობოტები აჯანყდნენ და ევროპაში ჩასული ადამიანები ამოხოცესო. ასეთი აზრი უბრალო, მაგრამ ჭკუასთან ახლოს იყო, რადგან მსგავსი შემთხვევა ადრეც მომხდარა. თუნდაც გრანდიოზული აჯანყება მერკურზე, როცა ათასობით რობოტმა განიზრახა საკუთარი ცივილიზაციის ჩამოყალიბება. ბუნებრივია, მანქანებს შემოქმედებითი ნიჭიერება არ ეყოთ. არც ისე ძნელი იყო აჯანყების ჩაქრობა, მაგრამ დიდმა საბჭომ, ზედმეტი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად, სასტიკ ღონისძიებას მიმართა, ატომური მუხტებით მოსპო რობოტების მთელი ის თაობა. იმ დროიდან, როგორც კი რობოტი საკუთარი „მეს“ დადგენამდე ამაღლდებოდა, უმალვე ჩაირთვებოდა სიფრთხილის საგანგებო სისტემა, რობოტის ელექტრონული სქემა ნადგურდებოდა და იგი რკინის უბრალო ჯართად გადაიქცეოდა. ხომ შეიძლებოდა, სიფრთხილის ამ სისტემას ევროპის პირობებში ვერ გაემართლებინა? ყოველ შემთხვევაში, ჯურხა ყველაისძემ რადიოფარი გაიკეთა, ლაზერის პისტოლეტი კი ქალს გაუწოდა. ცირუმ მხრები გაკვირვებით შეარხია, ზიზღნარევი ღიმილით გააქნია თავი. ჯურხა მოიქუფრა, უფრო ღიმილი არ მოეწონა, მაგრამ არაფერი თქვა. ცირუ უთქმელადაც მიუხვდა, შერიგების ნიშნად მკლავზე ხელი შეახო.

თავის დროზე ჯერ კიდევ პატარა გოგონამ გაიარა ნიჭიერების ფსიქოტესტი და სამუდამოდ დაამახსოვრდა ორად ორი

სიტყვა, გიგანტურმა, ბებრულად კეთილმა, უკვე მოძველებულმა კიბერექიმმა ფსიქოპორტრეტში რომ ჩაუბეჭდა: „სულის მსახურება“. დიახაც, ცირუ დანელიას იდეალი ყოველთვის ისეთი ადამიანები იყვნენ, ვინაც სულს ხორცზე მაღლა აყენებდნენ. როცა ახალგაზრდა, გრანდიოზული იდეებით სავსე, ენერგიული ვაჟკაცი გაიცნო, ვინაც იმთავითვე დირექტორ-განმკარგულებლის უმაღლეს პოსტს უმიზნებდა, ცირუს იგი მაღალი სულის განსახიერებად მოეჩვენა და უანგაროდ შეუყვარდა. შეცდომა გვიან შეამჩნია. დანელიების გავლენიანი ოჯახი კარგად გამოიყენა კარიერისა და ხელისუფლების სენით შეპყრობილმა ახალგაზრდამ, თავისი წადილი აღისრულა, დირექტორ-განმკარგულებელი გახდა, მაგრამ ცირუ დანელიას სიყვარული დაკარგა.

ჯურხა ყველაისძეს მკლავზე ხელი რომ შეახო, ამით ანიშნა, გულს ნუ დაიწყვეტ, ძველებურად მიყვარხარო. ვაჟს სიხარულისაგან სახე წამოენთო, მაგრამ თავი მოითოკა და ჩასჩურჩულა:

— ფრთხილად, ცირუ, ნაბიჯითაც არ ჩამომრჩე.

ტრაპიდან მთავარ კორპუსში ისე გავიდნენ, განსაკუთრებული ვერაფერი შეამჩნიეს. მხოლოდ კარში ჩამონტაჟებულმა რობოტმა-შვეიცარმა კეთილად ჩაიბურტყუნა: „განმუხტეთ პისტოლეტი, კვლევით ცენტრში სრული წესრიგია!“ ჯურხა ყველაისძემ რობოტს წინაფარი ჩამოხსნა და ელექტროსქემა შეათვალიერა. ყველაფერი რიგზე იყო, არაფერი მოწმობდა რობოტების აჯანყებას. ამან მეტი სიფრთხილე შესძინა: მაშ, სად იმალებოდა საფრთხე?

ზღურბლს რომ გადააბიჯეს, აქამდე ბნელით მოცული ევროპის კვლევითი ცენტრი ერთიანად გაჩახჩახდა. გრძელი დერეფნის ორთავე მხარეს კარები იყო ჩამწკრივებული. ჯურხა ყველაისძემ ლაზერის პისტოლეტი მოიმარჯვა, თან კარებსა და დერეფნის შორეულ მოსახვევს უთვალთვალებდა. ცენტრში თუ ვინმე იმყოფებოდა, პირველს უნდა დაესწრო გასროლა, თუმცა თეორიულად აქ, გარდა ადამიანებისა, ვერავის უნდა შემოეღწია. კედელს აეკრა და ასე მიიპარა პირველ კართან. განზე გასწია. ლაბორატორია აღმოჩნდა. შიგ არავინ იყო. მეორე კარი გახსნა, სამუშაო კაბინეტისა. არც იქ იყო ვინმე. ასე, მთლად

სიფრთხილედ ქცეული გადადიოდა კარიდან კარისაკენ, მაგრამ საეჭვო ვერაფერი ნახა. ცირუ ფეხდაფეხ მისდევდა. მასაც შიშისაგან გული ეკუმშებოდა. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, სასაცილოდ მოეჩვენა გადაჭარბებული განგაში. ევროპაზე მონაყოლი ალბათ ჩემი ქმრის მოგონილი უზარმაზარი ბლეფიაო, ისიც კი გაიფიქრა. თვითონ პირველად იყო კოსმოსში და მოუაზრებელი საფრთხისა ნაკლებ სჯეროდა. ჯურხა ყველაისძე მოჩვენებით სიმშვიდეს უფრო არ ენდობოდა და ახლაც, ლიფტი გამოიძახა, შიგ შეიხედა, მაგრამ არ აჰყვა, ხაფანგში არ გამომამწყვდიონო. ღია ესკალატორით ავიდნენ ზედა სართულებზე. აქაც სრული წესრიგი სუფევდა. მზარეული რობოტები ფაციფუცობდნენ, უკვე სადილს ამზადებდნენ ჩამოსულთათვის და სასადილოში სასიამოვნო სუნი ტრიალებდა. ცირუმ ორი ფინჯანი ყავა ჩამოასხა, ერთი ვაჟს მიაწოდა. ჯურხა ყველაისძე კედელს მიყრდნობილი სვამდა, თან ლაზერის პისტოლეტისათვის ხელი არ უშვია. „როგორი მფრთხალია!“ — გაიფიქრა ცირუ დანელიამ.

სწორედ ამ დროს გაისმა ლაზერის სუსტი ზუზუნი, სმენა თითქოს ვერ იჭერდა მას, ჯურხა ყველაისძემ ქვეშეცნეულად უფრო იგრძნო, ვიდრე გაიგონა. უმალვე რადიოფარი ჩართო. ლაზერის გასროლას მომაკვდავი ადამიანის გოდება მოჰყვა. თითქოს ნაცნობი ხმა ჰკიოდა სიმწრისაგან. ცირუს ნირი შეეცვალა. ჯურხა ყველაისძემ ფინჯანი დადო. კართან უჩუმრად მიირბინა. კარი არ იღებოდა. რობოტი-შვეიცარის სქემას ჟანგი შეჰპარვოდა და ვერ ირთვებოდა. ჯურხამ ლაზერის სხივით საკეტი ამოჭრა, კარი უმალვე განზე გასრიალდა და იარაღშემართული ვაჟი ფართო დარბაზში შევარდა.

პირდაპირ მის თვალწინ საშინელი ტრაგედია თამაშდებოდა. დოქტორი კინგი პისტოლეტით კლავდა დოქტორ კინგს. აი, ასწია იარაღი პირველმა, მეორემ პირზე ხელი აიფარა. გაისმა ნელი ზუზუნი. უხილავმა სხივმა კინგი-მეორე ორად გაკვეთა. მერე იმ პირველმა პისტოლეტი მკერდზე მიიდო, მომაკვდავის კივილი აღმოხდა და დაეცა... წამის შემდეგ ყველაფერი თავიდან გამეორდა... მერე მესამეჯერ...

ჯურხა ყველაისძე გაოგნებული იდგა. ცირუ დანელია უფრო ადრე მიხვდა, რომ მათ წინ მართვის ბლოკის უზარმაზარი ეკრანი

იყო, რომელზეც ავტომატურად მეორდებოდა ჰოლოგრაფიული ჩანაწერი. თხუთმეტი წლის მანძილზე ალბათ უკვე მემილიონეჯერ გაისმოდა მომაკვდავი დოქტორ კინგის კივილი და ამ წამებას ბოლო არ უჩანდა. „ესროლე!“ — ჩასჩურჩულა ცირუმ. ჯურხა ყველაისძემ ლაზერით ჩამოფშვნა ფართო ეკრანი.

— რა საშინელებაა! — მხოლოდ წუთის შემდეგ წარმოთქვა გაფითრებულმა.

— საშინელებაა! — დაუდასტურა ცირუმ.

ეს ზუსტად ის ჩანაწერი იყო, თხუთმეტი წლის წინ რომ მიიღეს ევროპიდან და უკვე მრავალგზის ჰქონდათ ნანახი.

— დავიღალე! — ცირუ დანელია უცებ მოითენთა. იმ პირველი დღიდან, რაც დირექტორ-განმკარგულებლის კაბინეტში ერთმანეთი იხილეს, თითქოს წამითაც არ მოუსვენიათ. ახლა მოუნდა ღრმა და მშვიდი ძილი, როცა ადამიანს ეჩვენება, ყველა საზრუნავს მოევლება და ფიქრით თავის ატკიება არ ღირსო.

ჯურხა ყველაისძემ განკარგულება გასცა, ახალი ეკრანი დააყენეთო, და ქალს წარუძღვა. იქვე ახლოს იყო საძილე ბლოკი. ერთი საათის შემდეგ, თბილ აბაზანაში ნანებივრებ ცირუს ჯურხა ყველაისძის მკლავზე მიედო თავი და ეძინა... ეძინა ჯურხა ყველაისძესაც, ოღონდ მფრთხალი ძილით. ხელში კვლავ ლაზერის პისტოლეტი ეჭირა და სიზმარში უჩინარ მტერს ეომებოდა...

* * *

ორი თვის მანძილზე უჩვეულო არაფერი მომხდარა. ჯურხა ყველაისძემ კვლევითი ცენტრი მთლიანად გაჩხრიკა და საეჭვო ვერაფერი იპოვა. კრემატორიუმს დიდი სიფრთხილით ეწვია. იფიქრა, დაკრძალვის ავტომატურ ბიუროში კოდი ხომ არ შეეშალათ და ღუმელში ცოცხალი ადამიანები ხომ არ შეყარესო. ასეთი რამ კოსმიურ პრაქტიკაში არ გაგონილა, მაგრამ საშიშროებათა ვარიანტში ესეც გასათვალისწინებელი იყო. ჯურხა ყველაისძემ სათითაოდ გადაამოწმა დაკრძალულთა ელექტრობარათები. ყველა მონაცემით, დაღუპულთა რამენაირი რეგენერაცია შეუძლებელი იყო. თუ სადმე საშიშროება არსებობდა, იგი კვლევითი ცენტრის გარეთ უნდა ეძებნათ. ჯურხამ კომპლექსის ირგვლივ რადიოფარი ჩართო. მხოლოდ ამის შემდეგ დამშვიდდა და მთელი მგზნებარებით სიყვარულს მიეცა.

ცირუ დანელიას მოეწონა ეს უჩვეულო სიწყნარე. მუდამ ცივილიზაციის ცენტრში ტრიალმა მიაჩვია ტექნიკის, იდეების, ნაცნობთა უწყვეტ მოძრაობას. ასე ეგონა, ცხოვრება გაუთავებელი, რიტმული გუგუნიაო, რომელშიც იშვიათად თუ შემოიჭრება დისჰარმონიული ბგერები. კვლევით ცენტრში კი სრული სიწყნარე სუფევდა. სპეციალური დანადგარები იმ მცირე ხმაურსაც ახშობდნენ, ელექტროხელსაწყოთა შეწყობილ მუშაობას რომ მოსდევს. ხანდახან ბეზრდებოდა კიდეც ბგერათა სამყაროდან ასეთი განდგომა. მაშინ დაბალ რეგისტრში ელექტროორკესტრს ჩართავდა, ანდა კიბერკომპოზიტორთან ერთად თხზავდა გუნება-განწყობილების შესაბამის მუსიკას და გულში ჩამწვდომი, ალერსიანი ბგერებით ავსებდა საცხოვრისს. ზოგჯერ აუჯანყდებოდა ქალბატონი ჩვევა, ერთობ ჭირვეული არსება, მოუნდებოდა ბუნებრივი, ქაოტური ბგერების მოსმენა და კვლევის ცენტრის ირგვლივ აუქმებდა ბგერით იზოლაციას. მაშინ გარედან შემოიჭრებოდა ქარიშხლის შხუილი, კივილი, წივილი, გუგუნი... ევროპის ატმოსფერო არასოდეს მშვიდდებოდა. ამ დროს სათვალთვალო კოშკზე ავიდოდა ხოლმე, შეზლონგზე გაწვებოდა. კოშკს ზევიდან გამჭვირვალე ხუფი ეხურა და აქედან ფართო ხედი იშლებოდა. კვლევითი ცენტრი ყინულის ბრტყელ ტაფობზე იყო აშენებული. ტაფობის ზედაპირი ღრმა ნაპრალებს დაეფარა და ისინი ბნელი სისხლძარღვებივით აჩნდა ყინულეთს. ირგვლივ დაბალი, კაშკაშა მთები შემოჯარვოდა, რომელთა ზურგზე მყინვართა მძლავრი ენები გადმოწოლილიყო. ყოველივე ამას მქრქალი, სუსტი ნათელი ეფინებოდა მარად ცვალებადი ციდან, რაიც ბევრად უფრო ლამაზი და უცნაური იყო, თუ, ცხადია, მძიმე ღრუბლებს გადაიყრიდა. დღისით თუ ღამით ზედ მიმობნეული იყო ვარსკვლავთა ჯარი, ღამით უფრო ჩახჩახა, დღისით ოდნავ მბჟუტავნი... ცარგვალზე მუდამ ეკიდა რამდენიმე მთვარე. ზოგი ნელა მიგორავდა, ზოგი სწრაფად. სხვადასხვა ფაზაში იყვნენ — ერთი თუ ვიწრო ნამგლად ქცეულიყო, მეორე ბადროსავით ქათქათებდა, თითქოს

სამეჯლისოდ მიიჩქაროდნენ და ერთმანეთის გადასწრებას ცდილობდნენ. წითლად ღვიოდა გოჯისტოლა მზე, მეწამულ შუქს ჰფენდა მიდამოს, მეტოქეობას ვერ უწევდა კოსმოსის სხვა ბინადართ... მერე ამოვიდოდა დიადი იუპიტერი, ამოზვავდებოდა, თანდათან დაიპყრობდა ცისიერს, ფერთა მთელ კალეიდოსკოპს გადმოაფრქვევდა. უზარმაზარი, წარმოუდგენელი სიდიადის ცთომილი იკავებდა ცის კიდეს და ერთბაშად დაპატარავებული ცირუ დანელია გრძნობდა თავის უსუსურობას, ეუფლებოდა პანიკური შიში, თითქოს მისი სხეულის ყოველი უჯრედი განიცდიდა გრავიტაციული ველის მოქმედებას, თითქოს ზეიტაცებდნენ უხილავი ძალები და ეს თხელი, გამჭვირვალე ხუფი რომ არა, დიადი ცთომილი თავის შხამიან სიღრმეში ჩაითრევდა, კოლოსალური მიზიდულობის ძალისაგან ძვლებს დაუფშვნიდა. ცირუ დანელია თვალს ვერ წყვეტდა ამ სურათს. დიადი ცთომილი კი აუჩქარებლად ეუფლებოდა ზეცას. მის უკიდეგანო სივრცეებზე მეწამული და იისფერი ღრუბლები დაცურავდნენ. რაღაც იგორგლებოდა, რაღაც ფეთქდებოდა, დუღდა... გრანდიოზული მთები ამოიზიდებოდა ერთ წამს და უმალვე ინთქმებოდა. ზედ არაფერი იყო სტაბილური, მდგრადი, ყველაფერი მოძრაობდა უწყვეტ ცვალებადობაში და ცირუ დანელიას თვით სიცოცხლე არარაობად ეჩვენებოდა მარადი სტიქიის წინაშე. მერე ცთომილი კვლავ გადაქანდებოდა, თანდათან ჩაეშვებოდა ცის კიდეზე, თან წაიღებდა ცისარტყელას ყველა ფერს და ქურუში შავ-თეთრი გაბატონდებოდა მთებით შემოჯარულ ტაფობზე. უზომოდ მოითენთებოდა ცირუ დანელია, მისი სული ითრგუნებოდა ღვთაებრივი ძალის წინაშე, ითიშებოდა, მაგრამ მალევე გონს მოეგებოდა, თავს ძალას დაატანდა და სპორტული ბლოკისაკენ გაიქცეოდა. იქ მოიხმობდა ჯურხა ყველაისძესაც, შეჯიბრში გამოიწვევდა. ას მეტრს უფრო სწრაფად დაფარავდა, სპორტული ტანვარჯიშის უფრო რთულ ილეთებსაც აკეთებდა. მაგრამ ჯურხა ყველაისძის ჩამოსხმული სხეული ბრინჯაოს ქანდაკებას ჰგავდა და ქალი აღტაცებას ვერ მალავდა. ტანვარჯიშით დაღლილნი საცურაო აუზს მიაშურებდნენ. აქაც ცირუ დანელია წყალში უფრო ლამაზად ხტოდა, უფრო სწრაფად და მოქნილად ცურავდა, მაგრამ

ჯურხა ყველაისძეს მეტი ღონე ერჩოდა, ქალს ხელში აიტაცებდა და ასე გულში ჩახუტებული მიჰყავდა საძილე ოთახში, გრძელი დერეფნებისა და ექსკალატორების გავლით ვაჟი ცდილობდა თავისი ძალა და რაინდული შემართება ეჩვენებინა. ცირუს ორი თვის მანძილზე ერთხელაც არ გახსენებია ის საბედისწერო ფრაზა, მის სულს რომ ხინჯი შეატოვა. ორი თვის თავზე კი უცბად მეხსიერებაში წამოტივტივდა და იგრძნო, სულში დარჩენილი ნაპრალი დროს ვერ შეეხორცებინა. „ამან ჩემთვის მთელი ქვეყნიერება დათმო!“ — გაიფიქრა ქალმა და კვლავ ვერანაირად ვერ შეაფასა ნაფიქრალი. ალერსით მოთენთილმა და უღონოდქმნილმა უცბად იკითხა:

— ნუთუ საიდუმლო არ გაინტერესებს?

— მაინტერესებს! — გამოტყდა ჯურხა ყველაისძე.

კაცი სიყვარულშიც მხოლოდ ნახევრად ეძლევა თავდავიწყებას. ჯურხა ყველაისძეს თუმცა სიყვარულის სამსალა კვლავაც ათრობდა, ქალზე ფხიზელი მაინც იყო და გამოუცნობის ახსნის წყურვილი დღენიადაგ არ ასვენებდა. მის გონებას თანდათან სულ უფრო და უფრო იპყრობდა ევროპის საიდუმლო. დაბოლოს, ისეთი დროც დადგა, როცა იდუმალზე ფიქრით გატაცებულს ქალი ავიწყდებოდა, ანდა ალერსში ვერ იყო ეგზომ მგზნებარე და გულწრფელი, მის სასიყვარულო მონოლოგებში მცირე სიყალბეც შეიპარა, რაც ქალის გულის სმენას არ გამოეპარებოდა, მაგრამ ცირუ დანელიას თავიდან ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ვერაფერი საეჭვო ვერ აღმოაჩინა ჯურხა ყველაისძემ კვლევით ცენტრში, მაგრამ მაინც ვერ მოისვენა და ხანდახან ისევ იწყებდა თვალთვალსა და ჩხრეკას. ერთი შეუსაბამობა იპოვა ბოლოს და ამას ჩააცივდა. დაკრძალულთა ელეკტრობარათები ორ-ორ ცალად იყო შედგენილი, გარდა დოქტორ კინგის ეკიპაჟის ერთი წევრის ელექტრობარათისა, რომლის სახელი იეშუა ჯურხა ყველაისძეს არაფერს ეუბნებოდა. „ორ-ორჯერ ხომ არ კვდებოდნენ?“ — ეჭვით გაიფიქრა, რადგან წყვილი ელექტრობარათები მთლად იდენტურნი როდი იყვნენ, დაღუპვის თარიღი თუ არა, საათები განსხვავდებოდა. მხოლოდ იეშუას სახელზე არსებობდა ერთი ელექტრობარათი.

— აი, ისიც!

ჯურხა ყველაისძემ აქვე, საძილე ოთახში დამონტაჟებული მინიეკრანი ჩართო და ძველი ჩანაწერი გამოითხოვა. ეკრანზე უმალვე გამოჩნდა ქერა კაცის გამოსახულება. ცისფერთვალება, წვერწამოზრდილი ვაჟკაცი იყო, ასე ოცდაათს გადაცილებული. რბილი, სასიამოვნო ხმით უცნაური რამ თქვა: „მეც ვიყავი შავ მთაზე. ყველა, ვინც იქ წავიდა, დაიღუპა... მე დავბრუნდი... თუ თქვენი სული გაორებულია, იქ ნუ წახვალთ!“ კაცს უზომო დაღლა ეტყობოდა. სიტყვების მომთავრება გაუჭირდა, სარეცლამდე ძლივს მივიდა, გაწვა და ჭერს მიაცქერდა.

— რას აკეთებს? — გაოცდა ცირუ.

— კვდება, მოურჩენელი სენი შეჰყრია.

მძიმე სანახავი იყო დამკრძალავი რობოტების მოსვლა და იეშუას კრემატორიუმში წასვენება.

ჯურხამ ეკრანი გამორთო.

— მის თვალებში სრული სიკეთე იდგა, — ცირუს უნებლიე ცრემლი მოადგა.

ჯურხა ყველაისძე კარგა ხანს დუმდა, მერე ხმადაბლა თქვა:

— ცირუ, მე უნდა წავიდე შავი მთისაკენ, შენ აქ დამელოდები.

— არ წახვიდე! — ქალის ხმაში ძრწოლა გაჟღერდა.

— კარგი, არ წავალ! — უმალვე დაეთანხმა ჯურხა ყველაის ძე, თუმცა სახეზე უკმაყო-ფილება გამოეხატა.

ქალი ჩაეხუტა, მოეფერა.

შემდგომ ამ ინციდენტზე ხმა არც ერთს არ ამოუღია. მხოლოდ მეორე დღეს გაიფიქრა ცირუმ: „არ წავიდა!“ თვითონვე ვერ გაერკვა, მოეწონა ეს გადაწყვეტილება თუ არა. „არ დამტოვა და იმიტომაც არ წავიდა!“ — გაამართლა, რათა ეჭვის საბაბი არ ჰქონოდა. სულში რაღაც უსიამოვნო ნალექი მაინც შერჩა.

ჯურხა ყველაისძე გრძნობდა ქალის ამ გაუცხოებას. მოუმატა ყურადღებას, ალერსს. ყოველნაირ სურვილს უსრულებდა, რასაც კი გაწვდებოდა სამყაროსაგან მთლიანად იზოლირებულ ამ პატარა საუფლოში. მაგრამ არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო ასე. შიშნარევი ცნობისმოყვარეობა ორივეს უწეწავდა სულს. „არ წავიდა!“ — ეს ფიქრი უკვე აღიზიანებდა ცირუს. „არ გამიშვა!“ — უკმაყოფილოდ გაიფიქრა ერთხელ

ჯურხა ყველაისძემ. საკუთარ თავს ბოლომდე ვერ გამოუტყდა, რომ შეეშინდა და ამ „არ გამიშვას“ შეაფარა თავი.

ერთ დღეს კი ჯურხამ ქალი დატოვა და ელექტროარქივში ჩაიკეტა. აქ ინახებოდა ყველა ჩანაწერი დღიდან კვლევითი ცენტრის დაარსებისა. რასაკვირველია, ყოველი დეტალი ვერ აღდგებოდა, მაგრამ იქნებ მცირე ფრაგმენტებსაც მოეცა გასაღები საიდუმლოს ამოსახსნელად. ორი-სამი დღე არც შიმშილი გახსენებია და არც სატრფო. ერთიმეორის მიყოლებით ამოწმებდა ჩანაწერებს. თავდაპირველად უცნაური ვერაფერი ნახა. კასეტების მთელი სერია ეხებოდა პირველ ავტომატურ მკვლევარებს. მეორე ჯგუფი კასეტებისა მშენებელი ესკადრების ჩამოსვლასა და ცენტრის აგებას ასახავდა. ჩანაწერები უხმო იყო, რადგან ყველაფერს კიბერმანქანები აკეთებდნენ. მერე ჩამოვიდა თავქარიანი და მამაცი ბიჭების პირველი ექსპედიცია. ცენტრის ირგვლივ გაწოლილი ტაფობისა და გარშემო შემოჯარული მთების კვლევას მიჰყვეს ხელი. ბოლო კვალი შავი მთისაკენ მიდიოდა. შემდგომ ექსპედიციებსაც რატომღაც ეს შავი მთა იზიდავდა. დოქტორ კინგიც იქ იყო თავისი ამხანაგებით და რაღაც განსაცდელს მხოლოდ იეშუა გადაურჩა.

მესამე თუ მეოთხე დღეს, ჯურხა ყველაისძეს დროის ანგარიში აერია, ასტროფიზიკის ბლოკში გადავიდა და მძლავრი ტელესკოპი შავი მთისაკენ მიმართა. ვიზუალურად განსაკუთრებული არაფერი ჩანდა. ბრტყელი ტაფობის ბოლოს წამომართულიყო. შავი კი არა, უფრო რუხი ქანისაგან შედგებოდა. ამაში თუ იყო მისი უჩვეულობა. თვით ტაფობიცა და მთებიც ხომ ძირითადად ყინულისა იყო, შავი მთა კი ალბათ ევროპის მანტიისაგან ამოიზიდა, გაარღვია ყინულის რვაკილომეტრიანი ჯავშანი და მარტოსულად გადაჰყურებდა სივრცეს. მწვერვალზე ყინულის ქუდი ჩამოეფხატა. მხრებზეც მყინვართა ენები ჩამოსწოლოდა... ჯურხა ყველაისძემ რენტგენოტელესკოპი ჩართო და შავი მთის სიღრმეში უხვად დატოტვილი კარსტი აღმოაჩინა. ვაჟისათვის ეს არ ყოფილა მოულოდნელი, მაგრამ აქამდე ამ ფაქტისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ახლა კი ინტუიციამ უკარნახა, საშიშროება იქ იმალებოდა. გაფაციცებით ჩასცქეროდა რენტგენოეკრანს, მთის გულში გამოხრულ

გადასასვლელებსა და ვრცელ დარბაზებს ათვალიერებდა. გამოქვაბულების საკმაოდ უფერული სისტემა იყო. ერთი დარბაზი გამოირჩეოდა მხოლოდ. ყინულის მდიდარი ფარდები უმშვენებდა კედლებს. ჭერზე ყინულის ფანტასტიკური ჭაღი ეკიდა... ეკრანზე დეტალების გარჩევა შეუძლებელი იყო, მაგრამ ამ დარბაზის შთამბეჭდავი გრანდიოზულობა უთუოდ მიიპყრობდა პირველი ექსპედიციების ყურადღებას. „უნდა წავიდე!“ — მტკიცედ გადაწყვიტა ჯურხა ყველაისძემ და ამ დროს გაისმა განგაშის ხმა. სირენა გაჰკიოდა, კვლევითი ცენტრის რადიოფარი გადაკვეთესო. „ცირუ!“ — უმალვე ეს გაიფიქრა ვაჟმა და შიშისაგან დაპატარავდა.

ეს იყო წამიერი, მტკივნეული შეგრძნება. მეორე წუთს კი ჯურხა ყველაისძე მართვის ბლოკისაკენ გარბოდა და შორიდან ყვიროდა: „ძებნა, ძებნა!..“ მისმა მშფოთვარე ხმამ არეულობა შეიტანა კიბერმანქანების ცივ გონებაში, მოკლე ჩართვებმა არია ელექტროსქემები და, კაცი რომ სხვა გუნებაზე ყოფილიყო, ალბათ გაეცინებოდა. იღებოდა და კვლავ იგმანებოდა კარები, ინთებოდა და ქრებოდა სინათლე, წამდაუწუმ იცვლებოდა ტემპერატურული რეჟიმი და ჰაერის შემადგენლობა; ესკალატორი შუა გზაზე გაეჩხირა, რადგან მე მიყვირიანო და ჩამრთველი რობოტი გაიბუტა. მართვის ბლოკის უფრო მაღალი კლასის აპარატი ასე იოლად ვერ დაიბნეოდა და, სანამ ჯურხა ყველაისძე მასთან მივარდებოდა, პირველი ცნობა უკვე მზად ჰქონდა — ცირუ დანელია კვლევით ცენტრში არ იმყოფებაო!

ჯურხა ყველაისძეს მუხლი მოეკვეთა, იატაკზე დაჯდა და ბავშვივით ატირდა.

ცირუ ცოცხლებში არ ეგულებოდა...

მხოლოდ მეორე დღეს დაბრუნდა ჯანმრთელი და საღ-სალამათი ქალი...

* * *

ცირუ დანელია რამდენიმე დღე მოთმინებით ელოდა ჯურხა ყველაისძეს. ვაჟი არქივში გამოკეტილიყო და ქალის არსებობა დავიწყებოდა. დრო ძალიან გაჭიანურდა, ქალს მარტოობა

სულს უმძიმებდა. ამიტომ რობოტი-პირისფარეში მიუგზავნა. სტანდარტული წარმოების რობოტი ერთობ მორიდებული აღმოჩნდა. კარს ფხაჭუნი აუტეხა და კაცის ყურადღება ამით რომ ვერ მიიპყრო, უკან დაბრუნდა. მაშინ კი გაუწყდა მოთმინების ძაფი ცირუ დანელიას. „არ წავიდა, არ წავიდა!..“ — თითქოს გემოს უსინჯავდა და უცებ გადაწყვიტა, თვითონ წასულიყო.

დიდხანს არ დაფიქრებულა, ფიქრი შიშს თუ გაუცხოველებდა. სატრანსპორტო ბლოკში ჩაეშვა და იქიდან ყველგანმავალი გამოიყვანა. კიბერმძღოლი და საჰაერო ბალიშების სისტემა გაუსინჯა. კიბერმძღოლს მომავალი მარშრუტი ჩაუწერა და ყველგანმავალმა შავი მთისაკენ გააქანა. იცოდა, რადიოფარს რომ გადაჭრიდა, განგაში ატყდებოდა და ჯურხა ყველაისძე თავისი ცხრაკლიტულიდან გამოვარდებოდა. ისიც იცოდა, ნერვები დააწყდებოდა ვაჟს, მაგრამ მცირე სასჯელის ღირსი კი არისო, იფიქრა.

აეროდინამიკური ფორმის ყველგანმავალს ქარისა არ ეშინოდა, მაგრამ კვლევითი ცენტრიდან გამოსვლისთანავე ისეთი ძლიერი გრიგალი დაეტაკა, მთელი კორპუსით ააზანზარა. გრიგალმა ყინულის ნამსხვრევების კორიანტელი დააყენა, ხოშკაკალასავით აცვიოდა გამჭვირვალე სათვალთვალო ხუფს. ტაფობის კიდეები ბურუსს მოეცვა. ცაზე შავი ღრუბლები ჩამოწოლილიყო. ღრუბელთა ნახლეჩებში გამოკრთებოდა იუპიტერის ფერადოვანი ზედაპირი, გიგანტი ცთომილის ანარეკლი მრუმე, გაცრეცილ დღედ აქცევდა ევროპის ღამეს.

მთელი ტაფობი დასერილი იყო ნაპრალებით. ბნელი უფსკრული წამდაუწუმ იხსნებოდა ყველგანმავლის ქვეშ. კიბერმძღოლი დროზე ამჩნევდა საშიშროებას და მანქანის მძიმე კორპუსი მსუბუქად გადაევლებოდა უფსკრულს.

ცირუ დანელიამ ეკრანი ჩართო, კვლევითი ცენტრის შიდა ხედები გამოჩნდა. უმალვე მიხვდა, ჯუხა ყველაისძეს მაძებარი ჩაერთო და მთელი ელექტრული სისტემა ახლა ქალის კვალს ეძებდა. თვით ჯურხა ყველაისძე კი იატაკზე იჯდა და ბავშვივით ტიროდა. „ტირის?“ — გაოცდა ცირუ. წამით დაიბნა, თითქოს გაორდა მისი სული. ვაჟკაცი ქალს „გლოვობდა და იმიტომ ტიროდა...“ „ვაჟკაცი ტიროდა!“ ირღვეოდა რაღაც ჰარმონია,

რაღაცა აკლდებოდა ერთიან, მთლიან, განუყოფელ ხატს. ფიქრში ჩაღრმავების დრო არ იყო. ცირუმაც რადიოფარი ჩართო და მაძებრისათვის უჩინარი შეიქმნა. არც მერე ჰქონდა ფიქრის დრო. მაინც ვერ მოიშორა მოტირალი კაცის ხატება, სულში ტკივილად ჩარჩა.

თვალსაწიერზე შავი მთა ამოტივტივდა. სწრაფად ახლოვდებოდა, თანდათან მაღლდებოდა, მიუკარებელი და ქურუში ხდებოდა. ყინულის ჩაფხუტიან გიგანტურ თავს უფრო ჰგავდა და ცირუ დანელიას ვერ მოეშორებინა უცნაური შეგრძნება, თითქოს შავი მთა უთვალთვალებდა, ოღონდ რაღაც შინაგანი, წიაღისეული ხედვით, რაღაც უჩვეულოთი და უჩინარით, რაიც ფსიქოლოგიის არც ერთ გამოკვლევაში არ წერია.

მთის ძირს რომ მიაღწია, თავზევით წამოიმართა კლდოვანი, მრისხანე კედელი, მიუკარებელი რუხი ქარაფები, უწყვეტ ქარიშხლებს რომ გამოეხრათ და ახლაც წამახული დანის პირებზე ხმაშეწყობით გუგუნებდა დაუოკებელი გრიგალი.

შიში დაითრგუნა ცირუ დანელიამ. ეძიეო, უბრძანა კიბერმძღოლს და მაშინვე იპოვა ლევიათანის ხახა, მაღალი და ლამაზად მომრგვალებული თაღი, რომლის ქვეშაც გვირაბი იწყებოდა.

ხელოვნური არ უნდა ყოფილიყო. ანდა ვინ გაიყვანდა? არც ერთ ექსპედიციას გეგმაში არ ჰქონია, ევროპის მთები ეჩიჩქნა. თაღი მაინც გასაოცრად პროპორციული და მომრგვალებული იყო, თვით გვირაბი კი სწორხაზოვანი და თანაბარზომიერი.

ალბათ აქ უნდა ეძებნა საიდუმლოების წყარო, აქ იყო საშიშროება ჩასაფრებული.

კიბერმძღოლს უბრძანა, დამელოდეო. მსუბუქი, ელასტიური სკაფანდრი ჩაიცვა. იზოლაცია და თერმორეგულატორი შეამოწმა. ზუსტად მუშაობდა. კიბერმძღოლმა ლაზერის პისტოლეტი გაუწოდა. ცირუ მხოლოდ წამიერ შეყოყმანდა, თავი გააქნია.

მანქანიდან რომ გადმოვიდა, გრიგალმა კინაღამ გაიტაცა. კიბერმძღოლმა ყველგანმავლის კორპუსი ისე შეაბრუნა, გვირაბის შესასვლელს ააფარა. ამით ქარის მოწოლა შეანელა.

ცირუ დანელიამ აუჩქარებლად გაიარა კარიბჭე. ქარი აქ უცბად დაცხრა. მხოლოდ ჩუმი ნიავი დაფაჩუნობდა ვიწრო ტალანებში. ქალმა გზისმკვლევი ჩართო, რათა გვირაბიდან გამოსვლა არ გასჭირვებოდა.

საიდანღაც თანაბარი, მქრქალი შუქი ეფინებოდა. ცირუ დანელიას რაღაც უჩვეულო, ტკბილი განცდა დაეუფლა. თითქოს ზმანებაში გადადიოდა. თანდათან გაქრა საშიშროების შეგრძნება, გაუშინაურდა ამ თბილ და წყნარ ტალანს, არსაიდან ემუქრებოდა საფრთხე.

ასე იარა კარგა ხანს. სიტკბოების უჩვეულო გრძნობა უძლიერდებოდა, ბანგი ერეოდა. სული ეწმინდებოდა თითქოს. გადაავიწყდა ყოველივე, სულს მოშორდა ყოველი ხინჯი, რაც ბოლო თვეებში აწუხებდა. ჯურხა ყველაისძეს უკვე არ უძებნიდა ნაკლს. აქედან იგი ამაღლებულ, იდეალურ ადამიანად ეჩვენებოდა, როგორც ეს იყო შეხვედრის პირველ დღეებში. ახლა ჯურხა ყველაისძის ყოველი ქმედება წმინდა და კეთილშობილი ზეადამიანის თვისებათა გამოვლენად ჩანდა. „იგი ტიროდა“, — სასოებით გაიფიქრა ცირუმ. თვალზე ცრემლი მოადგა. თავის თავს ადანაშაულებდა, თვითონ არ იყო ჯურხა ყველაისძის ღირსი. კაცის ცრემლები იხილა, მის გულს კი მაშინ თანაგრძნობა არ გაჰკარებია. უნდა დავბრუნებულიყავი, მუხლებში ჩავვარდნოდი, პატიება მეთხოვაო, ფიქრობდა ცირუ დანელია. მაგრამ ზენეტარებით შეპყრობილს ეს ფოფინა ფიქრები სადღაც ჰაერში ეფანტებოდა.

მერე გვირაბმა პატარა დარბაზში გაიყვანა. იმის იქით მეორე დარბაზი იყო, მეორის იქით მესამე. სხვადასხვა ფორმის სტალაგმიტებითა და სტალაქტიტებით შემკულმა დარბაზებმა მისი სული დაატყვევა.

უცბად აგუგუნდა დისჰარმონიული მუსიკა. ეს ქარი გუგუნებდა კლდის გულში გამოკვეთილი უზარმაზარი დარბაზის გუმბათქვეშ. თვალის გაწვდენა ჭირდა ყოველმხრივ. ჭერზე ყინულის მძიმე ჭაღები ეკიდა, კედლებზე ფარდებად ეფინა ყინულის ჩამონაღვენთი, ათასფრად ბრჭყვიალებდა, ლიცლიცი გაჰქონდა.

დარბაზის ცენტრში კი შავი, ოთხკუთხა ქვა იდო და ნაზ სითბოს ჰფენდა.

თავბრუ ეხვეოდა ცირუს, შთაბეჭდილებათა სიჭარბემ გადაჰღალა, მოთენთილს ძილი ეძალებოდა. „რადიოაქტიური ხომ

არაა?“ — ეჭვიანი კითხვა აეკვიატა. სკაფანდრის მკერდზე მიმაგრებული მინიატურული აღმრიცხველი დუმდა, განგაში არ აუტეხია.

ცირუ დანელია მიუახლოვდა შავ ქვას. ორიოდე მეტრიღა დარჩენოდა, როცა პირდაპირ ფეხქვეშ წარწერა ნახა: „ხელი არ ახლო, ორად იქცევი! იეშუა“.

შეკრთა, აზრის მოკრებას შეეცადა. ვეღარ ჩასწვდა წარწერის შინაარსს. გონება დაეფანტა, დაებინდა.

შავ ქვას დაადო ხელისგული.

უჩვეულო, ტკბილ სითბოს გადმოსცემდა.

ცირუ დანელია იქვე დაეშვა, გამოითიშა, ჩაეძინა.

ძილში ჯურხა ყველაისძეს ეფერებოდა, პატიებას სთხოვდა...

მოულოდნელად გამოეღვიძა. გონება საღი და ნათელი ჰქონდა. გაახსენდა, სადაც იმყოფებოდა, რაც გადახდა. ცოცხალი ხომ ვარო, თავი შეიმოწმა.

არაფერი შეცვლილიყო.

ერთხელ კიდევ მიმოათვალიერა მშვენიერი დარბაზი, ფიქრში გამოემშვიდობა უჩვეულო ქვას და გზისმკვლევს უბრძანა, აქედან გამიყვანეო...

* * *

ჯურხა ყველაისძის მკლავზე მიედო თავი და ისე ყვებოდა. თანდათან თვალი მიელულა. ძლივს წარმოთქვამდა ცალკეულ სიტყვებს. განსაცდელმა მოქანცა და ახლა მამაკაცის ძლიერ მკერდში ჩახუტებულს ძილი დაეუფლა.

ვაჟი გაუნძრევლად იწვა. ფრთხილად დარაჯობდა ქალის ძილს.

თავდაპირველად, ცირუ ცოცხალი რომ იხილა, სიხარულისაგან ცას ეწია, არ იცოდა, როგორ მოფერებოდა. ახლა კი ჩუმად იწვა, უსმენდა ქალის მშვიდ სუნთქვას და უკმაყოფილება ეუფლებოდა. იქნებ მთლად შური არ ეთქმოდა ამ გრძნობას, მაგრამ მამაკაცური თავმოყვარეობა შეელახა, თავი დამცირებულად იგრძნო. რასაკვირველია, წამითაც არ უფიქრია, მეტოქეობა გაეწია ქალისათვის, მაგრამ მაინც ისეთ გეგმას ადგენდა, ცირუ დანელიას ფათერაკს რომ დაჩრდილავდა.

„იმ ქვას წამოვიღებ!“ — მტკიცედ გადაწყვიტა ჯურხა ყველაისძემ.

ადვილი როდი იყო ეს საქმე. ყველგანმავალი გვირაბში ვერ შეეტეოდა და ქვის გამოსატანად იქნებ მთლად შავი მთის განადგურება გახდებოდა საჭირო. მერე ლაბორატორიაში მოხერხდებოდა ქვის შინაგანი სტრუქტურის გაშიფრვა, მისი არსის შეცნობა. ასეთი აღმოჩენა ახალ გვირგვინს მოუხვეჭდა კოსმოსის გმირს, შეარიგებდა დიდ საბჭოსთან... ყოველივე ამას რიგიანი აწონ-დაწონა სჭირდებოდა და ჯურხა ყველაისძემ ფრთხილად გაითავისუფლა მკლავი.

ქალმა რაღაც წაიჩურჩულა ალერსით, კვლავ ძილს მინებდა, ალბათ სიზმარში თუ ეფერებოდა თავის რჩეულს.

ჯურხა ყველაისძემ მოღიავებულ მკერდზე აკოცა ფრთხილად.

მერე ქალი კვლავ დაავიწყდა და ფიქრებს ჩაუღრმავდა. ლაბორატორიაში ქვის გადმოტანის ვარიანტებს არჩევდა. ვერც ერთზე ვერ შეჩერდა.

მაშინ წამოდგა და სამგზავროდ გაემზადა. წასვლის წინ მართვის ბლოკში შეიარა და კვლევითი ცენტრის რადიოფარი გამოთიშა, რათა განგაში არ ატეხილიყო.

ყველგანმავალი ჩუმად ათუხთუხდა. კიბერმძღოლმა კარი სწრაფად გაუღო, რადგან მის მანქანურ მეხსიერებაში ქალ-ვაჟის ჩამოსვლის პირველი დღიდანვე ჩაწერილი იყო ცირუ დანელიასა და ჯურხა ყველაისძის ფსიქოპორტრეტები. კიბერმძღოლს ყველგანმავალი უყოყმანოდ მიჰყავდა უკვე ნაჩვევ გზაზე. ამინდი კიდევ უფრო გაუარესდა. ქარი ტაფობზე ყინულის მოზრდილ ნატეხებს დააგორებდა, მაგრამ ჯურხა ყველაისძე ფიქრებში ღრმად იყო ჩაფლული და ვერც გრიგალს ამჩნევდა, ვერც ცაზე ჩამოწოლილ ღრუბლებს, ვერც იუპიტერის მქრქალ ნათებას, ღრუბლებში რომ ატანდა. გონს მხოლოდ მაშინ მოეგო, როცა ყველგანმავალი შავი მთის ძირას გვირაბის შესასვლელთან მისრიალდა მსუბუქად. ყურადღებით შეათვალიერა თავზევით გადმოწოლილი კბოდეები. უნდა გაეგო შავი მთის გეოლოგიური სტრუქტურა, რაც ატომური მუხტის სიმძ-

ლავრის დასაანგარიშებლად დასჭირდებოდა, თუ მის განადგურებას გადაწყვეტდა. ამას რომ ფიქრობდა, ოდნავი ყოყმანიც არ დაუფლებია. მხოლოდ ერთხელ გაჰკრა წამიერმა შიშმა, როცა ეზმანა, შავი მთა ჩემს ნაფიქრალს კითხულობსო. ამაზე თვითონვე გაეღიმა. კოსმოსის ათვისების ისტორიამ არ იცოდა მოაზროვნე მთის არსებობა. ასეთი რამ ბუნების ყველა კანონს ეწინააღმდეგებოდა და ჯურხა ყველაისძეს სამუშაო ჰიპოთეზადაც არ გამოადგებოდა.

საფრთხის თავიდან ასაცილებლად ხელზე ლაზერის პისტოლეტი დაიმაგრა. კიბერმძღოლს უბრძანა, აქ დამელოდეო და გვირაბში გულდაჯერებით შევიდა. შიში არ უგრძვნია, მაგრამ სიფრთხილეს მაინც არ კარგავდა. გვირაბის ყოველ განშტოებას, ყოველ ტალანს, ღრმულს აკვირდებოდა. საეჭვო ადგილებს უმალ ლაზერის პისტოლეტს მიუშვერდა. პირველ დარბაზს რომ მიაღწია, სწორედ მაშინ დაეუფლა უჩვეულო შეგრძნება. თითქოს ბანგი ერეოდა, თითქოს თვრებოდა რაღაც ტკბილით და საოცარით, თითქოს ნეტარებაში ეფლობოდა, თითქოს გული გადაეწმინდა, უარყო ყოველივე ბოროტი... უმალვე მიუხვდა საფრთხეს ჯურხა ყველაისძე, ხელზე იკბინა, რათა გამოფხიზლებულიყო. ლაზერის სხივი ესროლა სტალაგმიტს, ცოცხალ არსებად რომ მოეჩვენა. მიხვდა შეცდომას, ნებისყოფას მოუხმო. ქვა მებრძვისო, გაიფიქრა და იქვე გადაწყვიტა, არ დამორჩილებოდა უჩინარ მტერს. სკაფანდრში ჩამონტაჟებული რადიოფარი ჩართო, მერე ანტირადიაციული სისტემაც... რიგრიგობით რთავდა სხვადასხვა საშიში გამოსხივების საწინააღმდეგო სისტემებს, მაგრამ ვერც ერთი ვერ შველოდა, გარდა ნებისყოფის ძალისხმევისა. ასე, საკუთარ თავთან ჭიდილსა და ბრძოლაში, ჯიუტად მიიწევდა წინ.

ბოლო დარბაზს რომ მიაღწია, შეეცადა დაეთრგუნა აღტაცების გრძნობა. თვალი აარიდა ყინულის დამაბრმავებლად აბრჭყვიალებულ ჭაღსა და ნაღვენთების ფარდას. მზერა შავ ქვას მიაცივა, მთელი გულისყური მას დაუთმო. გარეგნულად უჩვეულო ვერაფერი შეამჩნია. კარგა დიდი ლოდი ეგდო დარბაზის შუაში. რა ძალა უნდა ჰქონოდა ამ ლოდს, რა საშიშროებას მალავდა თავის წიაღში, ამის ბოლომდე გარკვევა ახლა შეუძლებელი იყო. ერთი რამ მაინც აშკარად იგრძნო ჯურხა ყველაისძემ. შავი ლოდი უძლეველი ძალით იზიდავდა ადამიანს, თრგუნავდა მის ნებისყოფას, რაღაც თბილ ბურანში ხვევდა, ზმანებათა სამყაროში გადაჰყავდა. თავის თავის იმედი ჰქონდა, თავისი სიმტკიცისა და ნებისყოფისა. ბოლო წამს კინაღამ ლაზერის პისტოლეტი ესროლა, მაგრამ უკვე მთლად მოთავებული იყო და საიმისოდ არ ეყო ღონე. ცდილობდა გარიდებოდა, ეჩვენებოდა, თავქუდმოგლეჯით გავრბივარო, ამ დროს კი ბარბაცით უახლოვდებოდა, მუხლები ეკვეთებოდა, თავბრუ ეხვეოდა. ორიოდე ნაბიჯზე თვალი ჰკიდა იეშუას წარწერას, მაგრამ ველარ ამოიკითხა. ქვას ხელებით შემოეჭდო, შუბლი მიაბჯინა. უმალ მოცელილი დაეცა და უკუნეთში ჩაეშვა...

გამოეღვიძა, მაგრამ გონს კარგა ხანს ვერ მოეგო. თავი კვლავ სიზმარში ეგონა, საფეთქლებს ხელით ისრესდა.

მის წინ ჯურხა ყველაისძე იდგა და ისიც ასევე გაოცებული, ცივად შემოსცქეროდა.

„სკაფანდრიც კი ჩემნაირი აცვია, — გაიფიქრა პირველმა, — კიდევ კარგი, პისტოლეტი ხელზე დავიმაგრე, ახლა მე შემრჩა“.

იარაღის ამოქმედება არც უცდია. სულში სიწყნარე და მიმტევებლობა დაბუდებულიყო.

— მეზიზღები, — წაისისინა მეორემ, — შენი ბრალია ყველაფერი!.. მე წინააღმდეგობას ვუწევდი ამ ლოდს, ვებრძოდი. შენ კი, მოღალატევ, დიაცივით მინებდი!

პირველმა ვერაფერი უპასუხა.

— რას ელოდები, ესროლე ეგ პისტოლეტი! თუ ვერ ბედავ, აქეთ მომეცი და მტვრად ვაქცევ!

პირველმა იარაღი დამალა. მეორე წამოიწია, ალბათ ძალით უპირებდა წართმევას, მაგრამ თავი შეიკავა. ღონეც განახევრებოდა და შებრძოლება ვერ გაბედა.

— ლაჩარი ხარ, — ჩაიბუზღუნა, — იცოდე, მძულხარ! დღეიდან ყველაისძე მე ვარ, შენთვის ჯურხად ყოფნაც საკმარისია!

პირველმა არც ახლა უპასუხა რა. შავ ქვას ხელისგული დაადო. ქვა უცნაურ, ჟრუანტელისმომგვრელ სითბოს აფრქვევდა, კვლავ ნეტარების ბურანში ხვევდა. ეს ჰგავდა იმ უწყინარ სიტკბოებას, რასაც სატრფოს სიახლოვე გვრის უცოდველ ყრმას.

ჯურხა თითქოს გამოემშვიდობა შეუცნობელ არსს, რაიც შავ ქვაში ჩაბუდებულიყო და განერიდა, ერთხელაც არ მოუხედავს.

ყველაისძე ბუზღუნით მოსდევდა.

გასასვლელთან ქარმა ყინულის ნამსხვრევები სახეზე მოაყარა, სკაფანდრებს ტკაცატკუცი აუტეხა.

ყველგანმავალი ნელა ქანაობდა საჰაერო ბალიშებზე. კიბერმძღოლი ყოყმანობდა, ჩვეული სიმარდე არ გამოუჩენია, ისევ და ისევ ამოწმებდა მგზავრთა ფსიქოპორტრეტებს და კარს არ უღებდა.

— ვერ გვიცნო ამ ჯართმა! — კვლავ დაიბოღმა ყველაისძე. — დაემუქრე მაინც, ან მომე ეგ პისტოლეტი!

ჯურხამ აირიდა ყველაისძის ხელი. იცოდა, ლაზერის პისტოლეტით ყველგანმავალს ვერაფერს დააკლებდა. კიბერმძღოლი კი უმალვე უპასუხებდა გამანადგურებელი სხივით.

— შეაჯამე ჩვენი ფსიქოპორტრეტები! — სთხოვა, თუმცა იცოდა, თხოვნა უშედეგი იყო, რადგან კიბერმძღოლის მეხსიერებაში მსგავსი ოპერაცია მანამდე არავის ჩაეწერა. — მაშ, წადი! — ნება დართო გულდაწყვეტილმა და ყველგანმავალი სწრაფად გაშორდა.

ტაფობი ბნელს მოეცვა. შორს ოდნავ ბჟუტავდა კვლევითი ცენტრის ნათურები.

გზისმკვლევი ჩართო. უშეცდომოდ მუშაობდა, მაგრამ ყოველი ნაბიჯი მძიმე დაძაბვის ხარჯზე ეძლეოდათ და მალე დაიღალნენ.

ასე გაიარეს სამი კილომეტრი.

გრიგალი უფრო გაძლიერდა. ისე ჩამოიბურა, ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა.

სწორედ ამ დროს წაადგნენ ღრმა უფსკრულს. გზისმკვლევმა დროზე შენიშნა საფრთხე. ეს ის ხრამი იყო, ტაფობს რომ კვეთდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და დღის სინათლეზეც ბნელ ზოლად აჩნდა ზედაპირს. ღამის სათვალეც ვერ წვდებოდა მის ფსკერს.

ყველაისძე კბოდეზე ჩამოჯდა, აჭიჭყინდა.

— არსადაც არ წავალ, აქვე მოვკვდები!

ჯურხა გვერდით მიუჯდა, სულის მოთქმა მასაც სჭირდებოდა.

— შენ რა გიშავს, მთელი ღონე შენ დაგითმეს! — ჩივილი მორთო ყველაისძემ.

— ღონეც თანაბრად გაიყო, — რბილად შეეპასუხა ჯურხა, — წავიდეთ!

— ფეხს ვერ ვადგამ, როგორ უნდა წამოვიდე! — თავისას არ იშლიდა ყველაისძე.

— დაგეხმარები!

ყველაისძემ ყელზე ხელი შემოაჭდო, ზურგზე ჩამოეკიდა. ჯურხას ემძიმა, სუნთქვა უგუბდებოდა. ბაგე მოკუმა, მეც ჩივილი არ დამცდესო. ხრამის ფერდზე იწყო დაშვება. გზისმკვლევი სწრაფად უძებნიდა ფეხის მოსაკიდებელ ადგილს, ცდილობდა საუკეთესო ვარიანტები შეერჩია, მაგრამ ეს უკეთესიც ისეთი იყო, ყოველ წამს შეიძლებოდა ხრამში გადაჩეხვა... დიდხანს ეშვებოდნენ. გრიგალი თანდათან ცხრებოდა. ბოლოს, ფსკერს რომ ჩააღწიეს, აქ ნელი ქარიღა ქროდა, შორეული გუგუნი კი სადღაც თავზევით გაისმოდა.

არაქათგამოლეულმა ჯურხამ ყველაისძე ჩამოსვა.

ღრმად ამოიხვნეშა და იქვე შავ ლოდზე დაეშვა. უცბად ლოდი შეინძრა. ყოველი მხრიდან საცეცები გამოაჩინა და ჯურხას შემოაჭდო. ყველაისძემ შეჰკივლა, ფერდობს მიასკდა. ჯურხასაც თავზარი დაეცა, გაიწია. ვერ მოიშორა მარწუხივით შემოჭდობილი საცეცები. გრძნობდა, ხრამის განატოტებიდან შავი, დაბანჯგვული ურჩხულები მოიწევდნენ. გაალმასებული კბილები უკვე მისწვდა სკაფანდრს, მტკიცე ქსოვილი შემოახია. ჯურხამ საშინელი ტკივილი იგრძნო, მაგრამ მოახერხა და ლაზერის პისტოლეტი ესროლა. საცეცები შემოეხსნა, კაცი გათავისუფლდა და იმ მხარეს გაიქცა, საითაც ყველაისძე მიიმალა, თან ანგარიშმიუცემლად ისროდა ბნელი ხრამის სიღრმისაკენ. ესმოდა ფუთფუთი, ხრჭიალი, ხრაშა-ხრუში, თითქოს მთელი ზვავი დაძრულიყო მის კვალზე და ძალ-ღონის დაუზოგავად მიფოფხავდა ხრამის დამრეც ფერდზე.

გულამოვარდნილმა მიაღწია კიდეს. ერთი მეტრიღა რჩებოდა გადასარჩენად და ყველაისძეს შეეჩეხა. იგი ზედ კიდეზე იჯდა და ფეხები გადმოეშვირა.

— ხელი გამომიწოდე! — შესთხოვა ჯურხამ.

ყველაისძემ უჟმურად ჩაიხითხითა. პირდაპირ სახეში ჩასცხო წიხლი და უკან, ხრამში გადააგდო.

ჯურხა ფსკერამდე დაგორდა, ყინულის ლოდს მუზარადი დაჰკრა, გონი დაკარგა.

არ ახსოვდა, რამდენ ხანს ეგდო. გონს რომ მოეგო, თავი საშინლად სტკიოდა. ირგვლივ სიწყნარე სუფევდა, სადღაც ზევით კი გრიგალი გუგუნებდა. შორიახლო ბნელში მოფუთფუთე სხეულები ერთი ერთმანეთზე მობობღავდნენ. იქნებ მისკენ მოიწევდნენ, იქნებ ვერც ამჩნევდნენ. ამის შემოწმების დრო სად იყო. ფრთხილად წამოიწია. ასე, ოთხზე წაკუზული გაცოცდა ხრამის ფერდისაკენ. გზისმკვლევი ვეღარ ჩაერთო, მაგრამ ჯურხა ალღოთი მიიკვლევდა გზას. ნელინელ მიიწევდა, ცდილობდა შეუმჩნეველი ყოფილიყო. ხრამის კიდეზე არავინ დახვდა. გრიგალიც ოდნავ შენელებულიყო.

ვრცელ ტაფობზე კვლევითი ცენტრი ჩახჩახებდა. ჯურხა ძუნძულით გაიქცა. იმასღა ფიქრობდა, ვაითუ ყველაისძემ რადიოფარი ჩართო და ჩემი მოსპობაც უბრძანაო.

საშიში ზონა უყოყმანოდ გაიარა. არაფერი მომხდარა. ყველაისძეს რადიოფარი არ გახსენებია.

ნახევარი კილომეტრიც არ იქნებოდა დარჩენილი, ჯურხა უცებ შედგა, თავზე ხელები წაივლო და შეჰყვირა:

— არ ქნა, არ ქნა!

ასტროფიზიკური ბლოკის გუმბათზე რაკეტების წყება ეყენა.

— არ ქნა, არ ქნა! — კვლავ შეჰბღავლა ჯურხამ. მისი კივილი მთელს კვლევით ცენტრში ქუხდა, პასუხად კი შლემაფონში უხიაგი ხითხითი მოისმა.

იმავე წამს გუმბათზე კვამლი და ცეცხლი ავარდა, რაკეტები გრიალით მოსწყდნენ კვლევით ცენტრს, თავზევით გადაუქროლეს.

ჯურხა ნაპრალში ჩაგორდა, ფსკერს გაეკრა, ანტირადიაციული სისტემა ჩართო.

კოლოსალური აფეთქების ხმამ შეაზანზარა ევროპის მთელი ზედაპირი, თითქოს ნაკუწ-ნაკუწ დაიშალა ტაფობიცა და გარეშემო შემოჯარული მთებიც.

შავ მთაზე წამოიმართა ცეცხლისა და გამდნარი მატერიის

გიგანტური სვეტი, ავიდა მაღლა და მაღლა, ატმოსფეროს ზედა ფენებში გაიშალა, უზარმაზარ სოკოს დაემსგავსა.

კარგა ხანს ისმოდა უწყვეტი გუგუნი, ფერფლი ცვიოდა ციდან.

ნიაღვარი მოსკდა საიდანღაც, გრიალით აავსო ხრამი, გადმოიტბორა.

ჯურხამ თავი ასწია, უკან მიიხედა. ღრუბლები ცეცხლით გიზგიზებდა და მეწამული ფერი ედო გარემოს. იქ, სადაც აქამდე შავი მთა იდგა, გამდნარი ლავა თუხთუხებდა.

მთელი სხეული ასტკივდა. თავბრუ დაეხვია. ხოხვით განაგრძო გზა. ყინულის ზედაპირი გალხვა, ატალახდა და ძლივს მიიწევდა წინ.

კვლევითი ცენტრი ციდან ჩამოფენილ ფერფლს შავად დაეფარა. რობოტების მთელი ჯარი სახურავსა და ფასადებს ანტირადიაციული სითხით რეცხავდა.

კარს რომ უღებდა, რობოტმა-შვეიცარმა წაიბუზღუნა: „მაღალი რადიაციაა!“

სადეზინფექციო ბლოკში სკაფანდრი და ტანისამოსი უმალვე გაანადგურეს. თვითონაც დიდხანს ბანაობდა ანტირადიაციულ ხსნარში. ქათქათა საცვლები რომ ჩაიცვა, გულზე ოდნავ მოეშვა.

მთელი ამ ხნის მანძილზე ლაზერის პისტოლეტი ხელიდან არ გაუშვია. რადიოფარი ჩართო და ესკალატორზე ისე ავიდა.

ვესტიბიულში ყველაისძე იდგა. ხელში იმასაც პისტოლეტი ეჭირა. ლაზერის სხივი რადიოფარზე ასხლტა. ჯურხამ გასროლაზე არ უპასუხა.

ყველაისძემ ჩაიხითხითა:

— ხომ შეგეშინდა?

ჯურხა შედგა, თვალებში ჩახედა.

ყველაისძემ მზერა აარიდა.

— მე მოვსპე საშიშროება! იქნებ არ მოგეწონა? მტერთან ლოლიაობა გერჩივნა? დიდი საბჭო მადლობელიც იქნება. დეპეშა გავუგზავნე, ევროპისაკენ გზა ხსნილია-მეთქი...

— ცირუ სად არის?

— გველოდება! — სახე შეეცვალა ყველაისძეს. — ტყუილად მეცილები, შენისთანა წმინდანს ქალი რად უნდა?

ჯურხამ ხმა არ გასცა. მართვის ბლოკისაკენ გასწია, ყვე-

ლაისძე აედევნა.

რობოტმა-შვეიცარმა ყოყმანი დაიწყო, მაგრამ შემართული პისტოლეტი რომ დაინახა, კარი სწრაფად გააღო.

მართვის ბლოკის დიდ ჰოლოგრაფიულ ეკრანთან ცირუ დანელია იჯდა.

კაცებისაკენ არ მოუხედავს.

ჯურხა და ყველაისძე უხმოდ იდგნენ.

ეკრანზე თამაშდებოდა განვლილი დღის ფათერაკები. აი, ჯურხა ყველაისძე ტოვებს მძინარე ცირუს. ყველგანმავალი მიქრის შავი მთისაკენ. გვირაბის დახლართული ლაბირი- ნთები, ყინულის ჭაღებითა და ნაღვენთებით მორთული ვრცელი დარბაზი. შავი ქვა. მძინარე ჯურხა ყველაისძე. გაორების მტკივნეული პროცესი, როცა ერთი არსება გადაიქცა ორ ანალოგად... ჯურხასა და ყველაისძის ქიშპობა... შავი მთის დაღუპვა...

ცირუ დანელიამ სახე მოაბრუნა. მსგავსება გასაოცარი იყო, მაგრამ ვერ ცნობდა ვერც ერთს. ერთი იყო ჯურხა, მეორე ყველაისძე, მაგრამ არც ერთი არ იყო ჯურხა ყველაისძე.

— შენ ყველაფერი იცი, ცირუ! — თქვა წყნარად ჯურხამ, რადიოფარი გათიშა და ლაზერის პისტოლეტი გაუწოდა.

ყველაისძეს ფერი ეცვალა. ლაზერის პისტოლეტი ასწია, ჯურხას დაუმიზნა, მაგრამ ხელი აუკანკალდა, ძირს დაუშვა.

ცირუ დანელიამ უსიტყვოდ გამოართვა ლაზერის პისტოლეტი, არც უყოყმანია, ისე წამომართა.

კარს მიღმა ფხაკუნი და ჩუმი სტვენა გაისმა.

დამკრძალავმა რობოტებმა კრემატორიუმი გაახურეს და საკაცეები გაამზადეს...

კრებულები: „პირველი ზეკარი“, გამომცემლობა „ნაკადული“, 1983 და „მღვიმეში ვიღაც დააბიჯებს“, გამომცემლობა „ნაკადული“, 1984.

მოკვდე

კარის მეზობელი იყო იოსებ ბჟალავა, მაგრამ ისე გავიზარდე, სულ რამდენიმეჯერ შევეყარე პირისპირ. სახელით არავინ იხსენიებდა, მეზობლებიც „თავმჯდომარეს“ ეძახდნენ. მეც ასე ჩამრჩა მეხსიერებაში, თუმცა თავდაპირველად არც ვიცოდი ამ სიტყვის მნიშვნელობა. მოგვიანებით კი ტვინი მაინცდამაინც არ შემიწუხებია იმის გარკვევით, თუ რას „თავმჯდომარეობდა“. ცოლი ერთი აშარი და როყიოდ მოუბარი ჰყავდა, ცხვირზე ზეთი ჩამოსდიოდა; ბავშვები ქვეყნის ამკლებნი... დრო იყო მშიერი, ესენი კი გატიკნულნი დადიოდნენ, თუმცა იქნებ თვითონ დღენიადაგ დამშეულს მეჩვენებოდა ასე... მამა არ მყავდა, დედაჩემს კი რატომღაც ეს ოჯახი გულზე არ ეხატებოდა. ალბათ თავმჯდომარის ცოლთან არის უმძრახად-მეთქი, ვფიქრობდი. ხომ ასეთი ოხერი იყო თავმჯდომარის ცოლი, როგორც კი ქუჩის ბოლოს მწვანე „ვილისი“ გამოჩნდებოდა, თითივით მოიკაკვებოდა, ისიც და მისი ბავშვებიც საოცრად წყნარნი, უტყვნი, მომთმენნი ხდებოდნენ. თუ არადა, თავმჯდომარის აწეული ხმა მე არ გამეგონა, არც მისი შვილები უნახავს ვინმეს მამისაგან ატირებულნი, მაგრამ „ვილისის“ გამოჩენაც კმაროდა, რიდი და კრძალვა სადგურდებოდა უმალვე. მანქანა მაშინ იშვიათი იყო, გასუსული ბავშვები თვალს ვერ ვაშორებდით. უფრო ხშირად ვერც ვამჩნევდი, თავმჯდომარე როგორ ჩამოდიოდა მანქანიდან, როგორ შედიოდა შინ. საერთოდ რა უნდოდა აქ? ჩემს ბაბვშვურ გონებაში ვერ ლაგდებოდა აზრი, რომ თავმჯდომარეც სადილობდა, იბანდა, იძინებდა... ის ხომ ჩვეულებრივი ადამიანი არ იყო. მას თითქოს უჩინმაჩინის ქუდი ეხურა, ამ მწვანე „ვილისში“ უჩინარდებოდა და ამ გაუჩინარებაში იგრძნობოდა რაღაც შიშისმომგვრელი და გაუგებარი... ერთხელ თავს ვლიე, ჩავუსაფრდი. თვითონ პატარა ვიყავი და დევკაცად მომეჩვენა. გიმნასტურა ეცვა, წელზე ფართო ქამარი შემოერტყა და იმ ქამარზე რევოლვერის ბუდე ეკიდა. შვილს რომ ჩაუარა, კეფაზე მსუბუქად წაუთაქა. გაკვირვებისაგან პირი დავაღე. თუმცა მის ამ მოძრაობაში იგრძნობოდა აჩქარებულობა, მოუცლელობა, მა-

გრამ ეს მაინც საალერსო ჟესტი იყო... მეორეჯერ მთლად პირისპირ შევეჩეხე და ისეთი თავზარი დამეცა, მხოლოდ შინ დაბრუნების შემდეგ გამიარა ელდამ და ავტირდი... არადა, ისეთი რა მოხდა?.. „ვილისთან“ არავინ იდგა და ცნობისმოყვარეობამ მიმიზიდა. იმდენი გაბედულება მეყო, მანქანის კაპოტს ხელი დავადე. დღე თბილი იყო, მანქანის კაპოტმაც სითბო გადმომცა და მეც, არ ვიცი, რატომ, გულში თბილი ტალღები მივლიდა. იქნებ იმიტომ, რომ პირველად სიცოცხლეში მწვანე „ვილისთან“ ვიდექი და ხელიც კი მედო კაპოტზე. „ვისია ეს ბავშვი?“ — რკინის ურჩხული რომ წამომპარვოდა, ნაკლებ შემეშინდებოდა ალბათ. თავმჯდომარე ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა ეზოდან, თან გზა-გზა ქამარს იკრავდა, გიმნასტურას ისწორებდა. ჩემთვის არც შემოუხედავს, ისე იკითხა, ვისია ეს ბავშვიო და უკვე „ვილისში“ რომ ჯდებოდა (თურმე მძღოლს საჭეზე ჩამოყრდნობილს ეძინა), ცხენივით დაიხვიხვინა: „ჯერ კიდევ არ გათხოვდა, ბიჭო, დედაშენი?!“

დრო გავიდა და მეღიმებოდა იმ შიშის გახსენებაზე. იოსებ ბჟალავა ჩვეულებრივი ადამიანი იყო, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი თავმჯდომარე. გარეგნობით სულაც არ ჰგავდა დევს. ცამეტი წლისამ გადავასწარი სიმაღლეში. გიმნასტურაც რა ხანია თეთრი კიტელით შეცვალა და თუმცა კალთა უკნიდან რევოლვერის ბუდეთი ამობურცვოდა, ძველებური მრისხანების ნატამალი არ აჩნდა. არც ის მახსოვს, დამლაპარაკებოდეს ოდესმე. მე ვის დავეკარგე, როცა საკუთარმა ნაშიერებმა არ იცოდნენ, რა იყო მამის ალერსი, მის დანახვაზე შიშისაგან ბელურებივით იბუზებოდნენ. გვიანღა მივხვდი, მოუცლელობის და დაღლილობის შედეგი იყო ყოველივე, მაგრამ ამისი ანალიზით თავი მაინცდამაინც არასოდეს შემიწუხებია. კარგა ხანი გავიდა, რაც იმ ჩემს ძველ ქუჩაზე არ ვცხოვრობდი, მოგვიანებით კი სხვა ქალაქში გადავბარგდი, იშვიათად თუ ჩამოვივლიდი სტუმრად ჩვენებთან და თავმჯდომარე მაშინღა გამახსენდებოდა, უნებლივ ბჟალავების სახლისაკენ თუ გადამიცდებოდა მზერა. ერთმა უბრალო შემთხვევამ, ამას წინათ რომ გადამხდა, ცალი თვალით ჩამახედა ჩემთვის იდუმალ წარსულში, რაც „თავმჯდომარის“ სახელს იყო ამოფარებული.

სულ ერთი დღით ვიყავი ჩამოსული. დაცარიელებულ ქუჩაში

გავისეირნე. არც მთლად მოცლილი ვიყავი და არც ისე მეჩქარებოდა, ვინმესთვის სალამი დამემადლებინა. ვხედავ, ყოფილი თავმჯდომარე იოსებ ბჟალავა საკუთარი სახლის წინ ძელსკამზე ჩამომჯდარა.

ნაბიჯი შევანელე.

მზე უკვე გადაქანებულიყო. თავზევით წამომხობილი მსხლის ჩრდილს განზე გადაეწია და თავმჯდომარე მზეს მიფიცხებოდა, თვალი მიელულა. ჯერაც საკმაოდ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. უნაოჭო, ბიჭური სახე, ჭაღარაშერთული თმა, პატარა ტანი, მოკლე ხელები, მუხლებზე რომ დაეწყო მშვიდად, ასევე მოკლე ფეხები, — ძელსკამზე იჯდა და ფეხსაცმელები მიწას ასცილებოდნენ. „რა კარგად შენახულა?“ — ფიქრში გავიოცე. ოღონდაც, მის ამ ახალგაზრდულ გარეგნობაში იყო რაღაც ფარული, გარდაუვალი, მიჩქმალული, რაც მიგახვედრებდა მის ასაკსა და იმ რღვევას, სიბერესა და წლებს რომ მოაქვს.

ალბათ სძინავს-მეთქი, ყოველი შემთხვევისათვის, თავი უხმოდ დავუქნიე და გზა განვაგრძე. მოულოდნელად გამოიჭყიტა და გამიღიმა იმ კაცის ღიმილით, ვისაც, მართალია, ჩვენი დანახვა გაუხარდა, მაგრამ ხასიათმა და ცხოვრების წესმა ბუნებრივ ღიმილს გადააჩვია, ახლა კი წვალებით ცდილობს ბაგეთა კუნთებს სათანადო ფორმა მოუძებნოს. ვერცხლის კბილებმა და გაბზარულმა ხმამ მისი ჭეშმარიტი ასაკი გაამხილეს და მე მორიდებით შევჩერდი, სალამზე ვუპასუხე, როგორც წესი და რიგია, მოვიკითხე.

— გეჩქარება? ჩამოჯექი ცოტა ხანს, უნდა გაცინო! — იმ კაცის სულსწრაფობით შემომთავაზა, ვინც მთელი ცხოვრება მოუცლელი იყო, ახლა კი არ იცის სად წაიღოს ტვირთად ქცეული მოცლილობა. შევყოყმანდი, საათზე საქმიანად დავიხედე, ერთი ათი წუთი კი მაქვს-მეთქი, ჩავიდუდღუნე და ძელსკამზე ჩამოვჯექი. რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვიყავი, თავმჯდომარის იუმორის გრძნობა ტემპერატურის სკალაზე ნულს ვერ გადაამეტებდა, მაგრამ მოთმინება ერთ-ერთი უკეთილშობილესი გრძნობაა და მეც მოთმინებით აღვიჭურვე.

— ორმოცი წელი ისე ვიმუშავე, შვებულება არ ვიცოდი რა იყო! — უცბად მომახალა. დავაკვირდი. ოდესღაც იქნებ ლამაზი თვალები ჰქონდა, მაგრამ ახლა გაუფერულებოდა, ამოშრობო-

და და მზის სხივს რომ ირეკლავდა, ეს შუშაზე არეკლილს უფრო ჰგავდა.

— მუშაობაში კვესი ვიყავი, ცეცხლს ვუნთებდი!

უცბად მოვიწყინე. ამანაც იცოდა, რომ გაზეთში ვთანამშრომლობდი. წინათ თუ ეკლესიაში მიდიოდნენ ცოდვის მოსანანიებლად, ახლა უპირველესად ნაცნობ ჟურნალისტებთან გარბიან. რამდენი მსგავსი მონანიება მომისმენია აქამდე, უფრო ცრუმონანიებანი, ვიდრე ჭეშმარიტნი, რადგან თავიდათავი ბიძგის მიმცემი პატივმოყვარეობა უფრო იყო, ვიდრე სინდისი. მომნანიებელი, როგორც წესი, ვერც გრძნობდა, რომ ამით ცოდვას ცოდვა ემატებოდა.

— ტანით პატარა გამოვედი, მაგრამ გული მქონდა ისეთი, დევი რომ შემხვედროდა, ზედ შევასკდებოდი. ძალიან კი განვიცდიდი ჩემს სიპატარავეს. სულ იმას ვშიშობდი, რაკი მოკლე ვარ, მხდალი არავის ვეგონო-მეთქი. ერთხელ ხიფათსაც გადამკიდა ამ ჩემმა ზნემ... ახლა უნდა გაცინო!.. თხუთმეტ-თექვსმეტის ჯეელი ვიყავი და ცხონებულმა მამაჩემმა ტყეში წამიყვანა. ლაკადის მთაზე ხეს ვჭრიდით. რამდენიმე კაცი ერთად ვცხოვრობდით მეტყევის ქოხში. სხვა ჩემი სოფლელებიც იყვნენ წამოსულნი, მასალა სჭირდებოდათ იმათაც. ტყე იყო, მარა, რა ტყე! ისეთ წაბლებს ვაქცევდით, ხუთი კაცი ვერ შემოსწვდებოდა. ახლა სად არის მაგეთი ტყე! ახლა ტურა ვერ ჩამალულა ჩირგვებში. იმ დროს კი, დაღამდებოდა თუ არა, შიშის ზარი დაგეცემოდა: აქეთ ტურა კიოდა, იქით მგელი ყმუოდა, ხან დათვი ჩაივლიდა ბურდღუნით, ტყის კატა დაიჩხავლებდა ხეზე, სხვისი არ ვიცი და ზურგზე სულ ჭიანჭველები მივლიდა. ერთხელ სოფლიდან ამბავი მოიტანეს, მეზობელი გარდაიცვალაო. ხალხი სატირალში წავიდა, მე კი ქოხში დამტოვეს, აქაურობას მიხედე, ჩვენ დილაუთენია მოვბრუნდებითო. თავდაპირველად ყოჩაღად ვიყავი. ვიჯექი კერის პირას, გაგანია ცეცხლი მენთო და ხმამაღლა ვმღეროდი. სიმღერა, ხომ იცი, შიშს ერეკება. თანდათან ბინდი ჩამოწვა... მე კი უფრო ხმამაღლა ვმღერივარ. უცბად, ზედ ლაფაროსთან დაიჩხავლა ტურამ... მარტო დარჩენილხარ ოდესმე ტყეში?.. თუ არ დარჩენილხარ, იმასაც ვერ მიხვდები, რა შიში ვჭამე. ხმა ჩამივარდა. შეშა გამომელია და გარეთ გასვლას ვერ ვბედავ. კარი ადრევე მივხურე, ოღონდ საგდული აქვს გატეხილი და კარგად არ იკეტება. აქამდე ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, ახლა კი მეჩვენება, წუთით წუთზე რაიმე ურჩხული შემოვარდება ამ კარში და ცოცხლად გადამყლაპავს. ბედი არ გინდა, იარაღიც არაფერი მაქვს. ერთადერთი ცული შემრჩა. სხვა რა გზა მქონდა, ნარზე წამოვწექი, მამიჩემის ნაბადი ზევიდან მოვიხურე, ის ცული კი გვერდით მოვიწვინე, თან ტარი ორივე ხელით ჩავბღუჯე, ვინძლო სადმე არ გამქცეოდა. ვწევარ ასე და ყურს ვუგდებ. ისმის გაუთავებელი წკავწკავი, მოთქმა, ყმუილი, კივილი, ფხრაწუნი, შრიალი... ზოგი ხმა მართლაც ისმოდა, ზოგიც ალბათ მეჩვენებოდა და რა ეშმაკი დამაძინებდა. მაინც ჩამთვლიმა. სიბნელეში გამომეღვიძა. ცეცხლი მინავლებულიყო, ნაკვერჩხლებიღა ფშუტუნებდა. კოჭობი კი ალბათ ჩაილია... არ გათავდა ის ღამე, მიიზლაზნებოდა აუჩქარებლად... მე კი ისევ ისე ვწევარ, ზურგით კედელს ვებჯინები, ხელი ცულისათვის ჩამივლია. მხარი დამიბრუჟდა, მაგრამ გვერდის შენაცვლებას ვერ ვბედავ. ვაკვირდები სიბნელეს და ქოხში თაგვიც რომ გაფაჩუნდეს, გული გამისკდება... ბოლოს და ბოლოს დაღლილობამ თავისი ქნა. არ მახსოვს, როდის ჩამეძინა... თვალი რომ გავახილე, ქოხში სინათლე შემოპარულიყო. ტყიდან ნელი შრიალი მოისმოდა, დილის ნიავი ფაჩუნობდა ტოტებში... გათენდა! კინაღამ ვიყვირე, ისე გამეხარდა და ფეხის ხმაც ამ დროს გავიგონე. რამდენიმე საფეხურიღა ჰქონდა მეტყევის ქოხს და იმ საფეხურებზე ვიღაცა მძიმედ ამოდიოდა, ტვირთქვეშ მოკაკვული კაცი რომ ამოვა, ისე. წამოვიწიე, თან ხელთ ცული მიპყრია. ის ვიღაცა კარს მოაწვა და ცული ამ დროს გამახსენდა. შემრცხვა, დამინახავენ და სიმხდალეში ჩამითვლიან-მეთქი, ცული შორეულ კუთხეში მოვისროლე და მხიარულად გავძახე: „მობრძანდით!“ კარი გაიღო და... უზარმაზარი დათვი შემობაჯბაჯდა...

ცოტა ხანს ჩუმად ვიჯექი. გონებას ძალას ვატანდი, ამ ნაამბობს მარილი სადა აქვს-მეთქი და უცებ გამეცინა. იოსებ ბჟალავამაც ჩაიცინა, ოღონდ მოკლედ, ჩატეხილად, მიუჩვეველივით.

— ხომ გითხარი, გაგაცინებ-მეთქი!.. ახლა კიდევ უნდა გაცინო!.. თავიდან ვთქვი, ორმოცი წელიწადი ისე ვიმუშავე, შვე-

ბულება არ მღირსებია-მეთქი... ტანით პატარა გამოვედი, მაგრამ უბედურის ერთი კი ვიყავი. მამაჩემს მოკლე პეტრეს ეძახდნენ, მაგრამ ისიც უბედურის ერთი იყო. ჩხუბი იცოდა, წინ რომ დევგმირი აყუდებულიყო, თავურით ჩამოიღებდა ძირს. ჩვენს გვარში ყველანი ასეთები ვიყავით, მოკლე ტანისანი და უბედურის ერთები... მეგონა, რაკი მოკლე ვარ, კომკავშირში არ მიმიღებენ-მეთქი. თუ არ მიმიღებდნენ, თავი უნდა მომეკლა, ასე მქონდა გადაწყვეტილი... ამას წყალი არ გაუვიდოდა... კრებაზე გულისფანცქალით შევედი. კალთის ქვეშ ფიცრის ნაჭერი დავმალე. როცა გამომიძახეს, იმ ფიცარზე შევდექი, თან თითის წვერებზე ავიწიე... მაინც მოკლე ვჩანდი!.. მიმიღეს, სულ ზეპირად ვიცოდი წესდება და პროგრამა და რატომ არ უნდა მივეღეთ, მაგრამ მოკლე რომ ვჩანდი, იმიტომ მეშინოდა... იმ დღიდან, ორმოცი წელი, რაც კრება და თათბირი მოუწვევიათ ლაკადიდან ჭურიამდე, ყველას დავსწრებივარ... აბა!.. ომი რომ დაიწყო, შენო, მითხრეს, ჯავშანი გაქვს და ფეხი არ მოიცვალოო. მაშინ თავმჯდომარეებს ჯავშანი ჰქონდათ... რევოლვერით მივუვარდი კომისარს, თვალებში ხომ არ გეპატარავებიმეთქი. იმან უხეში სიტყვა მკადრა, აქაოდა, ეს რევოლვერი იქ გაირჭეო... ენა ჰქონდა მწარე და თავის ენას გადაჰყვა კიდეც. მე კი მდივანთან მიჩივლა, რევოლვერით მემუქრებოდაო. აგერ კაცი, ტყვიას რომ არ ეპუებაო, გაეცინა მდივანს და სამწლიანი ფრონტი აქ გამიხსნა. იარაღით ხელში ტყე-ტყე დავდევდი დეზერტირებსა და ხალხის მტრებს... ახლა უნდა გაცინო!.. ერთი ვინმე ზარქუა გავარდა ყაჩაღად ჯერ კიდევ ომამდე. მთავრობასთან მოუვიდა ჩხუბი. ომი რომ დაიწყო, შემოგვითვალა, მე ჰიტლერის დედა ვატირე, შემომირიგეთ და ფრონტზე წავალო. თანხმობა შევუთვალეთ და ადგილიც დავუთქვით, სადაც უნდა ჩაგვბარებოდა. ყოველი შემთხვევისათვის, მახე დავუგეთ, აბა, ყაჩაღის სიტყვას როგორ ვენდობოდით. მიხვდა, რასაც ვუპირებდით და არ გვენდო. ატყდა ერთი ბათქაბუთქი. ტყვიის შიში მაშინ არ ვიცოდი რა იყო. გაგვექცა, სამი დღე ვსდიე ფეხდაფეხ. გაუვალ ჭაობში მივიმწყვდიე. დაჭრილი იყო და ვერ გამოზომა. ისეთ უძირო ტლაპოში ჩავარდა, ვინც მანამდე ჩავარდნილა, ალბათ ჯოჯოხეთამდე უწია უკვე. გნებდებიო, დამიძახა. მჯერა-მეთქი, ვუპასუხე და იქვე ჩამოვჯექი. მეც ხომ დავიღალე ამდენი სირბილით. ადამიანი არა ხარ, ხელი გამომიწოდეო, შემეხვეწა. ხალხის მტერი ხარ და ხელი როგორ გაგიწოდო-მეთქი, ვუპასუხე. მიხვდა, აღსასრული რომ მოადგა. ახალგაზრდა ხარ, მოკლევ, და იმიტომ მწირავ იოლად, იცოდე სიბერეში გაგახსენდები და გამწარდებიო, ამის თქმა მოასწრო, პირი რომ ლაფით აევსო, თვალებში შიში და მუდარა ედგა. იქნებ კიდევ ჰქონდა რაღაცის იმედი. მე კი შევცინე და გულმშვიდად გამოვბრუნდი... სასაცილოა?.. სიბერეს გაგიმწარებსო!.. აგერ სიბერეც მოვიდა, მე კი დღევანდელ დღეზე უკეთ მახსოვს... ახლაც ვიცინი, ვიცინი...

იცინოდა?.. ვერცხლის კბილები მოუჩანდა, სახის კუნთებს ჩვეული ფორმა დაჰკარგვოდა, მაგრამ ეს არ ჰგავდა სიცილს. შემზარა ნაამბობმა, თუმცა იტყუებოდა ალბათ... საათზე დავიხედე და წასვლა დავაპირე.

— გეჩქარება?.. მთავარი კი არ მითქვამს. შვებულება არ ამიღია-მეთქი, მთლად მართალი არ არის. ერთხელ მომცეს შვებულება, ცხრაას ორმოცდაშვიდში... მოსავალი ავიღეთ, დავაბინავეთ, ყველა მაჩვენებელი რიგზე მქონდა და ერთი მეც დავისვენებ-მეთქი, ვიფიქრე... ოღონდ ვინ გაცალა!.. იმ დროს ქვიშა უჭირდა რაიონს. კარიერი გამოილია თურმე. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ. ძნელია კაი ქვიშის შოვნა. ერთი ვიღაც ბუკია იყო, შენ არ გეცნობა, დიდი ხანია, მოკვდა. ჰოდა, იმ ბუკიას უთქვამს, ოღონდ თავმჯდომარე ბჟალავასთან არ გამამხილოთ და მე ვიცი სადაა წმინდა ქვიშაო. დაადო თურმე კურდღლის ჭალას ხელი. იქ ყოველ წელიწადს ხუთ ჰექტარზე ისეთი სიმინდი მეთესა, რაიონში გამორჩეული. შიგ მთელი ლაშქარი დაიმალებოდა. კოკისპირული რომ მოსულიყო, ზედმეტი წყალი არ გაჩერდებოდა, გვალვის დროს კი მორწყვას არ ითხოვდა. არც სასუქი შემიტანია გრამი. მოსავალი კი ისეთი მოდიოდა, როგორც ბებიაჩემი იტყოდა, თითქოს ღმერთს გადმოებერტყა თავისი კალთა... შემიწყვიტეს შვებულება, გამომიძახეს. ასე და ასეა საქმეო, დღესვე ხალხი წაიყვანე, გადახსენი მიწის ფენა და ქვიშა გამოაჩინეო. გამისკდა გული, მაგრამ რას ვიზამდი! მთავრობა რომ გიბრძანებს, სხვა რა გზა გაქვს!.. სად იყო ტრაქტორი და

ბულდოზერი, ან ექსკავატორი? ახლა ერთი ძირი ხე რომ დარგო, ორმოს ამოჩიჩქნვა გვიჭირს. მაშინ კი სოფელში ქუდზე კაცი შევყარე, ვსტაცეთ ხელი ბარებს და ეს ხუთი ჰექტარი მიწა კაცის სიმაღლეზე გადავხსენით. თურმე ქვეშ მართლაც ქვიშა იყო, ისეთი წმინდა, გაცრა არ სჭირდებოდა...

— იმ ჭალას რა დაემართა?

— რომელ ჭალას? — უცებ ვერ მიმიხვდა იოსებ ბჟალავა. — აჰ, იმას?.. ჩამოვწერეთ! ეკალბარდები მოედო და მართლაც საკურდღლია გახდა... სასაცილოა, ხომ?

ვაგრძნობინე, ახლა კი ნამდვილად უნდა წავიდე-მეთქი. ისედაც წამიხდა გუნება და მეტი არაფრის მოსმენა არ მსურდა. მან კი მკლავზე მომქაჩა.

— მეტ დროს არ დაგაკარგვინებ!.. წასვლამდე ერთიც უნდა გაცინო, მოკვდები სიცილით! შვებულება რომ მომცეს-მეთქი, ხომ გითხარი. იმ დროს ერთი ამხანაგი მყავდა, კალე ერქვა, დიხამინჯია. ერთად ვათენებდით და ვაღამებდით. ისიც პარტმუშაკი იყო, დიდად ენამოსწრებული და ხუმარა კაცი. მეც კაი ხუმარა ვიყავი, მაგრამ იგი მიგებდა სიტყვაში. მე ერთს ვიტყოდი, ის სამს მეტყოდა. კვიმატი ვიღაცა იყო და მჯაბნიდა. მე რომ შვებულებაში გავედი, იმავე წელსა და თვეს იოსებ სტალინიც გავიდა შვებულებაში. გასაკვირი ამაში რა იყო, დაიღალა კაცი, ამოდენა ომის ხელმძღვანელობა იოლი ხომ არაა! ამ კალეს, თურმე, მეგობრებში უხუმრია, იქ იოსებ სტალინი გავიდა შვებულებაში, აქ ჩვენი იოსებ ბჟალავა, რა ეშველება ახლა ქვეყანასა და რაიონსაო. ბევრი უცინიათ თურმე. გავიგე ეს ამბავი და ვიფიქრე, ახლა ვიყრი შენზე ჯავრს, ვნახოთ თუ არ დაგაჩოქო-მეთქი. წავედი რაიკომში. თათბირი იყო და იმ დროს მივუსწარი, როცა უკვე გამოდიოდნენ კარიდან. როგორც კი კალე გამოჩნდა, ზურგი შევაქციე და წამოვედი. „ბიჭოს, ეს ჩვენი იოსები არ არის?“ — მომესმა კალეს ხმა. ყურადღება არ მივაქციე. დამეწია და მკლავზე ხელი მტაცა. „იოსები არ ხარ, ბიჭო? რო გარბიხარ, გამარჯობა დაგავიწყდა?“ წარბები შევყარე და მკვახედ ვუპასუხე: „შენც შეგარცხვინა ღმერთმა და შენი გამარჯობაც. ენა რომ გადმოგიგდია, ამხანაგო, ქუჩაში და ლაქლაქებ, ზომა არ უნდა იცოდე?!“ გაოცებისაგან თვალები დაჭყიტა კალე დიხამინჯიამ. „რა იყო, შე კაცო, რა დავაშავე ისეთი?“ „რა იყო და შენ თუ არ გენანება შენი ოხერი თავი, მე მაინც რატომ არ გებრალები? როგორ გაბედე, ამხანაგო, მე პარტიის ერთი ჭანჭიკი, დიდ სტალინს რომ შემადარე, რანაირი ხუმრობაა ახლა ეს?!“ მიყურებს ეს ჩვენი კალე, ენა მუცელში ჩაუგდია, ჰაერი არ ჰყოფნის, მე კი სულის მოთქმას არ ვაცლი: „გამომიძახეს წუხელ ჩეკაში და მითხრეს, შენ იოსება თავმჯდომარევ, ჩვენი კლიმატი თუ არ მოგეწონა, კოლიმაში უკეთესი ამინდებიაო, იმ შენს მეგობარს კალე დიხამინჯიას კი, ეტყობა, ორი თავი აბია და ორივე ძირს არ გაუგორდეს კამათლებივითო...“ აქ კი ალბათ მეტი მომივიდა. კალე დიხამინჯიას უცბად ყბა ჩამოუვარდა, სახე მოეღრიცა და ამოდენა კაცმა ძირს მოადინა ძნეყვა... გეხუმრე, ბიჭო, გეხუმრე-მეთქი, ჩავძახე, მაგრამ მტერმა გაიგონა ისე...

— მოკვდა?

— სიკვდილს კი გადაურჩა, მაგრამ ერთი თვე არ გამოსულა საავადმყოფოდან. მას შემდეგ, შემხვდებოდა თუ არა, ყბა ჩამოუვარდებოდა ხოლმე. ათი წელი კიდევ იცოცხლა მაგ საწყალმა. სამსახურს კი მაშინვე დაანება თავი... ხომ სასაცილოა, არა?!

— დიახ, სასაცილოა! — გაოგნებულმა კვერი მექანიკურად დავუკარი. მან კი კვლავ გამოაჩინა თავისი ვერცხლის კბილები და ისეთი ბგერები გამოსცა, თითქოს ტაფაზე დანის პირს ახრჭიალებდა. მივხვდი, იცინოდა... შინისაკენ მივდიოდი და უკანუკან ვიხედებოდი. იოსებ ბჟალავამ თვალები კვლავ მილულა, სახე მზეს მიუშვირა... მხრები ჩამოეყარა... მოცლილობის მძიმე ტვირთი არ იცოდა სად წაეღო...

ჟურნალი „ცისკარი“, 7, 1985, კრებულები:
„პირველი ზეკარი“, გამომცემლობა „ნაკადული“,
1983 და „კუნძული“, გამომცემლობა
„საქართველო“, 1988.

მუშიდი საქმე

ამინდი დილიდანვე გაფუჭდა, ცივად ცრიდა. ჩრდილოეთით ცა მთლად ჩამოშავდა. აქ კი, წყალსაცავის შემოგარენს, თეთრი ნისლი დაეფინა. ბრიგადირი ილიკო ლაგვილავა ვერ ისვენებდა, — შეხედეთ, მთაში ალბათ სასწაული თავსხმა მოდისო...

— მოვიდეს, წყალი ვერ დაეტევა თუ! — ჭუტიამ დომინოს ქვა მუჭში მოიმწყვდია. ხელი უთრთოდა, მოუთმენლობისაგან სახე წამოწითლებოდა. მის წინ მჯდომ დევივით კაცს შეუძახა: — ჰა, ჩქარა ახლა, ამდენი ფიქრი რად უნდა?!

კუხუნას თავისი ქვები ნიჩაბივით ფართო ხელისგულებზე დაეწყო, ხან ერთს უკირკიტებდა, ხან მეორეს, გუნებაში დინჯად ანგარიშობდა.

— მიდი რა, მიდი! ნეტა დამანახა, ამ თათებით როგორ წველი ძროხას! — წამოსცდა ჭუტიას, თვალი განზე წაიღო, დაიმანჭა, აქაოდა, გავიხუმრეო.

კუხუნამ ერთი ცერად გადმოხედა, მაგრამ არაფერი თქვა. როგორც იქნა, ქვა შეარჩია და დაახეთქა, კინაღამ მაგიდა ჩაიტანა ძირს.

— უჰ, შე მართლა ზუნტრა! — ბოღმით წამოიძახა ჭუტიამ, მაგრამ პირისახე უცბად გაუნათდა და თავისი ქვა მიუჩოჩა, საანგარიშოზე ქულა ჩამოაგდო.

კუხუნამ ქურუშად შეხედა, მერე თავის ქვებს დააცქერდა, კვლავ ანგარიშში ჩაეფლო.

ილიკო ლაგვილავამ კაცებისაკენ მოიხედა, მხრები აიჩეჩა, ამაზე იტყვიან, დრო მიდის და ფული მოდისო.

— რაღაც არ მომწონს ეს ამინდი!

— სულ ასეთი ამინდი არ არის? — ჭუტია ცმუკავდა, ვერ ითმენდა: — მიდი რა, კაცო, ჩამოდი რა!

კუხუნა აუღელვებლად აცმაცუნებდა ტუჩებს.

ტელეფონმა დარეკა.

— ჰო, რა ვიცი, ჯერჯერობით კრიტიკულზე არ ასულა! — ჩასძახა ილიკო ლაგვილავამ. — ჰო, ყურადღებით ვიქნებით! ახლავე გავალ და შევამოწმებ!

ინჟინერი რეკავდა, წერედიანი.

კუხუნამ თავი ასწია. ილიკო ლაგვილავას მხრებს მიღმა ფართოდ ისარკებოდა წყალსაცავი. შორი ნაპირები თეთრ ნისლს მოებურა. წყლის ზედაპირი ნისლის კედელთან თავდებოდა. იმ კედელს მოულოდნელად წვრილი, ქაფიანი ზოლი დააჩნდა, მარჯვენა ნაპირიდან მარცხენა ნაპირამდე გაიშალა და კაშხლისაკენ წამოვიდა.

იმ ზოლს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე...

კუხუნამ დომინოს ქვები მოხვეტა. ჭუტიას სახე მოექცა, მოგებამდე სულ რამდენიმე ქულა აკლდა და თამაშს ვერ ელეოდა.

— ხომ ვთქვი, მთებში ასხამს-მეთქი! — ილიკო ლაგვილავამ ლაბადა მხრებზე მოიგდო და გარეთ გავარდა.

ღია კარში სიცივე შემოიჭრა, გარეთ კვლავ ისე ცრიდა.

— კრიტიკულამდე ცოტაღა აკლია, მაგისი დედა... — შეიგინა ჭუტიამ.

— ნამეტი უნდა გადავაგდოთ! — კუხუნა მძიმედ წამოდგა, როცა ფეხზე იდგა, ჯიხურს სანახევროდ ავსებდა.

გარედან ელექტროძრავის ზუზუნი მოისმა, ილიკო ლაგვილავამ ფარის ამწე ჩართო.

ტელეფონმა ხელმეორედ დარეკა.

— რას აკეთებთ? — წერედიანმა იკითხა.

— დონე მატულობს, ნამეტი უნდა გადავაგდოთ! — ჭუტიას ჯერ კიდევ ვერ განელებოდა თამაშის სიფიცხე.

— ჰო, ფარი ახსენით, მე ახლავე ამოვალ!

კაცებმა ლაბადები მოიხურეს და ამწისაკენ წავიდნენ. ილიკო ლაგვილავას უკვე ამოჰქონდა ფოლადის მძიმე ფარი...

უცებ ამწემ უცნაურად დაიხროტინა... კუხუნამ და ჭუტიამ ერთმანეთს გადახედეს. ჭუტია სწრაფად გაიქცა, კუხუნა ძუნძულით მიჰყვა. ილიკო ლაგვილავას ფერი დაჰკარგვოდა.

— ბიჭებო, ფარი გაიჭედა!

* * *

კუხუნას და ელენეს ზუნტრა უყვარდათ. ოჯახში ყოველთვის ჰყავდათ თითო ძროხა. თავდაპირველად — მაყვალა, ლამაზი, მშვიდი ძროხა, შავად მბზინვარე ბეწვი ალაგ-ალაგ თეთრად რომ ჰქონდა დაჭვარჭვალიტებული, მერე — ძაკა, ოხრისერთა, მოუსვენარი და ქაჯი, წინა ფეხებით თხასავით შედგებოდა ტრიფოლიატზე და ისე სწვდებოდა ტოტებს, მერე — ჯიქანა, ჩია, მეგრული ძროხა, ჯიქნები ძირს რომ მოსთრევდა და ისეთ რძეს იწველიდა, კარაქივით დანით გაიჭრებოდა, ბოლოს — ზუნტრა, მძიმე, ზანტი არსება, წოლისა და ცოხნის მეტი რომ არაფერი ეჩერჩეტებოდა... კუხუნას ცოლი ელენე მოცუცქნული, ფიორა დედაკაცი იყო, ვერცხლისწყალივით მოუსვენარი, მთელი დღე დაფუსფუსებდა ეზო-კარში, აქეთ ბოსტანიო, იქით ბაღ-ვენახიო, წიწილებიო, ინდაურის ჭუკებიო, გოჭებიო, თიკანიო, ხბორებიო... ყველაფერი მის ვიწრო და გამხდარ მხრებზე გადადიოდა. ბოლო დროს მკერდი აიტკია, შიშიანად დაიჩივლა, ვაითუ კიბო მეტაკაო და კუხუნას გულზე ეცეცხლა. ბარე ეზარებოდა, მაგრამ საოჯახო საქმეები თანდათან თვითონ იტვირთა. ჯერ წალდი და ცული გააგდებინა ქალს, შეშა რა შენი საქმეაო. მერე აივნიდან დაინახა, ჭისკენ რომ მიცუხცუხებდა სათლებით. დაუძახა, დადე მაგ სათლები, მოვალ და წყალს მე თვითონ მოვზიდავო. ელენემ ვითომ ვერ გაიგონა. კუხუნამ მეორეჯერ შეუძახა, ზანტად წამოიწია და უკან მიჰყვა. ქალს წყალი ჭიდან უკვე ამოეტანა და კუხუნამ მწყრალად შეავლო სათლებს ხელი, მისთვის რომ ბუმბულის წონა ჰქონდა. ელენეს თვალი აუწყლიანდა, იქნებ მადლიერების ნიშნად, იქნებ საკუთარი თავი შეებრალა და იმიტომ. საღამოს კი ძროხის მოწველა ვერ შეძლო, მკლავი დაუბუჟდა. კუხუნამ ქალი განზე გასწია. ეს ბრგე ვაჟკაცი ძროხის ჯიქანთან ჩაცუცქდა. ზუნტრამ გაოცებით მოჰხედა და „მუუო“ შეჰზმუვლა... იმ ღამეს ცოლ-ქმარი გვიანობამდე ჩურჩულებდნენ. ელენე იცრემლებოდა, კუხუნა კი ამშვიდებდა, ნუ გეშინია, ტკივილები მძიმე შრომისაგანა გაქვს, აწი ყველაფერს მე გავაკეთებო... დილით ზუნტრა კვლავ

გამოწველა და იქვე წყალსაცავის პირას დააბა...

ეს წყალსაცავი ორიოდე წელი იყო, რაც გაჩნდა. ქვემოჭალის კაშხალმა დააგუბა და მღვრიე წყალქვეშ დაიმალა ძველი სოფლის ლამაზი სანახები, ხევ-ხუვები. ახალი სოფელი კი მაღლა, გაშლილ ფერდობს შეეფინა. კუხუნას ეზო-კარი წყლისპირას გაეჩხირა. მსუბუქი ტალღები ნელი ტყლაშუნით ზედ ჭიშკარს მოადგა და იქ შეჩერდა. ამ დრომდე თუ სოფელს აივნიდან გასცქეროდა, ახლა აქედან წყლის ფართო სივრცე და ნისლით შებურვილი ნაპირები გადაიშალა. უფრო ქვემოთ კი — კაშხლის სწორი ზურგი და ზემო ბიეფის ნაგებობა ჩანდა. სოფლისაკენ მიმავალი ბილიკი ამიერიდან უკანა ეზოზე გადადიოდა და ყოველ ცისმარე კუხუნა ამ ბილიკით მიემართებოდა სამუშაოზე. ადრე სოფლის ფალავნად ითვლებოდა. კაი ღონიერი მუტრუკი იყო და ცხოვრება სულ თამაშ-თამაშა და ჭიდაობა-ბუღრაობა ეგონა. მერე ელენე მოუვიდა თვალში. ბევრი ლაპარაკი არ დაუწყია, დაავლო ხელი და შინ დაისვა. თავად ბრგესა და ტანადს გოგონა გულისჯიბემდე ძლივსა სწვდებოდა და ამ გულისჯიბეში ჩავისვიო, იხუმრა. ახალ ცოლ-ქმარს ვერ გადაეწყვიტა, ძალა და ღონე რაზე დაეხარჯათ, სოფელში დავრჩეთ თუ ქალაქს მივაშუროთო, ჭოჭმანობდნენ. მოულოდნელად ქვემოჭალაში გეოდეზისტები ამოვიდნენ, თავიანთი თეოდოლიტებითა და ნიველირებით აქედან და იქიდან გახედ-გამოხედეს ვიწრო ხეობას, კაშხალსა და წყალსაცავს მიუზომეს ადგილი. დიდმა მშენებლობამ თითქოს ერთ დღეს, ერთბაშად ჩაითრია ყველა. გადაიხსნა მიწისპირი, გზებმა დასერეს მწვანე ფერდობები, გაიჩეხა ტყე და ბაღი, დადგა მტვრის ბუღი, აღმუვლდნენ „ბელაზები“ და ექსკავატორები, ბულდოზერები და საკომპრესოროები... მილეთიდან მოზიდული რკინითა და ბეტონით აშენდა კაშხალიცა და სოფლის ახალი, ორსართულიანი, ფართოაივნიანი ოდები... კუხუნასაც ბევრი არ უფიქრია, ბეტონსაქაჩ დანადგართან დადგა და თუჯის მძიმე მილებს თოხზე იოლად აბურთავებდა. არაერთი წელი გავიდა მას შემდეგ. კუხუნას და ელენეს ჭაღარა შეერთოთ თმაში. ორი დაზრდილი ბიჭი დედაქალაქის გზას გაუყენეს. მშენებლობაც დამთავრდა და ინჟინერმა წერედიანმა, გეყოფა ბეტონის თრაქვა, ჩემთან ჩამოდი,

მშვიდ საქმეს გაგიჩენ, აგერ ილიკო ლაგვილავას ბრიგადაში ჩაგწერ, დაჯექი და მთელი დღე, თუ გინდა, დომინო უხათქუნეო.

— აბა არა? — კვერი დაუკრა ილიკო ლაგვილავამ. — რა გვაქვს საქმე? დაჯექი აგერ ზემო ბიეფზე, გადახედე ქვეყანას, თვალს წყალი დაალევინე!

წყალი კი იმდენი იყო, ქვეყანას ეყოფოდა. ხან ციდან იღვრებოდა, ხან ჭიშკარს მოლოკავდა. მშვიდი მეზობლობა ჰქონდათ წყალსა და კუხუნას აქამდეც. კაცი თავის ეზოში იჯდა, წყალი კი თავის საგუბარში. თუმცა ერთხელ ეანგლა, შიში აჭამა. კოკისპირულმა წყალსაცავი მოაპირთავა, მთებიდან ზათქით დაიძრა მღვრიე ნაკადულები და დონემ ისე აიწია, შიგ ეზოში შემოუვარდა. იმ შიშის შემდეგ მიხვდა, წყალთან ხუმრობა არ შეიძლებოდა...

ადამიანს განსაცდელი თანდათან ავიწყდება. მართლაც იოლი სამუშაო ირჩია. ირგვლივ ყველაფერი სიმშვიდით სუნთქავდა. ილიკო ლაგვილავა ისეთი წყნარი ვინმე იყო, ხმას არაფერზე აუწევდა. თუმცა ჭუტია კი ბრძანდებოდა ბოღმის ერთა, მაგრამ სიფიცხე ცუდკაცობით როდი მოსდიოდა. თავად მოკლეს კუხუნას ბრგე აღნაგობა ახელებდა. მაგ ღმერთს რა ვუთხრა, მე ასე მოკლე გამაჩინა, ეს მოუქნელი ზუნტრა (ძროხის სახელი ხომ უმალ პატრონს მიატყეპა!) ამოდენა გაზარდაო... ინჟინერი წერედიანი ამოაკითხავდათ ხანდახან, მუდამ მხიარულ ჭკუაზე, ცოტათი შეჭიკჭიკებული, გადახედავდა თავის სამფლობელოს. აბა, როგორაა საქმე, ბიჭებო!? ბიჭების საქმე მუდამ კარგად იყო, წერედიანის საქმეც არ იყო ურიგოდ. გეგმები სრულდებოდა, ქვეყნიერების დასალიერამდე გაჭიმულ მავთულებში მაღალი ძაბვის დენი გარბოდა და წერედიანის ჯიბეს კაი-კაი პრემიები არ აკლდებოდა. მხოლოდ ერთხელ მოვიდა გაფითრებული, ეს მაშინ, როცა ტურბინაში ლურსმნისტოლა რაღაც დეტალი მოწყდა, როტორსა და სტატორს შორის ელვისუსწრაფესად გადახნა ყველაფერი. გენერატორი სასწრაფოდ გააჩერეს, როტორი ამოიღეს. ეს რვა ტონის სიმძიმის რკინა კი, თითქოს ანგლობსო, მოულოდნელად შექანდა, კედელს მიეხეთქა, სადისპეტჩეროს რომ აივანი გასდევს, ჩამოაფშვნია, მერე კი უკან დაყირავდა და სტატორში მოადინა ბრაგვანი. ავარიას მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ წერედიანს თავისი დაემართა. ტურბოგენერატორს ნახევარი წელიწადი არემონტებდნენ. „როგორი ზარალია, როგორი ზარალი!“ — იტყოდა დასევდიანებული ინჟინერი და პირისახეზე სიფითრე მოადგებოდა...

ტურბოგენერატორის საქმე კუხუნასა და ჭუტიას არ ეკითხებოდა. ჭუტიას ღვარძლი კი ცოტათი აფერადებდა კიდეც ტყუპისცალივით ერთმანეთს დამსგავსებულ დღეებს. იდგა კუხუნა ზემო ბიეფზე და ჭუტიას გადაკრულებს ერთ ყურში შეუშვებდა, მეორეში გამოუშვებდა. წყლის სივრცეზე თვალი მართლაც ისვენებდა, გრილი ჰაერი გულს უამებდა. ეგ იყო, ყურადღების მთლად მოდუნება არ შეიძლებოდა, ნამატი წყლისთვის გზა უნდა გაეხსნათ დროზე, სათადარიგო წყალსავარდნზე მიეშვათ. ამოსწევდნენ მაშინ ფოლადის მრავალტონიან ფარს და თქრიალით დავარდებოდა ხელოვნური ჩანჩქერი. თავდაღმართზე მიექანებოდა გუგუნით და იქ, ქვემოთ, სანამ გაივაკებდა, მიემსხვრეოდა ბეტონის ჯიუტ ბურჯებზე. კუხუნას შეეძლო საათობით ეცქირა რძისფერი წყალვარდნილისათვის, შეეგრძნო წყლის უსაზომო ძლიერება და ერთგვარი სიამოვნებაც, რადგან ზემო ბიეფზე ეს საშიში ურჩხული ვერასოდეს ამოაღწევდა. იდგა კუხუნა მშვიდად და ხანდახან წასთვლემდა კიდეც, დროს ცოხნიდა თავისთვის.

თუმცაღა ფათერაკი სწორედ იქაა დამალული, სადაც არ მოელი. უბედურება საღამოს მოხდა და კუხუნას მეორე დილამდე არაფერი გაუგია. ჩვეულ დროს რომ გამოცხადდა, ზემო ბიეფზე უამრავი ხალხი ირეოდა. ნირწამხდარი ღამის დარაჯი მეასეჯერ ყვებოდა, თან უმწეოდ შლიდა ხელებს: „მე რა მექნა? თოფითაც კი დავემუქრე, გაბრუნდით, თორემ გესვრი-მეთქი!“ იქნებ ნასვამები იყვნენ ის ბიჭები. ნავს თურმე საკეტი მოამტვრიეს და ისე გაიტაცეს ნიჩბოსანთა ბაზიდან, სეირნობა მოუნდათ. ცნობისმოყვარეობამ აქეთკენ წამოიყვანა. ან ვერ დაინახეს წითელი ტივტივა, ან არ იცოდნენ რისთვის ტივტივებდა, რას ნიშნავდა. საშიშროებას მაშინღა მიხვდნენ, როდესაც მდორე ზედაპირს უფრო და უფრო დაეტყო მოძრაობა, თითქოს სიღრმის უჩინარი ურჩხული ჩაეჭიდა ნავს და წყალვარდნილ-

ისაკენ გააქანა. დამფრთხალმა ბიჭებმა ნიჩბები აამუშავეს, მაგრამ ღონე უკვე აღარ ეყოთ. შიშმა თავისი ქნა. ბიჭები წყალში გადახტნენ, ალბათ მკლავის ძალას დაენდვნენ. მძლავრმა ნაკადმა ნავი ფოლადის ბადეს შეალეწა, ბიჭები კი წამში ჩაითრია და მერე მთელი ღამე მაშველი ბრიგადა ციცხვით ცდილობდა ფსკერიდან გვამების ამოტანას. ციცხვს ტოტები, მორები და ხეთა ფესვები ამოჰქონდა, აზავთებულ წყალს რომ ჩამოაქვს მთათა კალთებიდან და აქ, ფოლადის ბადეზე მიახერგავს ხოლმე. ის დღე და ის ღამე ვერ მობრუნდა კუხუნა... მხოლოდ ერთხელ გაახსენდა, ელენეც თეთრად გაათენებდა ალბათ ღამესო. მერე, გვიან, პროჟექტორების შუქზე ციცხვს ერთი გვამი ამოჰყვა, შლამსა და ტოტებში იყო ჩახერგილი და კუხუნამ ამ სურათს ვერ გაუძლო, განზე გადგა და ჩუმად აღებინა... დილაუთენია მეორეც იპოვეს, ნაკადს წაღმა-უკუღმა უთრევია თურმე და ქვიშაში ჩაუმარხავს სანახევროდ... ამასობაში დაღუპულთა ნათესავები მოცვივდნენ, მანქანების ტევა არ იყო. წივილ-კივილით ცა ჩამოიღეს და კუხუნა მიხვდა, მეტი არაფერი ესაქმებოდა დღეს აქ... თვალებამოღამებული ელენე დახვდა ჭიშკართან: „რატომ არ გძინავს, ქალო, ძმაკაცებს შევრჩი წუხელ!“

მას შემდეგ თითქმის წელიწადი გავიდა. ადამიანს საკუთარი ჭრილობა უხორცდება, სხვისი ტკივილი კი რა ისეთ ნაჭრილობევს დაამჩნევს, ტვინიდან რომ ვერ ამოხვეტოს. კვლავაც გრძელდებოდა კუხუნას წყნარი და მშვიდი ცხოვრება. ზემო ბიეფიდან გაჰყურებდა გასარკულ წყალსაცავს, რომლის ნაპირებთან გარშემო შემოჯარული გორაკები ირეკლებოდა, შუაგულში კი ხან მზე ჩავარდებოდა, ხან ღრუბლის ფთილა. ისევ სიმშვიდით სუნთქავდა ირგვლივ ყველაფერი. მაგრამ ამ ტრაგედიიდან მაინც შერჩა ხინჯი, გულის სიღრმეში ჩამალული კრთომა. მდორე ზედაპირის სიმშვიდე თავისთავში მალავდა ფარულ საშიშროებას. თითქოს ცოცხალი, მძინარე ურჩხული გაწოლილიყო ფერხთით. ყოველ წამს შეეძლო გამოღვიძება, ყალყზე შედგებოდა მაშინ და ზემოდან გადაევლებოდა კაშხალს, თავს დაასკდებოდა, წამში გადარეცხავდა ქვემოთ მიყუჟულ ელსადგურს, ტრანსფორმატორებსა და ვერცხლისფერი კოშკურების ტყეს, მავთულებით რომ დაძენძილა და ქვეყნიერების ყველა

კუთხისაკენ გზავნის ენერგიას. არაფერი მსგავსი, რა თქმა უნდა, არ ხდებოდა. წყალსაცავს მშვიდად ეძინა. მონოტონურად გუგუნებდნენ ტურბინები და ელსადგურის მთელი კორპუსიც მსუბუქად ზანზარებდა... კუხუნა ცდილობდა მეხსიერებიდან საბოლოოდ ამოეშალა ის ტრაგედია, მაგრამ მაინც გრძნობდა როგორ უჩუმრად, შეუმჩნევლად იზიდავდა სტიქია თავისკენ, აქვე, ფერხთით ტრიალებდა, ძალას მალავდა. იქ კი, სიღრმეში პირი გაეხსნა უზარმაზარ მილსადენებს, რომლებშიც კოლოსალური სიძლიერით ინთქმებოდა წყალი და ტურბინის ფრთებზე ეცემოდა. ცოცხლად წარმოიდგენდა კუხუნა, როგორ ჩაითრევდა წყლის ნაკადი, ჩააქანებდა, მიაფლეთდა იმ ფრთებს და გული უწყებდა რიალს. მოშორდებოდა გადასახედს, ჯიხურში ბრუნდებოდა, სადაც ჭუტია უკვე ალაგებდა დომინოს ქვებს, ბოღმით ივსებოდა და საქილიკო სიტყვებს უსინჯავდა გემოს.

ამასობაში ელენეს ის უბედური ავადმყოფობა წამოეწია. საიდან მიეპარა, კუხუნამ ეს არ იცოდა. დილაუთენია დგებოდა, შეშას დაჩეხდა, ცეცხლს დაანთებდა, ზუნტრას გამოწველიდა, საბალახოზე დააბამდა. ელენეც ადგებოდა, კრუსუნით დაბორიალობდა ოთახებში, ცდილობდა საუზმე მაინც გაეხერხებინა ქმრისათვის. გული წინანდელივით ეძახდა, უჭირდა უსაქმოდ ყოფნა, მაგრამ ღონე დალეოდა და საქმე ხელიდან უცვიოდა. ქმრის არყოფნაში ხშირ-ხშირად მიაკითხავდა ზუნტრას, ქედზე ეფერებოდა, ოჯახის მარჩენალს ეძახდა და ტიროდა... კუხუნა ადრე ბრუნდებოდა სამუშაოდან, ძროხა დროზე უნდა გამოეწველა, იცოდა, რძე შეაწუხებდა პირუტყვს. ჩუმი ზმუილით შესთხოვდა პატრონს. „რძის სუნი გდის უკვე!“ — გაექილიკა ერთხელ ჭუტია.

იმ დღეს ზედ ნაპირზე დააბა. კაი, ლორთქო ბალახი ამოსულიყო. ამინდს ცუდი პირი არ უჩანდა და იმიტომ გაბედა. წყლის დონემ მოულოდნელად აიწია. ზუნტრას სასოწარკვეთილ ზმუილზე ელენე გამოცუხცუხდა, უმისამართოდ იწყევლებოდა და უღონობა დავიწყებოდა. როცა მიუსწრო, ზუნტრას წყალი ყელამდე მოსდგომოდა უკვე, მისაბმელი ჯაჭვი კი არ უშვებდა. ელენე დაუფიქრებლად შევარდა წყალში, ჯაჭვი ახსნა, მაგრამ თვითონ თავიდან ფეხებამდე გაილუმპა. საღამოს, კუხუნა შინ რომ

დაბრუნდა, ორღობეში სასწრაფო დახმარების მანქან დაინახა. სიცხიანი ქალი საკაცეზე იწვა და აბოდებდა...

ღამე, ბნელში წველიდა ზუნტრას, თან ეჩურჩულებოდა, მარტო დავრჩით, მგონი, მე და შენო. ძროხა მადლიერი ზმუილით შეეხმიანა. უკვე დავიწყებოდა დღევანდელი განსაცდელი. კუხუნამ კი სავსე სათლი ერთხანს ხელში ატრიალა, არ იცოდა, სად წაელო, როგორ მოევლო. ბოლოს მეზობელი გამოიხმო, შეაჩეჩა, წაიღე და მოიხმარეო.

ელენე ორი კვირის შემდეგ გამოეწერა საავადმყოფოდან, სიცხიანობა დასჩემდა და შვილებთან გადაწყვიტა გამგზავრება. გულსგარეშე დაუბარა, კაცი ხარ, მაგ ძროხას მაინც ვერ მოუვლი, გაყიდე, ფული ფულად მოიხმარე, თუ მშვიდობით მოვბრუნდი, ახალ ძროხას ვიყიდით, თუ არა და... აქ ელენეს თვალები აუწყლიანდა და მეტი ვერაფერი თქვა. არ დაუჯერა კუხუნამ, მარტოობის შეეშინდა. სამუშაოდან დაბრუნებული, ზუნტრას მომლოდინე ზმუილს რომ გაიგონებდა, თავს ისე ეულად არ გრძნობდა. ღამე გამოეღვიძებოდა ხანდახან. სახლში ჩქამი არ ისმოდა, მაგრამ იცოდა, იქვე, ბოსელში ზუნტრა ფშვინავდა და თუ იყო, მისი, კუხუნას იმედითღა იყო ამქვეყანაზე...

* * *

ფოლადის მძიმე ფარი ორ ბაგირზე ეკიდა. ამწის ლილვი თანაბრად იხვევდა ბაგირს და ფარიც ამოსრიალდებოდა ხოლმე, ისევე როგორც წისქვილის ღარში წყლის მისაშვებად ფიცრის საკეტს ამოვწევთ. ილიკო ლაგვილავამ დროზე ვერ შენიშნა, ცალ მხარეს ბაგირი ლილვიდან გადავარდნილიყო და ამწე რომ ჩართო, მარტო ერთმა ბაგირმა დაიწყო ფარის ამოწევა, ამოჰქაჩა კიდეც, ძირს მოსწყვიტა და იმ ჭრილში წყალმა მორთო ღრიალი, მაგრამ ამასობაში ფარი ცალგვერდულად გაიჭედა, ამწემ ხროტინი მორთო, ბაგირი დაიძაგრა, დაიჭიმა. ილიკო ლაგვილავამ ბაგირი სასწრაფოდ მოუშვა, ლილვზე ხელახლა დაახვია, მაგრამ ძრავამ გაჭედილი ფარი ადგილიდან ვერ დაძრა.

წყლის დონე კი სწრაფად მატულობდა, კრიტიკულს გადაჭარბა უკვე. სამივე ტურბინა შეთანაწყობით მუშაობდა, ფარქვეშ გახსნილი ღიობიდანაც თეთრი შადრევანი ასხამდა, მაგრამ ხარჯი საკმარისი არ იყო და საფრთხე თანდათან მატულობდა.

ინჟინერი წერედიანი ხუთ წუთში ამოვარდა თავისი შინდისფერი „ჟიგულით“. ერთი დახედა, ვითარება წამში გაარკვია და ტელეფონისაკენ გაიქცა, საავარიო ბრიგადა გამოიძახა. საავარიოს რიგ-რიგობით უფროს-უფროსობა მოჰყვა. ალბათ ინფორმაცია მაღლა-მაღლა მიიწევდა და ყოველი ახალი დარეკვით უფრო დიდი მასშტაბის ხელმძღვანელს სწვდებოდა. ბოლოს მთლად გენდირექტორის შავი „ვოლგა“ ამოგუგუნდა. ერთი ციდა კაცი იყო გენდირექტორი, სავარძელში ბავშვივით ჩაიკარგებოდა, მაგრამ სადაც ფეხს დაადგამდა, იქ თითქოს სიცხე მატულობდა. ხელქვეითნი პატივისცემით „გენერალს“ უწოდებდნენ. ეს ამოდენა, მოდღლეზილი ბიძები მისი მრისხანე მზერის ქვეშ ერთბაშად პატარავდებოდნენ.

ახლაც მანქანა გაჩერებული არ იყო, ჩოგბურთის ბურთივით გადმოხტა, იქით გავარდა, აქეთ გამოვარდა, უსაქმურად დამდგარი, ნაკლები რანგის ხელმძღვანელობა წამში იფრინა.

ინჟინერ წერედიანს ოფლის ხვითქი გასდიოდა. უკვე ორი საათი გავიდა, რაც ჯახირობდნენ და ფარს ვერაფერი მოუხერხეს, ძალაყინებით, ურეებით, ბერკეტებით წვალობდნენ, მაგრამ ერთბაშად რამდენიმე კაცი ვერ უდგებოდა, ცხვირწინ კი, ხელის გაწვდენაზე, მღვრიე და ცივი მორევი ბობოქრობდა, ძაბრში ისრუტებოდა, თითქოს ლამობდა, ეს კომბინეზონიანი კაცები ჩაეთრია... ილიკო ლაგვილავას მკლავის ღონე გამოეცალა, ძალაყინი გაუვარდა და ეს რკინა ნაფოტივით ატრიალა, ჩაითრია, ქაფში გაახვია და წყალსავარდნზე გააბურთავა...

— არ შეიძლება ასე! — აყვირდა უცებ ჭუტია. — არაფერი გამოვა ასე!

— ნუ ყვირი! — შეუღრინა ლაგვილავამ. — შენი ყვირილი გვაკლდა სწორედ!

— არ შეიძლება ასე! — ჭუტიამ ძალაყინი ძირს დაახეთქა, წერედიანს მივარდა, თან პირისახე ნერვულად განზე მოექცა. — ასე არ შეიძლება, უფროსო! ჭკუა უნდა, ჭკუა!

წერედიანმა პირი დააღო, თქმით კი ვერაფერი თქვა.

„გენერალი“ წინ გადაუდგა ჭუტიას, ყველაზე პატარა იყო, მაგრამ ჭუტიასთან გიგანტი ჩანდა.

— შენ ამბობ, რომ კაუჭი ქვემოდან უნდა ამოვდოთ ფარს?! — მოწყვეტით შეეკითხა.

ჭუტიას ენა ჩაუვარდა, ვერც ჰო თქვა, ვერც არა.

„გენერლის“ გამჭრიახ თვალებში ნაპერწკალი აციმციმდა, ძირისძირობამდე ხედავდა ყველაფერს.

— სწორი ხარ, ძმობილო, მაგრამ მე და შენ რომ ჩავიდეთ, წინწილებივით მიგვახრჩობს!

წყნარად ლაპარაკობდა, მაგრამ ყველამ გაიგონა და უცბად შეწყდა უთავბოლო ფაციფუცი, საავარიო ბრიგადის წევრებიც, ილიკო ლაგვილავაც, კუხუნაც, ინჟინერი წერედიანიც ხელებჩამოყრილნი იდგნენ და არავინ ცდილა, პირველს დაერღვია სიჩუმე.

— ეს საშიშია, ძმობილო, მე ვერავის დავაძალებ! — ისევ მშვიდად, ხმადაბლა თქვა „გენერალმა“.

მზე უკვე ჩადიოდა ალბათ, ბინდი მოეფინა არემარეს. ციდან კვლავაც ცრიდა, სიცივე ძვალ-რბილში ატანდა. ფარქვეშა ღიობიდან წყლის შადრევანს შხუილი გაჰქონდა.

ზემო ბიეფზე პროჟექტორები აანთეს.

წყალსაცავის დონე საშიშრად მატულობდა.

— მე უნდა ჩავიდე, არა?! — ჭუტიამ გამხდარი მუშტი დაიკრა ჩიტის მკერდზე. — კი, ბატონო, ჩავალ, აბა რას ვიზამ! ჩემისთანა სულელი მეტი არავინაა აქ!

კუხუნამ თათი დაადო მხარზე. მძიმე, მეგობრულმა ტორმა ჭუტია წელში მოღუნა.

— ამდენს არ ყაყანებდე ერთი!.. აქ კი არა, ორღობეში რომ გუბეა, იმას ვერ გადაცურავ! — დაიბუბუნა. — მოიტა, ბრიგადირო, თოკის ბოლო.

მერე კი... იოლი არაა მოსაყოლად, რაც ზემო ბიეფზე მოხდა. ცხოვრებაში დგება ისეთი წამი, როცა დრო თითქოს ერთიანდება, მისი დანაწევრება შეუძლებელია, თანმიმდევრულად ვერ გაშლი თხრობას. დეტალებს მნიშვნელობა ეკარგება, რადგან ყველაფერს ჩრდილავს ერთი უზარმაზარი, ყოვლისმომცველი განცდა — გრძნობა საშიშროებისა...

შიში ყველას გადაედო, თუმცა სახეზე არავის დასტყობია იგი. მხოლოდ ჭუტიამ, ნირშეცვლილმა და დარცხვენილმა, მოულოდნელი შვების გამო, გადარჩენის სიხარულმა რომ მოჰგვარა, წასჩურჩულა:

— მოეშვი რა, ეშმაკსაც წაუღია!

კუხუნამ ყური არ გააპარტყუნა, ანდა როდის უგდებდა ჭუტიას ბუზღუნს ყურს. შიშველ ტანზე ბრეზენტის შარვალ-ხალათი ჩაიცვა, ყველა ღილი შეიკრა. წყლისაგან ვერ დაიცავდა, მაგრამ რკინა და ხიჭვი არ გაფხაჭნიდა. წელზე თოკის ბოლო შემოირტყა. ბაგირის მსხვილი კაუჭიც დაიმაგრა, თუმცა იმ სიდიდისა იყო, შეეძლო ზედ ბარძაყი ჩამოეყრდნო. სხვები საქმიანად, გარეგნული სიმშვიდით აღსავსენი ეხმარებოდნენ, თუმცა თავს მაღლა ვერ სწევდნენ, დარცხვენილნი და შემკრთალნი, საკუთარი გაუბედაობით დათრგუნვილნი. წერედიანი წამდაუწუმ იმშრალებდა შუბლს და ცხვირსახოცი გასაწური გახდომოდა. იქნებ ჭირის ოფლს იწმენდდა, იქნებ წვრილ წინწკლს, ციდან რომ უხმოდ ეფინებოდა და პროჟექტორებით განათებულ არეს მრუმე ნისლით ბურავდა. ილიკო ლაგვილავა თოკის ბოლოს ისე ჩააფრინდა, თითები ასტკივდა, კუხუნამ კი ერთიორჯერ ამოხედა, უთქმელად შეახსენა, მოუშვი ცოტათი ეს თოკი, მთლად ნუ დამაბიო. მხოლოდ „გენერალი“ დაშოშმინდა, ზურგით „ვოლგას“ მიეყრდნო და ისე ადევნებდა თვალს.

კუხუნა ფარის ზედაპირს ჩაჰყვა ფრთხილად. მაჯის სიმსხო ფოლადის ბადეზე იმაგრებდა თავს. წელამდე რომ ჩაეშვა, იგრძნო, როგორი საშინელი ძალით იწოვდა ცივზე ცივი ნაკადი. სიცივისა და დაძაბულობისაგან გააჟრჟოლა. თავიდან ამოიგდო საშიში ფიქრი, განსჯისათვის ახლა არ ეცალა, თუმცაღა იცოდა, წამიერი სისუსტეც კმაროდა, დაატრიალებდა საშიში მორევი, თავბრუს დაასხამდა, თვალისდახამხამებაში შეჩრიდა ფარისქვეშა ღიობში, ან იქვე მიახრჩობდა, ან თუ თოკი გაწყდებოდა, ელვისუსწრაფესად ჩააქანებდა წყალვარდნილზე. იქ კი ბეტონის ბურჯებს მიალეწავდა, კუბოში ჩასადებსაც ვერაფერს წაიღებდა მისი ელენე. ცოლის სახე წამით გაკრთა და უმალვე მიინავლა. თოკს მოჰქაჩა, მოაშვებინა... მკერდამდე რომ უწია, წყალმა გაატანა ბრეზენტის ტანისამოსს, სიცივე ისე შემოეჭ-

დო, თითქოს შიშველი ჩასულიყოს ყინულჭრილში. ჩაყურყუმელავება არ უჭირდა, ნაკადი ხომ ზუსტად ქვევით ექაჩებოდა. ცდილობდა ზედმეტად არ აჩქარებულიყო, არ ეცდუნა, ბოლომდე არ ჩაეტყუებინა წყალს. თვალდახუჭული ჩაეფლო, მღვრიე წყალში მაინც ვერაფერს დაინახავდა, ისე კი ციცქნა ჩხირსაც შეეძლო თვალი წამოეგდო. ორიოდე მეტრის სიღრმემდე ჩაღწია ალბათ, ასე ივარაუდა. სული შეუგუბდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ილიკომაც ზედმეტად მოქაჩა ბოლო, კუხუნაზე მეტად თუ ეშინოდა. იგრძნო კუხუნამ, წამიც და გრძნობას დაკარგავდა. ღონივრად ამოიწია. ისე ძნელი აღმოჩნდა ნაკადიდან თავის დაღწევა, თითქოს ათასი ხელი ჩამოჰკიდებიაო მხრებზე.

თავი ამოჰყო და ხარბად ისუნთქა. ილიკომ და ჭუტიამ გადმოხედეს, როგორაა საქმეო. წყლის დგაფუნში ხმა ვერ გაიგონა. ანიშნა. მოუშვი ეს ოხერი თოკი, ნუ მექაჩებიო. ვერ მიახვედრა და გულმოსულმა თოკის ბოლო მთლად შეიხსნა.

ცოტა ხანს ისვენებდა, ზევიდან უყვიროდნენ, თოკი რად შეიხსენიო, მაგრამ არაფერი ესმოდა. გული ცოტათი დაიამა. თანდათან სიცივეს შეეგუა თითქოს, უკვე ვერ გრძნობდა წყლის მტკივნეულ ჯგლეთას. მარტო იმას ცდილობდა, შიში ბოლომდე დაეძლია და ფილტვები ჰაერით აევსო. ღრმად ჩაისუნთქა და კვლავ ჩაყვინთა. წყალმა სწრაფად ჩაითრია. კუხუნა ამობრუნდა, თავით დაბლა წავიდა. სიღრმეში წყლის მოწოლა უფრო ძლიერდებოდა. ყოველი წამი ტანჯვისა და სიცოცხლის ფასად ეძლეოდა, ყოველი წამი უზარმაზარი დროის მონაკვეთი გახდა. ხელი გააყოლა ფარის ზედაპირს, ძირი მოუსინჯა. იმ ადგილას წყალი დანისპირივით ჭრიდა და მოეჩვენა კიდეც, ნაკადმა თითები წამაცალაო. ტკივილისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ცალი ხელით ბადეზე ეკიდა, მეორეთი კი ფოლადის ბაგირი გამოსწია, შეეცადა კაუჭი ფარის ძირისათვის მოედო. მაჯისსიმსხო ბაგირი იოლად არ დრკებოდა, მკლავის ღონე კი უჩვეულოდ დააკლდა. ორჯერ აუსხლტა კაუჭი, მესამეჯერ, როცა მიხვდა, წამიც და გონებას დავკარგავო, კაუჭი ძირს გამოედო და ბაგირი დაიჭიმა. და უცებ თავში ყველაფერი აირია, აღარც ახსოვდა, რისთვის იყო ამ ჯოჯოხეთში ჩამოსული.

აზრი ქრებოდა, მაგრამ ინსტინქტური სწრაფვა სიცოცხლისაკენ აიძულებდა ემოქმედა. ძალ-ღონეს მოუხმო, რათა დაეძლია წყლის წინააღმდეგობა. თავი რომ ამოსწია, თვალი გაახილა და სინათლე ვერ ნახა, ღონე ისე დალეოდა, ახლა ჭუტიაც წააქცევდა. წუთით შეისვენა, ქშინავდა, ნელ-ნელა მოდიოდა გონს, თვალის ჩინი უბრუნდებოდა. მძიმედ, მძიმედ ამოჰყვა ბადეს. ხელები შეაშველეს, მაგრამ მოიშორა და ფეხზე თვითონვე წამოიმართა. წყალი წურწურით ჩამოსდიოდა და, სანამ ილიკო ლაგვილავა ამწეს რთავდა, გახდას შეუდგა. ჭუტია იქვე ხტუნავდა, რაღაცას ქაქანებდა, ისე იყო გახარებული, არ იცოდა როგორ გამოეხატა და უმისამართო, ბილწი გინების კორიანტელი დააყენა. მერე უცბად ჯიხურისაკენ გავარდა, სადღაც გადანახული არყის ბოთლი გამოაცუნცულა.

კუხუნა კი თავისთვის იღიმებოდა, ჭუტიას გინებას ერთ ყურში შეუშვებდა, მეორედან გამოუშვებდა. არყის ბოთლი გამოართვა, მოიყუდა და სულ ბუყბუყით ჩაიცალა, ამ დროს კი პირისახეზე წვრილი წვიმა აცრიდა.

ამწის ძრავა აზუზუნდა, ბაგირი დაიძრა და უცბად ჭახანი გაისმა. ფარი ამოქანდა, გასწორდა, აუჩქარებლად ამოსრიალდა.

დგრიალი მოადინა წყალმა. თეთრი ჩანჩქერი ჩაინთქა, დაქანდა ქვემოთ, გავაკებაზე, ჯიუტად შუბლწამახულ ბურჯებს მიემსხვრა და იქ იმოდენა შადრევანი წამოიმართა, თითქოს რძის ვულკანი ამოფრქვეულიყოს.

— გაუმარჯოს! — პირი მოაღო ჭუტიამ.

„გენერალი“ მოცუნცულდა და მხარზე ხელი მოუთათუნა კუხუნას, წერედიანი მოიხმო.

— პრემია მაგას, თანაც სოლიდური!

ჩაჯდა შავ „ვოლგაში“ და გაქრა.

— პრემია?.. ახლა ფული ვაკადრო ამას? ფულის გულისათვის არ ჩასულა მაგი! — წერედიანმა მკლავზე ხელი გამოსდო კუხუნას, მეგობრულად ჩაეხუტა. — აბა, ბიჭებო, ყველას გეპატიჟებით რესტორანში! ეს ჩვენი გმირი უნდა ვაქებინოო!

კუხუნამ კი, უკვე საკმაოდ შეჭიკჭიკებულმა, გამთბარმა, გალაღებულმა — „უჩემოდ, ბიჭებო!.. შინ მიმეჩქარება!“

ზანტად შებრუნდა და სიბნელეს შეერია.

ჭუტიას ცეცხლი წაეკიდა, ახტა-დახტა:

— ყელი გამომჭერით, თუ მაგას ძროხა არ ჰყავდეს გამოსაწველი!

კაცებმა ჩაიცინეს და ზოგი წერედიანის შინდისფერ „ჟიგულში“ ჩაიკუჭა, ზოგი საავარიო ბრიგადის მანქანაში...

კუხუნა შინისაკენ მიალაჯებდა. უჩუმრად ცრიდა. ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა. თუმცა წყალსაცავის ნელი ტყლაშუნი ისმოდა შორიახლო. „ეჰ, როგორაა ახლა ჩემი ელენე!“ — გაიფიქრა კაცმა და სიბნელეში ჭიშკრის საგდულს ძლივს მიაგნო.

ბოსლიდან ზუნტრას ჩუმი ზმუილი მოისმოდა...

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 23 ნოემბერი, 1984, კრებული „კუნძული“, 1988, გამომცემლობა „საქართველო“.

ადრეული ნაწერები

ორნი ბილიკზე

სასჯელი ჩემი არ შესულა ძალაში ჯერაც,
არ დაუჭედავთ ფიჭვის ყუთი, არა და არა
მაშ, შეაჩერონ, შეაჩერონ სამარის გათხრა.

ლუის კარლოს ლოპესი

(თარგმნა თამაზ შეშაბერიძემ)

მწვერვალიდან ფართო პანორამა იშლება. ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე გაწოლილან ველები.

აღმოსავლეთით, ცის კიდეზე, ბუჩქებით დაფარული სელვის, ჯუნგლებით ახუნძლული გორაკების, მდინარეთა ვერცხლისფერი ზოლების, სანაპირო ქალაქებისა და სოფლების იქით ცისფერი ზოლი გასდევს. ეს ატლანტიკაა, დიდი ოკეანე და სამყაროს კარი...

დასავლეთით, შაქრის ლერწმის პლანტაციების, მაისის ყანების, მდინარისპირა ჭალების და ჯაგნარების, დანისლული ხეობებისა და ფერდობზე გამოფენილ ქოხმახებს იქით, თეთრად ბრწყინავს მარიამ ღვთისმშობლის ტაძრის კედლები. ეს ნუესტრა-ბარსელონაა, ტაძრების, საპყრობილეებისა და ბანკების ქალაქი.

ტატნობზე კონდორს გაუშლია ფრთები. ზვიადია მისი ფრენა. უსაზღვროების მეუფედ გრძნობს თითქოს თავს. გიგანტურ სპირალებს ავლებს ცაზე; სატახტო ადგილს ირჩევს სალი კლდის წვერზე. გადაჰკივლებს ხოლმე მის ქვეშ გაშლილ ქვეყ-

---

ოცდაორი წლის ავტორი თავს აღიქვამდა ჩე გევარას თანამოაზრედ. ბუნებრივია, ავტორის პოზიცია კომუნისტური იდეოლოგიის გულუბრყვილო გააზრებიდან გამომდინარეობს.

ანას, მაგრამ დედამიწამდე მისი საომარი ყიჟინა ვერ აღწევს. ანდებიდან მონაქროლ ნიავს მიაქვს იგი ოკეანისაკენ...

დიდია ეს ქვეყანა, ყველას ეყოფა საცხოვრებლად. თუ გაუჩო ხარ, ტრამალებისა და სტეპების შვილი, გვერდზე ლასო თუ გკიდია და ძარღვებში თუ სისხლი გიდუღს, თუ უსაზღვროა შენი სიმამაცე, ძალა, თვალთახედვა, აჰა, შენს წინაშეა მთელი სამყარო, გააქროლე შენი ფეხმარდი ჰორიზონტისაკენ! როდესაც ცის კიდეს მიაღწევ, სხვა ჰორიზონტი გადაგეშლება, იმის იქით კიდევ სხვა, იმის იქით კორდილიერებია, ანდები ჩაჰკონებია კონტინენტს; მთა მთას ებღაუჭება, ქედი ქედს დაუგრეხია... ოცდაათი ახალნახედნი ტაიჭი მოგგვარონ, სელვებში ლაღად ნაზარდნი, ოცდაათივე დაგივარდება ამ ქროლაში და ბოლო არ გამოჩნდება მაინც...

დიდია ეს ქვეყანა... მთელი დღე რომ აჭენო სელვაში, ორ კაცს ვერ შეხვდები გზაზე; მიწას ბარი რომ დაჰკრა, ათას სიცოცხლეს ვერ გადაბარავ, დაბარულის დასათესად ქვეყნიერების ბეღელი არ გეყოფა; მოსავლის ასაღებად კი — უსასრულობა... თუ გინდა ცას სწვდებოდე სიმაღლით, დედამიწას უჭირდეს შენი ტარება, თუნდაც თითო ღერი ხორბლიდან თითო მარცვალი მიიღო სარჩოდ, მაინც გეყოფა ეს ქვეყანა საცხოვრებლად. უამრავი ნადირია ტყეში, უამრავი ფრინველია ცაზე და სანამ არ გამოილევა ადამიანის შუბლზე ოფლი, ხელისგულზე ბებერა, რა გამოლევს ხეებზე ხილს, ყანებში — მაისსა და ბრინჯს, ბაღებში — ყავასა დ ფორთოხალს...

დიდია ეს ქვეყანა და ყველას ეყოფა საცხოვრებლად. რამდენი ხეა ჯუნგლებში, იმდენი ქოხი აიგება; რამდენი ფოთოლი აცვია პალმას, იმდენი სახურავი გადაიხურება; რამდენჯერ იელვებს ცაზე, იმდენი ცეცხლი აგიზგიზდება კერაში; რამდენი ვარსკვლავი აინთება ღამით, იმდენი ქორწილი გადაიხდება, იმდენჯერ დაიკვნესებს გიტარა სენიორიტას ფანჯარასთან.

ტატნობზე კონდორი დაფრინავს ზვიადად. დაჰკივლებს ხოლმე ცის კიდედან კიდისაკენ გადაშლილ ქვეყანას. დედამიწამდე ვერ აღწევს მისი საბრძოლო ყიჟინა. ანდებიდან მოქროლილ ნიავს მიაქვს იგი ოკეანისაკენ... და როდესაც მზე აიწევა

ზენიტისაკენ, როდესაც სელვაზე გადაყუდებული სალი კლდე ჩუმი წადილით დაიღლება, ფრინველთა მეუფე კი უსასრულობასთან ბრძოლაში დაკარგავს ძალას, უკანასკნელი კივილით დააფრთხობს ველ-მინდვრების მცხოვრებთ. მერე მხრებს შეიკუმშავს, ქვასავით წამოვა ძირს და ფრიალოზე ჩამოჯდება დასასვენებლად; ფრთებს ააბათქუნებს, დაიბერტყავს, ტანზე შემოიწყობს და თვალებს მილულავს. უამრავ სიზმარს ხედავს ფრიალოზე წამომჯდარი კონდორი, ათასნაირი სურათი ირევა მის წინ, ჰორიზონტები ქანაობენ მის თვალებში... მერე თითქოს მოაგონდება რაღაც, რაღაც მოეჩვენება; ჯუნგლები ეძახიან თითქოს, ქედების კალთებზე რომ არბიან ტალღებივით; ჟანგიანი კლდეები ეძახიან, ალესილი დანებივით რომ ატყორცნილან ცისკენ; მწვერვალები ეძახიან, ღრუბელთა სამყაროდან რომ გადმოსცქერიან ქვეყნიერებას... გამოიღვიძებს, მხრებს წამოსწევს, მოსწყდება ქარაფს და ქედთა გრეხილებს მიაშურებს...

დიდია ეს ქვეყანა, კონდორები ნავარდობენ მის ცაზე...

ორნი მიდიან ბილიკზე. სელვაში იწყება კლაკნილი გზა და სელვაშივე იკარგება. ცა მოჩანს მხოლოდ, ლერწმის კედელი ირგვლივ და უკარება, სალი კლდე გადმოყუდებულა ზევიდან.

ცა ლურჯია და უსაზღვრო. კონდორი მიფრინავს ანდებისაკენ.

ნეტავი კონდორივით შეეძლოს ადამიანს ფრთების გაშლა! გაინავარდებდა, კამარას შეკრავდა, გადახედავდა ოკეანესა და მთებს შორის გართხმულ ქვეყანას და სიხარულის ყიჟინა აღმოხდებოდა მკერდიდან, გულში ჩაიტევდა უსაზღვროებას...

აუჩქარებლად მიდიან მოხუცი და ყმაწვილი, მამა და შვილი, ტუსაღი და გუშაგი... ორივე თავის მოვალეობას ასრულებს. ერთი უნდა მოკვდეს, მისთვის განუზომლად საყვარელია მზე, ცა და დედამიწა. მეორემ უნდა იცოცხლოს, ყმაწვილია და რამდენი რამ არ იცის ჯერ! ჰგონია, რომ მისთვის სამუდამოდ მიუციათ ღმერთებს მზეც, ცაც და დედამიწაც. ამიტომ სხვა ფიქრები აწუხებს ყმაწვილს.

— მშვენიერი ამინდია, — თქვა უფროსმა. ჩია ტანის მოხ-

უცია, ოდნავ კოჭლობს. წითელზოლებიანი პონჩო გადაუგდია მხრებზე, გაცვეთილი ქალამნები აცვია.

— მშვენიერი ამინდია, სიცხემ თუ არ მოგვისწრო, — გაიმეორა მან. მოხუცს ხელები ზურგს უკან აქვს გაკრული. ბაწარს შეუჩერების სისხლის მოძრაობა და ხელები ებუჟება.

— მეგონა გაწვიმდებოდა, მაგრამ ღრუბლის ნაფლეთიც არსადა ჩანს.

ოდნავ წაგრძელებული სახე აქვს, ღრმა ნაოჭებით დაფარული. ლოყები ჩავარდნია, სახეზე სიყვითლე მოსდებია. მხოლოდ ღაწვები წამოსწითლებია და თვალები უკიაფებს.

— თუმცა, წვიმაც არ იქნებოდა ურიგო. იცოცხლე, კარგი ჩვენებური ღვართქაფი რომ დასტეხოდა ამ მხარეს...

— იარეთ, მე არ მსურს თქვენთან ლაპარაკი!

ყმაწვილი თვრამეტი წლისა თუ იქნებოდა. მამასავით პატარა ტანისაა, შავგვრემანი და თეთრკბილება. ფედერალური ჯარის ფორმა აცვია. ხელში ავტომატი უჭირავს.

— კანონით აკრძალულია ტუსაღთან საუბარი!

ოვალური სახე აქვს ყმაწვილს; წამწამები და ღაწვები გოგონას მიუგავს.

— არ გინდა და ნუ მელაპარაკები! მე ჩემთვის ვლაპარაკობ. მოვიდეს შენი კანონი და პირი ამიკრას!

ყმაწვილი დუმს. ბილიკი მიიკლაკნება სელვაში. ხანდახან გამოვარდება შაქრის ლერწმის პლანტაციებზე, ჩაურბენს მაჩეტეროს ქოხს და ისევ ლერწამში იკარგება.

მოხუცი ოხრავს. რამდენი ლერწამია ამ ქვეყანაზე, რამდენი შაქარი გაკეთდება მისგან? ყველამ ლერწმის თითო ღერო რომ გამოწუწნოს, მარტო ეს მინდორი ეყოფოდა ქვეყანას; ყველა ბავშვმა რომ მოითხოვოს თითო შაქარლამა, ეს მინდორი ეყოფოდა ყველას.

პატარა რომ იყო, შაქარლამაზე ოცნებობდა, ბევრ შაქარლამაზე. გაიზარდა და ისევ შაქარლამაზე ოცნებობდა; რომ ყველა პაბლიტოს, პეპიტოს, სანჩიტოს ჰქონოდა შაქარლამა. უკვე დაბერდა, სიკვდილად მიეშურება, შაქარლამა კი ისევ მიუწვდომელია... მოხუცი დედა მოაგონდა. ხუთი სენტავო აჩუქა შაქარლამისათვის. ახლაც ახსოვს იმ ხუთი სენტავოს ციაგი, იმ შაქარლამის სიტკბო, იმ მზის მცხუნვარება და ლაჟვარდის სიკამკამე.

დაღლილობა იგრძნო. ნეტავი მას, ვისაც შეუძლია ბალახზე გაიშხლართოს, დედის კალთაზე თავი მიდოს, ზეცას თვალები გაუსწოროს.

— არ დაიღალე?

— იარეთ!

ოკეანისპირა ქალაქი ახსენდება ყმაწვილს. ჯერ კიდევ გუშინწინ დასეირნობდნენ სუკრეს სანაპიროზე. ყმაწვილმა შაქარლამა უყიდა მუჩაჩას. მერე მთვარემ გამოიხედა და გიგანტური ხიდი გადატყორცნა ოკეანეზე. მთვარის მზერას ემალებოდნენ ბებერი როდოდენდრონის ქვეშ. კატასავით უელავდა მუჩაჩას თვალები. მის ტუჩებს კი შაქარლამის გემო გადაჰკრავდა.

— არ გინდა მელაპარაკო და ნუ გინდა! მეც შემიძლია ჩუმად ვიარო.

დილით ალბათ მოკვდება. რამდენი რამ აქვს სათქმელი... ქვეყანა დიდია და მშვენიერი. დღე ნათელია, უღრუბლო. მზე მიიწევს ზენიტისკენ. სიცხე მატულობს. ლერწამი მიყუჩებულა. დედამიწის სუნთქვა ისმის მხოლოდ... რამდენი რამე მოკვდება მასთან ერთად ხვალ დილით.

— დიახ, დიახ, არ მსურს!

სიცხარე ეტყობა ყმაწვილის ხმას. პატარა ბერეტს ქვემოდან გადმოცვენილი კულულები უთრთის შუბლზე.

— კარგი, გეთაყვა, ოღონდ შენ ნუ ღელავ...

— მე არ ვღელავ!

ამას წინათ ლეიტენანტმა საპომ მონახა კაბარე „ტირადანტესში“, სასწრაფოდ გიბარებენო შტაბში. ქალაქის მთელი გარნიზონი ფეხზე იდგა თურმე. ვიღაც ყაჩაღი დაიჭირეს, ბორკილებით უზით საკანში და ოცდაათი ჯარისკაცი ყარაულობსო. ყმაწვილს არაფერი ესაქმებოდა ყაჩაღებთან. ის აბსენტს ასინჯვინებდა თავის მუჩაჩას. ლეიტენანტმა საპომ ჩაიქირქილა, მე გავაცილებო შენს ჩიტუნიას. ყმაწვილი მზად იყო ეთხლიშა ლეიტენანტისათვის, მაგრამ მუჩაჩა ჩამოეკიდა მკლავზე.

პირდაპირ პოლკოვნიკთან შეიყვანეს. აქამდე არასოდეს ენახა პოლკოვნიკი. ჩამრგვალებული მოხუცი აღმოჩნდა, წითელცხვირა. „ყმაწვილო! სამშობლო გაძლევს ფრიად მნიშვნელოვან დავალებას! იმედია, პირნათლად შეასრულებ!“ — კარებშივე შეაგება.

რამდენიმე საათი ისაუბრეს. მეორე დილას ტუსაღი საკნიდან გამოიყვანეს, ბორკილები შეხსნეს, ხელები ბაწრით გაუკრეს და ყმაწვილს ჩააბარეს. უბრძანეს, ფეხით უნდა ჩაიყვანოო პუერტო-ბარსელონაში. ჩახმახზე გეჭიროსო თითი, — წასვლის წინ გააფრთხილა პოლკოვნიკმა.

— მე არ ვღელავ! — გაიმეორა მან. — მაგრამ რაზე უნდა გელაპარაკოთ?! წამოსვლის წინ მითხრეს, რომ მე თქვენი შვილი ვარ... პირველად არც კი მჯეროდა... ახლა კი მჯერა, მაგრამ...

მრავალი წელი ოცნებობდა მამასთან შეხვედრაზე, დარწმუნებული იყო, რომ შეხვდებოდა, ოღონდ სხვა ვითარებაში...

— ჩვენ, შესაძლებელია, ერთმანეთის სისხლი და ხორცი ვართ, მაგრამ სულ სხვადასხვა გზით მივდიოდით და ამ გზებმა წაშალა მამაშვილობა, სისხლი და ხორცი, მტრები გაგვხადა... თვრამეტი წელი შემისრულდა და ერთხელაც არ მინახიხართ...

პოლკოვნიკმა ყავა შესთავაზა. მერე დიდხანს ელაპარაკა სამშობლოზე, ღმერთზე, დედაზე, ბოლივარზე უყვებოდა და სუკრეზე.

— ჩვენს საოჯახო ალბომში თქვენი სურათიც არ გვქონდა. თუმცა რა საჭირო იყო. პრესის ფურცლებზე ხომ უხვად იყო თქვენი პორტრეტები გაბნეული. ახლა ვხედავ, რომ არც ერთი არ ჰგავდა ორიგინალს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს!

ღმერთებს ალბათ ხუმრობა უყვართ, ცუდი ხუმრობა. რატომ უნდა იდგეს თვრამეტი წლის ყმაწვილი დილემის წინაშე: მამა თუ მოვალეობა.

— ჩემი ენა ვერ წარმოთქვამს სიტყვას „მამა“ და თუ გულწრფელობა შეგრჩენიათ, უნდა მიმიხვდეთ, რატომ... ბოროტებას თან მოჰყვება საზღაურიც. ახლა ვხედავ, რა საშინელი ყოფილა ეს საზღაური... მამა ტუსაღია, შვილი კი მისი გუშაგი

ჭეშმარიტად, ღვთისმშობელი განრისხებულა ჩვენს გვარზე...

— წმინდანებსა და ღმერთებს ჩვენთან საქმე არა აქვთ.

ისიც იყო ოდესღაც ბავშვი და როდესაც ათი წელი შეუსრულდა, აცრემლებული ეხვეწებოდა ღმერთს, წმინდანებს, მზესა და მთვარეს, ნუ წამართმევთო დედას, ნუ დამტოვებთო ობლად... დედას ტანჯვაში აღმოხდა სული. მას შემდეგ მოხუცისა და ღმერთის გზები გაიყარნენ.

— დედა ჩიოდა, რომ თქვენ უღმერთო ხართ, არასოდეს გილოცნიათ, მოძღვართათვის არ გაგიზიარებიათ თქვენი ცოდვები, ერთი სენტავოც არ დაგიხარჯიათ ღვთის საქმისათვის...

— მე ინდულგენციებს არ ვყიდულობ.

მოხუცი მოღუშული მიაბიჯებს. მრისხანება აწვება მკერდზე, მაგრამ თავს იკავებს. ეჰ, ცხოვრებავ! ერთხელ თუ შეცდი, იცოდე, საუკუნეც ვერ გამოასწორებ გამრუდებულს... შავებიანი ქალი წარმოუდგა თვალწინ. ის, ვინც შვილის გულის კარიბჭესთან იდგა და თვრამეტი წელიწადი ქვიტკირის ზღუდეებს აგებდა, რათა მამას ვერ შეეღწია შიგ.

— ზოგჯერ ადამიანს ცხოვრება გაგიჭირდება, ზოგჯერ სიკვდილსაც ინატრებ. მაშინ ლოცვა თუ გიშველის, სულს დაგიმშვიდებს, იმედებს ჩაგისახავს...

რამდენჯერ დაცემულა მუხლებზე მარიამის წინ: „ღვთის მშობელო მარიამ, მომეც ძალა...“

— მე გულის მალამო არ მჭირდება.

— ხომ უნდა სწამდეს ადამიანს რამე?

— მე ჩემი იდეალები მაქვს და მათთვის ვიბრძვი.

მაჩეტერო შეხვდათ გზაზე. დაფლეთილი პონჩო მოეგდო მხარზე. სომბრერო შუბლზე ჩამოეფხატა. გაკვირვებული მზერა გამოაყოლა მამა-შვილს.

შვეულმფრენის გუგუნი გაისმა მაღლა.

— ის მაინც მითხარი, დედა რასა იქმს?

— ნუთუ გაინტერესებთ დედაჩემის ბედი?!

— რატომაც არა! მე ხომ ის ოდესღაც მიყვარდა.

— რაო?!

სული ყელში ებჯინება, გული ეხეთქება კედლებს. თავში სისხლი აგივარდება, ნებისყოფამ უნდა დაგიოკოს სიშმაგე,

კბილები უნდა შეკრა, სიმშვიდის ნიღაბი უნდა აიდვა სახეზე. ძნელია იყო საკუთარი მამის გუშაგი, საძულველი მამისა, ბოროტების მეტი რომ არა უთესია რა. რამდენი საშინელი წუთი უნდა გადაიტანო, რამდენი დამცირება. როგორი მოთმინება უნდა მოიკრიბო, მრისხანების წამს ჩახმახს თითი რომ არ გამოკრა, მამისმკვლელის სახელი რომ არ დაგერქვას საუკუნოდ... სად არის ის ბრძოლის ველი, ის ბარიკადები, სადაც თანასწორ ბრძოლაში უნდა დაემარცხებინა მტრად გადაკიდებული მამა! მიყვარდაო? ჰმ, მიყვარდაო...

— ალბათ ერთი წლისა თუ ვიქნებოდი, როდესაც თქვენ ის თავიდან მოიშორეთ, შეურაცხყავით და მიატოვეთ. და მერე ვინ?.. ქალი, რომელიც ღვთისმშობელივით პატიოსანია და გულისხმიერი, რომელიც სილამაზით პირველია დედამიწის ზურგზე, რომლის კეთილშობილება უდავოა ყველა მისი ახლობლისათვის. ბრმა ყოფილა მხოლოდ. ნეტავი სად ჰქონდა თვალები, თქვენ რომ აგირჩიათ ათას სხვა კაბალიეროში... თქვენ კი, თქვენ ბედავთ აუგად მოიხსენიოთ? თქვენ ბედავთ სიყვარული უწოდოთ გრძნობას, რომლითაც ბღალავთ მის უმწიკვლო სახელს...

— მხოლოდ ისტერიკის გარეშე!.. მომიყევი, როგორ ცხოვრობდით ჩემი წასვლის შემდეგ?

როგორ ცხოვრობდნენ? განა ასე ადვილია ამისი თქმა? ყმაწვილის ბიოგრაფია შეიძლება რვეულის ერთ ფურცელზე მოათავსო, შეიძლება ათასი ტომი დაწერო და მაინც არ გეყოს. მართალია, შიმშილი არ უგრძვნია, სხვაზე ცუდად არ ყოფილა ჩაცმული, სათამაშოებიც საკმაოდ ჰქონდა; გაზეთებით ხელში არ უწანწალია ქალაქის ქუჩებში, არც ფეხსაცმელი უწმენდია ვინმესთვის, ჩემოდნები არ უთრევია რკინიგზის სადგურზე, დედამისს ხელები არ დაკორძებია რეცხვისაგან... და მაინც, ეთქმის განა მის ცხოვრებას ნათელი და ბედნიერი?

— რა არის აქ მოსაყოლი? ვცხოვრობდით როგორც ყველა. დედამ სახლი იყიდა სანაპიროზე. მე დავდიოდი სკოლაში, ვემზადებოდი უნივერსიტეტისათვის, მაგრამ, აი, გამიწვიეს...

— მეტი არაფერი?

— მე ძალიან ცოტა ვთქვი...

არცაა საჭირო ბევრის თქმა. პოლკოვნიკი ეკითხებოდა დედაზე, იმ ტანჯვაზე, რაც ყმაწვილმა გადაიტანა. საუბარმა თითქოს ნათელი გახადა, ვინც იყო ამის მიზეზი. ეს ადრეც იცოდა ყმაწვილმა. სიძულვილმა იმატა მის გულში, შურისძიების სურვილმაც. ეძებდა ბარიკადებს, ცხენთა ქროლვას, ტყვიის შხუილს...

— საბრალო დედა! რამდენი ტანჯვა-წამება გადაიტანა...

სავარძელში ჩაეძინა ერთხელ. დედა ვახშამს ამზადებდა, ცდილობდა არ ეხმაურა. დაისვენოსო ბიჭმა, გამოცდებისთვის ემზადება და დაიღალაო. ვიღაცამ წიხლი ჰკრა კარებს. კარები გასკდა, კედლებს მიეხეთქა. ყმაწვილი ზეზე წამოიჭრა. ზღურბლზე პოლიციის ოფიცერი იდგა, მის უკან კი უკუნი მეფობდა. „აქ ცხოვრობს რამირესი? პოლიცია!..“ უხეშად უბიძგეს კუთხისაკენ, თვალების ბრიალით ჩააჩუმეს აწუწუნებული დედა...

ერთი საათის შემდეგ წავიდნენ. სახლში სიწყნარე ჩამოვარდა. მხოლოდ ნავთქურა ბჟუტავდა სამზარეულოში. მხრებაწურული დედა სავარძელში იჯდა და ხელები მუხლებზე დაეწყო. ყმაწვილი ბნელ კუთხეში მიმალულიყო. მას საკუთარი უძლურება ახრჩობდა. ოთახებში კი მიმოფანტულიყო გადაბრუნებული ავეჯი, დაფხრეწილი თეთრეული, ჭურჭლის ნამსხვრევები, დაჩხვლეტილი ბალიშებიდან გადმოცვენილი ბუმბული. „ღმერთო, რა შეგცოდე ასეთი!“ — ამოიქვითინა დედამ და ყმაწვილს გული დაეთუთქა.

— საოცარია, ღმერთმანი, რამდენად შეიძლება ადამიანი დაეცეს... დედა არაერთხელ გამოიძახეს პოლიციის კომისართან. მეც გავყევი. ბანკში გავიარეთ და... მოკლედ, ჩვენ ფულით ვყიდულობდით მშვიდ ცხოვრებას... პოლიცია შემძაგდა იმ დღიდან!

პოლიცია და პრესა ყურადღებას არ აკლებდნენ დედაშვილს. თუმცა დედამ მოახერხა ფულის ნაწილის პანამის „ნასიონალ-ბენკში“ გადარიცხვა, ჩინებმა მაინც შეძლეს საკმაოდ დიდი თანხის გამოწურვა მისგან. ჟურნალისტები კი... რა საძაგლობას არ წერდნენ ისინი! ათასნაირ ცილს სწამებდნენ, იატაკ-

ქვეშეთთან გაქვთო კავშირი, ქაღალდსა და იარაღს ყიდულობთო პარტიზანებისათვის. ღმერთმა იცის, რას არ ჩმახავდნენ.

— ის ფული?

— დიახ! სწორედ ის ფული, რომლის განიავებაც სულითა და გულით გსურდათ. დედას რომ არ ეზრუნა ოჯახის ინტერესებზე, ლუკმა გამოგვეცლებოდა ალბათ. ჩვენი ბედით თქვენ, რასაკვირველია, თავს არ აიტკიებდით...

— დედამ გასწავლა ყველაფერი ეს?

— რაო, სწორი არა ვარ თუ?

— კარგი, განაგრძე!

ყველაზე მშვენიერი მათ კლასში კონჩიტა იყო. თეთრი კაბა ეცვა და ნუშისფერი თვალები ჰქონდა. იმ დღეს გვერდით ჩაუარა, წარბები აწკიპა, სალამიც არ უთქვამს... წინადღით კი ეხვეწებოდა, კინოში დამპატიჟე, „სიყვარულსა და ოცნებას“ ვუყუროთო.

— დედამ გადაწყვიტა, ყველაფრისათვის ხაზი გადაესვა...

ან რა ექნა? საზოგადოებამ ზურგი შეაქცია. გარიყულივით ცხოვრობდნენ იმოდენა ქალაქში.

პადრე ესტუმრათ ერთხელ. ყმაწვილი შინ არ იყო. მეეზოვემ უამბო ყველაფერი. ფაშვი ჰქონდაო პადრეს, დაფანჩული წარბები. დიდი ვინმე უნდა ყოფილიყო თანამდებობით. მეეზოვეს ხელზე უკოცნია, პადრეს ჯვარი გამოუსახავს, უბრძანებია, კაშასეს სუნი გდისო. ნაკლებად უნდა იხმაროო ალკოჰოლი. ორი საათი ესაუბრა თურმე დედას.

— დედას სურდა, გაგყროდათ ოფიციალურად, მაგრამ თქვენ არ გამოცხადდით და საქმის სასამართლოში გამოტანა შეფერხდა. მცირე კინკლაობის შემდეგ უთქვენოდ გაარჩიეს და იქ...

— მან საჯაროდ გამკიცხა, მე ეს ვიცი...

— დამიჯერეთ. რაც შემეძლო, ვეწინააღმდეგებოდი სასამართლოს მსვლელობის პრესაში გახმაურებას და საერთოდ ყოველგვარი სასამართლოს წინააღმდეგი ვიყავი...

ყველა მის ნაცნობს ჰყავდა მამა, ამას არ ჰყავდა მხოლოდ, და კიდევ ჭორფლიან სანჩოს. თავდაპირველად ყველა დასცინოდა სანჩოს, უდღეური ხარო, ნაბუშარი. ბავშვური დაუნდობლობით იგონებდნენ ათასნაირ საზიზღარ ამბებს სანჩოს დედის თავგადასავლებზე. შემდეგ ეს ჭორები დაძველდა და თავი გაანებეს. ჭორფლიანი სანჩო კი სამუდამოდ მხრებში მოხრილი, დაჩიავებული დარჩა. ყმაწვილს ეზიზღებოდა იგი, ალბათ ბევრ საერთოს ხედავდა საკუთარსა და სანჩოს ბედში. ერთხელ სცემა კიდეც და თვითონვე იტირა...

— მეც მინდოდა მყოლოდა მამა, თუნდაც ომში დაღუპული, თუნდაც ჩხუბში დასახიჩრებული... როგორ მინდოდა მყოლოდა მამა...

მამა, რომლითაც იამაყებდა. ბედმა კი უმამობა არგუნა ცოცხალი მამის პატრონს.

— როგორც კი პირველი „მამა“ ვთქვი, იმ წამსვე ამიკრძალეს ამ სიტყვის ხმარება. საგინებელი სიტყვა მეგონა. შემდეგ შევამჩნიე, რომ სხვა ბავშვები სიყვარულით იმეორებენ მას. ათასი კითხვა დამებადა. უმთავრესი კი ის იყო, თუ რატომაა მამაჩემი ცუდი, სხვა მამები კი — კარგები. დიდი და პატარა ჩამაგონებდა, რომ მამაჩემი ბოროტების განსახიერებაა, რომ ის სამშობლოსა და წესიერი ადამიანების მტერია; რომ მისთვის მზადაა სახრჩობელა და ღმერთმა წინასწარ მიუტევა ცოდვები მის ჯალათს... პატარა რომ ვიყავი, თქვენს სახელს არ მეუბნებოდნენ. დედა სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა: ურჯულო და კაენიაო მამაშენი... ჩემს ნაცნობებში ვერ ვღებულობდი პასუხს კითხვებზე და გაზეთებს მივმართე. არც ერთი არ გამომრჩებოდა, თუ ჩემთვის მისაწვდომი იქნებოდა და თუ რამეს წერდნენ თქვენს შესახებ... ო, ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ! აბა, ვინ ვის გააწრებს, ვინ უფრო მეტს მოჩმახავს სახელგანთქმულ რამირესზე. მე ვლოცულობდი და იმედი მქონდა, რომ სადმე ამოვიკითხავდი ჯადოსნურ სიტყვას, რომელიც სიძულვილს ამოიღებდა გულიდან და... იმდენ სიტყვებში...

— ვერაფერი მონახე...

— ვერც ერთი!... პრესა იმდენ ლაფს ასხამდა რამირესის სახელს... მიკვირს, როგორ არ წაგლეკათ ლანძღვა-გინების ნიაღვარმა. სადაც კი ვინმეს მოკლავდნენ, სადაც კი მნიშვნელოვანი ძარცვა, კატასტროფა, აჯანყება, გაფიცვა მოხდე-

ბოდა, ყველა ერთხმად ყმუოდა — რამირესი, ისევ რამირესი!.. მე მრცხვენოდა...

— მერედა, ყველაფერი გჯეროდა?

— თავდაპირველად ყველაფერი. შემდეგ უნდობელი და ეჭვიანი გვხდი. სიცრუეს წაულეკავს ქვეყნიერება, სიმართლეს რა ხელი ჰქონდა აქ... მაგრამ ნუ გგონიათ, თითქოს ეს ცოტათი მაინც გამართლებდათ ჩემს თვალში. ო, როგორ ვიტანჯებოდი იმ დროს!

კონჩიტა მარტო დახვდა საკლასო ოთახში. ყმაწვილს გაუხარდა. დიდი ხანია, რაც პირისპირ შეხვედრას ეძებდა ნუშისთვალება გოგონასთან. იმდენი რამ ჰქონდა სათქმელი... მისი გული ვერ იტევდა გაუმჟღავნებელ სიტყვათა ზღვას. უნდოდა ეთქვა, რომ კონჩიტა ყველაზე ლამაზი გოგონაა არა მარტო სკოლაში, მთელ ქალაქში, შეიძლება მთელ ქვეყანაზეც. უნდა ეთქვა, რომ არავისა აქვს ასეთი საკოცნელი ტუჩები... მისი ღაწვები ალერსს ითხოვენ თითქოს... მრავალი რამ უნდა ეთქვა... ენა რას ეყოფა გულს, ისევ გულები თუ გაუგებენ ერთმანეთს.

— სკოლაში დიდი და პატარა წამდაუწუმ მკენწლავდა: „რამირეს, ავაზაკის შვილო!“ „რამირეს, მამაშემი ჯერ არ ჩამოახრჩვეს?“ „უჰ, მგლის ლეკვო, შენც რომ მასთან დაგკიდებდნენ, ახი იქნებოდა შენზე...“ მე არასოდეს მყოლია მეგობარი, ყველა ჩემი მტერი იყო, ვისაც კი ვიცნობდი... მიდიხარ ქუჩაში და თანაკლასელები, მეზობლის ბიჭები ანდა სრულიად უცნობი თანატოლები ქვებს გესვრიან, გისტვენენ, დაგცინიან... ხასიათი გამიფუჭდა, ანჩხლი და უხეში გავხდი. თითქმის ყველა ნაცნობ ბიჭთან მიჩხუბნია. ზოგჯერ ჩემი ბრალიც იყო, მაგრამ უმთავრესად მათი. სახე დაჩეჩქვილი დავდიოდი, მაგრამ მუშტებიც მტკიოდა და ეს მიოხებდა გულს... რამდენი იოდი და ხილაბანდი გავხარჯე, მაგრამ გულს იოდით ხომ ვერ განკურნავდი, ხილაბანდით ვერ შეახვევდი... ღმერთო, მე შემძულდა ეს ქვეყანა!

— საბრალო პატარავ!

მშვენიერი იყო კონჩიტა. როდესაც წარბებს მაღლა აისროდა, თავს ამაყად ასწევდა, ესპანეთის დედოფალს ემსგავსებოდა... თითით მოიხმო იმ დღეს, დააჩოქა, მუხლზე აკოცნინა. ყმაწვილს უნდოდა ეთქვა, თუ რა მშვენიერია კონჩიტა, როგორი თვალები აქვს მას, საკუთარი გულის ძგერაზე უნდოდა ეთქვა... მოულოდნელად კარი გასკდა და თანაკლასელები ზრიალით შემოეხვივნენ წყვილს. „დონ-ჟუან რამირესი, დონ-ჟუან რამირესი!..“ — ატყდა სიცილ-ხარხარი. ჩამუხლული ყმაწვილი კი, სირცხვილისაგან ცოცხალ-მკვდარი, სიძულვილსა და ზიზღში იხრჩობოდა.

— მახსოვს, ერთხელ ნაცნობი პოლიციელი გადამეკიდა. ბიჭებმა პოლიციის შენობაში მინა ჩაამტვრიეს და მე გადმომაბრალეს. მე თავს ვიმართლებდი, ის კი ყურებს მიზელდა და აუღელვებლად მპასუხობდა: „მხოლოდ შენ, ძაღლის ლეკვო, შეგიძლია ასეთი საძაგლობა ჩაიდინო! შენ რამირესი ხარ, ეს კი უკვე დანაშაულია!“

— არამზადა!

— დედაჩემი დიდხანს მეკინკლავებოდა. წუწუნით სული ამომხადა. გინდა თუ არა, გვარი გამოვიცვალოთ და აქედან გადავსახლდეთო. ვერ დამიყოლია. ვის რა დავუშავე, რატომ უნდა დამემალა საკუთარი გვარი? რატომ უნდა მიმეტოვებინა მშობლიური ქალაქი?.. სასამართლო მერე იყო... მერე გაგკიცხეს!

— ეს პირველი დარტყმა როდი იყო, რაც მან მაგემა.

— მეც მთხოვეს, მაგრამ უარი ვთქვი ჟურნალისტებთან შეხვედრაზე.

— გაზეთებში წერდნენ, რომ შენ...

— ვიცი! პირველად მაშინ ამეხილა თვალი. გავიგე, რომ მართალს იმას ეძახიან, ვისაც ურცხვად შეუძლია იცრუოს... როდესაც ჩემი სახელი გაზეთის ფურცლებზე ამოვიკითხე, ბრაზისგან გავსკდი. დედას ისე ვეჩხუბე, დღესაც ვერ დაუვიწყებია. შემდეგ მივვარდი „ელ პუებლო ი ლა როის“ რედაქციაში. იქ მონარქისტები არიან, ხომ იცი?

— წარმომიდგენია როგორ მიგიღებდნენ!

— აჰ, მუცლის გვრემამდე ხარხარებდნენ. ცრემლები ღაპაღუპით ჩამომდიოდა. რაღაცას ვყვიროდი, რაღაცას ვიმუქრებოდი, ისინი კი ხარხარებდნენ და ბოლოს კინწისკვრით გამაგდეს

კარში... ულონო ვიყავი, თორემ ხომ ამოვხოცავდი ყველას!

— მერე?

— მეორე დღეს იმავე „ელ პუებლო ი ლა როიმ“ გამოაქვეყნა მოკლე შენიშვნა, რომ უმცროსი რამირესი ესტუმრა რედაქციას, რათა ერთხელ კიდევ დაედასტურებინა თავისი ზიზღი საკუთარი მამის მიმართ... თქვენ გეცინებათ, მე კი...

ფერდობზე უნდა დაეშვან. აქედან იშლება ნუესტრა-ბარსელონასა და მისი მიდამოების ხედი... ადვილი გასარჩევია მწვანეში ჩაფლული გარეუბნები, ცენტრის კრამიტის სახურავები, აქა-იქ წეროებივით აყუნცული სამრეკლოები, ფრთაგაშლილ თოლიასავით ატყორცნილი მარიამ ღვთისმშობლის ტაძრის გუმბათები.

ფერდობის ძირას, ლერწმის პლანტაციის გასწვრივ მიიკლაკნება რიო დე როხო.

შეისვენეს. მოხუცი ქუდივით ჩამოფხატული კლდის ქვეშ მოკალათდა. ყმაწვილი მზეზე მოეწყო.

ლაჟვარდზე რეაქტიულმა ბომბდამშენმა თეთრი კვალი გაავლო.

— მაშ, შენ არ უარყავი მამაშენი?

— ეს თქვენ ნუ გახარებთ! განა ჩემი მოქმედება თქვენი სიყვარულით იყო გამოწვეული? განა ყველას მიერ გაკიცხული მამის დაცვაზე ვფიქრობდი? ახლა ზუსტად არც კი ვიცი, თუ რა მამოძრავებდა. არც მაშინ ვიცოდი ალბათ. იქნებ მე თვითონ მინდოდა შური მეძია გათელილი ბავშვობისათვის... როგორ მძულდით! რაც უფრო ვჯიუტობდი, მით უფრო მძულდით! განა თქვენგან არ მოდიოდა მთელი ჩვენი უბედურება? თქვენს გამო ვეჩხუბებოდი დედას, ნაცნობებს, თანაკლასელებს და ამიტომაც მსურდა თქვენი მოკვლა. რამდენჯერ გადავწყვიტე, თავი მომეკლა. ვიცოდი, ამით მაინც გატკენდით გულს, მაგრამ ეს მცირე შურისძიება იქნებოდა. თანაც სისუსტემ მძლია და სიცოცხლე ვერ დავთმე...

— ნუთუ ასეთ სიძულვილს ეძინა შენს გულში? მერედა როგორ იტევდი ყველაფერ ამას? მითხარი, ახლაც ისევე გძულვარ?

ისინი პირველად სხედან პირისპირ. ყმაწვილს გული ეკუმშება უნებლიეთ. „როგორი დატანჯულია და სუსტი, თანაც ძალზე ბებერი, ალბათ დიდხანს ვერც გასტანს!“

რატომღაც ცხვირმოჭმული ტერეზა გაახსენდა. ზონზროხა და მუდამჟამს შეზარხოშებული, ჩხუბისთავი და ენამურდალი. ისეთი ბილწი გინება იცოდა ტერეზამ, მეზღვაურთა კაბარე „მოდი, დალიეს“ სტუმრები საგანგებოდ იკრიბებოდნენ მის მოსასმენად.

შაბათს სკოლიდან ბრუნდებოდა და გზაში ნახა. მისგან ორ მეტრზე არყის სუნი ყარდა. ტელეგრაფის ბოძს ეხვეოდა. თან ტიროდა და საწყალობელი ხმით მოთქვამდა. ყმაწვილს გული აუჩვილდა, მკლავზე ხელი შეახო: „სენიორა, ნუ ტირით! გევედრებით, ნუ ტირით!“ მთვრალი წამით გამოერკვა, „შვილო!“ — წამოიკვნესა და შეშინებული ბიჭი მკერდში ჩაიკრა. ყმაწვილს სული შეეხუთა, არყისა და ოფლის სუნმა გული აურია, მკლავიდან დაუძვრა და განზე გადგა. „კარგი მამის შვილი ხარ, საყვარელო! — წაილუღლუღა ქალმა. — მამაშენს შეეკითხე, გახსოვს-თქო ტერეზა, გახსოვს-თქო, როგორ გებრალებოდა ყოველთვის!.. სთხოვე, ახლაც შემიბრალოს!“ — ისევ ქვითინი მორთო, რაღაცაზე წუწუნებდა დიდხანს. არავის ვებრალებიო, — დაიღრიალა მოულოდნელად და ტელეგრაფის ბოძს შემოეჭდო...

მოხუცსაც გული შეეკუმშა. ხვალ დილით მოკვდება და არავინ დარჩება მისი შემცვლელი. ამ ყმაწვილს შეეძლო გამხდარიყო მეორე რამირესი, სიძულვილი რომ არ ჰქონდეს გულში ჩაბუდებული.

— რას გაჩუმებულხარ?

— არ ვიცი... იქნებ გაქრა ის სიძულვილი, იქნებ მისუსტდა მხოლოდ, აენთება ისევ...

სიძულვილი და სიბრალული შეუთავსებელია. შეიძლება გძულდეს ის, ვინც გეზიზღება, მაგრამ არ შეიძლება გძულდეს ის, ვინც გებრალება. უსიერი ტევრია ადამიანის გული. ვინ იცის, რა შემაძრწუნებელი მხეცი გაშლიგინდება ბნელ უღრანში, ვინ იცის, რა ყვავილი აყვავდება, სიყვარულის სითბოთი აღმოცენებული... ყმაწვილის მკერდშიც ადამიანის გული ფეთქავდა.

უსიერი ტევრი იყო იგი, ამოუცნობი და მიუწვდომელი.

მის წინ მოხუცი მამა იჯდა, სუსტი და ბებერი, ცხოვრების ქარიშხლებისგან გადაღლილი. ბავშვობის ფანტაზიით შექმნილი ურჩხული გაახსენდა. ბოროტი თვალები უელავდა იმ ურჩხულს, ტუჩები თითქოს სისხლით ჰქონდა დაცვარული.

აზრი აერია ყმაწვილს, სურვილები და გრძნობები ერთმანეთს ეჭიდებოდნენ, გულს უშფოთებდნენ.

— დედას არ უცდია სამხედრო სამსახურიდან შენი დახსნა?

— გამოსყიდვა უნდოდა, მაგრამ მე ვერ დამიყოლია.

— მაშ, მოხალისე ყოფილხარ!

ზიზღი გაკრთა მოხუცის სიტყვებში.

— დიახ, ვინმემ ხომ უნდა გამოისყიდოს თქვენი ცოდვები!

— ხმა! მეტი არაფერი გამაგონო ჩემს ცოდვებზე!

სული ყელში მოებჯინა მოხუცს, მრისხანება დაეუფლა.

— რა იცი შენ ჩემს „ცოდვებზე“ და ვინ გთხოვა მათი გამოსყიდვა? ან რას მაყვედრი, ნეტავი ვიცოდე? ისე გაკადნიერდი, უფროს-უმცროსობის არა გაგეგება რა! ჩემს „ცოდვებზე“ კი...

თუმცა რას შეცვლის ეს სიტყვები. სიყმაწვილე თავდაჯერებულია. თვრამეტი წლის ადამიანს ჰგონია, რომ სიბრძნის წყარო საკმარისად შესვა, რომ ყველაფრის შეფასება ძალუძს, კრიტიკის თვალით შეუძლია აწონოს. ეს თვალი კი უფრო ხშირად დაუნდობელია, რადგან ბავშვური გულუბრყვილობა იმის საშუალებას იძლევა, ხელის ერთი მოსმით მიიღო ან უკუაგდო ურთულესი მოვლენები.

— ვის წინაშე ინანიებ ცოდვებს? სად არის ის ღვთაება, რომლის ხატებასთან პატიოსან ადამიანს შეუძლია მუხლი მოიყაროს? ამ ქვეყანაზე ერთადერთ ღვთაებას ოქროს გვირგვინი მოსავს და სინდისდაკარგულს ღიპი გაზრდია... ხომ არ მიბრძანებთ, თაყვანი ვცე ოქროსა და ღიპს?

— მე რა ხელი მაქვს ოქროსა და ღიპთან? მე ვინანიებ სამშობლოს, ღმერთის, დედის წინაშე, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი თავის წინაშეც!

მრისხანება აბოროტებს ზოგიერთს, შურისძიების სურვილს უნერგავს. სისხლი უყვარს ბოროტებას. მზად არის მკერდიდან გული ამოგლიჯოს მსხვერპლს და კეტცალკოატლის საკურთხეველზე დადოს ჯერაც მფეთქავი.

მრისხანება ადიადებს ზოგიერთს, ბოროტებასთან აბრძოლებს კეთილს. ბარიკადები უყვარს მრისხანებას, თავდადება უყვარს, დროშების ფრიალი. მზად არის მკერდგაპობილი დაეცეს, კეტსალი დაიხატოს ალამზე.

დიდებული სანახავია იგი მრისხანების ჟამს. გაფართოებული თვალები უელვარებს, ნესტოები უთრთის. ბაგეები დამარცვლით ისვრიან სიტყვებს. ღრმა ნაოჭები ტრაგიზმს ანიჭებს მის სახეს. მოხუცი თითქოს იზრდება ყოველი სიტყვის წარმოთქმით, მიუწვდომლად დიდი და ამაყი ხდება.

ასეთი არ შეიძლება გებრალებოდეს. ასეთი ან უნდა გძულდეს, ან უნდა გიყვარდეს.

— გამიგონე! რა იცი შენ სამშობლოსა და ღმერთზე? რა უფლებით იყენებ ამ სიტყვებს წამდაუწუმ? მითხარი, რა გაგიკეთებია სამშობლოსათვის, ღმერთისათვის? წასულხარ სიკვდილზე სამშობლოსათვის? ყოფილხარ ღმერთისთვის ჯვარცმული? დაგიტოვებია ოჯახი, მშობლები, სიყვარული? გივლია ბრძოლის საშინელ გზებზე მშიერ-მწყურვალს, ტყვიით დაცხრილულს? მკერდით დაგიფარავს მეგობრის სხეული და შეგებებიხარ სხვისთვის განკუთვნილ ტყვიას? გამოსარჩლებიხარ სუსტს და შებრძოლებიხარ შენზე ძლიერს?.. მაშ, რა უფლებით იმაღლებ ხმას?! სწორედ შენი ასაკისა ვიყავი, როდესაც სამგზის დაჭრილს...

ყრუ ტკივილი გაუცოცხლა მოგონებამ, მრისხანება ჩაეფერფლა, მხრებში მოიხარა...

...ბურანში იყო. ფერადი წრეები უტრიალებდა თვალწინ, ქრებოდა, ისევ ბრუნდებოდა და ქრებოდა. პირველად თეთრი ჭერი გაარჩია, შემდეგ სათვალე, სათვალის ქვემოთ — ვეებერთელა ცხვირი და წითური ულვშები. სათვალიანი მამაკაცი ქაღალდს კითხულობდა. სასაცილოდ აცმაცუნებდა ტუჩებს, ხმა კი არ ისმოდა. დაჭრილს გაეცინა, ხელის მოსამართი თოჯინა ეგონა. მხოლოდ ერთი დღის შემდეგ გააგებინეს, სიკვდილის განჩენი გამოგიტანესო...

— მას შემდეგ ავაზაკ რამირესს სამჯერ მიუსაჯეს სიკვდილი, ერთხელ კი...

...ათი კაცი იდგა ზურგით სამარისაკენ. პირისპირ, ათ ნაბიჯზე ათი მიხაკისფერ მუნდირიანი ჩამწკრივებულიყო. რამირესი ხედავდა შავ ლულას, ფიქრობდა ლულაში გავლებულ სპირალებზე; ციცქნა ტყვიაზე, რომელიც ჩახმახის გამოკვრასღა ელოდა, რათა სიცოცხლე წაეგლიჯა რამირესისათვის. ცხრა ამხანაგი ედგა მხარში. ცხრავე ხედავდა გულის გამყინავ ლულებს და ალბათ ფიქრობდა სპირალებზე, ტყვიებზე, ჩახმახებზე...

მხოლოდ ლულები, ტყვიები და ჩახმახები იყო და მიხაკისფერი ადამიანები მათ უკან. ტყვიასავით ცივი და მომლოდინე გულები ჰქონდათ ალბათ. ათივეს ელოდა ათი ბოთლი კაშასე, ათი ჩაკურატებული გოგონა, თუ მოისურვილებდნენ, ათი კაბარე და ათი სამორინე ელოდათ, ვის დაენანებოდა ათი სიცოცხლის წართმევა. ჩახმახზე თითის გამოკვრის მეტი ხომ არა სჭირდებოდა რა?

ზეცის ჩამონგრევას ჰგავდა პირველი ბათქი. სხვაზე დიდხანს იდგა სამარის პირას. ხედავდა, თუ როგორ იცელებოდნენ მისი ამხანაგები. თვალებში დატრიალდა ტყე, მიხაკები და ლულები.

გონს რომ მოეგო, ვეგა ციმციმებდა ცაზე, ლურჯი ვეგა.

— ჩემი მკვლელები იმათ ემსახურებოდნენ, ვისაც შენ ემსახურები დღეს!

შემთხვევამ იხსნა მაშინ. მძიმედ დაჭრილისათვის ცოტაოდენი მიწა მიეყარათ... სიკვდილი გააცურა ოთხჯერ, ხვალ დილით კი ოთხჯერ გამოტანილი განაჩენი სისრულეში იქნება მოყვანილი. ახლოვდება რამირესის დაისი.

— შენ ჯერ კიდევ ბალღი ხარ, რამდენი რამ არ გესმის ჯერ!

ყმაწვილი განაცვიფრა მოხუცის მრისხანებამ, მის გულში იზრდება მძაფრი სიძულვილი, აბლაბუდად ეხვევა ცნობიერებას; თითქოს ჩრდილოეთის ქარიშხალი ერთი წამით შემოიჭრა სიცხით გათანგულ ტროპიკებში. სუსხმა ააჟრჟოლა, გაუყინა გული, სისხლი და გრძნობები.

მისი თითები უნებლიედ ეძებენ ჩახმახს. მსუბუქი ავტომატი გაცოცხლებას ელის, მზადაა ერთგულად ემსახუროს პატრონს, თითის ძალდაუტანებელი მოძრაობა და ატკრციალდება კოლიბრის ფრთებივით.

ი, როგორია! ამაყი — როგორც დიდს ჩვევია!.. სასტიკი — როგორც ამაყს ჩვევია!..

გაიღვიძა მაინც სიძულვილმა? როგორ შეიძლება ცეცხლის ალივით ხან ჩნდებოდეს, ხან ქრებოდეს ასეთი მძლავრი გრძნობა. სიძულვილი ბავშვი არ არის, უდარდელად რომ იძინოს. უდარდელი ძილი სიბრალულს ჩვევია მხოლოდ.

სხვა რამ სახელი ხომ არ ჰქვია ამ გრძნობას? თვითონ არეულია და გონებასაც გირევს; თვითონ არასოდეს სძინავს და არც შენ გაძინებს. გულის ტკივილი იცის, მოუსვენრობა, მუდამ ფიქრი, მუდამ ტანჯვა... მრავალი წელი იტანჯებოდა ყმაწვილი, მრავალი წელი ფიქრობდა მამაზე. გული უცემდა მისთვის, მის გამო წითლდებოდა, იცრემლებოდა, რცხვენოდა და... ამაყობდა კიდეც... ბოროტმოქმედი იყო, მაგრამ მაინც დიდი იყო და პირველი.

სიძულვილი და სიყვარული ახლო მეზობლებიაო, ნაცნობი ინდიელისაგან გაუგონია.

ეგებ სძულდა, მაგრამ არ შეეძლო ზიზღი ეგრძნო...

ეგებ უყვარდა, მაგრამ არ შეეძლო სიბრალული ეგრძნო... შენიღბული სიყვარული ხომ არ არის, სიბრალული რომ ეგონა.

სად არის ის ზღვარი, სიყვარულსა და სიძულვილს შორის რომ გადის. არის კი ასეთი ზღვარი? სიყვარულს შეუძლია გტანჯოს, გაწამოს, იგივე შეუძლია სიძულვილსაც. სიძულვილს შეუძლია სიცოცხლე ჩაჰბეროს ტყვიას ადამიანის სიცოცხლის წასართმევად, იგივე შეუძლია სიყვარულსაც...

დიდხანს სხედან თავიანთ ფიქრებში ჩაფლულნი... მოხუცი ხედავს უფსკრულს. ოცნებობს, ნეტავი შვილი გადმოლახავდესო... ნანობს, რომ მისი შვილი აღზარდა მისთვის სულიერად უცხო ქალმა. ნეტავი მამის გზით ევლო ბიჭუნას, იგივე ბილიკები ეთელა ჯუნგლებსა და სელვაში. წაიშლებოდა მაშინ უფსკრული მათ შორის...

ყმაწვილი ბურანშია. მთელ თავის გონებასა და ენერგიას

ძაბავს, მაგრამ ლაბირინთში დაბორძიკობს მაინც...

— მითხარი, დედა არ გელაპარაკებოდა ჩემზე?

— მას არ უყვარდა თქვენზე ლაპარაკი, მაგრამ ცხოვრება აიძულებდა... თანაც მე არ ვაძლევდი მოსვენებას.

— მერედა რა?

— ბევრი რამ? დედაჩემი გაბოროტებული იყო. წყევლიდა თქვენი გაცნობის დღეს, ქორწინების წლისთავზე კი შავებს იცვამდა... მისი აზრით, თქვენ პრეზიდენტად გახდომაც კი შეგეძლოთ, მაგრამ ამაო ოცნებას გამოედევნეთ და ქარის წისქვილებს ებრძვით. ამან კი ყველაზე მეტად სწორედ დედა გააუბედურა... მე შემეძლო ამ საკითხზე დედასთან არც გამება ლაპარაკი, ლანძღვა-გინებას ისედაც ბლომად ვკითხულობდი გაზეთებში...

— რასაკვირველია, შენ გჯეროდა ყოველი მისი სიტყვა.

— არ ვიცი.

გრძელფეხა ჭიანჭველა ნადავლს მიათრევდა. ყმაწვილმა ფეხი გასწია, რათა გზა დაეთმო მისთვის. მოღუშული მზერა გააყოლა. ჭიანჭველა ბალახებში მიიმალა.

— დროა, გზას გავუდგეთ!

აუჩქარებლად ეშვებიან ფერდობზე. ყმაწვილს ავტომატი მხარზე გადაუგდია. ეჭვით დასცქერის ბრტყელ დაბლობს. მსუბუქი ნიავი აღელვებს ლერწამს რიო დე როხოს ნაპირზე. წყლის ნელი დუდუნი ამშვიდებს სმენას.

გზისპირას ბებერი, დაკვარჩხნილი ლეღვი დგას. ზედ კენწეროსთან ყავისფერი ზარმაცა ჰკიდია. დაჭყეტილი თვალები ადამიანისათვის მოუპყრია. როდესაც ჩაუარეს, ბუჩქებში რაღაცამ გაიშლიგინა. ხმელი ტოტების ლაწუნი მოისმა. ფერდობზე აჩხრიალდა კენჭები.

ყმაწვილი წამით გახევდა, მერე შიშისა შერცხვა და ნაბიჯს აუჩქარა.

შვეულფრენი დაბრუნდა ზღვისპირეთიდან ნუესტრა-ბარსელონაში.

— მეტს რას გეუბნებოდა დედაშენი?

— განა ცოტა რამე ითქმის თვრამეტი წლის განმავლობაში? ყველაფერი ეს წარსულშია და არ ღირს წარსულის ქექვა.

— მე ხვალ დილით მოვკვდები და დღეს მინდა ყველაფერი ვიცოდე!

— ჯერ საიდან იცით? სასამართლო არ შემდგარა, განაჩენი არავის გამოუტანია...

— სასამართლო? არაერთხელ გამასამართლეს და იმედი მაქვს ერთხელაც არ ვიხილავ ამ საზიზღარ ფარსს. ძველთაგანვე უყვარდათ მგლებს ცხვრების გასამართლება... მე კარგად მესმის ჩემი მდგომარეობა... იმ დღეს, როცა შემიპყრეს, ჩემს თავს ვუთხარი: „ეს დასასრულია, რამირეს!“

— თითქოს წინასწარ ემზადებოდით სიკვდილისათვის!

— მე მხოლოდ სიცოცხლისათვის ვიყავი მზად. რამდენი დაუმთავრებელი საქმე დამრჩა, განა მქონდა უფლება, მეფიქრა სიკვდილზე? ჩვენთან სიკვდილი მოდის უეცრად, მაშინ, როდესაც ის განსაკუთრებით საძულველია...

„ვიქტორ მონტილია, 35 წლისა, თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაეცა!..“ „ბენხამინ უგო მორალეს, 29 წლისა, თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაეცა!..“ „ხუან სოტო ამარილიო, 25 წლისა, თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაეცა!..“ „ჩიკო დე მარტინ, 21 წლისა...“ „მიგელ, 17 წლისა...“ „ხოაკინ, 18 წლისა...“ „დაეცა!.. დაეცა!.. დაეცა!..“

— ეჰ, ერთი დღე... ერთი დღე კიდევ მომცემოდა თავისუფალი და მერე... დაე, მოსულიყო მერე სიკვდილი...

— რა... რა იქნებოდა მაშინ?

— არაფერი, ლაჟვარდის ცქერით დავტკბებოდი.

— მეტი არაფერი?

— მეტი არაფერი! შენ დაგავიწყდა ამბის გაგრძელება.

— რა გავაგრძელო... ბარემ მოგიყვებით ერთ შემთხვევას. იმ დღეს დედაჩემის რისხვამ პიკს მიაღწია. ხომ გახსოვთ მარაკაიში ნავთობსაცავის აფეთქება. დედაჩემსაც ჰქონდა „სტანდარტ-ოილის“ ათიოდე აქცია. რამდენადაც მახსოვს, მათი დივიდენდებით წყლისა და დაზღვევის ფულს თუ გადაიხდიდა კაცი. მაგრამ დედაჩემი აქციების ყოველ რყევაზე ძალიან ნერვიულობდა. იმ დღეს კი აფეთქებას პანიკა მოჰყვა ბირჟაზე და...

ყმაწვილი გვიან დაბრუნდა თეატრიდან. ბრაზილიელები ჩამოსულიყვნენ და ფიგეირედოს „მელია და ყურძენს“ აჩვენებდნენ. ყმაწვილმა ეზოპეს ტაში დაუკრა და შინ გამოემართა. კართან დედა არ შეხვედრია. სასტუმრო ოთახში შეიხედა და იქ გაფითრებული დედა იხილა. ხელები ჩამოეყარა, მზერაში ბინდი ედგა. ისე იყო საკუთარ აზრში ჩაფლული, კარის შემოღება არც კი უგრძვნია.

— ეს რივერას ხელების საქმეა... — დაუსრულებლად ბუტბუტებდა. უცებ „სიკვდილი, სიკვდილი მასო!“ — წამოიძახა ისტერიულად და სავარძელში ჩაიკეცა. ყმაწვილი შეაძრწუნა ამ სცენამ, დედასთან მიიჭრა, მხრებში ჩააფრინდა და შეანჯღრია: „დედა, დედიკო, გონს მოდი, რა გემართება?“ თვალებში ჩახედა და ხმა ჩაუწყდა. დედის თვალებში სიგიჟე იდგა. „სიკვდილი!“ — ერთხელაც წამოიძახა ქალმა და გონება დაკარგა. ყმაწვილი ღრიალით გაიჭრა კარში. უნდოდა მეზობლები ეხმო, მაგრამ ქალაქს უკვე ჩასძინებოდა. უკან შებრუნდა. დედა გონს მოსულიყო და გულამომჯდარი ტიროდა. ასლუკუნებული ყმაწვილი მის სავარძელთან მუხლებზე დაეცა და ხელები დაუკოცნა. დედამ კისერზე მკლავები შემოაჭდო, მკერდში ჩაიკრა ყმაწვილის თავი და მოულოდნელად ყურში ჩასჩურჩულა:

— შენ, შენ მოკლავ მას!

გულგახეთქილმა უხეშად დააღწია თავი დედის მკლავებს და ტირილით შესძახა:

— რას ამბობ, დედა, რას?!

მერე დედა დამშვიდდა.

ცოტა ხანს იჯდა გახევებული. წამოდგა. გაიარ-გამოიარა. სარკესთან თმა შეისწორა. ტუჩებზე პომადა წაიმატა. ყმაწვილი დივანზე დასვა, თვითონ გვერდით მიუჯდა.

— ბევრი ვისაუბრეთ იმ ღამეს, შხამიანი საუბარი გვქონდა... ეზოპე დამავიწყა იმ საუბარმა, იმ საღამოს სიხარული მომიწამლა და ცუდად გამხადა...

— იმ დღეებში სტუმარი ვინმე თუ დაგიდიოდათ?

— სტუმარი? სტუმარი რა შუაშია?.. თუმცა დადიოდა ხოლმე ერთი ტიპი...

— პოლიციის დეპარტამენტიდან?

— თქვენ საიდან იცით?

— ისე...

— საიდან იცით? საიდან იცით?

— ისე-მეთქი.

ეჭვი აუკიაფდა თავში, ეჭვმა აუწრიალა გონება. თვალებში ცრემლი შეუგუბდა. ნუთუ შესაძლებელია, დედის გრძნობათა სისპეტაკემ დაგაეჭვოს. დედას მუდამ აღმერთებდა, მის სახელს იფიცებდა... ის იყო მისი დასაყრდენი ცხოვრების ეკლიან გზაზე... და ვაი შენ, თუ სიცრუეს ეყრდნობოდი მთელი სიცოცხლე!

— თქვენ ფიქრობთ...

— მე არაფერსაც არ ვფიქრობ. მე ისედაც ვიცი, რაც მოხდა! შენს საუბარში იყო წუთი, როდესაც...

— რა წუთი, რას ამბობთ?

— დედა მუხლებზე დაეცა, თვალები გადაატრიალა და ტრაგიკული ჩურჩულით შეგევედრა... ცრემლიც ბევრი ღვარა, პომადის წამატებაც დასჭირდა ალბათ ისევ... ბოლოს და ბოლოს მან დაგაჯერა და შენგან სიტყვა აიღო...

— რაზე?

— რომ შენ მომკლავ! ამით შენ გადაარჩენ შენს უმწიკვლო სახელს და დედის მდგომარეობას!

— მე...

— შენ დაეთანხმე!

— დამიჯერეთ, მხოლოდ პატიოსან ბრძოლაში!

— მჯერა, მაგრამ სხვები ხომ ასე არ ფიქრობენ?

— როგორ?

— რომ შენ გამოიყენებ ხელსაყრელ შემთხვევას გზაზე. რამირესი დასახვრეტად გაგზავნეს ერთადერთი გუშაგის და ისიც საკუთარი შვილის თანხლებით. ვინ დაიჯერებს, რომ ეს შემთხვევითია... მე ხომ შემიძლია, გაქცევა ვცადო...

— მე...

— გაზეთებისათვის კი ვერსია პატიოსანი ბრძოლისა...

— მე!..

— შენ კი საპატიო ლეგიონის კავალერი გახდები! გაზეთები ქება-დიდებას შეგასხამენ. მათთვის არაფერი ღირს „სახალხო გმირის“ გამოცხობა...

— ოჰ, რა სასტიკი ხართ!

ყმაწვილს თავბრუ ეხვევა. მუხლებში სისუსტესა გრძნობს. ლოყებზე სირცხვილის ალმური ასდის... ღმერთმანი, კარგი იქნება, რიო დე როხო რომ გაუხდებოდეს სამუდამო აკვნად. მდინარის ნელი დუდუნი მიუალერსებდა მაშინ. მხოლოდ რიო დე როხოს შეუძლია ალერსი, ადამიანებმა კი ის მოატყუეს.

თვალი შეავლო წინ მიმავალ მოხუცს. სუსტი მხრები ჰქონდა მამას. ნეტავი როგორ აიტანეს ამ მხრებმა ათეული წლების ქარიშხალი. ახლაც ხომ სასიკვდილოდ მიეშურება და თითქოს ქორწილი მოელისო, ისე მიაბიჯებს. ჰო, მართლა, ხელები სტკივა ალბათ, — დალურჯებია, შორიდან მოჩანს, რომ დალურჯებია...

ისევ ძალა იგრძნო, ადგილიდან მოსხლტა და მოხუცს დაეწია.

— მოიცათ!

— რა?

— ხელები... მე მინდოდა ხელები... თქვენ ალბათ მაგრად გაგთოკეს... ცოტათი მოვუშვებ!

— გმადლობ! მე მსიამოვნებს ზურგზე ხელებშემოწყობილი სეირნობა. ცოტა ფანტაზია და თავი სუკრეს სანაპიროზე მეგონება...

მოხუცი გზას განაგრძობს, ყმაწვილი უხალისოდ მისდევს.

რიო დე როხო საამურ სიგრილეს ჰფენს გარემოს. წყალზე გადახრილ ხის ტოტზე მახრჩობელა ჰკიდია, მის ცივ თვალებში სიკვდილი ირეკლება. ყმაწვილს აჟრჟოლებს. ცივი თვალების ტყვიით დაცხრილვა სურს, მაგრამ თავს იკავებს.

ბილიკი მდინარის გასწვრივ მირბის. ზედ ნაპირზე ხუთიოდე პალმა წამოყუნტულა. აქ რიო დე როხო ვიწროვდება. ნაპირიდან ნაპირზე ბებერი აკაციაა გადებული. ზედაპირი ვიღაცას ცულით დაუჩიჩქნია, რათა ადვილი იყოს ფეხის მოკიდება.

მღვრიეა რიო დე როხო. შხუილით გარბის მკვდარი აკაციის ქვეშ.

— მოიცათ! — ხმა ოდნავ უკანკალებს ყმაწვილს.

— რა მოხდა?

— მინდა დავისვენო, რაღაც ძალიან დავიღალე.

— ა!.. მაშ, დავისვენოთ და ბარემ წყალიც დავლიოთ.

— ცოტა ღვინო მაქვს მათარაში.

— აი, ეს კარგია. მოიტა, ყელი გავისველოთ!

ყმაწვილი სარქველს ხსნის და მათარას პირში აყუდებს მოხუცს. თითო ყლუპს სვამენ. პირისპირ სხდებიან მდელოზე, პალმის ჩრდილში.

ყმაწვილს მოუსვენრობა ეტყობა, წრიალებს, ხმის ამოღება უჭირს.

— გეთაყვათ, მომიყევით...

— ჩუ!

— რა? მე ვერაფერს ვხედავ!

თვალი გახელილი უნდა გქონდეს მუდამ, ყურები დაცქვეტილი. რამდენ რამეს დაინახავ, რამდენ რამეს გაიგონებ ამქვეყნად.

შხუის რიო დე როხო, მოაგელვებს მღვრიე ტალღებს. მოხუცი მიშტერებია მეორე ნაპირს. ნაპირი წითელ კედლად აყუდებულა. ტალღები აწყდებიან იმ კედელს, ღრღნიან, ძირს უთხრიან. მოწყდება ხოლმე თიხის გუნდა და დგაფუნი გააქვს წყალში. გაშიშვლებული ფესვები ჰაერში იჩაჩხება. სიბრალული არ იცის რიო დე როხომ, არც ალერსი იცის. პირანებითაა სავსე მისი წყლები, ფეხი რომ ჩაყო, უფეხოდ დარჩები...

იმ ნაპირზე ლერწმის რაყა შრიალებს. მშვიდია მისი სუნთქვა, იდუმალებითაა სავსე. გულისყურით უნდა უსმინო ლერწმის ჩურჩულს. სიყვარულის ბედნიერებაზე ჩურჩულებენ ისინი... მაგრამ მუდამ ბედნიერი ვინ იქნება ამქვეყნად. მზე ზენიტზეა და სილამაზეს აჭკნობს უწყალოდ... ეჰ, მუდმივი გაზაფხული იყოს ნეტავ!

...სწორეს გაზაფხული იყო მაშინ, სიცოცხლის გაზაფხული იყო მოხუცისათვის. ქვეყანაზე საფრა დაწყებულიყო. კედლებად იდგა ლერწამი. რამირესსა და შავკანიან დონ კოკოს მაჩეტე ეპყრათ ხელში. აღმოსავლეთი წითლად იღებებოდა,

როდესაც მათ პირველად დაჰკრეს მაჩეტე.

ლერწამი შეფრთხიალდა, ამოიკვნესა და ქალწულივით მიწვა მაჩეტეროს მკლავზე. ცვარი გადმოებერტყა შუბლზე. პერანგის კალთით მოიწმინდა ლერწმის ცრემლები, გაუცინა დონ კოკოს.

მზე ამოიწვერა და ამღერდა დონ კოკო.

ჰაერში ელავდა აქნეული მაჩეტე. ცვარი იღვრებოდა გახურებულ ბეჭებზე. ლერწამი წვებოდა ჩუმი კვნესით... ასევე უხმოდ კვნესოდა შავკანიანი გოგონა, მუდამ გაბუტული ტუჩები რომ ჰქონდა, ეშმაკური თვალები. ვნებიანი ხვევნა იცოდა, მხურვალე სუნთქვა ალმურს ადენდა. გახსენებაც კი აჟრჟოლებს მაჩეტეროს, სისხლს უჩქროლებს ძარღვებში. უფრო სწრაფად მოძრაობს მაჩეტე, წვება ლერწამი... დონ კოკო მღერის, მაჩეტეს რიტმული ცემა ტამტამების ხმას აგონებს რამირესს...

ეჰ, წლები, წლები! კონკრეტულ ადამიანზე დრო არ ზრუნავს, მირბის თავისთვის, შენ კი ბერდები, კვდები. დროს რა ენაღვლება, შენისთანები ხომ მილიონია... ილტვის დრო, რათა მომავალი დაუჩქაროს მილიონებს, სადა სცალია დროს რამირესისათვის...

ყმაწვილი მშვიდდება.

— მე კი მომეჩვენა!

— ჩუ! გესმის?

პალმის კენწეროსთან ცეროდენა კოლიბრი ფრთხიალებს. ერთხელ კოლიბრი დაიჭირა ყმაწვილმა, გალიაში ჩასვა. კოლიბრი საცოდავად ჭყიპინებდა, გალიის კედლებს ეხეთქებოდა, ფრთები დაიმსხვრია... ბიჭი მაშინ თერთმეტისა იყო, მთელი დღე გულამომჯდარი მისტიროდა ფრთხიალა ჩიტუნას.

— მე კი წყაროს წანწკარი მესმის.

სიკვდილის წინ ადამიანს სმენა უმახვილდება. ლერწმის შრიალი, კოლიბრის ფარფატი, წყაროს წანწკარი, რა საამურია ყოველივე ეს!

— ალბათ ის წყარო აი, იმ ბორცვის სამხრეთი კალთიდან მოედინება და ერთვის რიო დე როხოს... რად ჰქვია ნეტავი წითელი მდინარე ამ მღვრიე ნაკადს?

— ღმერთმანი, უცნაური ადამიანი ხართ! რად უნდა გვაინტერესებდეს ან ის წყარო, ან ეს მდინარე?

— იცი? წყარო ადამიანის ბავშვობას მაგონებს. მხიარულია მისი სრბოლა, ცელქობს, მოჩუხჩუხებს, მორაკრაკებს, თითქოს მღერის... მართალია, ზოგი წყარო ჭაობს ერთვის, თვითონაც აჭაობებს მიდამოს, ლპება და ჰაერს წამლავს... მაგრამ სხვები გაიშლებიან, ღრმავდებიან, მიაგელვებენ მღვრიე ტალღებს. იბადება მდინარე...

— მერე?

— განსაკუთრებით მთის მდინარეები მიყვარს, კორდილიერებს რომ ხევებად ჭრიან. ბრძლის გზით მოისწრაფვიან, მთებს ამსხვრევენ, ლოდებს მოაგორებენ, ღრღნიან კანიონებს, ეხეთქებიან ჩანჩქერებად და ღრიალებენ ჭორომებში... დაბოლოს, გაიჭრებიან ფართო ველებზე და ააყვავებენ ქვეყანას... მათ არ იციან, რა არის სიბერე და მუდამ დაუდეგარნი არიან. გაედევნე ამ წყალს და ოკეანემდე მიგიყვანს... იქაც განაგრძობს იგი მძვინვარებას...

მოდუდუნებს რიო დე როხო, მოაგელვებს მღვრიე ტალღებს... ტალღები აწყდება ნაპირებს, ერთი მეორეს აქრობს, მიექანება ოკეანისაკენ. ყმაწვილს თითქოს ითრევს რიო დე როხოს ტალღები, მიატივტივებს... მკლავებს უსვამს რაც ძალი და ღონე აქვს, ცდილობს ნაპირს მიაღწიოს, მიწაზე ფეხი დადგას, მაგრამ ნაკადი ძლიერია, ოკეანე კი სულ ახლოსაა...

ქარიშხლები დათარეშობენ ოკეანეზე.

— ცხოვრება, მამა, ცხოვრება ხომ მდინარე არ არის?

ლაჟვარდზე რეაქტიულ გამანადგურებელთა წყებამ გადაიგრიალა. ბუჩქებში უცხო ფრინველი აკივლდა. წყალში ტყაპანი მოადინა პაწია კაიმანმა... სიტყვა „მამამ“ დაფარა ყველაფერი ეს.

მოხუცი შეკრთა, თვალი მიაშტერა ყმაწვილს, ის კი მყის გაფითრდა, საბოდიშო სიტყვა ჩაიბუტბუტა და თავი დახარა.

— ამბობ, მდინარე არ არისო? ცხოვრება რთულია და ვერავითარ ჩარჩოში ვერ ჩასვამ, მაგრამ... იცი? ადამიანის ბედი ამ ტალღების ბედს მაგონებს, ოღონდ თვითონ ადამიანზეა დამოკ-

იდებული, რა გზას აირჩევს იგი, ჭაობში ჩაეფლობა თუ ოკეანის ფართო სივრცეზე გამოცურდება... მე ვიცნობდი ერთ ექიმს — ანტონიო დე სანტოსს. ის დასახლდა ლეპროზორიუმში და სიცოცხლე უძღვნა კეთრთან ბრძოლას; მე ვიცნობდი მხატვარ ხუან სილვას, რომელმაც არაჩვეულებრივი ფრესკებით შეამკო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი და ამით უკვდავყო თავისი სახელი; ამას წინათ წავიკითხე სტატია ერთ ამერიკელ მეცნიერზე. იგი ეკვადორის ამაზონის ჯუნგლებში ჩავიდა, რათა შეესწავლა ტსანტსა და მისი მეშვეობით ებრძოლა კიბოსთან. დოქტორმა ბომბარმა, მის შესახებ შენ ალბათ ჩემზე მეტი გსმენია, მარტოდმარტომ რეზინის ნავით გადაცურა ატლანტიკა ისე, რომ თან წყალი და საკვები არ წაუღია... ასეთი მაგალითების ჩამოთვლას ხომ სიცოცხლე არ ეყოფა... მაგრამ ყველა საქმეთა შორის ყველაზე დიადი და კეთილშობილურია ღმერთების ჩამოგდება, რათა მათ წაერთვას ცეცხლი და გადაეცეს ადამიანთა მოდგმის იმ უმრავლესობას, ვინც მუდამჟამს სიბნელეში ცხოვრობს...

მადრიდი გაახსენდა... ინტერნაციონალური ბრიგადები მკერდით იცავდნენ უნივერსიტეტის მისადგომებს. იმ დღეს სამჯერ მოიგერიეს იერიში, ტყვიამფრქვევი ხელებს უწვავდა. თავზე ტყვიით ჩამოგლეჯილი ფოთლები სცვიოდა. იტალიელი როკო საჭურველს აწვდიდა. თვალები უელავდა როკოს. მიდი, მიდი! ურტყი მაგ ნაძირალებსო, შესძახებდა ხოლმე იტალიურად. მერე მოულოდნელად ჩაჩუმდა, იტალიურმა ტყვიამ ჩაუწყვიტა ხმა.

იმ საღამოს უკანასკნელად იყო პრადოში. დიდხანს იდგა ველასკესის ტილოებთან... მიდი, შენი თვალით იხილეო, — შესჩივლა გოიას.

მარცხი საშინელი იყო. გვადალკვივირზე სიკვდილს ეძებდა, მაგრამ ტყვია გვერდს უვლიდა, არადა, მტრის ტრიუმფი არ უნდოდა ეხილა.

შემდეგ კი იყო ბარსელონა, უკანასკნელი კონვულსიები და... ეკლიანი მავთულხლართი საფრანგეთის ცისქვეშ. დაგლეჯილი, უსიხარულო ღრუბლები დაცურავდა ცაზე...

— მომიყევით თქვენზე!

— კარგი.

...ტრიბუნიდან ჩამოხტა და ავანსცენაზე შეჩერდა. პროჟექტორები უხვად აბნევდნენ სინათლეს. რამირესი ცდილობდა ნაცნობი სახეები გამოერჩია, მაგრამ დარბაზში ყველაფერი აირია. პარტერი ფეხზე წამოიჭრა, იქუხა ტაშმა. იარუსებზე ისტერიულად გაჰყვიროდნენ სტუდენტები. ნელი ფარფატით ცვიოდა პროკლამაციები. ბოლო რიგიდან სტვენა მოისმა.

რამირესმა თავი დაუკრა მომხრეებს და კულისებში გავიდა. მოხუცი ჯოვანელი აცრემლებული გადაეხვია. თვალის სინათლევ, — უთხრა, — შენი ენა ალესილი მახვილია, შენა ხარ ამ ყრილობის სულის ჩამდგმელი!.. რამირესს გაეცინა, თბილად გამოემშვიდობა მოხუცს და...

პირისპირ შეეჩეხა მას.

მრავალმა წელმა განვლო მას შემდეგ. ბევრი რამ დავიწყებას მიეცა, მაგრამ არასოდეს დავიწყებია მისი თვალები, დიდრონი, გულუბრყვილო თვალები.

მკლავზე აკანკალებული თითები შეახო რამირესს. ლოყებაწითლებულმა ენის ბორძიკით ჩაიჩურჩულა:

— მადლობელი ვარ, სენიორ! თქვენმა შესანიშნავმა სიტყვამ არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე.

— თქვენზეც, სენიორიტა?

— ჩემზეც, სენიორ!

ბოლივარის მოედანზე რომ გავიდა, უკან მოიხედა. თეატრიდან ხალხი გამოდიოდა. თეთრი კოლონები ნაკადებად ყოფდა ხალხს. სულ ზევით კი, ფრონტონზე ღმერთქალი ნიკე ვარსკვლავს იჭერდა.

დიდრონთვალება გოგონა მოჰყვებოდა გვერდით.

— იცი? გიჟური ცხოვრება მქონდა, განუწყვეტელ ორომტრიალში ვიყავი. მთელი მსოფლიო ერთი მთლიანი მიტინგი მეგონა, მე კი ერთადერთი ორატორი ვიყავი თითქოს. მხოლოდ ის მქონდა სადარდებელი, როგორმე ჩემი საქმეები ჩამეტია დღე-ღამეში... ვის ჰქონდა ქალების თავი. ჩემთვის მხოლოდ ბარიკადები არსებობდა. მთელ კაცობრიობას ეს ბარიკადები ჰყოფდა: ჩვენი მომხრეები ამ მხარეს იდგნენ, მოსისხლე მტრები იმ მხარეს. ხიდი არ არსებობდა!

— ბარიკადების ასეთი ხაზი ბევრი ადამიანის გულსა და გონებას გადაკვეთავს!

— შუაში გადაკვეთილს მხოლოდ ჭიაყელას შეუძლია იცოცხლოს!

— თქვენ ერთი ნახვით შეგიყვარდათ?

— არ ვიცი.

იგი ქალაქგარეთ ცხოვრობდა. პატარა ოთახი ჰქონდა აგურის სახლის მეორე სართულზე. ლოყებღაჟღაჟა დიასახლისი ჰყავდა, საოცრად უმეცარი და ბოროტი. ერთი წლის შემდეგ კიბიდან ჩამოვარდა და კისერი მოიტეხა. რამირესი კვირაში ორჯერ მოდიოდა არაქათგამოლეული, ქურდულად ჩაუვლიდა ღაჟღაჟა დიასახლისის კარს და უბოდიშოდ შედიოდა ლამაზი გოგონას ოთახში. აქ ერთი საწოლი იდგა, ერთი მაგიდა და შეზლონგი. სტუმარი შეზლონგზე მოთავსდებოდა ხოლმე და განცხრომით შეექცეოდა ცხელ ყავას. მის პირდაპირ კედელზე ძველი ფრანგული ჟურნალიდან ამოჭრილი გრავიურა ეკიდა: „ვატერლოო“, ნაპოლეონით წინა პლანზე. გრავიურის მარცხნივ ძველი ესტამპი — „იდალგოს დასჯა“ მოეთავსებინათ, მარჯვნივ კი ცხენზე ამხედრებული ტუსენ ლუვერტური გადაჰყურებდა ქვეყანას. რამირესს ეჩვენებოდა, შავი და თეთრი კონსულები უბღვერდნენ ერთმანეთს, ამოდენა კედელზე ვერ ეტეოდნენ თითქოს.

ლამაზი გოგონა საწოლის კიდეზე ჩამოჯდებოდა ხოლმე და განუწყვეტლივ ტიტინებდა. რამირესს მხოლოდ მისი მშვენიერი ხმა ესმოდა. ნათქვამის აზრი კი მის შეგნებამდე ვერ აღწევდა. ერთი რამ გაიგო მხოლოდ. ლამაზ გოგონას ენის წვერზე ეკერა სპარტაკი და პრომეთეოსი, აჯანყება და რევოლუცია, აგრარული რეფორმა და ნაციონალიზაცია. რამირესს გონებაში ეცინებოდა. ლამაზი გოგონას ტუჩებს ცხელი კოცნა უფრო მოუხდებოდა, ვიდრე ბრძნული სიტყვების ტიტინი.

— მახსოვს, ვოცნებობდი ცხოვრების თანამგზავრზე... ისეთზე, რომელიც თუნდაც ეკლიან სელვას გადასერავდა მშიერ-მწყურვალი და ივლიდა, ივლიდა, სანამ ჩემთან ერთად სული არ ამოხდებოდა. ძნელი იყო ჩემი გზა და მხოლოდ ასეთი მეგობარი თუ გამომყვებოდა ბოლომდე. ვიფიქრე, აჰა, ვიპოვე-მეთქი ადამიანი, რომელიც უანგარო მეგობრობას გამიწევს და არასოდეს მიღალატებს... როგორ შევცდი, ღმერთო, როგორ შევცდი!.. ის ნიჭიერი არტისტი აღმოჩნდა. დიდ მოგებაზე ფიქრობდა და თეატრი არ სჭირდებოდა... შემდეგში გავიგე, გაცნობამდე ლამაზი გოგონა ცნობებს აგროვებდა ჩემზე. ერთმა ახლო მეგობარმა წამოროშა: „ო, გენიალური ამხანაგია! ის მალე მთელ ქვეყანას ყირაზე დააყენებს!“ მეორე ამხანაგი გახარებულა ლამაზმანის ჩემდამი ყურადღებით და უთქვამს: „რამირესი?.. ჩვენ თუ გავიმარჯვეთ, ის უეჭველად პრეზიდენტი გახდება!“ შენ ალბათ არ იცი, ამის შესახებ სახელმძღვანელოებში ვერ ამოიკითხავდი, რომ შენს დაბადებამდე ორი წლით ადრე ჩვენმა მოძრაობამ თავის მწვერვალს მიაღწია. ჩვენ ველოდით მარჯვე ვითარებას, რათა ხელისუფლება აგვეღო ხელში.

მუდმივი გამარჯვებებით განებივრებული იყო. ლამაზი გოგონას გულის დაპყრობა კი ძნელი ეგონა. ერთ საღამოს გაბედა. ტრიუმფის დღე იყო ის დღე და ეს საღამოც ტრიუმფის საღამო უნდა ყოფილიყო.

— ჩემო პატარავ, რამირესი მინდა გიწოდო! — ჩასჩურჩულა.

გოგონა კისერზე შემოეჭდო, დიდი ხანია მიყვარხარო, უთხრა და ცხარე კოცნა აჩუქა. რატომღაც არ ესიამოვნა ეს კოცნა. ტუჩების პირველი შეხება ნაზი და მორცხვი უნდა ყოფილიყო. ის უკვე ორმოცდახუთი წლის მამაკაცი იყო, გოგონას კი ოციოდე შეუსრულდა. ხმა არ ამოუღია, მადლობით მიიღო შემოთავაზებული საჩუქარი და იმ ღამეს აგურის სახლი არ დაუტოვებია.

— მერე?

— უკეთეს თაფლობის თვეს არც ვისურვებდი. მართალია, ძალიან იშვიათად თუ მექნებოდა თავისუფალი დრო, მაშინაც დაღლილობისაგან არაქათგამოლეული ვიყავი, მაგრამ... ძნელია ახლა, ამდენი წლის შემდეგ, საკუთარ შვილს უამბო ის წვრილმანები, რაც ბედნიერების გრძნობას ბადებს ადამიანში...

შეზლონგს არ უღალატა რამირესმა. არც ნაპოლეონის სურათი ჩამოუხსნია კედლიდან. თითქოსდა არაფერი შეცვლილა

აგურის სახლში. მხოლოდ ლოყებღაჟღაჟა დიასახლისმა გაორკეცა ბოროტი დუდღუნი. რამირესს კი უფლება მიეცა მუხლებზე დაესვა ლამაზი გოგონა და ტუჩები დაეკოცნა მისთვის. ამ უფლებას იგი ბოროტად არ იყენებდა. მიწვებოდა შეზლონგზე და თვალდახუჭული უსმენდა მეუღლის ტიტინს. გასაოცარია, რა სწრაფად შეიცვალა ლამაზი ქალის ლექსიკა. არავის ახსოვდა სპარტაკი და პრომეთეოსი, აგრარული რეფორმა და ნაციონალიზაცია. სამაგიეროდ წინანდელი მონოლოგები ახლით შეიცვალა... ახალგაზრდა მეუღლე სრულიად უადგილოდ დაიწყებდა ლაპარაკს პრეზიდენტის ცოლის მდგომარეობაზე; იმაზე, თუ როგორ იბრწყინებდა იგი პრეზიდენტების, მეფეებისა და პრემიერების მიერ მათ პატივსაცემად გამართულ მიღებებზე მათი „ოფიციალური ვიზიტების“ დროს, ან იმაზე, თუ როგორ კაბებს შეიკერავს და რა სამკაულებს შეიძენს პრეზიდენტის ჯამაგირით. ყველფერი ეს ხუმრობად ეჩვენებოდა რამირესს. მაგრამ გული რატომღაც ზიზღით ევსებოდა და თავს ძალას ატანდა, ზანტად დაეცინა უადგილო ხუმრობისათვის: „ცოცხალი დათვის გატყავებას ნუ ცდილობ, გეთაყვა!“

— თქვენ მართლა შეგეძლოთ პრეზიდენტი გამხდარიყავით?

— არ ვიცი, მგონია, რომ არა! ჩვენს რიგებში ცოტა როდი იყო პიროვნება, ვინც ქვეყნის გაძღოლას შეძლებდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი წინადადებით ჩემთვის არავის მოუმართავს. გადამწყვეტი წუთები კი ახლოვდებოდა... მაგრამ ჩვენ სადღაც შევცდით. ჩვენი მოძრაობა გაანადგურეს. ჩვენი ორგანიზაციის მარჯვენა ფრთა ჩამოგვეცალა და მოწინააღმდეგის ბანაკში გადაბარგდა; მარცხენამ კი წვრილმან ტერორს მიჰყო ხელი!.. ეს ზურგში დანის დარტყმა იყო სწორედ. დაქუცმაცებამ უფსკრულის პირას დააყენა მთელი ორგანიზაცია... მერე მოხდა პროვოკაციული აფეთქება პრეზიდენტის სასახლეში. მოგვიანებით გაირკვა პროვოკატორის სახელი, მაგრამ იმ დღეებში ჩვენ დაგვატეხეს სასტიკი ტერორი...

მახვილზე ბასრად ჭრის ენა, რამირესის ენა აშინებდა მტერს.

— ოქროსსათვალიანი, ჩერჩეტი ახალგაზრდა გამომიგზავნეს. სენიორ პრეზიდენტი გიწვევთო სასახლეში. ჩემს ვიზიტს

მხოლოდ სამხედრო ორკესტრი და საპატიო ყარაული აკლდა. შემომთავაზეს ფოსტისა და კომუნიკაციის ან უპორტფელო მინისტრის ადგილები, ჩემი არჩევანით... გადაკვრით მაგრძნობინეს, რომ პრემიერის პოსტზეც შემიძლია ვიოცნებო, თუ... ჩვენს ორგანიზაციას საბოლოოდ დავშლიდი... მითხარი, შენ რას უპასუხებდი?

— სილას გავაწნავდი, თუნდაც ის პრეზიდენტი ყოფილიყო!

— ო, მე სილა არ გამიწნავს!

მეორე დღეს რესპუბლიკის ყველა გაზეთში ვეებერთელა ანშლაგით დაიბეჭდა რამირესის განცხადება, სადაც ის სამარცხვინო ბოძზე აკრავდა მოღალატეებს. ორი დღის შემდეგ გამოვიდა პრეზიდენტის დეკრეტი რამირესის დაპატიმრებისა და მისი საველე სასამართლოში გადაცემის შესახებ.

— აი, ჩვენთვის იმ ტრაგიკულ დღეებში პირველად მიჩვენა ბასრი ბრჭყალები ახალგაზრდა მეუღლემ. მან საშინელი და, რაც მთავარია, სამარცხვინო სცენა მომიწყო, რომლის გამო რეაქციულმა გაზეთებმა ბევრი გესლი ანთხიეს ჩემს მიმართ...

— ვერ დამიჯერებია, ნუთუ დედა...

ჯერ იყო და ტირილით ყელზე შემოეჭდო რამირესს. ოჯახზე უნდა იფიქროო, მალე შვილი გვეყოლება. ასეთ ღვთის მომადლებულ ბედნიერებას თუ უკუვაგდებთ, უკეთესი სად ან როდის ჩაგვივარდება ხელშიო... ცრემლით რომ ვერა გააწყო რა, თვალები გადაიტრიალა და შეზლონგზე მიესვენა. სამიოდე წუთის შემდეგ კი ქუჩაში გაიჭრა და წივილ-კივილით ხალხი შემიყარა. ნახევარ საათში ჟურნალისტებისა და ფოტორეპორტიორების მთელი ბრბო შემოიხვია გარს.

— ქუჩის მთვრალი ქალივით გაჰკიოდა მთელ კვარტალში. ყველას არწმუნებდა, რომ მე არ ვზრუნავ ოჯახზე; ვფიქრობ მხოლოდ დამშეულ ტიტველმუცლიანებზე, ეს სიტყვა ხომ მისი მოგონილია... რომ მე მადლობას არავინ მეტყვის ჩემს დონკიხოტურ მზრუნველობაზე; რომ მას არაფერი დარჩენია თავის ჩამოხრჩობის გარდა და, ვინ იცის, კიდევ რა... შეძრწუნებული ვიყავი ამ სცენით. მტრები ცდილობდნენ ცოცხლად ჩემს ყიდვას და ამ უსინდისო ვაჭრობაში ბოლო ადგილი არ ეჭირა ჩემს

მეუღლეს...

— აჰ, დედი, დედი!

— მე ვაპატიე... იმ დღეს გამიქარწყლდა მისი სიყვარული, მაგრამ ის ფეხმძიმედ იყო, მე კი არ მსურდა, რომ ჩემი შვილი უმამოდ დარჩენილიყო და გაყრა არ ვინებე... იმ საღამოს აცრემლებული ფეხებში ჩამივარდა და პატიება მთხოვა. ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტე, რომ ყველაფერი, რაც მოხდა, წუთიერი სისუსტე იყო...

— მერე?

— მეორეჯერ...

იარაღით ხელში იცავდნენ გამგეობის შენობას. თხუთმეტი კაცი შეიწირა თხუთმეტმა მილიონმა ბოლივარმა. პოლიციამ ორგანიზაციის სალაროს კონფისკაცია მოახდინა. ორგანიზაცია დაიმშა, საჭირო იყო ფული, ბევრი ფული; საჭირო იყო ქაღალდი გაზეთებისათვის, საჭირო იყო იარაღი აჯანყებულთათვის მთაში, საჭმელი დაღუპულ ამხანაგთა ბავშვებისათვის...

— ყველა ჩვენგანი იძლეოდა, რაც კი რამ ძვირფასეულობა და საგანძური გვქონდა. არავის შერჩა ერთი სენტავოც, არავის შერჩა ჯიბის საათი, თამბაქოს კოლოფი; არავის შერჩა ისეთი საგანი, რომლის ბაზარზე გატანა ან დაგირავება შეიძლებოდა... მახსოვს, ქურდულად ავიღე სიგარის ნამწვი ტროტუარზე და სამმა ამხანაგმა მოვწიეთ.

თითქმის უცნობი ბიძა მოუკვდა რამირესის მეუღლეს. ჯერ იყო და შეიცხადა. მერე გაეცინა. ან რა ჰქონდა საწუხარი? ბიძამ ნახევარი მილიონი ბოლივარი დაუტოვა დისწულს.

— პირადი ანგარება აქ არაფერ შუაში იყო! განა საკუთარ თავზე ვფიქრობდი, როდესაც კრიტიკულ მომენტში ასი ათასი ვთხოვე ჩემს მეუღლეს? რასაკვირველია, ასი ათასი ვერ იხსნიდა ჩვენს მოძრაობას, მაგრამ რამდენადმე მაინც შეგვიმსუბუქებდა მდგომარეობას. თანაც მახსოვდა დრო, როცა ჩემი მეუღლე ჩემზე მეტს ლაპარაკობდა ჩვენ მოძრაობაზე. მეგონა, ჯიბეს კი არა, სულსაც დათმობდა... „მძარცველო!“ — იყვირა მან და ისეთი ისტერიკა გაითამაშა, რომ...

— როგორ ჰგავს ეს დედაჩემს!

— მას შემდეგ ენაც არ დამიძრავს იმ ფულის შესახებ.

რამირესი ემალებოდა პრეზიდენტის დეკრეტს. იცოდა, რომ, თუ ჩავარდებოდა, ცოცხალი თავით ვერ დააღწევდა საველე სასამართლოს ბრჭყალებს. თანაც იმდენი სამუშაო გაუჩნდა, რომ დაღლილობისა და შიმშილისაგან ჩამოხმა. ზოგჯერ მისი დღიური რაციონი ერთი ფინჯანი ყავისაგან შედგებოდა... მტერი ამას ვერ შეატყობდა, რადგან რამირესის გესლიანი ენა ძველებურად ქვეყნის კუთხე-კუნჭულს სწვდებოდა. იქ, სადაც ტყვიით ვერა გააწყო რა, სიტყვით განაგრძობდა ბრძოლას. ეს იყო ერთადერთი იარაღი და ისიც დღე-ღამეში თვრამეტი საათის განმავლობაში კალამს არ აგდებდა ხელიდან.

— მერე?

— ბოლოს მესამე დარტყმა... მან უკანასკნელი ხიდი ჩაანგრია ჩვენს შორის. შენ უკვე დაბადებული იყავი. გაზაფხულზე თავს დაგვატყდა მასობრივი რეპრესიების ტალღა. ვინც კიდევ დადიოდა თავისუფალი, დილეგებში ჩაყარეს. ბევრი ჩვენი ამხანაგი დახვრიტეს...

ხოსე ერქვა, ოცდაორი წლისა იქნებოდა. კარუპანოში იყო დაბადებული და გაზრდილი. მეგობრები ხოსინტოს ეძახდნენ. მეგობარი ბევრი ჰყავდა მოხუცს და უახლოესი მათგანი ეს მისი სეხნია იყო... ყველგან პირველი იყო ხოსინტო. მიტინგზე თუ სიტყვას ამბობდა, ბრბო აღტაცებაში მოჰყავდა და „ჰოლას“ აყვირებდა. ბარიკადებიდან უკანასკნელი მიდიოდა; ტყვიის წვიმილი სიმღერად მიაჩნდა... სიყვარული არ ჰქონდა ოღონდ გამოცდილი, არ იცოდა, თუ რა არის პირველი კოცნა. მომავალს უნდა მოეტანა მისთვის ეს ბედნიერება, მომავალი კი არ გაუთენდა...

— ერთხელ ჩვენს კვარტალში, ახალი ამხანაგის ბინაში, ხოსეს თათბირი უნდა ჩაეტარებინა. თურმე პოლიციამ იცოდა ამის შესახებ და ბინას თვალთვალი დაუწესა. მე ამ დროს ქალაქგარეთ ვიყავი. შემთხვევით გავიგე მოახლოებული საშიშროების ამბავი. შიკრიკი ვაფრინე ჩემს მეუღლესთან. დაურეკე ან რამენაირად ააცდინე-მეთქი განსაცდელს ხოსინტო...

შიკრიკს ლიქიორი დაალევინა რამირესის მეუღლემ. ყვე-

ლაფრის გაკეთება აღუთქვა. კარამდე მიაცილა და გამოემშვიდობა... უკვე ბნელდებოდა. იმ დღეს ახალი კაბის მოსარგებად მკერავთან გახლდათ და ძალიან დაიღალა. უძილობა აბერებს ლამაზ ქალებს, ბევრი ფიქრი აჩენს სახეზე დაღს...

ტელეფონი არც კი გახსენებია, ანგელოზივით ეძინა იმ ღამეს...

მეორე დილით ხოსინტო დახვრიტეს...

— ბავშვივით ვიტირე...

ვაჟკაცურად მოკვდა თურმე. მთელი ღამე აწამებდნენ და კვნესაც არ დასცდენია. დასახვრეტად რომ მიჰყავდათ, პოლიციის კომისარი გააცოფა გესლიანი მასხრობით...

— აჰ, მე რომ მცოდნოდა, რომ მცოდნოდა... ფრჩხილებით გამოვგლეჯდი ჩემს ხოსინტოს ჯალათს ხელიდან.

— მამა, მამა! ეს საშინელებაა... ნუთუ დედა...

— ძველი ამბავია! ახლა კი ვიცი, რატომ მოიქცა ასე, მაგრამ რაღა დროს...

ბუჩქებთან ორქიდეა ყვაოდა. პატარა თეთრი ვარსკვლავი ინაზებოდა მწვანეში. ხოსინტოს ორქიდეა ერჩივნა სხვა ყვავილებს.

მოხუცი დგება.

— ჩვენ ლაპარაკს შევყევით, დროა, გზა განვაგრძოთ!

— მოიცადე, მე კითხვა მაქვს... თუ არ გამიწყრები...

— მკითხე!

— ის... მეორე...

— ისიც ჩემი სეხნია იყო, ხოსინტა ერქვა... მთაში სიმღერას მღერიან ხოსინტოზე და ხოსინტაზე... ძნელ გზაზე გვერდით მომყვებოდა. მტკიცედ იდგა იქაც, საპყრობილეში... მას წამებით მოუღეს ბოლო!

— ჩემი ძმა?

— პეპიტო! ის ცამეტი წლისა იყო, როდესაც მოღალატის ტყვიამ, განკუთვნილმა მისი მეთაურისათვის... ეს მოხდა მთაში, ის მზვერავი იყო პარტიზანებთან.

სიმღერა უყვარდა პეპიტოს. მზეზე ადრე დგებოდა. ყველაზე მაღალ ხეზე აცოცდებოდა, საიდანაც მზის ამოსვლა კარგად მოჩანდა. მაიმუნებსა და პითონებს აფრთხობდა ხის კენწეროზე. ტოტზე მოკალათდებოდა მოხერხებულად და ამღერდებოდა. მიყუჩდებოდა ჯუნგლი. ჩიტები პირველობას უთმობდნენ პეპიტოს. ნადირნი ინაბებოდნენ ტყე-ღრეში. მცირე ხნით წყდებოდა ტყვიის ზუზუნი, ზარბაზნების ყეფა. პეპიტოს ხმა მირაკრაკებდა მთების კალთებზე...

მოხუცი ბილიკს მიჰყვება.

— წავიდეთ!

ბოგირზე გადადიან. კაიმანი შავი კუნძივით მიყვინთავს რიო დე როხოს ტალღებში.

— მოიცადე, მამა!.. ბაწარს შეგიხსნი!

— ნუ, შვილო, ამისათვის დაისჯები!

— ჰაუპტვახტის მეტი არა იქნება რა.

ჯიბის დანით ჭრის ბაწარს და ლერწმის რაყაში ისვრის.

— მინდა, შეგეკითხო...

— მკითხე!

— გახსოვს, შენ რომ თქვი, ნეტავი ერთი დღე კიდევ მომცა, ლაჟვარდის ცქერით დავტკბებოდიო? ტუსაღსაც არავინ უკრძალავს ლაჟვარდის ცქერით დატკბობას...

— თუ გაინტერესებს, აგიხსნი!

ქალაქიდან სამხრეთით ჯუნგლებში მიდის ვიწრო გზა. ოცდამეხუთე კილომეტრზე ბილიკი გამოეყოფა და მარცხნივ, უღრანში იკარგება. სულ ხუთი კილომეტრია გასავლელი და ადამიანი ეშმაკის ხეობაში აღმოჩნდება. ორსართულიანი ოთხი გრძელი სახლი დგას მწკრივად. ირგვლივ კი სამწყება მავთულხლართები, ტყვიამფრქვევთა საცეცხლე წერტები, ჯავშნოსანი მანქანები და დაგეშილი ძაღლები ახვევია.

— ეშმაკის ხეობა უნდა აფეთქდეს!

— მაგრამ რატომ? იქ ხომ მიკრობიოლოგიური ინსტიტუტია და მეტი არაფერი!

— ინსტიტუტზე რა მოგახსენო და ბიოლოგიასთან კი უახლოესი კავშირი აქვს ეშმაკის ხეობას. იქ ინახება ახალი ჰერბიციდების მარაგი. ამ თვის ბოლოს დაგეგმილია მისი გამოყენება. ჩვენ ამის უტყუარი ცნობები გვაქვს. თვითმფრინავებით

გაფანტავენ შფოთიან რაიონებზე და ერთ დღეში ყველაფერი მწვანე დაიღუპება... ხალხი კი თვითონ ამოწყდება შიმშილისა და მის მიერ გამოწვეული ეპიდემიებისაგან...

— მაგრამ ეს ხომ საშინელებაა...

— სენტრალ-ავენიდაზე მცხოვრებთ ეს ძილს ვერ დაუფრთხობს.

— მაგრამ შენ?..

გამგეობამ რამირესი მიავლინა ამ ძნელი ოპერაციის ჩასატარებლად. ყველაფერი მზად იყო და... უკანასკნელ წუთში იგი ჩავარდა. ვერც კი გაიგებს, აფეთქდება თუ არა ეშმაკის ხეობა უიმისოდ...

იკლაკნება ბილიკი. ირგვლივ ლერწამი შრიალებს. ლერწმის კედელი ფარავს სამყაროს. ცის მონაკვეთი და ბილიკის ნაგლეჯი მოჩანს მხოლოდ. სადღაც უცხო ფრინველი აჟღურტულდა, სადღაც ნაკადული მოჩუხჩუხებს, სადღაც პითონის მიერ შეპყრობილი ბაყაყი კივის.

მაჩეტეროს ქოხი მაღლობზე დგას. ტიტველი, მუცელგაბერილი, ჭუჭყიანი ბავშვები ემალებიან უცხო მოგზაურებს.

ბილიკი ლერწამში იკარგება ისევ.

— მამიკო!

საიდუმლოებით სავსეა ლერწმის უსიერი ტევრი. ათასნაირი ურჩხული ელანდება ადამიანს, მარტოობის გრძნობა იპყრობს. ხომ შეიძლება ეს ბილიკი უცხო რამ პლანეტაზე მიიკლაკნებოდეს? ვაითუ პირდაღრენილი მასტოდონტები წამოგადგნენ თავზე?

შვეულმფრენი მიგუგუნებს ცაზე.

— შენ რაღაც გინდოდა გეთქვა!

— დიახ!

— თქვი!

— რატომ არა მთხოვ, რომ გაგიშვა?

— შენ კი გამიშვებ?

— შესაძლებელია, მაგრამ შენ რომ არა მთხოვ? რატომ?

— ჩემო კარგო! რამირესი მრავალგზის დასხლტომია ხელიდან მის ჯალათებს. მატარებლით მივყავდით, იატაკი ავაგლიჯე

და გავძვერი; მანქანით მივყავდით, მძღოლს საჭე გამოვსტაცე და მანქანა გადავჩეხე. თვითონ გადავრჩი, ჩემი ჯალათები კი უგრძნობელნი დავტოვე. გემით მივყავდით, ბორკილებასხმული კაიმანებით სავსე მდინარეში გადავხტი. დიდხანს მივცურავდი წყალქვეშ; წყალიც ბლომად ვყლაპე, საბედნიეროდ, მეთევზეებმა ამომიყვანეს...

— მერედა, არ გაგცეს?

— ვისაც ხელები შრომისაგან დაკოჟრებული აქვს, ის რამირესს არ გასცემს. წადი, თუ გინდა, მთაში, შეაღე პირველივე ქოხის კარი და მასპინძელს უთხარი, ვისი შვილიც ხარ. იქ იპოვი შენთვის თავდადებულ მეგობრებს. წადი ჯუნგლებში, რამირესის სახელი საშვივით გექნება ყველგან. თუნდაც ფაველებში მცხოვრებ ღარიბებთან მიდი, იქაც მონახავ მეგობრებს... ჯერ შენ არ იცი, თუ რა არის იდაყვის ძალა...

— შენ მაინც არ უპასუხე ჩემს კითხვას.

— როგორ არ ვუპასუხე? რომ მდომებოდა, ერთადერთ გუშაგს თავს ვერ დავაღწევდი?

— მაგრამ რატომ არ გაიქეცი, თუ იცი, რომ დასახვრეტად მიჰყავხართ?

— შენ, მგონი, ნანობ, რომ არ გაგექეცი!

— მაშინ არ მოგვიხდებოდა ამ თემაზე ლაპარაკი.

— აჰა, აი როგორ?.. მე უკვე დავბერდი, სიცოცხლე ისედაც თავდება... ნუთუ გგონია, ჩემს მაგიერ შენ გაგწირავ დასახვრეტად...

ცაზე ისევ გადაიგუგუნა შვეულმფრენმა.

წუთით შეჩერდნენ, ჟარარაკა კვეთდა ბილიკს.

ყმაწვილმა ამოიოხრა, ამდენი ფიქრისაგან თავი უსკდებოდა.

— მამა!

ყმაწვილი ღელავს, ხმა უკანკალებს.

— მამა, წადი, მამა, გაიქეცი!

— ამას გულწრფელად მეუბნები?

— გევედრები, გაიქეცი! მეტი დრო აღარაა!.. ეს ლერწამი ჯუნგლებსა სწვდება, იქ შენი მეგობრებია და... თავისუფლება...

— შენც წამოხვალ?

— მე?.. რას ამბობ, დედა ვის დავუტოვო?.. ის ხომ მწუხარებისაგან მოკვდება!

— მაშ, არც მე წავალ!

— შენ დაგხვრეტენ!

— მე რომ გავიქცე, მაშინ შენ...

— მამა, გევედრები!..

მოხუცი ჯიუტად განაგრძობს გზას. შვილის ვედრებას ყურს არ უგდებს. თითქოს არ არსებობს ეს ბილიკი, ეს ლერწმნარი, არ არსებობს ის ტყვია, ხვალ რომ გულისცემას შეუწყვეტს. არც ის „ხვალ“ არსებობს... არის მხოლოდ ცა და მიწა, არის მისი სულის მუსიკა. მის სულში კი საზეიმო ჰანგები წკრიალებს.

აცრემლებული ყმაწვილი ცდილობს გატეხოს მოხუცის სიჯიუტე. საოცრად ენაწყლიანი გახდა. ათასნაირი, მისი აზრით დამაჯერებელი საბუთი მოჰყავს. ლაპარაკობს მგზნებარედ, ახალგაზრდული გატაცებით...

მოხუცი ულმობელია.

ყმაწვილი ჩუმდება. ფეხათრევით მიჰყვება მოხუცს და თავს ცოცხალთა შორის უუბედურესად გრძნობს...

შვეულმფრენმა ერთი წრე კიდევ გააკეთა ცაზე. აფორიაქებულმა ჩიტებმა ჟივილით გადაუარეს ბილიკს.

— კარგი!

— რა, კარგი?

— მოვდივარ შენთან ერთად! მე მჯერა შენი!

მარჯვენა მარჯვენას ეჭდობა მტკიცედ...

— დროს ნუ ვკარგავთ, წავიდეთ!

— ეჰ, დღეს უკანასკნელად ღალატობს ბედი რამირესს! გვიანია, შვილო, ჩემი ყელი უკვე მარყუჟშია!

— რას ამბობ, მამა, რომელ მარყუჟში?

— მხედრები გვიახლოვდებიან. ვაგლახ, ეს ჩემი სიკვდილი გვიახლოვდება, გვიანია გაქცევა!

ყმაწვილმა ყური მიუგდო. მოესმა ცხენების ჭიხვინი, ფლოქვების თქარუნი. მხედრები მოდიან!

— ხომ შეიძლება მაჩეტეროები იყვნენ?

— არა, ეს პოლიციელთა რაზმია!

მერედა, ასე ადვილად უნდა დათმოს მოხუცი მამა? რად უნდა სიყმაწვილე, სახელი, ვაჟკაცობა? რად უნდა სიცოცხლე? ავტომატს სიცოცხლე უნდა ჩაჰბეროს უმალ.

— მაშ, ჩვენ ვიბრძოლებთ! უმჯობესია, დავიხოცოთ, თუ სხვა გზა არ არსებობს!

ტყვიის შხუილი მუსიკად ჩაესმის მოხუცის ყურს. არც სიკვდილი აშინებს ბარიკადებზე გამოწრთობილს... შვეულმფრენი დაგუგუნებს ცაზე, ჯუნგლებამდე კი შორია. ღირს კი ადრევე წაგებული ომის დაწყება?

სიმკაცრე ეტყობა მოხუცის ხმას.

— მე შენთვის ჯერ არ მომიმართავს თხოვნით!.. დაიფიცე, რომ ამ ერთადერთ თხოვნას შემისრულებ!

— ვფიცავ!

— დაიფიცე ვაჟკაცის სიტყვა! დაიფიცე დედა, მამა, თუ ისინი საფიცრად მიგაჩნია! დაიფიცე შენი მომავალი სიყვარული!

— ვფიცავ!

— ჩემი სიკვდილი საკმარისია. შენ არ უნდა მოკვდე! თუ შენ დაიღუპე, ვინ უნდა გააგრძელოს რამირესის საქმე?

— მამა, ნება მომეცი...

— არა, შენ ცოცხალი დარჩები!.. მე მინდა, რომ დიქტატორები თრთოდნენ ხოსინტო რამირესის სახელის წინაშე!.. გესმის?

ცხენოსნები სულ ახლოს არიან. ბილიკი მარჯვნივ უხვევს. მოსახვევს იქიდან უკვე ისმის ცხენთა ხვნეშა, მხედრების საუბარი.

— მამიკო!

— გაჩუმდი!

— მამიკო, გევედრები!

— გაჩუმდი-მეთქი!

მოსახვევიდან მხედართა ჯგუფი გამოთქრიალდა.

***

გათენდა ის დილაც. ისეთივე მშვენიერი, როგორიც ათასი სხვა დილა. მზე ამოვიდა, ცხელი და კაშკაშა; ნისლის ბადე აჰყარა ქვეყანას.

მრავალი რამ მოხდა იმ დილას ქვეყანაზე...

იმ დილას ინდიელ საუტეროს დატვირთული ურემი ჩაეფლო ტალახში. ორი საათი ებრძოდა ილაჯგაწყვეტილ ხარებს, მაგრამ ვერა გააწყო რა. დიდხანს იჯდა გზის პირას და საკუთარ ცრემლებს უერთებდა დილის კამკამა ცრემლებს.

იმ დილას ლეპრეზორიუმში მცხოვრებმა ნაბუშარა ელეონორამ თავი მოიწამლა. ორი საბანი და სამი ბალიში კი კეთროვან ბავშვებს უანდერძა...

იმ დილას პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა მუშა ვიეირას, რომელმაც მოაპირკეთა სასახლის საპირფარეშო იტალიიდან გამოწერილი ფილებით...

იმ დილას ჟურნალ „ეპოქის“ რედაქტორი სენიორ ბეტანკური ათვალიერებდა შიშველი ლამაზმანების სურათებს და ვერ გადაეწყვიტა, საბანაო კოსტიუმში ჩაცმული გაეშვა გარეკანზე თუ უბრალოდ ხელებაფარებული...

იმ დილას გრიალებდნენ მთათა გრეხილები. რეაქტიული თვითმფრინავები ბომბსა და ტყვიას აყრიდნენ კორდილიერების კალთებს. მთები ყეფით პასუხობდნენ. ლიბერტადორები „ადელანტეს“ ღრიალით დევნიდნენ გვარდიელებს მთებიდან...

იმ დილას ყმაწვილი იდგა სარკმელთან. ხელები აეფარებინა თვალებზე. ძახილი ჩაეხშო მკერდში... აჰ, რატომ დაუჯერა მოხუც მამას გუშინ. სჯობდა ტყვიით გულგანგმირული დაცემულიყო იქ, ლერწმით დაფარულ ველზე. პირაღმა დაეცემოდა, ხელებგაშლილი, ჯვარზე ცმულ იესოსავით. ლერწმის კენწეროები დაიხრებოდნენ მომაკვდავის თავზე, დაიტირებდნენ. მისი მზერა უკანასკნელად გაარღვევდა ცის გუმბათს, ჩასწვდებოდა სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებას და თვალები ჩაეფერფლებოდა. გრიფების საკბილო იქნებოდა დღეს

უკვე. განა არ სჯობდა ასე მომხდარიყო?.. ღმერთო დიდებულო, როგორ უნდა მამის გადარჩენა, ასეთი საძულველისა გუშინ დილით და ასეთი სასურველისა დღეს.

იმ დილას მოხუცი გამოიყვანეს დასახვრეტად. შეთეთრებულ გალავანთან დააყენეს.

ციდან მზე დაჰყურებდა მოხუცს. ტატნობზე შავ წერტილად მოჩანდა კონდორი. კორდილიერებისაკენ მიემართებოდა ფრინველთა მეუფე.

დახვრეტა ჩვეულებრივი იყო. ისეთივე ჩვეულებრივი, როგორიც მრავალი სხვა, ტერორით წაბილწულ ამ ქვეყანაში... თვალის ახვევაზე უარი თქვა. სიკვდილის წინ კი მკაფიოდ წარმოთქვა:

— დაე, შხამად ერგოთ ჩემი სისხლი ხალხის ჯალათებს!

თეთრ გალავანზე სისხლის წვეთებმა ყაყაჩოები მიმოაბნიეს...

გავიდა დრო. მრავალი დილა გათენდა მას შემდეგ...

დაახლოებით ორი კვირა გავიდა და იგრიალა ეშმაკის ხეობამ. ხანძრის გიგანტურ სვეტს ხედავდნენ ქალაქიდან ოცდახუთი კილომეტრის დაშორებით. მეორე დღესაც ფერფლი ცვიოდა ციდან. ამბობდნენ, ჯუნგლებს ცეცხლი გაუჩნდაო. ამ ქუხილმა რესპუბლიკის პრეზიდენტის რისხვა და მრავალი მინისტრის დაყრუება გამოიწვია. საიდუმლოდ დარჩა, ვინ და როგორ ჩაიდინა ეს დივერსია.

ბოლოს დედაქალაქის ერთი ბულვარული გაზეთი, კერძოდ „სენიორიტა ისაბელა“, რომელიც ვითომდა ოპოზიციური ორგანო იყო, წერდა: „ინფორმაციის მინისტრმა ერთხელ კიდევ გაგვაბრიყვა, როდესაც გამოაცხადა რამირესის სიკვდილით დასჯის ამბავი. რამირესს ხედავდნენ მთებში, მას ხედავდნენ ლიანოსებში და დედაქალაქშიც კი, ღარიბთა ფაველებში...“

კარი იღებოდა ხოსინტო რამირესის წინაშე...

ჩინეთი, ილი, 1962-1963

ალმანახი „პირველი სხივი“ VIII, 1968

კარი ცისა

იყო, როდესაც არ იყო
არიოზი

ნაროვანზე შემომაღამდა... იმ დღეს ათიოდე კილომეტრი გავიარე. კვირიას ქედი უკან მოვიტოვე. მის კალთებს ნახირი ხორკლივით აჩნდა. ხანდახან ჩემამდეც აღწევდა მენახირეთა სტვენა-გადაძახილი. ჩაძინებულთა კოშკთან ჩრდილი მთლად გამქრალიყო და სიცხემ ფეხი ამაჩქარებინა. საჯოგიას და ქაბარჯინას შორის დაკლაკნილი ტერხენა თითქოს მეთამაშებოდა, ხან ბუტია ბავშვივით გამშორდებოდა, ხმა მიყუჩდებოდა, ხან კი ფეხებში ჩამივარდებოდა ალერსმოწადინებული ცელქი ლეკვივით. წითელმთასა და სალაფოს შემდეგ ბილიკი ღორღში ჩაიკარგა, თითქოს ხვატარა მზემ გაადნო. კლდეებს თონესავით სიმხურვალე ასდიოდა. მწყემსთა მრგვალი საცხოვრისები მთის უბეს ჩაკვროდნენ.

— შამადი... მაისვენებდე! — კართან დიასახლისი იდგა, სველ ხელში ვედრო ეჭირა და არ იცოდა, სად წაეღო. — დოს დაღლევდე, იქნება პურს შასჭამდე...

სასმელი ცივი იყო და ცხვრის სუნი ასდიოდა; დიასახლისსაც — ცხვრისა და ახლადამოყვანილი ყველისა. კუთხეში თეთრი ლოდების მსგავსი ყველის თავები ეწყო.

„შამადი... მაისვენებდე!..“ — ამოჯაჯული წინსაფარი ეცვა, ისიც ვერ მალავდა მის სიყმაწვილეს. თვალი ავარიდე წითლად გადატეტკილ ლოყებს. ვედრო უკვე კუთხეში მიედგა, სველ ხელებს კი წინსაფარში მალავდა.

ყველსაც ცხვრის სუნი ასდიოდა. არ მშიოდა მაინცდამაინც. დროც არ ითმენდა, რადგან სიონიდან გვიან გამოვედი. წინ უჩვეულო და დამღლელი აღმართი მელოდა, მის მიღმა კი — „მწყემსების ბედნიერება“ — ნაროვანი...

ჰოდა, ნაროვანი ზღაპრად მექცა... სულ ახლახან ქალაქის სიცხიან ქუჩებში დავდიოდი, ან საათობით ვიჯექი ჩახუთულ

აუდიტორიებში. ხელი მიოფლიანდებოდა და ასოები ბატი-ფეხურად გამომდიოდა. მერე უცებ ნაროვანში აღმოვჩნდი.

თოვლიანი მთები და პირქუში კლდეები ეხვია ირგვლივ ხასხასა ველებს. ეტყობა ისინი დაუდევრად შეეღებათ, რადგან სიმწვანე ყველაფერს გადასდებოდა ირგვლივ. ოღონდ ზოგან მეტი საღებავი დაეღვარათ, ზოგან ნაკლები, და ლივლივებდა ფერი, ნაირსახეობდა, გადადიოდა ღია მწვანედან ღანძილისფრამდე. და ის ჰაერიც, ამ ღრმულს რომ ავსებდა, პიტნიანი სიროფისფერი იყო; სიგრილეს ჰფენდა ირგვლივ, წყურვილს კლავდა...

მოქანცული ვიჯექი ქვაზე. ვსვამდი პიტნის სიროფისფერ სიგრილეს, ხანდახან კი ჩამესმოდა ნაზი ხმა — „შამადი... მაისვენებდე...“ ეს ხმა თითქოს ჩურჩულით მეუბნებოდა რაღაც საიდუმლოს. მეტყოდა და მშორდებოდა, მერე ისევ მიმეორებდა, მაგრამ უფრო სუსტად და კვლავ იკარგებოდა. ისევე როგორც სახელურის მობრუნებით თანდათან ვასუსტებთ რადიოს ხმას და ბოლოს სულ გამოვრთავთ. აზრი შორდებოდა ცოტა ხნის წინათ ნანახ ჩვენებას და გზას უთმობდა ახალს, კვლავ უჩვეულოს...

ჩემ წინ ბიჭი იდგა, თოთხმეტი წლისა. ჯოხს დაყრდნობოდა და მშვიდი თვალებით შემომცქეროდა. მის უკან ასიოდე ცხვარი შესეოდა ფერდობს. ცხვრები ტუჩებს აცმაცუნებდნენ და ისე გამალებით პოტნიდნენ ბალახს, თითქოს დღეს თუ ვერ მოასწრებდნენ ყველაფრის მოძოვნას, ხვალ უხილავი ნება ქვიშიან უდაბნოში გადარეკავდა მათ და შიმშილით ამოწყვეტდა.

— გამარჯობა! — მივესალმე.

ბიჭი ახლოს მოვიდა და კვლავ მშვიდად შემომხედა. მუნჯი მეგონა, მაგრამ უცებ ალაპარაკდა. მითხრა, როგორ დაფხოჭიალობდიო ფერდობზე. შეშინებია, დაგორდება და ქვებში „ხოხრიალას ჩაიტყვლიჟავსო“.

— მგზავრი ვარ, ქალაქიდან! — ისე ვუთხარი, თითქოს ქრისტეფორე კოლუმბი მრქმეოდეს და ახალი ინდოეთის სანაპიროზე დამედგას ფეხი.

ბიჭის თვალებში ნაპერწკალმა გაიელვა. გერგეთის სამების ტაძარში თუ იყავიო, მკითხა. პასუხს არც დალოდებია, რადგანაც მეთაური ვაცი შორს წასულიყო... სხაპასხუპით მომაყარა სიტყვები:

— ყაზბეგჩი ჩახვიდოდე და ღნახავდე... სუ მთლა უცხო ხალხი დადის კე... ძრიალ საინტერესოა...

რამდენიმე დღის წინათ ვიყავი გერგეთში. ზევით ავედი. ზღუდის ნანგრევიდან ვუთვალთვალებდი ღრუბლებში ნახევრად გახვეულ მყინვარსა და გარშემო ჩამოწოლილ ქედებს. თითქოს მარადისობას ვეზიარები, როცა ზვიად მთებს შევცქერი; ძალ-ღონე მემატება თითქოს, როგორც ანთეოსს მიწის შეხებისას...

შეიძლებოდა ყველაფერი ეს მეთქვა პატარა მწყემსისათვის, მაგრამ იგი უკვე მირბოდა ურჩი ვაცის დასასჯელად და შორიდან უკიოდა. ვაცმა თავი აიღო, მოჰხედა, „ერთი შენც მოგცლიაო“ და თავის გზას მიჰყვა.

ერთხანს ვუყურებდი და ვერთობოდი. მწყემსთა საცხოვრებელში ნანახი ქალი კვლავ წამოტივტივდა მეხსიერებაში. ახლა უფრო ნაზი მეჩვენა მისი ხმა. ამ ბიჭის ხმას ჰგავდა ვითომ. თვითონ ბიჭიც ჰგავდა თითქოს. მინდოდა შემემოწმებინა, მაგრამ არ დამიცდია და რუის პირს დავეშვი, ჭაჭით ნაგებ ფარეხში.

ხბოსტოლა ქოფაკი ყორეს აეკრა და მუქარით დაიღრინა.

მოხუცი გამოჩნდა, სამოცდაათი წლის ყოჩა. პირველად ვნახე, მაგრამ მაინც მივხვდი, ის იქნებოდა. ძაღლს დაუტატანა, დაამშვიდა. ფეხი ავითრიე, ვინძლო ქოფაკი არ გამეხელებინა და თავი არ წამეგო.

— სტუმარი ვარ, თუ მიმიღებთ... — მისალმების მაგიერ ვთქვი.

— სტუმარი ღვთისაა! — დინჯად მიპასუხა. ისეთივე მშვიდი თვალებით მიყურებდა, როგორც ის ბიჭი.

თამამად მოვკალათდი ქვაზე და იქიდან ვუცქერდი ფარეხში ატეხილ ფაციფუცს.

მზე უკვე ჩადიოდა. ფერები იცვლებოდა. ნარინჯისფერი გადაედო ველებს. მერე სისხლი დაიქცა. დაკლული ცხვრის სისხლისფერი შეიქნა ყველაფერი. მთის კალთებიდან ჩამოედინებოდნენ ფარები, ფარეხის ფართო ეზოში იკავებდნენ მიჩენილ ადგილს. ცხვრის ბეწვში გაჩხირული სხივები თავს ვერ აღწევდნენ ტყვეობას და იქ ქრებოდნენ.

თითქოს არც გათანგულიყვნენ დღისით ველები, ერთბაშად

აცივდა. ძვალ-რბილში გამტანმა ნიავმა წამოუბერა. ქოფაკთა ღაფღაფი და ცხვრის პეტელი წაიღო ცივმა ნიავმა და გრძლად გაწოლილ სერებზე მშიერ მგლებს საღერღელი აუშალა.

როდესაც ყველაფერს ჯიგრისფერი გადაეკრა, ცხვარსაც, ქოფაკსაც, მინდორსაც, ადამიანსაც, მზის სხივი უღონო შეიქმნა. თეთრი, ქაფქაფა რძე აჩხრიალდა ჩანებში.

კოცონი აბრიალდა შუა მინდორში, ირგვლივ შემოიკრიბა ადამიანები, დანარჩენი ქვეყანა კი წყვდიადში ჩასძირა. ახლადგამომცხვარი ხაბიზგინები პატარა მთვარეებივით მიმოიბნენ ძირს დაგებულ ფარდაგზე და ვერცხლისფრად ბრწყინავდნენ.

— ბალღო, რასა იქმ? — ყოჩას „ჟიპიტაურით“ სავსე თასი უჭირავს.

ეს კითხვა მუდამ მაწუხებს. ვერ გამიბედია და ვერ მითქვამს, პოეტი ვარ-მეთქი. რაღაცას მივკიბ-მოვკიბავ და საკუთარი თავით უკმაყოფილოს გუნება წამიხდება ხოლმე. ახლაც სათქმელი მივაქიჩმაჩე, ხანდახან ლექსებს ვწერ-მეთქი, უფრო მივახვედრე, ვიდრე ვუთხარი.

— წერე, ბალღო, წერე... კა საქმეა, კა... — ვერ გავიგე დამცინა თუ სერიოზულად მითხრა.

ღამე ბნელი იყო. ცა ვარსკვლავებით მოიჭიქა. ნაბადი დამიფინეს და იმაზე ვიჯექი. ყოჩა ცეცხლის პირას იდგა, დაცლილი ყანწი კვლავ ხელში ეჭირა. აუჩქარებლად ავსებდა და თან მწყემსებს უყვებოდა ამბავს, ეტყობა უფრო ჩემდა გასაგონად.

— სწავლობდის იყალთოჩი, ძრიალ კარგად სწავლობდის... მამრე უთქომს დედუფალსა, რაიღა გინდა მთხოვეო... უთქომს, გათხოვილი არა ხართო?.. განრისხდა დედუფალი, წაჰკივლა კე...

ირგვლივ შემოჯარული მთები შავ გრაგნილად შემოევლო ჰორიზონტს, ქვეყანა დაპატარავდა. ვარსკვლავებით მოჭედილმა ცამაც ჩამოიწია. ირმის ნახტომის ვარსკვლავეთი თეატრის ფარდაზე დახატულსა ჰგავდა. თითქოს ირხეოდა ფარდა, ვარსკვლავებს აჯავარებდა, ხან აიწევდა, ხან კი სულ დაბლა დაეშვებოდა. ხელის წაპოტინება შემეძლო, მაგრამ ნაბადწამოსხმული ყოჩა მადგა თავზე და ვარსკვლავებს მხრებით აკავებდა.

ვარსკვლავი მოწყდა ზეცას, კლაკნილი გაავლო მნათობებს შორის, გაჰკრა-გამოჰკრა კვესივით, ნაპერწკლები დააყრევინა, ისევე როგორც მუგუზალზე მუგუზლის შემორტყმის დროს ცვივა ხოლმე. გრძელი კუდი გამოუჩნდა, ბრიალა. როგორც გაჩნდა, ისევე გაქრა მოჩვენებასავით. ვიღაცის სული დაიწვა, დადნა სივრცეში.

უცებ შეუძლებლად მომეჩვენა ყველაფერი: ვარსკვლავების სიახლოვე, გულუხვი დიასახლისი გზაზე, მწყემსი ბიჭი, ყოჩა, ლეგენდა პოეტსა და დედოფალზე, რომელსაც ყოჩა ყვებოდა...

— მოიარის კე უცხო ქვეყნები, უცხო სოფლები... ისწავლის კე ენები, ფილოზოფია... დაბრუნდის თეთრწვერება და საზღვარზე შემოხვდების კაცისძირაი. გაბრუნდიო ერუსალიმს, დედუფალი წყრებაო შენზედა, გადმაჰკივლა საზღვრიდანა...

იმ ღამეს მარტო დავრჩი კარავში. საძილე ტომარაში ჩავძვერი და თავი გამოვყავი. ასე ვიყავი გარინდული, ვერაფერს ვარჩევდი წკვარამში. რატომღაც შიში მომეპარა და სული შემიშფოთა. მარტოობამ დამაღონა. ძაღლებმა იღმუვლეს ფარეხთან. საძილე ტომრიდან ხელი ამოვყავი და თოფი მოვიჩოჩე. ძუ მგელს ელოდნენ ფარაში...

მოგვიანებით ბიჭი შემომიცოცდა. გვერდით დაწვა და ისიც გაიტრუნა. მერე უცებ მომიბრუნდა და ჩურჩულით მკითხა:

— ამერიკაჩი იყავი?

ვერ მივხვდი, რას მეკითხებოდა. მერე გამახსენდა, მას ხომ მოგზაური ვეგონე. თავი გავაქნიე, მაგრამ სიბნელეში ვერ მხედავდა და კითხვა მოუთმენლად გამიმეორა.

არა, „ამერიკაჩი“ არ ვყოფილვარ, მაგრამ სულ ახლახან ვიმოგზაურე ჩემს სიდუსთან, მუნტუსთან, გიგლასთან ერთად...

სიდუ და მუნტუ პირველად ატენის სიონში ვნახე ერთად. კაცმა რომ თქვას, ორი წელი მაინცაა, რაც ისინი გავიცანი. ცალ-ცალკე ხშირად მხვდებოდნენ უნივერსიტეტის ეზოში, მაგრამ ატენში პირველად შევამჩნიე, თუ რა ძაფები გაბმულიყო მათ შორის.

ექსკურსიების ამბები მოგეხსენებათ, მთლად ბავშვებად ვიქცევით ხოლმე; ყველაფრის უნახავნი ვხდებით, ყველაფერზე განცვიფრებასა და აღტაცებას გამოვთქვამთ. ზოგჯერ ენამოსწრებულად, ზოგჯერ უგერგილოდაც ვხუმრობთ... ხმა თუ შევუწყვეთ, მოგილხენიათ, ვიმღერებთ, თუ არადა, ყველა თავისას მღერის და ცეკვავს... ვთამაშობთ „დაჭერობანასა“ და „დამალობანას“ პირველკლასელებივით, ან „ამის პატრონმა რა ქნას“ კოცნაზე და სულ იმას ვნატრობთ, ნეტავი ბედმა ჩვენი რჩეული შეგვახვედროსო. ჰოდა, ამ ექსკურსიაზე მეც უზომოდ გაანცებული ვიყავი. ჯერ იყო და ეზოში კომში მოვიპარე და შევჭამე; მერე გუმბათზე ავძვერი და „ეჰეი!“-მეთქი იქიდან გადმოვძახე, თან ვტკბებოდი ძირს დარჩენილი გოგონების წრიალით და ხვეწნით, ჩამოდი, თორემ მანდედან გადმოგორდებიო...

ყველაზე ბოლოს შევედი ეკლესიაში და მაშინ ვნახე სიდუ და მუნტუ ერთად. ბიჭები შეყრილიყვნენ საკურთხეველთან და მღეროდნენ... გარდასულ ჟამთა ჰიმნი გუგუნებდა ტაძარში... შავსუტანებიან მამაკაცებს ხელები გუმბათისაკენ აღეპყროთ და შეჰღაღადებდნენ სამყაროს მპყრობელს. სიმღერა მირაკრაკებდა მაღლა და მაღლა, ავსებდა ტაძრის ნავებსა და სენაკებს, აზანზარებდა თლილ თაღებს, გარეთ იჭრებოდა მქრქალი სარკმლებიდან. კედლებზე მოფარფატე ანგელოზებმა დაჰკრეს ნაღარას და ახმიანდა, აგუგუნდა ათასწლეული ფრესკები. ზუსტი შტრიხებით ამოქნილი სახეები სუსტ ბინდში იშლებოდნენ, იფანტებოდნენ, ხმიანებდნენ... სიდუ და მუნტუ კი საკურთხევლის კონქის ქვეშ იდგნენ, ერთმანეთის გვერდით. მუნტუს ხმა კანკალით იჭრებოდა საერთო გუგუნში. სიდუს თვალებზე ცრემლი მოსდგომოდა. იგი უხმოდ წარმოთქვამდა ლოცვის სიტყვებს.

„ეს რომ ჩემი ჯვარისწერა იყოს!“ — გაუელვა ანაზდად.

„სიდუს ცრემლები... კამკამა ცრემლები...“ — მისთვის მღეროდა დღეს მუნტუ.

„ეს რომ ჩემი ჯვრისწერა იყოს!“ — უფრო დაბეჯითებით გაიფიქრა სიდუმ და იგრძნო, რომ ლოყებზე ალმური ედებოდა.

„რა იქნება, მხარზე ხელი რომ მოვხვიო? — ფიქრობდა მუნ-

ტუ. — ცრემლს მოვწმენდ და ვეტყვი, რომ ის ჩემია...“

„ხელი რომ მომხვიოს, რა უნდა ვქნა?“ — ფიქრს ფიქრით გაეპასუხა სიდუ.

„ჩუმად რომ მოვხვიო, ვერავინ შეამჩნევს...“

„ღმერთო, ხელი რომ მომხვიოს...“ — გული გადაუქანდა სიდუს.

„რატომ ვერ ვბედავ? — ფიქრობდა მუნტუ. — ეგებ ელის კიდეც...“

„ოდნავ თუ გაინძრა, — ალი ედებოდა სიდუს, — ახლა, ახლა...“

შეტოკდა მუნტუ, ათრთოლებულმა მკლავზე მოჰკიდა ხელი.

„როგორ ბედავს!“ — რისხვა შემოენთო სიდუს და განზე გაიწია.

მუნტუს ხელი ჩამოუვარდა, სირცხვილის ოფლი წინწკლად დაეყარა შუბლზე.

„ის ღვთიურზე ფიქრობდა, მე კი...“ — ქურდულად მიმოიხედა, ხომ არავინ შემამჩნიაო. თანაგრძნობით შევხედე, თვალი ამარიდა. არავის შეუმჩნევია რამე, გარდა წმინდანებისა, რომლებიც კიცხვით დასცქეროდნენ ფრესკებიდან...

მზეზე გავედი. მინდოდა მეფიქრა ჩემს აღმოჩენაზე, სიდუსა და მუნტუზე. წყალგაღმა ფერდობზე ავფოფხდი. იქ, მონგრეული ლოდის ჩრდილში მოვკალათდი. მალე გიგლაც ამობობღდა და გვერდით მომიჯდა. ჩუმად ვისხედით. ლაპარაკი საჭირო არ იყო. ქვევით მაღალი მთებით შემოჯარული ღრმული ეგდო და ღრმულის გულში ლამაზი ტაძარი იდგა. ასეთ დროს ადამიანს ამაღლებული, რომანტიკული განწყობა გეუფლება, ყველაფერი მშვენიერი გეჩვენება... ჰოდა, ამ წუთს, არ ვიცი, მართლა ვგრძნობდი თუ ვფიქრობდი, ვგრძნობ-მეთქი, რომ ეს ღრმული სავსეა სუფთა, გამჭვირვალე ჰაერით. ნამდვილად ვხედავდი, ან მეჩვენებოდა, ამ ჰაერის მოცისფრო ჭავლები. ზევით, მთების წვეროებთან, უხილავი ზღვის ტალღები ეხეთქებოდა ქარაფებს, ბობოქრობდა და ცდილობდა გზის განგრევას, მაგრამ ვერ ერეოდა პიტალო კლდეებს და მხოლოდ შხეფები თუ

გადაესხურებოდა მთებს იქითა სამყაროს, — ამას უკვე გიგლას ვეუბნებოდი, რომელიც თავს აკანტურებდა, ან იმის გამო, რომ მეთანხმებოდა, ანდა სულაც თვლემდა...

თითქოს ქვეყნიერებას მოვწყდი ერთი წამით, ქვეცნობიერი შიში დამეუფლა. მომეჩვენა, რომ ვერასოდეს ჩამოვიდოდი ამ ფერდიდან.

ქვევით, მონასტრის ეზოში სუფრა გაშალეს და გვიხმობდნენ. ხმები აქამდე ვერ აღწევდა და გვეღიმებოდა, რა ტყუილუბრალოდ იჭაჭებიანო...

— უკაცრავად, — თქვა გიგლამ. მას თხელი, მკაცრად მოკუმული ტუჩები აქვს და ფრაზებს გადამეტებული სერიოზულობით ამბობს. — უკაცრავად, მავანი და მავანი ხალხის სადიდებელი მინდა შევსვა! მგონი, უნდა ავჩქარდეთ, თორემ მუნტუსა და ზაზას თუ ვუყურეთ, ჩვენს სათქმელსაც ისინი იტყვიან...

ჩამოშლილ ღორღზე ვეშვებოდით ფრთხილად. გიგლას ფეხი დაუცდა, თავი ძლივს შეიკავა. ქვა ჩავარდა რახრახით, თან უამრავი ხვინჭკა ჩაიყოლია. მუხლი ამიკანკალდა უნებურად. ნამდვილად ვეცემოდი და ჰაერს წავეპოტინე. ცის გუმბათი დატრიალდა თავზევით და ოდნავ გასაგონი ხმით წავიჩურჩულე:

— ღმერთო ჩემო, გიგლა... იქ, აი იქ...

მოპირდაპირე მთებს მიღმა ბუმბერაზი აჩრდილი იდგა. აქედან მხოლოდ მხრები და თავი მოჩანდა და მაინც იმდენად დიდი იყო, ირგვლივ ერთბაშად ყველაფერი დაპატარავდა.

იყო პატარა ეკლესია, იყო უმნიშვნელო გორაკები, ცა იყო შორს, მიუწვდომელ სიმაღლეზე. მეც უსუსური ვიყავი და აჩრდილის სიდიადემ ცეროდენად მაქცია.

იდგა აჩრდილი ზვიადად და მზეს ეფარებოდა. იდგა და მდუმარედ გადმოჰყურებდა გარემოს.

„ვინ ხარ, ჰეი, ვინ ხარ?!“ — შევძახე გაოგნებულმა.

აჩრდილი დუმდა.

— წამოდი, რას გაჩერებულხარ? — ჩამესმა გიგლას ხმა.

ფეხათრევით მივყევი.

მონასტრის ეზოში სუფრასთან მსხდომი ბიჭები მჭევრმეტყველებაში ეჯიბრებოდნენ უკვე ერთმანეთს...

*

საგაზაფხულო სესიები მოვათავეთ. ბედნიერები და თავბრუდახვეულები ვართ, ცხადია, ვინც ფონს გავიდა და კუდი არ გამოჰყოლია. მთელი თვის ნამეცადინეებს, ძილგატეხილებს, თვალებჩაცვენილებს, წონაში დაკლებულთ თავში ყველაფერი აგვრევია. თითქოს აქანავდა გათანგული პროსპექტები, მხრებჩამოყრილი ხეები, ცომივით დარბილებული ასფალტი, ლანჩზე რომ გეწებება გულისგამაწყალებლად... ასეთ დროს დიდ ქალაქში დარჩენა სასჯელი იქნებოდა და ვისაც კი შეეძლო, შეეხიზნა მთებსა და ზღვისპირეთს. და აი, ჩვენ მივიღეთ მშვენიერი საჩუქარი — ძია ნიკა და მისი დანჯღრეული ავტობუსი...

ჰოდა, ივნისის ერთ ცვარმოპკურებულ, ცინცხალ დილას ავტობუსი გაიჭედა თავგადასავალთა მაძიებლებით. ჩვენს, როგორც ძია ნიკა გვეძახდა, „ძალათი თავატკიებულთა“ ჯგუფს, ჩვენდა სასიხარულოდ, ბატონი პროკლე ჩაუდგა სათავეში და თან რვა წლის შვილიშვილი, ცისფერთვალება და ცხვირაპრეხილი თამრიკო წამოიყოლა. ხელმძღვანელის ფუნქცია ექსკურსიაზე იგივეა, რაც სარდლისა ომის დროს. თამრიკოს კი, როგორც გამოირკვა, ევალებოდა ყოფილიყო ჭირვეული და გულუბრყვილო, რათა მეტი სიხალისე შემოეტანა ჩვენს მოგზაურობაში.

სხვებს, მგონი, გართობის მეტი არაფერი გვაწუხებდა და იმთავითვე ვცდილობდით რამეთი დასაქმებას.

ზაზას და გიგლას ხელში რუკა ჩაეგდოთ და ცხარედ კამათობდნენ გზის მარშრუტზე. თუმცა იმთავითვე ცნობილი იყო, რომ ბატონი პროკლე არავის დაანებებდა თავის უზენაეს უფლებებს. ბიჭების უკან ნუნუკა იჯდა, ეშმაკურად აცეცებდა თვალებს და აქაოდა ნამეტანი მორცხვი და თავმდაბალი ვარო, ამით მოჰქონდა თავი. სიდუ და მუნტუ სულ ბოლოს ისხდნენ. მუნტუ ფანჯარას გადაყრდნობოდა და თავისთვის უსტვენდა. სიდუს კი მუხლებზე ხელები დაეწყო და რატომღაც გაბუსული ბავშვივით იყურებოდა.

დანარჩენ გოგო-ბიჭებს ჯერ კარგად არ ვიცნობდი. ისინი სამსახურში მიმავალი მოხელეებივით სერიოზულად ისხდნენ და წყნარად საუბრობდნენ.

მე წინ მოვთავსდი, ძია ნიკას გვერდით, პირდაპირ საფეხურზე.

უფრო ცნობისმოყვარეობის გამო, რადგანაც აქედან არაფერი გამომეპარებოდა, რაც მანქანაში და მის გარეთ ხდებოდა...

— წავედით! — წაიმღერა ბატონმა პროკლემ და ჩვენი ცისფერი ავტობუსი დაადგა თბილისი-მცხეთის გზატკეცილს.

კარგ გუნებაზე ვიყავით. თანდათან გაქრა მორიდება. საუბრის ძაფი გაიბა. ვიღაცა სიზმარს ყვებოდა; ვიღაცა მეზობელს აქილიკებდა, ისიც ხურდას უბრუნებდა, მაგრამ არცთუ ხეირიანად.

— ბატონო ზაზა, უკაცრავად, მაგრამ, თუ აუცილებელი საჭიროება არ მოითხოვს, ნუ დაჯდებით ჩემს ლაბადაზე!

— ბატონო გიგლა, მეც უკაცრავად გახლავართ, მაგრამ, ხომ იცით, აუცილებელი საჭიროება რომ არ მოითხოვდეს, თქვენს ლაბადას არ ვაკადრებდი მაგას!

სიცილმა საბოლოოდ გამოგვაცოცხლა და სიმღერის წამოწყებაც კი ვცადეთ.

— უკაცრავად, ბატონო, მაგრამ არ მეგონა, თუ ასეთი არასერიოზული პიროვნება ბრძანდებოდით! — მოიღუშა გიგლა.

— ბატონო ჩემო, მე კიდევ სხვა უამრავი შესანიშნავი ღირსება მაქვს! — უპასუხა ზაზამ და მოულოდნელად გამაყრუებელი ხმით შემოსძახა: — „საყვარლისა ეშხითა-ა-ი, ღვინოც დაგვილევია-ა-ი, ტარლა-ლილა-ლილა-ლა-ა-ი, ტარლა-ლილა-ლილა-ლა-ა-ი...“

სიტყვა სიტყვას წაემატა. ხუმრობა-ოხუნჯობა, თუნდაც ის საკმაოდ გაცვეთილი ყოფილიყო, საერთო მხიარულებას იწვევდა. გიგლას ცარიელი ბოცები წამოუღია, ღვინიანი კასრი კი შინ დარჩაო; იათამზეს ისე ეშინია ხვლიკისა, ხვატარა ზაფხულშიც რეზინის ჩექმებით დადისო; ზაზა დისერტაციის წერის დროს სულ იცინოდა და სასაცილო დისერტაცია გამოუვიდაო... ერთმანეთს ვუგონებდით ტყუილსა და მართალს და ამ უთავბოლო რუზრუზიდან ჩანდა, მხიარული მგზავრობა უნდა გამოგვსლოდა. აქამდე მორცხვად მყოფმა ნუნუკამ მეტი ვერ მოითმინა, ერთი გადაიკისკისა და გიგლას ბეჭზე უჩქმიტა... კი, რა თქმა უნდა, მხიარული მოგზაურობა უნდა გამოგვსლოდა...

თანდათან გამოვეთიშე საერთო ხმაურს. ყურადღება გზაზე გადავიტანე. გზატკეცილი მორჩილად იკეცებოდა მანქანის

საბურავებქვეშ. დამწყვდეულ მტკვარში მზის სხივები ცვიოდა და მტკვარი ზაჰესს უკან მდუღარე ოქროთი სავსე უზარმაზარ ქვაბსა ჰგავდა. მტკვარგაღმა კი ერთმანეთზე იგრაგნებოდა ტიტველი გორაკები. მოჭიდავეებივით ხან ერთი მოექცეოდა ზევით, ხან მეორე, სანამ მთის შუბლზე ტაძარი არ წამოიმართა ზვიადად.

მანქანის თუხთუხი ნანასავით ჩამესმოდა. დილის მზე პირდაპირ სახეში მიყურებდა. უხილავი სხივები პირზე ბუმბულივით თბილად, ფაფუკად მეხებოდა და უნებურად რული წამომეპარა. წამით გაქრა მანქანა, გზატკეცილი, მტკვარი, გორაკები... ცხენთა ფლოქვების თქარუნმა დაფარა ყველა სხვა ხმა. მტვერი ავარდა შარაზე და ბუჩქებს მოეფინა ლბილად. თეთრცხენიანი მხედარი უძღოდა წინ, თეთრ ტაიჭს მიაჭენებდა გაფიცხებულს... ჩემს გვერდით გაიელვა ორბის პროფილმა და ყველაფერი გაუჩინარდა...

ძია ნიკამ სიჩქარე გადართო.

ხელმარჯვნივ, მოტიტვლებულ გორაკზე ჯვარი აღიმართა სამეფო სკიპტრასავით...

ათი წლის ვიყავი, პირველად მცხეთას რომ ჩავუარე. მზე დამჯდარიყო ფერდობზე ჯვრის ტაძრის გვერდით. ტაძრის შავი სილუეტი სხივთა შარავანდედში ბანაობდა. მისმა სიდიადემ თვალი მომჭრა და შემაშინა...

პირველად ღამით მომიწია მოსვლამ. მცხეთაში საბარგო მანქანა დავიქირავეთ. ციოდა. ვცდილობდი ცივი ქარისაგან დამეცვა ახლადგაცნობილი სიდუ, მაგრამ ის მგონი უკადრისობდა ჩემს მფარველობას.

ქარი მიყვარს. მიყვარს მისი თავისუფალი ნავარდი, ყურებში მისი წივილი, თმების წეწვა; მიყვარს, რომ უხეშად მგლეჯს ტანსაცმლის კალთებს და მაძებნინებს თავშესაფარს. როდესაც მანქანით მივქრივარ და ქარი ჩამზუზუნებს, მგონია, რომ ეს ფრენის ზუზუნია. ყველაფერი გაჩერებულა, ყველაფერი ადგილზეა, მარტო მე მივქრივარ ჰაერის ოკეანეში...

ჰო, ამაზე მაშინ ვფიქრობდი, სიდუს რომ ვეფარებოდი. მინდოდა ყველაფერი ეს მეთქვა სიდუსთვისაც. მაგრამ მციოდა და

მთლად დარწმუნებული არ ვიყავი, მართლა მიყვარს ქარი თუ არა...

მაშინ, როდესაც პირველად მივედით ჯვარზე, თაღებქვეშ სიჩუმე სუფევდა, სიბნელეს ცრეცდა სარკმლებიდან შემოღწეული სხივთა ფანტელები პროჟექტორებისა...

რაღაც უხილავმა ძალამ შეგვკრა და დაბალი ხმით დავაგუგუნეთ ჰიმნი, რომელიც არასოდეს დაწერილა და ჩვენს გარდა არავის უგალობია.

ტაძრის ცენტრში, საკურთხეველზე, ოქროთი მოჭედილ ჯვარზე იესო ეკიდა. სახეზე ღვთაებრივი შუქი ეფინა. ჭრილობებიდან სისხლი მოწანწკარებდა. სიბნელიდან გამომძვრალი უნასი იმ სისხლს ლოკავდა და კვლავ ბნელ კუთხეში იძურწებოდა.

და იდგა ლურჯმოსასხამიანი ქრისტეს წინაშე. სასოებით შეჰყურებდა სისხლით განწმენდილ სხეულს და ჩურჩულით ლოცულობდა.

ტოლი იდგა ტოლის წინაშე.

ლურჯმოსასხამიანი ეთხოვებოდა სამშობლოს.

მაშინ, იმ პირველ დღეს გალობა გაგვიგრძელდა. მერე კი აივანზე გავედით მცირე ხნით. აივნიდან უფსკრული იხსნებოდა. ზეცა ჩამონგრეულიყო თითქოს და მისი მოციაგე ნამსხვრევები ეყარნენ უფსკრულის ძირას...

მაღალი ანძის პირას თუ გაწოლილხართ პირაღმა, როცა ანძისა და ცის გარდა ვერაფერს ხედავთ. დიდხანს რომ უყურებთ, მოგეჩვენებათ, რომ ანძა ტყდება, ნაჭრებად ქუცმაცდება. ანდა მისი სწორი, აშვეტილი ხაზები უცებ დაიკლაკნება, თითქოს ყველაფერი ეს წყალში ანარეკლი იყოს მხოლოდ და ვიღაცას თქვენს ზურგსუკნიდან კენჭი ჩაეგდოს...

მე და გიგლა ზურგზე ვიწექით სვეტიცხოვლის ეზოში. მზე იყო ბარჩხალა და ლურჯ ცას ვერ ვუსწორებდით თვალს, ისე იყო ცისფერი სხივებით სავსე. თვალზე ცრემლი გვადგებოდა, უფრო სხივებისაგან და ცოტათი აღტაცებისაგანაც, რადგანაც ამ ცის ფონზე აღმართული სვეტიცხოველი უზარმაზარი ხომალდივით მიცურავდა სილურჯეში. მისი გუმბათი კი წყალში

გაჩენილი ანარეკლივით იზნიქებოდა, თრთოდა.

ჩუმად ვიყავით, რადგანაც მოვასწარით ბანალური და მილიონჯერ ნათქვამი სიტყვების გამეორება, რითაც წინასწარ მოგვამარაგა აქამდე წაკითხულმა ორიოდე წიგნმა.

ან რა უნდა გვეთქვა იმის მეტი, რომ ცას ძირი არა აქვს, ლივლივებს წმინდა წყალივით. ვიღაცა შიგ კენჭებს ისვრის და ამიტომ ლივლივებს, ჩვენ კი, მე და გიგლა, სვეტიცხოველთან ერთად მივცურავთ თუ მივფრინავთ, ვერ გაგვირკვევია.

ასეთ დროს რამე უნდა მოგეჩვენოს უთუოდ, ან ზღაპარი მაინც უნდა შეთხზა... ჰოდა, თვალს რომ დავხუჭავდი, სურათი სურათს ედებოდა ტელეეკრანივით, როცა ფოკუსი ცუდადაა დაყენებული...

ალვის ხე იდგა მაღალი. ტაძარიც იდგა, გამჭვირვალე და ჰაეროვანი. ვერ გამეგო, როგორ იდგა ტაძარი და ალვა ერთ ადგილას...

შაოსანი დიაცი დავლანდე ხის ქვეშ. ვაზის ჯვარი ეპყრა ხელში. თვალები ცისკენ სასოებით აღეპყრო. „ღმერთო, შენ შეუნდე, ცოდვილთ!“ — წაიჩურჩულა და მოიხედა. მის წინ ლურჯმოსასხამიანი უცნობი იდგა. უხმოდ ელოდა კოპებშეკრული.

— ძნელია შენი გზა! — უთხრა ქალმა. — ეკლითაა იგი მოსილი... ცრემლს ბლომად დაღვრი გაწამებული... ფეხები დაგეჩეჩქვება ქვებზე სიარულით; ძეძვები შემოგაფლეთენ ტანსაცმელს; სისხლისმსმელი გიენა გამოგიდგება კვალზე; მგლების ხროვასთან და ყაჩაღთა ბრბოსთან მოგიწევს ბრძოლა... ძნელია შენი გზა!

მერე დიდხანს იდგნენ ჩუმად.

— ძნელია შენი გზა! — კვლავ ალაპარაკდა ქალი. — ბევრი რამ გადაგხდება თავზე. ბევრს შეიძენ და ბევრს დაკარგავ... ფიქრი სამშობლოზე, სახლეულებზე დაგიღრღნის გულს, უცხო მიწაში გაგეთხრება სამარე... მაინც ბედნიერო, არ ვიცი რატომ, მაგრამ მაინც ბედნიერო... კეთილად მშურს, რაკი კაპადოკიაში დადგამ ფეხს... მისი თბილი საღამოები მენატრებოდა სიკვდილის წინ, დედის ალერსი მენატრებოდა... ის წამიც, როცა პირველად გამომეცხადა ღვთისმშობელი და თავისი ნება მაუწყა...

გაჩუმდა... ბევრი ჰქონდა სათქმელი და იმიტომ გაჩუმდა... ლურჯმოსასხამიანი ელოდა, მერე დაიხარა და ხელზე ეამბორა...

ძია ნიკას ავტობუსი თუხთუხებდა გალავნის მიღმა.

მუნტუ და სიდუ ისხდნენ გალავნის ძირში და იქიდან უთვალთვალებდნენ მოქანავე გუმბათს. მუნტუს სურდა ეთქვა რამე განსაკუთრებული, ამაღლებული ფრაზებით გადმოეცა თავისი გრძნობები, მაგრამ გრძნობებსა და სიტყვებს შორის ისეთი უფსკრული გათხრილიყო, ყველაფერი უფერული, უსახო ეჩვენებოდა.

— გესმის? როგორი ხაზებია, როგორი პროპორციები... — ჩურჩულებდა იგი.

— მესმის!

— აი, იქაა არსაკიძის მკლავი... ხელოვანმა მკლავი შესწირა...

— მესმის!

— ეს გედის სიმღერა იყო მისი.

— მესმის!

— მართლაც სიმღერასა ჰგავს, არა?

— ერთადერთია და უბადლო.

— შენც ერთადერთი ხარ და უბადლო... — ისე ამბობს, თითქოს სხვა ვიღაცა ჰყავს მხედველობაში.

— მე მოკვდავი ვარ, ეს უკვდავია. — ღიზიანდება სიდუ, უფრო იმის გულგრილობის გამო.

— სიყვარული ადამიანს უკვდავსა ხდის! — ამასაც ისე ამბობს, თითქოს ამაში რამეა საკამათო.

— ვერ ვხედავ სიყვარულს, ჩემთვის ვერ გაიმეტა იგი ღმერთმა. — ვითომ ხუმრობით ამბობს სიდუ. მუნტუსაც ჰგონია, ეს გოგო ხუმრობსო, მისი სიტყვები კი სვეტიცხოვლის მშვენიერებითაა გამოწვეულიო.

— შეგხვდება, სიდუ, შეგხვდება!

„შემხვდება და უსალმოდ ჩამივლის“, — ფიქრობს სიდუ. გრძნობს, სადღაც ახლოს უნდა იყოს ის სიყვარული, თითქოს უახლოვდება და შორდება ერთდროულად.

შეეჩეხა კიდეც ერთხელ, ოღონდ მისი გული ვერ გაალხო, ამიტომაც ჩაუარა, ოდნავ ფრთა გაჰკრა მხოლოდ. და ეს ჰგავ-

და უდაბნოდან მონაბერი ცხელი სიოს უკანასკნელ ამოსუნთქვას, ლოყაზე რომ გაგკრავს კოცნასავით. მას კი მხოლოდ გულში ჩაბუდებული მზე სჭირდებოდა.

„სიდუ, დედას გეფიცები, არ შემიძლია, არ შემიძლია...“

„არ მიყვარხარ და რა ვქნა?“

„სიდუ, ღმერთმანი, თავს მოვიკლავ... ჩემი ცოდვა შენზე იყოს, სიდუ!“

„არ მიყვარხარ!“

„სიდუ, მისმინე, სიდუ!“

„მე თქვენ არ მიყვარხართ!“

ვინ იცის რა იყო ეს? იქნებ მზე ამოდიოდა, მაგრამ ყინულეთში ამოდიოდა და იმიტომ არ უგრძვნია სითბო სიდუს.

— ბატონებო! სვეტიცხოველი აგებულია 1010 — 1029 წლებში. მოხატულობა, რასაც თქვენ აქ ხედავთ, XVI — XVII საუკუნეებს განეკუთვნება... — დაიწყო ბატონმა პროკლემ.

— დედა, რა დიდია! — წამოიძახა იათამზემ.

— რა მაგრად აშენებდნენ ძველად, ჩემს სახლს რომ ასეთი კედლები ჰქონდეს! — ინატრა ნანულიმ.

— აუღებელი ხომ არ გინდა შეგრჩეს? — იქილიკა ზაზამ.

მე და გიგლა კი ზურგზე წამოწოლილნი, ზეცისა და სვეტიცხოვლის სილურჯეში ვბანაობდით...

— დედიკო, დედა, ციხე, ციხე! — წამოიძახა პატარა თამრიკომ.

— ეს ქსნის ციხეა! — თქვა ბატონმა პროკლემ. — თქვენ, რასაკვირველია, ბევრი რამ გსმენიათ ქსნის ერისთავებზე, მაგრამ მე ჩემს თავს ნებას მივცემ, ცოტა რამ შეგახსენოთ... ისინი...

სანამ ბატონი პროკლე სათქმელს თავს მოაბამდა, ქსნის ციხეც მიიმალა. ახლახან დავტოვეთ მცხეთა, ჩვენი მოგზაურობა მხოლოდ იწყებოდა. მხიარულებამ და უთავბოლო ყაყანმა კი თავის მწვერვალს მიაღწია.

ვინ რას ამბობდა, ვინ რას... იათამზეს და ნანულის ჭორების თითისტარი ეჭირათ და ზედ ართავდნენ. თამრიკო სულ ცქმუტავდა და ხელით გასაჩერებელი გახდა. ზაზა ჩვეულებისამებრ

გაიქაჩა და ყურის წამღები ხმით თავისი სოლო შემოსძახა. გიგლამაც დუდღუნა ბანით „დათვმა ლხინი გადიხადა“ იმღერა. ბოლოს, როცა გიგლამ, ზაზამ და მუნტუმ ერთად შემოსძახეს სვანური „ლილეო“, მართლაც მშვენიერი მოსასმენი იყო...

ჰოდა, ამასობაში კარგა გზაც გავლიეთ.

უცებ სოფლის თავზე იელვა ოქროსფერმა გუმბათმა. მზის სხივები ბანდნენ სამთავისის სილუეტს და გუმბათიდან ცვიოდა ჭრელი ათინათები. დრო იყო ხილობისა, დახუნძლული ხეხილი ვერ ეტეოდა ბაღებში, პირთამდე აევსო და სოფლის ორღობეებში გადმოეტანა მძიმე ტოტები.

დიდხანს ვიბორიალეთ ეზოში, ეკლესიის ირგვლივ. მუშებს სამხრეთის ნავზე ხის მყიფე კიბე მიედგათ. გუმბათზე აძრომა მოვიწადინე, მაგრამ ბატონმა პროკლემ შემომიბღვირა და ვერ გავბედე.

რკინის კარები გაიღო ჭრიალით. ტაძარში სარკმლებიდან მზე სხივთა ნიაღვარს ღვრიდა... მთელი ტაძარი ზედა თაღებამდე ხარაჩოებით გაევსოთ. ქვევით კი ვიღაცას მკაცრი სიტყვები დაეწერა: „უცხო პირებს ხარაჩოებზე ასვლა სასტიკად ეკრძალებათ!“ ბატონმა პროკლემ წარწერაზე მიმითითა და თითით დამემუქრა, აქაოდა რამე არ გაბედოო.

— უყურეთ, უყურეთ, რა თვალებია! — წამოიძახა გიგლამ.

საკურთხევლის კონქზე, მზის სხივთა კორიანტელში იკარგებოდა ღვთისმშობლის გამოსახულება. მხოლოდ დიდრონი, მოკიაფე თვალები ცივად ბურღავდნენ ადამიანის სულს. ჟრუანტელმა დამიარა. მასთან მიახლოება მომინდა და სვეტს ავეკარი. როდესაც ეკლესიიდან ყველა გაიკრიფა, ქანქარა კიბეს ვეცი. წუთიც არ დამჭირვებია, მთელი ეს სივრცე სადღაც ქვევით წავიდა და მე ღვთისმშობლის პირისპირ აღმოვჩნდი.

და მომეჩვენა, რომ სიკეთით სავსე თვალები აქვს ღვთისმშობელს, სათნო სახე მშობელი დედისა. მომეჩვენა, რომ უცილოდ ქართველი უნდა ყოფილიყო იგი და პირდაპირ თავზევით, გუმბათის ცენტრში გამოსახული ქრისტეც ქართველი უნდა ყოფილიყო. ამ ცოტა ხნის წინათ მოხევე დიაცი მეუბნებოდა ხურთისობაზე: „ქართველი ქრისტე მოვიდაო, ჩვენი ქართველი

ქრისტე...“ დიდხანს ვუხსნიდი, რომ ქრისტე ქართველი კი არა ებრაელია. მისი გაჩენისა და ცხოვრების მთელი ამბებიც მოვუყევი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ვერ დავაჯერე. ახლა კი, სამთავისის გუმბათებს ქვეშ, მგონი მეც დავიჯერე, რომ ის დიაცი მართალი იყო.

ამ ფიქრებში გართულმა ძირს დავიხედე. თვალწინ ყველაფერი ამერია. შევტორტმანდი, ფიცარს ჩავეჭიდე.

ქვევით, აღსავლის კარებთან ლურჯმოსასხამიანი იდგა. ეზოდან ისმოდა ცხენების ხვიხვინი და მორიდებული ჩურჩული მხლებლებისა. მძიმედ განიხვნა ოქროთი მოჭედილი ბჭენი. შემოვიდა კაცისძირა. თვალთა ცეცებით მიმოიხედა. თაგვისფერ სახეზე ცბიერი ცხვირი წამოჰკვეხოდა, წვეტიანი და მოძრავი. ყვითელი მოსასხამი მოეგდო მხრებზე, მასხარის ჩაჩი ეხურა. უხმო ნაბიჯებით მისრიალდა გაქვავებულ ლურჯმოსასხამიანთან.

— დედოფალი გიბრძანებს!..

შეთრთოლდა ლურჯმოსასხამიანი. პირქუშად გადმოხედა კაცისძირას. ხმა აღარ გასცა.

— დედოფალი ბრძანებს!..

სიამეს გვრიდა კაცისძირას ლურჯმოსასხამიანის გულში ქაცვის ჯგვერვა. ბინძურ ხელებსაც ჩაუყოფდა, რომ შეძლებოდა, მაგრამ ვეღარ წვდებოდა ზვიადს.

— მეფეთა-მეფე მთელი აღმოსავლეთისა ბრძანებს... — და უცებ ხმას დაუწია. — ხომ არ სჯობდა მცირე ხნით ქრისტეს საფლავზე თქვენი გაგზავნა?.. უფალი მოითხოვს ლოცვასა და მორჩილებას!

ყრუ ოხვრა აღმოხდა ლურჯმოსასხამიანს. ახმიანდა, აგუგუნდა სივრცე ოთხივე ნავში და დილის ნისლივით დაიშრიტა, გაუჩინარდა ყოველი...

მანქანის პიპინი მომესმა. ძია ნიკა მაჩქარებდა. კარებიდან ერთხელ კიდევ მოვიხედე. ღვთისმშობლის თვალები კვლავ ცივად დამცქეროდნენ...

*

ურბნისის კათედრალური ტაძარი, ვეებერთელა, ნახევრად ჩაბნელებული პარალელოპიპედი, წითელი აგურის სვეტების დიდებული ანსამბლი, მტვრიანი სარკოფაგები, მიმწუხრისფერი ჰაერი და უხილავი აჩრდილები, რომლებიც თითქოს იდუმალ გეხებიან, გაჩერებული, უძრავი დროის სიმბოლოა თითქოს... აღტაცებისა და შიშის გრძნობა სარკმლისაკენ მიმერეკება. იქ მზე და სოფელი მოჩანს, ყოველ წუთს შეგიძლია ეზოში გადახტე და თავი დააღწიო რაღაც საშინელს, რომელიც გყარაულობს ამ მიტოვებულ თაღებქვეშ...

ბატონი პროკლე კი ამ დროს აუღელვებლად ქადაგებდა:

— სამნავიანი ბაზილიკაა... აგებულია XI საუკუნეში და მიაწერენ თადეოზ ურბნელს. აქ თურმე მურვან-ყრუმდე ქალაქი ყოფილა; იმ ოხერს მიწასთან გაუსწორებია...

თხუთმეტი წუთის შემდეგ რუისის ტაძრის ზღუდესთან ვდგავართ. წყაროსპირას მოწიოკე გოგონებს კომპლიმენტი შევაწიე. მაგრამ ტაძარს რომ შევხედე, სიცილისა და ხუმრობის ხალისი დამეკარგა. მდელოზე წამოვწექი და იქიდან ვუცქერდი უცნაურ ნაგებობას. სამშობლოს ისტორია მრავლისმეტყველად აჩნდა მის კედლებს. ბევრჯერ დანგრეული და მიწასთან გასწორებული, იგი ისევ და ისევ დგებოდა მკვდრეთიდან; საქართველოს დროშასა ჰგავდა, დაფლეთილსა და სიყვარულით ხელახლა დაკერებულს.

მზე ღვარღვალებდა ცის კაბადონზე და მე ვფიქრობდი გარდასულ დროთა სიავეზე. ვფიქრობდი ნახანძრალებზე, აჩეხილ კაკლებსა და ვენახზე, ტყვედ გაყიდულ ქალწულებსა და ვაჟებზე... ცხენთა ფლოქვებით გათელილ ბავშვებზე; ცეცხლში ცოცხლად ჩაყრილ ბავშვებზე; ხმლით აკუწულ ბავშვებზე; უდედმამო ბავშვების ცრემლებზე ვფიქრობდი...

ბეჯითი ექსკურსანტები დადიოდნენ ტაძრის ირგვლივ, იწერდნენ რაღაც-რაღაცას, არკვევდნენ წლებსა და ამბებს. ზღუდის მიღმა კისკისით მირბოდნენ რუისელი გოგონები. ქვაზე ჩამომჯდარი, ბეჭებგანიერი ბიჭი ეჭვის თვალით მი-

ყურებდა და ეტყობა ჩხუბის გუნებაზე დამდგარიყო.

— შეხედე, რა ბაბაჯანას ქოშივითაა ნაკერი! — იხუმრა ნანულიმ. გული მეტკინა, ეზოდან უხმოდ გავედი და მანქანაში ჩავჯექი.

ძია ნიკა მადიანად შეექცეოდა ყველსა და პურს.

„ნეტავი, მე რაღა ამივარდა თავში?“ — გავიფიქრე, მაგრამ გუნებაგაფუჭებულს არც მიზეზთა განსჯა მეხალისებოდა. არყის ბოთლი ამოვაცოცე და რამდენიმე ყლუპი გადავკარი. თავში ამივარდა. ძილი მომინდა.

რუისიდან გზატკეცილზე რომ გავედით, საოცარი სურათი ვიხილე. ბრბო იდგა გაქვავებული. მთელი მიდამო რუისიდან ურბნისამდე, გზები, ბილიკები, ეზო-ყანები დაესაკუთრებინა უხმო ბრბოს. იდგა კედელივით და არ ინძრეოდა. არც მანქანის გუგუნი ესმოდა, არც მხიარული მგზავრების „ლილეო“, იდგა ბრბო და არ ინძრეოდა.

ძია ნიკას გვერდით პირგახეული ეშმაკი ეჯდა, გოჭის თვალებს აპრაწუნებდა და იღლიაში უღიტინებდა მოხუცს. ძია ნიკა ქირქილებდა, საჭეს ათამაშებდა და ისე მიაქანებდა აღმუვლებულ მანქანას, თითქოს ვერ ამჩნევდა კედელივით დამდგარ ადამიანებს. „გაიტანს, — გამიელვა, — ნამდვილად გაიტანს, უნდა შევაჩერო...“ ხელი წავაპოტინე, საჭესთვის უნდა მეტაცა.

„გააჩერე, ახლავე გააჩერე!“ — მეგონა ვყვიროდი, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია. ძლივს გავიგონე ბატონი პროკლეს სიტყვები:

— ეს ვინღა დაათრო ასე უცებ?

თვალი დავხუჭე.

ვგრძნობდი, რომ მანქანა გასცდა საბედისწერო ბარიერს. ძვლების ხრაშუნი მესმოდა, კბილების ღრჭიალი. მანქანას გაჰქონდა ადამიანთა ცოცხალი კედელი და აღშფოთებულნი უკან მოგვკიოდნენ.

მოვიხედე.

უხმო კედელი კვლავ ისე იდგა და უამრავ ციცინათელასავით კიაფობდა თვალები, მრისხანე, ცრემლიანი თვალები, ზიზღით აღსავსე, მქირდავი, ბოროტი, უმანკო თვალები. ათასი თვალი ენთებოდა და ქრებოდა ციცინათელასავით.

იდგა ადამიანთა კედელი და უხმოდ დრტვინავდა.

შეშის ზვინი დაეყარათ ბორცვზე, ზეთი ჩამოსდიოდა წურწურით.

ოქროსანაფორიანი კაცი მიუახლოვდა შეშის ზვინს. ოქროს გვირგვინი ეხურა თავზე, ოქროს ჯვარი ეპყრა. მეორე ხელს გრაგნილი უწვავდა, თავისგან შორს ეჭირა, ზიზღით დასჩიფჩიფებდა გამშრალი ტუჩებით.

„ღმერთო, შენ შეუნდე ცოდვილს! განდევნე მისგან ეშმაკეული!“

აიქნია ხელი ოქროსანაფორიანმა. გრაგნილი გადაისროლა შეშის ზვინში. იფეთქა ალმა, აბრიალდა, აგუგუნდა... თითქოს ცვილი ჩაეგდო ვინმეს ცეცხლში... კვნესა გაისმა საყოველთაო, მოთქმა და ტირილი...

გზისპირას ლურჯმოსასხამიანი იდგა, სახე ცვილისფერი გახდომოდა, გულიდან სისხლი სდიოდა.

— დედიკო, დედა!.. ყაყაჩოები, ყაყაჩოები!.. — ჩამესმა თამრიკოს წივილი და ერთბაშად გამიარა ზმანებამაც და არაყმაც, თავი მტკიოდა მხოლოდ.

— ძია ნიკა, გააჩერეთ, თამრიკოს დავუკრეფ!

ძია ნიკა აბუზღუნდა, მაგრამ მანქანა მაინც გააჩერა.

გზისპირა თხრილის ფერდები ყაყაჩოებს დაეფარათ. გადავწვდი და მთელი ბღუჯა მოვშვლიპე. ხელისგული დამეთუთქა, სისხლი მესხურა თითქოს ნებზე. ყაყაჩოები ხომ ლურჯმოსასხამიანის წამებული გულიდან ამოხეთქილი სისხლის წვეთებია, სამშობლოს გზებზე დაღვრილი. ალბათ ამიტომაა, გზისპირას რომ ხარობენ ყველაზე მეტად.

ხელი გამიქვავდა და მანქანისაკენ დიდი საიდუმლოებით დამძიმებული დავბრუნდი.

ქარელში ნაშუადღევს ჩავედით. დრო არ დაგვიკარგავს, — გზა გავიკითხეთ და ყინცვისისაკენ გავეშურეთ... ადგილი გორაკიანი იყო. მანქანა აღმართებზე სულს ღაფავდა. ძია ნიკა

განუწყვეტლივ ჭიჭყინებდა, ესაო, მანქანა დამემტვრევაო, ზეთი დამექცევაო, რაღაცა დამეწვებაო. ბოლოს და ბოლოს მოთმინებიდან გამოგვიყვანა, მანქანაზე ხელი ჩავიქნიეთ და გზას ფეხით დავადექით...

— ყინცვისის ანგელოზი! — არც კი მახსოვს, ვინ წამოიძახა პირველად.

სიტყვა, რომელიც მეორდება, თანდათან ცვდება და კარგავს გამომსახველობას; მუსიკა, რომელიც ხშირად გვესმის, შეიძლება მოგვბეზრდეს კიდეც; სურათი, რომელსაც ყოველდღე ვუყურებთ, უკვე არ იქცევს ყურადღებას.

ათასჯერ გამიგონია სიტყვები — „ყინცვისის ანგელოზი“, ათასჯერ მინახავს მისი ასლები და რეპროდუქციები. მეგონა ათასმეერთეჯერ ისევე გულცივად ჩავუვლიდი, როგორც ჩავუვლით ხოლმე მუზეუმში გაშინაურებელნი მის კედლებზე ჩამოკიდებულ სურათს.

არა, ის დღე უკვე არ გამეორდება.

ვიდექი გამეხებული და ქვასავით მდუმარე. აზრი გამეყინა და შეუძლებელი იყო გრძნობათა განსჯა. მხოლოდ ახლა ვნახე პირველად. მხოლოდ ერთხელ ვნახე პირველად და შეიძლება ვერასოდეს მენახა აწი. შეიძლება ვერასოდეს გამოეწვია მას ის სათუთი და ხალასი კანკალი სულსა, რაც იმ დღეს გამოიწვია.

— ჩამოდი და გამიცოცხლდი, გენაცვალე, ჩამოდი და გამიცოცხლდი! — წავიჩურჩულე, მაგრამ უკვე სიფხიზლე მერეოდა, უკვე ვუბრუნდებოდი რეალობას. თვალიდან აღტაცების ბურუსი მეშლებოდა, შიგ გულგრილობის სხივი ჩამიდგა; თითქოს ცივი წყლით სავსე ჭიქაში ვიყურებოდი და იქ ვხედავდი ფრესკის ანარეკლს.

სწრაფად შევბრუნდი, რათა აღტაცებისა და სითბოს ნარჩენი მაინც შემენახა გულში...

წყაროზე ჩავედი. მონასტრის უკან, დაბურულ ხევში მიედინებოდა ნაკადული. სიდუს და მუნტუს ჩრდილისათვის შეეფარებინა თავი. სათამაშო წისქვილს მართავდა მუნტუ, პატარა ღარი გამოეჭრა ხის კანისაგან. ჯოხს ფრთებს უწყობდა, რათა წისქვილის ბორბალი დაებრუნებინა პაწია ჩანჩქერზე. ისე

სათუთად და აუჩქარებლად თლიდა, თითქოსდა აქ აპირებდა დღეს დარჩენას.

— ტყის მკაფავი რომ გამხადა ცოტა ხნით... — მუნტუს ხმა შემოესმა.

— ტყეც აგერ არის. — შეესიტყვა სიდუ.

სიტყვებს ამბობდნენ, გულისხმობდნენ კი სხვა რამეს, რაც ახლა ჩემს აფორიაქებულ ტვინში ვერ ლაგდებოდა.

— მარტო ვერ დავრჩები ამ უღრანში...

— მეც შენთან დავრჩები, მჭადს გამოგიცხობ...

— წისქვილიც ხომ აგერა გვაქვს...

— ვიცხოვრებთ მონასტერში და ანგელოზთან ერთად გავიღვიძებთ ყოველ ცისმარე...

არ მომწონს, დიდები რომ ბავშვებივით ენას იჩლექენ. წყალი არც დამილევია, უკან გამოვბრუნდი, მათი ხმები კი თანდათან სუსტდებოდა.

— განა ანგელოზი იღვიძებს? — მუნტუ ეკითხებოდა.

— ცხადია, ამიტომ დაჰკრავს სიცოცხლის ფერი.

— იცინი?

— არა, მეტირება.

— ცრემლებს რომ ვერ ვხედავ?

— გულში ვტირი.

...დედა ეუბნებოდა:

„ლამაზი ბიჭია, რას უწუნებ?“

„მაგრამ მე ის არ მიყვარს!“

„რა გინდა მის ოჯახში არ იყოს.“

„არ მიყვარს!“

„რატომ, ადრე ხომ მოგწონდა?“

„არ მიყვარს და იმიტომ!“

თვითონაც არ იცოდა, რატომ არ უყვარდა. არც ის ესმოდა, რატომ უნდა ყვარებოდა. ლამაზი ბიჭი იყო და მეტი არაფერი.

— გულში ვტირი... — ეს სიტყვებიღა გავიგონე და კვლავ ეზოში დავბრუნდი, დიდი კაკლის ჩრდილში.

სიდუ და მუნტუ უკანა სკამზე სხედან და საერთო მხიარუ-

ლებას გამოთიშვიან. ვერ გაუგია სიდუს, სიხარულისაგან უტოკავს გული თუ შიშისაგან. ვერ მიმხვდარა, რა ისახება მის სულში, დიდი ბრდღვიალა მზე თუ უმწეო ნაპერწკალი, რომელიც უმალვე ჩაქრება, როგორც კი თვალს დახუჭავ, ან მუნტუს სახეს მოაშორებ მზერას.

— სიდუ, შენ ძლიერი ხარ, შენ ჩემზე ძლიერი ხარ! — ამბობს მუნტუ.

„იცი? ძალიან კარგი გოგონა ხარ, მაგრამ შინ წადი!“ — მის მაგიერ ფიქრობს სიდუ.

— „მოდით, ნახეთ, ბიჭებო, კურდღელი რა მხეცია-ა...“ — იღრიალა ისევ ზაზამ და ჩვენც აგვიყოლია. მალე ესეც არ იმყოფინა და სკამებს შორის ლეკური მოინდომა. ატყდა ტაშისცემა და ხარხარი.

— არიქა, წრე მიეცით, წრე!

— მუსიკა!.. ძია ნიკა, დაუკარი ძველებურად!.. — გაისმა ლაზღანდარობა.

— ზაზიკო, შენ გენაცვალე მაგ ჯიგარში! — ატკრციალდა აქამდე კნეინასავით მოყურადე ნუნუკა.

— ბატონებო, გთხოვთ კომენტარების გარეშე! — შეიფერა ზაზამ წარმატება და გიგლას წაუჯიკავა: — ე, ბიჭო, „დათვმა ლხინი გადიხადა...“

— „მოიწვია მეზობლები...“ — დაიბუბუნა გიგლამ.

ავტობუსი სადგერისაკენ მიჰქროდა. ლიკანის შესანიშნავი ფიჭვნარი შემოგვჯარვოდა ირგვლივ. საანძე ფიჭვები მოცეკვავე გოგონებივით გამორბოდნენ გზის პირას და ტანის ნაზი რხევით კვლავ უკან იხევდნენ.

მცირე ხნით რული მომერია. თავი ჩამომივარდა. მანქანის თუხთუხი ნანად ჩამესმოდა...

ლურჯმოსასხამიანს თექვსმეტი რომ შეუსრულდა, მამამ ანადირა. თრიალეთისა და მესხეთის ქედთა ჭიუხებზე დევნიდნენ ნადირს. მერმე მტკვრის ხეობას აჰყვნენ და უღრანებს შეაფარეს თავი. მთელი კვირა დაძრწოდნენ ტყე-ღრეში. თან აურაცხელი ყმადნაფიცნი მოჰყვებოდნენ დაგეშილი ძაღლებით, სანადირო იარაღით, სურსათ-სანოვაგით. დათვებთან შეხვედრაზე ოცნებობდნენ; ბედს ეგებ ვეფხვიც გადმოედევნა სამხრეთის უდაბნოებიდან. ძაღლებმა კი ირმების კვალი დაყნოსეს.

აი, ამ ტყეში მარეკებმა შეკრეს ყველა ბილიკი. დაფრთხა ნადირი და გამოიქცა. გულის ფანცქალით იცდიდა უზარმაზარი ფიჭვის უკან. მომართული მშვილდი ეჭირა ხელში. ისარი ელოდა სასიკვდილო ნავარდს. სიმივით ჟღერდა დაჭიმული ლარი. დაძაბული მკლავი უკანკალებდა და ოფლის წვეთებს დაეცვარა მაღალი შუბლი.

ლაწალუნი გაიგონა. კენჭები დაგორდა კალთიდან... გაქვავდა მონადირე. ჟრუანტელი ჩაიხშო ძარღვებში. ხარირემი გამოვარდა ბნელი ტევრიდან. ატოტვილი რქები ზურგზე დაეწყო, დრუნჩი წინ გაეშვირა და მოჰქროდა, მთებში და ღრეებში ლაღად ნაზარდი. გაოცებული შეჰყურებდა ყელმოღერებულს ყმაწვილი.

წამით შეაგვიანა მხოლოდ... ისარი ძველებურად მოელოდა ჰაერში გასრიალებას, ყმაწვილი კი დიდხანს უყურებდა ახალბედა ფიჭვების შეშფოთებულ ტოტებს.

მამა წამოადგა თავზე. უხმოდ ეკითხებოდა, რატომ არ სტყორცნეო.

„ფრთებს ვერ შევუკრავ, ვისაც ფრენა სწადია!“ — უხმოდვე უპასუხა...

ბატონი პროკლეს ხმამ გამომაფხიზლა.

— ბატონებო! ჩვენს წინ ბაზილიკაა, რომელიც XIV საუკუნის ნაგებობა უნდა იყოს... კარგად მოგეხსენებათ, რომ აქ უმოღვაწია სვიმეონ დეკანოზს შოთას ძეს... სვიმეონს ოდა დაუწერია რუსთველური სტროფით — „სადგერის წმინდა გიორგის ქება...“

ყველაფერი ეს დიახაც არ მოგვეხსენებოდა, მაგრამ თავს ისე ვუკანტურებდით, თითქოს მთელი ოდა დაზეპირებული გვქონოდა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ კი კვლავ გზას ვადგავართ.

— სიდუ, შენ ისეთი წმინდანი ხარ, ისეთი სუფთა და უმწიკვლო... მგონია, შენთან ყოფნითაც რაღაცას ვაშავებ.

— სულაც არა მსურს წმინდანობა, არასდროს მიოცნებია... მე ქალი ვარ მხოლოდ...

წინა სკამზე ნუნუკა ხარხარებს. ზაზას ზურგით მიყრდნობია და, ნახევრად წამოწოლილი, გიგლას ამასხარავებს. ძალიან აცეტებულია, მისი უდარდელი სიხალისე ჩვენც გადმოგვედო.

— მოდი, შვილო, მოდი, გენაცვალოს შენი ნუნუკა! — ვითომ ალერსით მიმართავს ზაზას. ისიც იფერებს, პატარასავით ინაბება, ხელებს ასხმარტალებს და მისკენ მიიწევს.

— მოდი, მოდი, კალთაში ჩამიჯექი!

ზაზაც არ აყოვნებს, მართლაც კალთაში უჯდება და თავს მის მკერდში მალავს, აქაოდა დედის ძუძუს ვეძებო.

— ბატონო პროკლე, ხედავთ, რა პატარა ბიჭიკო მყავს?! — ეპატიჟება ნუნუკა წინ მსხდომთ და სიცილს მოელის. ხუმრობა ყველას სასაცილოდ ეჩვენება და დიდხანს ვიცინით. გოგონებს კი პირდაპირ ცრემლი მოადგათ თვალებზე.

მხოლოდ სიდუს არ ესმის, რა ხდება.

— შენ რომ ქვა გადააგდო, ერთგული ძაღლივით გავიქცევი და მოგიტან. კვლავ რომ გადააგდო, ისევ მოგიტან... — ეჩურჩულებოდა მუნტუ და სიდუს თითქოს ფაფუკი და ნაზი აბლაბუდა ეხვეოდა.

ავტობუსი სამხრეთის გზაზე მიჰქროდა...

როდესაც ლურჯმოსასხამიანს შეუსრულდა თხუთმეტი, როდესაც მან ჯირითში პირველმა მიაგელვა თეთრი ტაიჭი დედოფლის ტახტრევანამდე, როდესაც გოგონებმა პირველად დაიწყეს მისი გამორჩევა, როდესაც თვითონაც დაიწყო ძებნა... ეძებდა ლამაზ თვალებს და სულის სიდიადეს იმ თვალთა სიღრმეში... მაშინ დედამ შვილი პატარა ბაზილიკაში მიიყვანა, ქვაბისხევის ზემოთ, დააჩოქა ხატის წინაშე, თვითონაც მუხლი მოიყარა და შესთხოვა ღვთისმშობელ მარიამს, ისევე ეზრუნა ნინველზე, როგორც საკუთარ ძეზე. აურაცხელი საჭურჭლე უძღვნა ლურჯმოსასხამიანის დედამ ღვთის დედას... და უძღვნა კიდევ წიგნნი ძველთაძველნი, საღვთისმეტყველონი და საერონი, შემკულნი ოქროს ორნამენტებით და პატიოსანი თვლების მთელი ვარსკვლავეთით...

ჩვენ ვიდექით პატარა ეკვდერში, ძველი ბაზილიკის ნანგრევზე რომ მიყუჟულიყო და ვუცქერდით ფრესკას, რომელზეც გამოესახათ ძვირფასი სამოსით მოსილი ყრმა და დიდებული ქალბატონი. იქვე ეწერა მათი სახელები — შოთაი და იაი.

მიჰქროდა ძია ნიკას მანქანა ხვეულ გზატკეცილზე.

მოშხუოდა მტკვარი უცხო მხარიდან...

ლურჯმოსასხამიანი მიაგელვებდა თეთრ ტაიჭს უცხო სამანებისაკენ...

ქრებოდა კილომეტრები მანქანის საბურავებქვეშ...

აწყური გადმომდგარიყო მტკვრის გაღმა, სალ კლდეებზე. პირქუშ ქარაფებად შეზრდოდნენ ციხის კედლები გრანიტს.

— ეჰეი! — ვყვიროდი ყველაზე მაღალი ქონგურიდან. მტკვრის ხეობა გაიშოტა ფეხებქვეშ და მტკვარიც თითქოს მორჩილად მიიკლაკნებოდა ერთი სამანიდან მეორემდე...

...და შეიქნა ომი მრავალი საუკუნის წინათ. დედაციხეზე იდგა გულზე ხელდაკრეფილი ლურჯმოსასხამიანი. იდგა და ზვიადად გადაჰყურებდა მტკვრის ნაპირზე მოფუსფუსე მტრებს დედოფლისა და ქვეყნისა.

ისრების სეტყვა მოაწყდა გალავნებს. ზედ ყურთან გაიზუზუნა სიკვდილის მთესველმა. იდგა ლურჯმოსასხამიანი და კაცთა არარაობაზე ფიქრობდა.

„ააა!..“ — გაისმა ველური ყიჟინა და ჭიანჭველები შეესია ციხის კედლებს.

იდგა ლურჯმოსასხამიანი და ურღვევი იყო ციხის ზღუდენი. ისმოდა სიკვდილის ყიჟინა. ყაყაჩოსფრად იღებებოდა მტკვარი. კვნესა და დედის შეურაცხმყოფელი სიტყვა ამძიმებდა ზეცას. სისხლი იღვრებოდა კაცთა...

„ო, უგნურებო!“ — აღმოხდა ლურჯმოსასხამიანს და მისი ხმა მომხდურთა ყიჟინში ჩაიხშო...

ნუნუკას კისკისი შემომესმა. გიგლასათვის ბეჭებში ეჩქმიტა და თავისი სითამამით გახარებული სიცილით კვდებოდა. გიგლა კი გაწითლებული, ლოყებდაბერილი, უხერხულად იშ-

მუშნებოდა და ხელებს შლიდა.

— უკაცრავად, მაგრამ რა ვუყო ამას? მომშორდი, თუ ქალი ხარ, თავი დამანებე!

ის კი კისკისებდა...

— ხედავთ, ხედავთ ეშინია!

— დედა-ა, რაფერ ამოზიდეს ამდენი ქვა ამ სიმაღლეზე? — იათამზემ წარბები ზეაწკიპა.

— აბა, ახლანდელი მშენებლები კი არ იყვნენ მაშინ. ახლა ტექნიკაო, ესაო, ისაო... გასინჯონ და ასეთი კედლები ამოიყვანონ... — წუწუნებდა ვიღაცა.

მერე კვლავ გზა იყო და მთის კალთებთან აღმართული ოქროს ციხე. ღრუბლებში დაკიდებული ბასტიონებიდან მთელი სამყარო იშლებოდა. გორაკები და მთები იქოჩრებოდნენ კიდით კიდე. ქალაქები და სოფლები მიმოფანტულიყო მწვანე ველებზე, ლურჯ ცისქვეშეთში...

უჩვეულო აღმართით დაღლილნი ვეყარენით ზღუდის ნანგრევებზე და გრილი სიო გვინანავებდა.

მერე კვლავ გზა... გზა... თითქოს ვიღაცა მოგვდევდა, ვიღაცა გვაჩქარებდა. თითქოს თხუთმეტი წუთი საკმარისი იყოს, რათა გაიგო რა არის აწყური, რა არის ოქროს ციხე, რა არის ხერთვისი, რა არის ზარზმა, საფარა...

მოწყენა არ შეიძლება... ეს იყო მთავარი. უჩვეულოს არ მიეჩვიო, არ გაიხადო ყოველდღიურ, ბანალურ პროზად... ეგებ ამიტომაც გვაჩქარებდა ძია ნიკა და მისი მანქანა...

ოქროს ციხე კი, ცოცხალი ზღაპარი, უკან რჩებოდა, იზრდებოდა ზევით და ზევით. რაც უფრო ვშორდებოდით, მით უფრო მაღლდებოდა ცისკენ, ხდებოდა უფრო დიადი და განუმეორებელი. შემდეგ კი უცებ დაგვეკარგა ღრუბლებსა და გორაკებს მიღმა...

— საყვარლისა ეშხითა-ა-ი!.. — ღრიალებდა მუდამ მხიარული და დაუღლელი ზაზა.

— ნა-ნა-ა!.. ჩემი შვილი, დედიკო გენაცვალოს! — ისტერიულად იძახდა ნუნუკა, ხარხარებდა და მხარზე ეკიდებოდა ყველაფერზე მზადმყოფ ზაზას; ხან კი შორიდან მისწვდებოდა გამწარებულ გიგლას და გვერდებს ულურჯებდა.

— უკაცრავად, უკაცრავად, თავი დამანებეთ, თორემ, ღმერთს ვფიცავ, სარკმლიდან გადაგსვამთ... — ნახევრად სერიოზულად, ნახევრად ხუმრობით ბურტყუნებდა გიგლა თავის დათვურ ენაზე, ბავშვურად იშმუშნებოდა, უხერხულობდა, ლოყებს ბერავდა. — გაგიგონია, კაცო!

ნუნუკა კი ჭყვიროდა, კისკისებდა, ხარხარებდა, ცხვირჩამოშვებულ გოგოებსაც იყოლიებდა.

სიდუც ცდილობდა სხვებივით უდარდელი და მხიარული ყოფილიყო, მაგრამ არაფერი გამოუდიოდა, გულში ორომტრიალი ჰქონდა და სახეზე სიფითრე დასტყობოდა.

ნუნუკა უცებ გაიტრუნა, ხარხარი პირზე შერჩა, რატომღაც იწყინა სიდუს განდგომილება და ცბიერი ღიმილით გადმოჰკრა:

— უყურეთ ერთი ამ ჩუმიას, რა გვერდის გამთბობი გაუჩენია!

სიდუ აილეწა, ტუჩი ჩაიკვნიტა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

— არათუ პირით შემავალი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით გამომავალი შეაგინებს კაცსა. — წაიჩურჩულა მუნტუმ და წყენა გულში ჩაიკლა...

გზა კი არ ილეოდა. ჩვენი მოგზაურობის სამი დღე მიილია და მეოთხე გაგვითენდა...

ძლივს ეტეოდა გზა და მტკვარი ვიწრო ხეობაში. მითუხთუხებდა ძია ნიკას ავტობუსი ხვეულ გზებზე. მტკვარი მიაქანებდა პერმოდებულ ტალღებს და მანქანაში აღწევდა მისი დაუსრულებელი დუდუნი.

ნაშუადღევს მზემ დააცხუნა. გათანგულ მიწას რული ერეოდა თითქოს.

უცებ გაიხსნა ფართო ველი მტკვარსა და თრიალეთის ქედს შორის. გზიდან მოშორებით პატარა სოფელი ჩაფლულიყო მწვანეში. მოპირდაპირე გორაკზე ნახევრადმონგრეული კოშკი აღმართულიყო. გზის პირას შოთას ძეგლი იდგა...

— ბატონებო, რუსთავი... — მღელვარება ვერ დაფარა ბატონმა პროკლემ.

...ლურჯმოსასხამიანმა ქვის პოსტამენტთან მოსხლიტა

თეთრი ტაიჭი. ჩამოხტა და მხლებლებს მიუგდო სადავე. დიდხანს იდგა გულხელდაკრეფილი და მზერით ელაციცებოდა ველებსა და მთებს, ცასა და მიწას, მტკვარსა და წყლით გამოხრულ კანიონს...

კოშკისაკენ მიიხედა. გულზე ცეცხლი ეკიდა. თვალი დახუჭა, კურცხალი გადმოუგორდა...

აყაყანებული, აფორიაქებული ავტობუსი სოფლის ორღობეში შეიჭრა და შუკების ლაბირინთში დატრიალდა. სოფლის ცენტრში ჩამოვედით. უცხო მხარეში ჩამოსული ტურისტებივით გამოჩორკნილები დავდიოდით. მერე ვიღაც მოხუცი ჩავიგდეთ ხელში. შოთას ლექსი გვითხრა ზეპირად და უმალ გავშინაურდით.

...ლურჯმოსასხამიანი კი იდგა და იხსენებდა...

სასახლიდან იპარებოდა პატარა. სოფლელ ბიჭებთან ერთად გარბოდა მტკვარზე. იცოდა ყველა სათევზაო ადგილი; იცოდა, სად მეტი კიბორჩხალაა, სად ბუდობს შხამიანი გველი „ჭრელა“, რომელსაც თბილ რძეს უზიდავდნენ ჩუმ-ჩუმად... ბიჭები ტყაპანით ცვიოდნენ ცივ წყალში და გორაობდნენ სველ ქვიშაზე; ომობდნენ ჯოხის ხმლებით, დააჭენებდნენ ჯოხის ცხენებს მტკვრის გაღმა მინდვრებზე და როდესაც მსახურნი მიაგნებდნენ, სინანულით ბრუნდებოდა უკან, ფრთაფარფატა ანგელოზებითა და შარავანდედიანი წმინდანებით მოხატულ სასახლეში...

მერე სოფლელი გოგონა შეუყვარდა. კუნაპეტივით შავი თვალები ჰქონდა გოგონას. შავი თმა მხრებს უფარავდა. მუდამ კისკისებდა და მიჯრილ კბილებს აელვებდა. სასახლის უკან, ხილით დახუნძლულ ბაღში შეეჩეხა მარტოკას. დიდი, ლოყაწითელი ვაშლი გაუწოდა და ღიმილით უყურებდა, თუ რა მადიანად შეექცეოდა ვაშლს თეთრკბილება გოგონა. მოთმინება არ ეყო, უნდოდა ლოყაზე ეკოცნა, მაგრამ გოგონა გაუსხლტა და კისკისით გაუჩინარდა ხილნარში...

მერე ლომის ბოკვერი აჩუქა მამამ. ძაღლის საყელო მოარგო და საბელით დაჰყავდა სოფლის ორღობეებში; მაგრამ ბოკვერი მალე მოღონიერდა და ბავშვს მოაშორეს...

მერე თეთრი ტაიჭი მოჰგვარეს და ცხენოსნობაში იწაფებოდა სოფლის ირგვლივ გაშლილ ველებზე...

მერე მასწავლებლები მოუწვიეს და სწავლობდა მეცნიერებას, ღვთისა და ერის ამბებს. ერთი კონსტანტინოპოლელი მოხუცი ასწავლიდა ბერძნულსა და ებრაულს. თავგადასავლებს უყვებოდა ხოლმე პატარას. სამშობლოდან გადმოხვეწილიყო მრავალი წლის წინათ და ნავით გადმოეცურა ბობოქარი ევქსინის პონტი...

მერე? მერე მამის მკაცრი მარჯვენა ბღუჯავდა ხმლის ვადას.

დედის ალერსიანი თვალები სითბოთი უვსებდნენ გულს; იყო ზღაპრები ძილის წინ და სიზმრები, როდესაც ფრთები ესხმოდა გაურკვეველ ოცნებებსა და მისწრაფებებს...

უკანასკნელ გაზაფხულზე ალუბლები აყვავდა და ყვავილებს ხომალდებად უშვებდა მტკვარში. ყვავილები იღუპებოდნენ მღვრიე ზვირთებში და ყმაწვილს ეტირებოდა.

იმ წელს გამოეთხოვა უდარდელ ბავშვობას.

იწყებოდა დიდი ცხოვრება...

მარტოკა დავბორიალობდი სოფლის შუკებში. დამცხა. წყაროზე პატარა ფეხშიშველა გოგონა სარეცხს აღანღალებდა. ცნობისმოყვარე თვალი შემავლო და უცბადვე დახარა, დაიმორცხვა. დიდრონი თვალები ჰქონდა, ზღაპრულ საუნჯთა საფასური.

სოფლიდან გავედი და უცნობ ბილიკს დავადექი.

სიდუ და მუნტუ საფლავის ქვაზე ჩამომსხდარიყვნენ და ჩუჩულებდნენ.

— რა გიყო, რა?.. ქაჯი ხარ ნამდვილი, ქაჯანა! — ლანძღავდა მუნტუ. ამ ლანძღვაში იმდენი სითბო იყო, რომ გამეღიმა და გავშორდი.

...ლურჯმოსასხამიანი იდგა წინანდებურად. კურცხალი ეკიდა წვერზე. იდგნენ მისი მხლებლებიც, ჩაჩქანები და ხმლები ბრწყინავდა მზის შუქზე. დასიცხული ცხენები ტორსა სცემდნენ მიწას მოუთმენლად და ლაგამს ღრღნიდნენ აქაფებული კბილებით.

„დროა, პატრონო!“ — ფრთხილად შეახსენა ყმადნაფიცმა.

შეკრთა ლურჯმოსასხამიანი, მიმოიხედა. ერთხელაც ამოიოხრა და მუხლზე დაეშვა.

„მშვიდობით!“ — წაიჩურჩულა, მუჭით მიწა აიღო და ხელით ნაქსოვ ქისაში შეინახა...

ნაკვალევი აღმართზე არბოდა და მუხლებამდე მწვანე, სრიალა ბალახით იყო დაფარული. ყოველ წამს ფეხი გვისხლტებოდა. ბალახში ვიწყებდით უმწეო ფორხილს, რითაც მხიარულ გუნებაზე მოგვყავდა ერთმანეთი. იათამზემ გაგვტანჯა მხოლოდ. სულ გველი და ჯოჯო ელანდებოდა. გვეხვეწებოდა, თქვენი ჭირიმე, ჩემ წინ იარეთ და უქშიეთ, დაფრთხებიან და ჩამოგვეცლებიანო.

ბილიკიდან გადავედი, მცირე ხევს ავყევი. თავამდე სავსე იყო უზარმაზარი ლოდებით. უთუოდ დევებს ეკენჭავათ ვაჰანის ქვაბთა ძირას, შემდეგ უხეიროდ აუხორებიათ მოგებულწაგებული.

ჰოდა, სანამ ლოდნარი გადავლახე, გიგლა უკვე ზევით ამძვრალიყო.

— ნეტავი რა ხელმა ამოჩეხა ეს ქვაბები, რა ხელმა ამოჭრა ეს სვეტები, რა ხელმა გამოთალა ეს ჩუქურთმები, რა ხელმა შექმნა ეს ფრესკები... — განუწყვეტლივ იმეორებდა ექსტაზში შესული და აღტკინებული. ქვაზე იჯდა. ვიწრო ტუჩები მკაცრად მოეხაზა, შუბლი მოეღუშა, კისერი დაძაგვროდა. ჩაფიქრებული ვერ ამჩნევდა, რომ მის ფეხებთან ქვიშისფერ ხვლიკს თავი მოემკვდარუნებინა და გიგლას წასვლის მოლოდინში მზეზე იხარშებოდა...

გონს ძლივს მოვიყვანე და მორყეული კიბით ზედა ქვაბებს მივაშურეთ.

დიდხანს მივფორთხავდით ვიწრო და ციცაბო ხვრელში, ავდიოდით ვერტიკალურ ჭაში და, ბოლოს, ნახევრად კლდეში გამოჭრილ პატარა სამლოცველოს მივაღწიეთ.

სამლოცველოს თეთრი კედლები ურიცხვი ფიგურებით იყო მოხატული. აქა-იქ გაბნეულიყო ნაქარგი სტროფები; სადაც საწერი ვერ ეშოვათ, იქ ფრჩხილით ამოეფხაჭნათ მონადირეთა და მხედართა გამოსახულებანი.

და მე ვცდილობდი ამომეცნო საუკუნეთა საიდუმლო,

რომელიც ვაჰანის მორღვეულ ქვაბებს ჩაჰყვა უფსკრულში. ამ ჯურღმულებში დნებოდა სიქალწულე. ქვეყნიერებას მოწყვეტილი საცოლენი ქრისტესნი მხოლოდ ოცნებაში ქმნიდნენ გმირთა ხატებას, რომლებიც სიზმრებში თუ ეცხადებოდათ საუკუნოდ განწირულთ. მეორე დღეს კი ჩნდებოდა სტროფები „ვეფხისტყაოსნიდან“, მონადირეთა, მეომართა, გმირთა ბავშვური პორტრეტები... სიყმაწვილის ჟამის ოცნებები თუ აცოცხლებდა კლდის ჯურღმულებში ცოცხლად ჩამარხულ ყვავილებს...

„...მომიყვანა მანუჩარ ქალად და გასათხოვრად, ქმარი მე ჯერ არ მედგა ღმრთის მადლმა და, მოწამიდთ მადლმა, ჩემისა ულამაზესი სულიერი დედის მიწაზედ არა იარებოდა... არც თვალად, არც ტანად, არც გონებითა...“

ეჰ, საუკუნეები რომ არ გვაშორებდეს!

უკან მოვბრუნდით. ხალისი დამეკარგა, მანუჩარის ასული მედგა თვალწინ. მზე მთის სერებს უახლოვდებოდა. ნუნუკა სიცილით დასდევდა ზაზას. ის კი ფეხებში უვარდებოდა და ორთავენი წამით ბალახში იკარგებოდნენ.

გიგლამ მოიხედა.

— უკაცრავად, მუნტუს ვერ ვხედავ!

სიდუს თვალები აცრემლებოდა. მუნტუ გზის დასაწყისშივე ჩამოშორდა მას და სადღაც გვერდით მიმავალ სერს აჰყვა.

შევშფოთდით.

— მუნტუ, ჰაუ, მუნტუ! — ხმა ჩაგვიწყდა ძახილით.

— ალბათ გაგვასწრებდა! — თქვა ზაზამ.

— წინ წასული არავის უნახავს! — შეეპასუხა ნუნუკა და მოულოდნელად სიდუს გაურისხდა: — სულ შენი ბრალია ყველაფერი, ალბათ გული დაწყვიტე... ნუ ხარ, გენაცვალე, მაგეთი ზიზია, თავს რომ რამე აუტეხოს, რა უნდა თქვა მერე...

დაბნეულ სიდუს პასუხი ვერ მოეძებნა და უმწეოდ აფახულებდა თვალებს.

— აი, ისიც! — წამოიძახა გიგლამ.

ვაჰანის ქვაბებს ზევით, კლდის წვერზე ჩიტის ტოლა კაცი გამოჩნდა. მუნტუმ ხელი დაგვიქნია და კლდის იქით მიიმალა...

პირიქითა მხარესაც ქვაბები აღმოჩნდა. მუნტუ დასავ-

ლეთით გაჭიმულ სერს აჰყვა და ვაჰანის ქვაბებს ზევიდან მოექცა. მორღვეულ კლდეზე ქვაბთა შესასვლელი მოჩანდა. ბილიკები ქვევით ჩაჰყოლოდა ზვავს და გასვლა ჭირდა. უკან დაბრუნება ჭკუასთან ახლოს იქნებოდა, მაგრამ მუნტუს ცნობისმოყვარეობამ სძლია და გაცოცდა. უფსკრულს ზურგი შეაქცია და ისე მიძვრებოდა. ცდილობდა ქვევით არ ჩაეხედა და არც იცოდა, თუ რა სიღრმისა იყო მის უკან გახსნილი ხახა. ფრთხილად მიიწევდა წინ, ეძებდა ფეხის მოსაკიდებელ ადგილს, ზომავდა მანძილს უახლოეს ქვაბამდე. შიშზე არ უფიქრია, რადგან არ სცალოდა.

უცებ მოხდა რაღაც საშინელი და უაზრო. გული გაუჩერდა საგულეში. კედელი აქანავდა, ამოძრავდა. ესმოდა ჩაგორებული ქვების ჩხაკუნი, მორღვეული ქვიშის შრიალი. გრძნობდა, რომ თვითონაც დაიძრა და მისრიალებდა სადღაც ქვევით, ურჩხულის პირისაკენ. ფრჩხილებით ებრაუჭებოდა ყოველ გამონაშვერს, მაგრამ ამაოდ.

სიკვდილის ცივი ამოსუნთქვა იგრძნო მუნტუმ, მაშინღა ახსენა მისი სახელი.

— სიდუ, სიდუ! — დაიძახა, მაგრამ მხოლოდ ექო გამოეპასუხა.

სერს გაღმა უნდა ეგრძნო სიდუს მუნტუს გასაჭირი, უნდა ეგრძნო და ეკივლა, ქვეყანა შეეყარა საშველად.

ჭირის ოფლმა დაასხა. თითებში ძალა ელეოდა, მუხლები უკანკალებდა...

განიხვნენ თითქოს საფლავნი, დახოცილთა ლანდები ამოდიოდნენ და ერთმანეთს გადაჰკიოდნენ — „კიდევ ერთი, კიდევ ერთი!..“

ესმოდა მუნტუს ლანდთა გადაძახილი და ნანობდა, რატომ არ უთხრა სიდუს ყველაფერი, რად დააყოვნა აქამდე, საფლავში რად მიჰქონდა გულისნადები.

სულ რამდენიმე წამს გრძელდებოდა ასე, ეგონა კი საუკუნე გავიდაო.

მოულოდნელად სიმაგრე იგრძნო ფეხებქვეშ. სიხარულმა დაუარა ნერვული ცახცახით. მტკავლისოდენა ბაქანზე იდგა საფლავის კიდეს დაკიდებული.

მცირე ხნით სული მოითქვა, ბეწვის ხიდზე უნდა გაევლო... მიძვრებოდა ფრთხილად, ზომავდა ყოველ ნაბიჯს, სინჯავდა ყოველი კენჭის სიმაგრეს.

ნახევარი საათის შემდეგ შემოგვეჩეხა. ზანტად ეშვებოდა გზატკეცილისაკენ.

სიდუს გაუსწორდა და ერთად წამოვიდნენ.

— იცი, ჩემს სიცოცხლეში პირველად შემეშინდა სიკვდილისა. აი, იმ კლდის თავზე მისმა სუნთქვამ სისხლი გამიყინა...

სიდუს ხმა არ ამოუღია. ოდნავ შეახო სალოკი თითი ხელის ზურგზე.

— ნუ მეფერები, გოგო! — უსაზღვრო სინაზით უთხრა მღელვარებისაგან ხმაჩახლეჩილმა მუნტუმ.

— ბატონებო, ყურადღება! — წამოიძახა ბატონმა პროკლემ და მანქანა ვარძიის ტურისტულ ბაზაში შეგუგუნდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ზაზამაც კი ხმა გაკმინდა, ტუჩი ჩაიკვნიტა, თითქოს მის სახუმარო სიმღერებს შეეძლოთ შეურაცხეყოთ წმინდა ადგილი... გიგლა ბავშვური მიამიტობით ბერავდა ლოყებს და საბერველივით ქშინავდა... ნუნუკამ სიცილი ჩაიწყვიტა და კვლავ მორცხვ და თავმდაბალ გოგონას დაემსგავსა... იათამზესა და ნანულის პირები დაეღოთ. იათამზეს თავისი განუშორებელი „დედა-ა!“ დავიწყებოდა... პატარა თამრიკოც გარინდულიყო, სიდუსა და მუნტუზე რომ არაფერი ვთქვათ...

საბანაო კოსტუმიანმა რუსის გოგო-ბიჭმა კისკისით ჩაგვირბინეს და მტკვრისპირა ჭალებში მიიმალნენ.

თავზე ათასთვალება ვარძია დაგვყურებდა...

ამ გასაოცარი ზღაპრის ყველა წვრილმანი ვერ აღდგება მეხსიერებაში. ათასჯერ რომ ავიდე, ალბათ მაინც ამერევა ვარძიის ათასთვალება ქვაბები... მოკრძალებით დავდიოდით სხვადასხვა ზომისა და ფორმის დარბაზებში — საცხოვრისები, საჯინიბოები, საოსტიგნოები, სამლოცველოები... ეკლესიები და გვირაბთა ლაბირინთები, სახიფათო გზები, კიბეები, მიწისქვეშა ტბა, რომელიც ცრემლივით ნაჟური, კამკამა წყლით ივსება...

სამარისებური მდუმარება დასადგურებულიყო ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში. მხოლოდ სანთლების სუსტი ტკაცუნი ხმიანებდა კლდეში ნათალ თაღებქვეშ.

„ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთა მეფე, შვილი გიორგისა თამარ, რომელი მრავალ ჟამულობსმცა...“

ვიდექით კლდის გულში, სამარის სიცივე გვეხვია ირგვლივ, მდუმარენი ვეტრფოდით არა უბრალოდ მეფესა და დედოფალს, მშვენიერებას ვუხსნიდით ჩვენს გულებს...

ჩვენ, სტუდენტები და ჩვენი პროფესორი, და კიდევ პატარა თამრიკო, ბენზინით აქოთებული ავტობუსით, ასფალტირებულ გზებზე სიცილ-თამაშით ჩამოსულნი, შევიკრიბენით გიგანტური კლდის სიღრმეში, მკლავი მკლავს შევასკვენით, ხელი ხელს და ვიგალობეთ ჩვენი უსიტყვო „წმინდაო მამაო...“ ვმღეროდით, თითქოს წინაპართა აჩრდილებთან გვეწადა გადაძახილი...

და იხსნებოდნენ საუკუნო საფლავნი და სისხლით შეღებილი სულები დაძრწოდნენ ბნელ ტალანებში...

...ხატის წინ ლურჯმოსასხამიანი გამოჩნდა. მუხლი მოიყარა, პირქვე დაემხო. დიდხანს ლოცულობდა, თავის ღმერთს უხმობდა, ადამიანთა ღმერთს.

რაზე ლოცულობდა, რას ევედრებოდა, რა სიტყვებს ამბობდა?

„ღმერთო ერთო! — მიმართავდა ეგებ. — შენ დამიფარე, ძლევა მეც!.. ღმერთო ერთო, წინ გამიძეხ უსასრულო და ტანჯვით აღსავსე გზებზე... ღმერთო ერთო, მიჩვენე გზა სიმართლისა და სათნოებისა, მიჩვენე გზა სიკეთისა და სიყვარულისა... ღმერთო ერთო, მომეც ძალა, მოვბრუნდე შორი გზიდან და მოვკვდე ამ პატიოსან მიწაზე, სადაც პაპათა აკვანი ირწეოდა, ჩემი აკვანი დაირწა, შვილთა აკვნები ირწევა... ღმერთო ერთო!..“

ვინ იცის, რას შესთხოვდა უფალს ლურჯმოსასხამიანი...

მერმე წამოდგა, სანთლები აანთო, ერთხანს იდგა მდუმარე და იგრძნო...

შემობრუნდა და გახევდა... ტაძარში ფეხშიშველა დედოფალი მობრძანდებოდა.

შავები ემოსა დედოფალს, შავი მანდილი მოეხურა თავზე. თეთრი ფეხები დაეკაწრა ქვასა და ღორღს, დედოფლის სისხლით ირწყვებოდა ვარძიის წმინდა ქვები.

„მეფეთა მეფევ აღმოსავლეთისა... დედოფალო ადამიანთა!“ — აღმოხდა ლურჯმოსასხამიანს.

„მეფეო სულისა ადამიანისა!“ — უპასუხა დედოფალმა.

ნეტავი რა ითქვა იმ რამდენიმე წამს? რომელი რომელს შესთხოვდა და რას შესთხოვდა? პატიება ხომ არ სთხოვა დედოფალს? პატიება ხომ არ სთხოვა დედოფალმა? აპატია კი ან ერთმა, ან მეორემ? გაიგეს კი ერთმანეთის სიტყვები? გადაუშალეს ერთმანეთს გულის ნადები, ცრემლითა და სისხლით შეზავებული, თუ არაფრისმთქმელი ფრაზებით დაშორდნენ?.. ორთავეს ბოღმა და ცრემლი ჩარჩა ეგებ გულში...

მოღუშული მიდიოდა ვარძიიდან ლურჯმოსასხამიანი. შაოსანი ბერი მიაცილებდა ტაძრის ბჭისაკენ. მხრები უცახცახებდა შაოსანს...

დედოფალი იდგა ქრისტეს წინაშე მხრებჩამოყრილი და ჩურჩულებდა:

„ღმერთო, ღმერთო, რად მომეც ძალა ადამიანსა ზედა...“

იმ საღამოს სუფრა გავშალეთ მტკვრის პირას. ახალციხეში ნაყიდი ღვინო წყალში ჩავაცივეთ. სამწვადე ხორცი და სანახშირე წალამი თან მოგვქონდა. შამფურზე მწვადები ავაშიშხინეთ და სუფრაზე შემოვყარეთ.

თამადად ბატონი პროკლე ავირჩიეთ. მის მოადგილედ, რასაკვირველია, ცხვირაპრეხილი და ჭირვეული თამრიკო, რომლისთვისაც საგანგებოდ გვქონდა ლიმონათი გადანახული.

— პირველი სასმისით, ბატონებო, ნება მომეცით, ვადღეგრძელო ჩვენი პატიოსანი და კეთილშობილი ხალხი...

მთვარე ამოდიოდა სერებს იქით. აქა-იქ ინთებოდნენ ვარსკვლავები. თავზე დაგვყურებდა ათასთვალება ვარძია. მტკვარი მიდუდუნებდა ბუჩქნარს მიღმა, დინჯად გვიამბობდა საუკუნეთა საამბობელს.

ეს იყო ჩვენი მოგზაურობის ბოლო დღე და სადღეგრძელოებში გაწაფულნი ენას ვიქარგავდით... ვიხსენებდით ჩვენს მხიარულ გზას, ტაძრებსა და ციხეებს, წვრილმან თავგადასავლებსა და მნიშვნელოვან სიმბოლოებს, მეციხოვნეებსა და

გმირებს, მანუჩარის მშვენიერ ასულსა და გიორგის, ფრესკების ყვავილოვანი არშიის დეტალში შთამომავლობისათვის თავისი სახელი „გ-ი“ რომ ჩამალა...

მოდიოდა ღამე, კაშკაშებდნენ ვარსკვლავები, დუმდა ათასთვალება ვარძია.

გვიან წამოვიშალენით. მტკვრის პირას დავსხედით. დუმილი გვეწადა ვარძიასთან ერთად.

მაგრამ ერთ წამში დაირღვა ყველაფერი. ტურისტულ ბაზაში აზრიალებულმა რეპროდუქტორმა ვარძიის ქვაბებს მიაყარა გაუგებარი სიტყვები, გაუგებარი ჰანგები... აროკდნენ ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ ნახევრადშიშველი წყვილები. მათ არა ესაქმებოდათ რა არც გიორგისთან, არც ვაჰანის ქვაბთა ქალწულებთან, არც ამ ვარსკვლავებთან...

პირველმა ზაზამ დაგვტოვა. მას უკვე გაეცნო ქერა გოგონა... ცოტა ხანში ნუნუკაც წავიდა, შორიდან მაინც თვალს წყალს დავალევინებო. მას კიდევ რამდენიმე მიჰყვა.

ბატონ პროკლეს თამრიკო მიჰყავდა დასაძინებლად.

— დავრჩეთ, რა, პაპა, ვნახოთ რა! — ეხვეწებოდა გოგონა.

— წამობრძანდით, ქალბატონო, ძილისპირული დიდი ხნის წინ იყო.

სიდუ და მუნტუ ნაპირზე ისხდნენ. მთვარე ირეკლებოდა მტკვრის ტალღებში და მკლავისტოლა თევზი ცდილობდა დაეჭირა მტკვარში ჩაგდებული მთვარე.

— შეხედე, შეხედე, რა მშვენიერია ვარძია!

— სიდუ... სიდუ...

— შეხედე, რა მშვენიერია ვარძია!

კარგა ხანს ვიჯექი წყლისპირას გარინდებული. ვუცდიდი ცეკვების დამთავრებას, რათა მთვარისა და დუმილისათვის მომესმინა... საათი საათს მიჰყვა და აჰა, ნაშუაღამევს რეპროდუქტორმა უკანასკნელი აკორდი ჩაიხრიალა.

დუმილი ჩამოწვა ვარძიაზე და ხმებით აივსო ქვეყანა.

დუდუნებდა მტკვარი, დუდუნებდა ათასთვალება ვარძია, დუდუნებდნენ მთვარე და ვარსკვლავები... სიო ატოკებდა ფოთლებს...

უცებ ყვირილი ჩამეხშო ყელში. ზეზე წამოვხტი და ზურგით ხეს მივეყრდენი. მოჯადოებული მივაშტერდი სამხრეთს.

ერუშეთის ქედიდან ამოდიოდა გიგანტური აჩრდილი. ამოდიოდა ნელ-ნელა, ზვიადად. ვარსკვლავებს ეფარებოდა და ქრებოდნენ ვარსკვლავები ცაზე. და როდესაც შედგა, თავით ეხებოდა ცის გუმბათს; მოსასხამის კალთები ფრიალებდა და ჩრდილავდა სამხრეთის ზეცას. იდგა აჩრდილი, გულზე ხელდაკრეფილი, და მდუმარედ გადმოჰყურებდა მთვარის შუქით გავარკალებულ ქვეყანას.

„ვინ ხარ, ჰეი, ვინ ხარ?!“ — შევკივლე.

„ვინ ვარ, ვინ ვარ!.. — ნიავმა მოიტანა ექოსმაგვარი ხმა აჩრდილისა. — იყო დრო, როდესაც მე არ ვიყავი, მოვიდა დრო, როდესაც მე ვარ, კაცთმოძულეობის ჟამმა წაბილწა სოფელი, კაცთმოყვარეობის ხანა მოვიტანე მე... მე ის ვარ, ვინც ეწამებოდა, ვისაც უყვარდა, ვინც გულით იწვოდა და წვაში ბადებდა სიტყვებს... მე უკვდავება ვარ...“

შორეული ხმა ნიავთან ერთად ეფინებოდა მინდვრებსა და ველებს. გადადიოდა ირგვლივ ჩამოწოლილ ქედებზე, ჩურჩულებდა ბნელ ტევრებში, ჩემს სულში პოულობდა ბინას.

„მითხარი, საოცრებავ, რამ მოგანიჭა უკვდავება?!“

„სიყვარულმა!.. სიყვარულმა!.. სიყვარულმა!..“

მოჰქონდა ნიავს ჯადო სიტყვები და ვხედავდი, რომ აჩრდილი იფანტებოდა, ქრებოდა გაზაფხულის დილის ნისლივით. ვარსკვლავები აკაშკაშდნენ სამხრეთის ცაზე და ერუშეთის მთების გრაგნილი მთვარის სხივებმა ააბრჭყვიალა.

...დღეს დილის ცხრა საათზე უნდა მოვკვდე.

დილაადრიან ტელეფონმა გამაღვიძა. ექიმი მირეკავდა:

— მაპატიეთ! მთელი ღამე არ მეძინა! ვფიქრობ, თქვენი ადრე გაღვიძება სჯობია...

ექიმი აუღელვებლად მელაპარაკებოდა, თითქოსდა სრულიად ჩვეულებრივი ამბავი უნდა ეცნობებინა ჩემთვის.

— გმადლობთ, ექიმო, სწორედ დროზე გამაღვიძეთ! ისე

მშვიდად მეძინა, მზე ამასწრებდა ალბათ... დღეს კი მზეზე ადრე უნდა ავდგე უცილოდ...

— ჰო, კარგია, რომ მიმიხვდით. ხომ იცით, დღეს ცხრა საათზე...

— ასე ადრე? — წამომცდა უნებურად. — მე კი ვიფიქრე, ხუთამდე გავძლებდი... არა უშავს რა. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

— მოიცადეთ! ხომ არ გინახულოთ?

— არა, ძალიან გთხოვთ, ნუ მინახულებთ... ორი საათის შემდეგ ბავშვებს მოაკითხეთ. მშვიდობით!

— მშვიდობით! — ექიმის ხმა თითქოს შედრკა, უნდოდა კიდევ რაღაცა ეთქვა, მაგრამ ყურმილი სწრაფად დავაგდე და ლოგინიდან წამოვხტი.

დღევანდელი დღე, გაზაფხულის ერთი უმშვენიერესი დღე, ცხრა საათამდე მე მეკუთვნოდა, მხოლოდ მე და სხვას არავის ამ ქვეყანაზე. ყოველი წამი უნდა გამომეთვალა, ყოველი წუთი.

რადიომიმღები ჩავრთე და ისევ გამოვრთე. დედაქალაქს ჯერ კიდევ ეძინა. ფანჯარა გამოვაღე. გრილი ნიავი შემოიჭრა და ყვავილების სურნელება სახეში მომაფრქვია. „რა მშვენიერია სიცოცხლე!“ — გავიფიქრე სასხვათაშორისოდ.

მცირე ხანს ვიდექი. აღმოსავლეთი ოდნავ შეეერცხლილიყო, ფანჯრის იქით კი მრუმე სიბნელე მეფობდა. ვარსკვლავები აპაჭუნებდნენ თვალებს. მე ვიცოდი, რომ ნახევარი საათის შემდეგ ისინი სათითაოდ გაიკრიფებოდნენ, მაგრამ არ ვნანობდი, რადგან ისიც ვიცოდი, რომ დღეს მე ვარსკვლავებს ისევ ავანთებდი.

როგორც ყოველთვის, წავივარჯიშე, თუმცა დღეს სულაც არ იყო დილის ვარჯიში აუცილებელი. არც აბაზანა მჭირდებოდა დღეს. მაინც მივიღე. „შესაძლებელია, უკანასკნელად...“ — გავიფიქრე. დიდხანს ვჭყუმპალაობდი ნელთბილი წყლის ქვეშ. სააბაზანოდან რომ გამოვედი, ღამე უკვე გაცრეცილიყო; აღმოსავლეთს ოდნავი სიწითლე შეჰპარვოდა. ვარსკვლავები ქრებოდნენ ცაზე.

ფრთხილად შევაღე ბავშვთა ოთახის კარი. ცირას ოდნავ გაეხსნა პირი და თეთრი კბილები უბრწყინავდა. მე ყოველთვის ვამაყობდი მისი კბილების სითეთრით. იქნებ იმიტომ, რომ

დედამისსაც ასეთი კბილები ჰქონდა. როდესაც ცირა იცინოდა, გული მეკუმშებოდა. მინდოდა, მეზობელ ოთახში გავსულიყავი და მეტირა... თამრის საბანი გადაეგდო და სიცივისაგან მოკუნტულიყო. საბანი შევუსწორე. ვერ მოვითმინე და ფუნჩულა ხელზე ვაკოცე. შეიშმუშნა და გვერდი შეინაცვლა. მეშინოდა, არ გამეღვიძებინა. მაშინ სისუსტე მძლევდა ალბათ და აქედან ვერ გამოვიდოდი იმ საბედისწერო წუთამდე, როდესაც ბავშვებს შევაშინებდი.

საბრალო პატარები! სულ ორიოდე წელია, რაც დედა დაკარგეს. თამრის არაფერი გაეგებოდა მაშინ, ცირამ კი იმდენი იტირა... დღეს მამასაც დაკარგავენ სამუდამოდ. დამნაშავე ვარ ჩემი გოგონების წინაშე, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო. გავა დრო, დაიზრდებიან. მამის სახე სიზმარში ნახულივით მოაგონდებათ. მაშინ მოვა მუნტუ, ან სიდუ, ან გიგლა და უამბობს მამაზე, მისი სიცოცხლისა და სიკვდილის სიდიადეზე.

სამზარეულოში, წუხანდელი ვახშმის ნარჩენებით ვისაუზმე. პატარებისათვის კი რძე ავადუღე და ერბო-კვერცხი შევწვი. იქვე სამზარეულო მაგიდაზე დავდგი, გაზეთი გადავაფარე. უბის წიგნაკიდან ქაღალდი ამოვხიე და შევჩერდი.

სულმა წამძლია. მინდოდა ორიოდე სიტყვით ამეხსნა პატარებისათვის, თუ სად გაქრა მათი მამიკო და რატომ ვერ იხილავენ ვერასოდეს, მაგრამ დავიხარე და დავწერე: „ისაუზმეთ ერბო-კვერცხითა და რძით! სკოლაში არ დააგვიანოთ! იყავით ჭკვიანი გოგონები!“

მინდოდა ერთხელ კიდევ მენახა ჩემი პატარები, მაგრამ ვიცოდი, რომ თავს ვერ შევიკავებდი და გავაღვიძებდი. მაშინ ჩვენი გაყრა შეუძლებელი იქნებოდა.

თბილი სპორტული ტანსაცმელი ჩავიცვი. ზევით ეციებოდა... მივუალერსე ჩემს საწერ მაგიდას, წიგნების თაროებს, შოთას პაწია ბიუსტს და თამამად მივაშურე ღია ფანჯარას. ერთხელაც მიმოვიხედე და ფეხი გადავდგი. ქვევით მეეზოვე ტროტუარსა რწყავდა. ქუდი მოიხადა და დამიქნია. ის უკვე მიეჩვია და ვერაფერს ხვდებოდა. მოპირდაპირე სახლის ფანჯრიდან ვიღაც ქაჩალმა გადმოიხედა და გაოცებული მზერა გამაყოლა.

წუთით შევყოვნდი, რატომღაც შემეშინდა... გამეცინა, ჯერ

ხომ ცხრა საათი არ იყო, რატომ უნდა შემშინებოდა. ხელი ვუშვი ფანჯრის რაფას და რბილად გავსრიალდი.

ჩვენს ბაღს გადავუარე. ვიღაცას ვარდები დაუკრეფია, მაგრამ არ გავჯავრებულვარ. მავანმა ბიჭმა დაუკრიფა ალბათ გოგონას, გასაჯავრებელი რა იყო. გავა დრო და ბიჭები ჩემს გოგონებსაც დაუკრეფენ ყვავილებს, ჩემს ცირას და თამრის. ყრუ ტკივილმა გულში გამკრა. ის ყვავილები ხომ ჩემზე მეტს გაძლებენ. დაჭკნობასაც ვერ მოასწრებენ, მე კი არ ვიქნები.

აუჩქარებლად მივფრინავდი ზევით და სართულებს ვითვლიდი. მიხურულ ფანჯრებს მიღმა ჩემს მეზობლებს მშვიდად ეძინათ. მე მიყვარდა ჩემი მეზობლები, მაგრამ გულის სიღრმეში ვკიცხავდი მათ. ზეპირად ვიცოდი მათი ცხოვრების მთელი შინაარსი და დანიშნულება. რვა საათზე ადგებიან, დილის ყავას სვამენ და ითუთქებიან; ეშინიათ სამსახურში დაგვიანებისა, ეშინიათ უფროსისა, უმცროსისა, დარისა და ავდარისა. იჭყლიტებიან გადატვირთულ ტროლეიბუსებში. კროსვორდებს ხსნიან სხვადასხვა დაწესებულებათა აურაცხელ კაბინეტებში. საღამოს კი უკანვე ბრუნდებიან. სხედან ტელევიზორთან, ან მიდიან კინოში, იხარშებიან გაჭედილ დარბაზში და დეტექტივით თავგასიებულნი ბრუნდებიან შინ. ვახშამზე გაჭორავენ მეზობლებს და მეორე დღეს ყველაფერი თავიდან მეორდება. ასე განმეორდება ხვალაც, როდესაც მე უკვე არ ვიქნები. გაზეთებს გახსნიან და იტყვიან: „ჰმ, ის ტიპი, ქვევით რომ ცხოვრობდა, თურმე მომკვდარა... საბრალო, რა ტყუილად დაიღუპა თავი! რაღა ეშველებათ მის ბაღნებს!“

მეცინება! რა იციან, რომ მე ვარ პირველი პირველთა შორის, რადგანაც მე შემიძლია ფრენა. მე ერთ წელიწადში ვიცოცხლე ათასი სიცოცხლე, ისინი კი ას წელიწადში ვერ იცოცხლებენ ერთ სიცოცხლესაც, რადგანაც არ იციან, რომ ცხოვრების აზრი მხოლოდ ფრენაშია...

ხელები გავშალე, თავი უკან გადავიგდე და ზე ავიჭერი ცისკენ. ქარი აზუზუნდა ყურებში, სუნთქვა დამიხშო, გამაგრილა. ფეთქავდა ჩემს ტანზე აფარფატებული ტანსაცმელი; ფეთქავდა ჩემი გულიც; სისხლი ჩქრიალებდა ძარღვებში... მე მესმოდა ჩემი გულის ხმაური. მესმოდა სუფთა ჰაერით სავსე ფილტვების შხუილი; მესმოდა სისხლის ჩუხჩუხი და ვიცოდი, რომ წუთში ვცოცხლობდი ერთი სიცოცხლის სადარს.

და მე შევხარხარე ზეცას, რომელიც ჩემი სამფლობელო იყო.

მერე ნავარდით დავუარე ქალაქის სახურავებს. ავლაბრიდან ვაკისაკენ, ვაკიდან საბურთალოსაკენ, საბურთალოდან დიღმისაკენ და ისევ ავლაბრისაკენ. დავნავარდობდი ქალაქის თავზე და ფერად-ფერადი სახურავები გარბოდნენ ჩემს ფეხებქვეშ. პროსპექტები ქანაობდნენ, ხეები ირწეოდნენ, ქუჩებში ხალხი იდგა, ქუდებსა და ცხვირსახოცებს მიქნევდა. მანქანები, ტრამვაები, ტროლეიბუსები ჩერდებოდნენ, სახლების ფანჯრები იღებოდა... მე ვნავარდობდი ქალაქის თავზე.

პირველი ვიყავი ადამიანთა შორის, რადგანაც შემეძლო ცაზე ნავარდი.

არ მჭირდებოდა არც პროპელერები, არც ალუმინის ფრთები, არც რეაქტიული ძრავები; ხელებს გავშლიდი და კამარას შევკრავდი ლაჟვარდზე, ზეცა დატრიალდებოდა ჩემს ფეხებქვეშ...

სრული ერთი წელი გავიდა იმ დღიდან. დღეს, დილის ცხრა საათზე გავა ერთი წელი იმ საათიდან, როდესაც უსასრულოდ გრძელი სიცოცხლე გავცვალე ერთი წლის ფრენაზე. მე არ შემეძლო სხვანაირად და ამ ერთი წლის განმავლობაში არ ყოფილა წამი, რომ სინანული მეგრძნო.

და აი, წლის თავზე, ამ უკანასკნელ დილას მე ავმღერდი. რა მნიშვნელობა ჰქონდა სიტყვებსა და მელოდიებს. მე მაინც ვეწეოდი და ვუსწრებდი ყოველ ჩემს სიტყვას, ხარხარს, ბგერათა ტალღებს... გამოვუდგებოდი ჰაერში გაჭრილ სიტყვას და ვიჭერდი. ვიტყოდი საკუთარ სახელს და ჩემი სახელი მომდევდა უკან.

ვმღეროდი ქალაქის თავზე მონავარდე და მიხაროდა. განა ვინმე ცოცხალთაგანს შეეძლო განეცადა თავისუფლების ის დიადი გრძნობა, რასაც მე განვიცდიდი ჩემი სხეულის ყოველი უჯრედით. განა ვინმეს შეეძლო ებანავა ცის სილურჯეში; ქვასავით დაცემულიყო აქანავებულ ქალაქზე; გადაეთვალა მისი ქუჩები და ფერადი სახურავები; მიალერსებოდა ხეთა კენწეროებს; დაეკრიფა მიუწვდომელი ყვავილები; ეკასკასა ლამაზი გოგონების თვალწინ და ისევ ზეცისკენ აჭრილიყო.

მე ვიხსენებ იმ დღეს, როდესაც გაზაფხული მოვიდა ჩემთვის; როდესაც მე პირველი ნაბიჯი გადავდგი, რათა ჩემი სხეული და ჩემი გონება გამეთავისუფლებინა იმ ათასწლეული ჯაჭვებისაგან, რომლებიც ჩემს წინაპრებს მიწაზე აბამდა.

იმ დღეს ათასიდან მარტო მე დავთანხმდი; მარტო მე ჩავწექი მინის სარკოფაგში; მარტო მე ვიტანჯებოდი აუტანელი ტკივილებისაგან, რომელსაც მოჰქონდა ან სიკვდილი, ან სიცოცხლე და ფრენა ერთი წლის განმავლობაში.

და მე პირველი ადამიანი ვარ ადამიანებს შორის, რადგანაც ზეცაა ჩემი სამფლობელო...

აღმოსავლეთიდან ამოვიდა დიდი, წითელი მზე. მე მივესალმე ჩემს სწორს. ამ დილით მარტო მე ვხედავდი, თუ როგორ გარბოდა ღამე დასავლეთისაკენ. სინათლისა და სიბნელის ხაზი ჰკვეთდა მთელ ქვეყანას და სინათლე ჯაბნიდა სიბნელეს.

მე მივიწევდი სულ ზევით, ზევით. მზერა გადავაწვდინე კავკასიონის თოვლიან ქედებს. რამდენჯერ გავფრენილვარ იქ. მიხტუნავია მყინვარიდან იალბუზზე, იქიდან, უშბაზე, შხარაზე. იქიდან გადავშვებულვარ შავ ზღვაში. მიმღერია ჰიმნი ორ ცაზე, ზღვისა და ჰაერის სილურჯეზე; უკან დაბრუნებისას თრიალეთის ქედზე დამიფრთხია ირმის ჯოგი.

არწივი ამედევნა კვალში. გამეხარდა ფრინველთა მეუფესთან შეხვედრა. მეწადა მასთან ტკბილი საუბარი. მოყვრობა მინდოდა, მტრად გადამეკიდა. ბევრი ვიხარხარე მისი სითამამით გაკვირვებულმა. ხან გავუსწრებდი, ხან ბოლოდან მოვუვლიდი, ზევიდან დავეცემოდი ან ქვევიდან შევუვარდებოდი. გაანჩხლდა, გადაჰკიოდა ქვეყანას. მე ფრთები არ მქონდა, მაგრამ ადამიანი ვიყავი და პირველი ადამიანთა შორის.

ამ დილით არწივმა თავი არ დამანება. დამღალა მასთან პაექრობამ. ვეკვეთე პირისპირ და ყანყრატოში ვტაცე ხელი. ფრთები ამიბათქუნა სახეზე, ჭანგი გამკრა მკლავზე, სისხლი წამომივიდა თქრიალით. თითქოს მესიამოვნა კიდეც მწვავე ტკივილი. განზე მოვისროლე ძალაგამოლეული ფრინველთა მეუფე.

დღეს მარტო მე ვიყავი მეუფე, მეტოქე არ მჭირდებოდა დღეს ზეცაზე.

დასავლეთიდან ღრუბელთა შავი ფარა მოიზლაზნებოდა. ჩემამდე აღწევდა შორეული ჭექა-ქუხილის გამოძახილი. მე სწრაფად ავიჭერი ზევით, რათა ღრუბლებისათვის გამესწრო.

წუთი წუთს მისდევდა. მზე მიხარჯავდა ბედისწერის წუთებს. მე კი სულ ზევით და ზევით მივისწრაფოდი, თითქოს ვცდილობდი ვარსკვლავების მოწყვეტას.

გუგუნი შემომესმა. რეაქტიული ლაინერი მიფრინავდა მოსკოვიდან თბილისისაკენ. შორიდან სათამაშოდ მივიჩნიე და გამეცინა.

სიმაღლის სუსხი იგრძნობოდა, მაგრამ მე მაინც განვაგრძობდი ცისკენ ლტოლვას და ვხედავდი უზარმაზარ დედამიწას, რომელსაც ნახევარი ზეცა უკავია და ვეებერთელა ბორბალივით ჰკიდია სადღაც ხელმარჯვნივ. დედამიწის ხმები არ მოდიოდა ჩემამდე, გარდა ქარის ზუზუნისა; მაგრამ მე მაინც მეჩვენებოდა, რომ ფუსფუსებდა მთელი პლანეტა; შორეული გუგუნი და ბუყბუყი მესმოდა, ქარიშხლებისა და გრიგალების გამოძახილი.

ისეთი თბილი და შორეული მომეჩვენა გიგანტური ბორბალი, ისეთი ლურჯი და განუმეორებელი, რომ ტირილი მომინდა. ხომ შემეძლო ელვის უსწრაფესად დავშვებულიყავი. ჩემი ექიმის კართან ავიტუზებოდი დილაადრიან. მიმკურნალებდნენ და ვიქნებოდი, როგორც ყველა ადამიანი. ვივლიდი სამსახურში, კინოში, ამოვხსნიდი კროსვორდებს; მემუარებს დავწერდი და ყველას თავს მოვაბეზრებდი ჩემი ფრენის ამბებით.

ეს იყო მხოლოდ წუთიერი სისუსტე. მე არ მინდოდა ერთი საათის სიცოცხლე ფრენის გარეშე.

და კიდევ უფრო სწრაფად მივიწევდი ზევით და ზევით უსასრულობისაკენ.

ყურები მეტკინა, მერე ცხვირის წვერი. ვიგრძენი, რომ მეყინებოდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა უკვე არა ჰქონდა. ცხრა საათის შემდეგ მე თვითონ არ ვიქნებოდი.

ზურგი შევაქციე დედამიწას და ასე გაწოლილი ვუყურებდი ცას. ცა იყო შავი და უსასრულო. მკვდარი ვარსკვლავები მეჩხირებოდნენ თვალებში და ტვინს მიბურღავდნენ. პატარაობისას ჭაში ჩავედი, რათა მზიან ამინდში ვარსკვლავი მენახა. მართლაც ვნახე, ოდნავ ციალებდა ცის პაწია ჭრილში, ის ვარსკვლავი სამუდამოდ ჩემად მივიჩნიე.

ვიწექი ტროპოსფეროსა და სტრატოსფეროს შორის, ვუყურებდი ვარსკვლავეთს; ვეძებდი ჩემსას და მწყინდა, რომ ვერ მომეძებნა.

ცხრა საათი ახლოვდებოდა...

ახლოვდებოდა ჩემი გზის ბოლოც. იქ, ქვევით იყვნენ ცირა და თამრი; იქ იყო მათი დედის საფლავი. ქვეყანა ყვავილებითაა მოჩითული, თბილი ზღვები აწყდება ნაპირებს. ვერცხლისფერი მთები ცად აზიდულან. იქ, დედამიწაზე არსებობს სიყვარული, მეგობრობა, მშვენიერება. იქ ლექსებს წერენ და მღერიან. იქ ბიჭუნები ყვავილებს იპარავენ გოგონებისათვის.

მე კი დავბრუნდები და უკვე არ ვიქნები. საშინლად დავმძიმდები აქამდე ჰაერში მონავარდე. ოფლად გაიწურებიან გიგლა და ზაზა, მუნტუ და სიდუ. ამასვენებენ მაღალი მთის მწვერვალზე, ცასთან ახლოს. მთელი დღე ივლიან, მუხლები დაეღლებათ, მხრები ეტკინებათ. მაინც ამიტანენ მაღალი მთის მწვერვალზე. იქ ყვავილებს მომაყრიან და ის ყვავილები არასოდეს დაჭკნება. ლურჯმოსასხამიანის ლანდი გამოჩნდება ჰორიზონტს იქიდან და მოსასხამის კალთებით ცას დამიფარავს. დღეიდან მეც ლანდად ვივლი სამშობლოს უსასრულო გზებზე...

და მოახლოვდა საბედისწერო წუთი. მე მოვწყდი ცის თაღს და დაჭრილი შევარდენივით ძირს წამოვედი. სილურჯის იქით ვარსკვლავები ქრებოდნენ და სასოწარკვეთილი ყივილით ვემშვიდობებოდი ჩემი ბედის ვარსკვლავს.

ქანაობდა დედამიწა, ქანაობდა ლურჯი ზეცა. შხუოდა ჰაერი ყურებში, სუნთქვას მიკრავდა, თმას მიწეწდა. ჩემი მშობელი კი ახლოვდებოდა და მე გულის ცემით ველოდი მასთან შეხვედრას.

მძიმე ღრუბლებს დაეფარა სამყარო. ცივ და ნესტიან ქუდაში გავეხვიე ერთი წუთით. ყველაფერი დაიკარგა თეთრ ნისლში. იგრიალა, აროხროხდა ჭექა-ქუხილი. ელვა დაიკლაკნა ჩემს ფეხებქვეშ, ჩემს თავზე, ჩემს ირგვლივ.

და უცებ გაირღვა ღრუბლების ფარდა. ჩემ წინ კიდიდან კიდემდე გადაიშალა მშობელი მხარე, ჩემი მიწა-აკვანი... აგუგუნდა ზეცის მუსიკა, აგუგუნდა მთებისა და ველების მუსიკა, ჩემს სულში გუგუნებდა საზეიმო ჰიმნი.

და მე მოვკვდი!

IX.1966

ალმანახი „პირველი სხივი“, 10, 1975

1

ერთ სოფელში ქვრივმა ოქროდედამ ქალ-ვაჟი გაზარდა. ქალი დახატულივით იყო, ხანტუ ერქვა, ვაჟი — ირემივით მარდი და ყელმოღერებული, სახელად ჯერგე დაანათლეს. ძარღვებში სისხლი უჩქეფდა და ეგონა, საწუთრო მარადიულ ჯილდოდ მერგოო... ერთხელ სოფლის ორღობეში ჭირისუფლებს შემოეყარა, კუბოს მოასვენებდნენ. მიცვალებულის დანახვაზე ელდა ეცა, სიკვდილი შეეზარა. უთხრეს, ასეთია კაცის ბედი და შენც ვერსად გაექცევიო... დადარდიანდა, არ იცოდა, სიკვდილს როგორ გაქცეოდა და უკვდავების წამალს დაუწყო ძებნა...

ჯერგე. გათენებულა! მაშ, წასვლის დროა! აგერ ხურჯინი, აგერ გზა!.. მშვიდობა უნდა დავიბარო და ბედს ვეწიო!.. დედა, ჰა, დედა!

ოქროდედა. რა იყო, შვილო, უთენია რამ წამოგაგდო? ჯერ მზე არც ამოწვერილა!

ჯერგე. დროა, გზა დამილოცო!

ოქროდედა. შენსას მაინც არ იშლი, შვილო?

ჯერგე. არ ვიშლი და ეგაა... აქ რა დამრჩენია? ოფლის ღვრა ლუკმაპურისათვის, წვინტლიანი ბღარტები, ბოლოს კი ცივი სამარე, სხვა რა უნდა მომცეს სოფელმა? ჰოდა, გადავწყვიტე, ჩავიცვა რკინის ქალამნები, ავიღო რკინის ჯოხი და დავადგე გზას, ვინძლო ისეთი მხარე ვიპოვო, ბედის კევრი წაღმა ტრიალებდეს.

ოქროდედა. ასე აიჩემა იმ ცოდვით სავსე მამაშენმა და გადაიკარგა.

ჯერგე. სიჯიუტე მამისა მომდგამს.

ოქროდედა. დილაუთენია ჭიშკართან ცხენი მოაგელვეს, ბუკს შემოჰკრეს, ხალხო, მტერი შემოგვესია, ქუდზე კაცი გამოდითო. მამაშენმა დაავლო ძველებურ ყირიმულს ხელი, არიქა, უკვდავებას არიგებენო. დავუჩოქე, შენს ბავშვებს მიხედე, იქ უკვდავებას კი არა, ტყვიას არიგებენ-მეთქი. ქალის ჭკუა მოკლეაო, წავიდა და გადაეშვა ტყვიის წვიმაში... მე კი ობლები და ეს თალხი კაბა შემატოვა...

ჯერგე. მე არ გადავეშვები ტყვიის წვიმაში, წინაპართა გამოცდილება შვილებს არგია.

ოქროდედა. ჰო, შვილო, ფრთხილად იყავი. შორმა გზამ და განსაცდელმა იქნება ჭკუადამჯდარი დაგაბრუნოს. წუხელ საგზალი მოგიმზადე და ხურჯინი ჩაგილაგე.

ჯერგე. აბა, შენ იცი, დედა! ხანტუ არ ამდგარა? ადე, გოგო, გაახილე თვალი, გაკეთდა ქვეყანა!

ხანტუ. მაინც მიდიხარ? შენსას არ იშლი?

ჯერგე. ვინ იცის, სად გადავიკარგები, შენ კი თბილი ლოგინი ვერ დაგიგდია!

ხანტუ. წუხელ მთელი ღამე არ მიძინია. ჯერ დედას ვეხმარებოდი, მერე შენზე ვფიქრობდი. ახლაც არ მჯერა, რომ გვტოვებ, თავი სიზმარში მგონია.

ჯერგე. ძლივს გამოგაღვიძე და...

ხანტუ. გარიჟრაჟზე ჩამთვლიმა. ვიღაც შესაზარი კაცი მესიზმრა, ციდან ჩამოფრინდა და შენი თავის წართმევა მომინდომა.

ჯერგე. თავი მხრებზე მაბია, მაგის დარდი ნუ გაქვს, ვერავინ წამაცლის, მაგრამ, ვხედავ, შენი თავის წართმევას ბევრი ვინმე გვიპირებს... აგერ ჯერ არ გათენებულა და ერთი ვინმე ჩვენს ორღობეში დაეხეტება...

ხანტუ. რა ჩემი ბრალია, თუ დაეხეტება?

ჯერგე. აბა, ჩემი ბრალია? შენ მისი გახუნებული სერთუკი და ბრჭყვიალა ღილები მოგეწონა. მე კი მისი უფერული თვალები და წითური ულვაშები არ მომწონს!

მეზღაპრე. მართლაც სერთუკი ცოტათი გაჰხუნებია ბუთხუზა-ბიჭს, მაგრამ ღილები წუხელღამე იმდენი ხეხა, ბაჯაღლო ოქროს დაამსგავსა...

ბუთხუზა. გამარჯობათ, ღრმად პატივცემულო ბატონო ჯერგე! გამარჯობათ ღრმად პატივცემულო მამზელ ხანტუ! გამარჯობათ ღრმად პატივცემულო ქალბატონო ოქროდედ!

ოქროდედა. ღმერთმა გაგახაროს, შვილო!

მეზღაპრე. მე უნდა გავცე სალამს პასუხი ხანტუს ნაცვლად, რადგან სიწითლემ და სიმორცხვემ ენა გოგოს წამით დაუბა...

ჯერგე. ძაღლი ახსენე და სახრე გეჭიროსო! ასე უთენია რამ წამოგაგდო, მეზობელო?

ბუთხუზა. დილის რაციონი, მოგეხსენებათ, ჯანმრთელობას რგებს. ჟანგბადი სისხლს ასუფთავებს, მოძრაობა კი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სწორ მუშაობას უწყობს ხელს.

ჯერგე. ესე იგი, უნდა ვიგულისხმო, რომ შენი კუჭ-ნაწლავი სწორად მუშაობს?

ხანტუ. ჯერგე, თავი დაანებე, რა!

ჯერგე. ამაზე უკეთესი რა უნდა ინატრო, ჩემო დაიკო, თუ ოჯახში კუჭის საქმე კარგადაა.

მეზღაპრე. ტირილით გარბის ჩვენი ხანტუ, გულუბრყვილობა რჩეულისა მას შეურაცხყოფს.

ბუთხუზა. მე ხომ არ ვაწყენინე?

ჯერგე. დიახ, ძვირფასო მეგობარო, გული ატკინე. მას შენი ულვაში არ მოეწონა.

ბუთხუზა. ულვაში? ხომ არ დამცინით?

ჯერგე. როგორ გეკადრება! ულვაში ცოტათი უნდა შეგეკვეცა, ჩემს დაიკოს ეს ბევრად უფრო მოეწონებოდა. ახლა ასეთი მოდაა!

ბუთხუზა. მართლა? მაშ, დალაქთან გავიქცევი!

ჯერგე. იჩქარე, იჩქარე, სანამ მოდა შეიცვლებოდეს!

ოქროდედა. სად წავიდა? ხომ არ აწყენინე?

ჯერგე. პირიქით, განვუმარტე, რომ დღეს ულვაშების მოდა ცოტათი შეცვლილია.

ოქროდედა. ღმერთი გფარავდეს, შვილო, მეშინია, შენმა ენამ არ დაგღუპოს.

ჯერგე. მაგისი ნუ გედარდება, ვისაც ენა კარგად აბია, ფეხით იერუსალიმში ჩავა. ოღონდაც, დედა, დაიმახსოვრე, იმ სულელს თუ ჩაუგდე ხელში ჩემი და...

ოქროდედა. რას ამბობ, შვილო!

ჯერგე. გგონია, ვერ ვხედავ? ჩემი დაც არაა მთლად დაწყობილი, ეცოდება ეს დარეხვილი...

ოქროდედა. ეცოდება კი არა, უყვარს, მაგის გარდა არავინ მინდაო, იძახის... ან იმ ბიჭმა რა დაგიშავა? ბუთხუზა კეთილი და ზრდილი ყმაწვილია.

ჯერგე. იმიტომაც არ უჭყავის ჯიბეში კაპიკი.

ოქროდედა. არც შენ გიჭყავის!

ჯერგე. დრო მომეცი და მექნება. ცხოვრების უნაგირს ზედ რომ მოვექცევი, ისე გავაჭენო, ცაზე ღმერთები კვირობდნენ.

ოქროდედა. ოჰ, ოჰ, როცა ღმერთებს ეპოტინები, შიშისაგან გული მისკდება.

ჯერგე. მე არაფრის მეშინია, ვინც მამაცია, ცაზეც იფრენს.

ოქროდედა. ცაზე სიკეთე დაფრინავს, შვილო, ბოროტება კი მიწისქვეშ დაძვრება.

ჯერგე. აგრე რომ იყოს, დედაჩემო, შენ უნდა დაფრინავდე ცაზე, აქეთ რომ მოიძურწება, ის მაიორი კი წუმპეში უნდა გორაობდეს.

მეზღაპრე. ეს რა აკადრეს უდიადესს იმათ შორის, ვინც კი სოფელში გმირად დადის... სხვა ვინ ატარებს ეპოლეტებს, ეგზომ მბრწყინავს, სხვა ვინ იღებავს ინით ულვაშებს... მეძებარივით ჰაერს ყნოსავს, სარგებელს ეძებს...

მაიორი. გამარჯობათ, მეზობლებო! რაღაც შემწვარმოხრაკულის სუნია!

ჯერგე. ერთი ვარია შევბრაწეთ, მაგრამ ტაფაზე ძალიან დასცხა, უცებ ფრრუო და ფაფუ, ცაში გაუჩინარდა!

მაიორი. მართლა?

ჯერგე. მართლა!

მაიორი. ძალიან ენამოსწრებული ყმაწვილი ჩანხარ. გავიგე, აქედან „ფრრ“ და სადღაც მიფრინავ, თორემ ეგეთი ენის გამო „ფრრ“ და გალიაში ჩაგაყუდებდი!

ოქროდედა. მაგას ყურს ნუ უგდებთ, ბატონო მაიორო, მობრძანდით, დაბრძანდით, მოისვენეთ!

მაიორი. როგორა ხარ, ოქროდედ, ოქრო ქალო! ე მუტრუკი ვერ გაგიზრდია, თორემ სხვანაირად ხომ ოქრო ხარ და ხარ!

ჯერგე. გმადლობთ, მამიკო!

მაიორი. რაო?

ჯერგე. მაპატიეთ, რატომღაც წარმოვიდგინე, ვითომ თქვენი შვილი ვარ.

მაიორი. ხომ გეუბნებოდი, ჩემო ოქროდედ, არაა, ბატონო, კარგი გაზრდილი. მაგას ჰგონია, ვერ ვხვდები, რომ ვირი მიწოდა. თქვენ თვითონ ბრძანეთ, აბა, მე, მაიორი კაცი, სოფლის თვალსაჩინო პიროვნება, ყველასათვის პატივსაცემი გვამი, ვირი ვარ?

ოქროდედა. რას ბრძანებთ, ბატონო, ნამდვილად არა ხართ ვირი, ამას თუნდაც ხატზე დავიფიცებ. აქეთ დაბრძანდით, გენაცვალეთ, მოისვენეთ, ჩვენს ასაკში...

მაიორი. ჯერჯერობით ასაკს არ ვუჩივი, ახლახან შემისრულდა... მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი შემისრულდა... თქვენი მწყერივით გოგო როგორაა?

ოქროდედა. რა უშავს, შენი ჭირიმე, ერთი ცხვირმოუხოცავი გოგო დადგა და ეგაა.

მაიორი. დროზე უნდა გაათხოვო, ჩემო ოქროდედ, ხომ იცი, რა დროა, მთლად თავს გავიდნენ ახლანდელი ახალგაზრდები.

ოქროდედა. რა დროს მისი გათხოვებაა, ბატონო, ჯერ მიწას არ ასცილებია.

მაიორი. მე დამიჯერე, ჩემო ოქროდედ, არ წააგებ! მოძებნე ვინმე პატივცემული პიროვნება, სოფლის თვალი, უმჯობესია მაღალი სამხედრო წოდებისა, არც ისე ახალგაზრდა...

ჯერგე. მაგეთი თქვენს გარდა ამ სოფელში არავინაა!

მაიორი. ენა ნუ გისწრებს, ბიჭო, შენ! აქ რას უდგეხარ, აკი მიდიოდი? დაადექი გზას, სანამ ჩაგაყუდებდე!

ოქროდედა. მოიცათ, ბატონო, მეზობლები მოვლენ, გზას დაულოცავენ!

მეზღაპრე. გახარებული შემობრუნდა ბუთხუზა-ბიჭი, ხანტუს დაეძებს, ალბათ თავის მოწონება სურს...

ბუთხუზა. მამზელ ხანტუ, შევიჭერი!

ხანტუ. რა შეიჭერი?

ბუთხუზა. ულვაშები!

ხანტუ. წინათ უფრო გიხდებოდა!

ბუთხუზა. აკი ასე უნდოდაო?

ჯერგე. კაი ახლა, ნუღა ამატირე!

მაიორი. ყმაწვილო, ერთი აქეთ მომიახლოვდი!

ბუთხუზა. მე მეძახით, ბატონო?

მაიორი. დიახ, შენ! რატომ არა ხარ კანტორაში?

ბუთხუზა. დღეს კვირაა, ბატონო!

მაიორი. მაშინ ეკლესიაში რატომ არა ხარ?

ბუთხუზა. ჯერ ადრეა, პატივცემულო, ახლახან გათენდა და ღრმადპატივცემული ჯერგეს გასაცილებლად მოვედი.

მაიორი. მერედა, რას ეკურკურებოდი მაგ გოგოს?

ბუთხუზა. არ ვეკურკურებოდი, პატივცემულო!

მაიორი. ყურებს დაგაგლეჯ, შე ყურუმსაღო!

ჯერგე. ამ ამბავს როგორმე მე მოვუვლი, ბატონო მაიორო!

მაიორი. რისი მომვლელი ხარ, ბიჭო, შენ? გადასაკარგავში რომ მიდიხარ, ესაა მოვლა? რას იპოვი, თუ იცი, იქ?

ჯერგე. უკვდავებას, სახელს, ქონებას...

მაიორი. ჰი-ჰი-ჰი... უკვდავებას? მერედა სამხედრო სამსახური გაიარე? გენერლობას მიაღწიე? რომელი მტერი დაამარცხე?.. ჰაიტ, შე ლაწირაკო, თოფი საიდან ისვრის, ის არ იცი და უკვდავებას ეძებ?

ჯერგე. თოფი რად მინდა, არავის მოკვლას მე არ ვაპირებ!

მეზღაპრე. ნუღარ კინკლაობთ, მოიხედეთ! ერთი მზის სხივიც მოემატა ჩვენს საკრებულოს...

ოქროდედა. უი, მოხვედი, თვალისჩინო?

მზეონა. გამოვიპარე. ჩვენები ჯერაც არ ამდგარან. დედას ჰგონია, წყაროზე ჩავედი.

ოქროდედა. მოდი, ჩემო სინათლევ, ალბათ გაიგებდი, ჩვენი ჯერგე გვტოვებს.

მზეონა. ვიცი.

ოქროდედა. რა ვქნა, შემოგევლე, ვერაფრით გავაჩერე. აიჩემა და აიჩემა, იქნებ შენ მაინც დაგიჯეროს.

მზეონა. მე რას დამიჯერებს.

ოქროდედა. შენისთანა გოგო ციდან ვარსკვლავს ჩამოიყვანს. ხანტუ, მიხედე სტუმარს!

ხანტუ. რა გვეშველება, ჩემი ძმა გვტოვებს!

მზეონა. ალბათ აღარ ვუყვარვართ.

ჯერგე. რას ჟღურტულებთ, გოგოებო? გამარჯობა, მზეონა!

მზეონა. გამარჯობა, ჯერგე!

ჯერგე. შენზე ჭორი დადის, ჯერგე-ბიჭი შეჰყვარებიაო! მართლა? გოგოების სიყვარული ერთი დღისაა. მერე ჭმუნვა გადაგივლით და ორღობეში კოხტა ჯარისკაცი რომ ჩამოივლის, თვალები გადმოგცვივდებათ.

მზეონა. ასე ნუ მეხუმრები.

ჯერგე. სულაც არ ვხუმრობ!

მზეონა. გამომშვიდობებაც რომ ვერ მომესწრო...

ჯერგე. რას იზამდი?

მზეონა. არ ვიცი.

ჯერგე. მე კი ვიცი!

მზეონა. მალე დაბრუნდი, ჯერგე!

ჯერგე. რისთვის?

მზეონა. დაგელოდები.

ჯერგე. იქნებ ათი წელი, იქნებ მთლად სიბერემდე ვერ დავბრუნდე!

მზეონა. დაგელოდები.

ჯერგე. მელოდე, მელოდე!

მეზღაპრე. სანამ ესენი აქ ერთმანეთს გულებს უკლავენ, სოფლის ბიჭები, მეზობლები სტუმრად მოვიდნენ... სახელდახელო პურმარილი, ხელადით ღვინო, ორიოდ სიტყვა, სადღეგრ-

ძელო, გზის დასალოცად...

ოქროდედა. მობრძანდით, მეზობლებო! ბოდიშს გიხდით, დილაუთენია გაგსარჯეთ, მაგრამ ჩემი შვილი შორ გზას ადგას და მინდა გზა დაულოცოთ!

ახალგაზრდა მეზობელი. კეთილი იყოს შენი გზა, ჯერგე! შენსავით მაღლა ფრენა ყველას არ შეგვიძლია. რა ვუყოთ მერე? ხემ ფოთოლი თუ არ მოისხა, ისე მშვენიერი ვერ იქნება. ჩვენისთანა უბრალო და მშრომელი ხალხი თუ არ აავსებს დუნიას, შენისთანა გმირების ასპარეზი სადღა იქნება?.. თუ სადმე ნახო უკვდავების წყარო, ჩვენც ჩამოგვიტანე ცოტა...

მოხუცი მეზობელი. ფრთხილად იყავი, შვილო, მაგ გზაზე წასული ბევრი გვინახავს, მობრუნებული — არავინ!

მაიორი. წადი, ბიძია, წადი, მაგრამ ჩემიც დაიმახსოვრე. ამ საქმიდან შენ თუ რამე ხეირი ნახე, აი, ეგ ულვაშები მომპარსეთ. თანასოფლელნო, აქ მე ჩვენს აბუჩად აგდებას ვხედავ. ეს ყმაწვილი ცდილობს თავი მამაზეციერს გაუტოლოს, რადგან უკვდავი მხოლოდ ისაა! თუ გვამასხარავებს, მისთვის ასი როზგიც არ კმარა, თუ მართლა ასე ფიქრობს, მაშინ საგიჟეთშია მისი ადგილი!

ოქროდედა. ვაიმე, შვილო!

ჯერგე. შენთვის არა დამიშავებია რა, ბიძაკაცო! შენ შენთვის, მე კი ჩემთვის! განა მთელი სოფელი მიმყავს სადმე? ჩემი თავი მე მეკუთვნის, საითაც მინდა, იქითკენ წავალ!

მაიორი. რომ არ მეზარებოდეს, მაგ სისულელეს სულ ჯოხით გამოგიბერტყავდი თავიდან. შენი ბედი, მაინც უნდა გადაიკარგო და ამ სოფელს შორდები!

ჯერგე. ყვავის ჩხავილი არ მინდა მე. თუ გასაცილებლად მოხვედით, სიმღერითა და ტაშ-ფანდურით გამაცილეთ!.. აბა, მზეონა, ჩამოვუაროთ!

მაიორი. მე თუ ყვავი ვარ, ამასაც გაგაგებინებ!

მეზღაპრე. გაჯავრებული მაიორი ხალხს ჩამოშორდა, არავის ახსოვს. ტაშ-ფანდური, ცეკვა გაჩაღდა! ეს ხომ ჯერგეა, მკლავებს რომ შლის, ცერზე შემდგარა, მორცხვად თავდახრილ მზეონას წინ ის თავს იწონებს...

ჯერგე. გოგო, მზეონა, დღის სავალს დავიმოკლებ, ბანაკს სოფლის განაპირას დავცემ. თუ გულის სწორად ამირჩიე, იქ მობრძანდი!

მზეონა. ჩემი დაღუპვა გადაგიწყვეტია!

ჯერგე. ამდენ მოყურადეში როგორ გამოგემშვიდობო, ერთი კოცნის ღირსიც არა ვარ?

მეზღაპრე. ვინმე საბრალო ჭაღაროსანი ღობეს მოადგა, კაცს ქალამნები დასცვეთია შორეულ გზებზე...

ბერიკაცი. ამ ბედნიერ ხალხს დამიხედეთ! მამალმა ახლახან გათენებისა იყივლა, ამათ კი რა ზეიმი გაუმართავთ... აქა მშვიდობა! ხალხო, ვერ მეტყვით, რა ქვეყანაა, ღვთით დალოცვილი ეს მხარე?

ჯერგე. ჭყონიში ჰქვია ამ სოფელს!

ბერიკაცი. მადლი უფალს, სული მოვიტანე ჩემს მიწამდე!

ოქროდედა. შორი გზით მოსული ჩანხარ, სტუმარო, კეთილი იყოს შენი მობრძანება. ხანტუ, გოგო, სკამი მოართვი!

ჯერგე. დაგვლოცე, მოხუცო!

ბერიკაცი. დამილოცნიხართ, შვილებო, მაგრამ იქნებ უფლებაც არა მაქვს ამ სასმისს პირი დავაკარო, თქვენი მორთმეული ლუკმა გავტეხო, რამეთუ დავივიწყე ჩემი სამშობლო და სამშობლომაც დამივიწყა...

ოქროდედა. სტუმარი ღვთისაა, ბატონო, გეტყობა ბევრი გადაგხდენია!

ბერიკაცი. კეთილო მასპინძელო, აი, ამ ადგილას კირქვით ნაშენი სასახლე იდგა...

ოქროდედა. აქ არავის ახსოვს მისი კვალი!

ბერიკაცი. აი, იქ ანკარა წყარო მოჩუხჩუხებდა...

ოქროდედა. უწყლობა გვაწუხებდა და პაპაჩემმა ზემო სოფლიდან რუ გამოიყვანა!

ბერიკაცი. აი, იქ კი ასწლოვანი კაკლები იდგა, თითო ტოტიდან თითო ურემი კაკალი იბერტყებოდა...

ოქროდედა. მესამე თაობის პაპამ მიწიდან კაცის სიმსხო გამხმარი ფესვი ამოთხარა!

ბერიკაცი. სულკალმახის ძენი თუ გსმენიათ?

ოქროდედა. მხოლოდ ზღაპრებში!

ბერიკაცი. აჰავაი, საწუთრო როგორ დატრიალებულა!

ჯერგე. ბაბუ, მოთმინება დაგველია, ცნობისმოყვარეობა გვწვავს...

ბერიკაცი. არც სიცოცხლის წუთები დამრჩენია, შვილო, ბევრი. ამ მხარის უღირსი შვილი ვარ, აქ დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ თვით ბედისწერას შევეჭიდე. არ ვიკმარე ადამიანის ბედი, ღმერთებს მარადისობაში შევეცილე. სიყმაწვილე სიკვდილის შიშმა მომიშხამა, სიცოცხლე უკვდავების ძიებამ... ყოველივე ამაოა, შვილო! ჭეშმარიტებას ვეზიარე, მაგრამ მძიმეა იგი და ველარ ვზიდე. გადავწყვიტე შინ დაბრუნება. იქნებ, სადაც წინაპართა ძვლებია, ერთი მტკაველი მიწა მეც მომიზომონ-მეთქი.

ჯერგე. სიკვდილი მე არ მაინტერესებს, შენ ეს მითხარი, გზაში რა ნახე?

ბერიკაცი. ბევრი რამ, შვილო, ბევრი რამ! ტანჯვით ნახევარი გზა გავლიე და ერთ ბეღურას გადავაწყდი. უძირო უფსკრულის პირას იჯდა. მკითხა, საით მიდიხარო. უკვდავებას ვეძებ-მეთქი. ჩემთან დარჩი, სანამ ამ უფსკრულს სკინტლით ამოვავსებ, მანამდე ორივე ვიცოცხლებთო...

ხალხი. რა ბედნიერებაა!

ჯერგე. ეს რას გეყოფოდა!

ბერიკაცი. მეც სიხარბემ მძლია და უარი ვთქვი. ერთგან ირემი შემხვდა, მუხლებამდე ბალახში იდგა. მკითხა, რას დაეძებო. უკვდავებას-მეთქი. ჩემთან დარჩი, სანამ ჩემი რქები ცამდე აიზრდებოდეს, ორივე ვიცოცხლებთო...

ხალხი. რა ბედნიერებაა!

ჯერგე. არც მას დასთანხმდებოდი!

ბერიკაცი. კვლავ გზას დავადექი!.. ვხედავ, ზღვის პირას რაღაც ანათებს. მივუახლოვდი. ბროლის კოშკიდან მზეთუნახავი იყურებოდა. მასზე უმშვენიერესს დედამიწის ზურგი არ დაატარებს. გზა საით გაქვსო, შემეკითხა. უკვდავებას ვეძებ-მეთქი. ჩემთან დარჩი, სანამ ერთად ვიქნებით, არ მოკვდებიო...

ჯერგე. მერე და რა ჯობდა...

ბერიკაცი. მარტო ჩემთვის ვცოცხლობდი. არც დედა მახსოვდა, არც ცოლ-შვილი და ნათესავ-მეგობრები. დღესა და ღამეს ალერსსა და გართობაში ვატარებდი. დრო ისე მიდიოდა, მეგონა, კვირა არ გასულა-მეთქი... მოვიწყინე, გულმა შინისაკენ გამომიწია. ბარე არ მიშვებდა ჩემი სატრფო, მაგრამ ავიჩემე...

ჯერგე. ეჰ, მე რომ ვყოფილიყავი...

ბერიკაცი. უკანა გზაზე ის ირემი მკვდარი დამხვდა!

ხალხი. აუჰ!

ბერიკაცი. ის უფსკრულიც სკინტლით ამოვსებულიყო!

ხალხი. აუჰ!

ბერიკაცი. იქიდან უწვერული ახალგაზრდა გამოვედი, თქვენთან ბერიკაცმა ძლივს მოვაღწიე...

ხანტუ. ვაიმე, უფრო ბერდება!

მზეონა. კვდება!

ოქროდედა. ხალხო, უშველეთ, სული ხდება!

ხალხი. უყურეთ, კვდება!

ჯერგე. ბაბუ, გზა მიმასწავლე, შენი ჭირიმე, ცოტა მოიცადე, ნუ კვდები!

ბერიკაცი. იქითკე ორი გზაა, გზა სიკეთისა ზეცაზე გადის, ბოროტისა — ქვესკნელში... ორივე ძვირი დაგიჯდება...

მეზღაპრე. შორით წასულმა თავის მიწას მან მოაღწია, ეს უცხო ხალხი მშობლიური გაუხდა უცებ, სული დალია ბედნიერმა...

ჯერგე. გათავდა! აფსუს, რა ბედი გაუშვა ხელიდან!

ოქროდედა. ხომ ხედავ, შვილო?

ჯერგე. ვხედავ, დედიკო, მაგრამ მე ეგეთი უჭკუო არა ვარ. თუ საწუთროს გავხედნი, აღვირს ხელიდან ვერ გამაგდებინებ!

ოქროდედა. კაცისათვის უფალს ერთი მტკაველი მიწა გაუმწესებია.

ჯერგე. საფლავი რა ბედენაა. ჭია აქ შემჭამს თუ საფლავში, სულ ერთია. მეზობლებო, გააპატიოსნეთ ეს კეთილი ბერიკაცი და მიწას მიაბარეთ! სასაფლაოზე ადგილი თუ არ გეყოთ, ჩემი წილი მიუზომეთ, მაინც არ ვაპირებ იმ სამარეში ჩასვლას. წავედი!

2

მეზღაპრე. მრავლიდან ერთი გზა ირჩია ყმაწვილმა ჯერგემ, ისევე როგორც ყველა რიგიან ზღაპარში ხდება. ორიოდე საათი იარა და სამშობლო მხარის ზღვარს მიადგა. იქ კი ჯიხურთან დარაჯი ხვრინავს. სასაზღვრო ბოძზე აწერია: „შეჩერდიმეთქი, ნუ მიდიხარ!“ აქ ღამის კაცი გარიჟრაჟზე მსხვერპლს უდარაჯებს. დილის ბიჭუნა, მოციმციმე, მის ხრიკებს ჩაშლის...

ღამის კაცი. უკვე თენდება. გზის გასაყართან შევყოვნდი, ფიქრში გავერთე. არავინ იცის რომელი გზა ვის სად წაიყვანს. არ აწერია, ბედნიერებისაკენ წაგიყოლებს თუ უბედურებას შეგყრის, სიკეთეს გაზიერებს თუ ბოროტებას. არჩევანის ამ იდუმალებაშია სრული სიკეთე... გადადგამ ნაბიჯს და უკვე ვერაფერს შეცვლი... ჩუმად, დარაჯს სძინავს! უკვე გათენდა, დარაჯს კი ვალი დავიწყებია და ტკბილ ძილს მისცემია. იძინე, ბებერო, იძინე! მგზავრი დაადგა არჩეულ გზას. თუ გამოიჭერ, ბედის სასწორი ერთ მხარეს გადაიხრება, და თუ დაგისხლტა, მაშინ სხვა მხარეს...

დილის ბიჭუნა. სალამი თქვენდა!.. დილის ნიავმა ჩამომიყვანა! სინათლე მომაქვს! იმხიარულეთ, დღე მოვიდა ათასფერება!.. იმხიარულეთ, განიდევნა ბნელი, განათდა ქვეყანა!.. ჰეი, დარაჯო, რა დროს ძილია, სიბნელეს თავი დააღწიე, სინათლეზე გამოდი! ჰეი, სიბნელევ, შენ ვინა ხარ?

ღამის კაცი. მე შენ არ მიცნობ, რადგან ღამესთან ერთად მივდივარ!

დილის ბიჭუნა. ღამის ნაფლეთი! მე არასოდეს მინახავს ღამე. მოიხსენ ნიღაბი, მინდა შეგხედო!

ღამის კაცი. მაგას ნუ მთხოვ! სჯობს გაგეცალო, ჩემს ბატონ ღამეს უნდა მივსდიო!

დილის ბიჭუნა. წამით მეჩვენე და მერე გაქრი! ო, რა საშინელი ურჩხულია! ძრწოლა მომგვარა ბნელმა სიღრმემ, მის ფსკერს მზერა ვერ მივაწვდინე. უნდა წავიდე, თუმც კი შიში მე თან მიმყვება!

მეზღაპრე. ეგ ყოველივე მე მესიზმრა, მაგრამ გათენდა. ვინც საჭიროა, გზაბოძალი მათ ერთად შეყრის... ჰეი, დარაჯო!

მაიორი. როგორ ხვრინავს ეს უბედური! ახლა ამან უნდა დაიცვას სახელმწიფოს ინტერესები? ერთი გზა ჩააბარეს და იმისათვის ვერ მოუვლია! ამას ვინ შეეკითხება ავლა-ჩავლას!

ზემდეგი. გაიღვიძე, ვირო, ბატონი მაიორი მობრძანდა!

მაიორი. არ ესმის! მაიორი უხსენეს და მაინც არ ესმის! სად არის ახლა ჩვენი სოფლის ბუჩქნარებში მოჭრილი მაღალხარისხოვანი როზგები?

ზემდეგი. გავროზგოთ?

მაიორი. ბრიყვო, მერე შენ უდარაჯებ ამ გზას?

ზემდეგი. მე თუ მკითხავთ, ბატონო მაიორო, ამ გზაზე ათი წელი მაინცაა, არავის ჩაუვლია. დარაჯის შენახვა კი ძვირი ჯდება!

მაიორი. ხმა ჩაიწყვიტე! შენ არავინ გკითხავს მაგას! აბა, რა გესმის მაღალი პოლიტიკისა. დარაჯის შენახვა პრესტიჟის საქმეა, სხვა სოფლების თვალში ხომ არ დავმცირდებით? უმჯობესია, საქმეს მიხედო, მაგის ხვრინვას ხომ არ ვუსმინო მთელი დღე!

ზემდეგი. არ ესმის და...

მაიორი. წიხლი ჩასცხე, წიხლისა ყველას ერთნაირად ესმის!

მეზღაპრე. წიხლისა მართლაც ყველას ესმის!

დარაჯი. ჰაიტ, სად წამიხვალ, სად?!

ზემდეგი. მე არა, მე არა, მიბრძანეს და აღვასრულე!

მაიორი. მე სად წაგიხვალ კი არა, შენ სად წამიხვალ, შე ბრიყვო, შენა! ამისათვის გაძლევთ ჯამაგირს?

დარაჯი. დამნაშავე ვარ, უფროსო! იმედია, ჩემი ძილის დროს არაფერი მოუპარავთ!

მაიორი. რა უნდა მოეპარათ ამ ტრიალ მინდორზე?

დარაჯი. მე გზას ვდარაჯობ! არავინ მოიპაროს-მეთქი და გზის კუდი ფეხზე მივიბი!

მაიორი. კაი დარეხვილი შენ ყოფილხარ, აი! შე ბრიყვო, შენა, ხომ იცი ვინა ვარ?

დარაჯი. უფროსი ხარ, შენი ჭირიმე!

მაიორი. ესე იგი ჩემი სიტყვა კანონია. ძილი არ გამაგონო, იცოდე! აიღე კომბალი და იარე აქეთ-იქით! ამვლელი დაიჭირე,

ჩამომვლელს ხელს ნუ ახლებ! გაიგე?

დარაჯი. დღესავით ნათელია, უფროსო!

მაიორი. დღე და ღამე არ ვიცი მე! არც დღე იძინო, არც ღამე, დანარჩენ დროს რაც გინდა, ის აკეთე!

დარაჯი. მესმის, შენი ჭირიმე! ესეც დავიჭირო?

ზემდეგი. მე არა, მე არა!

მაიორი. ისე კი ხარ დასაჭერი და გასაროზგი, მაგრამ... ეს არა, ეს მე თვითონ მყავს გამოჭერილი! აბა, ჩვენ წავედით!

დარაჯი. ერთი-ორი, ერთი-ორი!.. სულ ასე უნდა ვიარო? არც დღე ვიძინო და არც ღამე? მაშ, არ დამიძინია და ეგ არი!.. სხვა დროს, რაც გინდა, ის ქენიო... ეგ რანაირად? ჰე, ძლივს არ მივხვდი! სანამ დღეა, ღამის წილს გამოვიძინებ, სანამ ღამეა — დღის წილს...

მეზღაპრე. დარაჯის ხვრინვას აწი ვერ ვუსმენ, მე სხვა გმირები შემყვარებია...

დილის ბიჭუნა. ისევ აქ მოველ!.. ახლა აქედან შორს უნდა ვიყო, მე კი აქეთკენ შემოვბრუნდი. იმ შემზარავმა მოჩვენებამ, ღამის ნაფლეთმა, ამაფორიაქა და შემაძრწუნა... შორს ჩემგან!.. აანთეთ მზეები!.. მამა მზეს სხივი მოემატა? ან იქნებ აქ ბრწყინავს რამე?.. ვიღაცა მოდის... აჰა, სინათლე...

მზეონა. აქ უნდა იყოს! როგორ მოვრბოდი! მიწისთვის ფეხი არ დამიკარებია! ღმერთო, როგორ მიცემს გული, როგორ მეშინია! დედამ დამიჩოქა, ნუ შემარცხვენო, მამამ რომ გაიგოს, შენც მოგკლავს და მეცო... საბრალო დედა, მისი ერთი ცრემლის ღირსიც არა ვარ... რა ვქნა, თავზევით ძალა არაა, თითქოს ვიღაცა უხილავმა ბადეში გამხვია და არ მიშვებს... ვაი!

დილის ბიჭუნა. ნურაფერს უფრთხი, მზის სინათლევ!

მზეონა. პატარა ბიჭი ყოფილა. ვინ გითხრა ჩემი სახელი?

დილის ბიჭუნა. შენ თვითონ! მოხვედი და თითქოს ირგვლივ უფრო განათდა. მაშინვე მივხვდი, რომ მზის სხივებს თან დაატარებ!

მზეონა. რა კარგად ლაპარაკობ! ნეტავი ჯერგემაც შენი თვალებით შემომხედოს!

დილის ბიჭუნა. თუ ვერა გხედავს, ბრმა ყოფილა... ჰეი,

წავედი!

მზეონა. ვაი, სად გაქრა! ალბათ მომეჩვენა! ღმერთო ჩემო, თავგზა ამებნა, თვითონაც არ მესმის, რას ვაკეთებ... ჩუ, აქეთ მოდის, ბუჩქს ამოვეფარები. ვაიმე, რარიგ მაკანკალებს!

მეზღაპრე. ეს ჩვენი ჯერგე ლაღად მოდის და მოიმღერის, ბიჭი-ბუთხუზა ხურჯინს ხვნეშით მოუთრევს...

ბუთხუზა. ღრმადპატივცემულო მეზობელო, თქვენი ხურჯინი მძიმეა.

ჯერგე. აქ დადე და შევამსუბუქოთ, მომშივდა კიდეც.

ბუთხუზა. მაპატიეთ, მაგრამ უნდა გავბრუნდე, დედიკო გამიჯავრდება.

ჯერგე. დედიკო გამიჯავრდება, აღუ, თითი არ მომკვნიტო... რაღა დროს შენი დედიკოა, ერთი საჟენი გამხდარხარ! ისე, მადლობელი ვარ, აქამდე რომ მომაცილე. აწი გზას მარტო უნდა გავუდგე. უკვდავებას ყველა მარტოდმარტო ეძებს, ბრიგადულად აქ ვერ გააღწევ... ნუ მეხვეწები, მანც ვერ გაგიყოლებ!

ბუთხუზა. მე დედიკო არ გამიშვებს, ყაჩაღებისა ეშინია.

ჯერგე. შენ არ გეშინია?

ბუთხუზა. მე ბატონი მაიორისა მეშინია, თვალებს ისე მიბრიალებს.

ჯერგე. აბა, რითი გინდა ჩემი და ხელიდან გამოსტაცო? შენს ადგილას, ავიღებდი და მაგ მაიორს თავს გავუჩეჩქვავდი.

ბუთხუზა. მამზელ ხანტუ გამიჯავრდება!

ჯერგე. ეჰ, შე მართლა ბოთე! კაი, კაი, მეტს არაფერს გეტყვი!

ბუთხუზა. მამზელ მზეონა!

ჯერგე. აბა, სად ხედავ?

მზეონა. რას დავემალო, საკუთარ ხვედრს სად გავექცევი?

ჯერგე. მზეონა! ჩემს თავს ვფიცავარ, აღარ გელოდი!

მზეონა. შენ ხომ მომიხმე?

ჯერგე. ვისღა ახსოვს ცეკვით გახურებული ჯეელი რას წამოროშავს? ბუთხუზ-ჩემო, ცოტა იქით მიდექ! ეგერ დარაჯი წამოწოლილა, მიუჯექ გვერდით, მისი ბნელი სიზმარი გამოიცანი!.. მზეონა, დილაუთენია, ღვინითა და ცეკვით გახურე-

ბულს შენი სხეული მომწყურდა, იმიტომ გიხმე. შენი კაბის გამჭვირვალებაში იმდენი რამე ამოვიკითხე...

მზეონა. ამის მოსმენა არ შემიძლია, ნათელი სულის მოწოდებას ტლანქი სიტყვები კლავენ!

ჯერგე. ნუ მიწყენ! ზოგჯერ გული და ენა თანხმობაში როდი არიან. ენა რასაც როშავს, იმას გული ხშირად უარყოფს.

მზეონა. ახლა სულ სხვა ხარ, ამ სიტყვებით მე დამიბრუნდი. შენი მკაცრი ქირდვა, დაცინვა მე მაშინებენ. ასე მგონია, კაცნი შესძულებიაო...

ჯერგე. დიახაც, აბა რა არის ბრბო მოკვდავთა, თუ არა ამაზრზენ სხეულთა გროვა. ყოველ ცოცხალ არსებას იმთავითვე სიკვდილის დაღი აზის. აგერ ბუთხუზას შეხედე, როგორი ღაჟღაჟა, ჯანსაღი ყმაწვილია, მე კი მის სახეზე ყოვლისშემმუსვრელ საფლავის ჭიას ვხედავ და სული ზიზღით მევსება...

მზეონა. რა ბოროტი ხარ? მეც შემომხედე, იქნებ ჩემს სახეზეც შეამჩნიო ამაზრზენი კვალი.

ჯერგე. შენ? არა, შენში თითქოს სინათლეა...

მზეონა. სადღა გაურბი მერე ამ ნათელს? გამიგონია, უკვდავება სიყვარულშიაო...

ჯერგე. ჩემთვის რაა სიყვარული? მხოლოდ ნათელი წუთი! მადლობელი ვარ ამ წუთისთვის, მაგრამ არ კმარა! მერე ხომ მოვა კვლავ წყვდიადი!.. არა, მე წავალ!

მზეონა. თან წამიყვანე, გაგიადვილებ მძიმე გზას!

ჯერგე. იმ ბეწვის ხიდზე ორნი ერთად ველარ გადავალთ, ამიტომაც ვთმობ შენს სიყვარულს... დარჩი და ნუღარ დამელოდები!

ბუთხუზა. ღრმადპატივცემულო დარაჯო! მზემ მაღლა აიწია, თქვენ კი ისევ ხვრინავთ. უკაცრავად ვარ, მაგრამ რამდენი ხანია ძილის მუსიკას ვუსმენ და ვერაფერი ჰარმონია ვერ აღმოვაჩინე. იქნებ ინებოთ და გაახილოთ ეგ თვალები!

დარაჯი. ფუი ეშმაკს, ეს ვინ ოხერი ქადაგებს ჩემს თავზე?

ბუთხუზა. ბოდიში, ბატონო, ძილი დაგიფრთხეთ!

დარაჯი. შენი ბოდიში შენ გქონდეს, მუდრეგო! არ იცი დარაჯის მნიშვნელობა ჩვენს საზოგადოებაში?

ბუთხუზა. არაფერი მსმენია ამაზე.

დარაჯი. ჯერ ერთი, დარაჯთან ლაპარაკი აკრძალულია, მეორეც, მას ხელი არ უნდა შეუშალო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს!

ბუთხუზა. თქვენ ხომ გეძინათ?

დარაჯი. მე ბატონი მაიორის ბრძანებას ვასრულებ! იმან მიბრძანა, დღისით და ღამით იძინეო, თან თუ ვინმე ვიგინდარა ჩამოივლის, ხელი სტაცეო!

ბუთხუზა. მე ვიგინდარა არა ვარ!

დარაჯი. შენ ეს მითხარი, ამვლელი ხარ თუ ჩამომვლელი?

ბუთხუზა. სოფელში ვბრუნდები.

დარაჯი. მაშასადამე, შენი დაჭერა არ უბრძანებია. ესენი ვინ არიან?

ბუთხუზა. პატივცემული ჯერგე და მამზელ მზეონა.

დარაჯი. შენ, ჰეი, ყმაწვილო, ვიგინდარა ხომ არა ხარ?

ჯერგე. როგორ გეკადრებათ, ბატონო!

დარაჯი. საითკენ მიდიხარ?

ჯერგე. აი, იქით უნდა წავიდე!

დარაჯი. არ შეიძლება!

ჯერგე. რა არ შეიძლება?

დარაჯი. წასვლა არ შეიძლება! ჩემი ნებართვის გარეშე იქით ჩიტიც ვერ გაფრინდება!

ჯერგე. კაცს თუ წასასვლელი აქვს?

დარაჯი. არ შეიძლება და ისაა!

ჯერგე. გამიშვი რა, ბიძია, შორი გზა მაქვს!

დარაჯი. არ შეიძლება-მეთქი!

ჯერგე. თუ არ დაგიჯერე, რას იზამ?

დარაჯი. არ შეიძლებაო, გეტყვი.

ჯერგე. მაშ, მე წავედი!

მზეონა. მშვიდობით, ჯერგე!

ჯერგე. მშვიდობით, მზეონა, ბედს ეწიე!

ბუთხუზა. მშვიდობით ღრმადპატივცემულო ჯერგე! დარდი ნუ გაქვთ, ოქროდედას და ხანტუს არავის დავაჩაგვრინებ!

დარაჯი. არ შეიძლება-მეთქი და...

მეზღაპრე. ერთი ნაბიჯიც და ჯერგე ცხრა მთას გადაივ-

ლის, მაგრამ ვინ გიშვებს?..

მაიორი. შეჩერდი, ვერსად წაგვიხვალ!

ზემდეგი. დიახაც, ვერ წაგვიხვალ!

ჯერგე. რა უფლებით?

მზეონა. თქვენ ვინ გეკითხებათ?

ჯერგე. საითაც მინდა, იქით წავალ, ვინ უნდა დამიშალოს?

მაიორი. ამისი უფლება მხოლოდ ჭკუათმყოფელ ადამიანსა აქვს, შენი ადგილი კი საგიჟეთშია!

ზემდეგი. გიჟები საგიჟეთში უნდა გამოვამწყვდიოთ!

ჯერგე. იქ მე არაფერი მესაქმება!

მაიორი. გესაქმება, ლაწირაკო, მაშ!.. უყურეთ ამ ყურუმსაღს, ერთი თოფიც არ გაუსვრია, უკვდავება კი მომინდომა!

I სანიტარი. ნუ გეშინია, პაციენტო, დამშვიდდი, დამშვიდდი!

II სანიტარი. ამუნია ალ გიკბენს, ამუნია ალ გატკენს!..

ჯერგე. თავი დამანებეთ, მე თქვენ გიჩივლებთ!

მეზღაპრე. მაგრამ ვინ გისმენს...

ბუთხუზა. პატივცემულო ძმაო ჯერგე! ბატონი მაიორი უნდა დავჩეჩქვო და რას იტყვით?

ჯერგე. მიადე ერთი მაგ ხისტვინას!

მაიორი. ესეც დარეხვილია!

ბუთხუზა. ბატონო მაიორო, ნება მომეცით, დაგჩეჩქვოთ!

მაიორი. ვაიმე მჩეჩქვა, სისხლი მადინა! როგორ გამიბედა? ესეც გაქაჩეთ!

ჯერგე. ამას არ შეგარჩენ, ბებერო ძაღლო!

ბუთხუზა. მსუბუქად დავჩეჩქვე!

მზეონა. ზემდეგო, ამ კახპას შენ გაბარებ!

ზემდეგი. მესმის, ბატონო მაიორო!

მზეონა. როგორ მიბედავ, გზა მომეცი!

ზემდეგი. გზას მოგცემ, მაგრამ ლანდად აგედევნები!

დარაჯი. ეჰეჰე, ძალიან კი გამიგრძელდა ეს სიზმარი!

მეზღაპრე. ყველას თავისი წილი ერგო, დარაჯი ხვრინავს...

3

მეზღაპრე. აქ მე ახალი გმირებით და ვიღაც ტიპებით ჩემი ზღაპარი დავასახლე. ამ ვითომცდა საგიჟეთში ვითომც გიჟები სხედან და დროის მდინარებას ყურს მიუგდებენ. ყველა თავისთვის თამაშობს იმ როლს, რაც ბედისწერას უბოძებია. „ნაბუქოდონოსორი“ ძველებურ სავარძელში მეფურად ზის და ხანდახან კამათელს აგორებს. „ქანდაკება“ ყინჩად დგას. „ახალგაზრდა მესიას“ კალთებჩამოფხრეწილი კაბა აცვია, ცრემლიანი თვალები მუდამ ზეცისკენ აღუპყრია. „ჩრდილი“ მოქუფრულია, ფრთხილობს, ფეხი არავინ დამადგასო. „ფერფლს“ ნიავისაც კი ეშინია. „გილიოტინა“ იმუქრება. „არარა“ ყველას ფეხქვეშ ეგება. დონ კალისტრატე „ახალგაზრდა მესიას“ მიჰკედლებია, მისი დიდების ანარეკლი იქნებ მეც დამეფინოსო...

ნაბუქოდონოსორი. მონავ, ერთი წეკო მომაწევინე!

ქანდაკება. დიდო ხელმწიფევ, უარის თქმას როგორ გაგიბედავ, მაგრამ სარდლის ქანდაკება ვარ, ხმალი მიპყრია და ხელს ჯიბისკენ ვეღარ წავიღებ!

ნაბუქოდონოსორი. ჭაობის მატლო, ჯიბეში ხელი მოუფათურე ამ უტვინო რკინას, წეკო ამოაცალე და მომართვი!

არარა. ოღონდ მიბრძანე, ხელმწიფეო!

ქანდაკება. ე, ნელა, კაცო, მეღიტინება!

გილიოტინა. აკი ბრინჯაოსი ვარო? რატომ გეღიტინება? შეთქმულებას ხომ არ აწყობ?.. თორემ წკაპ-წკაპ და თავი არ არის!

ქანდაკება. რას გადამეკიდეთ? აგერ მესიას სთხოვეთ, „პრიმა“ მაინც ექნება!

ნაბუქოდონოსორი. „პრიმა“ არა, ფლავი, მესია არ ეწევა!

გილიოტინა. რატომ არ ეწევა? მე ეს მაეჭვებს! ნუ მაეჭვებთ, თორემ წკაპ-წკაპ და თავი არ არის!

ფერფლი. ფრთხილად, გეთაყვა, ნუ დარბიხარ, ბუქი ნუ დააყენე! ასე ხომ დავიფანტები!

ჩრდილი. მეშინია, ამ უღმერთომ არ დამაბიჯოს!

გილიოტინა. თუ გეშინიათ, ფეხებში ნუ მებლანდებით, თორემ წკაპ-წკაპ და თავი არ არის!

ახალგაზრდა მესია. ძმებო, მე მოველ თქვენდა, რათა ჭეშმარიტებას გაზიაროთ!

დონ კალისტრატე. უფალო, მე მიქადაგე! ამ ბრიყვებმა რა იციან ჭეშმარიტების ფასი!

ნაბუქოდონოსორი. ჭეშმარიტება მე ვარ! ჩემს ნებას ემორჩილება ყოველი! არ გამაბრაზოთ, თორემ ძირიანად მოვთხრი იერუსალიმის კედლებს და მონებად დაგყიდით!

ქანდაკება. ჭეშმარიტება მე ვარ! ქვა და რკინა ერთადერთია, რაც დრო-ჟამს უძლებს, ყოველივე დანარჩენი ფერფლია მხოლოდ!

ფერფლი. სწორედ მე ვარ ჭეშმარიტი! ყველაფერი იღუპება, რჩება საყოველთაო ფერფლი!

ჩრდილი. ჭეშმარიტი მხოლოდ ჩრდილ-სინათლის ბრძოლაა. სამყარო ბნელი ორმოა, სადაც აქა-იქ ციმციმებენ ციცინათელები!

გილიოტინა. ერთადერთი ჭეშმარიტება სიკვდილია, წკაპ-წკაპ და თავი არ არის!

ახალგაზრდა მესია. ძმებო, მოვედ თქვენდა, რათა სიყვარულის გზით საუკუნო ბედნიერება ვიქადაგო!

ნაბუქოდონოსორი. მორჩი რა, ლათაიებს!

გილიოტინა. ეგ მთავარი ფსიქიატრის აგენტია!

ქანდაკება. კი ჰგავს მაგას!

დონ კალისტრატე. ხომ გეუბნებოდით, უფალო, მაგ პროვოკატორებს თავი აარიდეთ-მეთქი.

ახალგაზრდა მესია. მე ხომ მაინც უნდა ვეწამო!

დონ კალისტრატე. უმჯობესია, განზე გავდგეთ და განმანათლეთ.

ახალგაზრდა მესია. ძვირფასო დონ კალისტრატე, მე ხომ გოლგოთა მომელის...

დონ კალისტრატე. დიახ, დიახ, ეგ ამბავი უკვე ვიცი!

მეზღაპრე. ამ სამოთხეში ჩაცვენილან ჩვენი ბიჭებიც...

ჯერგე. ბიჭო, ბუთხუზ, შე ძველო, შენც გამოგამწყვდია იმ ხისტვინა მაიორმა?

ბუთხუზა. ღრმადპატივცემულო ჯერგე...

ჯერგე. მოეშვი ამ „ღრმადპატივცემულოს“! ბევრი გაწვალეს მაგ ვირეშმაკებმა?

ბუთხუზა. არც ისე! მაჭმევენ, მასმევენ, ხუთი კილო მოვიმატე. დედაჩემიც უნდა გამოვიხმო... საბრალო დედიკო, რა დღეში იქნება...

ჯერგე. კარგი ახლა, ცრემლი ნუ გადმოღვარე! ამ კეთილშობილი საზოგადოების დასაცინი ნუ გავხდებით! მეგობრებო, მოგესალმებით უმცროსი თაობის სახელით!

ნაბუქოდონოსორი. ასევე მოგესალმებით ოცდაექვსი საუკუნის თვალსაწიერიდან!

ჯერგე. ბიჭოს, ერთობ ახალგაზრდა კი ჩანხარ და...

ნაბუქოდონოსორი. ხომ არ დამცინი, მონავ?

ჯერგე. რას კადრულობთ, ბატონო!

გილიოტინა. „ბატონო“ კი არა „ხელმწიფეო“!

ჯერგე. რა მენაღვლება, იყოს ხელმწიფე, ოღონდ მონას ნუ მეძახის!

ნაბუქოდონოსორი. წეკო მომაწევინე და არ დაგიძახებ!

ჯერგე. იქნებ ჰავანური სიგარა მომთხოვო? მე არ ვეწევი!

ნაბუქოდონოსორი. მაშინ შემეხვეწე, რომ არ გავწყრე!

ჯერგი. გაწყერი რა, ამ ჩემ ფეხებს!

ნაბუქოდონოსორი. თავი ამაყად აგიღერია, ეცადე, არ დაკარგო!

დონ კალისტრატე. უფალო, გავეცალოთ აქაურობას, თორემ ახლა იჩხუბებენ!

ახალგაზრდა მესია. სად გავეცლებით ამ ოთხ კედელს, ძვირფასო დონ კალისტრატე?

დონ კალისტრატე. სასწაული მოახდინე და გახსენ ეს კედლები!

ახალგაზრდა მესია. ასეთ წვრილმანზე ვერ დავხარჯავ ღვთით ბოძებულ უნარს... ძმებო, ნუ ჩხუბობთ, გიყვარდეთ ერთმანეთი, ბოროტმა არ აგიბნიოთ გზა-კვალი!

ჯერგე. მერე მე ვჩხუბობ? მე თუ გიჟი ვარ, ესეც გიჟი არ არის? რას მეყინჩება ერთი?

ახალგაზრდა მესია. უნდა აპატიო! ყველამ ერთმანეთს თუ

აპატია, ცხოვრება მშვიდი და საამური იქნება!

ნაბუქოდონოსორი. კაი, მიპატიებია! ესღა მაინტერესებს, რა სულის პატრონია.

ახალგაზრდა მესია. სული უფლისაა!

ნაბუქოდონოსორი. იქნებ ეშმაკისაა?

ჯერგე. მორჩით ერთი!

ნაბუქოდონოსორი. მაშინ აგვიხსენი, რამ მოგიყვანათ ჩვენს სამფლობელოში?

ჯერგე. რამ კი არა, ვინ! აი, მაგ თეთრხალათიანმა იდიოტებმა გვტაცეს ხელი და აქ მოგვათრიეს!

ნაბუქოდონოსორი. ქედმაღალი ყოფილხარ, მეც კი მეშინია მათი... უმიზეზოდ ხომ არ მოგათრევდნენ?

ჯერგე. ჩემი ერთადერთი დანაშაული ისაა, სიკვდილი არ მინდა-მეთქი, ავიჩემე!

ნაბუქოდონოსორი. შენ რა, სიკვდილი მოგისაჯეს?

ჯერგე. განა ყველანი სიკვდილმისჯილნი არა ვართ?

ნაბუქოდონოსორი. უკვდავება გინდა? მაშ შენ ჩვენებური ყოფილხარ, დარჩი ჩვენთან, ჩვენც უკვდავნი ვართ!

ახალგაზრდა მესია. ჩვენთან დარჩი, ჩვენ უკვდავნი ვართ!

ბუთხუზა. დავრჩეთ რა, პატივცემულო ჯერგე! გვაჭმევენ, გვასმევენ, დედიკოებიც აქ ჩამოვიყვანოთ და... ცოლიკოებიც!

ჯერგე. წინ სულ სხვა გზა მიძევს, მართლა გიჟი ხომ არ გგონივართ!

მეზღაპრე. მას თუ ამ გზაზე დაღუპავს რამე, ქედმაღლობა დაღუპავს მხოლოდ. ღამის კაცი და დილის ბიჭუნაც ამას ამბობენ...

ღამის კაცი. კვლავ არჩევანის დამდგარა ჟამი. გზის გასაყართან გმირი დგას ისევ... გინდა, გასწავლი ჭეშმარიტ ბილიკს, მიწისქვეშა ლაბირინთებში რომ მიიკლაკნება, სადაც მარადი უკუნი სუფევს. იმედით სავსემ თავი უნდა გადასდო მხოლოდ. წინ გელოდება დედოფალის ოქროს კარიბჭე... ან მიაღწევ და ან კი ვერა... ხელმწიფეო, აბა, კამათელი გააგორე!

ნაბუქოდონოსორი. დუშაში... მოგებულია ეს ხელი ჩემთვის!

დილის ბიჭუნა. არჩევანს ზღუდავს ღამის კაცი, ყველა

სარკმელი მან დაგმანა, რათა სინათლე ვერ იხილო!.. იქნებ ჩემსავით გაიელვო, დილის მზის სხივზე გაირბინო?.. შენც გააგორე კამათელი ახალგაზრდა მესიავ!

ახალგაზრდა მესია. დუ იაქე? ნუთუ მარცხია ეს ჩემი გზა?

დონ კალისტრატე. კამათელს აბა ვინღა ანდობს სამართლის საქმეს!

ნაბუქოდონოსორი. გავაგორებ და ისევ დუშაშს მომცემს მე ბედი! დარჩი ჩემთან, არაფერს წააგებ! აქედან შორს, მთიან ადგილას, ერთი უღრმესი და ბნელი უფსკრულია. მის კბოდეზე ციცქნა ბეღურა ჩამომჯდარა. მანამ ვიცოცხლებთ, სანამ უფსკრული ბეღურას სკინტლით აივსებოდეს!

ახალგაზრდა მესია. ფართო მინდორზე, მუხლებამდე მწვანე ბალახს მშვიდად ძოვს უფლის ლაღი ირემი. მანამ ვიცოცხლებთ, სანამ მისი რქები ცას მისწვდებოდეს!.. დარჩი ჩემთან!

ღამის კაცი. არ შეცდე არჩევანში, თვით კამათელი გეუბნება სად რა განძია!.. აუ, თენდება, მე წავედი!

დილის ბიჭუნა. დუ იაქეც იგებს ხანდახან, ფრთხილად იყავი!.. ეჰეი, მზის სხივებს მე მივყვები!..

ჯერგე. მთლად ამერია მე თავ-გზა... იქნებ ხელმწიფეს მივეახლო?

ნაბუქოდონოსორი. ყოჩაღ ყმაწვილო, ავისა და კარგის გარჩევაში ბადალი არ გყავს. მე რომ მიყურებ, ხელმწიფე ვარ, ნაბუქოდონოსორი. მე ვფლობდი ქვეყნებს აღმოსავლით და დასავალით. ოქროს მაღალი ტახტი მედგა ევფრატის პირას. ჩემს ხმალს მონებდნენ ხალხები და ქალაქები... და უკვდავება მოვიპოვე, რადგან სხვა გზა უკვდავებისა აღარსად არის.

ჯერგე. გინდ ასი წელი, გინდ ორასი, ბოლო ერთია, ჭიის კერძი ხარ!

ქანდაკება. მე ახლა სარდლის ქანდაკი ვარ, ან იქნებ მეფის, დიადი გმირის, ქალაქის მთავარ მოედანზე ამაყად ვდგავარ...

ჯერგე. მაგ მაღალ შუბლზე ბეღურების კვალი ჩანს თეთრი!

ქანდაკება. გამვლელნი შიშით მიყურებენ...

ჯერგე. ხანდახან ლაყე კვერცხს გესვრიან!

ქანდაკება. ქარი თუ წვიმა, მზე თუ ყინვა, ჩემთვის ერთია. დიადი და მარადიული ვდგავარ ამაყად, არაფრად ვაგდებ დროის მსვლელობას...

ჯერგე. დიდებულია! მაგრამ იმ მოედანზე ვინმეს თვალში რომ შეეჩხირო, ხომ ჩამოგაგდეს და სანაგვეში გადაგიძახეს!

გილიოტინა. არ მოტყუვდე! მე ვარ, რაცა ვარ, რევოლუცია და კონტრრევოლუცია!.. წკაპ-წკაპ და თავი არ არის!.. მე ვარ სასჯელი, შურისგება, სიკვდილი! დააჩქარე სიკვდილი და თვით იქნები უკვდავი!.. სიკვდილი უნდა გამოაძღო, რათა ყელში ამოუვიდეს, ჭამისგან გასკდეს!.. რაც მეტს გაისტუმრებ იმ ქვეყნად, მით ნაკლებად გაახსენდები სიკვდილს!..

ჯერგე. ასე რომ იყოს, ყოველი ყასაბი მოიპოვებდა უკვდავებას!

ბუთხუზა. ვაი, დედა, თითქოს ხრწნის სუნი მეცა! აქედან უნდა გავიქცეთ, პატივცემულო ჯერგე!

ჯერგე. ნუ უფრთხი ამათ! რა მინდა მკვდრებთან, ჩემი გზა ცოცხლებს შორისაა!

ნაბუქოდონოსორი. მონავ, ჩემს რისხვას ვინ გაქცევია? ვინც ჩემთან არ არის, იგი მტერია!

ქანდაკება. ჭიავ, რკინის ჩექმებით გაგსრეს, შებრალება არ იცის რკინამ!

გილიოტინა. წკაპ-წკაპ და თავი არ არის! გილიოტინა ელის თავის საზარელ ვახშამს!

ჩრდილი. ვაიმე, დამტკეპნიან!

ფერფლი. სულს ვერ ვითქვამ, დავიფანტები!

არარა. ჩემთვის ყოველივე ერთია!

ჯერგე. უკან, სვავებო, ჩემი ლეში თქვენი საკორტნი არ გახდება!

დონ კალისტრატე. გვიშველეთ, კაცს კლავენ!

ბუთხუზა. ვაიმე, დედა! ექიმო, ოღონდ აქედან გამიყვანეთ...

I სანიტარი. რა ამბავია? რა ხდება?

II სანიტარი. ჩხუბია?.. ნაბუქო, შენ ვერ მოიშალე ძველი ჩვევები? გაიგე, ადამიანო, ჩვენი მეფე მთავარი ფსიქიატრია!

ნაბუქოდონოსორი. წეკო მომაწევინე და არ ვიჩხუბებ!

I სანიტარი. წეკო არა, ისა...

II სანიტარი. მივცეთ, ცოდვაა!

ქანდაკება. მეც მომეცით!

გილიოტინა. მეც!

დონ კალისტრატე. იქნებ მეც მომცეთ ეშმაკის ეს საწამლავი!

ახალგაზრდა მესია. ცოდვას ნუ იტვირთავ, შვილო!

დონ კალისტრატე. ღმერთი მოწყალეა და მაპატიებს!

ახალგაზრდა მესია. ჩვენთან მობრძანდით, ყმაწვილო, ჭეშმარიტი გზა ჩვენ ვიცით!

დონ კალისტრატე. უფალო, შენ თუ უშველი ამ გზააბნეულ კრავს!

ჯერგე. ოღონდ რამე ჭკუასთან ახლო წამოგცდეთ და სმენად ვიქცევი.

ახალგაზრდა მესია. ერთადერთი გზა ცის კაბადონზე გადის. გარიჟრაჟზე დაუდარაჯდი მზის პირველ სხივს, ის თუ წაგიყვანს...

ჯერგე. სხივი რა არის, მე რომ წამიყვანოს? სხივი ბუმბულსაც კი ვერ დაძრავს ადგილიდან.

ახალგაზრდა მესია. შენი სული იმ ბუმბულზე მსუბუქია, თვით სხივზე მსუბუქიცაა!

ჯერგე. სული კი, უფალო, მაგრამ ამ ჩემს გვამს რაღა ვუყო? როგორ შეველიო ჩემს ტან-ფეხს, პირისახეს, თვალთა ელვარებას?.. არ გავიცინო, არ ვიმღერო, არ ვიცეკვო, გემრიელად არ შევჭამო და არ დავლიო?.. გოგოებს არ ვეარშიყო? სული რა ბედენაა!

ახალგაზრდა მესია. მოკვდავთა მდაბალი ვნებები არ უნდა გაღელვებდეს, შვილო! უნდა იტანჯო, რათა სხეული დაიშრიტოს და სულს მიეცეს სივრცე!

დონ კალისტრატე. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად!

ბუთხუზა. აბა, არაფერი ვჭამო?

ჯერგე. ამ სვავებს რატომ არ უქადაგე ასე?

ახალგაზრდა მესია. მათი სული ისეა დამძიმებული, მზის სხივი კი არა, დედამიწა ძლივს ეზიდება!

I სანიტარი. ახლა ამან გააფრინა!

II სანიტარი. არ ჩხუბობენ და რა გვენაღვლება. წამო, სადილის დროა...

ნაბუქოდონოსორი. უსმინე, უსმინე, თვითონ ხომ ჭლექიანია, შენც სამარემდე მიგიყვანს!

ახალგაზრდა მესია. სამარეში ჩასვლა ჯობს, ცოცხლად ჭიის კერძად გახდომას!

ნაბუქოდონოსორი. წმინდანო. მოდი, კამათელი გავაგოროთ, ვინც მოიგებს იმისი იყოს ყმაწვილის თავი!

ახალგაზრდა მესია. ცოდვილო, მე სული უნდა ვიხსნა!

ნაბუქოდონოსორი. ჩემზე პატივმოყვარე ყოფილხარ, მე მხოლოდ გვამზე ვბატონობ!

არარა. როგორც ვატყობ, ეს ყმაწვილი ჩვენი მხრიდანაა!

ჩრდილი. არიქა, არ წაგვართვან!

არარა. ერთსაც ზურგი შეაქცია, მეორესაც. იქნებ ჩვენი პროგრამა მოეწონოს.

ფერფლი. ყველა გზა ჩვენსკენ მოდის, ეს ყმაწვილიც ჩვენ მოგვიკაკუნებს!

არარა. ყმაწვილო, ერთი აქეთკენ მოგვხედე!

ჯერგე. ეს კიდევ ვინ გამოტყვრა?

ბუთხუზა. ესენი, მგონი, მთლად შეჭმას გვიპირებენ!

ჯერგე. რა გნებავთ?

არარა. შენი კარგად ყოფნა!

ჯერგე. დღეს რაღაც ყველა ჩემზე ზრუნავს. ვინ ბრძანდები?

არარა. მე? ჰი-ჰი... არარა ვარ, არაფერი... ნული!.. აი, შენს წინ ვდგავარ და ნაბიჯი რომ გადმოდგა, ჩემში ისე გაივლი, ვითომ არცა ვარ...

ჯერგე. ფუი, იმ სიმსხო ხარ, ადგილიდან ვერ დაგძრავს კაცი!

არარა. ჰი-ჰი, ეს მხოლოდ გეჩვენება, სინამდვილეში კი შენს წინ არაფერია!

ჯერგე. ამოდენა ხორცი თუ არაფერია, ის ღორი მაინც იქნება.

არარა. ჰი-ჰი, როგორი ხუმრობა გცოდნია? მე რაკი არარა ვარ, ამიტომაც ვარ მარადი და ბედნიერი!

ჯერგე. შენ, ძმობილო, ჭკუითა ხარ ბედნიერი!

არარა. მე ისა ვარ, რასაც შენ ეძებ!

ჩრდილი. არა, რასაც შენ ეძებ, ის მე ვარ!

ჯერგე. შენ ვინღა ხარ?

ჩრდილი. ჩრდილი! მოდი, ფეხი დამაბიჯე, გამეხარდება!

ჯერგე. არ გამლახავ?

ჩრდილი. ჩრდილს ყველა აბიჯებს, მაგრამ პასუხი ვინ მიღო! ეს ქვეყანა ხომ საყოველთაო ჩრდილია, სადაც აქა-იქ თუ აციმციმდება ციცქნა მზე.

ჯერგე. მაშინ მირჩევნია ციცქნა მზე ვიყო.

ფერფლი. მე მაინც ვერსად გამექცევი!

ჯერგე. ეს კიდევ საიდან გამოძვრა?

ფერფლი. ცოტა ხმადაბლა მელაპარაკე, არ შემომიბერო, თორემ დავიფანტები!

ჯერგე. ვინ ოხერი ხარ?

ფერფლი. ყველაფრის ბოლო — ფერფლი! რაც უნდა გარბოდე, მაინც ჩემთან მოხვალ!

ჯერგე. შენ გაგირბი და შენთან მოვალ? მომწყდით თავიდან, რა ვაჭრობა გამიმართეთ! ჰეი, მანდ არავინა ხართ?

ნაბუქოდონოსორი. შენთვის სცალიათ სწორედ! მოდი, უფალო, გავითამაშოთ, თორემ არარასთან წავაგებ და უარესი იქნება!

ახალგაზრდა მესია. ღმერთო მაპატიე, მაგრამ უცოდველი სული უნდა ვიხსნა! გააგორე, ეშმაკეულო!

ნაბუქოდონოსორი. აჰა, დუშაში!

ახალგაზრდა მესია. აჰა, ესეც დუშაში!

ნაბუქოდონოსორი. ფუი, იაგანი!

დანარჩენი გიჟები. მეც გამაგორებინეთ, რა?! მეც!.. მეც!..

ბუთხუზა. პატივცემულო, დედას გეფიცებით, მგონი ჩვენზე თამაშობენ.

ჯერგე. გიჟებია რა!

ნაბუქოდონოსორი. თუ მოვიგე, მაგ მონებს ტყავს გავაძრობ!

ქანდაკება. მე თუ მოვიგე, გავსრისავ!

გილიოტინა. წკაპ-წკაპ და თავს წავაგდებინებ!

ჩრდილი. უკუნია მათი ხვედრი!

არარა. დავიწყების გზას გავუყენებ!

ფერფლი. მოდით, დავფერფლოთ!

დონ კალისტრატე. უფალო, ამ ცოდვილ კრავთა ხორცი მაინც მიწისაა, სულები ვიხსნათ!

ახალგაზრდა მესია. აჰა, ისევ დუშაში! მე მოვიგე!

ნაბუქოდონოსორი. გამაცურე, წმინდანო, ხელმრუდედ გააგორე?

ახალგაზრდა მესია. თვით ღმერთმა დამისვა კამათლები!

ნაბუქოდონოსორი. აფერისტო!

ახალგაზრდა მესია. შენ თვითონ აფერისტო!

არარა. დახოცეთ ერთმანეთი!

ჩრდილი. სანახაობა იქნება, აი!

ფერფლი. ცოტას გავერთობით!

არარა. დახოცეთ რა ერთმანეთი!

დონ კალისტრატე. ბატონებო, ბატონებო! არ გვინდა ხოცვა-ჟლეტა! შუაში გავიყოთ, ხორცი — მეფეს, სული — უფალს!

ნაბუქოდონოსორი. თანახმა ვარ!

ახალგაზრდა მესია. მე მხოლოდ სული მაინტერესებს!

ჯერგე. ბუთხუზ, ცუდადაა ჩვენი საქმე, შეგვჭამენ ეს ვირისთავები! აბა, ზურგით მომეყრდენი!

გიჟები. მიდით, დავსცხოთ!

I სანიტარი. რა ამბავია? დაშოშმინდით!

II სანიტარი. დაიშალენით! დაიშალენით!

მეზღაპრე. ზღაპარშიც ხდება ჩხუბი, ყაყანი... მაგრამ კეთილად დამთავრდება იქ ყველაფერი... ჩვენი ყოჩაღი მაიორი არის თავდები...

მაიორი. უყურეთ ამ ყურუმსაღებს, მე თქვენ გიჩვენებთ სეირს! რას ჰქვია, არ შემოგიშვებთო, საავადმყოფოაო, უცხო პირების მიღება გვეკრძალებაო... მე ვარ უცხო პირი? აბა, შენი ენით მითხარი, მე უცხო პირი ვარ ამ საგიჟეთში?

ზემდეგი. ნამდვილად არა ხართ უცხო!

მაიორი. სანიტრებო, სმენა! ხელები ჩამოუშვით! მხრები გაშალეთ! თავი მაღლა! მარჯვნისაკენ, ნაბიჯით იარ!.. უყურე, მართლა დამიჯერეს.

ჯერგე. ბუთხუზ, მგონი მძინავს, მიჩქმიტე, იქნებ გამომეღვიძოს!

ბუთხუზა. მგლების ხახიდან მგონი ლომის ხახაში გადავინაცვლეთ.

მაიორი. ჯერგე, ბიჭო, როგორა ხარ? მოდი, გადაგეხვიო! ძალიან ხომ არ შეგაწუხეს ამ მუდრეგებმა? მე მათ ვუჩვენებ სეირს! ავაფეთქებ კრაზანის ამ ბუდეს! ზარბაზანს დავუმიზნებ და „ბა-ბახ“ ჰაერში ავარდება...

ჯერგე. ვერაფერი გამიგია.

მაიორი. რა უნდა გაიგო, გენაცვალე! მე განა ისეთი კაცი ვარ, შენი თავი ვინმეს დავაჩაგვრინო? ახლავე გაემზადე და წავიდეთ! ოქროდედა ცრემლად იღვრება, ცოცხლებში არ ეგულები...

ჯერგე. მაინც ვერაფერი გამიგია.

მეზღაპრე. აქ კი ზღაპარი ცისფერი ხდება...

ჯერგე. ამას აქ რა უნდა?

ხანტუ. ჯერგე, ძამიკო, ხომ არაფერი დაგიშავდა? მოგიკვდეს ჩემი თავი, რა გიყვეს ამ უსინდისოებმა!

ჯერგე. აქ რა გინდა?

ხანტუ. მოგიკვდეს დაიკო, ჩემს ამბავს ნუ კითხულობ, ოღონდ შენ მყავდე კარგად და... მე თუ გინდ ძაღლის დასაგლეჯი გავხდები...

ჯერგე. აქ რა გინდა-მეთქი?! დედა სად არის?

ხანტუ. დედა ლოგინად ჩავარდა, შენღა გნატრობს...

მაიორი. ნუ გააბით ახლა ლათაიები! ვიჩქაროთ, თორემ მთავარმა ფსიქიატრმა თუ გაგვიგო, ასე ადვილად ვერ დავაღწევთ თავს! ციხიდან უფრო იოლია გაქცევა, ვიდრე აქედან!

ჯერგე. ველარ მივმხვდარვარ, მაინც რისთვის გამოიდეთ თავი?

მაიორი. ცოლისძმავ, შე ძველო, ჩვენ თუ ერთმანეთს არ მივხედეთ, სხვა ვინ დაგვეხმარება?

ჯერგე. ცოლისძმაო?

ბუთხუზა. ცოლისძმაო? რას მიედ-მოედება ეს გადაღრძუებული?

ჯერგე. ეს მახინჯი, მელოტი ბერიკაცი ჩემი სიძეა?

მაიორი. რამდენიც გინდა, მლანძღე, ეკლესიაში ჯვარდაწერილები ვართ!

ჯერგე. ვაი, შენ, ჩემო თავო!

ხანტუ. თუ გინდა, მომკალი, ძმაო!

ჯერგე. ვერა გამიგია რა!

მაიორი. ჰე-ჰე, არა გსურს გაიგო და იმიტომაც ვერ იგებ!

ჯერგე. ხანტუ, დაია, რისთვის დათანხმდი ამ ურჩხულს, როგორ უნდა გაძლო ამ ბრიყვთან?

ხანტუ. სამაგიეროდ შენ აქედან გაგათავისუფლებენ!

ჯერგე. რა ჩირად მინდა ასეთი თავისუფლება, მირჩევნია ამ გიჟებთან დავრჩე!

ბუთხუზა. მეც აქ უნდა დავრჩე, სხვა გზა არა მაქვს!

ნაბუქოდონოსორი. დარჩით, მონებო, ჩვენ არ გიმუხთლებთ!

ახალგაზრდა მესია. თავისუფლების ცდუნებას ნუ აჰყვებით, შვილებო, ესწრაფეთ სულის თავისუფლებას, მას აქ უფრო მიაღწევთ!

ფერფლი. ყველა გზა მაინც ჩვენსკენ მოდის!

დონ კალისტრატე. ბატონო ოფიცერო, თუ თქვენთვის აუცილებელია აქედან ვინმეს წაყვანა, მაშინ მე წამიყვანეთ!

ახალგაზრდა მესია. შვილო ჩემო, ნუთუ აქ მტოვებ შენს მასწავლებელს?

დონ კალისტრატე. ფიქრით ხომ მუდამ თქვენთან ვიქნები!

ხანტუ. შენ რომ არ წამოხვიდე, მეც მოვკვდები, დედაც, მზეონაც!

ჯერგე. არავისი და არაფრისი უკვე არ მჯერა!

მაიორი. მეტს ვერ მოვისმენ ამ ყბედობას, აბა, წამოდით!

ჯერგე. მე არ მოვდივარ, ამ კედლის მიღმა საგიჟეთი უფრო მეგულვის!

ბუთხუზა. ჩემთვის ყველა გზა დაიკეტა. რისთვის უნდა გავიდე აქედან? დავდგე და ვითვალო ამ ბერიკაცის სიცოცხლის დღეები?

დონ კალისტრატე. მე წამიყვანეთ, აქ არ დამტოვოთ!

გიჟები. ჩვენც წამოვალთ! აქ მოგვბეზრდა! კარი გაგვიღეთ!

მაიორი. უკან დაიწით!.. არიქა, სანიტრებო!

I სანიტარი. ხომ არ აჯანყდნენ?

II სანიტარი. უკან დაიწით, თორემ ვერ გადაურჩებით მთავარი ფსიქიატრის რისხვას!

მაიორი. ესენი წამოიყვანეთ!

ჯერგე. ხელი მიშვით! არ მინდა წამოსვლა, თქვენი სიკეთე ყელში ამომდის! ხელი გამიშვით!

დონ კალისტრატე. მეც წამიყვანეთ, აქ არ დამტოვოთ!

4

მეზღაპრე. არც ცხრა მთა გადაუვლია, არც ცხრა ზღვა გადაუცურავს, არც ცხრათავიან დევს შესჭიდებია, არც ცხრათავიან ურჩხულს... ცხრათავიანი ურჩხული — სურვილი მის სულში იგრაგნებოდა, შხამს აწვეთებდა... მიდიოდა გზაზე და არსად არაფერს იძლეოდა, ცდილობდა კი ყველაფერი მიეღო. ყველა მისი ხიდი უნდა გამხდარიყო, თვითონ კი არავის ხიდად არ უნდოდა გადაქცევა. გზაზე წაბორძიკებულს, ბედი ხელს უწვდიდა, მაგრამ მადლობა ერთხელაც არ დასცდენია. წაქცეულს თუ წააწყდებოდა, ზედ გადააბიჯებდა და არ უფიქრია, წამოვაყენებო. ასე გრძელდებოდა ეს ბოროტი ზღაპარი...

ღამის კაცი. აჰა, ბაზარი რაგინდარის, მობრძანდით ყველა! თქვენ, ხეიბრებო, სულით მწირნო, ასოთ ნაკლულნო, მობრძანდით ყველა, ჩვენს ბაზარში სავსეა განძი... სინდისი გინდათ? აქ იყიდით! და თუ გამძიმებთ, გაჰყიდით უმალ!.. სიყვარული?.. სულ მისხალ-მისხალ იყიდება, იაფიც ჯდება... აქ არ ივარგებს დოლარი, ფრანკი, ლირა, რუპია, აღარც მანეთი, დრაჰმა, იენა, ფუნტი სტერლინგი... სულის ნამცეცი, ერთი ციცქნა საკმარისია!

ჯერგე. მგონი აქ ვეღარ მომეწევიან! ძლივსღა დავუსხლტი მაგ ბრიყვ მაიორს. უნდა მომეკლა, მაგრამ ვიფიქრე, ხანტუმ თავს არაფერი მოუწიოს-მეთქი. თუმცა არა ღირს ამაზე დარდი, წინ რომ მივიწევ, ხიდებს ვწვავ უკან. მხოლოდ მომავლის შორეულ გზებზე უნდა ვიფიქრო! ახლა კი კუჭმა შემაწუხა. ფუი,

საწუთროვ, პურის ნატეხი მირჩევნია იმ მაიორის ეპოლეტებს. აგერ „ბაზარი“ აწერია. ქუდს მოვიშვლეპ, იქნებ ვინმე ღვთისნიერმა ლუკმა მიწილადოს... ჰეი, ბიჭუნა, შიმშილისაგან სული მძვრება!

დილის ბიჭუნა. შენც მოთმინებით იმკურნალე, სულს მოუხდება შიმშილობა.

ჯერგე. ეგეთი მეცნიერება ახალგაზრდა მესიამ მიქადაგა.

ღამის კაცი. აქეთ მევაჭრე!

ჯერგე. ფული არა მაქვს!

ღამის კაცი. ნისიად მოგცემ პურის ნატეხს, რომ გამდიდრდები, დამიბრუნე!

ჯერგე. ნისიად?.. ნისიად იქნებ დიდი პური გადმომიგდო, ზედ კიდევ ქათმის ბარკალი დადო, ან ძეხვი მაინც, სულუგუნი და მწნილი პრასის. იქნებ ერთი ხელადა ღვინოც მოაყოლო. თუ გავმდიდრდები, ერთს ასად გაგინაღდებ!

დილის ბიჭუნა. შენ ეგ სიხარბე დაგიჯდება ძვირზე ძვირად!

ღამის კაცი. ჰა, პურის ქერქი იკმარე! მე კი უბის წიგნაკში ჩავინიშნავ ამ დანახარჯს. ეძიე სწრაფად განძი რამე, ვინძლო ვალი დიდხანს არ დამიყოვნო!

ჯერგე. შენს პირს შაქარი! სიმდიდრეს, ვგონებ, არაფერი სჯობია.

ღამის კაცი. თვალი გაახილე და ტვინი გაანძრიე!

ჯერგე. კაცი არ მინახავს, უტვინობას უჩიოდეს!.. ეს ვინღა არის? თითქოს მეცნობა! თუმცა არა, მე მივამსგავსე მაიორის პირუტყვულ სიფათს! ჰეი, მეგობარო, რა ქვეყანაა ეგ თქვენი მხარე?

დიდვაჭარი. შესანიშნავი ქვეყანაა, აქ თავიანი კაცი არ დაიკარგება!

ჯერგე. თავი სხვაზე უარესი როდი მაბია, მაგრამ ჯიბეზე ვარ ქესატად!

დიდვაჭარი. თავი იმიტომა გაქვს, ჯიბეს უშველოს!

ჯერგე. ეგ როგორ?

დიდვაჭარი. ივაჭრე! ოქრო არა გაქვს, სხვა რამ გექნება!

ჯერგე. ქალი რომ ვიყო, კახპად გადავიქცეოდი.

დიდვაჭარი. შენი სიფათით ბევრ კუროს მაინც ვერ იშოვიდი!

ჯერგე. შრომას გავყიდი! ძია, მომეცი სამუშაო!

დიდვაჭარი. მშრომელი რომ იყო, შინ დაჯდებოდი!

ჯერგე. ესეც სწორია! მაშ რა გავყიდო?

დიდვაჭარი. ან იმათხოვრე, ანდა სული... სული ხომ გაქვს?

ჯერგე. ეს რა მაკადრე, სულს როგორ დავთმობ!

დიდვაჭარი. ნუთუ შენ ისე მწირი გაქვს სული, ერთი ნამცეცის დაკლება რომ გაგაღარიბებს?

ჯერგე. ნამცეცის შეძენა შენ რას მოგიტანს?

დიდვაჭარი. იმ ნამცეცებით ერთი მოზრდილი ჯოჯოხეთი აივსო.

ჯერგე. შენ რა, ჯოჯოხეთის მფლობელი ხარ?

დიდვაჭარი. ჩემი სალარო სხვისთვისაა ჯოჯოხეთი, ჩემთვის სამოთხეა!

ჯერგე. რა უნდა მომცე ნამცეცის ფასად?

დიდვაჭარი. იქნებ გახვრეტილი შაურიანი, იქნებ განძი ურიცხვი... აი, ცხოვრების ბაზარი, გადი-გამოდი, ივაჭრე!

ჯერგე. ეგეც ამოცანა! ივაჭრეო... სხვა რა გზა მაქვს, ვაჭრობას უნდა მოვკიდო ხელი.

მეზღაპრე. უცნაურია ბაზრის რიგი, ზოგიერთები ცხოვრებასაც რომ ეძახიან!..

გადამყიდველი. ვყიდი, ვყიდულობ!.. ვყიდი, ვყიდულობ!..

ქორვაჭარი. რაც ჩაიცმევა და დაიხურება, რაც იჭმევა და ისმევა, რაც იყიდება და არ იყიდება...

მეწვრილმანე. ჯღანმანსა და უსარგებლოს ჩემთვის ოქროს ფასი აქვს!

ჯერგე. მგონი კვლავ საგიჟეთში ვარ, ამათგან რა ხეირი უნდა ვნახო?

მეწვრილმანე. ახალგაზრდავ, წინ მიდიხარ თუ უკან ბრუნდები?

ჯერგე. გზა წინ მაქვს მხოლოდ!

მეწვრილმანე. მაშინ რაც გრჩება, ტვირთად გაწევს უთუოდ მხრებზე. თუ გსურს იარო ლაღად, თამამად, განთავისუფლდე უნდა მძიმე ტვირთისგან!

ჯერგე. ვერ გამიგია რომელ ტვირთზე მეუბნები!

მეწვრილმანე. მეხსიერებაზე მძიმე ტვირთი რამე იქნება? მომყიდე შენი მეხსიერება!

ჯერგე. ვთქვათ და დაგთანხმდი! სამაგიეროდ რას მთავაზობ?

მეწვრილმანე. მომავლის იმედს!

ქორვაჭარი და გადამყიდველი. გარიგება ფართო გზას გიხსნის, ნურც დაფიქრდები!

ჯერგე. მართლაც რად მინდა მე ეგ ტვირთი, გულის ტკივილი გამიჩინა მეხსიერებამ... ფეხებზე ხუნდებად მედება ოქროდედას მზრუნველობა, ხანტუს თავდადება, მზეონას სიყვარული...

მეწვრილმანე. ბარი ბარსა ვართ, დაჰკარი ხელი!

ჯერგე. აჰა, წაიღე, რაც გინდოდა, მე კი იმედი წინ დიად გზას გამიცისკროვნებს!

გადამყიდველი. აქეთ მევაჭრე, არ დამრჩები მეც წაგებული!

ჯერგე. შენ რას მთავაზობ?

გადამყიდველი. გულის სითბო დამითმე, თუმცა არა ხარ ამით მდიდარი!

ჯერგე. ჩემს გულში სითბო დალეული სანთელივით ბჟუტავს, არც მე მათბობს და არც სხვა ვინმეს. არა მჭირდება, დამითმია!

გადამყიდველი. მეც სიხარულით გითმობ გულგრილობის მძიმე ლოდს, აიღე, მკერდში ღრმად ჩაიჭედე!

ქორვაჭარი. მონად მომეყიდე, რა, მონად მომეყიდე!

ჯერგე. გაიწი იქით!

ხმები. ვყიდი, ვყიდულობ!.. ფულით, უფულოდ!.. სულით, უსულოდ!.. რაგინდა რასა, ავსა და კარგსა!..

დიდვაჭარი. ისევ აქა ხარ?

ჯერგე. თითქოს წუთის წინ გესაუბრე...

დიდვაჭარი. როგორ ივაჭრე?

ჯერგე. ფულის ჩხრიალი ჩემს სმენას თუმცა არ შეხებია, სარგებელი საკმაო ვნახე!

დიდვაჭარი. მაშ, ჩვენც ვივაჭროთ?

ჯერგე. მე აქ გავყიდე ზოგი რამე, მეხსიერება, გულის სითბო, სიყვარული, მცირე სიკეთე, რაც გამაჩნდა...

დიდვაჭარი. უკვე გითხარი, მე სულით ვვაჭრობ... თუნდ

ერთი ციცქნა!

ჯერგე. როგორ დახარბებია ჩემს სულს. ჩანს, მთლად ღატაკი არ ვყოფილვარ. ხომ არის ხალხი, ვისი სულიც ჩირადაც არ ღირს!

დიდვაჭარი. ზოგს სული იქნებ სულაც არა აქვს, შენი რა შეღავათია?

ჯერგე. უბრალოდ, თავი დავიმშვიდე! მაშ, დავიწყოთ ჩვენი ვაჭრობა! შენ რას მთავაზობ სულის ფასად? ოღონდ, იცოდე, მე მთლიანად ვერ შეველევი ძვირფას საქონელს!

დიდვაჭარი. რაცა გაქვს, იმის ნახევარი უნდა დამითმო!

ჯერგე. ფასი მითხარი, ოღონდ ჩქარა, თორემ იქნებ გადავიფიქრო!

დიდვაჭარი. აი, ზარდახშა, ურიცხვ განძად მას ვერ შეიძენ. ამ ზარდახშაში ინახება თვით კარიერა. ვისაც იგი აქვს, ყველგან პირველ კაცად დაჯდება!

ჯერგე. მაშ უმდიდრესი კაცი ვხდები!

დიდვაჭარი. (უღარიბესიც!)

ჯერგე. მე თანახმა ვარ! მშიერს ნეტა რად უნდა სული. ამ განძით კი იმ სულს, რაც შემრჩა, ოქროს ჩარჩოში ჩავსვამ. ოქრო-ვერცხლის ბრწყინვალებაში მწირი სულიც მდიდარი გამოჩნდება...

მეზღაპრე. დიდვაჭარს მიაქვს უჩინარი და უწონადი, ფასი იმისი არავინ უწყის...

ჯერგე. მე მგონი ჭკუით ვაჯობე ყველას, ვინც გზაზე შემხვდა. შეძენით ბევრი შევიძინე, გაცემით კი არაფერი გამიცია რა. წავალ, უდაბნოს გადავლახავ! შორს ილანდება თეთრი ქალაქი. მე, უცხო კაცი, იმ ქალაქის თავად დავჯდები...

ღამის კაცი. შესდექ! საითკენ გაგიწევია?

ჯერგე. აჰა, პირველი მევალეც კარზე მომადგა. როცა არ მქონდა, მევალენიც არ მაწუხებდნენ... ჩემი სიმდიდრის მოსახმარად მივემართები, არ ვაპირებ ამ ზარდახშას მიწაში ჩაფლვას.

ღამის კაცი. მერედა, ვალი?

ჯერგე. კეთილო კაცო, არ დამვიწყნია მე შენი ვალი. რა ღირდა პურის ის გამხმარი ქერქი, ძაღლის კბილებიც რომ ვერ

დაღრღნიდნენ?

ღამის კაცი. ახლა გამდიდრდი და ის მსუყე, გემრიელი პურის ყუა გამხმარ ქერქად გადაიქცა?

ჯერგე. აჰა, შაური, მეტი ხომ არ ეღირებოდა?!

ღამის კაცი. შენ იქნებ ხუმრობ? კაცი სიკვდილს გადაგარჩინე, მშიერი მგზავრი დაგაპურე, ხელი გამოგიწოდე...

ჯერგე. აჰა, მანეთი, ანდა ასი, ოღონდ თავიდან მომწყდი!

ღამის კაცი. ასე ვერ წახვალ, ჯერ მე ვალი გადამიხადე!

ჯერგე. გატყობ, ამ ჩემს განძს ეპოტინები! მე კი მისთვის სულის ნახევარი გამიღია!

ღამის კაცი. ურიცხვ განძსა ვფლობ მე თვითონაც. ჩემს სალაროში ინახება ყოველივე, რასაც მზის სხივი ვერა სწვდება.

ჯერგე. აბა, რასა მთხოვ?

ღამის კაცი. მეც მიწილადე სულის ნამცეცი, თუნდ პაწაწინა!

ჯერგე. ვაი, მე რაღა შემრჩება?

ღამის კაცი. მერე რად გინდა? უიმისოდაც იოლად გახვალ. ის მე დამითმე!

ჯერგე. გინდა დამღუპო? ეჰ, ჩემო თავო, სადმე კუნჭულში გადავინახავ ჩემთვისაც ნამცეცს... ღამის ნაფლეთო, აჰა, წაიღე დანარჩენიც! წავიდა! თითქოს ერთბაშად ავმჩატდი. უკვე არაფერი მაღონებს, გულს დარდი არ ეკარება. ჩანს, ინფარქტს დევნის გულის სიცივე. საღი, ჯანსაღი მხოლოდ ის არის, ვისაც სხვათა წუხილი ჩირად უღირს. აგერ, აქეთკენ ორი მათხოვარი მოემართება. უნდა დავმალო ეს ზარდახშა, თორემ წუწუნს დაიწყებენ და პურის ქერქს მაინც დამტყუებენ...

ოქროდედა. უჰ, დავიღალე... ძლივს დავდივარ, მუხლმა მიმტყუნა... შენ მაინც არ გამომყოლოდი. ისე შორს წამოვედით, შინამდე სულიც არ მიმყვება. შენ რა გეშველება, თორემ მე თუნდაც მგლის საძიძგნი გავხდე...

მზეონა. გული გაიმაგრე, ოქროდედა, ჩემზე ნუ დარდობ. შინ მაინც არ მედგომებოდა. რაც ჯერგე წავიდა, ბოროტმა ენებმა სიცოცხლე გამიმწარეს. ვის რა დავუშავე. თავი არ ამიწევია, ისე ვცხოვრობდი. თქვენმა სიძემ, ბატონმა მაიორმა, ჭორი დამიყარა, ვითომც ქალწულის სახელისათვის ჩირქი მომეცხოს...

ოქროდედა. დედაშვილობას, მაგას ნუ გამახსენებ! ჯერგეს წასვლას ისე არ გავუმწარებივარ, ხანტუმ დამაღალატა და ამან მომიღო ბოლო. ბიჭი მაინც ბიჭია, თავის გზას გაიკვლევს. ხანტუს წასვლის ამბავი რომ გავიგე, იმ დღეს დავობლდი... რამ მოაწონა ის გადაღრძუებული...

მზეონა. ნუ გამიწყრები, ოქროდედა, მაგრამ ხანტუს მკაცრად მოექეცი...

ოქროდედა. მკაცრადო?

მზეონა. არ ყვარებია მას ის ბებერი.

ოქროდედა. მით უარესი, თუ მისმა ეპოლეტებმა და ქისამ შეიტყუა მახეში!

მზეონა. ალბათ ჯერგესთვის დასდო მან თავი.

ოქროდედა. არ ვიცი, არ ვიცი! ჯერგე, ჩემი შვილი, იქნებ ცოცხალიც აღარაა...

მზეონა. ღმერთი მაგას არ იზამს, ოქროდედა, ჯერგეს არაფერი დაუშავდებოდა, ამას გული მეუბნება.

ოქროდედა. ჰო, დედა ენაცვალოს, იქნებ დიდი კაციც გახდა. სანამ პატარა იყო, ცივ ნიავს არ ვაკარებდი, ახლა დავძაბუნდი, ხომ უნდა მიხედოს დედას.

მზეონა. მშობელ დედას როგორ არ მიხედავს.

ოქროდედა. შენც ნუ დარდობ, შვილო! უკეთესი სარძლო ღმერთმა ნუმც მანატრა!

მზეონა. ახლა რომ მნახოს ამ ძონძებში, შევჯავრდები.

ოქროდედა. ნუ გეშინია, ოქრო ნეხვშიც ბრჭყვიალებს.

ჯერგე. ნეტა ამდენს რას ყბედობენ? ალბათ იმას თათბირობენ, გული როგორ ამიჩვილონ.

მზეონა. ვაიმე, ვიღაც კაცი გვიყურებს!

ოქროდედა. თვალში სინათლე დამაკლდა, ვერა ვხედავ!

მზეონა. ოქროდედა, ეს ჯერგეა!

ოქროდედა. შვილო, ჯერგე!

ჯერგე. ვაჰ, ოქროდედა, ეს თქვენა ხართ? ძლივს გიცანით! მე მათხოვრები მეგონეთ. უკეთესი ვერაფერი ჩაიცვით, ხალხი რას იფიქრებს, ჩემთან რომ გნახავენ?

ოქროდედა. მოდი, შვილო, მოგეხვიო!

ჯერგე. მომეხვიე რა, მოხვევა ფული კი არ ღირს!

ოქროდედა. ტანსაცმელს რას დავეძებ, შვილო, ცოცხლებმა ძლივს მოვაღწიეთ. შენს ძებნაში ათასი გასაჭირი გადაგხვდა. მაგრამ აწი არაფერი გვიშავს, რაკი ჩვენთანა ხარ!

ჯერგე. კი ვარ თქვენთან, აბა არა ვარ? მზეონა, გოგო, არ გათხოვდი? იჩქარე, გენაცვალე, თორემ, ხომ იცი, ბიჭები თურმე თითზე ჩამოსათვლელნი დარჩნენ. ეგერ ჩემი დაიკო ბერიკაცს მისთხოვდა...

მზეონა. აღარ ვთხოვდები.

ჯერგე. რას დაეხეტებით, რომ დაეხეტებით! შინ ვერ დარჩით? რა გიყოთ ახლა? წინ შორი გზა მიდევს, თქვენთვის სადა მცალია!

ოქროდედა. ოღონდ საქმე არ წაიხდინო, შვილო, ჩვენი ნუ გედარდება!

მზეონა. ჰო, ჩვენი დარდი ნუ გექნება!

ჯერგე. ჰმ, ნუ გედარდება... გინდათ, სახელი გამიტეხოთ? დედა შუა გზაზე დაადგოო...

ოქროდედა. ჩვენ არავის გავუმხელთ.

მზეონა. არავის ვეტყვით.

ოქროდედა. ცოცხალი მყავხარ და ჩემთვის ესეც კმარა. შინ დავბრუნდები!

ჯერგე. მერე იმ უდაბნოს როგორ გადალახავთ? გაქვს რამე სარჩო ან სასმელი?

ოქროდედა. კი, შვილო, მდიდარი ვარ. აგერ ერთი ჭიქა წყალი, აგერ კიდევ პურის ქერქი.

ჯერგე. ის გზა რომ გამოვიარე, უფრო ღატაკი ვიყავი. აბა, გზა დამილოცეთ, უნდა წავიდე!

ოქროდედა. ცოცხალი დამიბრუნდი, შვილო!.. წავიდა!.. კვლავ მარტონი დავრჩით! მზეონა, შემოგევლე, უნდა შინ დავბრუნდეთ.

მზეონა. შენ დაბრუნდები, ოქროდედა, შენს კერიასთან, მე სად წავიდე?

ღამის კაცი. მე გამოგიწვდი მეგობრულ ხელს!

მზეონა. ვინა ხარ?

ღამის კაცი. თვით უკუნი! ჩემს ფრთებქვეშ დაგმალავ, სამარადისო სიბნელეში გაუჩინარდები! კაცთა წუხილი აღარ შეგაკრთობს, ჩვილი ბავშვივით დაიძინებ!

მზეონა. მე მეშინია უკუნისა! შენ რომ გიყურებ, შიში მზარავს.

დილის ბიჭუნა. აქეთ მომხედე, იქნებ მიცნო!

მზეონა. დილის ბიჭუნავ!

დილის ბიჭუნა. მზის სინათლევ, ჩემთან წამოდი!

მზეონა. მერე ჯერგე?

დილის ბიჭუნა. რაა ჯერგე? შენ რომ გიყვარდა, ის ჯერგე არც დაბადებულა, არც არის სადმე! ჩემს კვალს დაადექ, რაც გეკუთვნის, იმას მიიღებ!

მეზღაპრე. ის დაადგება სინათლის გზას...

მზეონა. მშვიდობით, ოქროდედა, ჩემი ხვედრი უნდა მივიღო!

ოქროდედა. მზეონა, შვილო, შინ წავიდეთ! მოდი, მეშვილე! ორივენი ბუხრის პირს დავსხდეთ, ველოდოთ ჯერგეს...

მზეონა. შენ დედა ხარ და დაელოდე! მე რას ველოდო? მშვიდობით...

ოქროდედა. ახალგაზრდების ვერაფერი გამიგია რა... ყველა თავისი გზით მიდის. მე კი, მოხუცსა და მიუსაფარს, მარტოს მტოვებენ. არას ვჩივივარ, ოღონდ ყველანი კარგად მყვანდნენ. ღმერთო, ხელი მოუმართე ჩემს ჯერგეს!

დიდვაჭარი. მევაჭრე!

ოქროდედა. მევაჭრეო? ვინა ხარ? აქ საიდან გაჩნდი? ირგვლივ ძეხორციელი არა ჩანს, შენ კი თითქოს მიწიდან ამოძვერი!

დიდვაჭარი. მევაჭრე!

ოქროდედა. არცრა მაქვს გასაყიდი, არც რამის ყიდვას ვაპირებ...

დიდვაჭარი. მაინც მევაჭრე, გასაყიდი გექნება რამე!

ოქროდედა. ჭიქა წყალიღა დამრჩა, პურის გამხმარი ქერქი. შორი გზა მიძევს ჩემს სოფლამდე...

დიდვაჭარი. ოჰო, მდიდარი ვინმე ყოფილხარ! მომყიდე წყალი, პურის ქერქიც!

ოქროდედა. შენი ტოლი არა ვარ, ხუმრობით ჩემთან თავი შეიქციო. თუ არ ხუმრობ, ალბათ გსურს უდაბნოს ქვიშაში ჩავ-

რჩე, შიმშილმა და წყურვილმა ბოლო მომიღოს!

დიდვაჭარი. მომეცი წყალი! შენი ჯერგე უდაბნოს თაკარა მზის ქვეშ წყურვილისაგან გონს რომ დაკარგავს, წყალი ანკარა იქ ამოვა!

ოქროდედა. ვაიმე, შვილო, თურმე როგორი საფრთხე გელის... კეთილო კაცო, დაგითმობ ამ წყალს, იქნებ ჩემს შვილს ეშველოს რამე!

დიდვაჭარი. მომე ეგ პურიც! შიმშილისაგან გაწამებული შენი შვილი სიკვდილის პირს რომ მიადგება, სამეფო სუფრა უმალ მის წინ გადაიშლება.

ოქროდედა. შიმშილიო? ვაიმე, შვილო! კეთილო კაცო, აჰა, ეს პურიც!

დიდვაჭარი. მომე სიცოცხლეც, მაშინ ჯერგეს სიკვდილი ვეღარ დაჯაბნის!

ოქროდედა. ვაიმე, შვილო!..

5

მეზღაპრე. დიდი ქალაქი უდაბნოში წამომართულა, თეთრი კედლები თითქოს დამპყრობს ელოდებაო... მოქალაქეებს მშვიდად სძინავთ და უდარდელად... მხოლოდ ტრამვაი მირახრახებს თავისთვის მარტო. პოლიციელი, ქურდთა რისხვა, ზარს აწკარუნებს... და სიბნელიდან აქ მათხოვრულ, გიჟურ სამოსში მავანი კაცი მობრძანდება, რომ გვიპატრონოს...

პოლიციელი. შუაღამეა, იძინეთ მშვიდად!.. ჩვენც გვესტუმრება უცხო კაცი, იძინეთ მშვიდად!..

დონ კალისტრატე. უჰ, მგონი გადავრჩი! როგორ გაცოფდებიან სანიტრები და ის ბებერი მაიორი. მანქანაში ბიჭები რომ შეათრიეს, მეც უკან მივყევი. თავდაპირველად ვერ შემამჩნიეს, მერე კი მოვცოცხე... მგონი იმ ბიჭებმაც მოუსვეს... აბა, მე რა მინდოდა საგიჟეთში?.. მართალი კაცი ვარ-მეთქი, მტკიცება რომ დავიწყე, მაშინვე ხელი მტაცეს და გამქაჩეს... რა მექნა, წამი დადგა და მოვცოცხე! თავიდან უნდა დავიწყო ცხოვრება... ჩუ, რა ამბავია? ხვრინავენ?.. მთელ ქალაქს სძინავს... უყურე

შენ!.. აქ რაღაც საფრთხე იმალება, ფხიზლად უნდა ვიყო!

წუწკა. ჰხმ, პლეტი ვიყარე!.. აქ ვერ მიპოვიან! ოღონდ ეს ზოლებიანი ფორმა მოვიცილო. ვინმე ჩამოივლიდეს, მე ვიცი და ჩემმა ხელობამა. ასე თუ დამინახეს, კვლავ ციხეში მიკრავენ თავს... ჩუმად, აქ ვიღაცა დადის...

დონ კალისტრატე. იქნებ მეჩვენება, მაგრამ ეს კაციც საავადმყოფოდანაა გამოპარული.

წუწკა. ბედი ასეთი უნდა, ამ ტიპსაც პლეტი უყრია. ახლა რომ დაგვიჭირონ, გრუპავოი პაბეგი მოგვეკერება, რა...

დონ კალისტრატე. მეგობარო, თქვენც დააღწიეთ თავი?

წუწკა. ვაჰ, ჯიგარო, ხოშიანად გაგიცურებია ყაყაჩოები!

დონ კალისტრატე. ფრიად საინტერესოა! ერთი ეს მითხარით, თქვენი ცხოვრებისეული კრედო როგორია?

წუწკა. კრედიტი არაფერი მომთხოვო, თუ ძმა ხარ, კაპიკი არ მიჭყავა ჯიბეში. ან ჯიბე სადაა? ამ ჩემს სამოსელს პიჟამა ჰქვია...

დონ კალისტრატე. მე თქვენს ფილოსოფიურ შეხედულებებზე მოგახსენებდით.

წუწკა. ფილოსოფიაო? ვა, დარეხვილი ხო არ ვგონივარ ამას?

დონ კალისტრატე. მაშასადამე, თქვენ არც ერთ სისტემას არ თანაუგრძნობთ?

წუწკა. სისტემა არ ვიცი და ლაგერის რეჟიმს არ თანავუგრძნობ!

დონ კალისტრატე. თქვენ რომელ პალატაში მკურნალობდით?

წუწკა. სადაც მე ვიყავი, იქ „პალატას“ „კამერას“ ეძახდნენ, მკურნალობას კი კარცერში გავდიოდი.

დონ კალისტრატე. მკაცრი ექიმი გყოლიათ.

წუწკა. მაშაყირებ, ჯიგარო?

დონ კალისტრატე. თქვენი გაჯავრება არ მინდოდა. ვიფიქრე, იქნებ ორივეს ერთი ექიმი გვივლიდა-მეთქი.

წუწკა. პართენა ექიმზე ამბობ? კაი ვინმე იყო, მამა უცხონდა. თავი მტკივა-მეთქი და თავი რომ გებას, ჩემთან რა გინდოდაო...

დონ კალისტრატე. აჰ, გამახსენდა, პართენა ექიმი მეათე

პალატას განაგებდა. მე ეს ფარაონმა რამზესმა მითხრა...

წუწკა. რაო, ფარაონიო? ეს ტიპი ძაღლებთან ხომ არაა შეკრული?

დონ კალისტრატე. თვით რამზესი ჰყოლია ათი დღე საწოლზე დაბმული. არც ჩვენი პორფირე ყოფილა ნაკლები, იმდენი ნემსი ჩამასო, ტრ...კი გამისივდა. ეგონა, ამით დამავიწყებდა ჩემს მაღალ იდეებს.

წუწკა. აფრენს, რა!

დონ კალისტრატე. ეგაა, ახლაც მტკივა. გიჩვენო?

წუწკა. არა, არა, გენაცვალე! მაგნაირი ტრ...კები ცხოვრების პლაჟზე მილიონჯერ მინახავს. ვა, გიჟია ეს ოჯახქორი... რაზე ჩაგსვეს, ჯიგარო?

დონ კალისტრატე. ტყუილუბრალოდ!

წუწკა. ანგელოზი იყავი რა, ფრთები გამოგესხა...

დონ კალისტრატე. რას იკრიჭები მერე? იქნებ ფრთები მართლა გამომესხა, მაგრამ ვირის თვალები მაგას ვერ დაინახავენ!

წუწკა. შენ, ჰეი, ბებერო!

დონ კალისტრატე. მე ღვთის კაცი ვარ, ალილუია, ალილუია...

წუწკა. ეგ რაღაა?

დონ კალისტრატე. სიკეთე უნდა ვთესო, ბოროტი განვაძეო... ამ ქალაქში სიწმინდის ძიებამ მომიყვანა.

წუწკა. ეგ რა, სისუფთავე რომაა?.. მენაგვეები კარგად მუშაობენ, კანალიზაცია ისპრავნია... შენ რა, რევიზორი იყავი და ქრთამი აიღე?

დონ კალისტრატე ღმერთო ჩემო, რეებს ბოდავს! მე და ქრთამი?.. არა, მეგობარო, ეტყობა, შენ ამას ვერ გაიგებ!

წუწკა. თუ არ ამიხსენი, საიდან გავიგებ? ქრთამი აგიღია, შეგიჭამია, ღმერთმა შეგარგოს, მე სლედოვატელი კი არა ვარ!

პოლიციელი. იძინეთ მშვიდად!.. იძინეთ მშვიდად!.. მალე გვეწვევა უცხო კაცი, ჩვენს წმინდა ქალაქს ის მოუვლის როგორც რიგია!

წუწკა. რაო, მშვიდადო? არ დაიჯერო, ჯიგარო, ხაფანგს გვიგებენ!

დონ კალისტრატე. ღმერთო, სული მევსება ნეტარებით,

ნუთუ მართლა წმინდა ქალაქში აღმოვჩნდი? მეგობარო, რა ჰქვია ამ ქალაქს?

წუწკა. ჯანდაბა, რა ვიცი, რა ჰქვია!

დონ კალისტრატე. ჯანდაბა?.. ჩემი ოცნების ქალაქი!.. მეგობარო, ოცი წლის პატიოსანი შრომის შემდეგ ჩემმა უფროსმა მიღრიალა, ჯანდაბაში წასულხარო. გული მეტკინა, მეგობარო. წავალ, ბატონო, აბა, თქვენთან რა გამაძლებინებს-მეთქი. იმ დღიდან სმენა გამიმახვილდა. ქუჩაში გამვლელს შევეჯახე, ჯანდაბაში გამაგზავნა. ბავშვობის მეგობარმა ჯანდაბის გზა მიჩვენა. ცოლმა კი ჯანდაბის ორღობე იმდენჯერ მიმომატარა, ვერც დავითვლი... ვიფიქრე, მე ხომ პატიოსანი და წესიერი კაცი ვარ, ალბათ ყველა ჩემნაირი ჯანდაბაში გადასახლდა, ავდგები და მეც იმათთან წავალ-მეთქი... ჰოდა, წამოვედი!

წუწკა. ვა, ცრემლი გამომწურე რა, პაპაჩემის ნაფეხურებსა ვფიცავ, ვერაფერი გავიგე, მაგრამ სევდამ გული დამიჭკნო და ნასტრაენია გამიფუჭა!

დონ კალისტრატე. ჩემი გადაწყვეტილება ცოლმა რომ გაიგო, იკივლა, გაგიჟებულაო... ჰოდა, ჩამაგდეს პორფირე ექიმის ხელში...

წუწკა. ესე იგი ჩაგსვეს?

დონ კალისტრატე. აბა!

წუწკა. მეც ეგრე დამემართა, ჯიგარო. ერთმა ღორმა ხელი მტაცა, ფული ამომცინცლაო. მე კი, აი, შენთვის რომ არაფერი მომიპარავს, მისი ფული არც მინახავს. დამიჭირეს, ჯიბე გამიჩხრიკეს, თანხა დაემთხვა, მაგრამ რა ჩემი ბრალია, მე პატიოსანი კაცი ვარ.

დონ კალისტრატე. მჯერა, მეგობარო, მჯერა!

წუწკა. ჩუ, ტრამვაი მოდის, ვინმემ არ დაგვინახოს, ვაი, თითქოს რაღაცა ფაჩუნობს...

დონ კალისტრატე. ღმერთო, ნეტარების ამ კარიბჭესთან ნუ მომისწრებენ ჩემი ბებრუხანა და პორფირე ექიმი!

მეზღაპრე. ჯერგე-ბატონი უცხო კაცად მოემართება. აქეთ ბუთხუზა აბნეულა, გონს ვეღარ მოდის...

ბუთხუზა. თავლაფდასხმული და შერცხვენილი გამოვიქე-

ცი! ხანტუ, ოჰ, ღმერთო ჩემო, ბებერ წუნკალს მე დავუტოვე... ღრმადპატივცემულო ჯერგე, ეს რა დაგვემართა... თქვენ კი მოუსვით, მაგრამ რად არ შეგებრალათ თქვენთვის თავდადებული მამზელ ხანტუ...

ჯერგე. რაღაც ნაცნობი ხმა მომესმა!

ბუთხუზა. ჯერგე? ნეტავი სულ არ მენახეთ, ძვირი დაგვიჯდა ეგ თქვენი სურვილები!

ჯერგე. ჩემო ბუთხუზ! განა მე და შენ ერთნაირად ავიწონებით?.. ჩემმა დაიკომ ჩემთვის გასწირა თავი? ვალდებულიც იყო. მაშ ვისთვის უნდა გაეწირა?.. ღმერთია მოწმე, მებრალება, მაგრამ ვისაც მაღალი ზრახვები ამოძრავებს, არ შეუძლია შეაჩეროს ერთი ადამიანის უბედურებამ. შენ უფრო უნდა გამოგედო თავი, შენ ხომ მიჯნური ხარ. აგეღო და ყელი გამოგეღადრა მაიორისათვის... მე კი მარადისობას ვესწრაფვი, მარადისობის წინაშე ხანტუს სიცოცხლეც წვეთია.

ბუთხუზა. არა მჯერა, რომ ეგეთი ბოროტი ხარ.

ჯერგე. ბოროტი არ ვარ, ჩემი გული ცარიელია.

ბუთხუზა. და მასში მამზელ ხანტუს არა აქვს ადგილი? მე კი ვფიქრობდი, მეც ვეყვარები-მეთქი.

ჯერგე. შენ?

ბუთხუზა. მოიცათ, აქეთ ვიღაცა მოდის!

მეზღაპრე. მთლად დავიბენი! ვისაც კი მოეპრიანება, ყველა ჩემს ზღაპარში მოძვრება. ჯერ ის არ ვიცი, ნაციხარ წუწკას რა მოვუხერხო, ქურდი ლოქორაც შემომეპარა. თურმე საქმეზე გამოსულა, არ მიცნონო და პირი კაშნეთი აუხვევია, უზარმაზარი, მუქი სათვალე უკეთია, ამიტომაც თვალში ვერ იხედება, ხან რას დაეტაკება, ხან რას. ხელის ცეცებით ყველაზე მდიდრულ ფანჯარას არჩევს, შიგ გადაძვრება... აჰ, ეს სქელუას ბინა გახლავთ!

დონ კალისტრატე. ქურდია?

წუწკა. რა ჩვენი საქმეა, ყაყაჩოები ხომ არა ვართ? ნახოს რა, ხეირი!

ჯერგე. უყურე, ქურდი!

ბუთხუზა. უნდა ვიყვიროთ, სახლის პატრონს გავაგებინოთ.

ჯერგე. მოეშვი! ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს.

დონ კალისტრატე. ქურდი, ქურდი! არიქა, გამოიღვიძეთ, ქურდი!

წუწკა. გიჟია, ე! შენ გამოიპარე და სხვა გინდა ჩააყუდო?! გაჩუმდი, ყეყეჩო, ჩვენც დავიღუპებით და ეგეცა!

ჯერგე. ეგ ის არ არის, ჩვენთან ერთად რომ გამოიქცა?

ბუთხუზა. ის არის, მგონი დონ კალისტრატეს ეძახიან.

დონ კალისტრატე. არიქა, ქურდი სახლში შეიპარა, გამოიღვიძეთ!.. ქურდი!

ხმები. რა ამბავია?! რა იყო?! რამ გადარია ეს ხალხი?! რა ხდება?! ძილი დაგვიფრთხეს, პატრონი არ ჰყავს ამ ქალაქს!

ჯერგე. აქედან უნდა მოვუსვათ, თორემ ამ ამბავს ცუდი სუნი უდის.

ბუთხუზა. მეც ასე ვფიქრობ!

ღამის კაცი. ბრიყვო, ბედს თუ გაექეცა, სანეხვეში მოკვდები!

ჯერგე. რაღა ბედს, ჩხუბობენ, ღამის დაკლან ერთმანეთი!

ღამის კაცი. სხვებმა ხოცონ ერთურთი, შენ ხეირი ნახე!

ჯერგე. რჩევა ჭკუაში დამიჯდა, მე ვრჩები!

ბუთხუზა. მე სადღა წავალ, გზა ხომ არც ვიცი.

მეზღაპრე. ბედი არ სწყალობს დღეს ლოქორას. ზურგზე ტომარააკიდებული გადმოხტა თუ არა, დონ კალისტრატე დაეტაკა. ეს ზღაპრის სცენას სულაც არა ჰგავს. ორი გორაობს, ორასი კი სეირს უყურებს. ძილი დავუფრთხეთ სახელოვან მოქალაქეებს... ვინ აღარ იცნობს ბატონ სქელუას, წონით ყველაზე დიდ მოქალაქეს, ყველაზე მსუქან მის მეუღლე ეპრასიას, ყველაზე დონდლო მათ ბიჭუნას... ზევიდან კიდევ მოქალაქე კანტემირა იჭყიტება. გვერდით ცოლი ფეოდოსია ამოსდგომია. მათი გოგო ლოლიტა კი ადგილზე ცქმუტავს. სარდაფიდან პოეტი კოკორა ამოსცეცინებს მთვარეს, ვარსკვლავებსა და ლოლიტას...

ლოქორა. ვინ ოხერი ხარ, თავი დამანებე, მე ასე არ ვთამაშობ!

წუწკა. ვა, ეს ვინა ყოფილა, კაცო!

პოლიციელი. ეს რა ხდება?.. ჩხუბობენ?.. ვინ გაბედა?!

ლოქორა. მე არა, ბიძია, მე არა... ეს კაცი დამეტაკა და წამაქცია!

პოლიციელი. მოქალაქევ, რატომ წააქციე ეს პატიოსანი ჯეელი?

დონ კალისტრატე. ქურდია!

პოლიციელი. მოიპარა რამე?

ლოქორა. ღმერთი-რჯული, ჩემი ქურდობა ვინ გაიგონა?

პოლიციელი. მოქალაქევ, რატომ შეურაცხყოფ ამ ჯეელს? შეხედე, რა მოხდენილი ყმაწვილია, რა სწორი ცხვირი აქვს, განა ეგ ქურდსა ჰგავს?

დონ კალისტრატე. ბატონო, სხვისი ფანჯრიდან გადმოძვრა...

წუწკა. ვა, ლოქორა, ჯიგარო, ვერ გიცანი ამ დავიდარაბაში!

ლოქორა. წუწკა, შენა? ნახე, რას მაბრალებენ!

წუწკა. ჯიგარო, გულზე ხელი დაიდე და ისე თქვი, შეცდომა მომივიდა-თქო. ამ ყმაწვილს საკუთარი თავივით ვიცნობ!

დონ კალისტრატე. მე კი ვამტკიცებ, რომ მან ის ბინა გაძარცვა!

ჯერგე. მეც იმავეს ვამტკიცებ, ყველაფერი ჩემი თვალით დავინახე!

პოლიციელი. შენ მაინც ვინა ხარ?

ჯერგე. ვინა ვარ და მე ვიცი ვინცა ვარ!

პოლიციელი. რაღაც ძალიან უცნაურად ხართ ჩაცმულნი. მე არ მინახავს ასე ჩაცმული ხალხი!

ჯერგე. ხეპრევ, მთელი ევროპა და ამერიკა ასე იცვამს! სამასი თუმანი მიმიცია!

ლოქორა. ხალხო, ღმერთი არ იცით?

სქელუა. ღმერთის მაინც გეშინოდეთ, მოქალაქენო, ჩემგან არავის არაფერი წაუღია!

პოლიციელი. ნახე მაინც, მოქალაქევ, იქნებ ხელს გამოაყოლა რამე!

სქელუა. ჩვენს ლოქორას არ ვიცნობ? ოჯახის წევრთაგან ვერ გამომირჩევია, უნდა ფანჯრიდან შემოძვრება, უნდა სხვენიდან... შე კაი კაცო, რა მაქვს და რას მომპარავდა! ოთხმოცი მანეთი ჯამაგირი მეძლევა, კაპიკ-კაპიკ ვიზოგავთ და იმით ვცხოვრობთ!

ეპრასია. ეგა ბრძანეთ და... ლამის შიმშილით სული ამოგვძვრეს!

ბიჭუნა. ჩემი ჯინსები სადაა?.. ვინ წაიღო ჩემი ლევისები?..

ოცდახუთი თუმანი მიმიცია!

ეპრასია. ჩუმად, შე გამოთაყვანებულო, გიყიდი უკეთესს!

სქელუა. ჩემისთანა ღატაკის სახლიდან თაგვი ვერ წაიღებს საკბილოს!

კანტემირა. რა ამბავია?! ვინ არღვევს წესრიგს?!

ფეოდოსია. შენი ბრალია ყველაფერი, მიუშვი ხალხი თავის ნებაზე!

კანტემირა. გაჩუმდი, დედაკაცო, მაცალე სიტყვა!

პოლიციელი. ამ გადამთიელმა ჩვენი უპატიოსნესი ლოქორა გაგვილახა!

კანტემირა. ეუჰ, რავა გაბედა მერე?

პოლიციელი. რა ვიცი, კი გაბედა და...

ფეოდოსია. შენი ბრალია ყველაფერი, მიუშვი ხალხი თავის ნებაზე!

ლოლიტა. რა საინტერესოა!

კოკორა. ლოლიტა!

ბიჭუნა. ჩემი ლევისები მინდა, ლოქორას ავახევ ლაყუჩებს!

სქელუა. წაიყვანე, ქალო, ეს ბავშვი, გამოგვაჭენა ხალხში.

კოკორა. ლო-ლი-ტა!

ლოლიტა. რა საინტერესოა!

ბიჭუნა. პოეტო კოკორა, მოეშვი მაგ გოგოს, თორემ შენც აგახლეჩ ლაყუჩებს!

კოკორა. ფიე, რა ფინთი ხარ!

კანტემირა. გაარკვიეთ ერთი რა ხალხია!

პოლიციელი. მოქალაქენო, რა ხალხი ხართ?

დონ კალისტრატე. სახელგანთქმული დონ კალისტრატე ვარ! სიკეთე უნდა ვთესო! ისეთ ქალაქს ვეძებ, ღვაწლი და ამაგი დამიფასონ!

პოლიციელი. ისეთი ყანა მინდა, სიკეთე დავთესოო!

კანტემირა. ვინ არის, რა კაცია?

წუწკა. ამოწმებს, კანალიზაცია თუ არისო, რა! ქუჩას კარგად თუ გვიანო, ხალტურას ხომ არ აკეთებენო! რევიზიაა რა, კამისია!

პოლიციელი. რევიზია მოსულა!

კანტემირა. ოჰო!.. რომელია რევიზორი?

ჯერგე. დონ კალისტრატეს მართლაც შეუძლია ეს მისია იკისროს!

სქელუა. მთლად სამინისტროდან არ ყოფილან?!

ჯერგე. მაგრამ ამჯერად ჩვენი ჩამოსვლის მიზანი ეგ არ გახლავთ. ჩვენ საიდუმლო მისია დაგვაკისრა მთავრობამ.

კანტემირა. ბედნიერი ვარ! კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს კეთილშობილ ქალაქში!.. თქვენი სახელი მიბოძეთ!

ჯერგე. უცხო კაცი ვარ მე თქვენთვის!

ხმები. უცხო კაცი!.. ეს ყოფილა „უცხო კაცი“!

კანტემირა. „უცხო კაცი“? მერე საბუთი?.. აგრე შიშველს, მათხოვარივით ჩაცმულ-დახურულს არ მოველოდით ჩვენ „უცხო კაცს“... ის უნდა გამოგვეცხადოს ოქროს ფაეტონში, ცეცხლოვანი ცხენები რომ ექნება შებმული, ძვირფასად მოკაზმული მსახურების თანხლებით... „უცხო კაცმა“ ბედნიერება უნდა მოუტანოს ჩვენს ქალაქს...

ჯერგე. თვალებში გეპატარავები, ძია კაცო? რა ზღაპრებს ყვები?.. აჰა, ამ ზარდახშაში ჩაიხედე, აგერაა ოქროს ელვარეობაც, ცეცხლოვანი ცხენებიც, მსახურნიც...

კანტემირა. ასეთი განძი?..

ჯერგე. რა ჩირად მინდიხართ, ხუთს ვიყიდი მე ასეთ ქალაქს!

კანტემირა. ოჰ, მაპატიეთ, უცაბედად ვეღარ გიცანით! ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიხარია, თავბრუ მესხმის...

ჯერგე. მაინც რა გახარებს?

კანტემირა. ბატონო უცხო კაცო! ალბათ გაგიკვირდებათ, მაგრამ ჩვენ ისე გვიყვარს უცხო. საკუთარი ქალაქი შეიძლება დაგვავიწყდეს, საკუთარი მიწა, ჰაერი, მზე, ენა, მშობელი, მაგრამ ჩვენს გულში ღრმადაა ჩაბეჭდილი სიყვარული უცხოსადმი. მრავალი წელი ველოდით „უცხოს“... კარგად ვიცით, რომ ჩვენი ყველაფერი არაფერია, სხვისი ყოველთვის უკეთესია, გარეგნობა, ჭკუა, კულტურა... აბა, შემოგვხედეთ! რა ვართ ჩვენ თქვენთან შედარებით? ჩვენ ყველანი მახინჯნი ვჩანვართ, თქვენ კი ლამაზნი...

ჯერგე. რატომ? აი, ის გოგონა საკმაოდ მომხიბლავია.

კანტემირა. ლოლიტა? ის ჩემი გოგოა... დაიკარგე, გოგო, აქედან! თქვენ მაინც უკეთესები ხართ, თუნდაც ჩაცმულობას დავაკვირდეთ...

ჯერგე. დაგვცინის?

ბუთხუზა. მგონი აფრაკადაა.

ბიჭუნა. გვაშოვნინეთ რა ეგეთი მოდნი შმოტკები!

ჯერგე. პირდაპირ პარიზიდან გამოვიწერეთ!

ლოლიტა. რა საინტერესოა! მომაკიდებინე რა!

ჯერგე. ჩემი თავი გენაცვალოს... ვაი, მეღუტუნება!

კანტემირა. გაიწი, გოგო, იქით! ბატონო „უცხო კაცო“, პატივი დაგვდეთ და თქვენი მხლებლები წარმოგვიდგინეთ!

ჯერგე. დონ კალისტრატე, ღრმად განსწავლული ფილოსოფოსი, იცის თუ არ იცის, მაინც ყველაფერ იცის! ბუთხუზა, ჩემი საჭურჭლეთმტვირთველი... ეს კი...

წუწკა. მე?.. მე, ისა, კამისიის მდივან-პერევოდჩიკი ვარ! აი, შენ იტყვი, მე ვთარგმნი რა, ქართულიდან ქართულად და პირიქით, აი...

კანტემირა. ჰოდა, იმას გეუბნებოდით, რომ ჩვენ, ამ ქალაქის მცხოვრებლებმა გადავწყვიტეთ, თუ ვინმე უცხო კარს მოგვადგებოდა, თავზე დაგვესვა...

ჯერგე. როგორ თავზე?

კანტემირა. ჩვენ ქალაქს უნდა უპატრონოთ, გთხოვთ, ნუ დაგვიწუნებთ!

ჯერგე. არა, დაწუნება რა შუაშია. ოღონდ მძიმე ტვირთს მკიდებთ. ჯანდაბას ჩემი თავი, მეგობრების დახმარებით რამენაირად მოგივლით.

ლოქორა. მე რას მიპირებთ, ბატონო?

დონ კალისტრატე. მე თუ მკითხავთ, ქურდი მაინც ქურდია.

კანტემირა. რა ვუყოთ ახლა ამას?

ჯერგე. ციხე გაქვთ?

ლოქორა. ნუ დამღუპავთ, ბატონო!

ჯერგე. ჩაამწყვდიეთ! როცა მომეპრიანება, ამნისტიას გამოვაცხადებ და გამოვუშვებ!

კანტემირა. ვაშა, რა ბრძნული გადაწყვეტილებაა! ტაში, მეგობრებო!

ჯერგე. ეს ტომარა კი... სქელუა, მაშ შენი ამაში არაფერია?

სქელუა. არა, ბატონო, არაფერი!

ჯერგე. მდივან-პერევოდჩიკო, შენ ეს წამოიღე, მერე გამოვშიგნოთ!

ლოლიტა. რა საინტერესოა!

კოკორა. ლო-ლი-ტა!

ბიჭუნა. გაიწი, თორემ გაგალოლიტებ მე შენ!

კოკორა. ვა, რა ფინთი ხარ!

კანტემირა. გთხოვთ, დილამდე ჩემთან მოისვენოთ, ჩემი სახლი თქვენი სახლია.

ჯერგე. თქვენი ქალიშვილი ევროპაში ყოფილა?

კანტემირა. ევროპაში? აქედან შორსაა?

ჯერგე. იმ მთის გაღმაა! იქ სტუმარს შინისაკენ ლამაზი გოგო მიაცილებს.

ლოლიტა. დედა, რა საინტერესოა!

დილის ბიჭუნა. შესდექ, იფიქრე! ფართო შარაგზა არ გეგონოს, ბეწვის ხიდია!

ჯერგე. ოქროდედას გაზრდილი კისერს არ მოიტეხს. გზა დამიცალე!

მეზღაპრე. მთლად დაგვავიწყდა ჩვენ მაიორი...

მაიორი. სდექ და ხელები მაღლა! ყველას გაპატიმრებთ!

კანტემირა. ეს გიჟი ვინ არის?

ზემდეგი. სდექიო რომ გითხრეს, სდექ და მერე გაიგებ ვინცაა!

მაიორი. ცოლისძმავ, ტყუილად გადაგიწყვეტია ჩემი ნათესაური ხვევნისაგან თავის დაღწევა!

ჯერგე. ეს კაცი ალბათ მზითევში მერგო!.. კარგი, კარგი, დამშვიდდი, ბერიკაცო! მე ამ ქალაქის მეფე ვხდები, შენ კი მეციხოვნედ გნიშნავ!

6

მეზღაპრე. მეფე არ კვდება, ასე ბრძანა ჭაბუკმა ჯერგემ. ის წელიწადი იმტკიცებდა ძალაუფლებას, ტკიპასავით გაეკრა ადგილს. ოქროს ეპოქა დავიწყეო, გაიძახოდა, ოქროს ეპოქას საკუთარი თავისთვის ჭედდა. მაგრამ მოვიდა სხვა დროება, რაც ააშენა, ის დაინგრა, გაუფასურდა ყოველივე, თუმც გვიან ნახა ფლიდთ მუშაკობა. ერთი წლისთავი... ქალაქის ბაღი... თეთრი ზეწარი აფარია ჯერგეს ქანდაკს. მოქალაქენი საზეიმო მიტინგს მართავენ. ტრანსპარანტები აღუმართავთ, გაუმარჯოსო უცხო კაცსო, მხიარულება და ქეიფი ჩვენს ჯერგესო... იქვე ორკესტრი: ბასგიტარა, დოლი, საყვირი... ვაშა და ვაშა! — აღმა-დაღმა ბრბოს გადაუვლის... თან ნერწყვს ყლაპავენ, დიდ-პატარა სუფრას გაჰყურებს, მთავარ პროსპექტის მთელ სიგრძეზე რომ გაჭიმულა...

კანტემირა. მოქალაქენო! ჩვენი უმწიკვლო ქალაქის მრავალათასწლიან ისტორიაში მოხდა ისტორიული მოვლენა. ქრონოგრაფოსები, დარწმუნებული ვარ, ამ ამბავს ჩუმად არ ჩაუვლიან, თუ, რასაკვირველია, ორი თავი არ აბიათ. ჩვენს უპატრონო ქალაქს ერთი წელია გამოუჩნდა პატრონი. უცხო კაცმა ინება მობრძანება და ამ ქალაქის მართვის უმძიმესი სადავეები ჩაიბარა, რადგან ჩვენ ისეთ ქალაქში ვცხოვრობდით, თვითონ ერთმანეთი ვერ აგვერჩია. ღმერთმა ნუ ქნას, რომელიმე ჩვენთაგანი დაეპატრონოს ამ მაღალ თანამდებობას, უმალვე დავესევით და შევსანსლავთ. გადაწყდა, დავლოდებოდით უცხო კაცს, ვისაც იმოდენა პატივმოყვარეობა აღმოაჩნდებოდა, ამ თანამდებობას წაეპოტინებოდა. ჩვენი ლოდინი უქმად არ დამთავრებულა. ამიტომაც მადლიერმა ქალაქელებმა თავის ბატონს დაუდგა ეს დროებითი ძეგლი. ჩვენ ვიცით, რომ უცხო კაცი ოქროს ძეგლის ღირსია, მაგრამ ქალაქის ბიუჯეტი ამჯერად ამდენს ვერ აიტანს. გაუმარჯოს უცხო კაცს და მის თანამებრძოლებს!

ხმები. ვაშა!.. დიდება!.. ვაშა!..

სიკოია-ოფიციანტი. 299, 300, 301, 302... ამდენი დანა-

ჩანგალი მთელ ქალაქში არა გვაქვს... კიდევ ერთი-ორი ეგეთი ზეიმი და გავწყდებით წელში... 303, 304, 305... ვინ ეშმაკმა დაგვასვა ზურგზე ეგ ღდინძაღლი, კანტემირა არ გვეყოფოდა?.. 306, 307, 308... მერე და ვინ გადაიხდის ამ დანახარჯს?.. 309, 310, 311... ორმოცდაათი გოჭი დაგვჭირდა, თითო ოც კაცზე, ქათამი — თითო ხუთ კაცზე... პაწია ხბო, სამას კილომდე... 312, 313, 314... ფული კანტემირამ უნდა ჩამირიცხოს, თორემ არაფერი გვიკლია გაკოტრებამდე...

სქელუა. როგორაა საქმე?

სიკოია. რიგზეა, ხაზეინ, ხუთასი კაცის ხორაგი გვაქვს...

სქელუა. ხომ იცი, რომ არ მოეწონოს, მაიორი თავებს დაგვაყრევინებს.

სიკოია. მე ვიცი და ჩემმა მარიფათმა!

სქელუა. აბა, აბა, შენ იცი!

ხმები. ვაშა, ვაშა!..

მეზღაპრე. იქ მიტინგია, აქ კოკორა კაკანათს აბამს...

კოკორა. დიახ, საინტერესოზე საინტერესოა, დიდებულია... ამ ერთი წლის წინ ჩვენ ვიხილეთ თვით საოცრება. გახსოვთ, პირველ დღეს რა გმირულად გადაუდგა წინ ლოქორას. წუხელ მთელი ღამე არ მიძინია, სულ ჩვენს ჯერგეზე ვფიქრობდი. გადავწყვიტე, ოდა მივუძღვნა. ამ დილით თავზე ცივი წყალი გადავისხი, ფეხები ცხელ წყალში ჩავდგი და მაღალი ძაბვით დამუხტულმა დავწერე „ჰიმნი უცხო კაცს!“ ასი სტროფი... დიახ, ძვირფასო ლოლიტა, მოგეხსენებათ, ტრაბახი არ მიყვარს, მაგრამ რაც ღმერთს ჩემთვის უხვად მოუნიჭებია, ვერ დავმალავ. ფული მაქვს ცოტა, თორემ ნიჭიერება ჩემი შთამომავლობის ათ საფეხურს გადასწვდება.

ლოლიტა. ძალიან ნიჭიერი ხარ, ბიჭუნასი მრცხვენია, თორემ გაკოცებდი.

კოკორა. მაკოცე რა!

ბიჭუნა. თუ გინდა აი, ეს მუშტი გაკოცებს!

კოკორა. რა შენი საქმეა? მე პოეტი ვარ, ნაზი არსება, ეგრე უხეშად არ უნდა მომექცეთ!

ბიჭუნა. მორჩი ერთი, გვერდების ფხანა არ მომთხოვო!

მეზღაპრე. აგერ დედიკო ეპრასია გოგლიმოგლს დღვებავს...

ეპრასია. ეს გოგლიმოგლი მოგიდღვიბე, ერთი კოვზი მაინც შეჭამე, დედა გენაცვალოს!

ბიჭუნა. არ მინდა, დედა, ახლა არ ვისადილე?

კანტემირა. მისალმებისათვის სიტყვას ვაძლევ ქალაქის პატიოსნების საზომს, ადამიანს, რომელსაც ოცი მილიონი მანეთის სახელმწიფო ქონება აბარია, თვითონ კი ოთხმოცი მანეთით ცხოვრობს და, როგორც მაღალი ინსტანციებისათვისაა ცნობილი, ქრონიკულად შიმშილობს, ჩვენს სქელუას!

სქელუა. მოქალაქენო! მოგეხსენებათ, აღებ-მიცემობის სპეციალისტი ვარ, ყველანი კარგად მიცნობთ...

ხმები. გიცნობთ, გიცნობთ, რა ხილიცა ხარ!

სქელუა. ჰოდა, თქვენი სახელით მივესალმები ჩვენს მფარველს, უცხო კაცს. იგი იმყოფება სასახლეში, სადაც დღე და ღამე ჩვენზე ზრუნავს. მოგეხსენებათ, ის სასახლე ამ მიზნით ავაგეთ თავის დროზე. ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, ვერც გავბედავთ, თვალი შევავლოთ იმ ადამიანს, რადგან შესაძლებელია მისმა ბრწყინვალებამ დაგვაბრმავოს, მაგრამ ჩვენ შორის არიან მისი თანამებრძოლები. შეხედეთ, აგერ დგას დიდი თეორეტიკოსი დონ კალისტრატე! რა ბრძნული გამოხედვა აქვს, მაღალი შუბლი მის ნათელ გონიერებას მეტყველებს...

დონ კალისტრატე. გეხვეწებით, ამდენს ნუ მაქებთ!

სქელუა. აგერ ძვირფასი ბუთხუზა! მის ტანკენარ აღნაგობას შეხედეთ! ჩვენი ქალები ჭკუას კარგავენ, მაგრამ ნურას უკაცრავად, ამურის ქსელში ვერავინ გაახვია ეს უმწიკვლო ადამიანი...

ბუთხუზა. ღრმად პატივცემულნო... ძვირფასნო!.. არ ვიცი, რა ვთქვა!

სქელუა. აგერ მრისხანე მოღვაწე, სიმართლისათვის მებრძოლი, სიწმინდის განსახიერება, თქვენ თვითონ მიხვდებით, ვინა მყავს მხედველობაში...

მაიორი. დიახ, დიახ, მე მიყვარს წესრიგი!

სქელუა. დაბოლოს, უჩვეულო ენერგიის ადამიანი, ფხიზელი რეალისტი, ბელადის ეკონომიკური გენია, ჩვენი წუწკა!

წუწკა. არა, ღმერთმანი, კარგები ხართ, რა... რას ერჩი, კანალიზაცია ისპრავნია, ახლა რომ ვიქეიფებთ, უფრო ისპრავნი იქნება...

სქელუა. მე პატარა კაცი ვარ, სიტყვასაც პატარას ვამბობ, მაგრამ ჩემი გული აღსავსეა სიყვარულით ჩვენი ქალაქის თავისადმი... ვაშა, მეგობრებო!

ხალხი. ვაშა!..

კანტემირა. ახლა ცოტას ჩვენი პოეტი გაგვართობს!

ხალხი. კოკორა, კოკორა!.. სადა ხარ, ბიჭო, კოკორა?!

კოკორა. ძვირფასო თანამოქალაქენო, მრცხვენია!

ხმები. კაი ახლა, ნუ გვახვეწნინებ!.. გრცხვენოდეს და ისე ილაპარაკე!.. ახლა ამის ბჟუტური გვაკლდა სწორედ!.. თქვი, ბიჭო, ამოშაქრე, გაცივდა ხაშლამა!

კოკორა. ამ პატივსაცემი მოღვაწეებისა მრცხვენია!

ხმები. გავიყვანოთ, აბა, ეს ხალხი აქედან? მაგათთვისა ვართ მოსულნი! ჩამოეთრიე, თუ მეტს ვერაფერს იტყვი!

კოკორა. წუხელ თეთრად გავათენე. აღტაცებული ვარ უცხო კაცით. ზუსტად ერთი წლის წინ, თანამებრძოლთა სათავეში გამოცხადდა იგი ვითარცა ჰერაკლე, როგორც დევგმირი ამირანი და თითის გაუნძრევლად დაამარცხა ბოროტი ურჩხული ლოქორა!

ხმა. ვა, ეს რა ენაგატლეკილი ყოფილა!.. ლექსის კითხვა არ დაიწყოს, თორემ დავიღუპებით!

კოკორა. ვინ იყო მაგი? ნიკოია, შენზე გავაშანშალებ ამაღამ ფელეტონს!

ხმა. ბოდიში, ბატონო, რაც გინდა, ის ქენი!

კოკორა. მაწყვეტინებთ, თორემ აქამდე მოვათავებდი!.. ოდა „ჰიმნი უცხო კაცს“, ვუძღვნი უცხო კაცს! სიტყვები კოკორასი, არ გეგონოთ ლოქორასი!

ბიჭუნა. გამოვა ლოქორა და დაგილილავებს გვერდებს!

კოკორა. ის გამოვა და შენ შეხვალ!

სქელუა. ვის უბედავ მაგას შენ?

ბიჭუნა. გამიშვით, ავახიო ლაყუჩები!

ეპრასია. დედა გენაცვალოს, ჯერ ეს კოვზი გოგლიმოგლი

შესანსლე და მერე ააxიე ლაყუჩები!

წუწკა. აი, სეირი, მიდი, მიდი!

დონ კალისტრატე. მოქალაქენო, ვაცალოთ პოეტს!

მაიორი. მგონი, აქ სამხედრო დისციპლინა მოიკოჭლებს!

ბიჭუნა. პოეტი კი არა, ნეxვის გორაა მაგი!

კოკორა. ბიჭუნ, შე ცუდო, შენა! შე მართლა ფინთო!

ლოლიტა. დედა-ა, რა საინტერესოა! ბიჭუნ, არ ცემო რა, მეცოდება!

კანტემირა. ზოგიერთები აქ სახელს გვიტეxენ! სქელუა, მიxედე, კაცო, შენს ბაღანას! კოკორა-პოეტო, შენი პოემა წერილობით წარმოადგინე, რეზოლუციას დავადებ და ქალაქის ბიუჯეტიდან გადაგიxდით, ოღონდ შიგ არ ვნახო ურითმო სტრიქონი!

კოკორა. ყველაფერი რიგზე იქნება, ბატონო, რიტმიც, რითმაც, თვითონ დაინახავთ, ყველაფერი ნამდვილივითაა...

დონ კალისტრატე. ნიჭიერი ყმაწვილი ჩანს, კარის პოეტის ფxას ავლენს!

მაიორი. ამ პოეტებთან ცოტა ფxიზლად უნდა ვიყოთ. ესენი ბავშვებივით არიან, უნებლიეთ შეუძლიათ ავნონ ქალაქის თავის მაღალ რეპუტაციას.

კანტემირა. ბატონ მაიორს ვთxოვოთ!

მაიორი. მე სათქმელი არაფერი მაქვს. აქ ჩვენ იმიტომა ვართ, რომ გასწავლოთ წესრიგი. სადაც ყველა ერთად ტლიკინებს, იქ წესრიგი არ არის. სადაც ერთი ტლიკინებს და სxვები უსმენენ, ესაა ჭეშმარიტი თავისუფლება! თუ დამიჯერებთ, სამxედრო ბანაკის სიტკბოებით ვიცxოვრებთ, თუ არ დამიჯერებთ, მაშინაც ასე ვიცxოვრებთ. რადგანაც მართალი ვარ, ამიტომაც ვარ მართალი და გაუგებარია, რატომ არ უნდა დამეთანxმოთ!

კოკორა. დიდება მაიორს, თავისუფლების მედროშეს!

ხმები. დიდება, დიდება!

დონ კალისტრატე. მეგობრებო, თქვენ რომ გიყურებთ, ჩემი თვალებიდან პირდაპირ სიxარულის ცრემლები მოსჩქეფს! თქვენ ისე გიყვართ ჩვენი ჯერგე!.. მეც ძალიან მიყვარს, როცა მეფერებით... დიახ, დიახ... პატარა ბავშვს ვემსგავსები...

წუწკა. დროა, ბატონო!

დონ კალისტრატე. რა თქვი?.. ესე იგი მიმიღეთ, ვითარცა თქვენი ქალაქის მფარველი ანგელოზი!

წუწკა. დროა, ბატონო!

დონ კალისტრატე. რა?

წუწკა. ჭამა, ბატონო! დილის აქეთ არაფერი გვიჭამია... თქვენ ისეთი წმინდანი ხართ, ჭამა სულ არ გახსენდებათ!

დონ კალისტრატე. მერე ძეგლი?..

წუწკა. ჰო, მართლა, პამიატნიკი ხომ უნდა გავხსნათ?!

კანტემირა. უცხო კაცის, ჩვენი ბელადის ძეგლს გახსნილად ვაცხადებ!

მეზღაპრე. ეს თეთრი ტილო ბევრ რამეს ფარავს, ჩამოაცილებ და... კვარცხლბეკზე დადგმულ სავარძელში ზის ჩვენი ჯერგე.

წუწკა. ვა, საღოლ, როგორა ჰგავს?!

მაიორი. ყოჩაღ! ასე მგონია, ცოცხალია!

დონ კალისტრატე. უფალო შემიწყალე, ქვა ხომ არ გააცოცხლეს?

კანტემირა. ნიჭიერია ჩვენი მოქანდაკე!

მაიორი. რა მასალა გამოიყენა?

კანტემირა. ჯერჯერობით თაბაშირია, მომდევნო კვარტალში პოროსის მარმარილოს მივიღებთ!

წუწკა. ჰა, წავიდეთ რა. ქეიფი გველის! ქვა მაინც ქვაა, მაგას არ მოშივდება!

კანტემირა. მობრძანდით, მეგობრებო, მცირე საუზმე მივირთვათ!

სიკოია. ამას თუ საუზმე ჰქვია! არ გადაჭამეს მთელი ქალაქი?! მობრძანდით, მოქალაქენო, მობრძანდით!

ჯერგე. ვერაფერს მიხვდნენ! ამ ჩერჩეტებს მართლაც ქანდაკება ვგონივარ. ერთი წელია ამ ქალაქის თავი გავხდი. ყველა მე მემსახურება. ცხოვრება გამიიოლდა. დღე და ღამე ქეიფსა და ლხინში ვარ. სიმდიდრე არ მაკლია და ქალები. დროსტარებამ ყველაფერი გადამავიწყა. ხანდახან საკუთარი სახელი არ მახსენდება. ჩემს თავს „დიდ ბელადს“ ან „უცხო კაცს“ ვეძახი. ვინც მახვევია, ყველას ვუყვარვარ, ნებისმიერ

სურვილს წამში მისრულებენ. დღეში სამჯერ მიწყობენ საზეიმო მსვლელობებსა და აღლუმებს. რაც ქვეყნად მედალი, საპატიო სიგელი და სამკერდე ნიშანია, ყველაფრით დამაჯილდოვეს, რაც საპატიო წოდებაა, ყველაფერი მომანიჭეს. ჰოდა, ვიფიქრე, მეტი რა გინდა, ადამიანო?.. რა მინდა და მომწყინდა!.. განა სიმდიდრისა და კარიერისათვის დავტოვე ოქროდედას ქოხი?.. იქნებ თავი მივანებო აქაურობას და გავიქცე?.. ეჰ, ძნელია ამის გადაწყვეტა... ჩუ, ერთი ეს ჩემი თანაშემწენი გავამასხრო!

ლოლიტა. დედა, რა ლამაზია!

კოკორა. მაგას ნუ უყურებ, ლოლიტა, მე შემომხედე, მე!

ლოლიტა. შენც კარგი ბიჭი ხარ, დედას გეფიცები!

ბიჭუნა. ლოლიტა, ხომ იცი როგორი გული მაქვს. დაგინახავ და ეგ ოხერი რაღაც სხვანაირად იწყებს ხუნტრუცს...

ლოლიტა. უცნაურად მელაპარაკები, ბიჭი!

ბიჭუნა. აი, სულ სხვანაირი ვარ რა, გიყურებ და კუჭი მეწვის.

ლოლიტა. კუჭი რა შუაშია?

ბიჭუნა. როცა შენ გხედავ, სულ ნერწყვი მომდის, მინდა ერთი შემწვარი გოჭი გადავსანსლო.

კოკორა. შენ გადასანსლე ცეცხლი და ნაკვერჩხალი!

ლოლიტა. რა საინტერესოა!

ეპრასია. ერთი კოვზი გოგლიმოგლი შეჭამე, დედა გენაცვალოს!

ბიჭუნა. მაცალე, დედა, ვერა ხედავ, ქალს ვთხოულობ!

ეპრასია. ჯერ ეს გოგლიმოგლი ამოტლიკე, მერე გინდა ქალი ითხოვე, გინდ რაც გინდა!

კოკორა. შენ ვინ გაგატანს მაგეთ გოგოს, შე ჯანში ჭკუაწასულო, შენა!

ბიჭუნა. მიიწი, თორემ გადაგყლაპე!

კოკორა. ყელზე არ დაგადგე, შე გოგლიმოგლით მოთხიპნილო, შე ფელეტონის გმირო, შე ცუდო, შენა!

ბიჭუნა. დედა, მომაშორე ეს ვირთხა, თორემ ავახევ ლაყუჩებს!

ეპრასია. არა გრცხვენია, კოკორა, ჩხუბობ და ჭამას არ აცლი ბავშვს!

კოკორა. ჰმ, ბავშვს!.. მოვიცლი მე თქვენთვის!

ლოლიტა. დედა, რა საინტერესოა!.. კოკორა, ბიჭუნა, ტყუილუბრალოდ ჩხუბობთ, ორთავენი მიყვარხართ!

კოკორა. მერე ასე როგორ იქნება, ორი ქმარი არ გამიგია მე...

ლოლიტა. მაგრამ მე მესამე უფრო მიყვარს, მე გმირის ხვედრი ვარ!

ჯერგე. ჰაი, გიდი, ეს გოგოც მე ჩამიგორდება...

ბიჭუნა. მერე მე გმირი არა ვარ?.. გინდა ისე დავტრიალდე, სულ მივლეწ-მოვლეწო აქაურობა!

ეპრასია. ეს ერთი კოვზი გოგლიმოგლიც გადასანსლე, დედა გენაცვალოს, ღონე მოგემატება. მაშინ თუ გინდა მილეწე და თუ გინდა მოლეწე!

კოკორა. ჰა, შეუშვი სპილო ფაიფურის მაღაზიაში, კარგ დღეს დაათენებს! მე ვარ გმირი, შენ კი არა! სულით გჯობივარ... პოეტი ვარ, სიმართლეს ვქადაგებ, ვერავინ მომისყიდის!.. ვაი, ეს ვინ მოდის?.. უკაცრავად, ქალბატონო ფეოდოსია, ბატონმა კანტემირამ ჩემს ოდას რეზოლუცია დაადო!

ფეოდოსია. რაო? ოდა უნდა აიშენო? მერე სადა გაქვს, ბეჩა, მიწის ნაკვეთი, რითი გინდა მასალა იყიდო? ან მასალა სად იშოვება?

კოკორა. არა, ქალბატონო! მე დავწერე პოემა „ჰიმნი ჯერგეს“ და ასე შემდეგ. ბატონმა კანტემირამ, აგინაზღაურებო!

ფეოდოსია. სადა აქვს, ბეჩა, ქალაქს ამდენი ფული?

კოკორა. მაშ რა ვქნა?

ფეოდოსია. ეგერაა სუფრა, მიდი, ყველი და პური მოციცქნე!

ჯერგე. ბიჭოს, აქამდე მეგონა ქალაქს ვმართავ-მეთქი, თურმე ეს დედაკაცი არ მართავს?

კოკორა. უჰ, შენი... სიძე რომ გაგიხდები, კარგად აგაჭიკჭიკებ!

ბიჭუნა. ესეც შენი გმირი! მათხოვარი!

კოკორა. შენ თვითონ სპეკულიანტო!

მაიორი. აბა, აბა, ყმაწვილებო, დაშოშმინდით! უპირველეს ყოვლისა, წესრიგია საჭირო... აქედან მარშ, ერთი, ორი... ბატონო პოლიციელო, აქეთ მობრძანდი!.. რასა იქმს შენი საბრალო პატიმარი?

პოლიციელი. აქ ასეთი ქეიფია, საკანში ჩაკეტილი კაცი

როგორ იქნება!

მაიორი. მაგ საქმეს როგორმე უნდა ვუშველოთ. ყური მოსწი აქეთ!.. მე რომ მკითხო, ჩვენი ბელადი ცოტათი უსამართლოა.

პოლიციელი. რა ვიცი, აბა...

მაიორი. ასეთი მშვენიერი ახალგაზრდა გამოკეტა მთელი წლით. აქ, მე ვფიქრობ, პოლიტიკური ოპოზიციის ჩახშობის ცდაა.

პოლიციელი. მმ!.. თქვენ ასე ფიქრობთ?

ჯერგე. ჰაი, დედასა, მგელს ცხვრის ქურქი ჩააცვი, ბუნებას მაინც არ შეიცვლის. აი, თურმე ვინ მიწყობს შეთქმულებას.

მაიორი. არა, მთლად წამხდარი მმართველი არ არის, ცოტა სასტიკია. მე ვინც დავიჭირე, სულ მაგის ბრძანებით ვქენი, რომ იცოდე.

პოლიციელი. ნუთუ?

მაიორი. ოღონდ შენც სუ და მეც სუ... სხვებთან არაფერი წამოგცდეს.

დონ კალისტრატე. მე, მეგობრებო, სხვანაირი კაცი ვარ. თქვენ ჯერაც არ მიცნობთ. საერთოდ არავინ მიცნობს. ცოლი რომ ცოლია, ისიც არ მიცნობდა, თორემ რა უნდოდა? ჩემისთანა ოქრო ქმარი მუთაქასავით რომ იყოს მიგდებული, მაინც ფული ღირს...

წუწკა. ფული ვის არ უყვარს...

დონ კალისტრატე. ჰოდა, აქ ჩამოვედი და გაგაბედნიერეთ!

კანტემირა. ჭეშმარიტად!

დონ კალისტრატე. მე რომ ჭკუას არ ვარიგებდე ჩვენს ჯერგეს...

წუწკა. ამ უტვინოს თავისი ენა დაღუპავს.

დონ კალისტრატე. ჰოდა, იმას ვყვებოდი, მე ცის კაცი ვარ და ახლაც მაოცებს, პირველობა ჯერგეს რომ ერგო.

მაიორი. ყოჩაღ, დონ კალისტრატე, ყოჩაღ!

დონ კალისტრატე. ისეთი რა ვთქვი ახლა მე?

მაიორი. არაფერი!.. ყური მათხოვე! ცამდე მართალი ხარ. ღვთისაგან ხელცხებულს და იდეოლოგს მეტი უფლებები უნდა გქონდეს. ვფიქრობ, მთელი ქალაქი შენს გაბატონებაზე ოცნებობს.

დონ კალისტრატე. მართლა? ამაზე მე და თქვენ თათბირი გვმართებს, ჩემო მაიორო! ცოტა განზე გავდგეთ!

კანტემირა. რაღა დაგიმალოთ და ამ ქალაქში თავი და თავი

მე ვარ, მუჭში მყავს მთელი ქალაქი გამოჭერილი. ერთ დროს გამიჭირდა, ხალხი კინაღამ ამიჯანყდა. ზუსტად ამ დროს შევაჩეჩე „უცხო კაცი“. ხალხი ნახირივითაა, ჭკუით თუ აჯობე, საითკენაც გინდა, იქით გარეკავ. ამ ბრიყვს ჰგონია, ქალაქს მართავს... ეგონოს, დრო ატაროს, ძეგლები იშენოს...

წუწკა. აი გაძღომაც ეგაა და... ე, რა კაი ხალხია... ამოდენა პურმარილს ახლა ერთი დიაცი დაამშვენებდა. აგე, კანტემირას გოგო, კაი ნაჭერი კია, ყეინიც ვერ დაიწუნებდა.

ლოლიტა. უცნაურად მიყურებს... რამე ხომ არ მიჩანს? თუმცა მიყუროს რა...

წუწკა. გოგონი, გეხუნტრუცე, აქ სად იყიდება პაპიროსი?

ლოლიტა. ბაზრის მოედანზე!

კოკორა. მეგობარო, მე გიშოვი...

წუწკა. რას ეჩრები ერთი, ტრეტი ლიშნი არ იცი?!

კოკორა. მე ლიშნი კი არა ქალაქის პოეტი ვარ.

წუწკა. ჰა, გიჟპოეტა ხარ? მეც გიჟპოეტა ვარ, ლაგერში ეგრე მეძახდნენ!

კოკორა. საბავშვო ბანაკში იყავით ალბათ?

წუწკა. ჰო რა, მე და ლოქორა ერთად ვისხედით მაგ ბანაკში. იქ ვისწავლეთ შენისთანა აბეზარების თავიდან მოშორება. აჰა, მანეთიანი, წადი, პაპიროსი მომირბენინე, არც ხურდა მინდა, არც ძალიან მეჩქარება.

კოკორა. თქვენისთანა დიდი ადამიანის პატივსაცემად ფრთებს შევისხამ!

წუწკა. ესეც ასე, ძლივს არ მოვიშორეთ? ჰოდა, იმას ვყვებოდი, იმ ლაგერში მე და ლოქორა...

ლოლიტა. ბანაკში...

წუწკა. ჰო რა, ოღონდ მამაკაცების ბანაკში, შენისთანა პონჩიკა გოგოები მესიზმრებოდა. აი, თვალს დავხუჭავდი და ვითომ ლოგინში შემომიძვრებოდა, მომეხუნტრუცებოდა, გავახელდი და ფაფუ, აღარ არის!

ლოლიტა. მრცხვენია, ეგ რაებს მელაპარაკებით!

წუწკა. ხომ ხარ თანამედროვე გოგო?

ლოლიტა. კი!

წუწკა. დიდ ქალაქებში, გაგონილი გექნება, ქუჩაში ისე ვერ გაივლი, შენისთანა პონჩიკა გოგოები ჩემისთანა ბიძებს ეხუნტრუცებიან!

ლოლიტა. ჩვენთან მაგი არ შეიძლება, მამიკო გაგვიგებს. თანაც მე ჯერ ბავშვი ვარ, ერთხელაც არ გავთხოვებულვარ!

წუწკა. შენც იცი, თუ გათხოვება მოიფიქრე, პირველად ჩემზე გამოთხოვდი, მერე ვისზეც გინდა...

ჯერგე. უყურე ამ ჩიტირეკიას!

წუწკა. ვაი, თითქოს ვიღაცამ რაღაცა თქვა!

ლოლიტა. მეც მომესმა!

წუწკა. ეს პამიატნიკი მგონი მართლა გაცოცხლდა. ცოცხალს კი გავს და... ვუჩქმიტო?

ჯერგე. ვაი!

ლოლიტა. ვაი!

წუწკა. რა იყო, რა მოგეჩვენა, ქვა არის რა... ალბათ სხვა ვიღაც ყვიროდა... აი, სეირი!.. აქაურობას გავეცალო...

ჯერგე. ლოლიტა-ა!

ლოლიტა. ვაიმე, მართლა გაცოცხლებულა!

ჯერგე. მოიცა, გოგო, ნუ გეშინია!

ლოლიტა. როგორ არ მეშინოდეს? ქანდაკებისა ხომ მეშინია და მეშინია, თუ ქანდაკება არა ხარ, უფრო მეშინია.

ჯერგე. უფრო რატომ?

ლოლიტა. ქალაქში ჭორი დადის, კაციჭამიაოო...

ჯერგე. მე, კაციჭამია?

ლოლიტა. ვინც ბოლო დროს დაიჭირეს, სულ შენი ბრძანებითა ყოფილა.

ჯერგე. დამნაშავეებს თავზე ხელს ხომ არ გადავუსვამ?

ლოლიტა. მეც მეშინია, არაფერი მავნო!

ჯერგე. შენი ვნება რა მოსატანია და რომ მოგეფერო?..

ლოლიტა. მოფერების არ მეშინია.

ჯერგე. მოდი, მოგეფერები!

ლოლიტა. არაფერს მიზამ?

ჯერგე. რასაც სურვილი მიკარნახებს, იმაზე მეტს არაფერს.

ლოლიტა. დედაჩემი ჩემს საქმროს სანთლით დაეძებს. შინ

სულ ჩხუბი გვაქვს. ხან იმ ბებერ დონ კალისტრატეს უნდა მიმათხოვოს, ხან იმ ბულდოგ მაიორს, ოღონდ ჯერ ცოლს გავაშორებო. აქეთ წუწკაც მეარშიყება. გუშინწინ კი ზემდეგმა ცუდ ადგილას მიჩქმიტა...

ჯერგე. მერე შენ რა ქენი?

ლოლიტა. მე ვეუბნები, ყველაზე მეტად ჯერგე მომწონს-მეთქი. მაგისი საქმე წასულიაო, დედიკომ მითხრა, უნდა ჩამოვაგდოთო...

ჯერგე. რატომო, არა თქვა?

ლოლიტა. რა ვიცი! ჯერ ჩამოვაგდებთ, მიზეზი მერეც დაიძებნებაო.

ჯერგე. აფსუს, დამთავრდა კარგი დღეები. ჩემი ბრალია. ხელისუფლება კალთაში ჩამიგორდა თოთო ბავშვივით. უნდა მომევლო, გამომეკვება. მე კი ჩემთვის ვიმეფე, სხვისთვის არა გამიკეთებია რა, არც მივნია, არც ამიშენებია. ახლა ჩემზე უარესები დამესევიან და შემჭამენ... ესეც შენი უკვდავება... შენ მაინც არ დამტოვო, ჩემო ანგელოზო, მოდი, მაკოცე!

ლოლიტა. უი, მრცხვენია...

ჯერგე. კიდევ მაკოცე!

ლოლიტა. შენ თურმე ძველმოდურად იკოცნები, ახლა აი, ასე იკოცნებიან!

ჯერგე. ბიჭოს, საიდან ასეთი გამოცდილება? ვინ გასწავლა?

ლოლიტა. ბიჭუნამ და კოკორამ, და-ძმურად ვკოცნაობდით.

ჯერგე. ბაბუა გიცხონდათ... ჩუ, აქეთ მოდიან! იცოდე, არ გამცე!

მაიორი. ასეა საქმე, მეგობრებო, ბოლო უნდა მოვუღოთ ტირანიას. კმარა, რაც ვითმინეთ! განსაკუთრებით მე ვითმენ, რადგან დიდი უსამართლობაა, ჩემზე მაღალი თანამდებობა ღმერთის გარდა ვინმეს ეჭიროს. მე უკეთ ვიცი, რანაირად მოვუარო ამ ქალაქს...

კანტემირა. მე რას მოვიგებ აქედან?

მაიორი. კვლავ პირველი კაცი იქნები. ჩემი ძლიერი მარჯვენა დათრგუნავს ყოველგვარ წინააღმდეგობას!

დონ კალისტრატე. შვილო ჩემო, მე სულისათვის უფრო ვიღვწი, მაგრამ პირველკაცობა სულით ამაღლებულს უფრო

სჭირდება. ამით თვით სული ამაღლდება!

მაიორი. ორივეს პირველ კაცად გაგხდით. თქვენ რომ იჩაგრებით, ის მაწუხებს, თორემ ჯანდაბას ჩემი თავი. ბოლო-ბოლო მე ჩვენი ბელადის სიძე ვარ და მოგეხსენებათ როგორ ვუყვარვარ, მაგრამ სამართლიანობამ უნდა გაიმარჯვოს.

წუწკა. მეც არ გამოგრჩე ჯიგრულად, ერთი სკამეიკა მეც ხომ მინდა!

მაიორი. არც შენ დაიჩაგრები, ჩემო წუწკა, სახრავი ყელამდე გექნება. ახლა მთავარია, მოქალაქენი შევამზადოთ და ეს კერპი კვარცხლბეკიდან ჩამოვაგდოთ!

კანტემირა. ამ დილით ძეგლი დავდგით და ახლა ჩამოვაგდოთ?

მაიორი. შეცდომა მალევე უნდა გამოვასწოროთ. ამიტომ საჭიროა დემონსტრაცია მოვაწყოთ. აბა, რიგში ჩადექით!.. ერთი-ორი, დროშები მაღლა, მუშტები იქნიეთ, ერთხმად ვიყვიროთ, „ძირს უცხო კაცი, გვჭირდება ახალი ბელადი!“

ხმები. ძირს, ძირს!..

მაიორი. ძვირფასო მეგობრებო! ამ ისტორიულ მომენტს სულ არ შეეფერება ქვის ეს კერპი!.. ზემდეგო, მოიტა თოკი, მოვაბათ და ჩამოვაგდოთ მტარვალის კერპი!

წუწკა. აი, სეირი იქნება!

პოლიციელი. მიშველეთ, ხალხო, მიშველეთ!

ხმები. რა იყო, რა მოხდა, რამ გადაგრია?

პოლიციელი. ლოქორა...

კანტემირა. ამოშაქრე, რა დაემართა იმ შენს ბაცაცას?

პოლიციელი. თავს იკლავს! განცხადება დაუწერია, თავს ვიკლავო!

კანტემირა. აბა, მიჩვენე!.. „ვინაიდან და რადგანაც მე ვარ ერთადერთი მუწუკი საზოგადოების ჯანსაღ სხეულზე, მე უნდა ამოვირწყა ჩემი თავი ჩემი მხრებიდან... არ გამითენდეს ეს ღამე და არ დამიღამდეს ხვალინდელი დღე, თუ არ შევასრულე ეგ ამბავი!“

წუწკა. აუჰ, საით გაუფრენია!

მაიორი. ეს კიდევ ერთი მაგალითი უსამართლობისა! მოიცათ, ჩვენ დავამსხვრევთ ციხის კარებს, გავათავისუფლებთ გალიაში გამომწყვდეულ ბულბულებს, და თუ ლოქორას ცოცხ-

ალს ვერ მივუსწრებთ, არა უშავს, ცხარე ცრემლით დავიტირებთ... ახლა კი ეს ქანდაკება ჩამომაგდებინეთ!

წუწკა. რომ გაცოცხლდეს!

მაიორი. ქვას რა გააცოცხლებს, მორჩი მიქარვას, ადე და თოკი მოაბი!

ჯერგე. რას სჩადით, ბრიყვნო!

ხმები. გაცოცხლდა!.. არიქა, ცოცხალი ყოფილა!.. არ გაფრინდეს!.. დაგვხოცავს!

მაიორი. მეგობრებო, ძალაუფლება კაცს საშიშსა ხდის, ნუ დაფრთხებით, ერთი ვინმე ლაწირაკია!

ბუთხუზა. შეჩერდით! ჯერგეს ჩამოაგდებთ და უარესი დაგემართებათ, მაიორი შეგაჯდებათ ზურგზე!

მაიორი. უცხო კაცის დამქაშია, არ გაუშვათ! აგერ ორივე კვარცხლბეკზე მივაბათ!

ჯერგე. რას მერჩით, ბრიყვნო, მე ხომ თქვენთვის არც არაფერი მითხოვია! ჩემი ღირსი მაინც არა ხართ! ამხსენით თოკი, თქვენი ქალაქი უნდა დავტოვო!

მაიორი. არ დაიჯეროთ! პირი აუკარით, თორემ პროჯერგულ ქადაგებას დაიწყებენ! ვაშა, გავიმარჯვეთ!

ხმები. ვაშა, გავიმარჯვეთ!..

მაიორი. ახლა გვეყოფა დემონსტრაციები! თქვენ-თქვენს სახლში წადით! ხვალ დილითვე გამოვაქვეყნებ განკარგულებას. ახალი ხელისუფლება ყველას განიჭებთ ფეხის დაბანის უფლებას... ვაი იმას, ვინც დაუბანელი დაწვება!

7

მეზღაპრე. არაზღაპრული ეს ამბავი თავის გზით მიდის, კვარცხლბეკს მიბმული ორი ვაჟი უსიტყვოდ ზმუის...

ღამის კაცი. აი, ლოგიკა ჩვენი ცოდვების!.. ფუჭად მიკარგავ ოქროს ფას სიტყვებს, სხვა შენს ადგილზე გულის ფიცარზე დაიბეჭდავდა. გსურს ეზიარო მარადისობას? მარადისობა საყოველთაო და უსასრულო ბოროტებაა! შენ კი მცირესთვის ვერ

მოიცალე!

დილის ბიჭუნა. სასჯელი ესე სამწუხაროა, მაგრამ სამართლიანი. ვის რა სიკეთე მოუტანე შენ ამ ქალაქში? ვის ააცილე თუნდაც მცირედი ტანჯვა? ვის არგე რამით? გინდ ყოფილხარ და გინდა არა, რა შეიცვალა? ისევ ის დარჩა ეს ქალაქი, რაც უწინ იყო...

მეზღაპრე. პირაკრულ ვაჟებს პასუხიც კი ვერ გაუციათ. მაიორი კი დროს აღარ კარგავს, სამხედრო წესით წვრთნის ქალაქელ მოხელეებს...

მაიორი. ერთი-ორი, ერთი-ორი... სდექ, ერთი-ორი!.. თავიდან ბოლომდე გადაითვალე!.. სულ ცამეტნი ხართ? აფსუს, თარსი რიცხვი გამოგვივიდა! მე კი არ მიყვარს თარსი რიცხვი, ერთი ვიღაცა ზედმეტია. ჩვენი ქალაქის მმართველობა ვერ მოითმენს თავის რიგებში მეცამეტეს!

ლოქორა. ბატონო მაიორო! მე არა ვარ მეცამეტე. ცამეტი რიცხვი არც კი ვიცი, თვლის დროს გამომრჩება ხოლმე. ერთი, ორი... ათი, თერთმეტი, თორმეტი, თოთხმეტი და ასე შემდეგ. ასეთია ჩემი არითმეტიკა.

მაიორი. მაგას ახლავე შევამოწმებთ! დაიშალენით! როცა გიბრძანებთ, დადექით-მეთქი, უცბად დაეწყვეთ. ვინც მეცამეტე აღმოჩნდება, იგი გასაძევებელია ქონების კონფისკაციით... მე კეთილი ვარ, წინა ქალაქის თავივით ციხეში კი არ ვაყუდებ ხალხს... ყურადღება!.. დადექით!

მეზღაპრე. მეცამეტეა სიკოია, ჩვენი ზღაპრისთვის ზედმეტი კაცი...

სიკოია. მე არა, გეხვეწებით, მე არა!

მაიორი. ნეკნებს რომ ამოგაცლი, მაშინ იტყვი, კიო! იმთავითვე შევნიშნე, რომ ახალი ხელისუფლება არ მოგწონდა. იმ ლაწირაკის დროს ხუთასკაციან ლხინს იხდიდი, მაგი არ დამვიწყებია მე. მაშინვე მივხვდი, როგორი ჯერგისტიც ბრძანდებოდი!

სიკოია. რა ვქნა, ბატონო, ოფიციანტი ვარ, ვინც მიბრძანებს, იმას ვემსახურები.

მაიორი. ჰოდა, წადი და უდაბნოში ტურებს მოემსახურე! ზემდეგო, წაიყვანე და ქალაქიდან გააპინტრიშე, ერთი-ორი პანღურიც არ დაგავიწყდეს!.. ისე მიყვარს გაპინტრიშება,

უფრო კი კონფისკაცია, ვერ წარმოიდგენთ. დღეში ერთი კაცი მაინც თუ არ გავაპინტრიშე, არ დამეძინება.

კანტემირა. მე სულით და გულით მხარს ვუჭერ ამ რეალისტურ პოლიტიკას! ვაშა, ბატონ მაიორს!

ხმები. ვაშა, ვაშა!

მაიორი. დღის წესრიგში გვაქვს კიდევ ერთი საკითხი, გასაუბრება ცოლისძმასთან!.. პირიდან მოაშორეთ ალიკაპი!

ჯერგე. ბებერო ძაღლო, კი ვიცოდი, პირუტყვი რომ იყავი, მაგრამ მთლად გახრწნილი თუ იქნებოდი, არ მეგონა!

მაიორი. გინდა გამაბრაზო? აი, დარდი! რაც მოგეპრიანება, ის იტლიკინე! ძალა ჩემს ხელშია. რომ მოვისურვო, ენას ჯიბის დანით ამოგათლი, მაგრამ ცოლისძმა ხარ და რა გიყო! ხანტუს უმადლოდე, ცოცხალი რომ გადამირჩი, თორემ მე და შენ ერთად დედამიწაზე ვერ დავეტევით!

ჯერგე. ხანტუ?

მაიორი. ჰო, ხანტუ! მიხარია კიდეც, ასეთი დარეხვილი რომ ხარ. სანამ შენ გამოჭერილი მყავხარ, ისიც ჩემს ხელთაა!

ბუთხუზა. ძაღლისპირო!

მაიორი. ეს კიდევ ვინღაა? ესეც ჩემი ცოლისძმა ხომ არაა? ამას მაინც გავაძრობ ცხრა პირ ტყავს!

ჯერგე. მაგისი ტყავი ჩემს ტყავზე გადაბმული. რომ გააძრო, მეც მეტკინება!

მაიორი. ვერ მოგიწონებ მაგ თავდადებას, ვიღაც ბრიყვის ტყავს რას დაეძებ?

ჯერგე. არ ვიცი, რა მოხდა. მე შევიცვალე. ალბათ მაშინ, როცა ამ ქვაზე თოკით მიმაბეს. ზურგით ქვის სიცივე შევიგრძენი და მივხვდი, რომ ვერც ეს კვარცხლბეკი, ვერც მაღალი ტახტი უკვდავებას ვერ მომიტანს... ყოველივე ფუჭია, ბოლოს და ბოლოს ის გიჟებიც ხომ ამასვე მთავაზობდნენ... და უცბად ჩემი ბავშვობა გამახსენდა, ოქროდედა, ხანტუ, მზეონა... გულმა არსებობა მაგრძნობინა... სულის ნამცეცი, რაც კიდევ შემრჩა, მწიწკნის და მწიწკნის, ჩემი დაია შეეწირა ჩემს ახირებას...

მაიორი. რატომ შეეწირა? რითი ვარ ცუდი? გარეგნობა არ მივარგა თუ თანამდებობა?.. აბა, პოლიტიკურო ვიგინდარავ, აუხსენი ამ ლაწირაკს ვინა ვარ და რა ვარ!

კანტემირა. თქვენ, ძვირფასო მაიორო, დიდი მოღვაწე ბრძანდებით, რადგან ჩვენი ქალაქის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ფრიად ორიგინალური გახადეთ. ისტორიას არ ახსოვს მსგავსი რამ. თქვენი მოღვაწეობის ნათელი სურათია ჩვენი უმწიკვლო ლოქორას განთავისუფლება და სიკოია ჯერგისტის გაპინტრიშება. ამასწინანდელი მმართველობა, მე თუ მკითხავთ, მთლიანად უნდა ამოვარდეს ისტორიიდან, რაზეც ახლა საშლელით ხელში მუშაობს ჩვენი ქალაქის ქრონოგრაფოსი.

მაიორი. არა უშავს რა, ლოქორასაც მალე მივხედავთ და გავარკვევთ რა უმწიკვლოცაა!

ლოქორა. დიდი მადლობა, ბატონო მაიორო, ჩემს ძმაკაცებში ყველაზე უმწიკვლო მე ვიყავი.

წუწკა. ჰო რა, ასე ვამბობდით ლაგერშიც.

მაიორი. შენ რას იტყვი იდეოლოგო?

დონ კალისტრატე. მე ახლა ვმუშაობ გაპინტრიშების იმ დოქტრინაზე, რაც თქვენ წუთის წინ წამოაყენეთ. მე მგონი, ჩვენი გამოცდილება ამ სფეროში ფართოდ უნდა გავუზიაროთ მეზობელ ქალაქებსაც. წინანდელი მმართველობა, ვფიქრობ, არც არსებობდა. ვინ ჯერგეო, რა უცხო კაციო, აქ არავის ახსოვს ეგეთი თავი თუ ჰყავდა ქალაქს... ჩემი ღრმა რწმენით, თვალი გვატყუებს და ამ ქვაზე გასასუქებელი გოჭები დაუბამთ!

ჯერგე. შენ თვითონ ღორო!

დონ კალისტრატე. უი, ადამიანურად ალაპარაკდა. ღტ-ღტ-ღტ! მშვენივრად ჩაკურატებული გოჭებია, ვინმეს კაცებად ხომ არ გეჩვენებათ?

ხმები. რა უგავთ კაცებს?.. კალანდაზე ქე უნდა დავკლათ, აპა...

ბუთხუზა. ამ მხეცებმა მგონი მართლა უნდა შეგვჭამონ!

მაიორი. შენ რას გვეტყვი, კარის პოეტო?

კოკორა. მეგობრებო! წუხელ მთელი ღამე არ მძინებია. რა არ ვიღონე, რა არ მოვიმოქმედე, არადა, მუზა არ მოდის და არა... შუაღამე რომ გადაგორდა, ვხედავ, თეთრი პეგასი მოფრინავს, ზედ ჩემი მუზა ზის, პლისირებული კაბა აცვია. ვინა ხარო, მეკითხება. მე ვარ პოეტი კოკორა, ძმაკაცი მყავს ლოქორა-მეთ-

ქი, ვეუბნები...

ლოლიტა. დედა, რა ნიჭიერია!

ბიჭუნა. ერთი ხელში ჩამივარდებოდეს, ავახევ ლაყუჩებს!

ეპრასია. სანამ მაიორი არ გვხედავს, ერთი კოვზი გოგლიმოგლი გადაყლაპე, დედა გენაცვალოს!

კოკორა. ჰოდა, დავწერე ასსტროფიანი ქებათაქება „ჰიმნი მაიორს!“ ოდა, დაწერილი კოკორასი, არ გეგონოთ... არ გეგონოთ სხვისა...

ჯერგე. წინა პოემას რა უყავი?

კოკორა. წინა პოემა მომდევნოსათვის ხიდია. ამ ხიდს ცეცხლი წავუკიდე და ბუხარში ჩაიფერფლა.

ჯერგე. ესეც ჩეჩმაში შეგიძლია წაიღო!

კოკორა. უზრდელი!

ჯერგე. როგორიც მმართველია, კარის პოეტიც ისეთი ჰყავს. ვერ გაარკვევ, რომელი უფრო ბრიყვია.

ბუთხუზა. შეგვჭამენ ეგ ვირისთავები!

ჯერგე. მომჭამონ, ფეხები!

მაიორი. ხომ გეშინია ჩემი? გულზე ხელი დაიდე და ისე თქვი, ჩემი რომ გეშინია, იმიტომ ლაპარაკობ!

ჯერგე. შენი ამ ქვემძრომთ ეშინიათ, პირზე ლიქნი რომ ახატიათ. მიდი, სხვებიც აჭიკჭიკე, ვინ ვის აჯობებს!

მაიორი. გუშინ შენ გასხამდნენ ხოტბას, დღეს მე. ასეთია ცხოვრების კანონი. შენი სმენაც ხომ ტკბებოდა ამით. მეც მსიამოვნებს. აბა, არ მასიამოვნონ, მე ვიცი ამათ რასაც დავმართებ. ჰეი, სხვა ვინ შემაქებს?

წუწკა. ჯიგარი ხარ, ხაზეინჯან, მაგარი ბიძა ხარ. სად არის ზაკონი, შენ რომ მაიორა გერქვას, ნაპოლეონას კი ღენერალი... ჩემი ნება იყოს, იმოდენა ზვანიეს მოგიგონებდი, აქამდე რომ არავის ჰქონდა, ისეთ მენდალს დავაარსებდი, ერთი ცალი მკერდს სულ ოქროთი დაგიფარავდა...

მაიორი. აი, სულელი!

წუწკა. შენ რომ მოკვდები, ოქროს კუბოთი ოქროს სტოლბაზე შემოგდგამთ, აი!

მაიორი. როცა მოვკვდები?

წუწკა. ხაზეინჯან, შენ სულაც არ მოკვდები, მაგრამ როცა მოკვდები, მაშინ-მეთქი!

მაიორი. მე სანამ მოვკვდები, თქვენ მაინც წაგიგდებთ წინ.

წუწკა. ვა, მე რათა?

მაიორი. რათაო?

წუწკა. კი, კი, წინ წავალ, მა რას ვიზამ? ხელში სვეჩკა მეჭირება და ისე ვივლი!

ფეოდოსია. ძვირფასო მაიორო! მე და ჩემი მეუღლე მზადა ვართ თავი დავდოთ თქვენთვის!

მაიორი. თქვენი თავი რა ჩირად მინდა, თქვენი გოგო კი...

ლოლიტა. დედა, რა საინტერესოა!

ბიჭუნა. უჰ, ნეტა ერთი გამაბერტყინა!

მაიორი. რაღაც ჩაიბურტყუნა?

სქელუა. არა, შენი ჭირიმე, ყელში ლუკმა გაეჩხირა!

ეპრასია. გოგლიმოგლი ვერ გადაყლაპა, დედა ენაცვალოს!

მაიორი. ვერა ვგრძნობ თქვენს ერთგულებას. მგონი არ მოგეწონათ ის სითბო, რაც მშვენიერმა ქალწულმა გამოხატა ჩემდამი!

ბუთხუზა. შარზეა რა!

ჯერგე. ლოლიტა, პირდაპირ საკვირველია, ერთგულება თითქმის მთელი დღე გეყო.

ლოლიტა. რა ვქნა, ყველანი მიყვარხარ, მაგრამ ძია მაიორი ისეთი ტიპია.

ჯერგე. ბაბუა მაიორი მართლაც ტიპია... პარანოიკისა.

მაიორი. ბაბუაო? მე ვარ ბაბუა?

ლოლიტა. არა, ძია მაიორო, დედას გეფიცები!

მაიორი. შენ მე ქალაქის მდივნად გნიშნავ!

ბიჭუნა. უჰ, შენი, ერთი გამაბრტყელებინა!

მაიორი. რაო, რაღაცა თქვა!

სქელუა. თქვენი სიკეთე მინდაო!

ეპრასია. შიმშილისაგან გული მისდის ბავშვს, ერთი საათია არაფერი უჭამია!

მაიორი. ესენი მასხრად მიგდებენ, წინა ხელისუფალს კი ფეხქვეშ ეგებოდნენ!

სქელუა. პირიქით, ძვირფასო მაიორო, რაც იმ დროს დავახალტურე, სულ თქვენთვის მინდოდა.

მაიორი. ისედაც ჩემი არ იქნება? ზემდეგო, ეს სამეული გააპინტრიშე!

ზემდეგი. არის, გავაპინტრიშო!

მაიორი. ქონების კონფისკაცია არ დაგავიწყდეს!

ბიჭუნა. გამიშვით, ერთი გავაბრტყელო!

სქელუა. ბატონო მაიორო, გეხვეწებით, მე გამაგდეთ. ეგ კი ბავშვია და უგნური, ქალაქგარეთ, უდაბნოში, შიმშილით მოკვდება... მე დამსაჯეთ, თუ გინდათ, ტყავი გამაძრეთ!

მაიორი. როგორ, ვინმე დამიშლის თუ?! მინდა, ტყავს გაგაძრობ, მინდა, გაგაპინტრიშებ! გადააბი ერთმანეთს და გააპინტრიშე!

ჯერგე. ყოჩაღ! ამ ცხვრებსაც თუ გააპინტრიშებ, უქვეშევრდომო მეფე იქნები!

მაიორი. მაგას ელოდე!.. ეჰ, ბევრი ვიმუშავე დღეს, წავიდე, დავისვენო. აბა, დაეწყვეთ! მარცხნიდან მარჯვნივ გადაითვალეთ!

ხმები. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა!

მაიორი. ცხრანი შემრჩით? კარგად შემითხელებია! ეგ არაფერი, დანარჩენი ხვალისთვის შემოვინახოთ. მარჯვნისაკენ, ერთი-ორი, ნაბიჯით იარ!

ბუთხუზა. პატივცემული ჯერგე, ასე რამ გააბრიყვა ეს ხალხი?

ჯერგე. ეჰ, ჩემო ბუთხუზ, ამ ავადმყოფის მტარვალობას და ჩემს გულგრილობას ერთი ფასი აქვს.

ბუთხუზა. ეგ როგორ?

ჯერგე. დიდების ღირსი მხოლოდ მებრძოლია, მე კი თითი თითზე არ დამიკარებია, ლხინსა და ტაშ-ფანდურს გადავყევი. თუმცა რა ჩემი ბრალია? მე ხომ სხვა გზა ავირჩიე. მებრძოლი მზად უნდა იყოს თავდადებისათვის, იგი სიცოცხლესაც სწირავს, მე კი სიცოხლე არ მემეტება...

ბუთხუზა. რად მინდა ისეთი სიცოცხლე, თუკი თოკით დამაბეს?

ჯერგე. შენ არ გესმის სიცოცხლის ფასი.

ბუთხუზა. ნუ მიწყენთ, პატივცემულო, და თქვენ ვერ გაგიგიათ სიკვდილის ფასი.

ჯერგე. მე მზარავს თვით სიტყვა სიკვდილი.

ბუთხუზა. ასეთი კაცი მამაცი ვერ იქნება, ამიტომაც მოგერიათ მაიორი.

ჯერგე. დიახ, ამიტომაც! აბა, თავი შემეკლა? რისთვის? მეორეჯერ შეიძლება ქალაქის თავი გავხდე, მაგრამ ხახვი კი არა ვარ, მორეჯერ ამოვიდე... ახლა უმჯობესია იმაზე ვილოცოთ, იქნებ ვინმე ღვთისნიერი გამოჩნდეს და დაგვიხსნას. აგერ ვიღაცა ქალი გამოჩნდა, მოდი, თავი შევაბრალოთ!

ხანტუ. სადღაც აქ არის ჩემი ძმა! წუთის წინ ხელმწიფის ტოლი კაცი, დღეს ქვაზეა მიჯაჭვული. ღმერთო, რად მოგვივლინე ამდენი განსაცდელი. უბედურება უბედურებაზე წაეწყო. ჩემი ბრალია ალბათ ყოველი, მაგრამ მე ხომ მისი ბედნიერება მინდოდა. მამა არა გვყავდა და ორი წლით უფროსი ძმა მამაზე მეტად მიყვარდა, მის ხატზე ვლოცულობდი... განა ადამიანს ძალუძს ყველაფრის წინასწარ განჭვრეტა? ყოველ მამაკაცს საკუთარი გზა აქვს, ჩემი ძმა თავისმა არჩევანმა ხუნდებამდე მიიყვანა...

ჯერგე. ხანტუ!

ბუთხუზა. ხანტუ!

ხანტუ. მოვედი, ძმაო, თქვენთან ერთად უნდა ვიტირო!

ჯერგე. ტირილს მერჩივნა, დანა მაინც მოგეტანა, ამ თოკს გადავჭრიდი!

ბუთხუზა. არ იტირო რა, ხანტუ, ვერ ვიტან შენს ტირილს!

ხანტუ. ძნელი არ არის თოკის გადაჭრა, მაგრამ სად წახვალ? მაიორს ქალაქის კარები ჩაუკეტია.

ჯერგე. რა უნდა ჩემგან, რას გადამეკიდა? მე ხომ არ ვებრძვი? გამიხსნას გზები, წავალ, ჩემს ბედს ვეწევი.

ხანტუ. რა უნდა? ალბათ მე ვუნდივარ, მე კი სიცოცხლე შემძულებია. მეშინია, არაფერს გწიოს და თავსაც იმიტომ ვუხრი.

ბუთხუზა. იმისი დედა ვატირე!

ჯერგე. ჰა, გეყოფათ, ცრემლით რა საქმე გაკეთებულა! ჯობია აგვხსნა... კედელზე გადავძვრები, ჩემი გზით წავალ, დიდი უდაბნო უნდა გადავლახო!

ბუთხუზა. მერე მე?

ჯერგე. წადი შინ! არ ამბობდი, დედიკო მელოდებაო?

ბუთხუზა. მერე ხანტუ?

ჯერგე. ხანტუს აქ ქმარი ჰყავს.

ბუთხუზა. არსად არ წავალ. სადაც ხანტუს ფეხის მტვერს ვნახავ, ერთგულ ძაღლივით იქ დავწვები.

ხანტუ. ჩემო ბუთხუზ, ფიცისგამტეხი და მოღალატე ვარ.

ბუთხუზა. ეგ არ მითხრა! ნება მომეცი და ფეხის თითებს დაგიკოცნი. დაე, იცხოვრე სასახლეში, მე არაფერს გთხოვ. ქალაქის გარეთ ფაცხას ავაგებ და ხანდახან მაინც შორიდან მზერას შეგავლებ...

ჯერგე. (აი, სულელი! ამას ხომ არ ვაჩუქო ჩემი ზარდახშა? ახი კი იქნებოდა ამ ქალაქისათვის).

ხანტუ. დღეს ასე ამბობ, მერე კი იქნებ ინანო!

ბუთხუზა. ოღონდ წყალობის თვალით გადმომხედე...

ხანტუ. არ ვიცი, რა გითხრა, თავგზა სულ ამებნა.

ჯერგე. ვიღაცა მორბის!

წუწკა. ჯიგრებო, მიშველეთ!

ჯერგე. შენ ხომ წეღან მე მაბამდი აი ამ ქვაზე! ახლა პატიმარს შველასა მთხოვ?

წუწკა. ჯერგეჯან, ვინც ძველი გაიხსენოს, იმას ორივე თვალი დაევსოს! მე როდის გაბამდი, ის ოხრები გაბამდნენ, მე კი თოკის კუდი მეჭირა, ვითომ მეც ვაბამ-მეთქი რა...

ჯერგე. ასე გეშინოდა მაიორისა?

წუწკა. ვა, გეშინოდა რომელია, ახლა არ მეშინია თუ?

ჯერგე. მაინც რა გადაგხდა?

წუწკა. ჩამაცივდა, ჩემი სიკვდილი რად გენატრება, ოქროს კუბოს რომ მიკეთებო. მაიორჯან, ამოტელა ოქრო სადაა, კრასნოე სლოვცოსათვის გითხარი-მეთქი. ჩამაჯინდა და ჩამაჯინდა! მე ვუთხარი, ჯიგარჯან, მე ჯეელი ვარ, შენ ბებერი, ბებერი ხომ უფრო ადრე მოკვდება-მეთქი, მერედა ოქროს კუბო არ გირჩევნია სასკინტლეში გდებას-მეთქი... პამოშნიკს უბრძანა, ესეც გააპინტრიშეო. მე კი, გაპინტრიშება ასე უნდა-მეთქი და ისეთი ვთხლიშე...

ბუთხუზა. ვის, მაიორს?

წუწკა. მაიორს არა, პამოშნიკს... მერე პირდაპირ ფანჯრით მოვუსვი...

ჯერგე. ცუდად ყოფილა შენი საქმე!

წუწკა. ვა, რავა ცუდად?! მოდი, ისევ აგირჩევთ რა, ეს მაიორი კი გავაპინტრიშოთ!

ჯერგე. შენ კი მირჩევ, მაგრამ სხვები?..

წუწკა. აი, ნახავ, სხვებიც მალე მოცვივდებიან!

კოკორა. საით გავიქცე, ვაი, საით გავიქცე!

ჯერგე. საითკენ გაგიწევია, კარის პოეტო?

კოკორა. ვაი, უკვე აგხსმეს?

ჯერგე. შენ შეგეშალა, მე კი არა, მაიორი იყო დაბმული!

კოკორა. არაფერიც! ჩემს პოემაში, მეთხუთმეტე სტრიქონში „ძირს ჯერგე!“ მიწერია.

ჯერგე. შეგეშალა, უბრალო კორექტურაა.

კოკორა. დამიჭერთ?

ჯერგე. ეგეთი პატარა შეცდომისათვის როგორ დაგიჭერ, შე კაცო!

კოკორა. მართლაც კორექტურა გამეპარა. აქ „ძირს მაიორი!“ უნდა ეწეროს, აქ კი „დიდება ჯერგეს!“ პოემას უნდა დავარქვათ „დაბრუნდა ძველი დროება, ოდელია, რანუნი“.

ჯერგე. აბა, შენ იცი, გაიქეც-გამოიქეცი, ყველას წააკითხე შენი ახლადგადაკეთებულ-ჩასწორებულ-გადასწორებული პოემა... (ამას ხომ არ მივცე ჩემი ზარდახშა? მთლად ყირაზე დააყენებს ქალაქს...).

კოკორა. აჰ, ლოლიტა, მე და შენ ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოვჩნდით!

მეზღაპრე. აქ შემოვიდა ქურდი ლოქორა, შავ სათვალეში ვერაფერს ხედავს...

წუწკა. საქმეზე გამოხვედი?

ლოქორა. ჰო, რა!

წუწკა. აი, თოკი მოიპარე!

ლოქორა. ამას ამწუთას გავასაღებ!

ჯერგე. სდექ!

ლოქორა. ვაი, გავიყიდე!.. მე არა, ჯერგე-უფროსო, მე ისე, ვიხუმრე.

ჯერგე. ეგ სათვალე რისთვის გიკეთია, ამდენი ხალხი ვერ შეგვამჩნიე?

ლოქორა. შიგ სინათლე არ გადის და იმიტომ. უსათვალოდ ზურგზე იმდენს მოვიკიდებ, ველარც წავიღებ...

ჯერგე. რა გიყო ახლა?

წუწკა. ამნისტია ვუყოთ, უფროსო!

ლოქორა. კი, უფროსო, ამნისტია ვქნათ!

ჯერგე. კაი მაშინ, ამნისტიას გიცხადებ! ეს თოკი აქ დააგდე, დაგვჭირდება... ფეხის ხმა მესმის, სხვებიც მორბიან?

კანტემირა. შეგვიწყალე, უცხო კაცო!

ჯერგე. მე მთხოვთ შეწყალებას? მე ხომ თვითონ პატიმარი ვარ!

კანტემირა. დაგიჩოქებთ და ისე გთხოვთ, გვაპატიე შეცოდება!

ლოლიტა. მეც მიქენი, რაც გინდა!

ჯერგე. თქვენგან არაფერი მინდა!

კანტემირა. ჩვენ ვიხუმრეთ, განა მართლა ჩამოგაგდეთ!

ჯერგე. მაშ ხუმრობით მიმაბით ამ კვარცხლბეკზე?

კანტემირა. მაიორმა გვაიძულა, საშინელი კაცია!

ფეოდოსია. ამ სიბერეში რა მაკადრა, თქმისაც მრცხვენია, დამბუბნა.

ლოლიტა. მე კიდევ ტაკუნაზე მიჩქმიტა, დედას გეფიცები!

ჯერგე. რა ვუყო ამ ხალხს, ვაპატიო?

ხანტუ. აპატიე, ძმაო, სხვა რა გზაა... ჩემო ბუთხუზ, თუ არ გადაიფიქრე, მაიორის მოსვლამდე გავეცალოთ აქაურობას.

კანტემირა. არ დაგვღუპოთ! მაიორი მოვა და ტურების კერძად გაგვხდის! რა დავუშავე? ქალაქის თავად დავაყენე, ახლა კი იძახის, ხალხმა ამირჩიაო. რომელი ხალხი? იმიტომ დავაყენე, ვიფიქრე, თვითონვე ჩამოვაყენებ-მეთქი, მაგრამ ისე ჩაებღაუჭა, რას ჩამოიყვან? ჰოდა, იძახის, მიწას მითხრიო. მე უდაბნოში უნდა გამაგდოს, ჩემი ცოლი ბუბნოს, გოგონა დამიჩქმიტოს... მთელი ქალაქის სახელით მოგმართავთ, არა გაქვთ უფლება, მგლის ხახაში ჩაგვტოვოთ!

ჯერგე. აი, დონ კალისტრატეც. იქნებ ის მაინცაა მაიორის

ერთგული. თუმცა მე ხომ მიერთგულა, მას რატომ უღალატებდა?

დონ კალისტრატე. გამარჯობათ თქვენი! გაგიგონიათ? მე, თვით ახალგაზრდა მესიის ნამოწაფარი, უფლისაგან ხელდებული, ბრძენი იდეოლოგი... საპირფარეშოს მეკარედ დამნიშნა...

ჯერგე. რას ამბობ, კაცო, ნუთუ?

დონ კალისტრატე. ამით მაგ ბრიყვმა შეურაცხყო ჩემი წმინდა იდეები. გამომიძახა და მიბრძანა, შენი მოძღვრების ანი და ბანი მსურს გავიგო, დრო ცოტა მრჩება და აი, ღამის ქოთანზე ჯდომის დროს მიქადაგეო...

ჯერგე. მერე რა ქენი?

დონ კალისტრატე. ქადაგების დროს ღამის ქოთანზე ჩაეძინა, მე კი კარი ჩავურაზე და ისე დავტოვე!

ჯერგე. არც შენი საქმე ყოფილა კარგად!

დონ კალისტრატე. ზემდეგი რომ დაბრუნდება, კარს გაუღებს. აქ მოვარდება გაცოფებული, თუ მანამდე იმ ქოთანში არ ჩაიხრჩო... ძმებო, შევცდით, ამ კვარცხლბეკზე მაიორი უნდა მიგვება!

ჯერგე. მერედა ხელს რა გიშლით! აგერა ხართ ყველანი, შემოვარდება და სტაცეთ..

კანტემირა. მეშინია.

ფეოდოსია. შენ ყოველთვის მხდალი იყავი! ჩვენ არ დავაყენეთ? ჩვენვე ჩამოვათრიოთ!

ლოლიტა. კვლავ ჯერგე ავირჩიოთ და მეც მივთხოვდები!

ჯერგე. მე თავი დამანებეთ, ბერად უნდა შევდგე!

ლოლიტა. მერე მე რა ვქნა?

ჯერგე. კენჭი უყარე კოკორას, ბიჭუნას, მაიორს...

ლოლიტა. მაიორი ცოლიანია!

ჯერგე. მე კი ცოლიანს ვერ გამხდით, ეგღა მაკლია, რქები ვატარო!

ფეოდოსია. ნეტა ფარ-ხმალი რამ დაგაყრევინათ, მაიორიც ჩვეულებრივი კაცი არ არის?

კანტემირა. ჩვეულებრივი როგორ იქნება! იმოდენა თანამდებობაზე მათხოვარი რომ დასვა, დევგმირად მოგეჩვენება...

მეზღაპრე. გიჟად ქცეული მაიორი აქ შემოვარდა...

მაიორი. სად წამიხვალთ, სად? ამოგალპობთ ციხეში! გაგაპინტრიშებთ ქალაქიდან!.. ვაი, ხანტუ, შენც აქა ხარ?

ჯერგე. მიდით, მიესიეთ!... ზემდეგიც გაკოჭეთ!

მაიორი. ფრთხილად, ხალხნო, ნეკნები არ ჩამამტვრიოთ! ეგეთი ძალადობა გაგიგონიათ? მე ხომ დემოკრატიული არჩევნები უნდა მომეწყო! ოღონდ გამიშვით და ამნისტიას ვაცხადებ!

ზემდეგი. მე რა შუაში ვარ?.. მე ამან მაიძულა, ამან მიბრძანა!..

ჯერგე. აქ, ამ კვარცხლბეკზე ორთავ მიაბით!

კანტემირა. ახლა რა ვქნათ?

ჯერგე. ამ ქალაქში ბატონობის სურვილი არ მაქვს, ყოველ დიდგულას შეუძლია სარმა გამოგდოს.

კანტემირა. ძვირფასო ჯერგე! თქვენ თუ ქალაქის მეთაურობას არ ინებებთ, მაშინ იქნებ მოქალაქეებს ურჩიოთ ვინმე დინჯი, დარბაისელი კაცი, ვინაც მათ გაუძღვება ბედნიერი მომავლისაკენ!

დონ კალისტრატე. ასეთი კაცი არავინ მეგულება ჩემ გარდა. მე დღენიადაგ ვზრუნავ, რათა მოქალაქეებს დავუხატო სხივოსანი ხვალე!

წუწკა. უმჯობესია მე ამირჩიოთ! კანალიზაციის საქმეს, ვო, ასე ავაწყობ.

კოკორა. არც მე ვიქნები ცუდი ბელადი. რაც ქალაქში ქაღალდია, ერთმანეთს გადავაწებებ და უზარმაზარ ეპიტაფიას დავუწერ იმ პირველ გაპინტრიშებულებს, ჩვენს შორის რომ ვეღარ ვხედავთ დღეს... მერე კი ლოლიტას შევირთავ!

ჯერგე. ერთმანეთზე უკეთესნი ხართ... ბუთხუზ, თუ კაცი ხარ, გაიქეცი და ჩემი ზარდახშა მომირბენინე!

მაიორი. ხანტუ, შენ მაინც არ მიმატოვო, გულო!

ხანტუ. მაპატიე, შინ უნდა დავბრუნდე, სოფელში... ბუთხუზა წამიყვანს.

მაიორი. იცოდე, თავს მოვიკლავ!

მეზღაპრე. ოქროს ზარდახშა ბუთხუზას მოაქვს...

ჯერგე. აი, უყურეთ, უმდიდრესი საჩუქარია. ვინც ამას ფლობს, მის ხელშია კარიერის სადავე. მე წარმავალი დიდება არაფრად მიღირს. აჰა, ვისაც გსურთ!

მეზღაპრე. სულზე გაცვლილი ოქროს ზარდახშა ბრბოს გადაუგდო... ზედახორა... ჩხუბი... ყაყანი...

ხმები. ჩემია!.. მე მეკუთვნის!.. მე მინდა!.. ხელი გაუშვი, ღორო!..

მაიორი. ესენი მე მჯობიან? მხდალი ტურები! ხანტუ, არ მიმატოვო!

ბუთხუზა. ნუ უსმენ მაგ ბებერს, გავეცალოთ აქაურობას!

მაიორი. ხანტუ, შენთვის მაინც არა დამიშავებია რა! არ დამტოვო, გულო, და თუნდაც ამ ქვიდან ნურასოდეს ამხსნიან!

ბუთხუზა. არ უსმინო, თავს გაცოდებს!

მაიორი. ხალხო, ამხსენით, გადავიფიქრე ქალაქის თავობა, მე ხანტუ მინდა!

მეზღაპრე. წამით ჩხუბს წყვეტენ...

კანტემირა. არ ავხსნათ, თორემ ისევ თავზე შემოგვაჯდება!

დონ კალისტრატე. სადმე ჯურღმულში ჩავამწყვდიოთ!

კოკორა. მოდით ვაწამოთ, მე ლექსების მთელი ციკლით მინდა ყვირილი დავაწყებინო!

წუწკა. მისთვის როზგია წამალი!

ზემდეგი. მე რაღას მერჩით, ოღონდ გამიშვით, დავიჩოქებ და ბოდიშს მოვიხდი!

დონ კალისტრატე. გიბრძანებთ, მაიორი დასაჯოთ, ზარდახშა კი ჩემია!

მეზღაპრე. დასტაცა ხელი ზარდახშას და ფიცხლად გავარდა, უკან ყიჟინით, ღრიანცელით მისდევენ სხვები...

მაიორი. თუნდაც ჯვარს მაცვით, ოღონდ ჩემთან დატოვეთ ხანტუ!

ბუთხუზა. არ უსმინო, საყვარელო, ძლივსღა გიპოვე და ვეღარ დაგკარგავ!

ჯერგე. ჰა, ხანტუ, განა ძნელია არჩევანი? აქეთ ბებერი, გულბოროტი, თოკით დაბმული... იქით კი ჯან-ღონით სავსე მზეჭაბუკი — ჩვენი ბუთხუზა... ხომ გაპატია მან შეცოდება!

ხანტუ. მაპატია?... რა შეცოდება?.. განა ღმერთს არ ენება ეს კავშირი ჩემს მეუღლესთან?

ბუთხუზა. არაა იგი შენი მეუღლე!

მაიორი. შენ რომ გიყურებ, კვლავ ბიჭი ვარ თითქოს ოცი

წლის, გულიდან ჯავრი გადამეყრება! რა ვქნა, ჭოჭმანობ?.. წადი, ბედს ეწიე!.. ახალგაზრდა ქმარი ირჩიე! მე მაინც მეყვარები!.. ამ ლაწირაკმა, უდღეურმა, დედიკოს შვილმა მამაკაცური, ცეცხლოვანი სიყვარულისა რა იცის ნეტავ... წადი, გაჰყევი!

ხანტუ. მაპატიე, ჩემო ბუთხუზ, კვლავ სიტყვას გავტეხ!.. შენც მაპატიე, ძმაო ჯერგე!.. მე უნდა დავრჩე ჩემს მეუღლესთან...

8

მეზღაპრე. ყველა ზღაპარი ხომ თავდება ოპტიმისტურად? ფინალში უნდა ხომ სიკეთე ზეობდეს თითქოს! კეთილი გმირი სიკეთის წილ იმკის მოსავალს!.. ჯერგე-ბიჭი კი, ვინც ირჩია ღამის კაცის გზა... ნუთუ მიაღწევს ის საწადელს?.. სულის ნამცეცი, ერთიციცქნა, ხელშეუხები, რაღაც უსაგნო, გამჭვირვალე, ჰაეროვანი, კაცს რომ კაცობას თვისს შეახსენებს... ამ სტრიქონიდან ზღაპარს სტუმრად სევდა ეწვია...

ღამის კაცი. დილის ბიჭუნავ, უამრავი შრომა დავხარჯე, ბადე მოვქსოვე, დავუფინე ხაფანგი გზაზე... მალე იხილავ გამომწყვდეულს... იგი ჩემია! მას ისე უყვარს თვისი თავი, მზესაც ვერ ამჩნევს...

დილის ბიჭუნა. ბნელო ურჩხულო, გამარჯვებას ჯერ ნუ ზეიმობ. სულის ნამცეცი, მას რომ შერჩა, ჯერ არ გამქრალა...

ღამის კაცი. სიღატაკე და გაჭირვება დაათმობინებს იმ სულის ნამცეცს!

დილის ბიჭუნა. სიღატაკემ და გაჭირვებამ იქნებ მის სულსაც უმკურნალოს!

ჯერგე. ვინაც უზომოდ საკუთარ თავს ეთაყვანება, მას შეუძლია გადალახოს ვრცელი უდაბნო. დროს სათვალავი კარგა ხანია, რაც ამერია. მოვდივარ და მოვდივარ ქვიშის ამ სამეფოში, სხვა ყველა გაქრა. უსახური დღე ენაცვლება კვლავაც უსახურს. ფეხი მეფლობა მხურვალე ქვიშაში. ზეცაზე მზე ბრწყინავს მწველი, ღამის ის ტვინი ამიდუღოს, რაც შემრჩენია... წყებას დიუნთა კვლავ მოსდევს წყება... ცხელ ნიავს დააქვს

თეთრი ხრილი და თვალში მაყრის... ნუთუ არა აქვს ამ უდაბნოს თავი და ბოლო?.. ღონე გამომელია, მეტს ველარ ვივლი!.. სიხარბევ, მარტო შენ დამრჩი!.. შენა ხარ ჩემი მეგობარი და გზის გამკვლევი. სხვა ვერაფერი მაიძულებდა, გადამელახა ჯოჯოხეთის ყველა წრე... ჩემი ძმაკაცი, ჩემი მეგზური, ვინაც ამიბა მხარი, ვინაც გამაძლებინა, სწორედ შენა ხარ... საწუთრო თურმე არ ყოფილა ეგოდენ მოკლე, მაგრამ სიხარბემ, ჩემმა ძმობილმა, იარეო, მიბრძანა, მარადისობა მოგელისო!.. მეც დავმორჩილდი მოწოდებას, მაგრამ გზა მეტად მძიმე აღმოჩნდა... თავბრუ მესხმის, წყურვილისაგან ცნობას ვკარგავ... ნუთუ არ გაიელვებს სადმე მწვანე ოაზისი?.. აქვე დავწვები... უნდა ველოდო ჩემს სიკვდილს... სუსტი აღმოვჩნდი... გათავდა ომი...

წყარო. ჰეი, ადამიანო!

პური. კეთილო კაცო!

ჯერგე. ვისი ხმა მესმის? თითქოს სიგრილემ მომილამუნა! მეხსიერების სიღრმიდან ამოტივტივდა რაღაც უსაზღვროდ ტკბილი და ნეტარი. თითქოს სველი ბაგე სატრფოსი შემეხო ტუჩზე... ნეტავ რა იყო?.. ველარ ვიხსენებ...

წყარო. ჰეი, ადამიანო, შემსვი!

ჯერგე. წყარო ანკარა მოჩხრიალებს ვიწრო ღარიდან! დავეწაფები... გამაცოცხლებს... განიდევნება უმალ სიკვდილი... წყაროვ, მომეცი პეშვი წყალი!

წყარო. შემსვი!

ჯერგე. უჰ, გამოვცოცხლდი! მუხლებში ღონე კვლავ ვიგრძენი, თვალთ სინათლე მომემატა... ახლა ერთი პურის ყუაც რომ მაშოვნინა...

პური. აქეთ მომხედე, აგერა ვარ!

ჯერგე. მადლი ჩემს გამჩენს, კარგ ბედზე ვარ დაბადებული!.. ერთი ლუკმა მინილადე!

პური. მიმირთვი!

ჯერგე. აქამდე კუჭი ბატონობდა ჩემს გონებაზე, ახლა კი პურმა დამიბრუნა განსჯის უნარი... წყალი დავლიე, პური ვჭამე და მომაგონდა, რა ღირს ნეტა წყალი და პური?

წყარო და პური. ვალი გვემართა, გადაგიხადეთ!

ჯერგე. არ მითესია მე სიკეთე, მოსავალს ვიმკი?

წყარო და პური. გადახდილია უკვე ხარჯი!

ჯერგე. ვინ გადაიხადა?

წყარო და პური. გულს დაეკითხე!

ჯერგე. სადა მაქვს გული?

წყარო და პური. მეხსიერებას!..

ჯერგე. დამრჩენია გულზე ნაკლები!

წყარო და პური. საბრალო კაცო, არ ითვლები ალბათ ცოცხლებში!

ჯერგე. ჩუ, ვიღაც ყვირის! თავგანწირულნი ჩემისთანა სხვანიც ყოფილან!

ხმა. ჰეი, ვინა ხართ, ხმა მომეცით, გზა ამებნა!..

ჯერგე. აქეთ, აქეთ!

მაიორი. ძლივს გამოვაღწიე! კინაღამ ქვიშაში ჩავრჩი!.. მადლობელი ვარ, მეგობარო, შენმა პასუხმა გზა გამიკვლია... ვაჰ, კვლავ ჩემს ცოლისძმას გადავეყარე?

ჯერგე. რას ამეკიდე? ქვეყნის დასალიერშიც უნდა ჩამყვე?

მაიორი. მაშ რა გეგონა? შენზე ადრე რად უნდა მოვკვდე?

ჯერგე. რაც მალე მოკვდები, მით უკეთესი, თორემ ხომ ააქოთე ეს ცისქვეშეთი!

მაიორი. ვითომ რატომაო? თავი წმინდანი ხომ არ გგონია? მაგ წმინდანობით უდაბნოში წყურვილი დაგახრჩობდა! ვინ იმსხვერპლე, თქვი პირდაპირ!

ჯერგე. წყურვილმა მართლაც შემაწუხა. აქ დამხვდა წყარო, აგერ პურიც!

მაიორი. ახლავე მოვთხოვ, ჩემი ვალიც რომ გამინაღდონ.

ჯერგე. რა ვალი?

მაიორი. სამნი წამოვედით ჩვენ ამ გზაზე, ერთი ქალი და ორი კაცი...

ჯერგე. ვაიმე, დაო!

მაიორი. ცრემლი სისხლად მდის, რომ მახსენდება, გული მიკვდება!

ჯერგე. დაღუპე ალბათ!

მაიორი. მე ვითომ რატომ? სიყვარულმა იგი დაღუპა...

წყურვილმა ძლიერ რომ შეგვაწუხა, ჩემმა ძვირფასმა, საყვარელმა მეუღლემ თავისი ყლუპი მე დამითმო...

ჯერგე. ქოფაკო, შენ უნდა ჩაძაღლებულიყავი! წყალი წაართვი ჩემს დაიას?

მაიორი. კი არ წავართვი! შენც ხომ იცი, როგორ მიყვარდა. განა საფრთხეში ჩავაგდებდი ჩემი ლამაზი მეუღლის სიცოცხლეს? მესამე კაცმა, მაგას ჭკუა მაინც არ ჰქონდა, ჰოდა მესამემ თავისი ყლუპი გაუნაწილა!

ჯერგე. ბუთხუზამ?

მაიორი. ჰო!

ჯერგე. ახლა სადაა? ნუთუ ქვიშაში ჩატოვე?

მაიორი. მე რად ჩავტოვე, თვითონ ჩარჩა! იმ დილით გზაზე დიდვაჭარი შემოგვეგება და ღიმილით მახე დაგვიგო. შენი ბუთხუზა შიგ გაება!

ჯერგე. როგორ გაება?

მაიორი. თავისი წილი პეშვი წყალი ვაჭარს დაუთმო!

ჯერგე. ალბათ იმ ვაჭარს წყურვილი კლავდა...

მაიორი. ჩვენთვის გასწირა ბუთხუზამ თავი. ახლა იმის წილს ეს წყარო მე დამალევინებს!

წყარო. მოდი და შემსვი!

ჯერგე. არ გაბედო, ჯერ ბოლომდე თქვი!

მაიორი. მოკლედ რომ გითხრა, ყლუპი წყალი რას გვეყოფოდა, პური მოგვშივდა. ჰოდა, ის იყო, ჩემმა ძვირფასმა, საყვარელმა მეუღლემ თავისი ლუკმა მე გამიყო...

ჯერგე. იმისი წილიც შენ შესანსლე?

მაიორი. ცუდად გიცვნივარ! განა საფრთხეში ჩავაგდებდი ჩემი ლამაზი მეუღლის სიცოცხლეს? ერთ საღამოს ის ვაჭარი ისევ შემოგვხვდა. ჰოდა, რაც დარჩა, ერთი ლუკმის ის ნახევარი, ჩემმა ხანტუმ იმას დაუთმო...

ჯერგე. ნუთუ კვდებოდა ის ვაჭარი შიმშილისაგან?

მაიორი. იმას დაუთმო, რათა ამ გზაზე ლუკმა მე არ გამომლეოდა... ასე დავკარგე ჩემი ცოლი, ჩემი ხანტუ!.. რა ვქნა, რა გზა მაქვს, მე მის მაგიერ უნდა ვჭამო ეს პურის ყუა, თან ცხარე ცრემლით უნდა დავალბო...

პური. აჰა, მიმირთვი!

ჯერგე. არ გაბედოთ, ეგ მძარცველი და ქურდია!

წყარო და პური. იმათ გაჰყიდეს, ამისთვის რომ გზა გაეკაფათ!

ჯერგე. ვაიმე, დაო, მეც ისეთი ქოფაკი თუ ვარ! ვიღაცამ ალბათ ჩემთვის დათმო წყალი და პური, ამით სიცოცხლე გამიხანგრძლივა...

მაიორი. ვფიქრობ, სინდისი დიდად არ გქენჯნის!

ჯერგე. ერთი ნამცეცი სული შემრჩა, ისიც მაწუხებს.

მაიორი. გიჯობდა, ისიც რომ დაგეთმო! დააბიჯებდი მაშინ ოქროდედას ძვლებს!

ჯერგე. ოქროდედა? სხვა ვინ დათმობდა ჩემთვის წყალს და პურს!

მაიორი. მე რას მაბრალი, შენც მკვლელი ხარ, თანაც დედისა!

ჯერგე. თურმე მკვლელი ვარ! მაშ რა მაკავებს? ბარემ მოგიღო, ქოფაკო, ბოლო!

ღამის კაცი. მიდი, მოჰკალი!

დილის ბიჭუნა. შეჩერდი!.. მკვლელობით სული თუ დაიმძიმე, გამოეთხოვე მაშინ შენს ზრახვებს!

ჯერგე. რა გზას დავადგე?

დილის ბიჭუნა. აჯობე ყველას თავმდაბლობით და სიღატაკით!

ღამის კაცი. არა, მოჰკალი, გულის ბოღმა დაიიამე!

დილის ბიჭუნა. აჯობე ყველას თავმდაბლობით და სიღატაკით!

ჯერგე. სიღატაკე? ჩემზე ღატაკი ნეტა ვინ არის? წყალი და პური, დედაჩემმა მე რომ დამითმო, ესაა და ეს... იქნებ სიმდიდრედ მიაჩნიათ ეს სამოსი, მე რომ მაცვია, ლანჩმორღვეული ფეხსაცმელი, ან ეს ქუდი... ბებერო, აჰა, მოხვეტე ყველაფერი და თან წაიღე... ჩემი სამოსი დღეიდან ცხელი ქვიშაა... სახლიც და კარიც, საწოლიც და რბილი ლოგინიც...

მეზღაპრე. მან ქვიშის ორმო ამოჩიჩქნა, შიგ მოიკუნტა, სხვა რამ სიმდიდრე არ სჭირდება თურმე ძეს კაცის...

მაიორი. ჭკუაზე შეცდა თუ ეშმაკობს?

ჯერგე. მშვენიერია! თურმე ყველაფერს ასკეტური სჯობს არსებობა! თანამდებობა?.. მოვა ვინმე და ჩამოგაგდებს!..

ფული და ოქრო?.. ქურდს რა გამოლევს ნეტა ამქვეყნად!.. სიყვარული?.. იქვე ღალატი ატმასნულა და იკრიჭება, ხომ დაგადგიო რქები თავზე...

მაიორი. ეჰ, სიცხისაგან გააფრინა. ვატყობ, ჩაკვდება ესეც ქვიშაში... ჩუ, ჩოჩქოლია და ყვირილი... ვინ ოხრებია?.. აქეთ წამოდით, აქეთ!

მეზღაპრე. ნაცნობი ხმებით ეს ფურცლები ისევ ივსება...

დონ კალისტრატე. მომყევით, ძმებო! ისეთ ქვეყანაში მიგიყვანოთ, მანანის ფაფა მდინარესავით მოედინება, ალუბლის კამპოტი წყაროებად გადმოსჩქეფს, მარწყვის კისელის ტბები დგება...

ეპრასია. პატივცემულო, კვერცხი თუ იშოვება? ჩემი ბიჭუნა ვეღარა ძლებს უგოგლიმოგლოდ!

დონ კალისტრატე. იქ გოგლიმოგლის მთელი ზღვაა, მიდი და ხვრიპე!

ბიჭუნა. ყელში ამოვა ეგ გოგლიმოგლი, არ მინდა იქით, ამ უდაბნოში „ვრანგლერები“ შემომეხია!

დონ კალისტრატე. „ვრანგლერი“ რაა, მოდაშია პლაჟის კოსტუმი!

ლოლიტა. რა საინტერესოა! ის საბანაო კოსტუმი, დედიკომ დაბადების დღეზე მიყიდა, გამომადგება იქ სათეატროდ!

დონ კალისტრატე. იმ ქვეყანაში პლაჟი, თეატრი, ცირკი, ბაზარი ერთნაირია...

წუწკა. იფ, იფ, ლოლიტჯან, ოღონდ შენ კუპალნიკში გნახო, ეს ქვიშის პესოკი სულ შაქრის პესოკად მომეჩვენება.

კანტემირა. ენა ჩაიგდე, შე თავხედო, ვის უბედავ მაგას!

დონ კალისტრატე. აბა, ნუ ჩხუბობთ! სადაც ჩვენ მივალთ, იქ არ იციან ჩხუბი, კინკლავი...

ბიჭუნა. მე ის ქვეყანა რაღად მინდა, პოეტ კოკორას ლაყუჩებსაც თუ ვერ ავახევ!

დონ კალისტრატე. სამაგიეროდ მის გრძელ ლექსებს თავს გადაახევ!

კოკორა. პროტესტს ვაცხადებ, ჩემი ლექსი ჩემი ძეგლია! ლექსის პწკარებში ჩემი სული გაცხადებულა!

დონ კალისტრატე. სუსტ ქაღალდს მერე როგორ ანდობ

მაგ სულის ნაჟურს? იმ ქვეყანაში ბევრზე ბევრი ბრტყელი ლოდია, საჭრეთლით უნდა ამოკვეთო შენი ლექსები!

ფეოდოსია. ბეჩა, ხომ შემჯავრდა მაშინ ის ქვაც და ის ქვეყანაც. ლექსის წასაკითხად წამოვედი ამ სიშორეზე?

კოკორა. თქვენ ანაბანა მაინც არ იცით!

კანტემირა. ჩაიგდე ხმა! შენი ლექსის წაკითხვას რად უნდა ანაბანა!

ფეოდოსია. მაცალე, კაცო! მოძღვარო, ჩემს ქმარს რა მოელის?

კანტემირა. ჰო, რა მომელის?

დონ კალისტრატე. თანამდებობა დიდზე დიდი!

კანტემირა. ქალაქის თავი?.. არა?.. გუბერნატორი?..

დონ კალისტრატე. თუ მოისურვე, პრეზიდენტი გახდები ქვეყნის!

ლოქორა. მაშინ ექნება ოქროები...

დონ კალისტრატე. ოქრო-ვერცხლი, ძმებო, იქ ფეხქვეშ ყრია!

სქელუა. ნიჩაბით ხვეტე, რაც ფეხქვეშ ყრია!

ლოქორა. სჯობს გავამზადო დიდი ტომარა!

მაიორი. ჰეი, ბიჭებო, საით დაძრულხართ?

ზემდეგი. ვაიმე, ჩემი მაიორი!

დონ კალისტრატე. ვაჰ, ეს ვინ არის?.. ცოცხლები ხართ?.. იმ უდაბნოში ძვლები ვნახე, თქვენი მეგონა!

მაიორი. ძვლები თანა გვაქვს, გული იქ დაგვრჩა... ჩვენი ხანტუ, ოქროდედა, მამაცი ბუთხუზ... მე და ჯერგე ობლები დავრჩით, ვაი, ჩვენ, ვაი...

ზემდეგი. ბატონო მაიორო, მზადა ვარ თქვენთან ერთად ვიქვითინო!

დონ კალისტრატე. ჩვენც მრავალი გაჭირვება გადაგვხვდა თავს. ის ჯადოსნური ზარდახშა, ჯერგემ რომ დაგვიტოვა, ვერა და ვერ გავიყავით. ვისაც ის ჰქონდა, უმალ ქალაქის უმდიდრესი პიროვნება და თავი ხდებოდა. ყველას გვინდოდა პირველობა. დღე ერთი იყო, სამჯერ მაინც ხდებოდა ბუნტი. ხან ვის ვაბამდით კვარცხლბეკზე, ხან ვის და ხან ვის. ვინც ეცემოდა, მწარე ცრემლით თავს გვაბრალებდა, ვინაც აღზევდა, მტარვალივით ტყავი გაგვაძრო. მთელი ქალაქი გავერანდა,

ხალხი გაიქცა... ახლა ქუჩებში ქარი სახლობს და ქვიშა დააქვს...

მაიორი. ვერ აიტანეთ ჩემებური დემოკრატია!? ძმურად გმართავდით, მამაშვილურად. ახლა ჩაცვივდით უარეს დღეში!

ხმები. ვაი, ვაი, რა გვეშველება!

მაიორი. ტირილით საქმეს ვერ უშველით, დანგრეულ ქალაქს მით ვერ აღადგენთ. მაინც საითკენ გაგიწევიათ?

დონ კალისტრატე. ჯანდაბისაკენ!

მაიორი. გზა დამილოცნია. ამ მთის გაღმაა ის ქვეყანა, მარდად იარეთ!

ზემდეგი. ნება დამრთეთ, კვლავ თქვენთან დავრჩე!

მაიორი. მოგნატრებია ჩემი როზგები! დარჩი, რა მენაღვლება, ერთი სახედარი მეც ხომ მჭირდება!

დონ კალისტრატე. აბა, მშვიდობით!

მაიორი. იმედია ჯანდაბეთში არ მოგაწყენენ!.. ამდენ გიჟს ნეტა რით გაუძლოს ჭკვათამყოფელმა?.. საითაც უნდათ, იქ წაეთრნენ, მე კი სულ სხვა გამოცანა მიწიწკნის სულს. ჩემი ცოლისძმა აქ შიშველი მტვერში ჩაემხო, რა სარგებელი უნდა ნახოს?

კანტემირა. სდექ, მოძღვარო, აქ რაღაც სხვა ამბავია!

დონ კალისტრატე. დიახ, მეც ეჭვი დამებადა!

სქელუა. ის გაიძვერა მაიორი კუდს აქიცინებს. ალბათ ის ოქრო აქვე ყრია, შორს კი ნუ წავალთ!

ლოლიტა. მამიკო, შეხე, შეხე! ჯერგე ორმოში ზის. ალბათ ოქროს კვერცხებიდან წიწილებს ჩეკავს!

ფეოდოსია. ოქროს კვერცხები ახლა კარგად მოგვიხდებოდა!

ეპრასია. კვერცხებიო? სად არის კვერცხი? ოქროს კვერცხისგან გოგლიმოგლი უნდა ავთქვიფო!

ბიჭუნა. ვაიმე, კვერცხი არ მანახოთ, თორემ მოვკურცხლავ!

კოკორა. ჩვენი ჯერგე პოეზიის მადლს ეზიარა, ზის და ლექსებს წერს.

დონ კალისტრატე. მივიდეთ, ვკითხოთ, ეჭვი გავფანტოთ!

მაიორი. შეჩერდით! არ შეიძლება!

დონ კალისტრატე. რატომ, ბატონო მაიორო?

მაიორი. უბრალო ორმო ხომ არ გგონიათ? ჯადოსნურია!

ხმები. ჯადოსნური?

მაიორი. ვინც იქ ჩაჯდება და იქნება ამ ღატაკზე უფრო ღატაკი, იგი მოიგებს დედოფლის გულს, უკვდავებას ეზიარება!

ხმები. უკვდავებას?

ბიჭუნა. მერე რად გვინდა უკვდავება? ფული სჯობია!

სქელუა. უკვდავმა კაცმა წელიწადში ერთი კაპიკი რომ გადადო, ათას წელიწადში ასმანეთიანი ხომ იქნება!

ლოლიტა. ათას წელიწადში რამდენ საქმროს გამოვიცვლი!

დონ კალისტრატე. ძვირფასო ჯერგე, ეს მართალია?

ჯერგე. დილის ბიჭუნა გამომეცხადა და მიბრძანა, აქ ჩაჯექიო! დედოფალი მხოლოდ იმას აირჩევს, ვინც ყველაზე ღატაკი და უქონელია. ჩემზე ღატაკი არავინ არის!

დონ კალისტრატე. მერე შენა ხარ, ბიჭო, ღატაკი?

ჯერგე. დიახ, ღატაკი! ხომ ხედავ თავზეც არ მახურია!

დონ კალისტრატე. არც მე მახურია!

სხვებიც. არც მე!.. არც მე!..

მეზღაპრე. ქუდებს, მანდილებს მიწაზე ყრიან...

მაიორი. ზემდეგო, არც ერთი ნივთი არ დაკარგო, აქ მოაქუჩე!

ზემდეგი. არის, ბატონო მაიორო!

ჯერგე. ფეხზე არ მაცვია!

დონ კალისტრატე. არც მე მაცვია!

სხვებიც. არც მე!.. არც მე!..

მეზღაპრე. ყველანი სწრაფად ფეხზე იხდიან...

ჯერგე. სულს იქით კაპიკი არ მაბადია!

მეზღაპრე. ზიზღით დაყარეს უმალ ფული...

დონ კალისტრატე. ფული არც მე მაქვს!

სხვებიც. არც მე!.. არც მე!..

სქელუა. იმდენი ფული სადა მაქვს, ორიოდ გროში...

ეპრასია. შენ მოისპე და დაიმარხე, კაცო, ხალხს ხომ არ ჩამორჩები!

სქელუა. აჰა, წაიღეთ!

ეპრასია. სულ გადააგდე-მეთქი, მუჭში გიჭირავს!

სქელუა. მთლად გამძარცვეთ, ხომ?

ჯერგე. არც რა მაცვია ტანზე ბედშავს!

მეზღაპრე. ტანზე იხდიან, შიშვლდებიან...

დონ კალისტრატე. მე რა მაცვია?.. ერთი ნიფხავი, სასირცხო რამ რომ დამიფაროს!

სხვებიც. მე რა მაცვია?.. მე რა მაცვია?..

დონ კალისტრატე. ადექი! შენ არა ხარ ამ ორმოს ღირსი!.. შენ გაქვს ის, რაც მე არა მაქვს — მცირე ასაკი!

კანტემირა. დონ კალისტრატე, ადე ახლავე! შენ ხომ გაქვს ის, რაც მე არა მაქვს, ქადაგი და ენამჭევარი გაგხადა ღმერთმა!

სქელუა. კანტემირა, ეს ორმო ზუსტად საჩემოა! შენ რომ გაქვს ანდა წინათ გქონია, მას ვერასოდეს ვერ ვიშოვი — ქედმაღლობა, პატივი დიდი, თანამდებობა!

ფეოდოსია. უყურეთ ამას, რეებს ბედავს? აეგდე ზევით! ღიპი გაქვს დიდი, ზოგ-ზოგი რაცხაც, რადგან ქალი ვარ, ჩემთვის ღმერთს რომ არ მოუცია!

ეპრასია. ეგ ვინ ყოფილა? ხალხო, ამაზე ღატაკი არ ვარ? მთელი ზამთარი წავის ქურქი არ გაუხდია!

ლოქორა. ახლაც ხელში გოგლიმოგლის ჭიქა გიჭირავს, მე კი კუჭი ხერხემალზე მაქვს მიმხმარი, შენზე ღატაკი არა ვარ?

წუწკა. ვა, ჯიგარ, ცხვირზე აჩკები ხომ გიკეთია? მე კი ღინღლის ფასი არა მაქვს რა! ადე, ადე!

ბიჭუნა. თქვენზე ახალგაზრდა არა ვარ? აგახლეჩთ ლაყუჩებს!

კოკორა. ეს ორმო ნამდვილად მეკუთვნის. ჯერ კიდევ ჩემს პოემაში ვწერდი: „ორმოში ჩავჯდე, ქვიშა მაყარეთ“ და ასე შემდეგ...

ლოლიტა. კოკორა, ბიჭუნა, დასცხეთ ამ ბებრებს! ვინც ამ ორმოში ჩამსვამს, იმისი ვიქნები!

მეზღაპრე. კვლავ ჭიდაობა და ძიძგილი...

მაიორი. ზემდეგო, ახვეტე ყოველივე და წავიდეთ! ეს ქონება გამოგვადგება!

ჯერგე. ეჰ, ჩემო თავო, როგორ ჰგავხარ შენ ყოველ მათგანს!.. წავალ, სხვა ორმოს ამოვთხრი! უდაბნო ვრცელია, ვისაც გინდათ, ყველას გეყოფათ!

9

მეზღაპრე. ესეც ზღვისპირი! აქ სასახლე წამომართულა და დედოფალი უკვდავების ალბათ აქ არის. ამ ჩემი ზღაპრის გმირებიც და ვიღაც ტიპებიც, ძალისძალით რომ მოგვეტმასნენ, ახლოვდებიან...

ღამის კაცი. დრამას დავუსვათ ჩვენ აქ წერტილი! ის ჩვენი გმირი პირტიტველი ყმაწვილი იყო, როცა დაავლო ხელი რკინის ჯოხს და ჩაიცვა რკინის ქალამნები... ვინ იფიქრებდა, რომ აქამდე ის მოაღწევდა!

დილის ბიჭუნა. ამ კარიბჭესთან ბევრი ვინმე ადრეც მოსულა, იმათი ძვლები ეგერ ყრია!

ღამის კაცი. ვერ მოაწონეს თავი ამ დიაცს!

დილის ბიჭუნა. ძნელად თუ ვინმე მოეწონება უკვდავ დედოფალს!

ღამის კაცი. ვისაც ის ქალი დაიწუნებს, მე აღარ ვწუნობ! ქვესკნელის კარი მათთვისა მაქვს მუდამდღე ღია!

ნაბუქოდონოსორი. უჰ, მოვაღწიეთ, დავუჩოქოთ ახლა დედოფალს!

ახალგაზრდა მესია. ამბობენ, გულქვა, სასტიკია, ვერ ააცრემლებ!

ნაბუქოდონოსორი. თავი ისე მოვისაწყლო, ქვიდან ცრემლს გამოვადენ!

ახალგაზრდა მესია. ფრთხილად იყავი, არ გააჯავრო!

ნაბუქოდონოსორი. ჰეი, მონავ, აქ ჩაიჩოქე, უნდა შეგაჯდე!

ქანდაკება. ხელმწიფეო, მეტკინება!

ნაბუქოდონოსორი. არა გიშავს რა, ვითომდა სკამის ქანდაკება ხარ, თან ბრინჯაოსი. ჩაიჩოქე, მუხლებიდან ქარი უნდა ამოვიღო!

ქანდაკება. ვაი, ვაი, მეტად მძიმე ხარ, ხელმწიფეო!

ნაბუქოდონოსორი. უტვინო რკინავ, სხვა საქმე ამოგერჩია! ნუ გამაჯავრებ, თორემ ეგერ გილიოტინა მახვილს ლესავს!

გილიოტინა. დიახ! ოღონდ მიჩვენეთ, ვინც ღირსია თავის მოკვეთის... წკაპ-წკაპ და თავი არ არის!

ახალგაზრდა მესია. თქვენ აქაც ჩხუბობთ? დედოფალმა

ეს რომ გაიგოს...

არარა, ფერფლი, ჩრდილი. გაგვიჯავრდება!

ნაბუქოდონოსორი. აბა, ვინ ჩხუბობს? ვინ გამიბედავს, ქვეყნის მპყრობელს, რომ წამეჩხუბოს?

ქანდაკება. ოჰ, ხელმწიფეო!

ნაბუქოდონოსორი. მოვითათბიროთ, რითი წარვდგეთ დედოფლის ტახტთან! მოგეხსენებათ, მონებო და ვიგინდარებო, თქვენთან ბოდიში, უფალო ჩემო, — ჩვენ აქამომდე ერთიციცქნა ბელურის იმედით ვცხოვრობდით. შავი უფსკრულის პირას იჯდა ის ჩიტუნია. მაშინ ჯერ კიდევ ბალღი ვიყავი. იმ უფსკრულში რომ ჩავიხედე, თვალი ფსკერს ველარ მივაწვდინე... კენჭი ჩავაგდე და მხოლოდ მეორე დღეს გავიგონე მისი ჩხაკუნი...

ქანდაკება. მეც იქ ვიდექი, ვაი ჩვენს თავს!

ნაბუქოდონოსორი. ნელა, არ წამაქციო!

გილიოტინა. მაშინვე მივხვდი, მაგი ჩიტი არ იყო სანდო. ბევრს კენკავდა და სკინტლიც ბევრი გამოსდიოდა...

ნაბუქოდონოსორი. თურმე დრო სწრაფად გაქცეულა... და ის უფსკრული ჩიტუნიას ამოუვსია!

გილიოტინა. ვაი ჩვენს თავს, დავიხოცებით!

ქანდაკება. ვაი, ვაი, ვაი!

ნაბუქოდონოსორი. ნელა, რეგვენო, არ წამაქციო!

ახალგაზრდა მესია. ჩვენც ის გვაწუხებს... ლაღი ირემი ბალახობდა ვრცელ საძოვრებზე. სანამ რქებით ცას მისწვდება, მანამადე იცოცხლებთო, გვეუბნებოდნენ...

არარა, ფერფლი, ჩრდილი. რა გვეშველება, რქებით იგი ცას მისწვდენია!

ახალგაზრდა მესია. დიახ, გავიგეთ, რქის ერთი ტოტი თურმე ცის გუმბათს ეხახუნება!

ნაბუქოდონოსორი. ეჰ, ჩვენი საქმე წასულია, მაგრამ იმედი კიდევ ბჟუტავს. დედოფალს გული ავუჩვილოთ, იქნებ უფსკრული სხვა მონახოს ბელურასათვის!

ახალგაზრდა მესია. ან იქნებ ირმის პაწაწინა ნუკრი გვაჩუქოს, რქები რომ ჯერ არც ამოსვლია.

ნაბუქოდონოსორი. რაღაც ხმა ისმის! მალე აქ მთხოვნელ-

ნი მომრავლდებიან. ყველას გახსოვდეთ, რიგი ჩვენია! სხვებზე ადრე ამ კარიბჭეს მე მივადექი!

ახალგაზრდა მესია. მეც! მკაცრად უნდა დავიცვათ რიგი, თვალი ვადევნოთ, წინ არ გაძვრეს ვინმე ეშმაკი!

მაიორი. ხალხო, სალამი!.. თითქოს მეცნობით! (სადღაც მინახავს ეს ბრბო ყაჩაღთა!)

ნაბუქოდონოსორი. უყურეთ ერთი, ეს ის კაცია, რიხით, ყიჟინით თავს რომ დაგვესხა!

ახალგაზრდა მესია. დიახ, ამ კაცმა საყვარელი მონაფე მომტაცა!

ნაბუქოდონოსორი. მოდი, გავლახოთ, მოვადინოთ ცხვირიდან ძმარი!

მაიორი. მეგობრებო, დაწყნარდით!.. ალბათ სხვა კაცში შეგეშალეთ. მე ვაჭარი ვარ, მუშტარს ვეძებ!

ნაბუქოდონოსორი. ვაჭარიო? მერე რას ყიდი?

მაიორი. აგერ სამოსი, ფეხსაცმელი, ქუდი და ქისა...

ნაბუქოდონოსორი. მართლაც რომ ცუდად გვაცვია. შემოგველანძღა ეს პიჟამო, ფეხები ქვებზე დაგვეჩეჩქვა. თავზე ქუდი არ გვხურავს. და თუ აქედან დედოფალი გამობრძანდა, მაწანწალების სიაში ჩაგვწერს...

ახალგაზრდა მესია. მაგრამ ჯიბეში არ გვიჭყავის ერთი კაპიკიც!

ნაბუქოდონოსორი. მონავ, შევთანხმდეთ! მე მეფეთმეფე ნაბუქოდონოსორს ნისიად მომცემ, რაც საჭიროა. სამაგიეროდ ნანგრევები ბაბილონისა დამითმია!

მაიორი. ნანგრევებამდე ვერც ჩავაღწევ, რა ჩირად მინდა!.. რიგი დამითმეთ კარიბჭესთან!

ნაბუქოდონოსორი. უტვინო ხეპრევ, რას მიბედავ!.. მე, ხელმწიფე, შენს უკან დავდგე?

მაიორი. თუ არ გინდა, იყავი მასე! გამოვა დედოფალი და ნახავს, ვინ ხელმწიფეა, ვინ მათხოვარი!.. ზემდეგო, მოხვეტე ყველაფერი და წავიდეთ!

ნაბუქოდონოსორი. მოიცა, კაცო, რა გაღელვებს, კარისკაცებს ხომ უნდა მოვეთათბირო?

ახალგაზრდა მესია. ხელმწიფეო, იქნებ რიგი აქ სულ არა

ჭრის. სიკვდილი ხან ბერიკაცს ეწვევა, ხან ჩვილს. მათხოვრებივით ხომ ვერ წარვსდგებით დედოფლის წინაშე? ხომ გაგიგონიათ, თვალი ჭამს და თვალი ძღებაო!

სხვები. ჰო, ჰო, ხელმწიფეო, რიგი დაუთმეთ! რამდენი ხანია, ტანზე არაფერი გვცმია პიჟამოს გარდა!

ნაბუქოდონოსორი. დიდი ხელმწიფე თანახმაა!

მაიორი. მაშ, შევთანხმდით! ჰა, ხელი ხელზე დავკრათ!

ნაბუქოდონოსორი. გაიწი იქით! ტურტლიანი ხელებით ჩემს ხელმწიფურ სიწმინდეს შემილახავ!.. თუ გინდა, მუხლზე გაკოცნინებ!

მაიორი. არ გინდა და ნუ გინდა! რიგი ჩემია, მარადისობაში კი ვნახოთ, ვინ ვის მუხლებს დაუკოცნის.

ზემდეგი. მეც აქ, უფროსო?

მაიორი. მომიდექ უკან, იქაც მჭირდება შენისთანა მონამორჩილი. ჰა, ხომ ვაჯობე ჭკუით ყველას? ჩემი ცოლისძმა ქვიშაში წევს, ღატაკი ვარო... ჰი, ჰი, მართლაც ღატაკი!

მეზღაპრე. მოქალაქეებს კანი ეწვით და თავი უხურთ...

დონ კალისტრატე. წმინდანნო, იქნებ მენახირეს წავაწყდეთ სადმე, მაწონი ვთხოვოთ და წავისვათ, უჰ, კანი მეწვის!

კანტემირა. ჭეშმარიტად მძიმე ყოფილა წმინდანობა! მზემ ისე მომიჭირა, ტყავი გადამძვრა!

ლოლიტა. თქვენ რა გესმით, კანი მშვენივრად გამიშავდა!

ფეოდოსია. ახლა მივნატრი ჩემს ძვირფას კაბას. რად მჭირდებოდა წმინდანობა, რომელი მონაზონი მე ვარ!

ეპრასია. ეგა თქვით, ქვიშის იმ ორმოში კვერცხივით მოვიხარშე!

კოკორა. ლოლიტა, მოდი გავიპაროთ! ისეთი ორმო ამოგიჩიჩქნო...

ბიჭუნა. მე შენ მოგიჩიჩქნი მაგ ცხვირ-პირს!

დონ კალისტრატე. წმინდანნო! სულში არ შეუშვათ შურელი და მტრობა, მარადისობის კარიბჭემდე ჩვენ მოვაღწიეთ!

წუწკა. მზეზე რომ ვიხარშეთ და ოფლის ხვითქი გვდის, ამიტომ წმინდანები კი გავხდით, მაგრამ ახლა რას მოგვცემენ?

ლოქორა. თუ ოქრო ბევრი დაგვირიგეს, ხელის სიმარდე დამჭირდება!

წუწკა. ჭკუით იყავი, ფეხის სიმარდე არ დაგჭირდეს!

დონ კალისტრატე. ამას ვის ვხედავ? უფალო, ჩემი შარვალი გაცვიათ?

ახალგაზრდა მესია. ჩემო უსაყვარლესო მოწაფევ, ცოცხალი ხარ?

დონ კალისტრატე. ცოცხალიც ვარ და წმინდანიც! ორი დღე-ღამე ქვიშის ორმოში, პაპანაქება მზის ქვეშ ვლოცულობდით! რაც ბოროტება სულზე გვაწვა, სულ იქ დავტოვეთ!

ახალგაზრდა მესია. სიამაყე თავში აგვარდნია, შვილო! როგორ იქნება, შენს მასწავლებელზე წმინდა იყო? უნდა შესცოდო ცოტა მაინც.

კანტემირა. რა ვქნათ, ბატონო, სხვისას არაფერს ვითხოვთ, რაც დავიმსახურეთ, ის მოგვართვან!

ნაბუქოდონოსორი. ჩვენზე წმინდანნი როგორ იქნებით, უსირცხვილონი ტიტლიკანა აქ დატანტალებთ!

დონ კალისტრატე. სიწმინდე სულის თვისებაა, მას ტანსაცმელი არ სჭირდება, სულის სამოსი თვით ჩვენა ვართ!

ლოლიტა. მე კი ასე ცხოვრება მომწონს, ტანისამოსი ხელს მიშლიდა!

კოკორა. მგონი ჯერ კიდევ ბევრი გაცვია!

ახალგაზრდა მესია. ძმებო და შვილებო! შესანიშნავი აზრი მომივიდა, მოდით ვივაჭროთ!

დონ კალისტრატე. სულის იქით არა გვაბადია რა!

ახალგაზრდა მესია. იმ მაიორმა ჩვენ მოგვყიდა, რაც ზედ გვაცვია!

დონ კალისტრატე. ჩვენი სამოსი...

ახალგაზრდა მესია. უკვე ჩვენია!.. მაგრამ სირცხვილი რომ არ ჭამოთ, იმ ნაფხრეწებს, ჩვენ რომ გვეცვა, თქვენ დაგითმობთ!

დონ კალისტრატე. ეს ნაფხრეწები ასი წელი ტანს გიფარავდათ!

ფეოდოსია და ეპრასია. დათანხმდი ჩქარა, მზემ კანი მთლად აგვითუთქა, თავზევით ღონე აღარ არის!..

დონ კალისტრატე. უფალო, შენი კეთილი გული კარგად შევიცან! რას მთხოვ სამაგიეროს?

ახალგაზრდა მესია. თითქმის არაფერს!

დონ კალისტრატე. მაინც, მაინც?

ახალგაზრდა მესია. ორი დღე-ღამე თქვენ ეწამეთ?.. აბა, მხრები მიჩვენეთ!.. აქ ამოგდით წმინდანის ფრთები?.. უნდა დაგვითმოთ წმინდანობა!

დონ კალისტრატე. ეგ როგორ?

სხვები. ეგ როგორ?

ახალგაზრდა მესია. ენა ჩაიგდეთ! აქ წმინდანი მხოლოდ მე ვარ და...

ნაბუქოდონოსორი. უფალო!

ახალგაზრდა მესია. ...და ხელმწიფე!

დონ კალისტრატე. უფალო!

ახალგაზრდა მესია. ჩემი მოწაფეც! სამი წმინდანი ყელამდე ეყოფა ამ ერთ მუჭა ხალხს!

დონ კალისტრატე. ჭეშმარიტად სწორი გადაწყვეტილებაა! ძმებო, სწრაფად ჩაიცვით, რაც გვარგუნეს! ასე შიშველნი ხომ ვერ წარვსდგებით დედოფლის წინაშე?

მაიორი. რიგი ჩემია, წმინდანი არ ვიცი მე!

ჯერგე. მთლად ამებნა გზა და კვალი. უკვე არ ვიცი, რა მინდა... უკვდავება?.. მერედა რა არის უკვდავება?.. ყოველი დღე, ამ უდაბნოში, მცხუნვარე მზის ქვეშ, გაიწელება ათას წლებად... ათასი წელი ქვიშის ორმოში?.. ნუთუ აზრი აქვს ერთმანეთის მსგავსი დღეების წყებას?.. სხვა რომ არ იყოს, მოწყენა მოგკლავს... ქვიშის ის ორმო გამომადგა, ბევრი ვიფიქრე... სულის ნამცეცი, რაც დავიტოვე, თანდათან ისევ გაიზარდა, მთლად ამავსო... მაშინვე ეჭვი მომეჯარა, რბილი თითები შეეხო მეხსიერებას, გამოაფხიზლა... თვალწინ თითქოსდა გამიცოცხლდა ჩვენი ისლითხურული ჯარგვალი... შუაცეცხლი... მჭადის ნატეხი... ჭყინტი ყველი... გამახსენდა ოქროდედას თბილი ხელები... ჩემი დაია ხანტუ... მზეონა, ვინაც გული მაჩუქა...

მაიორი. აგერ ცოლისძმაც გამოჩნდა. პირველი დაადგა გზას აქეთკენ, ყველაზე ბოლოს კი მოაღწია.

ჯერგე. ესეც აქ არის! გამაწყვეტინა ფიქრის ძაფი. მისი ხმა ტურის ხავილს მაგონებს...

დონ კალისტრატე. უფალო, ქვიშაში იგი სხვაზე მეტ ხანს იჯდა, წმინდანობის კანდიდატია!

ახალგაზრდა მესია. რაოდენობა ხარისხს დასწევს, სამნიც ვეყოფით წმინდანები!

ჯერგე. ეს რა ხალხია აქ შეყრილი? მთელი დუნია სამათხოვროდ ჩამოსულა. ნუთუ ესენიც ემთხვევიან დედოფლის კალთას? თქვენ, ჰეი, რას თხოულობთ?

მაიორი. ვითომ არ იცის... რაც შენ გინდოდა, ის გვინდა ჩვენაც!

ჯერგე. უკვდავებას ითხოვთ? მერე ღირსნი ხართ?

მაიორი. დედოფალი თვითონ გადაწყვეტს, ვინ რისი ღირსია!

ჯერგე. შე გაიძვერა, მხდალო ტურავ, შენც უკვდავება გსურს?.. თქვენც ამას ითხოვთ?.. თურმე გიჟებიც აქ მოსულან!.. აი, მტარვალი! ეს კი მკვლელი, ბრიყვი რკინა, არარაობა, ფერფლი, ჩრდილი, აფერისტი, წმინდანობა სხვას რომ წარსტაცეს... წვრილმანი ქურდი და ბაცაცა, საქმოსანი და კარიერისტი, გრაფომანი და ორიც ჩერჩეტი... თქვენი სიცოცხლით ვითომ ვის რა შეეძინება?

ხმები. რას ამბობს?.. შეურაცხყოფა მოგვაყენა!.. თავს ლაფი დაგვასხა!.. ეს ვინ ყოფილა?.. დავსცხოთ, გავაგდოთ!..

მაიორი. ტყუილუბრალოდ ბაქიბუქობ, ჩვენებური ხარ!.. რითი ხარ ჩვენზე უკეთესი?

ჯერგე. სიტყვით მაჯობე, ალბათ თქვენზე უარესი ვარ! ოქროდედას ძვლები ქვიშაში ჩარჩა... იქ არის ხანტუც... ჭუჭყით და ბიწით სავსე აქ მოვედი, რათა ეს ჭუჭყი მარადიულ სულში ვატარო...

მაიორი. ჰოდა, ჩადექი ამ ჩვენს რიგში!

მეზღაპრე. მეგონა, ბოლო აქ იქნებოდა, მაგრამ სიცრუე გადაგვეღობა. საყვირის ხმაზე შავი კარი განიხვნა უცებ და ღამის კაცი — ის დედოფლის სამოსში იყო — გამოეცხადა ბრბოს მთხოვნელთა...

ცრუდედოფალი. ადამის ძენო, რამ მოგიყვანათ ჩემს კარებთან, რას მთხოვთ?

ხმები. ადრეა ჯერაც ჩვენი სიკვდილი!

ცრუდედოფალი. აი, ამ კარში სხვას ვინც დაასწრებს, მეტ-

ხანს იცოცხლებს!

ხმები. არიქა, გამიშვით!.. რიგი ჩემია!.. ამ ახალგაზრდებს სულ არა აქვთ უფროსთა რიდი!.. მე პირველი ვარ!.. ბრიყვო, გამიშვი!.. თახსირო, კარზე ნუ მიმასრისე!..

ჯერგე. ნუთუ ეს ხალხი მინახია აქამდე სადმე?.. ვინ არიან?.. ადამიანნი თუ არაკაცნი?.. არა, ეს მე ვარ!.. ყოველი მათგანი ცალ-ცალკე მე ვარ! მე ვამტვრევ ახლა ამ ღია კარს, სხვებს რომ დავასწრო!

დილის ბიჭუნა. შეჩერდით! რას სჩადით! აქ ქვესკნელია! ვინც იქ ჩავიდა, ვეღარ ამოვა!

ცრუდედოფალი. ვინც გავაბრიყვე, ამათ მაინც გავაძრო ტყავი!

მეზღაპრე. გიჟთ აღტყინებით ყველანი რომ მიცვივდნენ კარებს, ჯერგე ჩამორჩა... გაწბილებული ყმაწვილები — წუწკა, კოკორა, ბიჭუნა და ლოლიტაც დარჩნენ...

წუწკა. ვა, ეგ ვინაა, ჩემი ტყავი უნდოდა? მერე ნაკოლკას რას უზამდა?

ლოლიტა. გული მისკდება შიშისაგან! ძლივს გავშავდი ასე ლამაზად და ახლა ტყავი გამაძრონ?

ბიჭუნა. ნუ გეშინია, აგერა ვარ, დავულილავებ მტერს გვერდებს!

კოკორა. ჩემი ტყავი უხარისხოა, ნუ ინებებთ!

დილის ბიჭუნა. გადაგარჩინეთ მე დაღუპვას, თუმც მეეჭვება, ღირსი იყოთ! გასწით აქედან!

ჯერგე. იარეთ, იარეთ! თქვენგან თქვენივე მამიკოები და დედიკოები დადგება! მასწავლებელიც შესაფერისი გყავთ...

წუწკა. მალადეც, ჯიგარო, ჩემზე უკეთეს უჩიტელს ეს პიჟონები ვერ იშოვიან! ისეთი რამეები გასწავლოთ, აქამდე არც დაგსიზმრებიათ! ისეთი გზა ვიცი, პირდაპირ ლაგერში მიგიყვანთ თქვენივე ფეხით!

ბიჭუნა. ოღონდ საქმე მასწავლე, ჯანი და ღონე ისე მერჩის...

წუწკა. ეს ჩოჩორი ადვილი გასახედნი ჩანს...

კოკორა. ჩემს მასწავლებელს მე მივუძღვნი პოემა-ხოტბას!

წუწკა. ამის ტლიკინი ყურთასმენას მე დამიამებს!.. მაშ,

მომყევით!

მეზღაპრე. დილის ბიჭუნა ჯერგეს ხედავს...

დილის ბიჭუნა. რას ელოდები?

ჯერგე. საით წავიდე? ყველა ხიდი მე უკვე დავწვი!

დილის ბიჭუნა. სინანულსა ვგრძნობ შენს სიტყვებში, მაშ ყველაფერი არ დაკარგულა!

ჯერგე. გარდასული დრო აწი აღარ გამეორდება! ვერ გავაცოცხლებ ოქროდედას, ჩემს დას ხანტუს, ვერ დავიბრუნებ მზეონას და ჩემს სიყმაწვილეს!

დილის ბიჭუნა. ჰე, მზემ სხივი გამომიწოდა... უნდა გავიქცე... წყვდიადი ვდევნო დასავლეთისკენ!

ჯერგე. სულ მარტო დავრჩი! აღარ შემრჩა ახლობელი, მეგობარი, შეყვარებული, მტერიც კი... იქნებ სიკვდილი დავიმეგობრო!.. თურმე არც ისე ძნელი ყოფილა!.. ვარ და გავქრები... ხომ გაქრნენ სხვებიც... რატომ მეგონა ასე ძნელი?.. ძნელი სხვა რამეა... მარტოობა, ობლობა, უსიყვარულობა...

მეზღაპრე. კარი განიხვნა, დედოფალი აქ გამობრწყინდა...

დედოფალი. ადამიანო, მომეახლე!

ჯერგე. ეს რა მზის სხივი თვალს მიბრმავებს!

დედოფალი. რას მთხოვ, ყმაწვილო?

ჯერგე. რას გთხოვ?.. არაფერს!.. თვალთ სინათლე შენმა სახებამ ოღონდ წამართვა!

დედოფალი. ყველა მე მეტრფის, ვინც მიხილავს! ხომ ლამაზი ვარ?

ჯერგე. შენზე ლამაზი არვინ მინახავს... მზეონას გარდა!

დედოფალი. კარგა ხანია დაავიწყდი!.. სიყვარული მარადიული მე უფრო ძალმიძს!

ჯერგე. ოქროდედაზე მეტად არავის ვეყვარები...

დედოფალი. მან სიყვარული თან წაიღო... ჩემზე მეტად ვინ გიერთგულებს?

ჯერგე. ჩემი დაია, ჩემი ხანტუ!

დედოფალი. ისიც ხომ გაქრა?.. ეს ყოველივე დაივიწყე და ჩემთან დარჩი!

ჯერგე. იმ უდაბნოში დიდვაჭარი ვინმე შემხვდა. სული

მომყიდეო, შემომთავაზა. ერთი ნამცეცის დათმობით, რას ვკარგავ-მეთქი. ნამცეც-ნამცეცად, ხელგაშლილად ვხარჯე და ვხარჯე. მადლობა უფალს, მთლად არ გავგიჟდი, ერთი ნამცეცი ჩემთვის ჩუმად შემოვინახე... და ის ნამცეცი გადაიქცა ისევ ჩემს სულად!

დედოფალი. ყოველი წამი, აქ რომ დგახარ, ათწლეულია! დარჩები? აღარ მოგაკლდება სითბო, ალერსი! ისე გაირბენს ათასი წელი, თითქოს ერთი დღე დაგეხარჯოს! რაც მარადია, რად სჭირდება თვლა-ანგარიში?.. თუ წახვალ, წადი, ოღონდ ინანებ!

ჯერგე. მე მაპატიე, დედოფალო! მრავალი წელი ვიარე, რათა შენს კალთას ვმთხვეოდი და უკვდავება გამომეთხოვა. გზაზე ბევრი რამ მე გადამხდა, ვიყავ მდიდარიც და ღატაკიც, ავიც ვნახე და კარგიც... ჰა, აქ გეახელ! უკვდავებამ ფრთა გადამაფარა, ბედის რჩეულად მაქცია...მაგრამ ტკივილი, ჩარჩენილი გულის კუნჭულში, თურმე დამქონდა, ღვივდებოდა, იბადებოდა... სურვილი მტანჯავს, არ მასვენებს — უნდა ვიხილო მშობელი მხარე!..მშვიდობით, დედოფალო!

სარჩევი

მოთხრობები

დალ-ექიმი ----------3

პირველი ზეკარი----------18

კოჩა თოდუას სიკვდილი----------29

ქურდი----------39

ტრამალების სევდიანი სიმღერა----------50

მეხამრიდი ----------96

თეთრი ევროპა----------117

მოკლე----------147

მშვიდი საქმე----------156

ადრეული ნაწერები

ორნი ბილიკზე ----------171

კარი ცისა----------214

ზღაპარი ჯურგესი და

უკვდავების დედოფლისა ---------- 259